Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

33

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ
ᲠᲙᲞ(Ბ) IX ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ
II ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1951

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის
საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის [illegible]
1953

ვ. ი. ლენინი

ტომი

33

1921 აგვისტო — *1923* მარტი

წინასიტყვაობა

ოცდამეცამეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის სტატიები, მოხსენებები, სიტყვები და წერილები 1921 წლის 16 აგვისტოდან 1923 წლის 2 მარტამდე განვლილი პერიოდისა.

ამ ნაწარმოებებში შეჯამებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი შედეგები, დასაბუთებულია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა და დასახულია მისი განხორციელების გეგმა.

სტატიებში: «ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით», «ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის», «ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ» და მოხსენებებში: «რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ» საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე 1921 წ. 23 დეკემბერს, «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში» პარტიის XI ყრილობაზე 1922 წ. 27 მარტს, «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები» კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წ. 13 ნოემბერს. «სიტყვაში მოსკოვის საბჭოს პლენუმზე» 1922 წ. 20 ნოემბერს და სხვა ნაწარმოებებში ლენინი გვიჩვენებს მსხვილი სოციალისტური მრეწველობის აღდგენისა და აღმავლობის დაწყებას, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას ახალ ეკონომიურ საფუძველზე. ლენინი სახავს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გზებს და გამოთქვამს მტკიცე

რწმენას, რომ «ნეპის რუსეთიდან მივიღებთ სოციალისტურ რუსეთს».

ტომში დაბეჭდილი მთელი რიგი გამოსვლები, სტატიები და დოკუმენტები ეძღვნება პარტიული მშენებლობის საკითხებს, პარტიის წმენდას და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, საბჭოთა, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანოების მიმართ ხელმძღვანელობას. მათ რიცხვში შედის: სტატია «პარტიის წმენდის შესახებ», წერილები ვ. მ. მოლოტოვს «პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ», «რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში» რკპ(ბ) XI ყრილობაზე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება «პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში» და სხვ.

ტომში დიდი ადგილი უკავია იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ლენინის მოღვაწეობა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და გაუმჯობესების საქმეში. ამ ნაწარმოებთა რიცხვში შედის: «მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის», «წერილი ი. ბ. სტალინს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ», «დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ», ««ორმაგი» დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ» და «სიტყვა IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის IV სესიაზე» 1922 წ. 31 ოქტომბერს.

ტომში შესულ მრავალ გამოსვლაში, სტატიასა და დოკუმენტში ლენინმა გადმოსცა საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. გამოდიოდა რა საბჭოთა რესპუბლიკისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობიდან, ლენინი საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებდა მშვიდობისათვის ბრძოლას

და საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას.

საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში ლენინი აყალიბებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ძირითად ამოცანებს და აშუქებს მსოფლიო რევოლუციის განვითარების პერსპექტივებს. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის ზრდას აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთსა და ჩინეთში, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან ერთად მოსახლეობის უზარმაზარ უმრავლესობას წარმოადგენენ.

ტომში შედის ლენინის უკანასკნელი სტატიები: «ფურცლები დღიურიდან», «კოოპერაციის შესახებ», «ჩვენი რევოლუციის შესახებ», «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია», «უმჯობესია ცოტა და კარგი». ამ სტატიებში ლენინმა შეაჯამა შესრულებული სამუშაო და დასახა გეგმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმის გზით და წამოაყენა თავისი კოოპერაციული გეგმა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმისა. ლენინმა განსაზღვრა ამოცანები კულტურული რევოლუციის დარგში და დასახა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებები.

ტომში ქვეყნდება ლენინის ცნობილი სტატია «მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ», რომელშიც ლენინმა დასახა მარქსისტული ფილოსოფიის სფეროში მუშაობის პროგრამა.

ოცდამეცამეტე ტომში შესულ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში და წერილებში ი. ბ. სტალინისადმი მკაფიოდ არის გამოხატული ლენინისა და სტალინის თანამეგობრობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის საქმეში, სოციალისტური მშენებლობის მოწყობის საქმეში, მაგრ

ერთობლივი ბრძოლა პარტიის მტრების — ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, ველიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ოცდამეცამეტე ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის 20 ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება თხზულებებში. «წერილებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი», «სიტყვაში ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს» და «პროექტში რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ» (ორი უკანასკნელი დოკუმენტი პირველად იბეჭდება) გაშუქებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

«წერილში პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წმენდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ» ლენინი წინადადებას იძლევა დაწესდეს პარტიაში მიღების უფრო მკაცრი პირობები.

თხზულებებში სრულად პირველად იბეჭდება «წერილი ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის. პასუხი იმ შენიშვნებისა, რომლებიც ეხება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობას», სადაც ლენინი მკაცრად აკრიტიკებს ტროცკის მტრულ, ანტიპარტიულ პოზიციას მუშგლეხინისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლისა და ამოცანების საკითხში.

თხზულებებში პირველად ქვეყნდება: ვ. ი. ლენინის წერილი დ. ი. კურსკის, რომელიც ეხება საბჭოთა სასამართლო კანონმდებლობის შემუშავებას; «ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ», «წერილი ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ» 1922 წლის 13 ოქტომბრის თარიღით (იბეჭდება პირველად), სადაც ლენინი იცავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობას ბუხარინის, სოკოლნიკოვისა და სხვების წინააღმდეგ, რომ-

ლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მისი საფუძვლებისთვის; «წერილი ი. ბ. სტალინს ც. კ-ის წევრებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსვლის გამო»; ორი წერილი ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების საკითხებზე და წერილი ი. ბ. სტალინს 1922 წლის 15 აპრილის თარიღით (იბეჭდება პირველად).

«წერილში პოლიტბიუროს მიმართ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის რეზოლუციის გამო» ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო როლს როგორც პირველი ქვეყნისას, რომელმაც საქმით განახორციელა ხალხთა თვითგამორკვევის პოლიტიკა.

«პროექტში სრ. რუს. ცაკ-ის დადგენილებისა გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო» განსაზღვრულია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები საგარეო პოლიტიკის სფეროში; «პროექტში პასუხისა ე. ვანდერველდეს» ლენინი ამხელს გამცემლურ როლს II და II½ ინტერნაციონალთა ლიდერებისას, რომლებიც გამოვიდნენ მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური პარტიების დასაცავად (ორივე დოკუმენტი პირველად იბეჭდება).

ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის მისალმებანი სხვადასხვა ყრილობისა და ორგანიზაციისადმი, რომლებიც პირველად ქვეყნდება თხზულებებში: «დეპეშა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ნარიმანოვს» (იბეჭდება პირველად), «დაღისტნის მშრომელებს», «დეპეშა აზნავთის მუშებსა და ინჟინრებს», «ყოფ. მიხელსონის ქარხნის მუშებს», «სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩას» მუშებსა და მოსამსახურეებს».

ოცდამეცამეტე ტომით მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში შეტანილი ძირითადი ნაწარმოებების გამოქვეყნება. ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ორგანიზაციებთან და პირებთან, — წერილები, დეპეშები, ბარათები, — შევა თხზულებათა უკანასკნელ 34-ე და 35-ე ტომებში.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

1922 წ. ხაფხული

ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით

ისტორიის ყოველი თავისებური შემობრუნება რამდენადმე ფორმას უცვლის წვრილბურჟუაზიულ მერყეობას, რაც ყოველთვის ხდება პროლეტარიატის გვერდით და რაც მეტნაკლებად ყოველთვის იჭრება პროლეტარიატის წრეში.

წვრილბურჟუაზიული რეფორმიზმი, ე. ი. კეთილი დემოკრატიული და «სოციალ»-დემოკრატიული ფრაზებით და უძლური სურვილებით დაფარული ლაქიობა ბურჟუაზიის წინაშე, და წვრილბურჟუაზიული რევოლუციონარიზმი, სიტყვით მრისხანე, გაბერილი, ყოყლოჩინა, ხოლო საქმით ქარაფშუტული დაქსაქსულობა, დაფანტულობა, უთაურობა — ასეთია ამ მერყეობის ორი «ნაკადი». იგი გარდუვალია, ვიდრე აღმოფხვრილი არ არის კაპიტალიზმის უღრმესი ფესვები. მისი ფორმა ახლა სახეს იცვლის საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის ცნობილ შემობრუნებასთან დაკავშირებით.

მომენშევიკოთა ძირითადი მოტივია: «ბოლშევიკებმა პირი იბრუნეს უკან, კაპიტალიზმისაკენ, მათი აღსასრულიც აქ არის. რევოლუცია მაინც ბურჟუაზიული გამოდგა, მათ შორის თვით ოქტომბრის რევოლუციაც! გაუმარჯოს დემოკრატიას! გაუმარჯოს რეფორმიზმს!». წმინდა მენშევიკურად ლაპარაკობენ ამას თუ ესერულად, II ინტერნაციონალის თუ II½ ინტერნაციონალის სულისკვეთებით, არსი ერთი და იგივეა.

ნახევრადანარქისტების, როგორც, მაგალითად, გერმანიის «კომუნისტური მუშათა პარტიის»[1], ანდა ჩვენი ყოფილი მუშათა

ოპოზიციის იმ ნაწილის, რომელიც პარტიიდან წავიდა ან ახლა შორდება პარტიას, ძირითადი მოტივია: «ბოლშევიკებს ახლა აღარა აქვთ რწმენა მუშათა კლასისა!». აქედან გამოჰყავთ ლოზუნგები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად წააგავენ «კრონშტადტის» 1921 წლის გაზაფხულის ლოზუნგებს.

რაც შეიძლება უფრო ფხიზლად და ზუსტად დაუპირისპირონ რეფორმიზმის ფილისტერთა და რევოლუციონარიზმის ფილისტერთა წუწუნსა და პანიკას ფაქტიურ კლასობრივ ძალთა გათვალისწინება და უდავო ფაქტები — ასეთია მარქსისტების ამოცანა.

გაიხსენეთ ჩვენი რევოლუციის მთავარი ეტაპები. ეტაპი 1-ლი, ასე ვთქვათ, წმინდა პოლიტიკური, 25 ოქტომბრიდან 5 იანვრამდე, დამფუძნებელი კრების გარეკვამდე. რაღაც ათიოდე კვირის განმავლობაში ჩვენ 100-ჯერ უფრო მეტი გავაკეთეთ რუსეთში ფეოდალიზმის ნაშთთა ნამდვილი და სრული მოსპობისათვის, ვიდრე მენშევიკებმა და ესერებმა თ ა ვ ი ა ნ თ ი ბატონობის რვა თვის განმავლობაში (1917 წ. თებერვალი — ოქტომბერი). მენშევიკები და ესერები, ხოლო საზღვარგარეთ II½ ინტერნაციონალის ყველა გმირი, იმ დროს რეაქციის უბადრუკი ხელშემწყობნი იყვნენ. ანარქისტები ან დაბნეულნი იდგნენ განზე, ანდა ჩვენ გვეხმარებოდნენ. იყო თუ არა მაშინ რევოლუცია ბურჟუაზიული? რა თქმა უნდა, იყო, — იმდენად, რამდენადაც ჩვენი უცილობელი საქმე იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, რამდენადაც ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი ბრძოლა «გლეხობის» შიგნით. მაგრამ იმავე დროს ჩვენ ბურჟუაზიული რევოლუციის გ ა დ ა მ ე ტ ე ბ ი თ გიგანტურად ბევრი რამ გავაკეთეთ სოციალისტური, პროლეტარული რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა თ ვ ი ს: (1) ჩვენ გავშალეთ, ისე როგორც არასოდეს, მუშათა კლასის ძალები მ ი ს მ ი ე რ სახელმწიფო ძალაუფლების გამოსაყენებლად. (2) ჩვენ საქვეყნოდ საგრძნობი ლახვარი ჩავეცით მეშჩანური დემოკრატიის ფეტიშებს — დამფუძნებელ კრებას და ბურჟუაზიულ «თავისუფლებებს», როგორც, მაგალითად, პრესის თავისუფ-

ლებას მდიდრებისთვის. (3) ჩვენ შევქმენით სახელმწიფოს საბჭოური ტიპი, რაც უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია 1793 და 1871 წლების შემდეგ.

მე-2 ეტაპი. ბრესტის ზავი. აღვირახსნილი რევოლუციური ყბედობა ზავის წინააღმდეგ, — ნახევრადპატრიოტული ყბედობა ესერებისა და მენშევიკებისა, «მემარცხენე» ყბედობა ბოლშევიკების ერთი ნაწილისა. «რახან იმპერიალიზმს შეურიგდნენ, დაიღუპებიანო», — ნიშნის მოგებით გაიძახოდა პანიკით შეპყრობილი მეშჩანი. მაგრამ ესერები და მენშევიკები იმპერიალიზმს ურიგდებოდნენ, როგორც ბურჟუაზიული ძარცვა-გლეჯის მონაწილენი მუშების წინააღმდეგ. ჩვენ «ვურიგდებოდით» ისე, რომ მძარცველს ქონების ნაწილს ვაძლევდით, რათა გვეხსნა მუშათა ძალაუფლება, რათა უფრო ძლიერი ლახვარი ჩაგვეცა მძარცველისათვის. მაშინ ჩვენ საკმაოდ მოვისმინეთ ფრაზები, თითქოს ჩვენ «აღარა გვაქვს რწმენა მუშათა კლასის ძალებისა», მაგრამ ამ ფრაზით თავი არ მოვიტყუეთ.

მე-3 ეტაპი. სამოქალაქო ომი, დაწყებული ჩეხოსლოვაკებით და დამფუძნებელი კრების წევრებით ვიდრე ვრანგელამდე, 1918 — 1920 წლები. ჩვენი წითელი არმია ომის დასაწყისში არ არსებობდა. ეს არმია ახლაც უმნიშვნელოა ანტანტის ქვეყნების რომელიც გნებავთ არმიასთან შედარებით, თუ მატერიალურ ძალებს შევადარებთ. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ გავიმარჯვეთ საქვეყნოდ ძლიერ ანტანტასთან ბრძოლაში. გლეხებისა და მუშების კავშირი, პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობით, აყვანილია, — როგორც მსოფლიო ისტორიის მონაპოვარი, — გაუგონარ სიმაღლეზე. მენშევიკები და ესერები ასრულებდნენ მონარქიის ხელისშემწყობთა როლს, როგორც პირდაპირ (მინისტრები, ორგანიზატორები, მქადაგებლები), ისე ფარულად (ყველაზე «გაქნილი» და ყველაზე საძაგელი პოზიცია ჩერნოვებისა და მარტოვებისა, რომლებიც თითქოს ხელს იბანდნენ, ნამდვილად კი კალმით მუშაობდნენ ჩვენს წინააღმდეგ). ანარქისტებიც

უილაჯოდ წრიალებდნენ: ნაწილი ჩვენ გვეხმარებოდა, ნაწილი საქმეს გვიფუჭებდა ყვირილით სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ ანდა სკეპტიციზმით.

მე-4 ეტაპი. ანტანტა იძულებულია შეწყვიტოს (ვითომ დიდი ხნით?) ინტერვენცია და ბლოკადა. გაუგონრად გაჩანაგებული ქვეყანა ძლივძლივობით წელში იმართება, მხოლოდ ახლა ხედავს გაჩანაგების მთელ სიღრმეს, განიცდის საშინელ გაჭირვებას, მრეწველობის შეჩერებას, მოუსავლობას, შიმშილს, ეპიდემიებს.

ჩვენს მსოფლიო-ისტორიულ ბრძოლაში ჩვენ ავედით უმაღლეს და ამასთანავე უძნელეს საფეხურზე. ამ წუთსა და ამ პერიოდში მტერი ის აღარ არის, რაც გუშინ იყო. მტერი თეთრგვარდიელთა ურდოები როდია მემამულეების სარდლობით, რომელთაც მხარს უჭერენ ყველა მენშევიკი და ესერი, მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია. მტერია ეკონომიკის ყოველდღიურობა წვრილგლეხურ ქვეყანაში, სადაც მსხვილი მრეწველობა გაჩანაგებულია. მტერია წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომელიც ჰაერივით გარს გვარტყია და მეტად ძლიერ იჭრება პროლეტარიატის რიგებში. პროლეტარიატი კი დეკლასირებულია, ე. ი. ამოვარდნილია თავისი კლასობრივი კალაპოტიდან. ფაბრიკები და ქარხნები გაჩერებულია — პროლეტარიატი დასუსტებული, დაქსაქსული, ღონემიხდილია. ხოლო წვრილბურჟუაზიულ სტიქიას სახელმწიფოს შიგნით ხელს უწყობს ჯერ კიდევ საქვეყნოდ ძლიერი მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია.

აბა, როგორ არ უნდა შეშინდნენ? განსაკუთრებით ისეთი გმირები, როგორიც არიან მენშევიკები და ესერები, როგორიც არიან II½ ინტერნაციონალის რაინდები, როგორიც არიან უმწეო ანარქისტები, როგორიც არიან «მემარცხენე» ფრაზის მოტრფიალენი. «ბოლშევიკები კაპიტალიზმისკენ იბრუნებენ პირს, დადგა ბოლშევიკების აღსასრული, მათი რევოლუციაც ვერ გასცდა ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებს». საკმაოდ გვესმის ასეთი გოდება.

მაგრამ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამას.

საშიშროებას როდი ვამცირებთ. ჩვენ პირდაპირ ვუსწორებთ მას თვალს. მუშებსა და გლეხებს ჩვენ ვეუბნებით: საფრთხე დიდია — მეტი დარაზმულობა, სიმტკიცე, სიმშვიდე, ზიზღით განდევნეთ მომენშევიკონი, მოესერონი, პანიკიორები და მყვირალები.

საფრთხე დიდია. მტერი ეკონომიურად ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერია, როგორც გუშინ ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო სამხედრო მხრივ. ჩვენ ეს ვიცით, და ცოდნაშია ჩვენი ძალა. ჩვენ უკვე იმდენად გიგანტურად ბევრი რამ გავაკეთეთ რუსეთის გასაწმენდადაც ფეოდალიზმისაგან, მუშათა და გლეხთა მთელი ძალების გასავითარებლადაც, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ბრძოლისთვისაც, საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობისთვისაც, რომელიც განთავისუფლებულია II და II½ ინტერნაციონალთა უგვანობისა და სიმდაბლისაგან, რომ პანიკური ყვირილი ჩვენზე არ მოქმედებს. ჩვენი რევოლუციური მოქმედება ჩვენ უკვე «გავამართლეთ» მთლიანად და გადაჭარბებით, საქმეებით დავუმტკიცეთ რა მთელ მსოფლიოს, თუ რა შეუძლია პროლეტარულ რევოლუციურობას მენშევიკურ-ესერული «დემოკრატიისა» და საპარადო ფრაზებით დაფარული ლაჩრული რეფორმიზმისაგან განსხვავებით.

ვისაც დიადი ბრძოლის დაწყების წინ დამარცხების ეშინია, მას შეუძლია თავის თავს სოციალისტი უწოდოს მხოლოდ მუშების აბუჩად ასაგდებად.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვეშინია საფრთხეს თვალი გავუსწოროთ, ჩვენს ძალებს უკეთ ვიყენებთ ბრძოლისთვის, — უფრო ფხიზლად, ფრთხილად, ანგარიშიანად ავწონ-დავწონით შანსებს, — ჩვენ მივდივართ ყოველგვარ დათმობაზე, რაც კი ჩვენ გვაძლიერებს და მტრის ძალებს აქუცმაცებს (როგორც ახლა სულ უკანასკნელმა ბრიყვმაც კი დაინახა, რომ «ბრესტის ზავი» დათმობა იყო, რომელმაც ჩვენ გაგვაძლიერა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები დააქუცმაცა).

მენშევიკები გაჰყვირიან, რომ სასურსათო გადასახადი, ვაჭრობის თავისუფლება, კონცესიებისა და სახელმწიფო კაპიტალიზმის დაშვება კომუნიზმის კრახს მოასწავებსო. ამ მენშევიკებს საზღვარგარეთ მიემატა ყოფილი კომუნისტი ლევი; ამ ლევის დაცვა საჭირო იყო, ვიდრე მის მიერ ჩადენილი შეცდომები შეიძლებოდა ახსნილიყო რეაქციით იმ მთელ რიგ შეცდომათა გამო, რაც «მემარცხენე» კომუნისტებმა დაუშვეს გერმანიაში, განსაკუთრებით 1921 წლის მარტში [2]; ამ ლევის დაცვა აღარ შეიძლება, როცა იგი, ნაცვლად იმისა, რომ ეღიარებინა თავისი უმართლობა, მენშევიზმისაკენ მიექანება მთელი ხაზით.

მყვირალა მენშევიკებს ჩვენ თუნდაც უბრალოდ იმაზე მივუთითებთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე კომუნისტებმა გამოაცხადეს იდეა სახელმწიფო კაპიტალიზმთან ბლოკისა, კავშირისა წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ და რომ ისინი ამ იდეას იცავდნენ. სამი წლის წინათ! ბოლშევიკების გამარჯვების პირველ თვეებში! უკვე მაშინ ჰქონდათ ბოლშევიკებს სიფხიზლე. და მას შემდეგ არავის გაუბათილებია არსებულ ძალთა ჩვენ მიერ ფხიზლად გათვალისწინების სისწორე.

მენშევიზმამდე დაქანებული ლევი ურჩევს ბოლშევიკებს (რომელთა დამარცხებას კაპიტალიზმის მიერ ის «წინასწარმეტყველებს», ისევე, როგორც ყველა მეშჩანი, დემოკრატი, სოციალ-დემოკრატი და სხვ. ჩვენს დაღუპვას წინასწარმეტყველებდა ჩვენ მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემთხვევაში!) დახმარებისთვის მიმართონ მ თ ე ლ მუშათა კლასს! რადგან, თურმე ნუ იტყვით, აქამდე ბოლშევიკებს მხოლოდ მ ი ს ი ე რ თ ი ნ ა წ ი ლ ი ეხმარებოდა!

აქ ლევი საუცხოოდ თანაემთხვევა იმ ნახევრადანარქისტებს და მყვირალებს, ნაწილობრივ ზოგიერთებს ყოფილი «მუშათა ოპოზიციიდან», რომელთაც უყვართ მაღალფარდოვანი ფრაზების წარმოთქმა იმ თემაზე, რომ ბოლშევიკებს ახლა «აღარა აქვთ რწმენა მუშათა კლასის ძალებისო». მენშევი-

კებიც, მოანარქისტებიც «მუშათა კლასის ძალების» ამ ცნებას ფეტიშად აქცევენ და უნარი არ შესწევთ ჩაუფიქრდნენ მის ფაქტიურ, კონკრეტულ შინაარსს. ამ შინაარსის შესწავლისა და ანალიზის ადგილს დეკლამაცია იჭერს.

II½ ინტერნაციონალის ვაუბატონები, რომელთაც სურთ რევოლუციონერები ერქვათ, საქმით ყოველი სერიოზული მდგომარეობის დროს კონტრრევოლუციონერები არიან, რადგან მათ ეშინიათ ძველი სახელმწიფო აპარატის ძალით დანგრევისა, მათ არა სწამთ მუშათა კლასის ძალები. როდესაც ჩვენ ამას ვამბობდით ესერებისა და კომპ. შესახებ, ჩვენი მხრივ ეს ლიტონი სიტყვა როდი იყო. ყველამ იცის, რომ ოქტომბრის რევოლუციამ საქმით წამოაყენა ახალი ძალები, ახალი კლასი, — რომ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები ამჟამად განაგებენ რუსეთს, მათ შექმნეს არმია, წინ უძღოდნენ მას, შექმნეს ადგილობრივი მართვა-გამგეობა და სხვ., ხელმძღვანელობენ მრეწველობას და სხვ.. თუ ამ მართვა-გამგეობაში არის ბიუროკრატიული დამახინჯება, ჩვენ კი არ ვმალავთ ამ ბოროტებას, არამედ ვააშკარავებთ, ვებრძვით მას. ვინც ახალი წყობილების დამახინჯებასთან ბრძოლის გამო მის შინაარსს ივიწყებს, ივიწყებს იმას, რომ მუშათა კლასმა შექმნა საბჭოური ტიპის სახელმწიფო და თვითონვე უძღვება ამ სახელმწიფოს, მას ფიქრის უნარი არა აქვს და სიტყვებს ტყუილად ხარჯავს.

მაგრამ «მუშათა კლასის ძალები» უსაზღვრო როდია. თუ ამჟამად მუშათა კლასიდან გამოსული ახალი ძალების მოზღვავება სუსტია, ხანდახან ფრიად სუსტიც, თუ მიუხედავად ყველა დეკრეტისა, მოწოდებისა, აგიტაციისა, მიუხედავად ყველა ბრძანებისა «უპარტიოთა დაწინაურების» შესახებ ძალების მოზღვავება მაინც სუსტია, აქ თავის დაძვრენა დეკლამაციით — «აღარა აქვთ რწმენა მუშათა კლასის ძალებისო», ნიშნავს უშინაარსო ლაყბობამდე დაქვეითებას.

თუ ერთგვარი «შესვენება» არ მოხდა, ეს ახალი ძალები ვერ გაჩნდებიან; ისინი მხოლოდ ნელ-ნელა მატულობენ; ისინი

მხოლოდ აღდგენილი მსხვილი ინდუსტრიის ბაზაზე (ე. ი., უფრო ზუსტად და კონკრეტულად რომ ვთქვათ, ელექტროფიკაციის ბაზაზე) წარმოიშობიან.

უდიდესი, ქვეყნად არნახული დაძაბვის შემდეგ მუშათა კლასს წვრილგლეხურ გაჩანაგებულ ქვეყანაში, დეკლასირების გამო უდიდესად ზაზარალებულ მუშათა კლასს სჭირდება ერთგვარი დრო, რომ ახალი ძალები წამოიზარდონ, წელში გაიმართონ, რომ ძველი და გაცვეთილი ძალები «შეკეთდნენ». სამხედრო და სახელმწიფო აპარატის შექმნა, რომელსაც უნარი ჰქონდა ძლევამოსილად გადაეტანა 1917 — 1921 წლების განსაცდელი, — დიდი საქმეა, რომელმაც დაბანდა, შთანთქა, ამოსწურა «მუშათა კლასის» რეალური (არა მყვირალების დეკლამაციაში არსებული) «ძალები». საჭიროა ამის შეგნება, საჭიროა ანგარიში გაეწიოს მუშათა კლასის ახალი ძალების შენელებული მატების აუცილებლობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ: გარდუვალობას.

როდესაც მენშევიკები გაჰკივიან ბოლშევიკთა «ბონაპარტიზმზე» (ჯარსა და აპარატს ეყრდნობიან, «დემოკრატიის» ნების წინააღმდეგო), ამით საუცხოოდ იხატება ბურჟუაზიის ტაქტიკა, და მილიუკოვიც მართებულად იცავს ამ ტაქტიკას, იცავს «კრონშტადტის» (1921 წ. გაზაფხულის) ლოზუნგებს. ბურჟუაზია სწორად ითვალისწინებს, რომ «მუშათა კლასის» ნამდვილი «ძალები» შედგება ახლა ამ კლასის ძლიერი ავანგარდისაგან (რუს. კომ. პარტიისაგან, რომელმაც ერთბაშად კი არა, არამედ 25 წლის განმავლობაში საქმით მოიპოვა ერთადერთი რევოლუციური კლასის «ავანგარდის» როლი, სახელი, ძალა), პლუს დეკლასირებით ყველაზე მეტად დასუსტებული, მენშევიკური და ანარქისტული მერყეობის ყველაზე მეტად ამყოლი ელემენტები.

ლოზუნგით «მეტი ნდობა მუშათა კლასის ძალისადმი», ახლა საქმით ტარდება მენშევიკური და ანარქისტული გავლენის გაძლიერება: ეს მთელი თვალსაჩინოებით დაამტკიცა და დაგვანახვა კრონშტადტმა 1921 წლის გაზაფხულზე. ყოველმა შეგნებულმა მუშამ უნდა ამხილოს და თავიდან მოი-

შოროს ისინი, ვინც გაჰყვირის ჩვენზე — «აღარა აქვთ რწმენა მუშათა კლასის ძალებისა», რადგან ეს მყვირალები — საქმით ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელშემწყობნი არიან, რომლებიც მენშევიკებისა და ანარქისტების გავლენის გაფართოებით ასუსტებენ პროლეტარიატს, რაც ხელსაყრელია მათთვის.

აი სად «მარხია ძაღლის თავი», თუ ფხიზლად ჩავუკვირდებით «მუშათა კლასის ძალის» ცნების ნამდვილ შინაარსს!

სად არის თქვენი მუშაობა, პატივცემულნო, სად არის თქვენი საქმენი უმთავრეს თანამედროვე «ფრონტზე», ეკონომიურ ფრონტზე, სამეურნეო მშენებლობის საქმეზე უპარტიოთა რეალური დაწინაურებისა? აი რა კითხვას უნდა უყენებდნენ შეგნებული მუშები მყვირალებს. აი როგორ შეიძლება და როგორ უნდა ვამხილოთ მყვირალები, დავამტკიცოთ, რომ საქმით ისინი კი არ ეხმარებიან, არამედ ხელს უშლიან მეურნეობის მშენებლობას, კი არ ეხმარებიან, არამედ ხელს უშლიან პროლეტარულ რევოლუციას, ატარებენ არა პროლეტარულ, არამედ წვრილბურჟუაზიულ მისწრაფებებს, სამსახურს უწევენ უცხო კლასს.

ჩვენი ლოზუნგია: ძირს მყვირალები! ძირს თეთრგვარდიელობის შეუგნებელი ხელშემწყობნი, რომლებიც იმეორებენ უბედური კრონშტადტელების მიერ 1921 წლის გაზაფხულზე ჩადენილ შეცდომებს! შევუდგეთ საქმიან პრაქტიკულ მუშაობას, რომელსაც შეუძლია გაიგოს მიმდინარე მომენტის თავისებურება და მისი ამოცანები! ჩვენ ფრაზები კი არა, საქმე გვჭირდება.

ამ თავისებურებისა და ნამდვილ, და არა ფანტაზიით წარმოდგენილ, კლასობრივ ძალთა ფხიზელი გათვალისწინება გვეუბნება:

— პროლეტარული შემოქმედების, სამხედრო, ადმინისტრაციული, ზოგადპოლიტიკური შემოქმედების სფეროში ქვეყნად ჯერ არნახულ მიღწევათა პერიოდის შემდეგ დადგა პერიოდი ახალ ძალთა გაცილებით უფრო ნელი ზრდისა, დადგა არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად, არა ცალკეულ პირთა თუ პარტიათა მიზეზით, არამედ ობიექტური მიზეზების გამო.

სამეურნეო მუშაობაში მშენებლობა აუცილებლად უფრო ძნელია, უფრო ნელი, უფრო თანდათანობითი; ეს გამომდინარეობს ამ მუშაობის არსებიდან — სამხედრო, ადმინისტრაციულ, ზოგადპოლიტიკურ მუშაობასთან შედარებით. ეს გამომდინარეობს მისი განსაკუთრებული სიძნელიდან და უფრო ღრმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიადაგიანობიდან.

ამიტომ ვეცადოთ უდიდესი, სამკეცი სიფრთხილით განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები ბრძოლის ამ ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე. მეტი თავდაჭერით განვსაზღვროთ ეს ამოცანები; მეტი დავთმოთ, რა თქმა უნდა, იმის ფარგლებში, რის დათმობაც შ ე უ ძ ლ ი ა პროლეტარიატს, ისე რომ იგი გაბატონებულ კლასად დარჩეს; რაც შეიძლება სწრაფი აკრეფა ზომიერი სასურსათო გადასახადისა და რაც შეიძლება მეტი თავისუფლება გლეხური მეურნეობის განვითარებას, განმტკიცებას, აღდგენას; მივცეთ მოიჯარადრეებს, მათ შორის კერძო კაპიტალისტებსა და საზღვარგარეთელ კონცესიონერებს, ის საწარმოები, რომლებიც აბსოლუტურ საჭიროებას არ წარმოადგენს ჩვენთვის. ჩვენთვის აუცილებელია პროლეტარულ სახელმწიფოს ბლოკი ანუ კავშირი ჰქონდეს სახელმწიფო კაპიტალიზმთან წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ. ეს კავშირი უნდა განვახორციელოთ მოხერხებულად, წესის მიხედვით: «შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი». უშუალოდ ჩვენთვის დავიტოვოთ რაც შეიძლება ნაკლები სფერო მუშაობისა, მარტო ის, რაც აბსოლუტურად აუცილებელია. თავი მოვუყაროთ მუშათა კლასის შესუსტებულ ძალებს უ ფ რ ო მ ც ი რ ე დ სამუშაოზე, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მტკიცედ მოვიკიდოთ ფეხი, პრაქტიკული გამოცდილებით შევამოწმოთ ჩვენი თავი არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მრავალჯერ. ნელ-ნელა, თითო გოჯობით — სხვანაირად წინსვლა ასეთ ძნელ გზაზე, ასეთ მძიმე ვითარებაში, ასეთი საშიშროების დროს ისეთ «ჯარს», როგორიც ჩვენი ჯარია, ამჟამად ა რ შ ე უ ძ ლ ი ა. ვისთვისაც ეს მუშაობა «მოსაწყენია», «საინტერესო არ არის», «გაუგებარია», ვინც ცხვირს მაღლა იწევს ან პანიკაში ვარდება, ანდა თავს იბრუებს დეკლამაციით «წინანდელი აღმავლობის»,

«წინანდელი ენთუზიაზმის» უქონლობის შესახებ და სხვ., — უმჯობესია ის «გავათავისუფლოთ მუშაობისაგან» და არქივს ჩავაბაროთ, რათა ვერ შესძლოს ვნების მოტანა, რადგან მას არ სურს ან არ შეუძლია ჩაუფიქრდეს ბრძოლის ამ საფეხურის, ამ ეტაპის თავისებურებას.

ქვეყნის უდიდესი გაჩანაგებისა და პროლეტარიატის ძალთა შესუსტების პირობებში ჩვენ თითქმის ზეადამიანური ძალ-ღონით ხელს ვკიდებთ ყველაზე ძნელ საქმეს: ნამდვილი სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის წესიერ საქონელცვლას (უფრო სწორად: პროდუქტცვლას). მტერი ჯერ კიდევ გაცილებით უფრო ძლიერია ჩვენზე; ანარქიული, მეტომრული, ინდივიდუალური საქონელცვლა ყოველ ნაბიჯზე ფუშავს ჩვენს მუშაობას. ჩვენ ნათლად ვხედავთ სიძნელეებს და სისტემატურად, შეუპოვრად დავძლევთ მათ. მეტი თაოსნობა და დამოუკიდებლობა ადგილებს, მეტი ძალები იქ, მეტი ყურადღება მათ პრაქტიკულ გამოცდილებას. მუშათა კლასს შეუძლია განიკურნოს თავისი იარები, აღიდგინოს თავისი პროლეტარული «კლასობრივი ძალა», გლეხობას შეუძლია განიმტკიცოს ნდობა პროლეტარული ხელმძღვანელობისადმი მ ხ ო ლ ო დ ი მ დ ე ნ ა დ, რამდენადაც ფაქტიურ წარმატებას მივაღწევთ მრეწველობის აღდგენაში და შევქმნით წესიერ სახელმწიფო პროდუქტცვლას, რომელიც ხელსაყრელი იქნება გლეხისთვისაც და მუშისთვისაც. ამ წარმატებათაკვალად ჩვენ ახალ ძალებსაც შევიმატებთ, შესაძლოა, ისე ჩქარა არა, როგორც ეს თვითეულ ჩვენგანს უნდა, მაგრამ ჩვენ მას შევიმატებთ.

შევუდგეთ მუშაობას, უფრო ნელსა და ფრთხილს, უფრო ურყევსა და შეუპოვარს!

1921 წ. 20 აგვისტო.

«პრავდა» № 190, 1921 წ. 28 აგვისტო
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ ჩასწორებულ ანაბეჭდებთან

წერილები ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი

1

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს

16/VIII.

ამხ. პოპოვ!

მიწერ-მოწერამ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, კერძოდ მის მიერ 3 აგვისტოს ჩემთვის მოწოდებულმა მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის მონაცემებმა სავსებით დამარწმუნეს, რომ ჩემი მითითებები (1921 წ. 4 ივნისის წერილში) სრულიად არ სრულდება და რომ ცენტრ. სტატ. სამმართველოს მთელი მუშაობა, მთელი ორგანიზაცია არ არის სწორად დაყენებული.

მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის შესახებ 3 აგვისტოს მომაწოდეს მოძველებული მონაცემები და მომაწოდეს multa non multum — მოცულობით ბევრი, შინაარსით მცირე! სწორედ მსგავსად «ბიუროკრატიული დაწესებულებებისა», რომელთაგან, როგორც თქვენი 1921 წ. 11 ივნისის წერილიდან ჩანს, გინდათ გამიჯნოთ ცენტრ. სტატ. სამმართველო.

«ეკონომიჩესკაია ჟიზნმა» თავის 152-ე ნომრის დამატებაში, ე. ი. ივლისში, უკვე დაბეჭდა უფრო სრული მონაცემები!

იმავე «ეკონომიჩესკაია ჟიზნიდან» მე უკვე მქონდა მონაცემები 1921 წლის 1-ლი მეოთხედისა!

ცენტრ. სტატ. სამმართველო, რომელიც, ლიტერატორთა კერძო ჯგუფთან შედარებით, აგვიანებს მონაცემების მოწოდებას, ნიმუშია ბიუროკრატიული დაწესებულებისა.

შესაძლოა, მეცნიერული მუშაობისათვის ორი წლის შემდეგ მან უამრავი მასალა მოგვცეს, მაგრამ ჩვენ ეს როდი გვინდა.

თითქმის 2½ თვე გავიდა ჩემი 1921 წ. 4 ივნისის წერილის შემდეგ — და ყველაფერი ძველებურად რჩება. ნაკლი იგივეა. თქვენ მიერ დაპირებული «კალენდარული პროგრამა» და სხვ. (11 ივნისის წერილში) არა ჩანს.

კვლავ მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ეს არ არის სწორი და რომ აუცილებელია დ ა ა ჩ ქ ა რ ო თ ცენტრ. სტატ. სამმართველოში საქმის დაყენების რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა.

კერძოდ:

1) ცენტრ. სტატ. სამმართველოს თავმჯდომარე თუ გამგე უ ფ რ ო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მუშაობდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის და პრეზიდიუმის უ შ უ ა ლ ო მ ი თ ი თ ე ბ ა თ ა და დავალებათა მიხედვით.

2) მიმდინარე სტატისტიკა (სამრეწველოც და სამიწათმოქმედოც) უნდა იძლეოდეს შენაჯამ, უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ მონაცემებს («სრული» მონაცემების აკადემიური დამუშავება კი უნდა გადაიდოს) ჩვენს პრესაში უსათუოდ უ ფ რ ო ა დ რ ე და არავითარ შემთხვევაში არა უფრო გვიან.

უნდა შეგვეძლოს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ მნიშვნელოვანისა და სასწრაფოს გამოყოფა, აკადემიურად საგულისხმო კი უნდა გადავდოთ შორეული დროისათვის.

3) საჭიროა სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად შეადგინოთ ერთგვარი **index-number** (რიცხვი-მაჩვენებელი) მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესაფასებლად და უსათუოდ შეიმუშაოთ იგი თვეში ერთხელ მაინც, აუცილებელი დაპირისპირებით ომამდელ ციფრებთან, შემდეგ 1920 წლის და, შეძლებისდაგვარად, 1917, 1918 და 1919 წლების ციფრებთან.

როცა ზუსტი ციფრების მიღება შეუძლებელია, აღნიშნული უნდა იქნეს დაახლოებითი, სავარაუდო, წინასწარი

ციფრები (საგანგებო შენიშვნით .ყოველი ასეთი ან მსგავსი კატეგორიის შესახებ).

პრაქტიკული მუშაობისათვის ჩვენ გვესაჭიროება ციფრები, და ცენტრ. სტატ. სამმართველოს ეს ციფრები ყველაზე ადრე უნდა ჰქონდეს. ხოლო ციფრების სიზუსტის შემოწმება, შეცდომის პროცენტის განსაზღვრა და სხვ. გადავდოთ გარკვეულ დრომდე.

თუ რომელი ციფრები უნდა ავიღოთ index-number-ისათვის, ეს უნდა განსაზღვროს ცენტრ. სტატ. სამმართველომ და სახელმწიფო საგეგმო კომისიამ. (დაახლოებით: მთავარი, ძირითადი ციფრები: მოსახლეობა, ტერიტორია, უმთავრესი პროდუქტების წარმოება, ტრანსპორტის მუშაობის მთავარი შედეგები და სხვ. — თუნდაც 10 — 15 ციფრი იმის შესაბამისად, როგორც დიდი ხანია ადგენს ამ «რიცხვ-მაჩვენებლებს» საზღვარგარეთული სტატისტიკა.)

4) იმ 8 კითხვის მიხედვით, რომლებიც აღნიშნული მაქვს 4 ივნისს «სანიმუშო ნუსხაში», უსათუოდ დაუყოვნებლივ, ოდნავ გაუჭიანურებლად (რადგან სრულიად შეუწყნარებელია $2^1/_2$ თვეში არაფერი გაკეთებულიყო) მოგვარდეს მონაცემების მიღება და შეჯამება ახლავე საერთოდაც და კერძოდაც.

— დაუყოვნებლივ მოსკოვის შესახებ (მოსკოვი სანიმუშო უნდა იყოს)

— შემდეგ პიტერის შესახებ

— და თვითეული გუბერნიის შესახებაც (იმ გუბერნიების გამოყოფით, სადაც იციან საქმის სწრაფად დაყენება, გაუჭიანურებლად, არა ძველი აკადემიური ჩვეულების მიხედვით).

ცენტრ. სტატ. სამმართველოს და საგუბერნიო სტატ. ბიუროს არსებული ძალების $^9/_{10}$ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ამ რვა საკითხის სწორად და სასწრაფოდ დასამუშავებლად, ხოლო $^1/_{10}$-ს დაევალოს აკადემიური მუშაობა სრული და ყოვლისშემცველი მონაცემების შესასწავლად. თუ სხვანაირად შეუძლებელია, მაშინ ძალების $^{99}/_{100}$-ს დაევალოს იმის დამუშავება, რაც პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ არის საჭირო

ჩვენი მშენებლობისათვის, დანარჩენი მასალის დამუშავება კი გადაიდოს უკეთესი დროისათვის, იმ დროისათვის, როცა ჭარბად გვეყოლება ძალები.

5) ცენტრ. სტატ. სამმართველომ «შრომისა და თავდაცვის საბჭოს»[4] ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს — და უსათუოდ პრესაზე ადრე — წ ი ნ ა ს წ ა რ ი შენაჯამნი სახალხო მეურნეობის **მთავარ** საკითხებზე (აუცილებლად წინა წელთან შედარებით). ეს მთავარი საკითხები, მთავარი ციფრები, როგორც ის ციფრები, რომლებიც შედის «რიცხვ-მაჩვენებელში», ისე ის ციფრებიც, რომლებიც არ შედის მასში, დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს.

გთხოვთ დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ ამ კითხვების პროგრამა და პასუხი სხვა პუნქტებზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

2

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს ან მის მოადგილეს

1921. 1. IX.

ჩემთვის თარიღის აღუნიშნავად გამოგზავნილი სამუშაოთა «პროგრამა» თავდება თხოვნით, რომ გაღებულ იქნეს დამატებითი მატერიალური სახსრები.

ამჟამად ეს შეუძლებელია.

ამიტომ საჭიროა მ თ ე ლ ი პროგრამა **შევამციროთ** ი ს ე, რომ აუცილებელ სამუშაოთა განგრძობა (ამასთან უფრო რეგულარულად განგრძობა და უფრო სწრაფად დამთავრება) შეიძლებოდეს არსებული, **ახლანდელი** სახსრებით.

წინადადებას ვიძლევი დაუყოვნებლივ მოახდინოთ ეს შემცირება; დამატებითი სახსრების გაღების საკითხი კი გადავდოთ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ნ ო ე მ ბ რ ა მ დ ე.

წინადადებას ვიძლევი პროგრამა ისე შეამციროთ, რომ დარჩეს (სახსრების გადიდებამდე) მხოლოდ ს რ უ ლ ი ა დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი სამუშაოები. ამ სამუშაოებს უნდა მიეკუთვნოს:

1. სახელმწიფოს მიერ სურსათის განაწილების ყოველთვიური შეჯამება.

ცნობების მიღების ფორმა უნდა დაწესდეს სურსათის სახალხო კომისარიატთან ერთად დაახლოებით ამგვარად:

ა) პურის მიმღებთა რაოდენობა (დასაწყისისთვის, თითქოს, უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო და უნდა დავჯერდეთ ცნობებს პურის შესახებ, თუ ძალები არ გვყოფნის იმისათვის,

რომ მივუმატოთ ცნობები ყველა სხვა, როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო გასაცემი პროდუქტის შესახებ)

1/4 გირვანქისა
1/2 »
3/4 »
1 » და ა. შ.

ბ) მათი თანრიგები პროფესიების, მოსაქმეობის და სხვ. მ/ხედვით.

გ) ჯამი: სულ მიმღებნი და სულ გაცემულია პური.

მოსკოვისა და პიტერის შესახებ მონაცემები ყველაზე უფრო სასწრაფოა; შემდეგ მიდის მოსკოვისა და პეტროგრადის გუბერნიები, უმნიშვნელოვანესი სამრეწველო გუბერნიები (ივანოვო-ვოზნესენსკი, დონბასი, ბაქო, ურალი და სხვ.) და, ბოლოს, დანარჩენი გუბერნიები.

2. ყოველთვიური შენაჯამი იმ საწარმოების შესახებ, რომლებიც კოლექტიურ მომარაგებაზე გადაჰყავთ.

ჯერჯერობით მათი რიცხვი მცირეა, მეთვალყურეობა გაეწიოს ყველას (როგორც ეს ნათქვამია თქვენს ბარათში, გვ. 2, § 1). შემდეგ, როცა ასეთი საწარმოები ძალიან ბევრი გახდება, დაწვრილებით გამოკვლეულ იქნეს 1/5 ან 1/10, გამორჩევით.

მოკლედ — კოლექტიურ მომარაგებაზე მყოფი ყველა საწარმო.

ამ საწარმოთა ანგარიშგება ძალიან ფართოდ აგიღიათ (გვ. 2, ბოლოში, § 2). შეიძლება და აღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლედ, მხოლოდ უმნიშვნელოვანესი.

3. მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკა ყოველთვიური შეჯამებისთვის შემცირდეს, პირველ ადგილას დაისვას, როგორც უსათუოდ აუცილებელი, დამზადებული პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრა [illegible] ყველაზე მნიშვნელოვანისა.

ასეთი ცნობები უსათუოდ აუცილებელია ყოველ [illegible]

დანარჩენი ცნობები უსათუოდ აუცილებელი არ არის და მათი დამუშავება ხდება არცთუ იმდენად სასწრაფოდ, ცენტრ. სტატ. სამმართველოს ძალებისა და სახსრების მიხედვით.

4. სათბობის წარმოება, განაწილება, მოხმარება.

აბსოლუტურად აუცილებელია ყოველთვიური შეჯამებანი.

პროგრამა შემუშავდეს სათბობის მთავარ სამმართველოსთან ერთად, ამასთან რაც შეიძლება ნაკლებად შეიცვალოს ამჟამად მოქმედი ფორმები.

5. ყოველთვიური შენაჯამი საქონელცვლისა (სურსათკომი და «ცენტროსოიუზი») ფრიად მოკლე სახით: ამდენი და ამდენი პურისთვის გაცემულია ამდენი და ამდენი პროდუქტები მაზრების მიხედვით.

6. საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის აღრიცხვა, რა თქმა უნდა, ძნელია, როგორც ამას თქვენც აღნიშნავთ დამატებაში № 1, § IV. მაგრამ სიძნელე შეუძლებლობას როდი ნიშნავს. თუ ყოველთვიურად არა, 2 — 3 თვეში ერთხელ მაინც აბსოლუტურად აუცილებელია შეჯამება თავდაპირველად თუნდაც «არსებული შტატებისა» ომამდელთან შედარებით ან სხვა უწყებათა, სხვა გუბერნიების და სხვ. შტატებთან შედარებით, ყველა მოსამსახურის რაციონალურად დაყოფით კატეგორიებად (პასუხისმგებელი ხელმძღვანელები; წმინდა კანცელარიული პერსონალი; დაბალი მოსამსახურენი — ზოგიერთი კატეგორიის ს ა ნ ი მ უ შ ო ნუსხა).

უდიდესი და უმცირესი შტატების შედარება გუბერნიების მიხედვით და სხვ.. პირველ რიგში მოსკოვისა და პიტერის.

საბჭოების უკანასკნელი ყრილობის დადგენილებები უსათუოდ ავალდებულებს ცენტრ. სტატ. სამმართველოს ხ ე ლ ი მ ო ჰ კ ი დ ო ს ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის, მოსამსახურეთა რაოდენობის და სხვ. სტატისტიკურად შესწავლას [5].

7. გამორჩევა, შესასწავლად, მ ც ი რ ე რაოდენობის ტიპიური საწარმოებისა (ფაბრიკებისა, საბჭოთა მეურნეობებისა)

და დაწესებულებებისა (α) საუკეთესოთა — სანიმუშოთა; (β) საშუალოთა და (γ) უცუდესთა.

ყველა დანარჩენი, გარდა ამ 7 პარაგრაფისა, შემცირდეს.

გთხოვთ მაცნობოთ თქვენი დასკვნა არსებითადაც და მუშაობის პროგრამის შემუშავების ვადის შესახებაც.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას

1/IX.

«ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გადაქცევა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოდ უბრალო და ფუჭ ფორმალობად არ უნდა დარჩეს.

ეს გაზეთი უნდა გახდეს მებრძოლი ორგანო, რომელიც, ჯერ-ერთი, უნდა იძლეოდეს არა მარტო რეგულარულ და უტყუარ მონაცემებს ჩვენი ეკონომიკის შესახებ, არამედ (მეორე) ანალიზსაც უნდა უკეთებდეს ამ მონაცემებს, მეცნიერულად უნდა ამუშავებდეს მათ სწორი დასკვნების მისაღებად მრეწველობის მართვისა და სხვ. მიზნით, და დასასრულ, მესამე, ახალისებდეს ეკონომიური ფრონტის ყველა მუშაკს, რომლებიც ცდილობენ პუნქტუალურად შეადგინონ ანგარიშები, — იწონებდეს კარგ მუშაობას და საერთო სამსჯავროზე გამოჰყავდეს ამა თუ იმ საწარმოს, ან დაწესებულების, ან მეურნეობის დარგის და სხვ. არაწესიერი, ჩამორჩენილი, უხეირო მუშაკები.

გაზეთი იძლევა მრავალ უაღრესად საგულისხმო, კერძოდ სტატისტიკურ მასალას ჩვენი ეკონომიკის შესახებ. მაგრამ ამ მასალას აქვს ორი ნაკლი: იგი შემთხვევითია, არ არის სრული, არ არის სისტემატური და შემდეგ დაუმუშავებელია, არ არის ანალიზებული.

განმარტებისათვის ავიღებ მაგალითებს.

სტატია «მოსკოვის მიდამოების აუზი ივლისში» (№ 188) — ერთ-ერთი საუკეთესო სტატიაა, რადგან იძლევა მონაცემე-

ბის ანალიზს, ადარებს მათ წარსულ მონაცემებთანაც და საწარმოების მიხედვითაც. მაგრამ ანალიზი არ არის სრული. გამორკვეული არ არის იმის მიზეზები, როგორ მოხდა, რომ ერთმა საწარმომ (ტოვარკოვის მაღაროები) გადაწყვიტა ამოცანა, **რომელიც** სხვა საწარმოებმა ვერ გადაწყვიტეს. არ არის მოცემული პრაქტიკული დასკვნა. არ არის შედარება წლიურ მონაცემებთან.

190-ე ნომერში, მე-2 გვერდზე, უამრავი სტატისტიკური დეტალია მოცემული, რაც გაზეთისთვის ფრიად ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ სრულიად «დაუმუშავებელია», შემთხვევითია, ნედლია, ოდნავი ანალიზიც არა აქვს გაკეთებული, არ არის შედარება (წარსულთან და სხვა საწარმოებთან) და სხვ.

გაზეთი რომ ნამდვილად გახდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანო და არა მხოლოდ სიტყვიერად, აუცილებელია შემდეგი ცვლილებები:

1) უფრო მკაცრი მეთვალყურეობა გავუწიოთ იმას, **რომ** სათანადო დაწესებულებებში ანგარიშები მიდიოდეს წესიერად და სრულად, შავ დაფაზე მოვათავსოთ ამ წესის დამრღვევნი, ამავე დროს **მივიღოთ ზომები** (სათანადო სახკომის ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით) წესიერი ანგარიშგების შემოსაღებად.

2) გაცილებით უფრო მკაცრად, ე. ი. უფრო მზრუნველობით, გულმოდგინედ უნდა მოვახდინოთ გაზეთში მოსათავსებელი ყველა სტატისტიკური მონაცემის სისტემატიზაცია, ყოველთვის უნდა მოვათავსოთ მონაცემები შესადარებლად, ყოველთვის უნდა მოვიყვანოთ გასული წლების (თვეებისა და სხვ.) მონაცემები, ყოველთვის უნდა შევარჩიოთ მასალა ანალიზისთვის, წარუმატებლობის **მიზეზთა** განსამარტებლად, ამა თუ იმ კარგად მომუშავეთა ან თუნდაც დანარჩენი საწარმოების გამსწრეთა **გამოსაყოფად** და სხვ.

3) გავიჩინოთ ადგილებზე კორესპონდენტთა ქსელი, **როგორც** **კომუნისტებისა**, ი ს ე უ პ ა რ ტ ი ო ე ბ ი ს ა, **და** მეტი ადგილი დავუთმოთ კორესპონდენციებს ადგილებიდან,

ქარხნებიდან, მაღაროებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, რკინიგზის დეპოებიდან, სახელოსნოებიდან და სხვ.

4) საგანგებო დამატებებში დაიბეჭდოს შენაჯამნი ჩვენი ეკონომიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე. შენაჯამნი უსათუოდ დამუშავებული უნდა იყოს და შეიცავდეს ყოველმხრივ ანალიზსა და პრაქტიკულ დასკვნებს.

რადგან ქაღალდის ნაკლებობაა, საჭიროა მისი მომჭირნეობა. ალბათ, ეს შესაძლებელია. მაგალითად, ეგზემპლართა რაოდენობა შემცირდეს 44-დან 30 ათასამდე (სრულიად საკმარისია, თუ სწორად იქნება განაწილებული, მაგალითად, ორ-ორი ეგზემპლარი 10 000 ვოლოსტზე, ოთხ-ოთხი 1 000 მაზრაზე, ათ-ათი 100 გუბერნიაზე და ამას გარდა 5 000 — მხოლოდ ბიბლიოთეკებისთვის, რედაქციებისა და ზოგიერთი დაწესებულებისთვის). მაშინ საკმაო ქაღალდი გვექნება 8 დამატებისთვის (2-გვერდიანი) თვეში.

ეს საკმარისია ყოველთვიური შენაჯამებისთვის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (სათბობი; მრეწველობა, 2 — 3 დამატება; ტრანსპორტი; სურსათი; საბჭოთა მეურნეობები და სხვ.).

ამ დამატებებში უნდა დაიბეჭდოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მხარეების ნაკრები სტატისტიკა, დამუშავებული, ანალიზებული, პრაქტიკული დასკვნებით.

ყოველდღიური გაზეთის მთელი სტატისტიკური მასალა, რომელიც მეტად ბევრია, მაგრამ რომელიც მეტისმეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტია, უნდა შეუფარდდეს ამ თვიურ შენაჯამებს, გაიწმინდოს დეტალებისა და წვრილმანებისაგან და სხვ.

რადგან ბევრ საკითხში «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემთა წყაროები ერთნაირია, ამ დამატებებმა უნდა შესცვალონ (დროებით) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემანი.

5) მთელი მიმდინარე სტატისტიკური მასალა უნდა განაწილდეს: (ა) «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» თანა-

მშრომლებსა, (ბ) სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებსა და (გ) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წევრებს ან მუშაკებს შორის ისე, რომ თვითეული მათგანი «განაგებდეს» სახალხო მეურნეობის ერთ დარგს და **პასუხისმგებელი** უნდა იყოს

(aa) ანგარიშებისა და საანგარიშო ცნობების დროულად მიღებისათვის; მათ მისაღებად წარმატებით «ბრძოლისათვის»; დამატებით მათი გამოთხოვისათვის და სხვ.;

(bb) მონაცემების შეჯამებისა და ანალიზისათვის;

(cc) პრაქტიკული დასკვნებისათვის.

6) «ეკონომიჩესკაია ჟიზნმა» თვალყური უნდა ადევნოს კონცესიითა დაიჯარით გაცემულ საწარმოებს ანგარიშგების მხრივაც და მეთვალყურეობისა და დასკვნების მხრივაც, სავსებით ისევე, როგორც სხვების მიმართ.

გთხოვთ მოიწვიოთ თათბირი «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორის, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენლისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის შემადგენლობით ამ საკითხებისა და ღონისძიებების განსახილველად. თათბირის გადაწყვეტილებები გთხოვთ მაცნობოთ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარე ლენინი

P. S.* გთხოვთ ამავე თათბირმა განიხილოს index-number-ის (რიცხვ-მაჩვენებლის) შემუშავების საკითხი ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს «მაჩვენებელი» ყოველთვიურად უნდა იბეჭდებოდეს.

პირველად დაიბეჭდა
1923 წ. 6 ნოემბერს გაზეთში
«ეკონომიჩესკაია ჟიზნ» № 31

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რედ.

პარტიის წმენდის შესახებ

პარტიის წმენდა, როგორც ჩანს, გაიშალა სერიოზული და გიგანტური მნიშვნელობის სამუშაოდ.

არის ადგილები, სადაც პარტიას წმენდენ, უმთავრესად ეყრდნობიან რა უპარტიო მუშების გამოცდილებას, მითითებებს, სადაც ხელმძღვანელობენ მათი მითითებებით, ანგარიშს უწევენ უპარტიო პროლეტარული მასის წარმომადგენლებს. აი ეს არის ყველაზე საგულისხმო, ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ რომ მართლაც შევძლოთ პარტიის გაწმენდა ამგვარად თავიდან ბოლომდე, «მიუხედავად პიროვნებისა», რევოლუციის მონაპოვარი მართლაც დიდი იქნებოდა.

ვინაიდან რევოლუციის მონაპოვარნი ახლა არ შეიძლება იგივე იყოს, რაც წინათ იყო. ისინი აუცილებლად იცვლიან თავიანთ ხასიათს სამხედრო ფრონტიდან სამეურნეო ფრონტზე გადასვლის მიხედვით, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მიხედვით, იმ პირობების მიხედვით, რომლებიც მოითხოვენ უპირველეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ასეთ დროს რევოლუციის მთავარი მონაპოვარი ხდება გაუმჯობესება შინაგანი, არა მკაფიო, არა თვალსაჩინო, არა ერთბაშად დასანახი, გაუმჯობესება შრომისა, მისი დაყენებისა, მისი შედეგებისა; გაუმჯობესება იმ აზრით, რომ ვებრძვით წვრილბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-ანარქიული სტიქიის გავლენას, რომელიც ხრწნის პროლეტარიატსაც და პარტიასაც. ასეთი გაუმჯობესების განსახორციელებლად საჭიროა პარტიის გაწმენდა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც

შორდებიან მასას (რასაკვირველია, რომ არაფერი ვთქვათ იმ ელემენტებზე, რომლებიც არცხვენენ პარტიას მასის თვალში). რა თქმა უნდა, მასის ყველა მითითებას ჩვენ არ დავემორჩილებით, რადგან ხანდახან — განსაკუთრებით არაჩვეულებრივი დაღლილობის, უზომო სიძნელეებითა და ტანჯვით გამოწვეული დაქანცულობის წლებში — მასაც ემორჩილება სრულიადაც არა მოწინავე განწყობილებას. მაგრამ ადამიანთა შეფასებაში, უარყოფით დამოკიდებულებაში «მიტმასნილთადმი», «ჩაკომისრებულთადმი», «გაბიუროკრატებულთადმი», უპარტიო პროლეტარული მასის მითითებანი, ხოლო მრავალ შემთხვევაში უპარტიო გლეხური მასის მითითებანიც, მეტისმეტად საგულისხმოა. მშრომელი მასა უდიდესი სიმახვილით ამჩნევს განსხვავებას პატიოსან და ერთგულ კომუნისტებსა და ისეთებს შორის, რომლებიც ზიზღს იწვევენ იმ ადამიანში, რომელიც ოფლით მოიპოვებს ლუკმაპურს, ადამიანში, რომელსაც არა აქვს არავითარი პრივილეგია, არავითარი «გზა უფროსებისკენ».

პარტიის წმენდა უპარტიო მშრომელთა მითითებებისათვის ანგარიშის გაწევით, — უდიდესი საქმეა. იგი სერიოზულ შედეგებს მოგვცემს. იგი პარტიას გახდის კლასის გაცილებით უფრო ძლიერ ავანგარდად, ვიდრე წინათ იყო, გახდის მას ავანგარდად, რომელიც უფრო მაგრად იქნება დაკავშირებული კლასთან, უფრო მეტად შესძლებს გაუძღვეს მას გამარჯვებისაკენ უამრავი სიძნელისა და საშიშროების დროს.

როგორც პარტიის წმენდის კერძო ამოცანას, მე აღვნიშნავ კიდევ მის გაწმენდას ყოფილი მენშევიკებისაგან. ჩემი აზრით, იმ მენშევიკებიდან, რომლებიც პარტიაში შემოვიდნენ 1918 წლის დამდეგის შემდეგ, პარტიაში უნდა დავტოვოთ დაახლოებით არა უმეტეს ერთი მეასედისა, და ისიც თვითეული დასატოვებელი უნდა შემოწმდეს სამჯერ და ოთხჯერ. რატომ? იმიტომ რომ მენშევიკებმა, როგორც მიმდინარეობამ, 1918 — 1921 წლების პერიოდში დაამტკიცეს თავიანთი ორი თვისება: პირველი — ოსტატურად შეეგუონ, «მეეტმასნონ» მუშებს შორის გაბატონებულ მიმდინარეობას;

მეორე — კიდევ უფრო ოსტატურად, ერთგულად ემსახურონ თეთრგვარდიელობას, ემსახურონ საქმით, თუმცა სიტყვით ემიჯნებიან მას. ორივე ეს თვისება გამომდინარეობს მენშევიზმის მთელი ისტორიიდან: საკმარისია გავიხსენოთ აქსელროდის «მუშათა ყრილობა», მენშევიკების დამოკიდებულება კადეტებისადმი (და მონარქიისადმი) სიტყვით და საქმით და სხვ. და სხვ.. მენშევიკები რკ პარტიას «ეტმასნებიან» არა მარტო და, ასე გასინჯეთ, არა იმდენად მაკიაველიზმობის გამო (თუმცა ბურჟუაზიული დიპლომატიის ფანდების მხრივ მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1903 წლიდან დაამტკიცეს, რომ ისინი პირველხარისხოვანი ოსტატები არიან ამ სფეროში), რამდენადაც თავიანთი «შემგუებლობის» გამო. ყოველ ოპორტუნისტს ახასიათებს შემგუებლობა (მაგრამ ყოველი შემგუებლობა ოპორტუნიზმი როდია), და მენშევიკებიც, როგორც ოპორტუნისტები, ეგუებიან, ასე ვთქვათ, «პრინციპის გამო» მუშათა შორის გაბატონებულ მიმდინარეობას, იღებენ მფარავ ფერს, როგორც კურდღელი ხდება ხოლმე ზამთარში თეთრი. მენშევიკების ეს თავისებურება უნდა ვიცოდეთ და უნდა გავითვალისწინოთ ეს. ხოლო ამის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ პარტია უნდა გავწმინდოთ იმ მენშევიკთა მთელი რიცხვის დაახლოებით ოთხმოცდაცხრამეტი მეასედით, რომლებიც რკ პარტიას მიემხრნენ 1918 წლის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ბოლშევიკების გამარჯვება ჯერ მოსალოდნელი გახდა, ხოლო შემდეგ უეჭველი.

პარტია უნდა გაიწმინდოს გაიძვერებისაგან, გაბიუროკრატებულთაგან, უპატიოსნო, მერყევი კომუნისტებისა და იმ მენშევიკებისაგან, რომლებმაც გარეგნულად ფერი შეიცვალეს, გულში კი მენშევიკებად დარჩნენ.

1921 წ. 20 სექტემბერი.

«პრავდა» № 210,
1921 წ. 21 სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგების და შესრულების საკითხისათვის [7]

მუშურ-გლეხური ინსპექციის ამოცანას შეადგენს არა მარტო და არა იმდენად «დაჭერა», «მხილება» (ეს სასამართლოს საქმეა, რომელთანაც მუშგლეხინი ახლო დგას, მაგრამ სრულიად არ არის იგივე, რაც სასამართლო), — რამდენადაც გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ი ს უ ნ ა რ ი.

უნარიანი გამოსწორება დროულად — აი მუშგლეხინის მთავარი ამოცანა.

გამოსწორება რომ შესძლო, საჭიროა, ჯერ-ერთი, ი ს წ ა ვ ლ ო და შეისწავლო საქმის გაძღოლა ამა თუ იმ დაწესებულებაში, საწარმოში, განყოფილებაში და სხვ.; მეორე, დროულად გ ა ა ტ ა რ ო აუცილებელი პრაქტიკული ცვლილებები, განახორციელო ისინი საქმით.

სხვადასხვა და სხვადასხვაგვარ საწარმოს, დაწესებულების, უწყების და სხვ. საქმის გაძღოლა ძირითადად ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს. მუშგლეხინის ამოცანას შეადგენს საქმიანი ინსპექციის გამოცდილებით დაახელოვნოს ხელმძღვანელ, გამოცდილ, მცოდნე პირთა ჯგუფი, რომელთაც შეეძლებათ საკითხთა ფორმულირება (საკითხების უნარიანი, სწორი ღ ა ყ ე ნ ე ბ ი ს დროს საკითხთა მხოლოდ დაყენება უკვე წინასწარ წყვეტს რევიზიის წარმატებას და გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა), — რევიზიისა და ინსპექციის წარმართვა, — გამოსწორების შემოწმება და სხვ.

მაგალითად, ანგარიშგების დაყენება ძირითადი საქმეა ყველა, უაღრესად სხვადასხვაგვარ უწყებასა და დაწესებულებაში. მუშგლეხინმა უნდა იცოდეს ეს, უნდა შეისწავლოს, — მას უნდა შეეძლოს უმოკლეს ვადაში შეამოწმოს (ნახევარი საათით, ერთი საათით კაცის გაგზავნით სათანადო კანცელარიაში), დაყენებულია თუ არა ანგარიშგება, სწორად არის თუ არა დაყენებული, რა ნაკლი აქვს მას, როგორ გამოვასწოროთ ეს ნაკლი და სხვ.

მუშგლეხინმა უნდა შეისწავლოს, შეათანხმოს, შეაჯამოს ანგარიშგების დაყენების ხერხები, ნაკლოვანებათათვის სასჯელის ხერხები, მოტყუებისათვის «დაჭერის» ხერხები, საქმით შესრულების შემოწმების ხერხები. მუშგლეხინში უნდა იყოს იმ დაწესებულებათა, უწყებათა, გუბერნიათა ს ი ა, რომლებსაც ანგარიშგება გვარიანად აქვთ დ ა ყ ე ნ ებ ულ ი: თუნდაც ასეთები 1 იყოს 100-ზე, 1 იყოს 1 000-ზე, არა უშავს, ოღონდ ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ, განუხრელად წარმოებდეს შეუპოვარი და დაუღალავი ომი კარგი ნიმუშის გამოყენების სფეროს გაფართოებისათვის. მუშგლეხინში უნდა იყოს კალენდარული ცხრილი, სადაც ნაჩვენები იქნება ამ ომის მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა, ჩვენი წარმატებები და დამარცხებები ამ ომში.

სათბობის ორგანოების მუშაობის და 1921 წლის შემოდგომის კრიზისის (სათბობისა) ზრდის შესახებ მოხსენების წინასწარი მონასახის გაცნობა მარწმუნებს, რომ მუშგლეხინში საქმის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ვერ არის დაყენებული როგორც საჭიროა. მოხსენების ამ მონასახში არა ჩანს ა რ ც საქმის შ ე ს წ ა ვ ლ ა, ა რ ც გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ი ს ა დ მ ი მ ი დ გ ო მ ა.

ერთმანეთთანაა შედარებული, მაგალითად, სამკვირეული (1921 წლისა) და 1920 წლისა. აღებულია ცარიელი შეჯამებანი. შედარება სწორი არ არის, რადგან მხედველობაში მიღებული არ არის არც (1) სურსათით მომარაგების განსხვავება (1921 წლის გაზაფხულიც და 1921 წლის მთელი პირველი

ნახევარიც განსაკუთრებულ პირობებში იყო ჩაყენებული სასურსათო გადასახადზე გადასვლის გამო), არც (2) 1921 წლის მოუსავლობა.

დანიშევსკი აღნიშნავს: იმ გუბერნიებმა, რომლებსაც მოუსავლობა არ შეხებია, 1921 წელს სამკვირეულის პროგრამა შეასრულეს 100 პროცენტის გადაჭარბებით; მოუსავლიანმა გუბერნიებმა მოგვცეს დავალებათა შესრულების უდიდესი დეფიციტი.

მოხსენებაში საქმის არავითარი შესწავლა არა ჩანს.

როგორც ეტყობა, მთავარი სატყეო კომიტეტის ანგარიშგების ნაკლოვანებები მუშგლეხინის წინასწარ მოხსენებაში სწორად არის აღნიშნული. ამას თვით დანიშევსკიც აღიარებს. ეს დამტკიცებულია. ანგარიშგება ცუდად არის დაყენებული.

მაგრამ სწორედ ამ, ძირითად, საკითხში მუშგლეხინი წინასწარ მოხსენებაში სრულიადაც არ უნდა დასჯერებოდა «თეზისს»: «ანგარიშგება ცუდად არის დაყენებული, ანგარიშგება არ არის დაყენებული». მერე რა გააკეთეს მუშგლეხინელმა ამხანაგებმა ანგარიშგების დაყენების გამოსასწორებლად? მუშგლეხინის ბევრი თვალსაჩინო მუშაკი 1921 წლის ზამთარში და გაზაფხულზე პირადად იღებდა მონაწილეობას უამრავ თათბირსა და კომისიაში სათბობის კრიზისის საკითხზე. სწორედ 1921 წლის გაზაფხულზე (მგონი, 1921 წლის მარტში) ცვლიან მთავარი სატყეო კომიტეტის ხელმძღვანელობას. მაშასადამე, 1921 წლის მარტში მთავარ სატყეო კომიტეტში ახლებურად უნდა დაეყენებინათ ანგარიშგება.

დანიშევსკიმ ეს გააკეთა. მაგრამ არადამაკმაყოფილებლად გააკეთა. ანგარიშგება მას ცუდად აქვს დაყენებული. დანიშევსკი უეჭველად დამნაშავეა ამაში.

მაგრამ დამნაშავის პოვნა უფროსის სახით — მუშაობის ფრიად მცირე ნაწილია.

შეასრულა თუ არა თავისი ამოცანა და თავისი მოვალეობა მუშგლეხინმა? სწორად გაიგო თუ არა მან

თავისი ამოცანა? აი მთავარი საკითხი. და ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

რაკი მუშგლეხინმა იცოდა სათბობის კრიზისული მდგომარეობა, იცოდა, რომ მთავარი საქმეა — შეშა, იცოდა, რომ ძველი მთავარი სატყეო კომიტეტის უფროსის (ლომოვის) დროს ანგარიშგება ცუდად იყო დაყენებული, მას

1921 წლის მარტში ფორმალური წერილობითი რჩევა უნდა მიეცა: ასე და ასე დააყენეთ ანგარიშგებაო.

1921 წლის აპრილში უნდა შეემოწმებინა, როგორ დააყენა ანგარიშგება ახალმა ხელმძღვანელობამ (დანიშევსკიმ) და კვლავ მიეცა ფორმალური წერილობითი რჩევა: გამოასწორეთ ასე და ასე, თორემ საქმე არ წავა კარგადო.

1921 წლის მაისში კვლავ უნდა შეემოწმებინა

და ასე შემდეგ ყოველთვიურად, ვიდრე ანგარიშგება გვარიანად არ იქნება დაყენებული.

სწორედ 1921 წლის გაზაფხულზე უნდა დაენიშნა მუშგლეხინს ესა და ეს რევიზორი (ყველას აჯობებდა ერთი პირი და არა «განყოფილება», თუმცა პრაქტიკულად, ალბათ, მუშგლეხინში არსებობს მთელი «განყოფილება», რომელიც განაგებს ტყის ან საერთოდ სათბობის საქმის რევიზიას ანუ ინსპექციას) — თვალყური უნდა ედევნებინა მთავარი სატყეო კომიტეტის ანგარიშგებისთვის, შეესწავლა იგი, ყოველთვიურად მოეხსენებინა კოლეგიის ამა და ამ წევრისთვის ან წარედგინა შენაჯამები (ამდენ და ამდენ გუბერნიაში ანგარიშგება გვარიანადაა დაყენებულიო; მათი სია; ამდენ და ამდენ გუბერნიაში არავითარი ანგარიშგება არ არისო და სხვ.

ღონისძიებები? რკპ ცენტრალურ კომიტეტში? სრ. რუს. ცაკ-ში? ღონისძიებათა შედეგები?).

დანიშევსკის ბრალია ანგარიშგების ცუდი დაყენება.

მუშგლეხინს, ე. ი. ახლანდელ, პასუხისმგებელ, გვარით ჩემთვის უცნობ რევიზორს ან ინსპექტორს და სხვ., მიუძღვის ბრალი იმაში, რომ არ ასრულებს თავის მოვალეობას, დაწყებული 1921 წლის მარტიდან.

პრაქტიკული, საქმიანი, არაბიუროკრატიული საკითხია: როგორ გამოვასწოროთ მთავარი სატყეო კომიტეტის ანგარიშგება?

რადგან ამ (უმნიშვნელოვანეს) კითხვაზე პასუხი ვერ ვიპოვე მუშგლეხინის იმ წინასწარ მოხსენებაში, რომელსაც უნდა მოეცა ეს პასუხი, მე თვითონ ვეძებ პასუხს, მაგრამ შეიძლება ადვილად შევცდე, რადგან საქმე არ შემისწავლია. ჩემი წინადადებაა, რომელსაც სიხარულით შევცვლიდი, თუ უკეთესს მომაწოდებენ:

1) შემოღებულ იქნეს ანგარიშგების წარმოდგენა (2 კვირაში ერთხელ) არა ფოსტით, როგორც ამჟამადაა, არამედ დეპეშით;

2) საამისოდ შემუშავდეს ერთგვარი «კოდი»: 7—9 ციფრი ასოებით, რათა რამდენიმე სტრიქონით გადმოცემულ იქნეს ჯამი (დამზადებულია კუბიკური საჟენი; გამოზიდულია; მიღებული და გაცემულია პური, ალაფი და სხვ.);

3) გატარდეს ან კანონმდებლობის წესით დანიშევსკისთვის უფლების მინიჭება — დაეპატიმროს ანგარიშის ვადაზე წარმოუდგენლობისთვის,

ან (თუ ეს შეუძლებელია, თუ ეს რაიმე მიზეზის გამო არ ტარდება) თხოვნით მიმართვა სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმისთვის — დაეპატიმრონ ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო; სათანადო დირექტივის გატარება რკპ ც. კ-ის მეშვეობით; შესრულების შემოწმება;

4) ადგილზე პირადად, უშუალოდ შემოწმების წესები სრულდება თუ არა? როგორ? რა სიძნელეებია?

დანიშევსკი ამბობს, რომ მთელ რუსეთში შემოიღო მ ი მ ო მ ს ვ ლ ე ლ ი კონტროლიორების თანამდებობა, რომ-ლებმაც უკვე შემოიარეს ყ ვ ე ლ ა გუბერნია, ქვედა ორგა-ნოებს დაუკავშირდნენ, წინ სწევენ საქმეს და ბევრ გუბერ-ნიაში კიდევაც წასწიეს წინ.

მართალია თუ არა ეს? შეცდომაში ხომ არ შეჰყავთ დანი-შევსკი თავის მოხელეებს?

ძალიან შესაძლებელია, რომ შეჰყავთ.

მერე მუშგლეხინი? მან ეს უნდა შეისწავლოს, უნდა იცო-დეს. ამაზე წინასწარ მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. როდის შემოიღეს მიმომსვლელი კონტროლიორების თანამდებობა? რამდენი არიან ისინი? მათი დონე? მათი მუშაობის შედეგი? როგორ გამოვასწოროთ საქმე, თუ იგი არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული? ეს არის დედაარ-სი, მუშგლეხინის რევიზორმა კი სწორედ ამ დედაარსს აუარა გვერდი.

ვიმეორებ, ანგარიშგების დაყენების საკითხი ძირითადი საკითხია. იგი არ შეუსწავლია მუშგლეხინს. მუშგლეხინს არ შეუსრულებია — და, როგორც ჩანს, ვ ე რ ც კ ი გ ა უ-გ ი ა — ამოცანა: თვალყური ადევნოს ანგარიშგების დაყენე-ბას, ეცადოს და მიაღწიოს კიდევაც მის გაუმჯობესებას.

> მუშგლეხინმა სრ. რუს. ცაკ-ის, რკპ ც. კ-ის მეშვეობით, ყოველგვარი გზით უნდა «მი-იყვანოს» საქმე უმაღლეს, როგორც პარ-ტიულ, ისე საბჭოთა, ინსტანციებამდე, მიაღწიოს ანგარიშგების დაყენების გამო-სწორებას.

მე დაწვრილებით შევჩერდი უმნიშვნელოვანეს (და უმარ-ტივეს) საკითხზე: ანგარიშგების დაყენებაზე, მაგრამ შემდეგ ამას მოჰყვება აგრეთვე მნიშვნელოვანი და უფრო ძნელი საკითხები, მაგალითად, საჯარო სამუშაოთა დაყენება (შეს-რულების შემოწმება; აღრიცხვა და სხვ.) და ა. შ.

წინასწარ მოხსენებაში ა ღ ძ რ უ ლ ი ა ერთი განსაკუთ-რებით საინტერესო საკითხი, მაგრამ ისიც მხოლოდ აღძრუ-

ლია, საქმიანად კი დაძრული არ არის. სახელდობრ: წინასწარი მოხსენების ავტორი წერს: «პასუხისმგებელი ხელმძღვანელები ისე არიან დატვირთული სამუშაოთი, რომ ქანცი უწყდებათ, მაშინ როდესაც დაქვემდებარებული ორგანოების ტექნიკური აპარატი (დასახელებულია სათბობის მთავარი კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ქვანახშირის მთავარი კომიტეტი, მთავარი სატყეო კომიტეტი და სხვ.) ს ა ვ ს ე ა უ ს ა ქ მ ო თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი თ».

დარწმუნებული ვარ, რომ ეს საგულისხმო და აბსოლუტურად სწორი დაკვირვებაა და რომ ეს ეხება არა მარტო სათბობის მთავარ კომიტეტს, არამედ ყ ვ ე ლ ა დაწესებულებასა და უწყებას ან მათ 99 პროცენტს.

ეს ბოროტება ყველგანაა.

მუშგლეხინს მარტში, როდესაც ორგანიზაცია (ახალი) იქმნებოდა, ან, არა უგვიანეს აპრილისა, როცა ის შეიქმნა, ფორმალურად, წერილობით უნდა მიეცა წინადადება:

გამოასწორეთ ასე და ასეო.

ეს არ არის გაკეთებული.

როგორ შეიძლება ამ ბოროტების გამოსწორება?

მე დაახლოებითაც კი არ ვიცი ეს. მუშგლეხინმა უნდა იცოდეს, რადგან მისი საქმეა ამის შესწავლა, — სხვადასხვა უწყების ერთმანეთთან შედარება, — სხვადასხვა პრაქტიკული წინადადების მიცემა, მათი შემოწმება გამოცდილების მიხედვით და სხვ.

როცა ვამბობ «მუშგლეხინი», უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს ამ წინასწარი მოხსენების სათანადო ავტორი. მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ეს ეხება არა მარტო მხოლოდ ამ ავტორს.

მუშგლეხინში უნდა გამოვყოთ რამდენიმე, თუნდაც 2 — 3 (ამდენი ალბათ მაინც მოიძებნება) უსათუოდ კეთილსინდისიერი, გაგებული და გამოცდილი მუშაკი და ვაიძულოთ ისინი შეიმუშაონ რევიზორთა მუშაობის, თავდაპირველად თუნდაც ანგარიშგების დაყენების გონიერი გეგმა. უმჯობესია ავიღოთ ცოტა რამ, მაგრამ ბოლომდე მივიყვანოთ.

წინასწარი მოხსენების ავტორი ეხება უამრავ თემას, მაგრამ ეს თემები არ არის შესწავლილი, სახელდახელოდ არის აღებული, არავითარი აზრი არა აქვს. «პარლამენტური მოხსენებების» თამაშობაა. საჭიროა არა ეს, არამედ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა.

შესწავლის ნაკლი ჩანს, მაგალითად, 52-ე (39-ე) კითხვიდან: გამოიყოს მხოლოდ სანიმუშო მაღაროები. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისია (სმილგა და რამზინი), როცა ინახულა დონბასი 1921 წლის სექტემბერში. სწორედ ასეთია სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნა.

რატომ ვიცი მე სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სმილგის კომისიის მუშაობის შესახებ და არ იცის ეს ს პ ე ც ი ა ლ უ რ მ ა რ ე ვ ი ზ ო რ მ ა, რომელმაც ხელი მოჰკიდა მოხსენებას სათბობის მთავარი კომიტეტის შესახებ?

.საქმის დაყენება არ არის სწორი.

პრაქტიკული დასკვნის სახით წინადადებას ვიძლევი:

1) გამოიყოს თუნდაც ანგარიშგების დაყენების საკითხი და მიყვანილ იქნეს იგი ბოლომდე;

2) დაეკვალოს ეს განსაზღვრულ პირთ, მაცნობეთ მათი ვინაობა;

3) მაცნობეთ იმ რევიზორის ვინაობა, რომელსაც დავალებული აქვს სატყეო კომიტეტის საქმე.

ლ ე ნ ი ნ ი

1921. 27. IX.

პირველად დაიბეჭდა
1927 წ. 6 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 30

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობის პრეზიდიუმს[1]

დიდად ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი პირადად მივსალმებოდი ყრილობას.

წიგნის «ელექტროფიკაციის გეგმა» და კიდევ უფრო მეტად თვით ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ მე არა ერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი[2]. მსხვილი მანქანური მრეწველობა და მისი გადატანა მიწათმოქმედებაში ერთადერთი ეკონომიური ბაზაა სოციალიზმისა, ერთადერთი ბაზაა წარმატებითი ბრძოლისა კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, ათეული მილიონობით ადამიანის ხსნისათვის გაჟლეტისა და დასახიჩრებისაგან იმ საკითხის გადასაწყვეტად, დედამიწის გაყოფაში უპირატესობა ექნება ინგლისისა თუ გერმანიის, იაპონიისა თუ ამერიკის მტაცებელს და სხვ.

მუშურ-გლეხურმა საბჭოთა რესპუბლიკამ დაიწყო ჩვენი ქვეყნის სისტემატური და გეგმაზომიერი ელექტროფიკაცია. თუმცა ჩვენი დასაწყისი უმნიშვნელოა, მცირედია, თუმცა წარმოუდგენლად დიდია ამ საქმის სიძნელეები ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც გააჩანაგეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ოთხი წლის იმპერიალისტური და სამი წლის სამოქალაქო ომით, იმ ქვეყნისათვის, რომელსაც უდარაჯებს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, რადგან სურს გასრისოს იგი და თავის კოლონიად გაიხადოს, თუმცა ჩვენში დიდი ტანჯვით მიდის წინ ელექტროფიკაცია, მაგრამ იგი მაინც წინ მიდის.

თქვენი ყრილობის დახმარებით, რუსეთის ყველა ელექტროტექნიკოსის და მთელი მსოფლიოს მთელ რიგ საუკეთესო, მოწინავე მეცნიერთა დახმარებით, მუშათა და მშრომელ გლეხთა ავანგარდის ძალ-ღონის გმირული დაძაბვით ჩვენ ამ ამოცანას დავძლევთ, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას განვახორციელებთ.

მივესალმები ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობას და ვუსურვებ მას ყოველგვარ წარმატებას თავის მუშაობაში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წ. 8 ოქტომბერს

დაიბეჭდა 1921 წ. 11 ოქტომბერს
«ელექტროტექნიკოსთა სრულიად
რუსეთის VIII ყრილობის
ბიულეტენის» № 3-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ოქტომბრის რევოლუციის
ოთხი წლისთავისათვის». —
1921 წ. 14 ოქტომბერი

დაპატარავებულია

К четырехлетней годовщине
октябрьской революции

Наступил четырехлетний юбилей 25-го октября (7 ноября).

Чем дальше уходит от нас этот великий день, тем яснее сознаешь значение пролетарской революции в России, тем глубже мы осознаем ее место в практический опыт нашей работы, борьбы в целом.

В самых трудных — и, конечно, (также) важных — сторонах этого значения и этого опыта мы говорим сегодняшним образом.

Непосредственной и ближайшей задачей революции в России была задача буржуазно-демократическая: свергнуть остатки средневековья, сжечь их до конца, очистить Россию от этого позора, от этого величайшего препятствия высокой культуре и быстрому прогрессу в нашей стране.

И мы можем гордиться тем, что проделали эту часть нашей работы решительнее, быстрее, смелее,

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის

დგება 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) ოთხი წლისთავი.

რაც უფრო გვშორდება ეს დიადი დღე, მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა, მით უფრო ღრმად ვუფიქრდებით აგრეთვე ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მთლიანად აღებულს.

ეს მნიშვნელობა და ეს გამოცდილება სულ მოკლედ — და, რა თქმა უნდა, მეტად არასრულად და არაზუსტად — შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ.

რევოლუციის უშუალო და უახლოესი ამოცანა რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანა იყო: შუასაუკუნეების ნაშთთა დამხობა და ბოლომდე აღგვა, რუსეთის გაწმენდა ამ ბარბაროსობისა და ამ სირცხვილისაგან, ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი კულტურისა და ყოველგვარი პროგრესის ამ უდიდესი მუხრუჭისაგან.

და ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ეს წმენდა ხალხის მასებზე, მის ღრმა ფენებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ბევრად უფრო გაბედულად, სწრაფად, თამამად, წარმატებით, ფართოდ და ღრმად მოვახდინეთ, ვიდრე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ 125 წელზე მეტი ხნის წინათ.

ანარქისტებიც და წვრილბურჟუაზიული დემოკრატებიც (ე. ი. მენშევიკები და ესერები, როგორც რუსეთის წარმომადგენლები ამ საერთაშორისო სოციალური ტიპისა) წარმოუდგენლად ბევრ აბდაუბდას ლაპარაკობდნენ და

ლაპარაკობენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტური (ესეიგი პროლეტარული) რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხზე. ამ ოთხი წლის განმავლობაში სავსებით დადასტურდა იმ პუნქტში მარქსიზმის ჩვენი გაგების, წინანდელი რევოლუციების გამოცდილების ჩვენი გათვალისწინების სისწორე. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ისე არავის მიუყვანია ბოლომდე, როგორც ჩვენ. ჩვენ სრულიად შეგნებულად, მტკიცედ და განუხრელად მივიწევთ წინ, სოციალისტური რევოლუციისაკენ და ვიცით, რომ იგი ჩინური კედლით არ არის გამოყოფილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაგან, ვიცით, რომ მხოლოდ ბრძოლა გადაწყვეტს, რამდენად შეეძლებთ (საბოლოო ანგარიშით) წინ წაწევას, თვალუწვდენი დიადი ამოცანის რა ნაწილს შეავასრულებთ, ჩვენ გამარჯვებათა რა ნაწილს განვიმტკიცებთ. ამას მომავალი დაგვანახვებს. მაგრამ უკვე ახლაც ვხედავთ, რომ გაჩანაგებული, დატანჯული, ჩამორჩენილი ქვეყნისათვის — საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში — მეტისმეტად ბევრია გაკეთებული.

მაგრამ ჯერ გავათავოთ ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსის შესახებ. მარქსისტებისათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს ეს. ახსნა-განმარტებისათვის ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითები.

რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსი ნიშნავს ქვეყნის სოციალური ურთიერთობის (წესწყობილების, დაწესებულებების) გაწმენდას შუასაუკუნეების, ბატონყმობის, ფეოდალიზმის ნაშთებისაგან.

როგორი იყო ბატონყმობის მთავარი გამოხატულება, ნაშთი, კვალი რუსეთში 1917 წელს? მონარქია, წოდებრიობა, მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა, ქალის მდგომარეობა, რელიგია, ეროვნებათა ჩაგვრა. აიღეთ რომელიც გნებავთ ეს «ავგიოსის თავლა», — რომელიც, უნდა ითქვას, ყველა მოწინავე სახელმწიფომ საკმაოდ გაუსუფთავებელი დატოვა თავიანთი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევო-

ლუციების დროს, 125, 250 წლის წინათ და უფრო ადრეც (ინგლისში 1649 წელს), — აიღეთ რომელიც გნებავთ ეს ავგიოსის თავლა: თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ ისინი პირწმინდად გამოვგავეთ. რაღაც ათიოდე კვირის განმავლობაში, დაწყებული 1917 წლის 25 ოქტომბრიდან (7 ნოემბრიდან) დამფუძნებელი კრების გარეკვამდე (1918 წლის 5 იანვარს), ჩვენ ამ სფეროში ათასჯერ მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა და ლიბერალებმა (კადეტებმა) და წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა (მენშევიკებმა და ესერებმა) რვა თვის ბატონობის განმავლობაში გააკეთეს.

ეს ლაჩრები, ყბედები, თავის თავზე შეყვარებული ნარცისები და ჰამლეტუნები მუყაოს მახვილს იქნევდნენ — და მონარქიაც კი ვერ მოსპეს! ჩვენ მთელი ეს მონარქიული უწმინდურება გადავყარეთ ისე, როგორც არავის არასოდეს გადაუყრია. ჩვენ ქვა ქვაზე, აგური აგურზე არ დაგვიტოვებია წოდებრიობის საუკუნეობრივი შენობისა (ყველაზე მოწინავე ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, დღემდე არ განთავისუფლებულან წოდებრიობის ნაშთებისაგან!). წოდებრიობის უღრმესი ფესვები, სახელდობრ: ფეოდალიზმისა და ბატონყმობის ნაშთები მიწათმფლობელობაში, ჩვენ ძირიანფესვიანად ამოვაგდეთ. «შეიძლება დავა» (უცხოეთში საკმაოდ მოიპოვებიან კადეტი, მენშევიკი და ესერი ლიტერატორები ასეთი დავის გასამართავად) იმაზე, თუ რა გამოვა «ბოლოს და ბოლოს» დიდი ოქტომბრის რევოლუციის საადგილმამულო გარდაქმნათაგან. ჩვენ ახლა ხალისი არა გვაქვს ამ დავაზე დრო დავკარგოთ, რადგან ჩვენ ბრძოლით ვწყვეტთ ამ დავას და მასზე დამოკიდებულ უამრავ დავას. მაგრამ არ შეიძლება დავა იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები რვა თვის განმავლობაში «უთანხმდებოდნენ» მემამულეებს, რომლებიც ბატონყმობის ტრადიციებს ინახავდნენ, ჩვენ კი რამდენიმე კვირაში რუსეთის მიწა-წყლიდან საბოლოოდ აღვგავეთ ეს მემამულეებიც და მთელი მათი ტრადიციებიც.

აიღეთ რელიგია ან ქალის უუფლებობა, ან არარუს ეროვნებათა ჩაგვრა და არათანასწორუფლებიანობა. ყოველივე ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საკითხებია. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის უგვანონი რვა თვე ლაყბობდნენ ამაზე; მსოფლიოში არ არსებობს არ ერთი უაღრესად მოწინავე ქვეყანა, სადაც ეს საკითხები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით საბოლოოდ იყოს გადაწყვეტილი. ჩვენში ეს საკითხები ოქტომბრის რევოლუციის კანონმდებლობამ საბოლოოდ გადაწყვიტა. ჩვენ რელიგიას ნამდვილად ვებრძოდით და ვებრძვით. ჩვენ ყველა არარუს ეროვნებას მათი საკუთარი რესპუბლიკა თუ ავტონომიური ოლქი მივეცით. ჩვენში, რუსეთში, არ არსებობს ისეთი სიმდაბლე, უხამსობა და საზიზღრობა, როგორიც არის ქალის უუფლებობა თუ არასრულუფლებიანობა, ბატონყმობისა და შუასაუკუნეების ეს აღმაშფოთებელი ნაშთი, რომელსაც ანგარებიანი ბურჟუაზია და ჩლუნგი, დაშინებული წვრილი ბურჟუაზია ანახლებს დედამიწის ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ.

ყოველივე ეს შეადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შინაარსს. ამ რევოლუციის (ამ რევოლუციების, თუ ვილაპარაკებთ ერთი საერთო ტიპის თვითეულ ნაციონალურ სახეზე) ძოწინავე ბელადებმა ას ორმოცდაათი და ორას ორმოცდაათი წლის წინათ აღუთქვეს ხალხებს კაცობრიობის განთავისუფლება შუასაუკუნეობრივი პრივილეგიებისაგან, ქალის უთანასწორობისაგან, ამა თუ იმ რელიგიის (ან «რელიგიის იდეის», საერთოდ «რელიგიურობის») სახელმწიფოებრივ უპირატესობათაგან, ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობისაგან. აღუთქვეს — და არ შეასრულეს. არ შეეძლოთ შეესრულებინათ, რადგან ხელი შეუშალა «პატივისცემამ» — — — «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებისადმი». ჩვენს პროლეტარულ რევოლუციაში ეს წყეული «პატივისცემა» ამ სამგზის წყეულ შუასაუკუნეებისა და «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებისადმი» არ ყოფილა.

მაგრამ რუსეთის ხალხთათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარნი რომ დაგვემკვიდრებინა, ჩვენ წინ უნდა წავწეულიყავით, და წინ წავიწიეთ კიდეც. ჩვენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საკითხებს ვწყვეტდით გზადაგზა, სხვათა შორის, როგორც ჩვენი მთავარი და ნამდვილი, პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ-რევოლუციური, სოციალისტური მუშაობის «არამთავარ პროდუქტს». რეფორმები, ვამბობდით ჩვენ ყოველთვის, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არამთავარი პროდუქტია. ჩვენ ვამბობდით და საქმითაც დავამტკიცეთ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნანი — პროლეტარული, ესე იგი სოციალისტური რევოლუციის არამთავარი პროდუქტია. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ კაუცკიმ, ჰილფერდინგმა, მარტოვმა, ჩერნოვმა, ხილკვიტმა, ლონგემ, მაკდონალდმა, ტურატიმ და «II[1]/2» მარქსიზმის სხვა გმირებმა ვერ შესძლეს გაგება ა ს ე თ ი თანაფარდობისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციებს შორის. ხდება პირველის გადაზრდა მეორეში. მეორე, გზადაგზა, წყვეტს პირველის საკითხებს. მეორე პირველის საქმეს განამტკიცებს. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა წყვეტს იმას, თუ რამდენად ახერხებს მეორე გასცდეს პირველის ფარგლებს.

საბჭოთა წყობილება სწორედ ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურება ანუ გამოხატულებაა ერთი რევოლუციის ამ გადაზრდისა მეორეში. საბჭოთა წყობილება დემოკრატიზმის მაქსიმუმია მუშებისა და გლეხებისათვის და ამავე დროს ის ნიშნავს კავშირის გაწყვეტას ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ დემოკრატიზმთან და დემოკრატიის ა ხ ა ლ ი, მსოფლიო-ისტორიული, ტ ი პ ი ს წარმოშობას, სახელდობრ: პროლეტარული დემოკრატიზმის ანუ პროლეტარიატის დიქტატურისა.

დაე მომაკვდავი ბურჟუაზიის და მისი მაჩანჩალა წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ქოფაკებმა და ღორებმა წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება, სიცილი დაგვაყარონ მარცხისა და შეცდომებისათვის ჩვენ მიერ ჩ ვ ე ნ ი საბჭოთა წყობილების შენების დროს. ჩვენ ერთი წუთითაც არ

ვივიწყებთ იმას, რომ მარცხი და შეცდომები მართლაც ბევრი გვქონდა და ახლაც გვაქვს. როგორ შეიძლება მარცხსა და შეცდომებს ასცდე ისეთ ახალ, მთელი მსოფლიო ისტორიისათვის ახალ საქმეში, როგორიცაა ჯერ უნახავი ტიპის სახელმწიფო წყობილების შექმნა! ჩვენ განუხრელად ვიბრძოლებთ ჩვენი მარცხისა და შეცდომების გამოსასწორებლად, ცხოვრებაში ჩვენ მიერ საბჭოთა პრინციპების — სრულყოფისაგან ფრიად და ფრიად დაშორებული პრინციპების — გამოყენების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის.

საკითხი იმპერიალისტური ომების შესახებ, ამჟამად მთელ მსოფლიოში გაბატონებული ფინანსური კაპიტალის იმ საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, რომელიც გარდუვალად წარმოშობს ახალ იმპერიალისტურ ომებს, გარდუვალად წარმოშობს ერთი მუჭა «მოწინავე» სახელმწიფოების მიერ ნაციონალური ჩაგვრის, ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის, სუსტ, ჩამორჩენილ, წვრილ ეროვნებათა ჩახრჩობის გაუგონარ გაძლიერებას, — ეს საკითხი 1914 წლიდან დედამიწის ყველა ქვეყნის მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედ საკითხად იქცა. ეს არის ათეული მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ეს არის საკითხი, იქნება თუ არა შემდგომ იმპერიალისტურ ომში, რომელსაც ჩვენ თვალწინ ბურჟუაზია ამზადებს, რომელსაც ჩვენ თვალწინ ბადებს კაპიტალიზმი, დახოცილი 20 მილიონი ადამიანი (ნაცვლად 10 მილიონისა, რომელიც დაიხოცა 1914 — 1918 წლების ომსა და მის დანამატ «პატარა» ომებში, რომლებიც დღემდეც არ დამ-

თავრებულა), დასახიჩრდება თუ არა 60 მილიონი ადამიანი ამ გარდუვალ (თუ კაპიტალიზმი დარჩება) მომავალ ომში (1914 — 1918 წლებში დასახიჩრებულ 30 მილიონის ნაცვლად). ამ საკითხშიც ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა დაიწყო. ბურჟუაზიის მსახურნი და მისი დამქაშები ესერებისა და მენშევიკების სახით, მთელი მსოფლიოს მთელი წვრილბურჟუაზიული ვითომ «სოციალისტური» დემოკრატიის სახით დასცინოდნენ «იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის» ლოზუნგს. მაგრამ ეს ლოზუნგი აღმოჩნდა ერთადერთი ს ი მ ა რ თ ლ ე — არასასიამოვნო, ტლანქი, გაშიშვლებული, სასტიკი სიმართლე, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ს ი მ ა რ თ ლ ე ყველაზე გაქნილ შოვინისტურ და პაციფისტურ უამრავ ტყუილს შორის. ეს ტყუილი ინგრევა. ბრესტის ზავი მხილებულია. ყოველი დღე უფრო და უფრო ულმობლად ამხელს ბრესტის ზავზე უარესი ზავის, ვერსალის ზავის, მნიშვნელობასა და შედეგებს. და იმ მრავალი მილიონი ადამიანის თვალწინ, რომლებიც გუშინდელი ომის და ხვალ მოსალოდნელი ომის მიზეზებს უფიქრდებიან, სულ უფრო და უფრო ნათლად, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ, სულ უფრო და უფრო გარდუვალად ისახება მრისხანე სიმართლე: თავს ვერ დააღწევ იმპერიალისტურ ომს და გარდუვალად მის წარმომშობ იმპერიალისტურ ზავს (ჩვენ რომ ძველი მართლწერა გვქონდეს, მე აქ დავწერდი ორივე სიტყვას «мир» ორივე მათი მნიშვნელობით), თავს ვერ დააღწევ ამ ჯოჯოხეთს ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ, თ უ ა რ ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი თ დ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი თ.

დაე ეს რევოლუცია ცოფმორეულად აგინონ ბურჟუაზიამ და პაციფისტებმა, გენერლებმა და მეშჩანებმა, კაპიტალისტებმა და ფილისტერებმა, ყველა მორწმუნე ქრისტიანმა და II თუ II½ ინტერნაციონალების ყველა რაინდმა. ღვარძლის, ცილისწამებისა და სიცრუის ვერავითარი ნიაღვრით ვერ მიჩქმალავენ ისინი იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს,

რომ მონათმფლობელებს შორის ამტყდარ ომს მონებმა ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში პირველად უპასუხეს შემდეგი ლოზუნგის აშკარა გამოცხადებით: მონათმფლობელებს შორის მათი ნადავლის გასაყოფად ამტყდარი ეს ომი გადავაქციოთ ყველა ერის მონების ომად ყველა ერის მონათმფლობელთა წინააღმდეგ.

პირველად ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში გადაიქცა ეს ლოზუნგი ბუნდოვანი და უძლური ლოდინიდან ნათელ, მკვეთრ პოლიტიკურ პროგრამად, მილიონობით ჩაგრულთა აქტიურ ბრძოლად პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, გადაიქცა პროლეტარიატის პირველ გამარჯვებად, ომების მოსპობის საქმის, ყველა ქვეყნის მუშათა კავშირის საქმის პირველ გამარჯვებად სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის კავშირზე, — იმ ბურჟუაზიისა, რომელიც კიდევაც ზავს ჰკრავს და კიდევაც ომობს კაპიტალის მონების ხარჯზე, დაქირავებული მუშების ხარჯზე, გლეხების ხარჯზე, მშრომელების ხარჯზე.

ეს პირველი გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო გამარჯვება, და იგი ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ მოიპოვა არნახული გაჭირვებითა და სიძნელით, გაუგონარი ტანჯვით, მთელი რიგი უდიდესი წარუმატებლობებითა და შეცდომებით ჩვენი მხრივ. აბა განა ერთი ჩამორჩენილი ხალხი შესძლებდა წარუმატებლობათა და შეცდომათა გარეშე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ყველაზე მოწინავე ქვეყნების მიერ წარმოებული იმპერიალისტური ომების დაძლევას! ჩვენ არ გვეშინია ჩვენი შეცდომების აღიარებისა და ფხიზლად შეეხედავთ მათ, რათა მათი გამოსწორება ვისწავლოთ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: პირველად ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში აღთქმა, რომ მონათმფლობელთა შორის ატეხილ ომს «პასუხს გავცემთ» მონების რევოლუციით ყველა და ყოველნაირ მონათმფლობელთა წინააღმდეგ, ბოლომდეა შესრულებული — — — და სრულდება, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა.

ჩვენ ეს საქმე დავიწყეთ. სახელდობრ როდის, რა ვადაში, რომელი ერის პროლეტარები დააბოლოვებენ ამ საქმეს, — ეს საკითხი არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ ყინული გატეხილია, გზა გახსნილია, მიმართულება ნაჩვენებია.

განაგრძეთ თქვენი თვალთმაქცობა, ყველა ქვეყნის ბატონო კაპიტალისტებო, იაპონელთა «სამშობლოს დამცველებო» ამერიკელთა სამშობლოსაგან, ამერიკელთა სამშობლოსი — იაპონელთა სამშობლოსაგან, ფრანგთა სამშობლოსი — ინგლისელთა სამშობლოსაგან და სხვ.! განაგრძეთ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა საკითხის «მიფუჩეჩება» ახალი «ბაზელის მანიფესტებით» (ბაზელის 1912 წლის მანიფესტის მსგავსად [10]), ბატონო II და II½ ინტერნაციონალების რაინდებო მთელი მსოფლიოს ყველა პაციფისტ მეშჩანთან და ფილისტერთან ერთად! დედამიწაზე პირველმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ იხსნა პირველი ასი მილიონი ადამიანი იმპერიალისტური ომისაგან, იმპერიალისტური ზავისაგან. შემდგომი რევოლუციები მთელ კაცობრიობას იხსნიან ასეთი ომებისა და ასეთი ზავისაგან.

ჩვენი უკანასკნელი, — და ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძნელი და ყველაზე დაუმთავრებელი საქმეა: სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიური საძირკვლის ჩაყრა ახალი, სოციალისტური, შენობისათვის დანგრეული ფეოდალური და ნახევრადდანგრეული კაპიტალისტური შენობის ადგილას. ამ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ძნელ საქმეში ჩვენ გვქონდა ყველაზე მეტი მარცხი, ყველაზე მეტი შეცდომები. აბა განა წარუმატებლობათა და შეცდომათა გარეშე შეიძლებოდა ამ საქვეყნო ახალი საქმის დაწყება! მაგრამ ჩვენ იგი დავიწყეთ. ჩვენ მას ვაწარმოებთ. ჩვენ სწორედ ახლა ვასწორებთ ჩვენი «ახალი ეკონომიური პოლიტიკით» მთელ რიგ ჩვენს შეცდომებს, ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ვაშენოთ მომავალში სოციალისტური შენობა წვრილგლეხურ ქვეყანაში ამ შეცდომების დაუშვებლად.

სიძნელენი განუზომელია. ჩვენ შევეჩვიეთ განუზომელ სიძნელეებთან ბრძოლას. ტყუილუბრალოდ ხომ არ გვიწოდეს ჩვენმა მტრებმა «სალკლდოვანნი» და «ძვლისმმტვრევი პოლიტიკის» წარმომადგენლები. მაგრამ ჩვენ ვისწავლეთ აგრეთვე — ყოველ შემთხვევაში: რამდენადმე ვისწავლეთ რევოლუციაში საჭირო მეორე ხელოვნება — მოქნილობა, საკუთარი ტაქტიკის სწრაფად და მკვეთრად შეცვლის უნარი, შეცვლილი ობიექტური პირობებისათვის ანგარიშის გაწევით, ჩვენი მიზნისკენ სხვა გზის არჩევით, თუ წინანდელი გზა დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის მიზანშეუწონელი, შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენ ვიმედოვნებდით, ენთუზიაზმის ტალღით აღტაცებულნი, ჩვენ, რომლებმაც გამოვაღვიძეთ ხალხის ენთუზიაზმი ჯერ საერთო-პოლიტიკური, შემდეგ სამხედრო, ჩვენ ვიმედოვნებდით უშუალოდ ამ ენთუზიაზმის ნიადაგზე გაგვეხორციელებინა ისევე დიდი (როგორც საერთო-პოლიტიკური, როგორც სამხედრო) ეკონომიური ამოცანები. ჩვენ ვიმედოვნებდით, — ან, შეიძლება, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ჩვენ ვვარაუდობდით საკმაო ანგარიშიანობის უქონლად — პროლეტარული სახელმწიფოს უშუალო ბრძანებებით მოგვეგვარებინა პროდუქტების სახელმწიფო წარმოება და სახელმწიფო განაწილება კომუნისტურად წვრილგლეხურ ქვეყანაში. ცხოვრებამ დაგვანახვა ჩვენი შეცდომა. საჭირო გახდა მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები: სახელმწიფო კაპიტალიზმი და სოციალიზმი, რომ მოგვემზადებინა — მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობით მოგვემზადებინა — კომუნიზმზე გადასვლა. არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით შეეცადეთ ჯერ ააშენოთ მტკიცე ხიდები, რომელთაც წვრილგლეხურ ქვეყანაში სახელმწიფო კაპიტალიზმის საშუალებით მივყავართ სოციალიზმისაკენ; სხვანაირად თქვენ ვერ მიხვალთ კომუნიზმთან, სხვანაირად

თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნიზმთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს. ასე გვიკარნახა ცხოვრებამ. ასე გვიკარნახა რევოლუციის განვითარების ობიექტურმა მსვლელობამ.

და ჩვენ, რომელთაც სამი და ოთხი წლის განმავლობაში ცოტათი ვისწავლეთ მკვეთრი შემობრუნებანი (როცა საჭიროა მკვეთრი შემობრუნება), დავიწყეთ გულმოდგინედ, ყურადღებით, თავგამოდებით (თუმცა ჯერ კიდევ არასაკმაოდ გულმოდგინედ, არასაკმაო ყურადღებით, არასაკმაო თავგამოდებით) სწავლა ახალი შემობრუნებისა, «ახალი ეკონომიური პოლიტიკისა». პროლეტარული სახელმწიფო უნდა გახდეს ფრთხილი, ბეჯითი, უნარიანი «მეპატრონე», წესიერი მ ე ბ ი თ უ მ ე ვ ა ჭ ა რ ი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის წვრილგლეხურ ქვეყანას ეკონომიურად ფეხზე ვერ დააყენებს, სხვანაირი გადასვლა კომუნიზმზე ახლა, არსებულ პირობებში, კაპიტალისტური (ჯერ კიდევ კაპიტალისტური) დასავლეთის გვერდით, არ არსებობს. მებითუმე ვაჭარი, ეს თითქოს ისეთი ეკონომიური ტიპია, რომელიც, როგორც ცა დედამიწას, ისეა დაშორებული კომუნიზმს. მაგრამ ეს სწორედ ერთი ისეთი წინააღმდეგობათაგანია, რომელსაც სინამდვილეში მივყავართ წვრილი გლეხური მეურნეობიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ. პირადი დაინტერესება ავითარებს წარმოებას; ჩვენ გვესაჭიროება წარმოების გადიდება უწინარეს ყოვლისა და რადაც უნდა დაჯდეს. ბითუმად ვაჭრობა მილიონობით წვრილ გლეხს აერთიანებს ეკონომიურად, ინტერესს უნერგავს მათ, აკავშირებს მათ, მიჰყავს ისინი შემდგომი საფეხურისაკენ: თვით წარმოებაში კავშირისა და გაერთიანების სხვადასხვა ფორმისაკენ. ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებელი გარდაქმნა. ჩვენ უკვე გვაქვს ამ სფეროში ზოგიერთი — მართალია, მცირე, ნაწილობრივი, მაგრამ მაინც უეჭველი წარმატება. ჩვენ უკვე ვამთავრებთ, ახალი «მეცნიერების» ამ სფეროში, მოსამზადებელ კლასს. მტკიცედ და გულმოდგინედ ვისწავლით, პრაქტიკული გამოცდილებით შევამოწმებთ თვითეულ ჩვენს ნაბიჯს, არ შევუშინდებით

დაწყებულის არა ერთხელ გადაკეთებას, ჩვენი შეცდომების გამოსწორებას, ყურადღებით ჩავუკვირდებით მათს მნიშვნელობას და ასე გადავალთ შემდეგ კლასებშიც. ჩვენ გავივლით მთელ «კურსს», თუმცა მსოფლიო ეკონომიკის და მსოფლიო პოლიტიკის გარემოებებმა იგი გაცილებით უფრო ხანგრძლივი და უფრო ძნელი გახადეს, ვიდრე ჩვენ ეს გვსურდა. რადაც უნდა დაჯდეს, რაც უნდა მძიმე იყოს გარდამავალი დროის ტანჯვა, გაჭირვება, შიმშილი, ნგრევა, ჩვენ სულით არ დავეცემით და ჩვენს საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ.

1921. 14. X.

«პრავდა» № 234,
1921 წლის 18 ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამოცანები

მოხსენება პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1921 წ. 17 ოქტომბერს [1]

ამხანაგებო! მე მსურს ეს მოხსენება ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს საუბარი მივუძღვნა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და პოლიტგანების ამოცანებს, როგორც მე ეს ამოცანები მესმის, ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მე მგონია, სრულიად არ არის სწორი, რომ მოხსენებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც ამა თუ იმ ყრილობის ფარგლებში არ შედის, შეიზღუდოს მარტო ინფორმაციით იმის შესახებ, თუ საერთოდ რა ხდება პარტიაში ანდა საბჭოთა რესპუბლიკაში.

საბჭოთა ხელისუფლებისა და რკ პარტიის მკვეთრი შემოგრუნება

სრულიადაც არ უარვყოფ იმას, რომ ასეთი ინფორმაცია სასარგებლოა და არ უარვყოფ არც იმას, რომ სასარგებლოა ყოველგვარ საკითხზე თათბირის მოწყობა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი ყრილობების უმრავლესობის მუშაობის მთავარი ნაკლია პირდაპირი, უშუალო კავშირის უქონლობა იმ პრაქტიკულ ამოცანებთან, რომლებიც მათ წინაშე დგას. და ჩემი სურვილია სწორედ ამ ნაკლზე ვილაპარაკო ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე მე ვილაპარაკებ მოკლედ და ზოგადად. თქვენს შორის, ამხანაგებო, უდიდეს უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ და, მიუხედავად

იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ფრიად ახალგაზრდა კომუნისტია, მათ დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ჩვენს საერთო პოლიტიკაში ჩვენი რევოლუციის პირველი წლების მანძილზე. და როგორც ამ მუშაობის დიდი ნაწილის ჩამტარებლები, თქვენ არ შეიძლება არ ხედავდეთ, თუ რა მკვეთრი შემობრუნება მოახდინა ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ და ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, როდესაც გადავიდა იმ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელსაც «ახალს» უწოდებენ, ახალს ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის მიმართ.

ხოლო საქმის არსის მხრივ — მასში ძველი უფრო მეტია, ვიდრე ჩვენს წინანდელ ეკონომიურ პოლიტიკაში.

რატომ არის ეს ასე? იმიტომ, რომ ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკა, თუ არ შეიძლება ითქვას: იმედოვნებდა (იმ ვითარებაში ჩვენ საერთოდ ცოტა რამეს ვიმედოვნებდით), რამდენადმე მაინც ვარაუდობდა, — შეიძლება ითქვას, უანგარიშოდ ვარაუდობდა, — რომ რუსეთის ძველი ეკონომიკა უშუალოდ გადავიდოდა სახელმწიფო წარმოებასა და განაწილებაზე კომუნისტური საწყისების მიხედვით.

თუ მოვიგონებთ ჩვენს საკუთარ წინანდელ ეკონომიურ ლიტერატურას, თუ გავიხსენებთ, რას წერდნენ კომუნისტები ვიდრე რუსეთში ძალაუფლებას აიღებდნენ და მალე ძალაუფლების აღების შემდეგ, მაგალითად, 1918 წლის დამდეგს, როდესაც პირველი პოლიტიკური იერიში ძველ რუსეთზე უდიდესი წარმატებით დამთავრდა, როდესაც შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკა, როდესაც იმპერიალისტური ომიდან რუსეთი გამოვიდა, თუმცა დასახიჩრებული სახით, მაგრამ მაინც გამოვიდა და გამოვიდა უფრო ნაკლებ დასახიჩრებული, ვიდრე გამოვიდოდა, მას რომ განეგრძო «სამშობლოს დაცვა», როგორც ამას ურჩევდნენ იმპერიალისტები და მენშევიკები ესერებითურთ, — დავინახავთ, რომ პირველ პერიოდში, როდესაც ის-ის იყო დავამთავრეთ პირველი საქმე საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის დარგში და ის-ის იყო გამო-

ვედით იმპერიალისტური ომიდან, ჩვენი ეკონომიური მშენებლობის ამოცანებზე მაშინ გაცილებით უფრო ფრთხილად და უფრო წინდახედულად ვლაპარაკობდით, ვიდრე ამას ჩავდიოდით 1918 წლის მეორე ნახევარში და მთელი 1919 და მთელი 1920 წლების მანძილზე.

სრ. რუს. ცაკ-ი გლეხობის როლის შესახებ — 1918 წელს

თუ თქვენს შორის ამ დროს ყველა არ იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მუშაკი, ყოველ შემთხვევაში მათ შეეძლოთ გაცნობოდნენ და, რა თქმა უნდა, გაეცნენ ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის აპრილის დამლევის გადაწყვეტილება[12]. ეს გადაწყვეტილება აღნიშნავდა გლეხური ეკონომიკისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას და ემყარებოდა მოხსენებას, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო კაპიტალიზმის როლს სოციალიზმის მშენებლობაში იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა გლეხურია, ემყარებოდა მოხსენებას, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა პერსონალური, ინდივიდუალური, ერთპიროვნული პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, ხაზგასმით აღნიშნავდა ამ ფაქტორის მნიშვნელობას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, ხელისუფლების მშენებლობის პოლიტიკური ამოცანებისა და სამხედრო ამოცანებისაგან განსხვავებით.

ჩვენი შეცდომა

1918 წლის დამდეგს ჩვენ იმედი გვქონდა, რომ გვექნებოდა განსაზღვრული პერიოდი, როდესაც მშვიდობიანი მშენებლობა შესაძლებელი გახდებოდა. ბრესტის ზავის დადების შემდეგ საფრთხე, თითქოს, გადაიწია და შესაძლებელი იყო მშვიდობიან მშენებლობას შევდგომოდით. მაგრამ

მოვტყუვდით, იმიტომ რომ 1918 წელს მოგვიახლოვდა ნამდვილი ომის საფრთხე — ჩეხოსლოვაკთა აჯანყებასთან და სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად, რომელიც 1920 წლამდე გაგრძელდა. ნაწილობრივ მოწოლილი სამხედრო ამოცანების და იმ, ერთი შეხედვით, საშინელი მდგომარეობის ზეგავლენით, რომელშიც მაშინ იმყოფებოდა რესპუბლიკა, იმპერიალისტური ომის დამთავრების მომენტში, ამ და მთელ რიგ სხვა გარემოებათა ზეგავლენით, ჩვენ ის შეცდომა დავუშვით, რომ გადავწყვიტეთ უშუალოდ გადავსულიყავით კომუნისტურ წარმოებასა და განაწილებაზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გლეხები გაწერით მოგვცემდნენ ჩვენთვის საჭირო რაოდენობის პურს, ხოლო ჩვენ ამ პურს დავანაწილებდით ქარხნებსა და ფაბრიკებში, — და გამოგვივიდოდა კომუნისტური წარმოება და განაწილება.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სწორედ ასე გარკვეულად და ნათლად დაგვეხატოს ასეთი გეგმა, მაგრამ დაახლოებით ამგვარად ვმოქმედებდით. ეს, სამწუხაროდ, ფაქტია. მე ვამბობ: სამწუხაროდ, იმიტომ რომ არცთუ ფრიად ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ შემცდარი იყო ეს დებულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ჩვენ წინათ ვწერდით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის შესახებ, როდესაც სოციალისტური აღრიცხვისა და კონტროლის პერიოდის გაუვლელად კომუნიზმის თუნდაც დაბალ საფეხურამდე მისვლა შეუძლებელი გვეგონა. თეორიულ ლიტერატურაში, დაწყებული 1918 წლიდან, როდესაც ძალაუფლების აღების ამოცანა წამოიჭრა და როდესაც ეს ამოცანა ბოლშევიკებმა მთელი ხალხის წინაშე გადაშალეს, ჩვენს ლიტერატურაში გარკვეულად აღნიშნავდნენ ხაზგასმით, რომ ხანგრძლივი და რთული გადასვლა კაპიტალისტური საზოგადოებიდან (და მით უფრო ხანგრძლივი, რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული ეს საზოგადოება), გადასვლა სოციალისტური აღრიცხვისა და კონტროლის გზით. კომუნისტური საზოგადოების თუნდაც ერთ-ერთ მისადგომზე აუცილებელია.

სტრატეგიული უკან დახევა

ეს გარემოება ჩვენ მაშინ, როდესაც გაცხარებული სამოქალაქო ომის დროს საჭირო გახდა გადაგვედგა აუცილებელი ნაბიჯები მშენებლობის დარგში, თითქოს დაგვავიწყდა. და ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მისი არსი, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ პუნქტში ძლიერი დამარცხება განვიცადეთ და დავიწყეთ სტრატეგიული უკან დახევა: «ვიდრე საბოლოოდ არ დავმარცხებულვართ, მოდით უკან დავიხიოთ და ყველაფერი ხელახლა გადავაკეთოთ, მაგრამ უფრო მტკიცედ». კომუნისტებს ოდნავი ეჭვიც არ უნდა ეპარებოდეთ იმაში, რომ ეკონომიურ ფრონტზე ჩვენ ფრიად მძიმე ეკონომიური დამარცხება განვიცადეთ, რაკი ისინი შეგნებულად აყენებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხს. და, რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ ადამიანთა ერთ ნაწილს აქ დიდი მოწყენილობა, თითქმის პანიკა შეიპყრობს, ხოლო უკან დახევის გამო ეს ადამიანები პანიკურ სულიერ განწყობილებას მიეცემიან. ეს აუცილებელი რამაა. მართლაც, როდესაც. წითელი არმია უკან იხევდა, იგი თავის გამარჯვებას იმით იწყებდა, რომ გარბოდა მტრისაგან, და ყოველთვის ყოველ ფრონტზე ზოგიერთები განიცდიდნენ ხოლმე ამ პანიკურ პერიოდს. მაგრამ ყოველთვის — კოლჩაკის ფრონტზედაც, დენიკინის ფრონტზედაც, იუდენიჩის ფრონტზედაც, პოლონეთისა და ვრანგელის ფრონტზედაც — ყოველთვის გამოდიოდა, რომ როგორც კი ერთხელ და ზოგჯერ უფრო მეტჯერაც კარგად აგვიწვავდნენ ზურგს, ჩვენ ვამართლებდით ანდაზას: «ერთ გალახულში ორ გაულახავს იძლევიანო». ერთხელ გალახულნი, ჩვენ ვიწყებდით შეტევას ნელა, სისტემატურად და ფრთხილად.

რა თქმა უნდა, ეკონომიური ფრონტის ამოცანები ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე სამხედრო ფრონტის ამოცანები, მაგრამ სტრატეგიის ამ ელემენტარულ მონახაზთა საერთო მსგავსებაც არსებობს. ეკონომიურ ფრონტზე, როდესაც ჩვენ შევეცადეთ კომუნიზმზე გადასვლას, 1921 წლის

გაზაფხულისთვის უფრო სერიოზული დამარცხება განვიცადეთ, ვიდრე სხვა რომელიმე დამარცხება, რომელიც კი ჩვენ მოგვაყენა კოლჩაკმა, დენიკინმა თუ პილსუდსკიმ, განვიცადეთ გაცილებით უფრო სერიოზული, გაცილებით უფრო არსებითი და საშიში დამარცხება. ეს დამარცხება იმაში გამოიხატა, რომ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა ზედაფენებში მოწყვეტილი აღმოჩნდა ქვედაფენებისაგან და მან ვერ შექმნა საწარმოო ძალთა ის აღმავლობა, რომელიც ჩვენი პარტიის პროგრამაში აღიარებულია ძირითად და გადაუდებელ ამოცანად.

გაწერა სოფლად, ეს უშუალო კომუნისტური მიდგომა მშენებლობის ამოცანებისადმი ქალაქად, ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა აღმავლობას და ძირითადი მიზეზი აღმოჩნდა იმ ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისისა, რომელსაც წავაწყდით 1921 წლის გაზაფხულზე. აი რატომ გახდა საჭირო ის, რასაც, ჩვენი ხაზის, ჩვენი პოლიტიკის თვალსაზრისით, სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა უდიდეს დამარცხებას და უკან დახევას. ამასთანავე არ შეიძლება ითქვას, რომ ეს უკან დახევა წითელი არმიის უკან დახევის მსგავსი იყოს, სრული წესრიგით და წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე. მართალია, პოზიციები წინდაწინ იყო მომზადებული. ეს შეიძლება შემოწმდეს, როდესაც ჩვენი პარტიის 1921 წლის გაზაფხულზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს შევადარებთ ჩემ მიერ მოხსენებულ 1918 წლის აპრილის გადაწყვეტილებას. პოზიციები წინასწარ იყო მომზადებული, მაგრამ უკან დახევა ამ პოზიციებზე მოხდა (ხოლო პროვინციის მრავალ ადგილას ახლაც ხდება) ფრიად საკმაოდ და მეტისმეტად უწესრიგოდაც კი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრი

აი სწორედ აქ პირველ რიგში დგება პოლიტგანების ამოცანა — იბრძოლონ ამის წინააღმდეგ. ძირითადი საკითხი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ჩქარა შევძლოთ შექმნილი მდგომარეობის გამოყენება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს გაწერის შეცვლას გადასახადით, ნიშნავს საგრძნობლად გადასვლას კაპიტალიზმის აღდგენაზე. სახელდობრ რამდენად — ეს ჩვენ არ ვიცით. კონცესიების დადება საზღვარგარეთელ კაპიტალისტებთან (მართალია, ეს კონცესიები ჯერჯერობით ძალიან ცოტაა დადებული, განსაკუთრებით თუ შევადარებთ ჩვენ მიერ მიცემულ წინადადებებს), კერძო კაპიტალისტთა იჯარა — სწორედ ეს არის კაპიტალიზმის პირდაპირი აღდგენა და ეს დაკავშირებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის ფესვებთან. ვინაიდან გაწერის მოსპობა გლეხებისათვის ნიშნავს თავისუფალ ვაჭრობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაჭარბით, რომელსაც გადასახადი არ ეხება, ხოლო გადასახადს მიაქვს პროდუქტთა მხოლოდ მცირე ნაწილი. გლეხები შეადგენენ მთელი მოსახლეობისა და მთელი ეკონომიკის უდიდეს ნაწილს, ამიტომ ამ თავისუფალი ვაჭრობის ნიადაგზე კაპიტალიზმი არ შეიძლება არ გაიზარდოს.

ეს არის ყველაზე ძირითადი ეკონომიური ანაბანა, რომელსაც გვასწავლის ეკონომიური მეცნიერების საწყისები, ხოლო ჩვენში, გარდა ამისა, გვასწავლის ყოველი მეტომრე, არსება, რომელიც ძალიან კარგად გვაცნობს ეკონომიკას, ეკონომიური და პოლიტიკური მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად. და ძირითადი საკითხი, სტრატეგიის თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობს, თუ ვინ უფრო ჩქარა ისარგებლებს ამ ახალი მდგომარეობით? მთელი საკითხი ისაა, ვის გაჰყვება გლეხობა — პროლეტარიატს, რომელიც ისწრაფვის ააშენოს სოციალისტური საზოგადოება, თუ კაპიტალისტს, რომელიც ამბობს: «დავბრუნდეთ უკან, ასე უფრო ნაკლებ სახიფათოა, თორემ რაღაც სოციალიზმი მოიგონესო».

ვინ გაიმარჯვებს — კაპიტალისტი თუ საბჭოთა ხელისუფლება?

აი რას წარმოადგენს მთელი ახლანდელი ომი: ვინ გაიმარჯვებს, ვინ უფრო ჩქარა ისარგებლებს — კაპიტალისტი, რომელსაც ჩვენ თვითონ ვუღებთ კარს და რამდენიმე კარსაც

კი (და მრავალ ისეთ კარს, რომელთა არსებობა ჩვენ თვითონ არ ვიცით და რომლებიც იღება უჩვენოდ და ჩვენს წინააღმდეგ), თუ პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება. რას შეიძლება დაეყრდნოს ეკონომიურად ეს ხელისუფლება? ერთი მხრივ, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ გლეხები. სრულიად უდავო და ყველასათვის ცხადია, რომ, მიუხედავად ისეთი უდიდესი უბედურებისა, როგორიცაა შიმშილი, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ უბედურებას, დაიწყო სწორედ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, თუ კაპიტალიზმი მოიგებს, გაიზრდება სამრეწველო წარმოებაც და მასთან ერთად გაიზრდება პროლეტარიატიც. კაპიტალისტები მოიგებენ ჩვენი პოლიტიკით და შექმნიან სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც ჩვენში, ომისა და საშინელი გაჩანაგებისა და ნგრევის მეოხებით, დეკლასირებულია, ე. ი. ამოვარდნილია თავისი კლასობრივი კალაპოტიდან და აღარ არსებობს, როგორც პროლეტარიატი. პროლეტარიატი ეწოდება კლასს, რომელიც მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის საწარმოებში ქმნის მატერიალურ ფასეულობათ. რამდენადაც დანგრეულია მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რამდენადაც გაჩერებულია ფაბრიკები და ქარხნები, პროლეტარიატიც გაქრა. იგი ზოგჯერ ფორმალურად ირიცხებოდა, მაგრამ იგი არ იყო დაკავშირებული ეკონომიური ფესვებით.

თუ კაპიტალიზმი აღდგება, მაშასადამე, აღდგება პროლეტარიატის კლასიც, რომელიც ჩაბმულია საზოგადოებისათვის სასარგებლო მატერიალურ ფასეულობათა წარმოებაში, ჩაბმულია მსხვილ მანქანურ ფაბრიკებში და არა სპეკულაციაში, არა სანთიების კეთებაში გასასყიდად და სხვა ამგვარ «მუშაობაში», რომელიც არც ისე სასარგებლოა, მაგრამ ფრიად აუცილებელია ჩვენი მრეწველობის ნგრევის ვითარებაში.

მთელი საკითხი ის არის — ვინ ვის გაუსწრებს? თუ კაპიტალისტები მოასწრებენ უფრო ადრე დარაზმვას, — მაშინ ისინი კომუნისტებს გარეკავენ, და აქ უკვე ყოველგვარი ლაპარაკი ზედმეტია. ამას ფხიზლად უნდა შევხედოთ: ვინ ვის? ან პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება შესძლებს, გლეხობაზე დაყრდნობით, სათანადო ლაგამი ამოსდოს ბატონ კაპიტალისტებს, რათა კაპიტალიზმი წარმართოს სახელმწიფოებრივი კალაპოტით და შექმნას სახელმწიფოსადმი დამორჩილებული და მის სამსახურში მყოფი კაპიტალიზმი? ეს საკითხი ფხიზლად უნდა დავაყენოთ. აქ ყოველგვარი იდეოლოგია, ყოველგვარი მსჯელობა პოლიტიკურ თავისუფლებათა შესახებ ისეთი მსჯელობაა, რომელსაც ძალიან ხშირად შევხვდებით, განსაკუთრებით თუ გადავხედავთ საზღვარგარეთულ რუსეთს, რუსეთს № მეორეს, სადაც მოიპოვება ყველა პოლიტიკური პარტიის ათეული ყოველდღიური გაზეთი, სადაც ყველა ამ თავისუფლებას ხოტბას ასხამენ ყველა ჰანგზე და ყველა მუსიკალური ნოტით, რომელიც კი ბუნებაში არსებობს. ყოველივე ეს — ლაყბობაა, ფრაზებია. თავი უნდა დავანებოთ ამ ფრაზებს.

ბრძოლა კიდევ უფრო სასტიკი იქნება

ოთხი წლის განმავლობაში მრავალი სერიოზული ბრძოლა გადავიტანეთ და ვისწავლეთ, რომ ერთია — სერიოზული ბრძოლა და სულ სხვაა — ლაყბობა, რომელიც წარმოებს სერიოზული ბრძოლის გამო, განსაკუთრებით იმ ადამიანების მხრივ, ვინც განზე გამდგარა. მთელ ამ იდეოლოგიას, ამ ლაყბობას თავი უნდა დავანებოთ და შევხედოთ საქმის არსს. ხოლო საქმის არსი ის არის, რომ ბრძოლა არის და იქნება კიდევ უფრო თავგანწირული, უფრო სასტიკი, ვიდრე ბრძოლა კოლჩაკთან და დენიკინთან. ეს იმიტომ, რომ ის ბრძოლა, სამხედრო ბრძოლა, — ეს ნაცადი საქმეა. ასეული და ათასეული წლების განმავლობაში ყოველთვის ომობდნენ.

ომში ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის ხელოვნების მხრივ უდიდესი მიღწევებია.

მართალია, თითქმის ყოველი მემამულის შტაბებში ისხდნენ ესერები და მენშევიკები, რომლებიც გაჰკიოდნენ ხალხის მმართველობაზე, დამფუძნებელ კრებაზე და იმაზე, რომ ბოლშევიკებმა ყველა თავისუფლება დაარღვიესო.

სამხედრო ამოცანის გადაწყვეტა, რაც უნდა იყოს, უფრო ადვილია, ვიდრე იმ ამოცანისა, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგას, სამხედრო ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება შეტევით, იერიშით, ენთუზიაზმით, იმ მუშათა და გლეხთა უდიდესი რიცხვის პირდაპირ ფიზიკური ძალით, რომლებიც ხედავდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ილაშქრებს მემამულე. ახლა აშკარა მემამულეები აღარ არიან. ვრანგელები, კოლჩაკები, დენიკინები ნაწილობრივ ნიკოლოზ რომანოვთან გავისტუმრეთ, ნაწილობრივ კი თავშეფარებული არიან საზღვარგარეთის უშიშარ ადგილებში. ამ აშკარა მტერს, — როგორც წინათ მემამულესა და კაპიტალისტს, — ხალხი ვერ ხედავს. ისეთი ნათელი სურათი, რომ მტერი უკვე ჩვენს შორის არის, და რომ ეს მტერი იგივეა, რომ რევოლუცია რაღაც უფსკრულის წინაშე დგას, რომელსაც ყველა წინანდელი რევოლუცია აწყდებოდა ხოლმე და უკან იხევდა, — ამის გაგება შეუძლებელია ხალხს ჰქონდეს, იმიტომ რომ იგი დიდად ბნელი და უცოდინარია. და ძნელია იმის თქმა, თუ სხვადასხვაგვარი საგანგებო კომისიები რამდენ ხანს მოუნდებიან ამ უცოდინარობის საგანგებოდ ლიკვიდაციას.

საიდან შეუძლია ხალხს შეიგნოს, რომ კოლჩაკის, ვრანგელის, დენიკინის ნაცვლად აქვე, ჩვენს შორისვე, მოიპოვება მტერი, რომელმაც ყველა წინანდელი რევოლუცია დაღუპა? მართლაც, თუ კაპიტალისტები გვძლევენ, ეს ხომ ძველისკენ დაბრუნებას მოასწავებს, რაც კიდევაც დაადასტურა ყველა წინანდელი რევოლუციის გამოცდილებამ. ჩვენი პარტიის ამოცანაა განავითაროს შეგნება, რომ ჩვენს შორის მყოფი მტერი არის ანარქიული კაპიტალიზმი და ანარქიული საქონელცვლა. ნათლად უნდა გვესმოდეს ბრძოლის

ეს დედაარსი და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა და გლეხთა უაღრესად ფართო მასებს ნათლად ესმოდეთ ბრძოლის ეს დედაარსი — «ვინ ვის? ვინ გაიმარჯვებს?». პროლეტარიატის დიქტატურა ყველაზე გააფთრებული, ყველაზე მძაფრი ბრძოლაა, რომელშიც პროლეტარიატს უხდება მთელ მსოფლიოსთან შებრძოლება, რადგან მთელი მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდა, როდესაც კოლჩაკსა და დენიკინს ეხმარებოდა.

ახლა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ეხმარება რუსეთის ბურჟუაზიას და იგი ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერია. ამის გამო ჩვენ სრულიადაც არ ვვარდებით პანიკაში, იმიტომ რომ მათ სამხედრო ძალებიც ჩვენზე მეტი ჰყავდათ, მაგრამ ეს საკმაო არ გამოდგა, რომ ჩვენ გავესრისეთ ომში, თუმცა ომში მათ განუზომლად მეტი ძალები ჰყავდათ არტილერიისა თუ აეროპლანების მხრივ და გაცილებით უფრო ადვილი იყო ჩვენი გასრესა. იქნებ ამისთვის საკმარისი იქნებოდა დროზე მოეხდინათ ამა თუ იმ კაპიტალისტური სახელმწიფოს რამდენიმე კორპუსის მობილიზაცია, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდნენ, და არ დაეშურათ რამდენიმე მილიონი ოქრო კოლჩაკისთვის სასესხებლად.

მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, იმიტომ რომ არხანგელსკში გადმოსხმული ინგლისელი ჯარისკაცების მასებშიც და ფრანგი მატროსების მასებშიც, რომელთაც საფრანგეთის ფლოტი აიძულეს ოდესიდან წასულიყო, შეიჭრა იმის შეგნება, რომ მართალი ვიყავით ჩვენ და არა ისინი. ახლა ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ წინანდებურად ჩვენზე ძლიერი ძალები. და აქ რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა დავეყრდნოთ ძალთა უკანასკნელ წყაროს. ძალთა უკანასკნელი წყარო კი არის მუშათა და გლეხთა მასა, მათი შეგნებულობა, მათი დარაზმულობა.

ან პროლეტარული ორგანიზებული ხელისუფლება — და მოწინავე მუშები და მოწინავე გლეხთა მცირე ნაწილი ამ ამოცანას შეიგნებენ და შესძლებენ სახალხო მოძრაობის

ორგანიზებას თავის ირგვლივ, — და მაშინ ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ.

ან ჩვენ ვერ შევძლებთ ამას, — და მაშინ მტერი, რომელსაც ჩვენზე მეტი ძალა აქვს ტექნიკის მხრივ, აუცილებლად დაგვამარცხებს.

უკანასკნელია თუ არა ეს ბრძოლა?

პროლეტარიატის დიქტატურა გააფთრებული ომია. პროლეტარიატმა გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, მაგრამ იგი საერთაშორისო მასშტაბით ჯერ კიდევ უფრო სუსტია. მან თავის ირგვლივ უნდა გააერთიანოს ყველა მუშა და გლეხი იმ შეგნებით, რომ ომი არ დამთავრებულა. თუკი ჩვენ სიმღერაში ვამბობთ, რომ «ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა», სამწუხაროდ, ეს, ცოტა არ იყოს, უმართებულოა, — სამწუხაროდ, ეს არ არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. ან თქვენ შესძლებთ მუშებისა და გლეხების შეერთებას ამ ბრძოლაში, ანდა ვერ მოიპოვებთ წარმატებას.

ასეთი ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ახლა ვხედავთ, ჯერ ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა, ხოლო გლეხთა ომები მემამულეებთან არა ერთხელ ყოფილა ისტორიაში, დაწყებული მონათმფლობელობის უძველესი დროიდან. ასეთი ომები არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების ომი თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ყველა ქვეყნის გაერთიანებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ — ასეთი ომი არასოდეს არ ყოფილა.

დავრაზმავთ თუ არა წვრილ გლეხობას მის საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე და ამ განვითარებას მხარს დაუჭერს პროლეტარული ხელისუფლება, თუ კაპიტალისტები დაიმორჩილებენ ამ წვრილ გლეხობას, — ამაზეა დამოკიდებული ბრძოლის ბედი. ათეულ რევოლუციაში იგივე იყო, მაგრამ ასეთი ომი ჯერ ქვეყნიერებას არ უნახავს. არ შეიძლებოდა ხალხს ჰქონოდა ასეთი ომების გამოცდილება. ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ იგი და ამ გამოცდილებაში

შეგვიძლია დავეყრდნოთ მხოლოდ მუშათა და გლეხთა შეგნებას. აი რაშია ამ ამოცანის დევიზი და უდიდესი სიძნელე.

უშუალო კომუნისტურ გადასვლაზე იმედს არ უნდა ვამყარებდეთ

უშუალო კომუნისტურ გადასვლაზე იმედს არ უნდა ვამყარებდეთ. ყველაფერი უნდა ავაგოთ გლეხის პირად დაინტერესებაზე. გვეუბნებიან: «გლეხის პირადი დაინტერესება — ეს კერძო საკუთრების აღდგენას ნიშნავსო». არა, მოხმარების საგნებისა და იარაღების პირადი საკუთრება, — გლეხთა მიმართ ჩვენ არასდროს არ შეგვიწყვეტია. ჩვენ მოვსპეთ მიწის კერძო საკუთრება, გლეხი კი მეურნეობას ეწეოდა მიწის კერძო საკუთრების გარეშე, მაგალითად, იჯარით აღებულ მიწაზე. ეს სისტემა ძალიან ბევრ ქვეყანაში არსებობდა. აქ ეკონომიურად შეუძლებელი არაფერია. სიძნელე იმაშია, რომ პირადად დაინტერესო. უნდა დაინტერესო აგრეთვე თვითეული სპეციალისტი იმ მხრივ, რომ იგი წარმოების განვითარებით იყოს დაინტერესებული.

შეგვწევდა თუ არა ამის უნარი? არა, არ შეგვწევდა! ჩვენ გვეგონა, რომ კომუნისტური ბრძანებისამებრ შესრულდებოდა წარმოება და განაწილება ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი დეკლასირებულია. ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეგვიძლია გავაცნოთ პროლეტარიატი ამ გადასვლას. ასეთი ამოცანები ისტორიაში ჯერ არასოდეს არ დასმულა. როცა ჩვენ ვსინჯეთ ამ ამოცანის გადაწყვეტა ერთი დაკვრით, ასე ვთქვათ, პირდაპირი იერიშით, მარცხი განვიცადეთ. ასეთი შეცდომები ყოველ ომში ხდება და მათ შეცდომებად არ თვლიან. თუ პირდაპირი იერიში არ გამოდგა, გადავიდეთ შემოვლაზე, ვიმოქმედოთ ალყის შემორტყმით და მიპარვით.

პირადი დაინტერესების პრინციპი

და ჩვენ ვამბობთ, რომ სახალხო მეურნეობის ყოველი მსხვილი დარგი უნდა ავაგოთ პირად დაინტერესებაზე. განხილვა — ერთად, ხოლო პასუხისმგებლობა — ერთპიროვნული.

ამ პრინციპის განხორციელების უუნარობით ჩვენ ბევრს ვკარგავთ ყოველ ნაბიჯზე. მთელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ეს დაყოფა გატარდეს აბსოლუტური სიმკვეთრით, აუცილებელი სიზუსტით. როცა ხალხი გადავიდა ახალ ეკონომიურ პირობებზე, იგი გაცხარებით შეუდგა იმის განხილვას, თუ რა გამოვა აქედან და როგორ უნდა ავაგოთ ეს ახლებურადო. ეს საერთო განხილვის პერიოდი რომ არ გაგვევლო, ვერაფერს დავიწყებდით, იმიტომ რომ ათვული და ასეული წლების განმავლობაში ხალხს აკრძალული ჰქონდა რაიმეს განხილვა, ხოლო რევოლუცია ვერ განვითარდებოდა სხვანაირად, თუ არ გაივლიდა ყველა საკითხზე საყოველთაო უნივერსალური მიტინგობიის პერიოდს.

ეს ბევრ რამეში არევ-დარევას ქმნიდა. ეს ასე იყო, ეს აუცილებელია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს არც საშიშია. თუ დროზე ვისწავლით მიტინგობიიდან იმის გამოყოფას, თუ რა არის საჭირო მიტინგობიისთვის და რა — მართვა-გამგეობისთვის, მხოლოდ მაშინ შევძლებთ საბჭოთა რესპუბლიკის მაღალი მდგომარეობის მოპოვებას. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ეს ჯერ ვერ ვისწავლეთ და ყრილობების უმრავლესობა. სრულიადაც ვერ მიმდინარეობს საქმიანად.

ყრილობების სიუხვით ჩვენ ვაჭარბებთ მსოფლიოს ყველა ხახელმწიფოს. არც ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკას იმდენი ყრილობები არა აქვს, რამდენიც ჩვენ გვაქვს, ისინი ვერც შეიწყნარებენ ამას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა ისეთი ქვეყანაა, რომელმაც ბევრი რამ დაჰკარგა და რომელიც გაღატაკდა; და მას უნდა ვასწავლოთ ისე იმიტინგოს, რომ ერთმანეთში არ აურიოს, როგორც ვთქვი, ის, რაც საჭიროა მიტინგობიისთვის, და ის, რაც საჭიროა მართვა-გამგეობისათვის. იმიტინგე, მაგრამ განაგე სრულიად უყოყმანოდ, განაგე უფრო მტკიცედ, ვიდრე შენამდე კაპიტალისტი განაგებდა. სხვანაირად შენ მას ვერ დაამარცხებ. უნდა გახსოვდეს, რომ გამგებლობა კიდევ უფრო მკაცრი, კიდევ უფრო მტკიცე უნდა იყოს, ვიდრე წინათ იყო.

წითელ არმიაში მრავალი თვის მიტინგობიის შემდეგ ისეთი დისციპლინა დამყარდა, რომ წინანდელი არმიის დისციპლინას არ ჩამოუვარდებოდა. მასში შემოღებული იყო სასტიკი, მკაცრი ზომები, დახვრეტაც კი, ზომები, რომლებიც ძველ მთავრობასაც კი არ უნახავს. მეშჩანები წერდნენ და ჰგოდებდნენ: «აი ბოლშევიკებმა დახვრეტა შემოიღესო». ჩვენ უნდა ვთქვათ: «დიახ, შემოვიღეთ, და სრულიად შეგნებულად შემოვიღეთ».

უნდა ვთქვათ, რომ უნდა დაიღუპონ ან ისინი, ვისაც ჩვენი დაღუპვა უნდოდა და ვინც ჩვენ დასაღუპად მიგვაჩნია, — და მაშინ გადარჩება ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა, — ანდა, პირიქით, კაპიტალისტები გადარჩებიან და რესპუბლიკა დაიღუპება. იმ ქვეყანაში, რომელიც გალატაკებულია, ან დაიღუპებიან ისინი, ვისაც წელში გამართვის უნარი არა აქვს, ანდა დაიღუპება მთელი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა. და აქ არჩევანი არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს, ისევე როგორც არ უნდა არსებობდეს რაიმე სანტიმენტალობა. სანტიმენტალობა ნაკლები დანაშაული არაა, ვიდრე თავკერძობა ომში. ვინც ახლა დისციპლინის წესს არღვევს, ის კარს უღებს მტრებს თავის წრეში.

აი რატომ ვამბობ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სწავლების მხრივაც. თქვენ აქ ლაპარაკობთ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთო. თქვენ უნდა მიხვიდეთ იქამდე, რომ თქვათ: უსწავლელთ ჩვენში ადგილი არა აქვთ. მაშინ, როდესაც კომუნიზმი იქნება, სწავლა უფრო ლმობიერი გახდება. ახლა კი ვამბობ, რომ არ შეიძლება სწავლა არ იყოს მკაცრი — დაღუპვის შიშის გამო.

შეგძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის?

ჩვენში იყო დეზერტირობა არმიიდან, ასევე იყო შრომის ფრონტზეც: შენ კაპიტალისტისთვის მუშაობდი, ექსპლოატატორისთვის მუშაობდი, და, გასაგებია, რომ ცუდად მუშაობდი; მაგრამ ახლა შენთვის მუშაობ, მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის მუშაობ. გახსოვდეს, რომ უნდა

გადაწყდეს საკითხი — შევძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, — ვიმეორებ, — ჩვენი რესპუბლიკა დაიღუპება. და ჩვენ ვამბობთ, როგორც ვამბობდით არმიაში: ან უნდა დაიღუპონ ყველა ისინი, ვისაც ჩვენი დაღუპვა უნდოდა, და აქ ჩვენ გამოვიყენებთ დისციპლინის უაღრესად მკაცრ ზომებს, ან ვიხსნით ჩვენს ქვეყანას, და იცოცხლებს ჩვენი რესპუბლიკა.

აი რანაირი უნდა იყოს ჩვენი ხაზი, აი რატომ არის (სხვათა შორის) ჩვენთვის საჭირო ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ყველამ გაუძეხით საქმეს. თქვენს გვერდით იქნებიან კაპიტალისტები, — თქვენს გვერდით იქნებიან აგრეთვე უცხოელი კაპიტალისტებიც, კონცესიონერები და მოიჯარადრეები, ისინი თქვენ გამოგტაცებენ მოგების ასეულ პროცენტებს, ისინი თქვენს გვერდით გამდიდრდებიან. დაე გამდიდრდნენ, თქვენ კი მათგან ისწავლით საქმის გაძღოლას, და მხოლოდ მაშინ შესძლებთ კომუნისტური რესპუბლიკის აშენებას. სწრაფი სწავლების აუცილებლობის თვალსაზრისით — ყოველგვარი ხელის შეშვება უდიდესი დანაშაულია. და ამ მეცნიერებას, მძიმე, მკაცრ მეცნიერებას, ხანდახან სასტიკსაც კი, უნდა დავეუფლოთ, რადგან სხვა გამოსავალი არ არის.

უნდა გახსოვდეთ, რომ მრავალი წლის განსაცდელის შემდეგ გაღატაკებული ჩვენი საბჭოთა ქვეყანა გარშემორტყმულია არა სოციალისტური საფრანგეთით და არა სოციალისტური ინგლისით, რომლებიც დაგვეხმარებოდნენ თავიანთი მაღალი ტექნიკით, თავიანთი მაღალი მრეწველობით. არა! უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა მთელი მათი მაღალი ტექნიკა, მთელი მათი მაღალი მრეწველობა ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ან უაღრესად უნდა დავძაბოთ ძალ-ღონე ყოველდღიურ შრომაში, ან აუცილებელი დაღუპვა მოგველის.

საქმის არსებული ვითარების გამო მთელი მსოფლიო ჩვენზე უფრო სწრაფად ვითარდება. კაპიტალისტური სამ-

ყარო, ვითარდება რა, მთელ თავის ძალებს ჩვენს წინააღმდეგ მიმართავს. აი როგორ დგას საკითხი! აი რატომ უნდა მივაქციოთ ამ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენი უკულტურობის პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია კაპიტალიზმის დაღუპვა პირდაპირი იერიშით. კულტურის სხვანაირი დონის დროს შეიძლებოდა ამოცანის უფრო პირდაპირი გზით გადაჭრა, — და, შესაძლოა, სხვა ქვეყნები ასეც გადაწყვეტენ, როდესაც მათი კომუნისტური რესპუბლიკების აგების დრო დადგება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია პირდაპირი გზით გადავწყვიტოთ საკითხი.

სახელმწიფომ უნდა ისწავლოს ვაჭრობა ისე, რომ მრეწველობა აკმაყოფილებდეს გლეხობას, რომ გლეხობა ვაჭრობით იკმაყოფილებდეს თავის საჭიროებებს. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველმა მშრომელმა თავისი ძალ-ღონე მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გამაგრებას მოახმაროს. მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას მსხვილი მრეწველობა.

საჭიროა, რომ ეს შეგნება შეიჭრას მასებში, და არათუ შეიჭრას მასებში, არამედ პრაქტიკულადაც განმტკიცდეს მათში. აი საიდან გამომდინარეობს, — ვამბობ მე, — პოლიტვანათლების მთავარ სამმართველოს ამოცანები. ყოველი ღრმა პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ ხალხს დიდი დრო ესაჭიროება იმისათვის, რომ ეს გადატრიალება შეითვისოს. და აი აქ დგას საკითხი — შეიგნო თუ არა ხალხმა ის გაკვეთილები, რომლებიც მას მიეცა. დიდად სამწუხაროდ, ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ვერ შეიგნო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ გაცილებით უფრო ჩქარა, გაცილებით უფრო მოკლე გზით მივიდოდით მსხვილი მრეწველობის შექმნამდე.

მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების ამოცანა, ჩვენს წინაშე დადგა სხვა ამოცანები — კულტურული ამოცანები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ «პატარა საქმეები». საჭიროა ავითვიხოთ

ეს პოლიტიკური გადატრიალება, გასაგები გავხადოთ იგი მოსახლეობის მასებისთვის, მივაღწიოთ იმას, რომ ეს პოლიტიკური გადატრიალება მარტო დეკლარაციად არ დარჩეს.

მოძველებული ხერხები

თავის დროზე საჭირო იყო ეს დეკლარაციები, განცხადებები, მანიფესტები, დეკრეტები. ყოველივე ეს ჩვენ საკმაოდ გვაქვს. თავის დროზე ასეთი რამეები აუცილებელი იყო, რათა დაგვენახვებინა ხალხისთვის, თუ როგორ და რის, რა ახალი და არნახული რამეების აშენება გვინდა. მაგრამ შეიძლება განა განვაგრძოთ იმის ჩვენება ხალხისათვის, თუ რის აშენება გვინდა? — არ შეიძლება! ასეთ შემთხვევაში სულ უბრალო მუშა სასაცილოდ აგვიგდებს. ის იტყვის: «რა ამბავია, რომ სულ იმას გვიჩვენებ, თუ როგორ გინდა ააშენო; შენ საქმით დაგვანახვე — როგორ იცი აშენება. და თუ არ იცი, ჩვენ სხვადასხვა გზა გვქონია, მოგვშორდი თავიდანო!». და ის მართალიც იქნება.

წავიდა ის დრო, როდესაც საჭირო იყო პოლიტიკურად დაგვეხატა დიადი ამოცანები, და დადგა დრო, როდესაც პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ისინი. ახლა ჩვენს წინაშეა კულტურული ამოცანები, იმ პოლიტიკური გამოცდილების ათვისების ამოცანები, რომელიც შეიძლება და უნდა განხორციელდეს. ან საბჭოთა ხელისუფლების ყველა პოლიტიკური მონაპოვრის დაღუპვა, ან ეკონომიური საძირკველი უნდა ჩავუყაროთ მათ. ეს ამჟამად არ არის. სწორედ ამას უნდა მოვკიდოთ ხელი.

კულტურის ამაღლების ამოცანა — ერთ-ერთი ყველაზე მორიგი ამოცანაა. და ეს პოლიტგანათლების ამოცანაა, თუკი იგი შესძლებს ემსახუროს «პოლიტიკურ განათლებას», რა სახელწოდებაც მან თავისთვის აირჩია. სახელის დაჩემება ძნელი არაა, მაგრამ აი ვნახოთ, როგორ არის შესრულების საქმე? იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ყრილობის შემდეგ ზუსტ მონაცემებს მივიღებთ ამის შესახებ. წერა-კითხვის უცოდი-

ნარობის სალიკვიდაციო კომისია ჩვენში შექმნილია 1920 წლის 19 ივლისს. მე განგებ, ვიდრე ყრილობაზე მოვიდოდი, წავიკითხე სათანადო დეკრეტი. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სრულიად რუსეთის კომისია... ეგ არაფერი — წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ყრილობის შემდეგ მივიღებთ მონაცემებს, თუ რამდენ გუბერნიაში და სახელდობრ რა გაკეთდა ამ სფეროში, და მივიღებთ ზუსტ ანგარიშს. მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ საჭირო გახდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის შექმნა, ამტკიცებს, რომ ჩვენა ვართ (როგორა ვთქვა უფრო რბილად?) — ასე ვთქვათ, ნახევრადველურები, იმიტომ რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხი ნახევრადველური არაა, იქ სირცხვილი იქნებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის შექმნა, — იქ სკოლებში სპობენ წერა-კითხვის უცოდინარობას. იქ ასე თუ ისე რიგიანი სკოლებია, — და ამ სკოლებში ასწავლიან. რას? უწინარეს ყოვლისა, წერა-კითხვას. მაგრამ თუ ეს ელემენტარული ამოცანა გადაწყვეტილი არაა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკი სასაცილოა.

ყველაზე დიდი სასწაული

რის ახალი ეკონომიური პოლიტიკა? ღმერთმა ქნას როგორმე ძველით გავიტანოთ თავი, თუკი გვიხდება საგანგებო ზომებით მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა. ეს — აშკარაა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად აშკარა ის არის, რომ ჩვენ სასწაულები მოვახდინეთ სამხედრო სფეროშიც და სხვა სფეროებშიც. ამ სასწაულთა შორის ყველაზე დიდი სასწაული, ჩემი აზრით, ის იქნებოდა, რომ საბოლოოდ გაგვეუქმებინა წერა-კითხვის უცოდინარობის თვით ეს სალიკვიდაციო კომისია. და რომ კვლავ აღარ წამოიჭრას ასეთი პროექტები, როგორიც აქ მოვისმინე, განსახკომისაგან გამოყოფის შესახებ. თუ ეს ასეა, თუ თქვენ ამას

ჩაუკვირდებით, დამეთანხმებით, რომ საჭიროა შევქმნათ ზოგიერთი უხეირო პროექტის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია.

ეს კიდევ ცოტაა: არ კმარა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საჭიროა კიდევ საბჭოთა მეურნეობის შექმნა, აქ კი მარტო წერა-კითხვით შორს ვერ წახვალ. ჩვენ გვესაჭიროება კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა, რომ კაცმა საქმით გამოიყენოს წერისა და კითხვის ცოდნა, რომ მას ჰქონდეს წასაკითხი, რომ მას ჰქონდეს გაზეთები და პროპაგანდისტული ბროშურები, რომ ისინი სწორად ნაწილდებოდეს და ხალხამდე აღწევდეს, რომ გზაში არ იკარგებოდეს, ასე რომ მათ ნახევარზე მეტს არც კი კითხულობენ და რაღაცას ახმარებენ კანცელარიებში, ხოლო ხალხამდე, შესაძლოა, მეოთხედიც ვერ აღწევს. უნდა ვისწავლოთ იმ მცირედის გამოყენება, რაც მოგვეპოვება.

აი რატომაა საჭირო, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით დაუღალავად ვაყენებდეთ იმ აზრს, რომ პოლიტიკური განათლება მოითხოვს კულტურის ამაღლებას რადაც უნდა დაჯდეს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წერა-კითხვის ცოდნა კულტურის ამაღლებას ემსახურებოდეს, რომ გლეხს საშუალება მიეცეს წერა-კითხვის ეს ცოდნა გამოიყენოს თავისი მეურნეობისა და თავისი სახელმწიფოს გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა კანონები ძალიან კარგია, იმიტომ რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს. მერე რა — სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? ითქმის არავინ! და არათუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონები საქმის გაჭიანურებასთან, ბიუროკრატიზმთან ანდა ისეთ ჭეშმარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორიც არის მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლე-

ნასთან ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! კანონები რამდენიც გნებავთ, იმდენია დაწერილი! მაშ რატომ არა გვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ამ ბრძოლას მარტოოდენ პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება. ჩვენში კომუნისტებმა, ნახევარზე არანაკლებმა, არ იციან ბრძოლა, რომ არაფერი ვთქვათ ისეთებზე, რომლებიც ხელს უშლიან ბრძოლას. მართალია, თქვენს შორის 99% კომუნისტია, და თქვენ იცით, რომ ხსენებულ კომუნისტებს ახლა ვუკეთებთ ოპერაციას, რომელსაც ატარებს პარტიის გამწმენდი კომისია, და არის იმედი, რომ 100 ათასს კაცს ჩვენი პარტიიდან განვდევნით. ზოგიერთები ამბობენ, რომ 200 ათასსო, — და ამ უკანასკნელთა აზრი მე უფრო მომწონს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი პარტიიდან გავაგდებთ 100-დან 200 ათასამდე კომუნისტს, რომლებიც მიეტმასნენ პარტიას და რომელთაც არათუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელსაც უშლიან მათთან ბრძოლას.

პოლიტგანათლების მუშაკთა ამოცანები

ჩვენი პარტიიდან რომ ას-ორას ათასს გავწმენდდეთ, ეს სასარგებლო იქნება, მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაწილია იმისა, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. საჭიროა, რომ პოლიტგანათლების სამმართველოებმა მთელი თავიანთი მუშაობა შეუფარდონ ამ მიზანს. წერა-კითხვის უცოდინარობას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნაც არ კმარა, საჭიროა ის კულტურა, რომელიც გვასწავლის ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან. ეს ისეთი სატკივარია, რომელსაც ვერავითარი სამხედრო გამარჯვებით და ვერავითარი პოლიტიკური გარდაქმნით ვერ განკურნავ. არსებითად ამ სატკივარს ვერ განკურნავ სამხედრო გამარჯვებებით და პოლიტიკური გარდაქმნებით, მისი განკურნება

შეიძლება მხოლოდ კულტურის აღმავლობით. და ეს ამოცანა ეკისრებათ პოლიტგანებს.

საჭიროა, რომ პოლიტგანათლების მუშაკებს თავიანთი ამოცანები ესმოდეთ არა მოხელურად, რასაც აგრეთვე ძალიან ხშირად ვამჩნევთ ხოლმე, როდესაც ლაპარაკია: განა არ შეიძლება პოლიტგანათლების საგუბერნიო სამმართველოს წარმომადგენელი შევიყვანოთ საგუბერნიო ეკონომიურ თათბირში წევრადო [13]. უკაცრავად, თქვენი შეყვანა არსად არ არის საჭირო, არამედ საჭიროა, რომ თქვენს ამოცანებს წყვეტდეთ როგორც უბრალო მოქალაქეები. როდესაც თქვენ დაწესებულებაში შედიხართ, თქვენ ბიუროკრატდებით, ხოლო თუ საქმე გექნებათ ხალხთან და პოლიტიკურად გაანათლებთ მას, გამოცდილება დავანახვებთ, რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხში ქრთამი აღარ იქნება, ჩვენში კი იგი ყოველ ნაბიჯზეა. შეგეკითხებიან: როგორ მოვიქცეთ, რომ ქრთამი არ იყოს, რომ აღმასკომში ესა და ეს კაცი ქრთამს არ იღებდეს, გვასწავლეთ, როგორ მივაღწიოთ ამას? და თუ პოლიტგანის მუშაკები იტყვიან: «ეს ჩვენს უწყებას არ ეხებაო», «ამის შესახებ გამოცემული გვაქვს ბროშურები და პროკლამაციებიო», ხალხი გეტყვით: «პარტიის ცუდი წევრები ყოფილხართ: მართალია, ეს თქვენს უწყებას არ ეხება, ამისთვის არსებობს მუშგლეხინი, მაგრამ თქვენ ხომ პარტიის წევრებიც ხართ». თქვენ პოლიტიკური განათლების სახელი დაირქვით. როდესაც ასეთ სახელს ირქმევდით, გაფრთხილებდნენ: სახელწოდების არჩევაში ძალიან ნუ შეტოპავთ, უბრალო სახელი დაირქვითო. მაგრამ თქვენ გინდოდათ პოლიტიკური განათლების სახელი დაგერქვათ, ხოლო ეს სახელი ბევრ რამეს შეიცავს. თქვენ ხომ იმ ადამიანთა სახელი არ დაგირქმევიათ, რომლებიც ხალხს ანაბანას ასწავლიან, თქვენ დაირქვით პოლიტიკური განათლების სახელი. შეიძლება გითხრან: «ძალიან კარგია, რომ ხალხს ასწავლით კითხვას, წერას, ეკონომიური კამპანიის ჩატარებას, ყველაფერი ეს ჩინებულია, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური განათლება,

იმიტომ რომ პოლიტიკური განათლება ნიშნავს ყველაფრის შეჯამებას».

ჩვენ ვეწევით და ვიმედოვნებთ თქვენც ეწევით პროპაგანდას ბარბაროსობის წინააღმდეგ და ისეთ სატკივართა წინააღმდეგ, როგორიცაა ქრთამი, მაგრამ პოლიტიკური განათლება არ ამოიწურება ამ პროპაგანდით; პოლიტიკური განათლება ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, იგი ნიშნავს — ასწავლო ხალხს, თუ როგორ მიაღწიოს ამას, აჩვენო სხვებს ასეთი მაგალითები არა როგორც აღმასკომის წევრმა, არამედ როგორც უბრალო მოქალაქემ, რომელიც პოლიტიკურად სხვებზე .უფრო განათლებულია და შეუძლია არა მარტო გვლანძღოს საქმის ყოველგვარი გაჭიანურებისთვის, — ეს ჩვენში ფართოდ ვრცელდება, — არამედ გვაჩვენოს, თუ როგორ შეიძლება საქმით ამ ბოროტების დაძლევა. ეს ძალიან ძნელი ხელოვნებაა, რომელსაც ვერ გადაწყვეტ საერთოდ კულტურის აუმაღლებლად, უიმისოდ, თუ მუშათა და გლეხთა მასა არ გახადე იმაზე უფრო კულტურული, ვიდრე ჩვენი ახლანდელი კულტურაა! მე მინდა პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს ამ ამოცანას ყველაზე მეტად მივაქციო ყურადღება.

მე მინდა დასკვნა გავუკეთო ყოველივე იმას, რაც ვთქვი, და პრაქტიკულად შევაჯამო ყველა ის ამოცანა, რომელიც საგუბერნიო პოლიტგანების წინაშე დგას.

სამი მთავარი მტერი

ჩემი შეხედულებით, ამჟამად ადამიანის წინაშე დგას სამი მთავარი მტერი, მიუხედავად ამ ადამიანის საუწყებო როლისა, ამოცანები, რომლებიც პოლიტგანათლების მუშაკის წინაშე დგას, თუ ეს ადამიანი კომუნისტია, ხოლო ასეთები უმრავლესობაა. ეს სამი მთავარი მტერი, რომლებიც მის წინაშე დგას, შემდეგია: პირველი მტერია — კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე — წერა-კითხვის უცოდინარობა და მესამე — ქრთამი.

პირველი მტერია კომუნისტური ყოყოჩობა

კომუნისტური ყოყოჩობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გაწმენდილი, წარმოუდგენია, რომ ყველა თავის ამოცანის გადაწყვეტა მას შეუძლია კომუნისტური დეკრეტირებით. რაკი ის მმართველი პარტიის და ამა და ამ სახელმწიფო დაწესებულების წევრია, ამის გამო მას წარმოუდგენია, რომ ეს შესაძლებლობას აძლევს მას ილაპარაკოს პოლიტიკური განათლების შედეგებზე. ნურას უკაცრავად! ეს მხოლოდ კომუნისტური ყოყოჩობაა. ვისწავლოთ პოლიტიკური განათლების გავრცელება — აი რაშია საქმე, ჩვენ კი ეს ვერ ვისწავლეთ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის სწორი მიდგომა ამისადმი.

მეორე მტერია წერა-კითხვის უცოდინაობა

მეორე მტრის — წერა-კითხვის უცოდინარობის — შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს არის პირობა, ურომლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია. წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა.

მესამე მტერია ქრთამი

დასასრულ, თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის, აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება,

თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება, აქ არ არის იმის ძირითადი პირობა, რომ შესაძლელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი. რომ შესაძლებელი იყოს გავაცნოთ ხალხს ჩვენი პოლიტიკური ამოცანები, რომ შესაძლებელი იყოს ვაჩვენოთ ხალხის მასებს: «აი რა ამოცანებისკენ უნდა ვისწრაფოდეთო» (ეს კი ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა!), უნდა შევიგნოთ, რომ აქ საჭიროა მასების კულტურული დონის ამაღლება. და კიდევაც უნდა მივაღწიოთ კულტურის ამ განსაზღვრულ დონეს. უამისოდ საქმით ჩვენი ამოცანების განხორციელება შეუძლებელია.

განსხვავება სამხედრო და კულტურულ ამოცანებს შორის

კულტურული ამოცანა ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები. უნდა შევიგნოთ, რომ წინსვლის პირობები ახლა სულ სხვაა. კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება რამდენიმე კვირაში შეიძლება. ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში, ხოლო კულტურის დარგში გამარჯვება ასეთ ვადაში შეუძლებელია, თვით საქმის არსის გამო აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა, და საჭიროა ამ უფრო გრძელ ვადას შეეგუო, გაითვალისწინო შენი მუშაობა, გამოიჩინო უდიდესი შეუპოვრობა, სიმტკიცე და სისტემატურობა. უამთვისებებოდ პოლიტიკური განათლების საქმეს არც კი უნდა მოჰკიდო ხელი. ხოლო პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით გაიზომოს. არათუ საჭიროა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, მოვსპოთ ქრთამი, რომელიც ეყრდნობა წერა-კითხვის უცოდინარობის ნიადაგს, არამედ საჭიროა, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი სახელმძღვანელოები, ჩვენი ბროშურები ხალხმა საქმით შეითვისოს და რომ ამის შედეგად მივიღოთ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება.

აი რა ამოცანები დგას პოლიტგანის წინაშე ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, და მინდა იმედი ვიქონიო, რომ, ამ ჩვენი ყრილობის მეოხებით, დიდ წარმატებას მივაღწევთ ამ საქმეში.

«პოლიტგანების სრულიად რუსეთის მე-2 ყრილობა. ყრილობის ბიულეტენი» № 2, 1921 წ. 19 ოქტომბერი

იბეჭდება ბიულეტენის კორექტურული ანაბეჭდის მიხედვით, რომელიც გასწორებულია ვ. ი. ლენინის მიერ

მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიული კონფერენცია [14]

1921 წ. 29 — 31 ოქტომბერი

დაბეჭდილია 1921 წ. 3 და 4 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» №№ 248 და 249

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ

1

მოხსენება 1921 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე

ამხანაგებო! ვიწყებ რა მოხსენებას ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნო, რომ ეს თემა ისე არ მესმის, როგორც, შესაძლოა, ბევრი აქ დამსწრე მოელოდეს, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მე შემიძლია ავიღო ამ თემის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი. ბუნებრივია, რომ ამ საკითხში მთავარი ინტერესი შეიძლება მიმართული იყოს საბჭოთა ხელისუფლების იმ უკანასკნელ კანონთა და დადგენილებათა გაცნობისა და შეფასებისაკენ, რომლებიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ეხებიან. ასეთი თემისადმი ინტერესი მით უფრო კანონიერი იქნებოდა, რაც უფრო მეტია ამ დადგენილებათა რაოდენობა და რაც უფრო უცილობელია მათი გაფორმებისა, მოწესრიგებისა და შეჯამების საჭიროება, ხოლო ეს საჭიროება, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო სახკომსაბჭოში დაკვირვებათა მიხედვით, ამჟამად ფრიად და ფრიად საგრძნობია. სწორედ ასევე არა ნაკლებ კანონიერი იქნებოდა იმის სურვილი, რომ გავეცნოთ ფაქტებსა და ციფრებს, რომლებიც უკვე მოიპოვება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგთა საკითხზე. რა თქმა უნდა, ასეთი დადასტურებული და შემოწმებული ფაქტების რიცხვი ჯერ კიდევ დიდი არ არის, მაგრამ ეს ფაქტები მაინც მოიპოვება. და, ეჭვი არ არის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გასაცნობად ამ ფაქტების თვალყურის დევნება და მათი შეჯამების ცდა აბსოლუტურად აუცილებელია. მაგრამ ვერც პირველ და ვერც მეორე თემას მე ვერ ვიკისრებ, და თუ თქვენ

გამოიჩენთ ინტერესს მათდამი, დარწმუნებული ვარ, იპოვით მომხსენებლებს ამ თემებისთვის. მე კი სხვა თემა მაინტერესებს, სახელდობრ — ტაქტიკის საკითხი ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რევოლუციური სტრატეგიის საკითხი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ჩვენი პოლიტიკის შემობრუნებასთან დაკავშირებით, და იმის პირობების შეფასების საკითხი, თუ რამდენად შეეფერება ეს პოლიტიკა, ერთი მხრივ, ჩვენი ამოცანების საერთო გაგებას ჩვენ მიერ, და მეორე მხრივ — რამდენად შეეწყო ჩვენი ახლანდელი პარტიული ცოდნა და პარტიული შეგნება ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობას. აი მხოლოდ და მხოლოდ ამ სპეციალურ საკითხს მინდა მივუძღვნა ჩემი საუბარი.

უწინარეს ყოვლისა მე მაინტერესებს საკითხი, რა აზრით შეიძლება ლაპარაკი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის მცდარობაზე ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეფასების დროს, სწორი იქნება თუ არა დავახასიათოთ იგი როგორც შეცდომა და, დასასრულ, თუ ეს სწორია, რა აზრით შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი შეფასება სასარგებლოდ და აუცილებლად?

ამ საკითხს, მე მგონია, მნიშვნელობა აქვს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეთანხმებული ვართ ურთიერთშორის ამჟამად პარტიაში ჩვენი ახლანდელი ეკონომიური პოლიტიკის უაღრესად ძირითად საკითხებზე.

ამჟამად პარტიის ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს ამ ეკონომიური პოლიტიკის მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე, თუ ეს ყურადღება შეჩერებულ უნდა იქნეს, ყოველ შემთხვევაში დროდადრო მაინც, ამ პოლიტიკის საერთო პირობების შეფასებაზე და იმაზე, შეეფერება თუ არა პარტიული შეგნება, პარტიული ინტერესი და პარტიული ყურადღება ამ საერთო პირობებს? მე ვფიქრობ, რომ ამჟამად მდგომარეობა სწორედ ისეთია, რომ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა პარტიის ფართო წრეებისთვის ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გარკვეული, და თუ წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის მცდარობაზე ნათელი წარმოდგენა არ ვიქონიეთ, წარმატებით ვერ შევასრულებთ ჩვენი

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების შექმნისა და მისი მიმართულების საბოლოოდ გარკვევის საქმეს.

ჩემი აზრი რომ განვმარტო და ვუპასუხო კითხვას, თუ რა მნიშვნელობით შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ, ჩემი შეხედულებით, ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის მცდარობაზე, ჩემს თავს ნებას მივცემ შესადარებლად მოვიყვანო რუსეთ-იაპონიის ომის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც, მე მგონია, დაგვეხმარება უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ პოლიტიკის სხვადასხვა სისტემისა და ხერხის თანაფარდობა ისეთ რევოლუციაში, როგორიცაა ჩვენი რევოლუცია. მაგალითი, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ეს არის იაპონელი გენერლის ნოგის მიერ პორტ-არტურის აღება. ის ძირითადი, რაც მე ამ მაგალითში მაინტერესებს, იმაში მდგომარეობს, რომ პორტ-არტურის აღებამ ორი სულ სხვადასხვანაირი სტადია განვლო. პირველი სტადია იყო გააფთრებული იერიშები, რომლებიც მარცხით დამთავრდა და სახელგანთქმულ იაპონელ მხედართმთავარს უამრავი მსხვერპლი დაუჯდა. მეორე სტადია — როდესაც საჭირო გახდა გადასვლა ციხე-სიმაგრის მეტისმეტად მძიმე, მეტისმეტად ძნელსა და ნელ ალყაზე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს, ამასთან განსაზღვრული დროის განვლის შემდეგ ციხე-სიმაგრის აღების ამოცანა სწორედ ამ გზით იქნა გადაწყვეტილი. თუ ამ ფაქტებს გავითვალისწინებთ, მაშინ, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა: რა აზრით შეიძლება შეფასდეს, როგორც შეცდომა, პორტ-არტურის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ იაპონელი გენერლის მოქმედების პირველი ხერხი? შემცდარი იყო თუ არა პირდაპირი იერიშები ციხე-სიმაგრეზე? და თუ ეს იერიშები შეცდომა იყო, მაშინ იაპონიის არმიას ამ ამოცანის შესასრულებლად რა პირობებში უნდა ელაპარაკნა ამ მცდარობაზე და რამდენად უნდა შეეცნო ეს მცდარობა?

რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ძალიან მარტივად გვეჩვენება პასუხი ამ კითხვაზე. თუკი მთელი რიგი პირდაპირი იერიშები პორტ-არტურზე უშედეგო გამოდგა — ეს კი ფაქტია, — თუკი მსხვერპლი, რომელიც თავდამსხმელმა მხარემ

გაიღო ამ დროს, წარმოუდგენლად დიდი იყო, — ხოლო ესეც უდავო ფაქტია, — აქედან უკვე ცხადია, რომ პორტ-არტურის ციხე-სიმაგრეზე უშუალო და პირდაპირი იერიშის ტაქტიკის მცდარობა არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ისეთი ამოცანის გადაწყვეტის დროს, რომელშიც ძალიან ბევრი იყო უცნობი, — ძნელია სათანადო პრაქტიკული გამოცდილების უქონლად აბსოლუტური ანდა თუნდაც საკმაოდ დიდი მიახლოებით და სიზუსტით განსაზღვრო, თუ რომელი ხერხი შეიძლება იხმარო მტრის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ. ამის განსაზღვრა შეუძლებელი იყო უიმისოდ, რომ პრაქტიკულად არ გამოეცადათ, თუ რა ძალას წარმოადგენს ციხე-სიმაგრე — როგორია მის სიმაგრეთა ძალოვნება, როგორია მისი გარნიზონის მდგომარეობა და სხვ.. უამისოდ ციხე-სიმაგრის აღების სწორი ხერხის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო თვით ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავრისთვისაც კი, რომელთა რიცხვს უეჭველად ეკუთვნოდა გენერალი ნოგი. მეორე მხრივ, მთელი ომის მიზანი და მისი წარმატებით დამთავრების პირობები მოითხოვდა ამ ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობათა შორის ყველაზე სწრაფ გადაწყვეტას; ამავე დროს უდიდესი შანსები იყო იმის სასარგებლოდ, რომ ფრიად დიდი მსხვერპლიც კი, თუ იგი აუცილებელი გახდებოდა ციხე-სიმაგრის იერიშით ასაღებად, ერთიორად გამოსყიდული იქნებოდა. ეს მსხვერპლი გაათავისუფლებდა იაპონიის არმიას ოპერაციებისთვის ომის სხვა ფრონტებზე, დაამთავრებდა ერთ-ერთ უაღრესად არსებით ამოცანას იმ მომენტამდე, ვიდრე მტერი, ე. ი. რუსეთის არმია, მოასწრებდა ბრძოლის შორეულ ველზე დიდი ძალების გადასროლას, მათ უკეთ მომზადებას და, ვინ იცის, იქნებ ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომ იგი იაპონიის არმიაზე ბევრჯერ უფრო ძლიერი აღმოჩენილიყო.

თუ თვალს გადავავლებთ მთლიანად სამხედრო ოპერაციის განვითარებას და იმ პირობებს, რომლებშიც იაპონიის არმია მოქმედებდა, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ეს

იერიშები პორტ-არტურზე მოასწავებდა არა მარტო იმ არმიის უდიდეს გმირობას, რომელსაც უდიდესი მსხვერპლის გაღების უნარი აღმოაჩნდა, არამედ მოასწავებდა აგრეთვე იმ ერთადერთ შესაძლებელ ღონისძიებას მაშინდელ პირობებში, ე. ი. ოპერაციების დასაწყისში, რაც აუცილებელი და სასარგებლო იყო, იმიტომ რომ ძალების შეუმოწმებლად ციხე-სიმაგრის იერიშით აღების პრაქტიკულ ამოცანაზე, წინააღმდეგობის ძალის გამოუცდელად უსაფუძვლო იქნებოდა უფრო ხანგრძლივი და უფრო მძიმე ბრძოლის დაწყება, ბრძოლისა, რომელიც მარტო თავისი ხანგრძლიობის გამო შეიცავდა მთელ რიგ სხვაგვარ საფრთხეს. მთელი ოპერაციის თვალსაზრისით ჩვენ არ შეგვიძლია ამ ოპერაციის პირველი ნაწილიც, რომელიც მდგომარეობს იერიშებში, არ განვიხილოთ როგორც აუცილებელი ნაწილი, როგორც სასარგებლო ნაწილი, იმიტომ რომ, ვიმეორებ, ასეთი გამოცდილების უქონლად იაპონიის არმიას ვერ ექნებოდა ბრძოლის კონკრეტული პირობების საკმაო ცოდნა. როგორი იყო ამ არმიის მდგომარეობა, როდესაც იგი ამთავრებდა მტრის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ იერიშებით ბრძოლის პერიოდს? აი შევწირეთ ათასობით, კიდევ ათასობით შევწირავთ, ციხე-სიმაგრეს კი ამ გზით ვერ ავიღებთ — ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც ნაწილი თუ უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ საჭიროა უარი ვთქვათ იერიშზე და ალყაზე გადავიდეთო. თუკი ტაქტიკაში შეცდომა აღმოჩნდა, ამ შეცდომას ბოლო უნდა მოეღოს, და ყოველივე ის, რაც ამ შეცდომასთან არის დაკავშირებული, უნდა ჩაითვალოს იმ მოქმედების ხელის შეშლად, რომელიც შეცვლას მოითხოვს: უნდა შევწყვიტოთ იერიში და გადავიდეთ ალყაზე, ჯარების სხვაგვარ განლაგებაზე, მატერიალურ ნაწილთა გადაჯგუფებაზე, ცალკეულ ხერხთა და მოქმედებათა შესახებ. რომ არაფერი ვთქვათ. ის, რაც წინათ იყო, გადაჭრით, ზუსტად და ნათლად უნდა ვაღიაროთ შეცდომად, რათა ხელი არ შეგვეშალოს ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებაში, იმ ოპერაციების განვითარებაში, რაც ახლა სულ სხვანაირად უნდა წარმართულიყო

და რაც, როგორც ვიცით, სრული წარმატებით დამთავრდა, თუმცა ამას გაცილებით მეტი დრო მოუნდა, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

მე ვფიქრობ, რომ ეს მაგალითი გამოდგება იმის განსამარტებლად, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი რევოლუცია თავისი სოციალისტური ამოცანების გადაწყვეტის დროს სამეურნეო მშენებლობის დარგში. ამ მხრივ ორი პერიოდი სავსებით მკაფიოდ გამოიყოფა. ერთი მხრივ, პერიოდი დაახლოებით 1918 წლის დასაწყისიდან ვიდრე 1921 წლის გაზაფხულამდე და მეორე მხრივ — ის პერიოდი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით 1921 წლის გაზაფხულიდან.

თუ გაიხსენებთ იმ ოფიციალურსა თუ არაოფიციალურ განცხადებებს, რომელთაც ჩვენი პარტია აკეთებდა 1917 წლის დამლევიდან და 1918 წლის დამდეგამდე, დაინახავთ, რომ ჩვენ მაშინაც გვქონდა წარმოდგენა იმაზე, რომ რევოლუციის განვითარება, ბრძოლის განვითარება შეიძლება წარიმართოს როგორც შედარებით მოკლე გზით, ისე მეტად გრძელი და მძიმე გზით. მაგრამ შესაძლებელი განვითარების შეფასების დროს ჩვენ უმეტესად, გამონაკლისი არც კი მაგონდება, გამოვდიოდით უშუალოდ სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის ვარაუდიდან, რომელიც, შეიძლება, ყოველთვის აშკარად არ იყო გამოთქმული, მაგრამ ყოველთვის ჩუმად იგულისხმებოდა. მე განგებ გადავიკითხე ის, რაც იწერებოდა, მაგალითად, 1918 წლის მარტსა და აპრილში ჩვენი რევოლუციის ამოცანების შესახებ სოციალისტური მშენებლობის დარგში[15], და დავრწმუნდი, რომ ასეთი ვარაუდი ჩვენ მართლაც გვქონდა.

ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც უკვე გადაწყვეტილი იყო ისეთი არსებითი, და პოლიტიკური მხრივ აუცილებლობის გამო ისეთი წინასწარი ამოცანა, როგორიცაა ძალაუფლების აღების, წინანდელი ბურჟუაზიულ-პარლამენტური სისტემის სახელმწიფოს ნაცვლად საბჭოთა სისტემის სახელმწიფოს შექმნის ამოცანა, და შემდეგ იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის ამოცანა, ამასთან ეს გამოსვლა,

როგორც ვიცით, დაკავშირებული იყო განსაკუთრებით მძიმე მსხვერპლთან, წარმოუდგენლად დამამცირებელ ბრესტის ზავის დადებასთან, ზავისა, რომელიც თითქმის შეუძლებელ პირობებს გვიყენებდა. ამ ზავის დადების შემდეგ პერიოდი 1918 წლის მარტიდან ზაფხულამდე ისეთი პერიოდი იყო, როდესაც სამხედრო ამოცანები გადაწყვეტილი გვეგონა. შემდეგში მოვლენებმა დაგვანახვეს, რომ ეს ასე არ იყო, რომ 1918 წლის მარტში, იმპერიალისტური ომის ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ, ჩვენ მხოლოდ ვუახლოვდებოდით სამოქალაქო ომის დასაწყისს, რომელიც 1918 წლის ზაფხულიდან ჩეხოსლოვაკთა აჯანყებასთან დაკავშირებით უფრო და უფრო მეტად გვემუქრებოდა. მაშინ, 1918 წლის მარტსა თუ აპრილში, როდესაც ჩვენს ამოცანებზე ვლაპარაკობდით, თანდათანობითი გადასვლის მეთოდებს ჩვენ უკვე ვუპირისპირებდით მოქმედების ისეთ ხერხებს, როგორიცაა ბრძოლის საშუალება, მიმართული უმთავრესად ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისაკენ, იმისაკენ, რაც ახასიათებდა უმთავრესად რევოლუციის პირველ თვეებს, ე. ი. 1917 წლის დამლევსა და 1918 წლის დამდეგს. და უკვე მაშინ გვიხდებოდა ლაპარაკი, რომ ჩვენი მუშაობა აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციის სფეროში ძლიერ ჩამორჩა მუშაობასა და მოქმედებას ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის სფეროში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ იმაზე ბევრად მეტი ექსპროპრიაცია მოვახდინეთ, რისი აღრიცხვაც, კონტროლიც, გამგებლობაც და სხვ. შევძელით; ამრიგად, რიგში დადგა ექსპროპრიაციის ამოცანიდან, ექსპლოატატორთა და ექსპროპრიატორთა ძალაუფლების შემუსვრის ამოცანიდან აღრიცხვისა და კონტროლის მოწყობის ამოცანაზე, ასე ვთქვათ, ყოველდღიური, უშუალო მშენებლობის სამეურნეო ამოცანებზე გადასვლა. და უკვე მაშინ მთელ რიგ პუნქტებში უკან უნდა დაგვეხია. მაგალითად, 1918 წ. მარტსა და აპრილში დადგა ისეთი საკითხი, როგორიცაა სპეციალისტების გასამრჯელოს დაწესება იმ განაკვეთის მიხედვით, რომელიც შეეფერებოდა არა სოციალისტურ, არამედ ბურჟუაზიულ

ურთიერთობას, ე. ი. იმ განაკვეთის მიხედვით, რომელიც შრომის სიძნელეს ან განსაკუთრებით მძიმე პირობებს კი არ შეეფარდებოდა, არამედ ბურჟუაზიულ ჩვეულებსა და ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებს. სპეციალისტების ამგვარი განსაკუთრებით მაღალი, ბურჟუაზიულად მაღალი, გასამრჯელო თავდაპირველად არ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების გეგმაში და არ შეეფერებოდა 1917 წლის დასასრულის მთელ რიგ დეკრეტებსაც კი. მაგრამ 1918 წლის დამდეგს ჩვენი პარტია პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ ამ მხრივ ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი უკან და უნდა მივიღოთ ერთგვარი «კომპრომისი» (მე ვხმარობ იმ სიტყვას, რომელიც მაშინ იხმარებოდა). სრ. რუს. ცაკ-ის 1918 წ. 29 აპრილის გადაწყვეტილებით საჭიროდ იქნა ცნობილი ასეთი ცვლილების შეტანა ხელფასის საერთო სისტემაში[16].

ჩვენს საამშენებლო, სამეურნეო მუშაობას, რომელიც ჩვენ მაშინ პირველ რიგში წამოვაყენეთ, განვიხილავდით ერთი თვალთახედვით. მაშინ ნავარაუდევი იყო სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის განხორციელება წინასწარი პერიოდის გაუვლელად, რომელიც ძველ ეკონომიკას სოციალისტურ ეკონომიკას შეუგუებდა. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ სახელმწიფო წარმოებისა და სახელმწიფო განაწილების შექმნით ჩვენ უკვე უშუალოდ შევედით წინა სისტემასთან შედარებით წარმოებისა და განაწილების სხვა ეკონომიურ სისტემაში. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ორივე სისტემა — სახელმწიფო წარმოებისა და განაწილების სისტემა და კერძო სავაჭრო წარმოებისა და განაწილების სისტემა — ერთიმეორესთან ბრძოლას დაიწყებდა ისეთ პირობებში, რომ ჩვენ სახელმწიფო წარმოებასა და განაწილებას ისე ავაგებდით, რომ მტრულ სისტემას თანდათანობით გამოვაცლიდით ამას ხელიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ ახლა უკვე ჩვენი ამოცანაა იმდენად არა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, რამდენადაც აღრიცხვა, კონტროლი, შრომის ნაყოფიერების გადიდება, დისციპლინის განმტკიცება. ამას ჩვენ ვამბობდით 1918 წ. მარტსა და აპრილში, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ

ვაყენებდით საკითხს, თუ რა თანაფარდობაში აღმოჩნდებოდა ჩვენი ეკონომიკა ბაზრისადმი, ვაჭრობისადმი. როდესაც ამხანაგების ერთ ნაწილთან კამათის დროს, რომლებსაც დაუშვებლად მიაჩნდათ ბრესტის ზავი, ჩვენ დავაყენეთ, მაგალითად, 1918 წლის გაზაფხულზე სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი, ეს საკითხი ისე კი არ იყო დაყენებული, რომ ჩვენ დავიხევთ უკან, სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, არამედ ისე, რომ ჩვენი მდგომარეობა უფრო იოლი იქნებოდა და ჩვენ მიერ სოციალისტური ამოცანების გადაწყვეტა უფრო ახლოს იქნებოდა, ჩვენში, რუსეთში, გაბატონებული სამეურნეო სისტემის სახით რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი იყოსო. მე მინდა თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მივაქციო ამ გარემოებას, იმიტომ რომ ეს მე აუცილებლად მიმაჩნია იმის გასაგებად, თუ რაში მდგომარეობდა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა და როგორ უნდა შეფასდეს ეს ცვლილება.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც უფრო კონკრეტულად, უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახვებს იმ პირობებს, რომლებშიც გაიშალა ჩვენი ბრძოლა. ამას წინათ მოსკოვში ხელთ ჩამივარდა კერძო ხასიათის გამოცემა «ლისტოკ ობიავლენიი»[17]. ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის შემდეგ ამ «ლისტოკ ობიავლენიიმ» რაღაც სრულიად უჩვეულო, სრულიად ახლისა და უცნაურის შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საერთო წესების თვალსაზრისით აქ უცნაური არაფერია. საჭიროა გავიხსენოთ, თუ ავიღებთ ამ პატარა, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელ მაგალითს, როგორ ვითარდებოდა ბრძოლა, როგორი იყო ამ ბრძოლის ამოცანები და ხერხები ჩვენს რევოლუციაში საერთოდ. ერთ-ერთი პირველი დეკრეტი 1917 წლის დასასრულს იყო დეკრეტი განცხადებების სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. რას ნიშნავდა ეს დეკრეტი? იგი ნიშნავდა, რომ პროლეტარიატი, რომელმაც ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, ვარაუდობს ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაზე გადასვლას რაც

შეიძლება თანდათანობით — არა კერძო პრესის მოსპობას, არამედ მის დამორჩილებას განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისადმი, მის ჩაყენებას სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტში. დეკრეტი, რომელიც აწესებდა სახელმწიფო მონოპოლიას განცხადებებზე, ამით ვარაუდობდა, რომ რჩება კერძოსამეწარმეო გაზეთები, როგორც საერთო მოვლენა, რომ რჩება ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს კერძო განცხადებებს, რჩება კერძო საკუთრების წესიც — რჩება მთელი რიგი კერძო საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ რეკლამებს, განცხადებებს. ასეთი იყო და მხოლოდ ასე შეიძლებოდა გააზრებული ყოფილიყო დეკრეტი კერძო განცხადებათა მონოპოლიის შემოღების შესახებ. ამასთან მსგავსება აქვს იმ დეკრეტებსაც, რომლებიც ეხება საბანკო საქმეს, მაგრამ ამაზე არ ვილაპარაკებ, რათა არ გავართულო მაგალითი.

რა ბედი ეწია დეკრეტს კერძო განცხადებათა მონოპოლიის შემოღების შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ კვირეებში გამოიცა? მისი ბედი ისეთი იყო, რომ იგი სულ მალე მთლად იქნა აღგვილი. როდესაც ახლა ვიგონებთ ბრძოლის განვითარებას და იმ პირობებს, რომლებშიც ეს ბრძოლა მიმდინარეობდა მას შემდეგ, სასაცილოა ახლანდელ ვითარებაში გახსენება იმისა, თუ რამდენად გულუბრყვილონი ვიყავით, რომ 1917 წლის დამლევს ვლაპარაკობდით კერძო განცხადებებზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ. რა კერძო განცხადებები შეიძლებოდა ყოფილიყო გააფთრებული ბრძოლის პერიოდში! მტერმა, ე. ი. კაპიტალისტურმა სამყარომ, საბჭოთა ხელისუფლების ამ დეკრეტს უპასუხა ბრძოლის განგრძობით და მის უდიდეს გამძაფრებამდე, ბოლომდე მიყვანით. დეკრეტი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარული დიქტატურა ისეა განმტკიცებული, რომ სხვა რაიმე ეკონომიკა შეუძლებელია იყოს, რომ ამ ეკონომიკისადმი დამორჩილების აუცილებლობა იმდენად აშკარაა კერძო მეწარმეთა და ცალკეულ მეპატრონეთა მთელი მასისთვის,

რომ ისინი ბრძოლას მიიღებენ იმ ნიადაგზე, რომელზედაც ჩვენ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ვაყენებდით ამ ბრძოლას. თქვენ, — ვეუბნებოდით მათ, — გრჩებათ კერძო გამოცემები, გრჩებათ კერძო თაოსნობა, გრჩებათ ამ საწარმოთა მომსახურებისათვის აუცილებელი განცხადებების თავისუფლება, წესდება მხოლოდ სახელმწიფო გადასახადი ამ განცხადებებზე, წესდება მხოლოდ მათი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში, ხოლო თავისთავად კერძო განცხადებათა სისტემა არათუ არ ირღვევა, არამედ, პირიქით, თქვენ გეძლევათ ერთგვარი სარფა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ინფორმაციის საქმის წესიერ კონცენტრაციასთან. მაგრამ სინამდვილეში ის გამოვიდა, რომ ჩვენ ბრძოლის გაშლა მოგვიხდა სულ სხვა სარბიელზე. მტერმა, ე. ი. კაპიტალისტთა კლასმა, სახელმწიფო ხელისუფლების ამ დეკრეტს უპასუხა მთელი ამ სახელმწიფო ხელისუფლების სრულიად უარყოფით. არავითარ განცხადებებზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც კი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური რამ დარჩა ჩვენს წყობილებაში, უკვე მაშინ მთელ თავის ძალას მიმართავდა თვით ხელისუფლების საფუძვლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ, რომლებმაც წინადადება მივეცით კაპიტალისტებს: «დაემორჩილეთ სახელმწიფო რეგულირებას, დაემორჩილეთ სახელმწიფო ხელისუფლებას, და იმ პირობების სრული მოსპობის ნაცვლად, რომლებიც შეეფერებიან ძველ ინტერესებს, ჩვეულებებს, მოსახლეობის შეხედულებებს, თქვენ მიიღებთ ყოველივე ამის თანდათანობით შეცვლას სახელმწიფო რეგულირების გზით», — ჩვენ დაგვიყენეს თვით ჩვენი არსებობის საკითხი. ის ტაქტიკა, რომელიც მიიღო კაპიტალისტთა კლასმა, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩავეთრიეთ ბრძოლაში, გააფთრებულ და ულმობელ ბრძოლაში, რომელიც გვაიძულებდა გაცილებით უფრო მეტად დაგვემსხვრია ძველი ურთიერთობა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით.

დეკრეტიდან კერძო განცხადებების მონოპოლიის შემოღების შესახებ არაფერი გამოვიდა, — იგი ფარატინა ქაღალდად

დარჩა, ხოლო ცხოვრებამ, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგობამ, ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება აიძულა მთელი ბრძოლა გადაეტანა სულ სხვა სფეროში, არა ისეთ უმნიშვნელო და სასაცილოდ წვრილმან საკითხებზე, რომლებიც 1917 წლის დამლევს გულუბრყვილოდ ვიყავით გარეულნი, არამედ საკითხზე: ყოფნა თუ არ ყოფნა — მთელი მოსამსახურე კლასის საბოტაჟის შემუსვრა, თეთრგვარდიელთა არმიის მოგერიება, რომელსაც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ეხმარებოდა.

განცხადებათა დეკრეტის ეს კერძო ეპიზოდი, ვფიქრობ, სასარგებლო მითითებას იძლევა ძველი ტაქტიკის მცდარობის თუ უმცდარობის ძირითად საკითხში. რა თქმა უნდა, როდესაც დღეს მოვლენებს ვაფასებთ შემდგომი ისტორიული განვითარების პერსპექტივაში, არ შეგვიძლია ეს ჩვენი დეკრეტი არ ვცნოთ გულუბრყვილოდ და ერთგვარად შემცდარ ნაბიჯად, მაგრამ იმავე დროს მასში სწორი იყო ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ — პროლეტარიატმა — სცადა განეხორციელებინა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე გადასვლა უდიდესი, ასე ვთქვათ, შეგუებით მაშინ არსებულ ურთიერთობასთან, რაც შეიძლება თანდათანობით და განსაკუთრებული მსხვრევის გარეშე. ხოლო მტერმა, ე. ი. ბურჟუაზიის კლასმა, აამუშავა ყველა ფანდი, რომ ჩვენ დავეყენებინეთ გამძვინვარებული ბრძოლის უკიდურესი გამოვლინების გზაზე. სწორი იყო თუ არა ეს სტრატეგიულად, მტრის თვალსაზრისით? რა თქმა უნდა, სწორი იყო, იმიტომ რომ, თუ ამ სფეროში არ გამოცდიდა საკუთარ ძალებს უშუალო შეჯახებით, ბურჟუაზია რანაირად დაემორჩილებოდა ერთბაშად სრულიად ახალ, ჯერ არასოდეს არსებულ პროლეტარულ ხელისუფლებას? «ნურას უკაცრავად, პატივცემულო ბატონებო, — გვიპასუხებდა ბურჟუაზია, — განცხადებებზე კი არ მოგელაპარაკებით თქვენ, არამედ იმაზე, იქნებ კიდევ მოიძებნოს ჩვენში ვრანგელი, კოლჩაკი, დენიკინი და იქნებ იმათ კიდევ აღმოუჩინოს დახმარება საერთაშორისო ბურჟუაზიამ საკითხის გადასაწყვეტად სრულიადაც არა

იმის შესახებ, გექნებათ თუ არ გექნებათ სახელმწიფო ბანკი». ამის შესახებ, სახელმწიფო ბანკის შესახებ, ისევე როგორც განცხადებების შესახებ, 1917 წლის დამლევს ჩვენში საკმაოდ ბევრი რამ დაიწერა, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი მხოლოდ ფუჭად ნაჯღაბნი ქაღალდი გამოდგა.

მაშინ ბურჟუაზია თავისი ინტერესების თვალსაზრისით სწორი სტრატეგიით გვიპასუხებდა: «ჯერ ვიბრძოლოთ ძირითადი საკითხის გამო, ხართ თუ არა თქვენ საერთოდ სახელმწიფო ხელისუფლება, თუ ეს გეჩვენებათ მხოლოდ, ხოლო ეს საკითხი გადაწყდება, რა თქმა უნდა, არა დეკრეტებით, არამედ ომით, ძალმომრეობით, და ეს ომი, ალბათ, იქნება არა მარტო ჩვენი, რუსეთიდან გამოძევებული კაპიტალისტებისა, არამედ ყველა იმათი, ვინც დაინტერესებულია კაპიტალისტური წყობილებით. და თუ აღმოჩნდა, რომ დანარჩენი სამყარო საკმაოდ დაინტერესებულია, მაშინ ჩვენ, რუსეთის კაპიტალისტებს, მხარს დაგვიჭერს საერთაშორისო ბურჟუაზიაო». როდესაც ბურჟუაზია ასე იქცეოდა, იგი თავისი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით სწორად იქცეოდა. მას არ შეეძლო, თუ ოდნავი იმედი მაინც ექნებოდა ძირითადი საკითხის გადაწყვეტისა ყველაზე ძლიერად მოქმედი საშუალებით — ომით, — მას არც შეეძლო და არც უნდა დათანხმებულიყო იმ ნაწილობრივ დათმობებზე, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევდა მას ახალ წყობილებაზე უფრო თანდათანობით გადასვლის გულისთვის. «არავითარი გადასვლა, და არავითარ ახალზე!» — აი როგორ გვიპასუხებდა ბურჟუაზია.

აი რატომ მივიღეთ მოვლენათა ის განვითარება, რომელსაც ჩვენ ახლა ვხედავთ. ერთი მხრივ, პროლეტარული სახელმწიფოს გამარჯვება ბრძოლის უჩვეულო სიდიადით, რაც ახასიათებდა 1917 და 1918 წლების მთელ პერიოდს, ხალხის უჩვეულო აღფრთოვანების პირობებში; მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის ცდა, რომელიც თავდაპირველად ვარაუდობდა მთელ რიგ თანდათანობითს ცვლილებებს, ახალ წესწყობილებაზე უფრო ფრთხილ გადასვლას, რაც გამოიხატა, სხვათა შორის, ჩემ

მიერ მოყვანილი პატარა მაგალითით. ნაცვლად ამისა საბჭოთა ხელისუფლებას მტრის ბანაკმა უპასუხა ულმობელი ბრძოლით იმის გამოსარკვევად, შეუძლია თუ არა მას, საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სახელმწიფოს, გასძლოს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის სისტემაში. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ ომით, რომელიც, თავის მხრივ, მეტისმეტად გამძაფრებული იყო, როგორც სამოქალაქო ომი. რაც უფრო ძნელდებოდა ბრძოლა, მით უფრო ნაკლები ადგილი რჩებოდა ფრთხილი გადასვლისათვის. ბრძოლის ამ ლოგიკაში ბურჟუაზია, ვთქვი მე, თავისი თვალსაზრისით სწორად იქცეოდა. ჩვენ რაღა შეგვეძლო გვეთქვა? «ვერ შეგვაშინებთ, ბატონო კაპიტალისტებო. ამ სფეროშიც დაგამარცხებთ, დამატებით, მას შემდეგ, რაც თქვენ დამარცხებული აღმოჩნდით პოლიტიკურ სარბიელზე თქვენს დამფუძნებელ კრებასთან ერთად». სხვანაირად ჩვენ ვერ მოვიქცეოდით. მოქმედების ყოველგვარი სხვანაირი ხერხი ჩვენი მხრივ პოზიციების სრული დათმობის მომასწავებელი იქნებოდა.

გაიხსენეთ ჩვენი ბრძოლის განვითარების პირობები, და მიხვდებით, რაში მდგომარეობდა ეს ვითომდა შემცდარი და შემთხვევითი შეცვლა, რატომ იყო, რომ საყოველთაო ენთუზიაზმზე და უზრუნველყოფილ პოლიტიკურ ბატონობაზე დაყრდნობით ჩვენ ადვილად შევძელით დამფუძნებელი კრების გარეკვა, და რატომ იყო, რომ იმავე დროს ჩვენ უნდა გამოგვეცადა მთელი რიგი ზომები თანდათანობითი, ფრთხილი გადასვლისა ეკონომიურ გარდაქმნებზე, და, ბოლოს, ბრძოლის ლოგიკამ და ბურჟუაზიის წინააღმდეგობამ რატომ გვაიძულა გადავსულიყავით სამოქალაქო ომის უაღრესად უკიდურეს, უაღრესად თავგანწირულ ხერხებზე, როცა არაფერს არ ვუწევდით ანგარიშს, — სამოქალაქო ომისა, რომელიც სამი წლის განმავლობაში აჩანაგებდა რუსეთს.

1921 წლის გაზაფხულისთვის გამოირკვა, რომ ჩვენ დავმარცხდით იმის ცდაში, რომ წარმოებისა და განაწილების სოციალისტურ საფუძვლებზე გადავსულიყავით «იერიშის» საშუალებით, ე. ი. ყველაზე მოკლე, სწრაფი, უშუალო

საშუალებით. 1921 წლის გაზაფხულის პოლიტიკურმა ვითარებამ დაგვანახვა, რომ მთელ რიგ სამეურნეო საკითხებში აუცილებელი იყო უკან დაგვეხია სახელმწიფო კაპიტალიზმის პოზიციებისაკენ, «იერიშიდან» «ალყაზე» გადავსულიყავით.

თუ ასეთი გადასვლა ზოგიერთებში იწვევს ჩივილს, მოთქმას, გულგატეხილობას, აღშფოთებას, უნდა ითქვას: დამარცხება ისე საშიში არ არის, როგორც შიში იმისა, რომ აღიარო შენი დამარცხება, შიში იმისა, რომ გააკეთო აქედან ყველა დასკვნა. სამხედრო ბრძოლა გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ბრძოლა სოციალიზმისა კაპიტალიზმთან, და ჩვენ კოლჩაკებსა და კომპ. ვამარცხებდით იმიტომ, რომ არ გვეშინოდა გვეღიარებინა ჩვენი დამარცხებანი, არ გვეშინოდა გვესწავლა დამარცხებათა გაკვეთილებით, მრავალჯერ გადაგვეკეთებინა ის, რაც ბოლომდე არ იყო გაკეთებული ან ცუდად იყო გაკეთებული.

ასევე უნდა მოვიქცეთ კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგ სოციალისტური ეკონომიკის ბრძოლის გაცილებით უფრო რთულ და ძნელ სფეროში. არ უნდა გვეშინოდეს დამარცხების აღიარებისა. უნდა ვსწავლობდეთ დამარცხების გამოცდილებით. უნდა გადავაკეთოთ უფრო გულდასმით, უფრო ფრთხილად, უფრო სისტემატურად ის, რაც ცუდად არის გაკეთებული. ჩვენ რომ დავდგომოდით იმ შეხედულებას, რომ დამარცხების აღიარება, როგორც პოზიციების დათმობა, იწვევს სასოწარკვეთილებას და ენერგიის შესუსტებას ბრძოლაში, მაშინ უნდა გვეთქვა, რომ ასეთი რევოლუციონერები არაფრად ვარგან.

მე კი იმედი მაქვს, რომ ბოლშევიკებზე, რომლებიც გამობრძმედილი არიან სამოქალაქო ომის სამი წლის გამოცდილებით, ამის თქმას ვერავინ შესძლებს, ერთეული შემთხვევების გამოკლებით. ჩვენი ძალა იმაში იყო და არის, რომ სავსებით ფხიზლად ვუწევთ ანგარიშს სულ მძიმე დამარცხებასაც კი, ვსწავლობთ ამ დამარცხების გამოცდილებით, თუ რის შეცვლაა საჭირო ჩვენს მოქმედებაში. ამიტომაც საჭიროა ლაპარაკი პირდაპირ. ეს საინტერესოა და მნიშვნელოვანი არა

მარტო თეორიული სიმართლის თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკული მხრივაც. არ შეიძლება ვისწავლოთ დღეს ამოცანების ახალი ხერხებით გადაწყვეტა, თუკი გუშინდელმა გამოცდილებამ თვალი არ აგვიხილა ძველი ხერხების უმართებულობაზე.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უშუალო სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების შემდეგ, მშენებლობისა, რომელიც მიმდინარეობდა გაუგონრად ძნელ პირობებში, სამოქალაქო ომის პირობებში, იმ პირობებში, როდესაც ბურჟუაზია თავს გვახვევდა გააფთრებული ბრძოლის ფორმებს, — ჩვენს წინაშე 1921 წლის გაზაფხულზე ნათელი მდგომარეობა შეიქმნა: არა უშუალო სოციალისტური მშენებლობა, არამედ ეკონომიკის მთელ რიგ სფეროში უკან დახევა სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, არა პირდაპირი იერიში, არამედ მეტად მძიმე, ძნელი და არასასიამოვნო ამოცანა ხანგრძლივი ალყისა, რომელიც დაკავშირებულია მთელ რიგ უკან დახევასთან. აი რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მივუდგეთ ეკონომიური საკითხის გადაწყვეტას, ე. ი. სოციალიზმის საფუძვლებზე ეკონომიური გადასვლის უზრუნველყოფას.

მე არ შემიძლია დღეს შევეხო ციფრებს ან შედეგებს თუ ფაქტებს, რომლებიც დაგვანახვებდა, თუ რა მოგვცა სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების ამ პოლიტიკამ. მოვიყვან მხოლოდ ერთ პატარა მაგალითს. თქვენ იცით, რომ ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია დონეცის აუზი. თქვენ იცით, რომ ჩვენ იქ გვაქვს უდიდესი ყოფილი კაპიტალისტური საწარმოები, რომელნიც დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ საწარმოთა დონეზე დგანან. თქვენ იცით აგრეთვე, რომ ჩვენი ამოცანა იქ იყო — თავდაპირველად აღგვედგინა მსხვილი სამრეწველო საწარმოები: მუშათა მცირე რაოდენობით ჩვენთვის უფრო ადვილია დონეცის მრეწველობის აღდგენის დაწყება. მაგრამ რას ვხედავთ ახლა იქ, მას შემდეგ, რაც გაზაფხულზე ჩვენს პოლიტიკაში შემობრუნება მოხდა? ჩვენ ვხედავთ, რომ იქ პირიქით ხდება — წარ-

მოება განსაკუთრებით წარმატებით ვითარდება წვრილ გლეხურ შახტებში, რომლებიც იჯარით იცემა. ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო კაპიტალიზმის ურთიერთობის განვითარებას. გლეხური შახტები კარგად მუშაობენ და სახელმწიფოს, იჯარის სახით, აძლევენ ამ შახტებში მოპოვებული ქვანახშირის დაახლოებით 30%-ს. დონბასში წარმოების განვითარება ცხადყოფს საერთო მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიმდინარე წლის ზაფხულის კატასტროფულ მდგომარეობასთან შედარებით, და ამ გაუმჯობესებაში მცირე როლს როდი ასრულებს წარმოების გაუმჯობესება წვრილ შახტებში, მათი ექსპლოატაცია სახელმწიფო კაპიტალიზმის საწყისებზე. მე აქ არ შემიძლია შევუდგე ყველა სათანადო მონაცემის განხილვას, მაგრამ თქვენ მაინც შეგიძლიათ ამ მაგალითით თვალსაჩინოდ დაინახოთ პოლიტიკის შეცვლის განსაზღვრული პრაქტიკული შედეგები. ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება, — ეს კი ჩვენთვის უსიკვდილოდ საჭიროა, — ნაყოფიერების გადიდება, რაც ასევე უსიკვდილოდ საჭიროა ჩვენთვის, — ყოველივე ამას ჩვენ უკვე ვიღებთ სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემისაკენ ნაწილობრივ დაბრუნებით. ჩვენს ოსტატობაზე, იმაზე, თუ რამდენად სწორად გამოვიყენებთ ამ პოლიტიკას შემდეგშიც, დამოკიდებული იქნება ისიც, თუ რამდენად ექნება წარმატება შემდგომ შედეგებს.

ახლა ვუბრუნდები ჩემი ძირითადი აზრის განვითარებას. ეს გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რაც გაზაფხულზე დავიწყეთ, ეს ჩვენი უკან დახევა სახელმწიფო კაპიტალიზმის მოქმედების ხერხების, წესებისა და მეთოდებისაკენ განა საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, რომ შევაჩეროთ უკან დახევა და დავიწყოთ მზადება შეტევისათვის? არა, იგი ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა საკმაო. და აი რატომ. თუ დავუბრუნდებით შედარებას, რის შესახებაც მე ზემოთ ვილაპარაკე (იერიშისა და ალყის შესახებ ომის დროს), ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ჯარების ახალი გადაჯგუფება, მატერიალურ ნაწილთა ხელახლა განაწილება და სხვ., — ერთი სიტყვით, არ დაგვიმთავრებია მომზადება ახალი ოპერაციებისა,

რომლებიც ამჟამად, ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისად, სხვანაირად უნდა წარიმართოს. თუ ახლა ჩვენ განვიცდით სახელმწიფო კაპიტალიზმზე გადასვლას, იბადება კითხვა, საჭიროა თუ არა მივაღწიოთ იმას, რომ ახლა ხელს არ გვიშლიდეს მოქმედების ის ხერხები, რომლებიც შეეფერებოდა წინანდელ ეკონომიურ პოლიტიკას? თავისთავად ცხადია, — და ეს დაგვანახვა ჩვენმა გამოცდილებამ, — რომ ამას უნდა მივაღწიოთ. გაზაფხულზე ჩვენ ვამბობდით, რომ არ შევუშინდებით სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებას, და ჩვენს ამოცანებზე ვლაპარაკობდით სწორედ როგორც საქონელცვლის გაფორმებაზე. მთელი რიგი დეკრეტები და დადგენილებები. აუარებელი სტატია, მთელი პროპაგანდა, მთელი კანონმდებლობა 1921 წლის გაზაფხულიდან შეგუებული იყო საქონელცვლის გადიდებასთან. რას შეიცავდა ეს ცნება? როგორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ცნებით ნავარაუდევი გეგმა მშენებლობისა? ნავარაუდევი იყო მთელ სახელმწიფოში მეტ-ნაკლებად სოციალისტურად გაცვლილიყო მრეწველობის პროდუქტები მიწათმოქმედების პროდუქტებზე და ამ საქონელცვლით აღგვედგინა მსხვილი მრეწველობა. როგორც სოციალისტური ორგანიზაციის ერთადერთი საფუძველი. რა გამოვიდა? გამოვიდა ის, — ახლა თქვენ ყველამ მშვენივრად იცით ეს პრაქტიკიდან, მაგრამ ეს ჩანს მთელი ჩვენი პრესიდანაც, — რომ საქონელცვლა ჩაიშალა: ჩაიშალა იმ მხრივ, რომ იგი ყიდვა-გაყიდვად ჩამოყალიბდა. და ჩვენ ახლა იძულებული ვართ ამაში გამოვტყდეთ, თუ არ გვინდა ფრთის ქვეშ ამოვიდოთ თავი, თუ არ გვინდა იმ ადამიანებივ[illegible] მოგვქონდეს თავი, რომლებიც ვერ ხედავენ თავიანთ [illegible]ამარცხებას, თუ არ შევუშინდებით თვალი გავუსწოროთ [illegible]ურ[illegible]ს, უნდა გამოვტყდეთ, რომ უკან დახევა საკმაო არ გამოდგა, რომ აუცილებელია დამატებითი უკან დახევა, კიდევ უკან დახევა, როდესაც სახელმწიფო კაპიტალიზმიდან გადავდივართ ყიდვა-გაყიდვისა და ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირების შექმნაზე. საქონელცვლით არაფერი გამოვიდა, კერძო ბაზარი ჩვენზე ძლიერი

გამოდგა, და საქონელცვლის მაგივრად მივიღეთ ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა.

გაისარჯეთ და შეეგუეთ მას, თორემ ყიდვა-გაყიდვის, ფულის მიმოქცევის სტიქია წაგლეკავთ!

აი რატომ ვიმყოფებით იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებიც ჯერ კიდევ იძულებული არიან უკან დაიხიონ, რათა შემდეგში, ბოლოს და ბოლოს, შეტევაზე გადავიდნენ. აი რატომ უნდა იყოს ამჟამად ჩვენს შორის საყოველთაოდ აღიარებული იმის შეგნება, რომ ეკონომიური პოლიტიკის წინანდელი ხერხები შემცდარი იყო. ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რაშია ამჟამად მდგომარეობის დედააზრი, თუ რაშია იმ გადასვლის თავისებურება, რომლის წინაშეც ვდგავართ. ამ წუთში ჩვენს წინაშე საგარეო ამოცანები არა დგას, როგორც გადაუდებელი ამოცანები. გადაუდებელ ამოცანებად არა დგას აგრეთვე სამხედრო ამოცანებიც. ჩვენს წინაშე ამჟამად, უმთავრესად, ეკონომიური ამოცანებია, და უნდა გვახსოვდეს, რომ უახლოესი გადასვლა შეუძლებელია იყოს სოციალისტურ მშენებლობაზე უშუალო გადასვლა.

სამი წლის განმავლობაში ვერ შევძელით ჩვენი საქმე (ეკონომიური) მოგვეგვარებინა. ესოდენი გაჩანაგების, სიღატაკისა და კულტურული ჩამორჩენილობის დროს, ჩვენში რომ იყო, ასე მოკლე ხანში შეუძლებელი აღმოჩნდა ამ ამოცანის გადაწყვეტა. მაგრამ შეტევას საერთოდ უშედეგოდ და უსარგებლოდ არ ჩაუვლია.

ახლა ჩვენ აღმოვჩნდით იმ პირობებში, როდესაც საჭიროა ცოტა კიდევ დავიხიოთ უკან, არა მარტო სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, არამედ ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირებისაკენაც. მხოლოდ ასეთი, კიდევ უფრო გრძელი გზით, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით, შეგვიძლია აღვადგინოთ ეკონომიური ცხოვრება. აუცილებელია ეკონომიური ურთიერთობის სწორი სისტემის აღდგენა, წვრილი გლეხური მეურნეობის აღდგენა, მსხვილი მრეწველობის საკუთარი ძალებით აღდგენა და საკუთარ ფეხზე

დაყენება. უამისოდ ჩვენ კრიზისს ვერ დავაღწევთ თავს. სხვა გამოსავალი არ არის; ამავე დროს კი, ამ ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობის შეგნება ჩვენს წრეში ჯერ კიდევ საკმაოდ ნათელი არ არის. მაგალითად, როდესაც ამბობ: ჩვენს წინაშე არის ამოცანა, რომ სახელმწიფო გახდეს ბითუმად მოვაჭრე ანუ მან უნდა ისწავლოს ბითუმად ვაჭრობა, რომ ჩვენს წინაშე კომერციული, ვაჭრული ამოცანაა, — ეს არაჩვეულებრივ უცნაურად გვეჩვენება, ხოლო ზოგიერთებს ძალიან საშიშადაც. «თუ კომუნისტები იქამდე მივიდნენ, რომ ამქამად რიგში დგება ვაჭრული ამოცანები, ჩვეულებრივი, უმარტივესი, ფრიად ვულგარული და ფრიად უბადრუკი ვაჭრული ამოცანები, მაშ რაღა შეიძლება აქ დარჩეს კომუნიზმისაგან? ამის გამო განა არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში საბოლოოდ და არ ვთქვათ: ყოველივე დაკარგულიაო!». ვფიქრობ, ასეთი განწყობილება შეიძლება შევამჩნიოთ, თუ გარშემო მიმოვიხედავთ, და ეს კი ძალიან საშიშია, იმიტომ რომ ამ განწყობილებას, თუ იგი ფართოდ გავრცელდება, შეუძლია ბევრს მხოლოდ თვალი დაუბნელოს, გააძნელოს ჩვენი უშუალო ამოცანების ფხიზელი გაგება. ჩვენს თავს, მუშათა კლასს, მასას რომ დავუმალოთ ის გარემოება, რომ ეკონომიურ სფეროში 1921 წლის გაზაფხულზედაც და ახლაც — 1921 — 1922 წლის შემოდგომა-ზამთარშიც — ჩვენ კვლავ განვაგრძობთ უკან დახევას, — ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენს თავს სრული შეუგნებლობის განაჩენი გამოვუტანოთ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ვაყკაცობა არ შეგვწევს თვალი გავუსწოროთ შექმნილ მდგომარეობას. ასეთ პირობებში მუშაობა და ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა.

თუ არმია დარწმუნდებოდა, რომ მას არ შეუძლია ციხესიმაგრის აღება იერიშით, და იტყოდა, რომ იგი თანახმა არ არის მოიხსნას ძველი პოზიციებიდან, რომ იგი არ დაიჭერს ახალ პოზიციებს, არ გადავა ამოცანის გადაწყვეტის ახალ ხერხებზე, — ასეთ არმიაზე იტყოდნენ: ის, ვინც ისწავლა შეტევა და ვერ ისწავლა განსაზღვრულ მძიმე პირობებში, ამ

პირობების შესაბამისად, უკან დახევა, იგი ომს ძლევამოსილად ვერ დაამთავრებს. მთელ მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა, ანდა გამონაკლისის სახით ყოფილა, ისეთი ომები, რომლებიც იწყებოდა და თავდებოდა სულ ერთიანად ძლევამოსილი შეტევით. და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ვილაპარაკებთ ჩვეულებრივ ომებზე. ხოლო ისეთი ომის დროს, როდესაც მთელი კლასის ბედი წყდება, როდესაც წყდება საკითხი: სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი, — განა არსებობს გონივრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ხალხს, რომელიც პირველად წყვეტს ამ ამოცანას, შეუძლია ერთბაშად იპოვოს ერთადერთი სწორი, უტყუარი ხერხი? რა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ ეს? არავითარი! გამოცდილება ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. იმ ამოცანებში, რომელთაც ჩვენ ვწყვეტდით, არ ყოფილა არც ერთი ამოცანა, რომელსაც ჩვენგან არ მოეთხოვოს განმეორებითი გადაწყვეტილება — კვლავ მოგვეკიდა მისთვის ხელი. როცა დამარცხდები, ხელმეორედ მოჰკიდე საქმეს ხელი, ყველაფერი გადააკეთე, დარწმუნდი, თუ როგორ შეიძლება მიუდგე ამოცანის არამცთუ საბოლოოდ სწორ გადაწყვეტას, არამედ დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას მაინც, — ასე ვმუშაობდით ჩვენ, ასე უნდა ვიმუშაოთ შემდეგშიც. თუ იმ პერსპექტივის დროს, რომელიც ჩვენს წინაშე იშლება, ჩვენს რიგებში არ აღმოჩნდებოდა ერთსულოვნება, ეს იქნებოდა უაღრესად სავალალო ნიშანი იმისა, რომ მეტისმეტად საშიში გულგატეხილობა შემოიჭრა პარტიაში. და, პირიქით, თუ არ შევუშინდებით იმას, რომ პირდაპირ ვთქვათ თუნდაც მწარე და მძიმე სიმართლე, ჩვენ ვისწავლით, უეჭველად და უსათუოდ ვისწავლით ყველა და ყოველგვარი სიძნელის დაძლევას.

ჩვენ უნდა დავდგეთ არსებული კაპიტალისტური ურთიერთობის ნიადაგზე. შევუშინდებით თუ არა ამ ამოცანას? ანდა ვიტყვით, რომ ეს ამოცანა არ არის კომუნისტური? ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ არ გვესმის რევოლუციური ბრძოლა, არ გვესმის ამ ბრძოლის ხასიათი, ბრძოლისა, რომელიც უაღრესად დაძაბულია და დაკავშირებულია

უაღრესად მძაფრ ცვლილებებთან, რომელთაგან თავის დაძვრენა არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია.

ახლა გამოვიყვან ზოგიერთ დასკვნას.

მე შევეხები საკითხს, რომელიც ბევრს აინტერესებს. თუ ჩვენ ახლა, 1921 წლის შემოდგომასა და ზამთარში, ვახდენთ კიდევ ერთ უკან დახევას, როდისღა უნდა დამთავრდეს ეს უკან დახევა? ხშირად ასეთი კითხვა გვესმის პირდაპირ თუ არასავსებით პირდაპირ. მაგრამ ეს კითხვა მომაგონებს ამგვარსავე კითხვას, რომელიც გვესმოდა ბრესტის ზავის ეპოქაში. როდესაც ბრესტის ზავი დავდევით, გვეკითხებოდნენ: «თუ თქვენ გერმანიის იმპერიალიზმს დაუთმეთ ესა და ეს, მაშ როდისღა მოეღება ბოლო ამ დათმობებს და სად არის იმის გარანტია, რომ ეს დათმობები დამთავრდება? და ამ დათმობებით ხომ არ ადიდებთ მდგომარეობის საშიშროებას?». რა თქმა უნდა, ჩვენ ვადიდებთ ჩვენი მდგომარეობის საშიშროებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ყოველი ომის ძირითადი კანონები. ომის სტიქია საშიშროებაა. ომში ერთი წუთიც არ არის ისეთი, რომ საშიშროებით არ იყო გარემოცული. ხოლო რა არის პროლეტარიატის დიქტატურა? ეს არის ომი, და გაცილებით უფრო სასტიკი, უფრო ხანგრძლივი და შეუპოვარი, ვიდრე ოდესმე რომელიმე ომი ყოფილა. აქ ყოველ ჩვენს ნაბიჯს საფრთხე ემუქრება.

ის მდგომარეობა, რომელიც შექმნა ჩვენმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ — წვრილ სავაჭრო საწარმოთა განვითარება, სახელმწიფო საწარმოთა გაცემა იჯარით და სხვ., ყოველივე ეს არის კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, და ამის არდანახვა თავგზის სრული დაბნევის მომასწავებელი იქნებოდა. თავისთავად ცხადია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის გაძლიერება უკვე თავისთავად არის საშიშროების გაძლიერება. ხოლო შეგიძლიათ თუ არა თქვენ მიჩვენოთ რევოლუციაში ერთი რომელიმე გზა მაინც, მისი რომელიმე ეტაპი თუ ხერხი, სადაც საშიშროება

არ იყოს? საშიშროების გაქრობა მომასწავებელი იქნებოდა ომის დამთავრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის შეწყვეტისა, მაგრამ ამაზე, რა თქმა უნდა, ამჟამად არავინ ჩვენგანი არ ოცნებობს. ყოველი ნაბიჯი ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში მთელ რიგ საშიშროებას მოასწავებს. როდესაც ჩვენ გზაფხულზე ვლაპარაკობდით, რომ გაწერას სასურსათო გადასახადით ვცვლით, რომ ვცემთ დეკრეტს იმ ნაჭარბის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც სასურსათო გადასახადის შემდეგ რჩება, ამით კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლებას ვიძლეოდით. ამის არცოდნა ნიშნავს სავსებით დაჰკარგო ძირითადი ეკონომიური ურთიერთობის გაგების უნარი და საშუალება მოისპო მიმოიხედო და სწორად იმოქმედო. რა თქმა უნდა, ბრძოლის ხერხები შეიცვალა,— შეიცვალა საშიშროების პირობებიც. როდესაც წყდებოდა საბჭოების ძალაუფლების საკითხი, დამფუძნებელი კრების გარეკვის საკითხი, საშიშროება გვემუქრებოდა პოლიტიკის მხრივ. ეს საშიშროება უმნიშვნელო გამოდგა. ხოლო როდესაც დადგა ეპოქა სამოქალაქო ომისა, რომელსაც მხარი დაუჭირეს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებმა, გაჩნდა სამხედრო საშიშროება,— ეს უკვე უფრო მრისხანე საშიშროება იყო. ხოლო როდესაც შევცვალეთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, საშიშროება უფრო გადიდდა, იმიტომ რომ ეკონომიკა შესდგება უამრავი სამეურნეო, ყოველდღიური წვრილმანისაგან, რომელთაც ჩვეულებრივ ეჩვევიან ხოლმე და ვეღარ ამჩნევენ, ეკონომიკა ჩვენგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და დაძაბვას და განსაკუთრებული გარკვეულობით აყენებს წინ აუცილებლობას, რომ ვისწავლოთ მისი დაძლევის სწორი ხერხები. კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის განვითარება, ვაჭრობის სფეროდან ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება და სხვ.,— სწორედ ეს არის ის საშიშროება, რომელიც ახასიათებს ჩვენს ახლანდელ ეკონომიურ მშენებლობას, ჩვენს ახლანდელ თანდათანობით მიდგომას წინანდელზე გაცილებით

უფრო ძნელი ამოცანის გადაწყვეტისადმი. აქ სულ მცირედი შეცდომაც კი არ უნდა იყოს.

ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ახლანდელი კონკრეტული პირობები მოითხოვენ ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირებას და რომ სწორედ ამ სფეროში უნდა გამოვიჩინოთ თავი. ჩვენს ეკონომიურ სინამდვილეში კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობაა, ვიდრე ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდე იყო: ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივი, მცირედი გაუმჯობესებანი მოსახლეობის ერთი ფენისა, ზოგიერთებისა; სრული შეუსაბამობა ეკონომიურ რესურსებსა და აუცილებელ მოთხოვნილებებს შორის სხვა ფენებისა, უმრავლესობისა. წინააღმდეგობა უფრო მეტი შეიქნა. და გასაგებია, რომ, ვიდრე მძაფრ გარდატეხას განვიცდით, ამ წინააღმდეგობისაგან ერთბაშად თავის დაღწევა შეუძლებელია.

დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა ჩემი მოხსენების სამ მთავარ თემას. პირველი — საერთო საკითხი: რა აზრით უნდა ვაღიაროთ ჩვენი პარტიის ეკონომიური პოლიტიკის მცდარობა იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას? მე შევეცადე ერთი ომიდან აღებული მაგალითით ცხადმეყო იერიშიდან ალყაზე გადასვლის აუცილებლობა, ჯერ იერიშის გარდუვალობა და იერიშის წარუმატებლობის შემდეგ ბრძოლის ახალ საშუალებათა მნიშვნელობის შეგნების აუცილებლობა.

შემდეგ. პირველი გაკვეთილი და პირველი ეტაპი, რომელიც 1921 წლის გაზაფხულისთვის გამოირკვა, — სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარება ახალ გზაზე. ამ მხრივ მოიპოვება ერთგვარი წარმატება, მაგრამ არაჩვეულებრივი წინააღმდეგობაც არის. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავუფლებივართ ამ დარგს.

და მესამე — იმ უკან დახევის შემდეგ, რომელიც ჩვენ უნდა მოგვეხდინა 1921 წლის გაზაფხულზე სოციალისტური მშენებლობიდან სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, ვხედავთ,

რომ რიგში დადგა ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის რეგულირება; რაც უნდა დაშორებულადაც გვეჩვენებოდეს ვაჭრობის დარგი კომუნიზმისაგან, სწორედ ამ დარგში დგას ჩვენს წინაშე თავისებური ამოცანა. მხოლოდ ამ ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ შევძლებთ შევუდგეთ აბსოლუტურად გადაუდებელ ეკონომიურ მოთხოვნილებათა გადაწყვეტას, და მხოლოდ ასე შეგვიძლია უზრუნველყოთ მსხვილი მრეწველობის აღდგენის შესაძლებლობა უფრო გრძელი, მაგრამ უფრო მტკიცე, ხოლო ამჟამად ჩვენთვის ერთადერთი შესაძლებელი გზით.

აი ის მთავარი მომენტები, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხში თვალწინ უნდა გვედგას. ამ პოლიტიკის საკითხთა გადაწყვეტის დროს ჩვენ ნათლად უნდა ვხედავდეთ განვითარების მთავარ ხაზებს, რათა გავერკვეთ იმ მოჩვენებითს ქაოსში, რომელსაც ჩვენ ახლა ეკონომიურ ურთიერთობაში ვამჩნევთ, როდესაც ძველის ნგრევასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ახლის ჯერ კიდევ სუსტ ყლორტებს, ხშირად ვხედავთ ჩვენი მოქმედების ხერხებსაც, რომელნიც არ შეესაბამებიან ახალ პირობებს. ამოცანად ვისახავთ რა საწარმოო ძალთა გადიდებას და მსხვილი მრეწველობის, როგორც სოციალისტური საზოგადოების ერთადერთი ბაზის, აღდგენას, ჩვენ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ სწორად მივუდგეთ ამ ამოცანას და გადავწყვიტოთ იგი რადაც უნდა დაჯდეს.

2

საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! ვიდრე ბარათებში გამოთქმულ შენიშვნებზე ვუპასუხებდე, მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა იმ ამხანაგების პასუხად, რომლებმაც აქ ილაპარაკეს. ამხ. ლარინის სიტყვაში, ჩემი აზრით, აუცილებელია აღვნიშნოთ ერთი გაუგებრობა. ან მე ზუსტად ვერ გამოვთქვი აზრი, ანდა მან ვერ გამიგო სწორად, როდესაც ერთმანეთს დაუკავშირა მოწესრიგების საკითხი, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი, და მრეწველობის მოწესრიგების საკითხი. ეს აშკარად არ არის სწორი. მე ვლაპარაკობდი ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის მოწესრიგებაზე და ამას ვუპირისპირებდი საქონელცვლას. და აი რა უნდა ითქვას კიდევ: თუ გვინდა, რომ ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს დადგენილებებს, ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციას ისე შევხედოთ, რომ მივაღწიოთ ამ პროპაგანდის, აგიტაციისა და ჩვენი დეკრეტების გაუმჯობესებას, მაშინ უახლოესი გამოცდილების შედეგებს ანგარიში უნდა გავუწიოთ. სწორია თუ არა ის, რასაც ჩვენ 1921 წ. გაზაფხულზე ვლაპარაკობდით საქონელცვლის შესახებ? რა თქმა უნდა, სწორია, თქვენ ეს ყველამ იცით. სწორია თუ არა, რომ საქონელცვლა, როგორც სისტემა, შეუფერებელი გამოდგა სინამდვილისა, რომელმაც საქონელცვლის მაგივრად ფულის მიმოქცევა, ფულზე ყიდვა-გაყიდვა მოგვიტანა? ესეც უეჭველია, ამას გვიჩვენებს ფაქტები. ეს პასუხია ამხ. სტუკოვისადმიც და სორინისადმიც, რომლებიც შეცდომების შეთხზვაზე

ლაპარაკობდნენ. აი არა შეთხზული, არამედ უეჭველი შეცდომის თვალსაჩინო ფაქტი.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი პერიოდის გამოცდილებამ, პერიოდისა, რომელიც გაზაფხულიდან დაიწყო, დაგვანახვა, რომ 1921 წლის გაზაფხულზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ არავინ დავობდა, და მთელმა პარტიამ ყრილობებზე, კონფერენციებზე და პრესაში სრულიად ერთსულოვნად მიიღო იგი. ძველმა დავამ ოდნავი გავლენაც ვერ მოახდინა ამ ახალ ერთსულოვან გადაწყვეტილებაზე. ეს გადაწყვეტილება იმაზე იყო აგებული, რომ საქონელცვლის მეშვეობით ჩვენ ძალგვიძს განვახორციელოთ უფრო უშუალო გადასვლა სოციალისტურ მშენებლობაზეო. ახლა კი ნათლად ვხედავთ, რომ აქ საჭიროა კიდევ მოსავლელი გზა — ვაჭრობის საშუალებით.

ამხ. სტუკოვი და სორინი ძალიან წუწუნებდნენ იმის გამო, რომ აი ლაპარაკობენ შეცდომებზე, მაგრამ განა არ შეიძლება შეცდომები არ შევთხზათო? რა თქმა უნდა, თუ შეცდომები შევთხზეთ, ეს სულ მთლად ცუდი რამ იქნება. მაგრამ თუ პრაქტიკულ საკითხებს თავიდან მოვიშორებთ ამხ. გონიკმანივით, ეს სრულიად უმართებულო იქნება. მან თითქმის მთელი სიტყვა წარმოთქვა იმ თემაზე, რომ «ისტორიული მოვლენა სხვანაირად ვერ შეიქმნებოდა, ვიდრე შეიქმნაო». ეს სრულიად უდავო რამაა და, რა თქმა უნდა, კომუნიზმის ანბანიდან, ისტორიული მატერიალიზმის ანბანიდან და მარქსიზმის ანბანიდან ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია. აი ამ წესით მსჯელობა. ამხ. სემკოვის სიტყვა — არის თუ არა ეს ისტორიული მოვლენა? მე ვამტკიცებ, რომ ესეც ისტორიული მოვლენაა. სწორედ ის გარემოება, რომ ეს ისტორიული მოვლენა სხვანაირად ვერ შეიქმნებოდა, ვიდრე ის შეიქმნა, სწორედ იმას ამტკიცებს, რომ აქ არ არის არც შეცდომების შეთხზვა, არც უმართებულო სურვილი ან უმართებულო ყურმიუგდებლობა იმისა, რომ პარტიის წევრები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, შეძრწუნდნენ და დანაღვლიანდნენ. ამხ. სტუკოვი და ამხ. სორინი ძალიან შიშობდნენ,

რომ შეცდომების ეს აღიარება ასე თუ ისე, მთლიანად თუ სანახევროდ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მაინც მავნებელი იყო, იმიტომ რომ გულგატეხილობას და სასოწარკვეთილებას ქმნიდა. ჩემი მაგალითებით სწორედ ის მინდოდა დამენახვებინა, რომ საქმის არსი აი რაშია: აქვს თუ არა ამჟამად პრაქტიკული მნიშვნელობა შეცდომის აღიარებას, საჭიროა თუ არა ამჟამად რაიმე შევცვალოთ მას შემდეგ, რაც მოხდა და მოხდა გარდუვალად? თავდაპირველად იყო იერიში, და მხოლოდ მის შემდეგ გადავედით ალყაზე, ეს ყველამ იცის, და ამჟამად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას ხელს უშლის ისეთი ხერხების მცდარი გამოყენება, რომლებიც სხვა პირობებში, შესაძლოა, დიდებული იქნებოდა, ახლა კი მავნებელია. ამ თემას თითქმის ყველა გამოსულმა ამხანაგმა სრულიად გვერდი აუარა, მთელი არსი კი ამაში და მხოლოდ ამაშია. ჩემი საუკეთესო მოკავშირეა აქ სწორედ ამხ. სემკოვი, იმიტომ რომ ეს შეცდომა მან თვალხილულად გაიმეორა. ამხ. სემკოვი რომ არ ყოფილიყო ან დღეს რომ მას არ ელაპარაკნა, მაშინ, მართლაც, ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა: ამ ლენინმა ხომ არ შეთხზა შეცდომებიო? ამხ. სემკოვმა კი ძალიან ნათლად თქვა: «რა სახელმწიფო ვაჭრობაზე ლაპარაკობთ! საპყრობილეებში ვაჭრობას როდი გვასწავლიდნენო». ამხ. სემკოვ, ეს სწორია, საპყრობილეებში ვაჭრობას არ გვასწავლიდნენ! ბრძოლას კი გვასწავლიდნენ საპყრობილეებში? სახელმწიფოს მართვას კი გვასწავლიდნენ საპყრობილეებში? სხვადასხვა სახალხო კომისარიატის ერთმანეთთან შერიგებას და მათი მოქმედების შეთანხმებას — ასეთ ფრიად არასასიამოვნო რამეს კი გვასწავლიდნენ ოდესმე და სადმე? არსად არ გვასწავლიდნენ ჩვენ ამას. საუკეთესო შემთხვევაში საპყრობილეებში ჩვენ კი არ გვასწავლიდნენ, არამედ ჩვენ თვითონ ვსწავლობდით მარქსიზმს, რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და სხვ.. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს, ძალიან ბევრნი ფუჭად არ მჯდარან საპყრობილეებში. როცა გვეუბნებიან: «საპყრობილეებში

ვაჭრობას როდი გვასწავლიდნენო», ამ სიტყვებში ჩანს სწორედ დღევანდელი ჩვენი ბრძოლისა და პარტიის მოქმედების პრაქტიკული ამოცანების შემცდარი გაგება. და ეს სწორედ ისეთი შეცდომაა, როცა «იერიშის» შესაფერისი ხერხები «ალყის» პერიოდში გადააქვთ. ამხ. სემკოვმა გამოააშკარავა პარტიის რიგებში არსებული შეცდომა. ეს შეცდომა უნდა ვაღიაროთ და გამოვასწოროთ.

ჩვენ რომ შეგვძლებოდა დაყრდნობა სამხედრო და პოლიტიკურ ენთუზიაზმზე, რომელიც უდავო და გიგანტურ ისტორიულ ძალას წარმოადგენდა და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იპოვის გამოხმაურებას საერთაშორისო მუშათა მოძრაობაშიც, — ამ ენთუზიაზმს რომ, კულტურის განსაზღვრული დონისა და ჩვენი ფაბრიკების ერთგვარი დაუნგრევლობისას, ხელი შეეწყო ჩვენთვის სოციალისტურ მშენებლობაზე უშუალოდ გადასვლაში, ისეთ არასასიამოვნო რამეს, როგორიცაა კომერციული ანგარიში და ვაჭრობის ხელოვნება, ჩვენ ხელს არ მოვკიდებდით. მაშინ ეს საჭირო აღარ იქნებოდა. ამჟამად კი საჭიროა ხელი მოვკიდოთ ამას. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ხელმძღვანელობას ვუწევთ და კიდევაც უნდა გავუწიოთ ხელმძღვანელობა ეკონომიურ მშენებლობას. ეკონომიურმა მშენებლობამ ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, რომ საჭირო გახდა მივმართოთ არათუ ისეთ არასასიამოვნო რამეებს, როგორიცაა იჯარა, არამედ ისეთ არასასიამოვნო რამესაც, როგორიცაა ვაჭრობა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი არასასიამოვნო მდგომარეობა გულგატეხილობასაც გამოიწვევდა და სასოწარკვეთილებასაც. მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? დამნაშავე ის ხომ არ არის, ვისაც ემჩნევა ეს სასოწარკვეთილებაც და ეს გულგატეხილობაც? თუ ასეთია ეკონომიური სინამდვილე, რომელშიც ჩვენ ჩავვარდით როგორც საერთაშორისო, ისე რუსეთის ეკონომიკისა და პოლიტიკის მთელი პირობების მეოხებით, თუ ასეთია ეს სინამდვილე, რომ ფაქტი გახდა ფულის მიმოქცევა და არა საქონელცვლა; თუ საჭიროა ჩვენი ამოცანა იქითკენ

მივმართოთ, რომ მოვაწესრიგოთ ახლანდელი ვაჭრობა, ფულის ახლანდელი ცუდი მიმოქცევა, როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, კომუნისტები, — ვთქვათ, ეს რა ჩვენი საქმეაო? აი ეს იქნებოდა უაღრესად მავნებელი გულგატეხილობა, სრულიად სასოწარკვეთილი განწყობილება და ეს შეუძლებელს გახდიდა ყოველგვარ მუშაობას.

იმ ვითარებას, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ, მარტო ჩვენ როდი ვქმნით: იგი დამოკიდებულია როგორც ეკონომიურ ბრძოლაზე, ისე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზეც. ეს შედეგები ისე მოეწყო, რომ ჩვენ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დავაყენეთ იჯარის საკითხი, აი ახლა კი უნდა დავაყენოთ როგორც ვაჭრობის, ისე ფულის მიმოქცევის საკითხი. ამ საკითხის თავიდან მოშორება იმით, რომ «ჩვენ საპყრობილეებში ვაჭრობას როდი გვასწავლიდნენო», — ეს ნიშნავს, რომ დაემორჩილო შეუწყნარებელ გულგატეხილობას, ნიშნავს არ შეასრულო შენი ეკონომიური ამოცანა. გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნებოდა, კაპიტალისტური ვაჭრობის აღება რომ შეიძლებოდეს იერიშით, და განსაზღვრულ პირობებში (ფაბრიკების დაუნგრევლობა, მაღალი ეკონომიკა და კულტურა) «იერიშის», ე. ი. საქონელცვლის უშუალოდ დაწესების ცდაში, არავითარი შეცდომა არ არის. ამჟამად კი შეცდომა სწორედ ის არის, რომ არ გვინდა გავიგოთ სხვა მიდგომის აუცილებლობა და გარდუვალობა. ეს არ არის შეთხზული შეცდომა, ეს არ არის შეცდომა ისტორიის სფეროდან, — ეს არის გაკვეთილი იმის სწორად გასაგებად, თუ რა შეიძლება და რა უნდა გავაკეთოთ ახლა. შეუძლია თუ არა პარტიას წარმატებით გადაწყვიტოს თავისი ამოცანა, თუ იგი ამ ამოცანას მიუდგება მსჯელობით: «ჩვენ საპყრობილეებში ვაჭრობას როდი გვასწავლიდნენო», არ გვესაჭიროება კომერციული ანგარიშიო? ბევრი რამ, რასაც ჩვენ საპყრობილეებში არ გვასწავლიდნენ, იძულებული გავხდით გვესწავლა რევოლუციის შემდეგ, და ჩვენც ვასწავლობთ და დიდი წარმატებითაც ვსწავლობდით.

ჩემი აზრით, კომერციული ურთიერთობისა და ვაჭრობის გაგების შესწავლა, — ეს ჩვენი ვალდებულებაა, და ჩვენც ღავიწყებთ წარმატებით სწავლას და შევისწავლით კიდევაც, როდესაც პირდაპირ დავიწყებთ ლაპარაკს ამ ამოცანაზე. ჩვენ მოგვიხდა უკან დახევა იმდენად, რომ ვაჭრობის საკითხი პარტიის პრაქტიკული საკითხი, ეკონომიური მშენებლობის საკითხი გახდა. რით არის ნაკარნახევი კომერციულ საწყისებზე გადასვლა? გარშემო არსებული ვითარებით, ახლანდელი პირობებით. ეს გადასვლა აუცილებელია იმისათვის, რომ მსხვილი მრეწველობა სწრაფად აღდგეს და სწრაფად დაუკავშირდეს მიწათმოქმედებას, რათა სწორი პროდუქტცვლა დამყარდეს. ისეთ ქვეყანაში, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია, ყოველივე ეს ბევრად უფრო სწრაფად მოხდება, ჩვენში კი ეს ხდება მოსავლელი და გრძელი გზით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ის, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, მიღწეული იქნება. და ჩვენ ამჟამად უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ამოცანებით, რომელთაც გვიყენებს დღევანდელი და ხვალინდელი დღე, უყენებს ჩვენს პარტიას, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს მთელ სახელმწიფო მეურნეობას. ახლა უკვე აღარ შეიძლება საქონელცვლაზე ლაპარაკი, იმიტომ რომ იგი, როგორც ბრძოლის ასპარეზი, გაგვაგდებინეს ხელიდან. ეს უეჭველი ფაქტია, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ის ჩვენთვის. მერე რა, — უნდა ვთქვათ, რომ გასაკეთებელი მეტი აღარაფერი გვაქვს? სრულიადაც არა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ. უნდა ვისწავლოთ კომერციული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება — ძნელი ამოცანაა, მაგრამ შეუძლებელი მასში არაფერია. და ჩვენ გადავწყვეტთ ამ ამოცანას, იმიტომ რომ ჩვენ გადაგვწყვეტია ჩვენთვის ამაზე არა ნაკლებ ახალი, საჭირო და ძნელი ამოცანები. კოოპერაციული ვაჭრობა ძნელი ამოცანაა, მაგრამ შეუძლებელი მასში არაფერია, მხოლოდ საჭიროა ნათლად შევიგნოთ იგი და სერიოზულად ვიმუშაოთ. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ახალი პოლიტიკა. ამჟამად საწარმოთა მცირე რაოდენობა უკვე გადაყვანილია კომერციულ ანგარიშზე, ხელფასის

ანაზღაურება იქ ხდება თავისუფალი ბაზრის ფასების მიხედვით, ანგარიშსწორებაში ოქროზე გადავიდნენ. მაგრამ ასეთ სამეურნეო ერთეულთა რიცხვი უმნიშვნელოა, უმრავლესობაში კი გამეფებულია ქაოსი, სრული შეუსაბამობა ხელფასსა და არსებობის პირობებს შორის; საწარმოთა ერთი ნაწილი მოხსნილია სახელმწიფო მომარაგებიდან, ნაწილი კი დარჩა არასრულ მომარაგებაზე. სად ვეძიოთ გამოსავალი? გამოსავალი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ ვისწავლით, შევეგუებით, შევძლებთ ამ ამოცანების გადაწყვეტას ისე, როგორც აუცილებელია მათი გადაწყვეტა, ე. ი. არსებული პირობების შესაბამისად.

აი ჩემი პასუხი იმ ამხანაგებს, რომლებმაც ილაპარაკეს დღევანდელი საუბრის გამო, ახლა კი მოკლედ ვუპასუხებ ზოგიერთ შემოსულ ბარათზე.

ერთ მათგანში ნათქვამია: «თქვენ იმოწმებთ პორტ-არტურს, მაგრამ წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, რომ პორტ-არტური შეიძლება გავხდეთ ჩვენ, რომლებსაც გარს გვარტყია საერთაშორისო ბურჟუაზია?».

დიახ, ამხანაგებო, მე უკვე აღვნიშნე, რომ ომის სტიქიაა საფრთხე, რომ ომს ვერ დაიწყებ, თუ არ გაითვალისწინე ის გარემოება, რომ შეიძლება დამარცხდე. თუ ჩვენ დავმარცხდებით, მაშინ, რა თქმა უნდა, პორტ-არტურის სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მთელ ჩემ სიტყვაში მხედველობაში მქონდა საერთაშორისო კაპიტალიზმის პორტ-არტური, რომელიც გარემოცულია და გარემოცულია არა მარტო ჩვენი არმიის მიერ. ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის შიგნით სულ უფრო და უფრო იზრდება არმია, რომელიც გარემოიცავს საერთაშორისო კაპიტალიზმის ამ პორტ-არტურს.

ერთი ბარათი მეკითხება: «როგორი იქნება ჩვენი ტაქტიკა სოციალური რევოლუციის მეორე დღეს, თუ იგი იფეთქებს ერთ ან ორ წელიწადში?». ასეთ კითხვებზე რომ პასუხის გაცემა შეიძლებოდეს, მაშინ ძალიან ადვილი იქნებოდა რევოლუციების მოხდენა, და ჩვენც ყველგან ბლომად მოვახდენდით რევოლუციებს. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა

შეუძლებელია, იმიტომ რომ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა იქნება არათუ ერთი ან ორი წლის, არამედ ნახევარი წლის შემდეგაც კი. ასეთი შეკითხვები ისევე ფუჭია, როგორც იმის ცდა, რომ გადაწყვიტო საკითხი, მებრძოლ მხარეთაგან ვინ აღმოჩნდება ციხე-სიმაგრე პორტ-არტურის სავალალო მდგომარეობაში. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ, რომ, ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო პორტ-არტურის ციხე-სიმაგრე აუცილებლად აღებული იქნება, იმიტომ რომ ყველა ქვეყანაში იზრდება ის ძალები, რომლებიც მას დაამარცხებენ. ჩვენში კი ძირითადი საკითხი ის არის, როგორ მოვიქცეთ, რომ უძნელეს პირობებში, რომლებშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, შევინარჩუნოთ მსხვილი მრეწველობის აღდგენის შესაძლებლობა. ჩვენ კომერციულ ანგარიშს კი არ უნდა გავურბოდეთ, არამედ უნდა შევიგნოთ, რომ მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება შევქმნათ გვარიანი პირობები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მუშებს ხელფასის მხრივაც და მუშაობის ოდენობის მხრივაც და სხვ.. კომერციული ანგარიშის მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება ავაგოთ მეურნეობა. ამას ხელს უშლის ცრურწმენა და იმის მოგონება, რაც გუშინ იყო. ამის გაუთვალისწინებლად ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჯეროვანად გატარებას ვერ შევძლებთ.

იძლევიან ასეთ კითხვებსაც: «სად არის უკან დახევის საზღვრები?». რამდენიმე ბარათი იძლევა ამავე ხასიათის შეკითხვას: როდემდის შეგვიძლია უკან დავიხიოთ? მე გათვალისწინებული მქონდა ასეთი შეკითხვა და მის გამო გაკვრით ვილაპარაკე ჩემს პირველ სიტყვაში. ეს შეკითხვა გამოხატავს გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების განსაზღვრულ განწყობილებას და სრულიად უსაფუძვლოა. ეს ისეთივე შეკითხვაა, როგორიც ჩვენ გვსმენია ბრესტის ზავის დადების დროს. ეს შეკითხვა უმართებულოდაა დაყენებული, იმიტომ რომ მხოლოდ ჩვენი შემობრუნების შემდგომ განხორციელებას შეუძლია მოგვცეს მასალა მასზე პასუხის გასაცემად. უკან დახევას მანამდე განვაგრძობთ, ვიდრე არ ვისწავლით შეტევაზე მტკიცედ გადასვლას, ვიდრე არ მოვემზადებით

საამისოდ. ამაზე სხვა რაიმე პასუხის გაცემა შეუძლებელია. უკან დახევა ფრიად არასასიამოვნო რამაა, მაგრამ როდესაც გირტყამენ, არ გეკითხებიან სასიამოვნოა ეს თუ არასასიამოვნო, ჯარიც ხომ უკან იხევს, მაგრამ ეს არავის უკვირს. ლაპარაკიდან იმის შესახებ, როდემდის განვაგრძობთ ამ უკან დახევასო, სასიკეთო არაფერი გამოვა. წინასწარ რატომ უნდა გამოვიგონოთ ისეთი მდგომარეობა, რომლიდანაც გამოსვლას ვერ შევძლებთ? ამის მაგივრად საჭიროა ხელი მოვკიდოთ კონკრეტულ მუშაობას. საჭიროა ყურადღებით განვიხილოთ კონკრეტული პირობები, მდგომარეობა, საჭიროა გავარკვიოთ, რას შეიძლება ხელი ჩავჭიდოთ, — მდინარეს, მთას, ჭაობს, ამა თუ იმ სადგურს, იმიტომ რომ, მხოლოდ მაშინ, როცა შევძლებთ ხელი ჩავჭიდოთ რაიმეს, შესაძლებელი გახდება შეტევაზე გადასვლა. და არ უნდა გავიტეხოთ გული, საკითხს არ უნდა დავუძვრეთ აგიტაციური წამოძახილებით, რომელთაც თავის ადგილას დიდი ფასი აქვთ, მაგრამ ამ საკითხში მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიათ და მეტი არაფერი.

ოქტომბრის მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ

დიდი რევოლუციის წლისთავი რომ ვიდღესასწაულოთ, ამის საუკეთესო საშუალებაა — ყურადღება მივაპყროთ მის გადაუჭრელ ამოცანებს. რევოლუციის ასეთი დღესასწაულის გადახდა განსაკუთრებით შესაფერი და აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ძირითადი ამოცანები, რომლებიც რევოლუციას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, როცა ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა შევითვისოთ რაღაც ახალი (რევოლუციის მიერ დღემდე გაკეთებულის თვალსაზრისით).

ამჟამად ჩვენი რევოლუციისთვის ახალია მოქმედების «რეფორმისტული», თანდათანობითი, ფრთხილი შემოვლითი მეთოდისთვის მიმართვის აუცილებლობა ეკონომიური მშენებლობის ძირითად საკითხებში. ეს «სიახლე» იწვევს მთელ რიგ საკითხებს, გაუგებრობას, ეჭვს — თეორიულსაც და პრაქტიკულსაც.

თეორიული საკითხია: როგორ ავხსნათ მთელ რიგ მეტად რევოლუციურ მოქმედებათა შემდეგ უაღრესად «რეფორმისტულ» მოქმედებაზე გადასვლა იმავე ასპარეზზე, მთელი რევოლუციის საერთოდ ძლევამოსილი მიმდინარეობის პირობებში? ხომ არ არის ეს «პოზიციების დათმობა», «კრახის აღიარება» ან სხვა ამგვარი რამ? ჩვენი მტრები, დაწყებული ნახევრადფეოდალური ტიპის რეაქციონერებით და გათავებული მენშევიკებით თუ II½ ინტერნაციონალის სხვა რაინდებით, რა თქმა უნდა, ამბობენ, არისო. მაშ რის მტრები

არიან, თუ ამგვარ რამეს არ წამოგვძახებენ ყოველი საბაბით და სრულიად უსაბაბოდ. გულამაჩუყებელი ერთობა ამ საკითხში ყველა პარტიისა — ფეოდალებიდან მენშევიკებამდე — მხოლოდ ზედმეტად ამტკიცებს, რომ პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ მართლაც «ერთ რეაქციულ მასას» წარმოადგენს ყველა ეს პარტია (როგორც, ვიტყვით ფრჩხილებში, ენგელსმა იწინასწარმეტყველა თავის 1875 და 1884 წლების წერილებში ბებელისადმი) [18].

მაგრამ ერთგვარ... «გაუგებრობას» მეგობრებშიც აქვს ადგილი.

აღვადგინოთ მსხვილი მრეწველობა, მოვაწესრიგოთ მისი უშუალო პროდუქტცვლა წვრილ გლეხურ მიწათმოქმედებასთან და ხელი შევუწყოთ ამ უკანასკნელის განსაზოგადოებას. მსხვილი მრეწველობის აღსადგენად ავიღოთ გლეხებისაგან სესხად სურსათისა და ნედლეულის განსაზღვრული რაოდენობა გაწერის საშუალებით. აი როგორ გეგმას (ანუ მეთოდს, სისტემას) ვატარებდით სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 1921 წლის გაზაფხულამდე. ეს იყო რევოლუციური მიდგომა ამოცანისადმი, იმ აზრით, რომ პირდაპირ და სრულიად ვამსხვრევდით ძველს, რათა შეგვეცვალა იგი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობით.

1921 წლის გაზაფხულიდან ამ მიდგომის, გეგმის, მეთოდის, მოქმედების სისტემის ადგილას ვაყენებთ (ჯერ კიდევ არ «დაგვიყენებია», არამედ ჯერ კიდევ მხოლოდ «ვაყენებთ» და ესეც სავსებით არ შეგვიგნია) სრულიად სხვა, რეფორმისტული ტიპის მიდგომას: ნუ კი დავამსხვრევთ ძველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობას, ვაჭრობას, წვრილ მეურნეობას, წვრილ მეწარმეობას, კაპიტალიზმს, არამედ გამოვაცოცხლოთ ვაჭრობა, წვრილი მეწარმეობა, კაპიტალიზმი, ფრთხილად და თანდათანობით დავეუფლოთ მათ ან მივიღოთ შესაძლებლობა, რომ ისინი დავუმორჩილოთ სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას მხოლოდ მათი გამოცოცხლების კვალობაზე.

სრულიად სხვა მიდგომაა ამოცანისადმი.

წინანდელ, რევოლუციურ, მიდგომასთან შედარებით ეს არის რეფორმისტული მიდგომა (რევოლუცია ისეთი გარდაქმნაა, რომელიც ძველს ამსხვრევს საფუძვლიანად და ძირიანფესვიანად და იმას კი არ ცდილობს, რომ გადააკეთოს ის ფრთხილად, ნელა, თანდათანობით, ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები დაამსხვრიოს).

იბადება კითხვა: თუ თქვენ გამოსცადეთ რევოლუციური ხერხები, აღიარეთ მათი მარცხი და რეფორმისტულ ხერხებზე გადადით, ხომ არ ამტკიცებს ეს, რომ თქვენ საერთოდ რევოლუციას შეცდომად აცხადებთ? ხომ არ ამტკიცებს ეს, რომ საერთოდ არ იყო საჭირო რევოლუციით დაგვეწყო საქმე, არამედ რეფორმებით უნდა დაგვეწყო და რეფორმებს დავჯერებოდით?

ასეთ დასკვნას აკეთებენ მენშევიკები და მათი მსგავსნი. მაგრამ ეს დასკვნა ან სოფიზმია და უბრალო თაღლითობა იმათი მხრივ, ვისაც პოლიტიკაში მრავალი «ქარტეხილი» გაუვლია, ანდა ბავშვობაა იმათ მხრივ, ვისაც ნამდვილი გამოცდა არ «გაუვლია». ნამდვილი რევოლუციონერისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს, — შეიძლება, ერთადერთ საფრთხესაც, — წარმოადგენს რევოლუციურობის გაზვიადება, რევოლუციურ ხერხთა შესაფერი და წარმატებითი გამოყენების ზღვრისა და პირობების დავიწყება. ნამდვილი რევოლუციონერები ყველაზე უფრო ამაზე იტეხდნენ კისერს, როდესაც იწყებდნენ «რევოლუციის» წერას დიდი ასოთი, როდესაც «რევოლუციას» თითქმის ღვთაებრივ რამედ სახავდნენ, როდესაც თავ-გზა ებნეოდათ, ჰკარგავდნენ უნარს უაღრესად მშვიდად და ფხიზლად მოესაზრათ, აეწონ-დაეწონათ, შეემოწმებინათ, თუ რა მომენტში, რა გარემოებაში, მოქმედების რა სფეროში უნდა შეგეძლოს რევოლუციურად მოქმედება და რა მომენტში, რა გარემოებაში და მოქმედების რა სფეროში უნდა შეგეძლოს რეფორმისტულ მოქმედებაზე გადასვლა. ნამდვილი რევოლუციონერები დაიღუპებიან (არა გარეგნული დამარცხების აზრით, არამედ მათი საქმის შინაგანი ჩაშლის აზრით) მხოლოდ იმ შემთხვევაში, — მაგრამ აუცი-

ლებლად დაიღუპებიან იმ შემთხვევაში, — თუ დაჰკარგავენ სიფხიზლეს და იფიქრებენ, თითქოს «დიდ, ძლევამოსილ, მსოფლიო» რევოლუციას ყოველგვარ პირობებში, მოქმედების ყველა სფეროში აუცილებლად შეუძლია და მართებს კიდეც რევოლუციურად გადაწყვიტოს ყველა და ყოველგვარი ამოცანა.

ვინც ასეთ რამეს «იფიქრებს», ის დაღუპულია, რადგან მან გაიფიქრა სისულელე ძირითად საკითხში, ხოლო გააფთრებული ომის დროს (რევოლუცია ყველაზე გააფთრებული ომია) სისულელე დამარცხებით ისჯება.

საიდან გამომდინარეობს, რომ «დიდ, ძლევამოსილ, მსოფლიო» რევოლუციას შეუძლია და მართებს კიდეც მხოლოდ რევოლუციური ხერხები გამოიყენოს? ეს არსაიდანაც არ გამომდინარეობს. და ეს პირდაპირ და უსათუოდ უმართებულოა. ამისი უმართებულობა თავისთავადაც ნათელია წმინდა თეორიულ დებულებათა საფუძველზე, თუ არ გადავცდებით მარქსიზმის ნიადაგს. ამის უმართებულობა მტკიცდება ჩვენი რევოლუციის გამოცდილებითაც. თეორიულად: რევოლუციის დროს სისულელეებს სჩადიან, როგორც ყოველ სხვა დროსაც, — ამბობდა ენგელსი [19], — და მართალს ამბობდა. უნდა ცდილობდე ნაკლები სისულელეები ჩაიდინო და საჩქაროდ გამოასწორო ჩადენილი სისულელე, რაც შეიძლება ფხიზლად გაითვალისწინო ის, თუ რა ამოცანები და როდის შეიძლება და რა ამოცანები არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს რევოლუციური ხერხით. ჩვენი საკუთარი გამოცდილება: ბრესტის ზავი ნიმუში იყო სრულიადაც არა რევოლუციური მოქმედებისა, არამედ რეფორმისტულისა ანდა უფრო უარესისაც კი, ვიდრე რეფორმისტულისა, რადგან ეს იყო უკუსვლითი მოქმედება, ხოლო რეფორმისტული მოქმედება, საერთო წესისამებრ, უკან-უკან კი არ იხევს, არამედ მიდის წინ ნელ-ნელა, ფრთხილად, თანდათანობით. ჩვენი ტაქტიკის სისწორე ბრესტის ზავის შეკვრის დროს ამჟამად იმდენად დამტკიცებულია, იმდენად ნათელი და საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღარა ღირს ამ თემაზე სიტყვების ხარჯვა.

სავსებით დამთავრებულია ჩვენი რევოლუციის მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მუშაობა. და ჩვენ უაღრესად კანონიერი უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამით. ჩვენი რევოლუციის პროლეტარულ ანუ სოციალისტურ მუშაობას სამი მთავარი სახე აქვს: 1) მსოფლიო იმპერიალისტური ომიდან რევოლუციური გამოსვლა; კაპიტალისტურ მტაცებელთა ორი მსოფლიო ჯგუფის ხოცვა-ჟლეტის მხილება და ჩ ა შ ლ ა; ეს სავსებით ბოლომდეა მიყვანილი ჩვენი მხრივ; ამისი ყოველ მხრივ ბოლომდე მიყვანა შეეძლო მხოლოდ რევოლუციას მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში. 2) შექმნა საბჭოთა წყობილებისა, პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების ფორმისა. მსოფლიო გარდატეხა მოხდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა დამთავრდა. დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი: პროლეტარული დიქტატურის ეპოქა. მხოლოდ მთელი რიგი ქვეყნები დახვეწენ და ბოლომდე მიიყვანენ საბჭოთა წყობილებას და პროლეტარული დიქტატურის ყოველგვარ ფორმას. ჩვენში ამ სფეროში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის დაუმთავრებელი. ამის არდანახვა მიუტევებელი იქნებოდა. ჩვენ ჯერ კიდევ არა ერთხელ დაგვჭირდება მოთავება, გადაკეთება, თავიდან დაწყება. ყოველ საფეხურს, რომელსაც ჩვენ გავივლით წინ, ზევით საწარმოო ძალთა და კულტურის განვითარების საქმეში, თან უნდა სდევდეს ჩვენი საბჭოთა სისტემის დამთავრება და გადაკეთება, ხოლო ჩვენ მეურნეობისა და კულტურის მხრივ ძლიერ დაბალ საფეხურზე ვდგავართ. მრავალი გადაკეთება მოგველის, და ამ გარემოებით «შეშფოთება» იქნებოდა უდიდესი უაზრობა (თუ უაზრობაზე უარესი არა). 3) სოციალისტური წყობის საფუძველთა ეკონომიური მშენებლობა. ამ სფეროში ჯერ კიდევ მოუმთავრებელია ყველაზე მთავარი, ყველაზე ძირითადი რამ. ეს კი ჩვენი ყველაზე ნამდვილი საქმეა, ყველაზე ნამდვილი პრინციპული თვალსაზრისითაც და პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რსფს რესპუბლიკის თვალსაზრისითაც ამჟამად და საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

რაკი ყველაზე მთავარი რამ მომთავრებული არ არის თავის საფუძველში, მთელი ყურადღება ამას უნდა მიექცეს. და აქ სიძნელე გადასვლის ფორმაშია.

«არ კმარა რევოლუციონერი და სოციალიზმის მომხრე ან საერთოდ კომუნისტი იყო», — ვწერდი მე 1918 წ. აპრილში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებში»[20]. — «საჭიროა გქონდეს უნარი — ყოველ განსაკუთრებულ მომენტში მონახო ჯაჭვის ის განსაკუთრებული რგოლი, რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა ჩაეჭიდო, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო შემდგომ რგოლზე გადასვლა; ამასთან მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში რგოლთა რიგი, მათი ფორმა, მათი გადაბმულობა, მათი განსხვავება ერთიმეორისაგან ისე მარტივი და სულელური როდია, როგორც ჩვეულებრივ, მჭედლის მიერ გაკეთებულ, ჯაჭვში».

ამჟამად მოქმედების იმ სფეროში, რომელზედაც ლაპარაკია, ასეთ რგოლს წარმოადგენს საშინაო ვაჭრობის გამოცოცხლება, ამ ვაჭრობის სწორი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების (წარმართვის) დროს. ვაჭრობა — აი ის «რგოლი» მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში, 1921 — 1922 წლების ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გარდამავალ ფორმებში, «რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა ჩავჭიდოთ ხელი» ჩვენ, პროლეტარულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ, ჩვენ, ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ. თუ ახლა ამ რგოლს საკმაოდ მაგრად «ჩავჭიდებთ ხელს», უახლოეს მომავალში უსათუოდ დავეუფლებით მთელ ჯაჭვს. სხვანაირად კი ვერ დავეუფლებით მთელ ჯაჭვს, ვერ შევქმნით სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის საძირკველს.

ეს უცნაური გვეჩვენება. კომუნიზმი და ვაჭრობა?! ეს რაღაც ფრიად შეუსაბამო, უაზრო და შორეულია. მაგრამ თუ საქმეს ეკონომიურად ჩავუფიქრდებით, ერთი მეორისაგან იმაზე შორს არ არის, ვიდრე კომუნიზმი წვრილი გლეხური, პატრიარქალური მიწათმოქმედებისაგან.

როდესაც მსოფლიო მასშტაბით გავიმარჯვებთ, ჩვენ, ვფიქრობ, ოქროსაგან გავაკეთებთ საზოგადოებრივ ფეხისადგილებს მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში. ეს იქნებოდა ყველაზე «სამართლიანი» და თვალსაჩინო ჭკუის სასწავლებელი გამოყენება ოქროსი იმ თაობათათვის, რომელთაც დავიწყებული არა აქვთ, ოქროს გულისთვის როგორ ამოხოცეს ათი მილიონი კაცი და დაასახიჩრეს ოცდაათი მილიონი 1914 — 1918 წლების «დიდ განმათავისუფლებელ» ომში, იმ ომში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დიდი საკითხი, თუ რომელი ზავია უარესი, ბრესტისა თუ ვერსალისა; და იმავე ოქროს გულისთვის როგორ აპირებენ ნამდვილად ამოხოცონ ოცი მილიონი კაცი და დაასახიჩრონ სამოცი მილიონი კაცი ომში, არ ვიცი დაახლოებით 1925 წელს თუ 1928 წელს, არ ვიცი, იაპონიასა და ამერიკას შორის, თუ ინგლისსა და ამერიკას შორის, ანდა როგორმე ამგვარად.

მაგრამ რაც უნდა «სამართლიანი», რაც უნდა სასარგებლო, რაც უნდა ჰუმანური იყოს ოქროს აღნიშნული გამოყენება, ჩვენ მაინც ვიტყვით: კიდევ საჭიროა ორიოდე ათეული წელი ისეთივე დაძაბულობით და ისეთივე წარმატებით ვიმუშაოთ, როგორც ვმუშაობდით 1917 — 1921 წლებში, ოღონდ გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე, რომ აქამდე მივიდეთ. ჯერჯერობით კი: რსფს რესპუბლიკაში უნდა გავუფრთხილდეთ ოქროს, რაც შეიძლება უფრო ძვირად გავყიდოთ იგი, რაც შეიძლება იაფად ვიყიდოთ მით საქონელი. მგლებთან იცხოვრებ — მგლურად უნდა იღმუილო, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ყველა მგელი გავწყვიტოთ, როგორც ეს გონიერ ადამიანთა საზოგადოებას შეჰფერის, უნდა მივსდიოთ ბრძნულ ანდაზას: «ლაშქრად წასვლას ნუ იქადი, დაბრუნება დაიქადე»...

ვაჭრობა ერთადერთი შესაძლებელი ეკონომიური კავშირია ათეული მილიონობით წვრილ მიწათმოქმედსა და მსხვილ მრეწველობას შორის, თ უ... თ უ ამ მიწათმოქმედთა გვერდით არ არის საუცხოო მსხვილი მანქანური ინდუსტრია ელექტრომავთულთა ქსელით, ინდუსტრია, რომელსაც თავისი

ტექნიკური სიმძლავრითაც, თავის ორგანიზაციულ «ზედნაშენთა» და თანამდევნო მოვლენათა მიხედვითაც ძალუძს მოამარაგოს წვრილი მიწათმოქმედნი საუკეთესო პროდუქტებით უფრო მეტი რაოდენობით, უფრო სწრაფად და იაფად, ვიდრე წინათ. მსოფლიო მასშტაბით ეს «თუ» უკვე განხორციელებულია, ეს პირობა უკვე არსებობს, მაგრამ ცალკეულმა ქვეყანამ, ამასთან ყველაზე ჩამორჩენილმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ, რომელმაც სცადა ერთბაშად და უშუალოდ გაენაღდებინა, განეხორციელებინა, პრაქტიკულად მოეწესრიგებინა მრეწველობის ახალი კავშირი მიწათმოქმედებასთან, ვერ დასძლია ეს ამოცანა «პირდაპირი იერიშით» და ახლა უნდა დასძლიოს იგი მთელი რიგი ნელი, თანდათანობითი, ფრთხილი «საალყო» მოქმედებით.

პროლეტარულ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია დაეუფლოს ვაჭრობას, მისცეს მას მიმართულება, ჩააყენოს იგი განსაზღვრულ ფარგლებში. პატარა, სულ პატარა მაგალითი: დონბასში დაიწყო მცირედი, ჯერ კიდევ ფრიად მცირედი, მაგრამ უეჭველი ეკონომიური გამოცოცხლება, ნაწილობრივ იმის მეოხებით, რომ მსხვილ სახელმწიფო შახტებში შრომის ნაყოფიერება გადიდდა, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ წვრილი გლეხური შახტები იჯარით გაიცა. ამგვარად, პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება იღებს ცოტა-ოდენ (მოწინავე ქვეყნების თვალსაზრისით ფრიად უმნიშვნელო, ხოლო ჩვენი სიღატაკის პირობებში მაინც შესამჩნევ) დამატებითს ქვანახშირს თვითღირებულების მიხედვით, რაც, ვთქვათ, უდრის 100%-ს, ხოლო ცალკეულ სახელმწიფო დაწესებულებებზე ჰყიდის მას 120%-ად, ცალკეულ კერძო პირებზე — 140%-ად. (ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ეს ციფრები სრულიად ნებისმიერად მომყავს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ არ ვიცი ზუსტი ციფრები, და მეორეც, იმიტომ, რომ, თუნდაც ვიცოდე, ახლა ამ ციფრებს არ გამოვაქვეყნებდი.) ეს იმას მიაგავს, რომ თუნდაც სულ მცირედი ოდენობით ვიწყებთ ბრუნვის დაუფლებას მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, საბითუმო ვაჭრობის დაუფლებას,

დაუფლებას ამოცანისა: ხელი ჩავჭიდოთ არსებულ, წვრილ, ჩამორჩენილ მრეწველობას თუ მსხვილს, მაგრამ დასუსტებულს, გაჩანაგებულს, გამოვაცოცხლოთ არსებულ ეკონომიურ საფუძველზე ვაჭრობა, ვაგრძნობინოთ საშუალო, რიგითს გლეხს (ეს კი მასას შეადგენს, მასის წარმომადგენელია, სტიქიის მატარებელია) ეკონომიური გამოცოცხლება, ვისარგებლოთ ამით უფრო სისტემატური და შეუპოვარი, უფრო ფართო და უფრო წარმატებითი მუშაობისათვის მსხვილი მრეწველობის აღდგენის საქმეში.

ნუ დავემონებით «გრძნობის სოციალიზმს» ანდა ძველებურ-რუსულ, ნახევრადბატონყაცურ, ნახევრადტეტიურ, პატრიარქალურ განწყობილებას, რომელსაც სჩვევია ვაჭრობის მოუფიქრებელი ათვალწუნება. ყველა და ყოველგვარი ეკონომიურად გარდამავალი ფორმის გამოყენება მისაღებია და უ ნ დ ა ვიცოდეთ მისი გამოყენება, რაკი ამის საჭიროება არის, პროლეტარიატთან გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად, გაჩანაგებულ და განაწამებ ქვეყანაში სახალხო მეურნეობის დაუყოვნებლივ გამოსაცოცხლებლად, მრეწველობის ასაღორძინებლად, შემდგომი, უფრო ფართო და ღრმა ზომების გასაადვილებლად, მაგალითად: ელექტრიფიკაციისა.

რეფორმების დამოკიდებულება რევოლუციისადმი ზუსტად და სწორად განსაზღვრულია მხოლოდ მარქსიზმის მიერ, ამასთან მარქსს ამ დამოკიდებულების დანახვა შეეძლო მხოლოდ ერთი მხრით, სახელდობრ: იმ ვითარებაში, რომელიც წინ უძღოდა პროლეტარიატის პირველ, რამდენადმე მტკიცე, რამდენადმე ხანგრძლივ გამარჯვებას თუნდაც ერთ ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში სწორი დამოკიდებულების საფუძველი იყო: რეფორმები პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის მეორეხარისხოვანი პროდუქტია. მთელი კაპიტალისტური სამყაროსთვის ეს დამოკიდებულება წარმოადგენს პროლეტარიატის რევოლუციური ტაქტიკის საძირკველს, — ანბანს, რომელსაც ამახინჯებენ და აბნელებენ II ინტერნაციონალის მოსყიდული ბელადები და II$^{1}/_{2}$ ინტერნაციონალის ნახევრადპედანტური, ნახევრადპრანჭია

რაინდები. პროლეტარიატის თუნდაც ერთ ქვეყანაში გამარჯვების შემდეგ რაღაც ახალი ჩნდება რევოლუციისადმი რეფორმების დამოკიდებულებაში. პრინციპულად საქმე იმავედ რჩება, მაგრამ ფორმის მხრივ ჩნდება ცვლილება, რომლის განჭვრეტა მარქსს პირადად არ შეეძლო, მაგრამ რომლის შეცნობა შეიძლება მხოლოდ მარქსიზმის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ნიადაგზე. რატომ შევძელით ჩვენ სწორად გამოგვეყენებინა ბრესტის უკან დახევა? იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან შორს შევტოპეთ, რომ უკანდასახევი ადგილი გვქონდა. ჩვენ ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით, რამდენიმე კვირაში, 1917 წლის 25 ოქტომბრიდან ბრესტის ზავამდე, ავაშენეთ საბჭოთა სახელმწიფო, რევოლუციური გზით გამოვედით იმპერიალისტური ომიდან, დავამთავრეთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომ უდიდესმა უკუსვლითმა მოძრაობამაც კი (ბრესტის ზავმა) დაგვიტოვა სავსებით საკმაო პოზიციები, რათა გვესარგებლნა «შესვენებით» და ძლევამოსილად წავსულიყავით წინ, კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, პილსუდსკის, ვრანგელის წინააღმდეგ.

პროლეტარიატის გამარჯვებამდე რეფორმები — რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის მეორეხარისხოვანი პროდუქტია. გამარჯვების შემდეგ ისინი (საერთაშორისო მასშტაბით რჩებიან რა იმავე «მეორეხარისხოვან პროდუქტად») იმ ქვეყნისათვის, სადაც გამარჯვება მოპოვებულია, წარმოადგენს, გარდა ამისა, აუცილებელ და კანონიერ შესვენებას იმ შემთხვევებში, როდესაც ძალები, მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ. აშკარად აღარ გვყოფნის ამა და ამ გადასვლის რევოლუციური შესრულებისთვის. გამარჯვება ისეთ «ძალთა მარაგს» იძლევა, რომ საშუალება არსებობს გასძლო იძულებითი უკან დახევის დროსაც კი, — გასძლო მატერიალურადაც და მორალურადაც. გაძლება მატერიალური მხრივ — ეს ნიშნავს შეინარჩუნო ძალთა საკმაო უპირატესობა, რომ მტერმა ვერ შესძლოს ჩვენი საბოლოო დამარცხება. გაძლება მორალური მხრივ — ეს ნიშნავს არ მიეცე დემორალიზაციას, დეზორგანიზაციას, შეინარჩუნო მდგომარეობის ფხიზელი შეფასება,

შეინარჩუნო სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე, დაიხიო თუნდაც ძალიან უკან, მაგრამ ზომისად, უკან დაიხიო ისე, რომ თავის დროზე შეაჩერო უკან დახევა და კვლავ შეტევაზე გადახვიდე.

ჩვენ უკან დავიხიეთ სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ. მაგრამ ჩვენ ზომისად დავიხიეთ უკან. ჩვენ ახლა უკან ვიხევთ ვაჭრობის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისაკენ. მაგრამ ჩვენ უკან დავიხევთ ზომისად. უკვე არის იმის ნიშნები, რომ მოჩანს ამ უკან დახევის დასასრული, მოჩანს არც თუ ისე შორეულ მომავალში ამ უკან დახევის შეჩერების შესაძლებლობა. რაც უფრო შეგნებულად, რაც უფრო ერთსულოვნად, რაც უფრო ნაკლები ცრურწმენით მოვახდენთ ამ აუცილებელ უკან დახევას, მით უფრო ჩქარა იქნება შესაძლებელი მისი შეჩერება, მით უფრო მტკიცე, სწრაფი და ფართო იქნება შემდეგი ჩვენი ძლევამოსილი მსვლელობა წინ.

1921 წ. 5 ნოემბერი.

«პრავდა» № 251, 1921 წ.
6 — 7 ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ პროხოროვის მანუფაქტურის მუშათა კრებაზე 1921 წ. 6 ნოემბერს [21]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(მთელი დარბაზი დგება. ხანგრძლივი ტაში.) როცა თვალს ვავლებთ განვლილ ოთხ წელიწადს, ვხედავთ, რომ არც ერთ პროლეტარიატს ქვეყნად, გარდა რუსეთის პროლეტარიატისა, არ მოუპოვებია სრული გამარჯვება ბურჟუაზიაზე. ხოლო თუ ეს ჩვენ შევძელით, მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხებმა და მუშებმა იცოდნენ, რომ იბრძოდნენ თავიანთი მიწისა და თავიანთი ხელისუფლებისათვის. ომი დენიკინთან, ვრანგელთან და კოლჩაკთან პირველი ომი იყო ისტორიაში, როცა მშრომელნი წარმატებით ებრძოდნენ თავიანთ მჩაგვრელებს. ჩვენი გამარჯვების მეორე მიზეზი ის არის, რომ ანტანტას არ შეეძლო რუსეთის წინააღმდეგ საკმაო რაოდენობით გადმოესროლა ერთგული ჯარები, რადგან საფრანგეთის ჯარისკაცებსა და ინგლისის მატროსებს არ სურდათ გამოელაშქრნათ თავიანთი ძმების დასაჩაგრავად.

ოთხმა წელმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეხორციელებინა გაუგონარი სასწაული: მშიერმა, სუსტმა, ნახევრადდანგრეულმა ქვეყანამ დაამარცხა თავისი მტრები — მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნები.

ჩვენ მოვიპოვეთ არნახული, მტკიცე საერთაშორისო მდგომარეობა, რომელსაც არავინ ითვალისწინებდა. ახლა რჩება კიდევ უდიდესი ამოცანა — სახალხო მეურნეობის მოწესრიგება. ყოველივე ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, გვიჩვე-

ნებს, რომ ჩვენ ვეყრდნობით ქვეყნად ყველაზე სასწაულებრივ ძალას — მუშათა და გლეხთა ძალას. ეს გარემოება გვაძლევს რწმენას, რომ შემდგომ წლისთავს ჩვენ შევხვდებით შრომის ფრონტზე გამარჯვების ნიშნით.

«პრავდა» № 252, 1921 წ. 9 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს

(ორკესტრი ასრულებს «ინტერნაციონალს». ტაშის გრიალი.) ამხანაგებო, მე არ შემიძლია გაგიზიაროთ მოგონება, რომელიც თქვენთვის ისევე საგულისხმო და საინტერესო იქნებოდა, როგორც იმ ამხანაგების მოგონება, რომლებიც მოსკოვში პირადად იღებდნენ მონაწილეობას ამა თუ იმ ბრძოლაში. ამ დროს მე მოსკოვში არ ვყოფილვარ, და ვფიქრობ დავჯერდე მოკლე მისალმებას.

ერთ-ერთმა წინა ორატორმა თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით — თვით მუშებმა გააძლიერონ მუშაობა პროფესიულ და საბჭოთა ორგანოებში და ამას შესწირონ მთელი თავიანთი ძალ-ღონეო, და მეც მსურს მხარი დავუჭირო ამ მოწოდებას.

ამხანაგებო, ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში გაუგონარი ბრძოლა გადავიტანეთ. და ოთხი წლის წინათ რომ ეთქვათ ჩვენთვის, უცხოელი მუშა არც ისე ახლოს არის მსოფლიო რევოლუციასთანო, რომ სამი წლის განმავლობაში მოგვიხდება სასტიკი სამოქალაქო ომის წარმოებაო, — მაშინ არავინ დაიჯერებდა, რომ ჩვენ გავუძლებდით ამ ომს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მხრით გვიტევდნენ, ჩვენ გავუძელით ამ შემოტევას, და თუ ეს შევძელით, არა იმიტომ, რომ რაღაც სასწაული მოხდა (რადგან ჭკვიან ადამიანებს სასწაულები არა სწამთ), ჩვენ გავუძელით იმიტომ, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი ჯარები საიმედონი არ იყვნენ. ინგლი-

ხელები რომ არ წასულიყვნენ არხანგელსკიდან, ხოლო ფრანგი მატროსები ოდესიდან და ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი და ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი უცხოელი მუშა რომ გამსჭვალული არ ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობით, — ჩვენ ახლაც არ ვიქნებოდით გარანტირებული ჩვენზე შემოტევის შესაძლებლობისაგან. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, რადგან ვიცით, რომ ყოველ ქვეყანაში მრავალი მოკავშირე გვყავს. და ის ამხანაგი, რომელიც აქ მოგიწოდებდათ დარაზმული მუშაობისაკენ, მართალი იყო, და მას მეც სავსებით მხარს ვუჭერ, რადგან თქვენ იცით, რომ შიმშილი თავს დაგვატყდა უაღრესად მძიმე მომენტში, და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებიც ცდილობენ ისარგებლონ ამით, რომ დაგვიმონონ. მაგრამ ჩვენ ზურგს გვიმაგრებენ მუშათა მასები, რომლებიც უზრუნველგვყოფენ ვაწარმოოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

მაგალითისათვის ავიღოთ გლეხებისთვის თესლით დახმარების საქმე. თქვენ იცით, რომ სასურსათო გაწერა შეიცვალა სასურსათო გადასახადით, და ახლა შეგიძლიათ დაინახოთ, რა კარგად შემოდის სასურსათო გადასახადი და სათესლე სესხი.

ამ დღეებში მოგვიხდა საკითხის განხილვა იმის შესახებ, რომ დახმარება გავუწიოთ დამშეული ადგილების გლეხებს საგაზაფხულო ფართობის დათესვაში, და დავინახეთ, რომ საახელმწიფოს ხელში არსებული თესლის რაოდენობა სრულიადაც არ კმარა იმდენის დასათესადაც კი, რამდენიც 1921 წელს დაითესა. საამისოდ სახელმწიფოს სჭირდება 30 მილიონი ფუთი მარცვალი, სასურსათო გადასახადით კი მივიღებთ მხოლოდ 15 მილიონ ფუთს, დანარჩენი 15 მილიონი ფუთი კი უნდა შევისყიდოთ საზღვარგარეთ. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის ბურჟუაზია კამპანიას აწარმოებს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების გასაუქმებლად, მაგრამ ინგლისის მუშები ამის წინააღმდეგი არიან. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად ხელშეკრულებებს სდებენ სხვა ქვეყნებთან, და თუმცა ძალიან ძნელია 15 მილიონი ფუთი მარცვლის შესყიდვა, ჩვენ ამას შევძლებთ.

ყველა უცხოურ სახელმწიფოში ჩვენ ვხედავთ სამრეწველო კრიზისებს და უდიდეს უმუშევრობას. გერმანია, გასრესილი ვერსალის უსინდისო ხელშეკრულებით, დიდი ხნით ამოვარდნილია საერთაშორისო მდგომარეობიდან. იგი ისეა გასრესილი ვერსალის ზავით, რომ ვაჭრობა აღარ შეუძლია. მოკავშირე ქვეყნებმა დასდეს ვერსალის გაუგონარი ზავი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონაც იღუპებიან.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება.

ჩემი თხოვნა ის არის, რომ გავყვეთ წინა ამხანაგის მოწოდებას და გავაძლიეროთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის შიგნით. საჭიროა შევიგნოთ ამის მთელი აუცილებლობა, რადგან ჩვენ ვმუშაობთ გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებაზე, ამისათვის კი საჭიროა განუზომლად მეტი ენერგია, ვიდრე წინათ იყო საჭირო, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას შევძლებთ. (ტაში. ორკესტრი ასრულებს «ინტერნაციონალს».)

ბეჭდება პირველად, სოქმო ჩანაწერის მიხედვით

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ «ელექტროსილას» № 3 (ყოფ. «დინამოს») ქარხნის მუშათა კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინი მკვეთრი მაგალითებით ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელთა შეგნებაში დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, არწმუნებს რა მათ იმაში, რომ იგი, როგორც ასეთი, თვით მშრომელთა ხელისუფლებაა.

«თოფიანი კაცი — წარსულში საშინელ ვინმედ წარმოსახული მშრომელი მასების შეგნებაში, — ამბობს ამხ. ლენინი, — ახლა, როგორც წითელი არმიის წარმომადგენელი, საშინელი აღარ არის, მათივე დამცველია».

«პრავდა» № 254,
1921 წ. 11 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა: «ახალი ეკონომიური კოლიტიკის საკითხისათვის (ორი ძველი სტატია და ერთი კიდევ უფრო ძველი ბოლოსიტყვაობა)» [22]

1919 წლის გაზაფხულზე ერთხელ მომიხდა მოხსენებით გამოსვლა პიტერის მუშების წინაშე. მოხსენება, როგორც ხდება ხოლმე, ჩასწერეს. ჩასწერეს, როგორც ხდება ხოლმე, ძალიან ცუდად, — შეიძლება არც ისე ცუდად, მაგრამ, ალბათ, მე ვლაპარაკობდი, როგორც ხდება ხოლმე, ცუდად. ცუდად ჩაწერილი თუ ცუდად წაკითხული მოხსენება, როგორც ხდება ხოლმე, გამოსცეს.

ძალიან კარგად ვიცი და ძალიან მწვავედ ვგრძნობ რა ყველა ამ «ცუდს» და ყველა ამ «როგორც ხდება ხოლმეს», მე მაშინვე გავუგზავნე პიტერელ ამხანაგებს შემდეგი «ბოლოსიტყვაობა» ჩემი მოხსენებისა (რომელიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გამოვიდა სათაურით: «საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი» [23]):

«ბოლოსიტყვაობა

ცოტა შრომა როდი გამიწევია ჩემი სიტყვის ჩანაწერის გასწორებაზე, ამიტომ იძულებული ვარ დაბეჭითებით ვთხოვო ყველა იმ ამხანაგს, ვისაც სურს ჩემი სიტყვები ჩასწეროს ხოლმე პრესისთვის.

თხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს არ ენდოთ ჩემი სიტყვების არც სტენოგრაფიულ და არც სხვა რაიმე ჩანაწერს, არასოდეს არ გამოედევნოთ მათ ჩაწერას, არასოდეს არ დაბეჭდოთ ჩემი სიტყვების ჩანაწერები.

ნაცვლად ჩემი სიტყვების ჩანაწერისა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, დაბეჭდეთ ამ სიტყვების ანგარიში. გაზეთებში მე მინახავს ჩემი სიტყვების ასეთი ანგარიშები, რომლებიც დამაკმაყოფილებელი ყოფილა. მაგრამ მე ერთხელაც არ მინახავს ჩემი სიტყვის რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ჩანაწერი. მე არ ვკისრულობ იმის განსჯას, თუ რატომ ხდება ეს, ჩემი სიტყვების მეტისმეტად სწრაფად წარმოთქმის, მისი უმართებულოდ აგების თუ სხვა რამის გამო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩემი სიტყვის არც ერთი დამაკმაყოფილებელი ჩანაწერი, არც სტენოგრაფიული და არც სხვა რაიმე, ჯერ არც ერთხელ არ მინახავს.

უმჯობესია სიტყვის კარგი ანგარიში, ვიდრე მისი ცუდი ჩანაწერი. სწორედ ამიტომაც გთხოვთ: არასოდეს არ დაბეჭდოთ ჩემი სიტყვების არავითარი ჩანაწერები. 1919. 17. IV.
ნ. ლ ე ნ ი ნ ი».

ეს ბოლოსიტყვაობა პიტერში გავგზავნე შემდეგი მინაწერით: «ძალიან ვთხოვ პიტერელ ამხანაგებს დაბეჭდონ ქვემომოყვანილი წ ი ნ ა სიტ ყ ვ ა ო ბ ა დ ან ბ ო ლ ო-სიტ ყ ვ ა ო ბ ა დ ჩემი სიტყვისა, თუნდაც სულ წვრილი პეტიტით. 17. IV. ლენინი».

მკითხველი ხედავს, როგორი მორიდებით, თითქმის პირფერობით, ვემუდარებოდი პიტერელ ამხანაგებს «თუნდაც სულ წვრილი პეტიტით» დაებეჭდათ ეს რამდენიმე სტრიქონი. როგორც ხდება ხოლმე, პიტერელებმა — ამხ. ზინოვიევის მეთაურობით — ...როგორა ვთქვა უფრო რბილად?... «გამაცურეს». როგორც ხდება ხოლმე, პიტერელებს ძალიან უყვართ რადაც უნდა დაჯდეს დაგვანახვონ თავიანთი დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა, — და იქამდე მიდიან, რომ არ ასრულებენ ავტორის თხოვნას, რაც სავალდებულოა ყველა სხვა ადამიანისთვის, ამხანაგისა და მოქალაქისთვის, ყველა ქვეყანასა და ყველა რესპუბლიკაში, თვით საბჭოთა რესპუბლიკებშიც კი (თვითმყოფი პიტერის გამოკლებით). როცა დავინახე, რომ პიტერელებმა არ შემისრულეს თხოვნა, მწარედ შევჩივლე ამხ. ზინოვიევს; უკანასკნელმა, როგორც ხდე-

ბა ხოლმე, მიპასუხა: «რაც მოხდა, მოხდა, ახლა უკვე გამოსწორება შეუძლებელია, ანდა როგორ შეგვეძლო დაგვებეჭდა ბოლოსიტყვაობა, რომლითაც თქვენ სახელს უტეხთ თქვენს ბროშურასო». ამრიგად... «თვითმყოფობას» დაემატა კიდევ ეშმაკობაც, და საბოლოოდ გაბრიყვებული დავრჩი.

ამას წინათ კვლავ განმეორდა ცუდად წარმოთქმული ან (შესაძლოა «აგრეთვე») ცუდად ჩაწერილი სიტყვების ისტორია: ეს იყო ჩემი სიტყვები პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე და საგუბერნიო პარტკონფერენციაზე მოსკოვში. მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი, ახლა უკვე გადავწყვიტე ნაკლებ «პირფერულად» მოვქცეულიყავი. მოვძებნე ჩემს არქივში 1919 წ. 17 აპრილის ძველი წინასიტყვაობა და ვბეჭდავ მას როგორც ორი ჩემი სტატიის წინასიტყვაობას. ორივე დასახელებულ სიტყვას ხელმეორედ აღარ ვბეჭდავ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.

დაე გაიმარჯვოს სიმართლემ — უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს. სიმართლე კი მრავალი მხრივ გაიმარჯვებს: იმ მხრივაც, რომ პიტერელებს ოდნავ მაინც მიეზღვებათ თავიანთი მეტისმეტი «თვითმყოფობისა» და ეშმაკობისათვის; იმ მხრივაც, რომ მკითხველ საზოგადოებას, ბოლოს და ბოლოს, რაც შეიძლება უფრო ზუსტად, თვალსაჩინოდ და საგრძნობლად ეცოდინება ჩემი სიტყვების ჩანაწერების მთელი უვარგისობა; იმ მხრივაც, რომ ჩვენი «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» სფეროში მომენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის შესახებ ჩემი მოსაზრებებით დაინტერესებულნი მიიღებენ იმის სავსებით ზუსტ ტექსტს, რისი თქმაც მე ნამდვილად მინდოდა და რაც ნამდვილადაც ვთქვი.

1921. 16. XI.

ნ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ ჩასწორებული საკორექტურო ანაბეჭდის მიხედვით

დეკეშა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ნარიმანოვს

ბაქო

აზერბაიჯანის ახლად გახსნილ სახელმწიფო ბანკს ვუსურვებ მტკიცე დასაყრდენი იყოს ახალი ეკონომიური პოლიტიკისა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ხელში. 40 მილიონის შეწირვა ვოლგისპირეთისა და ქურთისტანის დამშეულთათვის საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ მზადა ხართ იდგეთ მშრომელთა წითელი ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1921 წ.
17 ნოემბრისა

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
მიერ ხელმოწერილი
დედნის მიხედვით

ნიჭიერად დაწერილი წიგნაკი

ეს არის თითქმის გონების დაბნელებამდე გაბოროტებული თეთრგვარდიელის არკადი ავერჩენკოს წიგნაკი: «თორმეტი დანა რეკოლუციის ზურგში». პარიზი, 1921. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოშვა უკიდურესმა სიძულვილმა ამ მეტად ნიჭიერად დაწერილი წიგნაკის როგორც შესანიშნავად ძლიერი, ისე შესანიშნავად სუსტი ადგილები. როცა ავტორი თავის მოთხრობებს მისთვის უცნობ თემას მიუძღვნის, არამხატვრულად გამოუდის. მაგალითად, მოთხრობა, რომელიც გვისურათებს ლენინსა და ტროცკის ოჯახურ ცხოვრებაში. სავსეა ღვარძლით, ოღონდ სინამდვილეს რაღაც არა ჰგავს, პატივცემულო მოქალაქე ავერჩენკო! გარწმუნებთ, რომ ლენინსა და ტროცკის მრავალი ნაკლი აქვთ, მათ შორის, მაშასადამე, ოჯახურ ცხოვრებაშიც. მხოლოდ მათ შესახებ რომ ნიჭიერად დაწერო, საჭიროა იცნობდე ამ ნაკლოვანებებს. თქვენ კი მათ არ იცნობთ.

სამაგიეროდ წიგნაკის დიდი ნაწილი ეძღვნება ისეთ თემებს, რომლებსაც არკადი ავერჩენკო ჩინებულად იცნობს, რომლებიც მას განუცდია, მოუფიქრებია, შეუგრძვნია. და გასაოცრად ნიჭიერად არის დახატული ძველი, მემამულეებისა და მეფაბრიკეების, მდიდარი, ჭამით გამსკდარი, ჭამას გადაყოლილი რუსეთის წარმომადგენლის შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი. ასე, სწორედ ასე უნდა ეჩვენებოდეს რევოლუცია მბრძანებელი კლასების წარმომადგენლებს. რისხვით აღგზნებული სიძულვილი ავერჩენკოს მოთხრობებს ზოგჯერ — და მეტწილად — გასაოცრად მკაფიოს ხდის. არის პირდაპირ საუცხოო რამეები, მაგ., «ჩექმებით გათელილი ბალახი», ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ, რომლებმაც განიცადეს და განიცდიან სამოქალაქო ომს.

მაგრამ ნამდვილ პათოსს ავტორი მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ჭამაზე ლაპარაკობს. როგორ სჭამდნენ მდიდრები ძველ რუსეთში, როგორ საუზმობდნენ პეტროგრადში — არა, პეტროგრადში კი არა, პეტერბურგში — 14 მანეთნახევრად და 50 მანეთად და სხვ.. ავტორი ამას პირდაპირ ავხორცულად ასწერს: აი ეს მან იცის, აი ეს განუცდია და შეუგრძვნია მას, აი აქ ის შეცდომას აღარ დაუშვებს. საქმის ცოდნა და გულწრფელობა — არაჩვეულებრივია.

უკანასკნელ მოთხრობაში: «დამსხვრეულის ნატეხები» გამოსახულია: ყირიმს, სევასტოპოლს ჩარჩენილი ყოფილი სენატორი — «მდიდარი, გულუხვი, გავლენიანი კაცი იყო» — «ახლა საარტილერიო საწყობში დღიურად მუშაობს ყუმბარების გადმოტვირთვასა და დახარისხებაზე», და ყოფილი დირექტორი «ვეებერთელა მეტალურგიული ქარხნისა, რომელიც ვიბორგის მხარეში პირველ ქარხნად ითვლებოდა. ახლა ის საკომისიო მაღაზიის ნოქარია, და ბოლო ხანს ერთგვარი გამოცდილებაც კი შეიძინა საკომისიოდ მოტანილ ქალის ნახმარი ხალათებისა და ბავშვის სათამაშო ბუსუსიანი დათუნიების შეფასებაში».

ორივე მოხუცი იგონებს ძველ დროს, მზის ჩასვლას პეტერბურგში, ქუჩებს, თეატრებს, რა თქმა უნდა, ჭამას «მედვედში», «ვენაში» და «მალიი იაროსლავეცში» და სხვ.. და მოგონებებს მოსდევს წამოძახილები: «რა დავუშავეთ მათ? ვის ვუშლიდით ხელს?»... «რით უ'ძლიდა მათ ხელს ყოველივე ეს?»... «რისთვის მათ რუსეთი ასე?»...

არკადი ავერჩენკო ვერ გაიგებს, რისთვის. მუშებსა და გლეხებს, როგორც ეტყობა, არ უძნელდებათ ამის გაგება, ისინი არ საჭიროებენ განმარტებას.

ზოგიერთი მოთხრობა, ჩემი აზრით, გადმობეჭდვის ღირსია. ნიჭს წახალისება უნდა.

«პრავდა» № 263,
1921 წ. 24 ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

ი'ბეჭდება «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი წინადადებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ [24]

28/XI.

1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და **მუშათა და გლეხთა მასების** წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად ნაწილობრივ დაიბეჭდა
1923 წელს წიგნში «რუსეთის კომუნისტური
პარტიის (ბოლშევიკების) მეთორმეტე ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში».
მოსკოვი, გამომც. «ყრასნაია ნოვ»

იბეჭდება მთლიანად,
ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის I საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე 1921 წ. 29 ნოემბერს [25]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

მოკლე მისალმებაში სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ამხ. ლენინმა აღნიშნა ამ ყრილობის და სხვა გუბერნიების ანალოგიური ყრილობების მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

— თქვენ ყველას მოგეხსენებათ, — თქვა ამხ. ლენინმა, — რომ ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკის ძირითად საკითხს, რომელსაც აყენებს ჩვენი დროის ყველა გარემოება, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის პირველხარისხოვან საკითხს წარმოადგენს საერთოდ მეურნეობის ამაღლების და პირველ რიგში სოფლის მეურნეობის ამაღლების საკითხი. ყველა ნიშანი მოწმობს იმას, რომ ამჟამად, იმპერიალისტური ომის მძიმე წლების და ძლევამოსილი სამოქალაქო ომის გადატანის შემდეგ, გლეხობაში ხდება უდიდესი გარდატეხა. გლეხთა მასების უღრმეს ფენებში შეიჭრა იმის შეგნება, რომ მეურნეობის ძველებურად წარმართვა აღარ შეიძლება. მთელი რიგი ნიშნები მოწმობენ იმას, რომ მეურნეობის გარდაქმნის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის ამაღლების მისწრაფებას ისე ღრმად, ისე ფართოდ, ისე მწვავედ გრძნობს ახლა გლეხობა, როგორც არასოდეს, და ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ასეთი სასოფლო-სამეურნეო ყრილობები რაც შეიძლება ხშირად ხდებოდეს და რომ ამ ყრილობების მუშაობის შედეგებს პრაქტიკულად უახლოეს მომავალში ეჩინოს თავი. ის დიდი უბედურება, რომელიც წელს თავს დაგვატყდა — შიმშილი მთელ რიგ გუბერნიებში და აგრეთვე გვალვა, რომელიც,

როგორც ეტყობა, უახლოეს წელს თუ არა, უახლოეს წლებში მოგველის, მთელი სახალხო მეურნეობის ძირითად საკითხად აყენებს ამოცანას რადაც უნდა დაჯდეს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის უაღრესად სერიოზულ გაუმჯობესებასა და აღმავლობას, რაც პრაქტიკულად დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. თუ ის გაუმჯობესებანი, რომელთა განხორციელება უკვე დაიწყო ძალიან ფართო მასშტაბით, გავრცელდება გამოუკლებლივ ყველა გუბერნიაზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ შიმშილის დაძლევას და მივაღწევთ გლეხური მეურნეობის ნამდვილ გაუმჯობესებას. აი რატომ უნდა ჩატარდეს ამგვარი ყრილობები ყველა გუბერნიაში და გავლენა უნდა მოახდინოს გლეხთა მასებზე. ეს ახლა, მე ვიტყოდი, აუცილებელია პოლიტიკურად, რადგან ყველა პოლიტიკური საკითხი, რამდენადაც ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდა, მიდის ერთი მიმართულებით — რადაც უნდა დაჯდეს გავადიდოთ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება. მისი ნაყოფიერების გადიდებას უნდა მოჰყვეს ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესებაც. (ამ ხ. ლ ე ნ ი ნ ი ს მ ო კ ლ ე ს ი ტ ყ ვ ი თ გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ძ ლ ი ე რ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა მ ო ა ხ დ ი ნ ა გ ლ ე ხ დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ზ ე, დ ა ა მ ხ. ლ ე ნ ი ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა დ ა ი ფ ა რ ა მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი თ.)

«პრავდა» № 270,
1921 წ. 30 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თეზისების შესახებ აგრარულ საკითხში

«გლეხის ხმის» (La Voix Paysanne) [26] 95-ე ნომერში «საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის» (Le comité directeur) ხელმოწერით 1921 წ. 19 ნოემბერს დაბეჭდილ ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს თ ე ზ ი ს ე ბ ი ს გამო შემიძლია ვთქვა შემდეგი:

მე სავსებით სწორად, კომინტერნის კონგრესების გადაწყვეტილებათა შესაბამისად და ძალიან მარჯვედ გამოთქმული მეჩვენება ამ თეზისების ძირითადი აზრი, სახელდობრ: (1) რევოლუციის აუცილებლობა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი იმპერიალისტური ომები; (2) პაციფისტური და ვილსონური იდეოლოგიის კრახი; (3) უცილობელი საჭიროება აგრარულ საკითხში კომუნიზმზე «გარდამავალ ღონისძიებათა პროგრამის» (un programme transitoire) შექმნისა, — ღონისძიებათა, რომლებიც შეფარდებული იქნება სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებაზე გლეხთა ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ გადასვლისადმი და ამავე დროს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გააუმჯობესებს სოფლის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, დაქირავებული მუშებისა და წვრილი გლეხების მდგომარეობას; (4) დაუყოვნებელი კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა, ე. ი. ექსპროპრიაცია აუნაზღაურებლად (sans indemnité) როგორც დაუმუშავებელი (les terres arables en friche), ისე კოლონების [27], მოიჯარადრეების ან დაქირავებული მუშების შრომით (les terres mises en Valeur par les colons, fermiers ou salariés)

დამუშავებული მიწებისა; (5) ამ მიწების გადაცემა იმ მუშების ჯგუფისათვის, რომლებიც ამჟამად ამ მიწებს ამუშავებენ, იმ პირობით, რომ ამ მუშებმა შეადგინონ «საწარმოო კოოპერატივები» (**coopératives de production**), ახალი აგრარული კანონმდებლობის დადგენილებათა შესაბამისად; (6) უეჭველი უზრუნველყოფა იმ «წვრილი მესაკუთრეებისათვის, რომლებიც თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწებს» (**les petits propriétaires exploitant eux-mêmes**), უფლებისა, რომ მუდამ (და სამემკვიდრეოდ) ისარგებლებენ თავიანთი მიწებით; (7) აუცილებელი უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის «წარმოების უწყვეტობისა და გადიდებისა» («**continuité et augmentation de la production**»); (8) აუცილებლობა «გლეხობის კომუნისტური აღზრდის» («**éducation communiste de la classe paysanne**») საქმეში მთელი რიგი ზომების სისტემატურად გატარებისა.

სავსებით ვეთანხმები რა თეზისების ამ ძირითად აზრებს, შემიძლია მხოლოდ შემდეგი ცალკეული შენიშვნები გავაკეთო საერთოდ ამ თეზისების გამო:

1. თეზისების პირველი ნაწილი ეძღვნება საკითხს: «ომი თუ რევოლუცია». აქ, სხვათა შორის, ლაპარაკია, და სრულიად ხამართლიანადაც, რომ «უკანასკნელმა ამბებმა ჩაკლეს პაციფისტური და ვილსონური იდეოლოგია» («**les événements des dernières années ont tué l'idéologie pacifiste et wilsonienne**»).

ამ პაციფისტური ილუზიების ბოლომდე დასამსხვრევად, ჩემი აზრით, საჭიროა ლაპარაკი არა მარტო ომზე საერთოდ, არამედ აგრეთვე როგორც 1914 — 1918 წლების ომის, ისე იმ ომის სპეციალურად იმპერიალისტურ ხასიათზე, რომელიც მზადდება ამჟამად ამერიკასა და იაპონიას შორის, ინგლისსა და საფრანგეთის მოსალოდნელი მონაწილეობით.

ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციას შეუძლია ბოლო მოუღოს და უსათუოდ მოუღებს ბოლოს საერთოდ ყოველგვარ ომს. მაგრამ პაციფისტური ილუზია

იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პროლეტარიატის ძლევამოსილი რევოლუცია ერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში, ერთბაშად და უსათუოდ მოსპობს ყოველგვარ ომს.

რუსეთის გამოცდილებამ თვალსაჩინოდ გააქარწყლა ეს ილუზია. ამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ მხოლოდ რევოლუციით შეიძლებოდა იმპერიალისტური ომიდან გამოსვლა და რომ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უზომოდ მოიგეს თავიანთი რევოლუციით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის კაპიტალისტებმა მათ თავს მოახვიეს სამოქალაქო ომი. რამდენადაც დანაშაულებრივი და დამღუპველია რეაქციული ომები და კერძოდ იმპერიალისტური ომები (რომელთაც მიეკუთვნება, საფრანგეთის მხრივაც, 1914 — 1918 წლების ომი: ვერსალის ზავმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაგვანახვა ეს), იმდენადვე კანონიერი და სამართლიანია რევოლუციური ომები, ე. ი. ომები დაჩაგრულ კლასთა დასაცავად კაპიტალისტების წინააღმდეგ, ქვეყნების მცირე ჯგუფის იმპერიალისტების მიერ დაჩაგრულ ხალხთა დასაცავად მჩაგვრელთა წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის დასაცავად უცხოეთის შემოსევისაგან. რაც უფრო ნათლად შეიგნებს ამას საფრანგეთის მუშათა და გლეხთა მასა, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელი და მით უფრო ხანმოკლე იქნება საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტების გარდუვალი ცდები — ომით ჩაახშონ მუშათა და გლეხთა რევოლუცია საფრანგეთში. თანამედროვე ევროპაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა გაიმარჯვა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაზე, რომლებიც დახმარებას უწევდნენ დენიკინს, კოლჩაკს, ვრანგელს, იუდენიჩსა და პილსუდსკის, — თანამედროვე ევროპაში, ვერსალის ზავით გერმანიის უზომო და უსირცხვილო დახრჩობის პირობებში, საფრანგეთის კაპიტალისტების სამოქალაქო ომი საფრანგეთის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მხოლოდ ფრიად ხანმოკლე და ათასჯერ უფრო იოლი საფრანგეთის მუშებისა და გლეხებისათვის, ვიდრე რუსებისათვის. მაგრამ ერთმანეთისაგან ნათლად

გარჩევა იმპერიალისტური ომებისა, ომებისა კაპიტალისტური ნადავლის გაყოფისათვის, ომებისა მცირე და სუსტ ერთა დასახრჩობად, და რევოლუციური ომებისა, ომებისა კონტრრევოლუციური კაპიტალისტებისაგან თავდაცვისათვის, მათი უღლის დასამხრობად, უსათუოდ აუცილებელია.

ზემომოყვანილ მოსაზრება

რი ომის წარმოებას საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ, როდესაც ისინი გახდებიან ემიგრანტები, რომლებიც დაიწყებენ უცხოეთის სახელმწიფოების შემოსევის მოწყობას საფრანგეთის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. საფრანგეთის მუშებისა და გლეხებისათვის მით უფრო ადვილი იქნება თავიანთი ექსპლოატატორების გასრესა, რადგან ვერსალის საძაგელი ზავით დაქუცმაცებული, განაწამები, ბალკანიზებული მ თ ე ლ ი ევროპა პირდაპირაც და არაპირდაპირაც მათ მხარეზე იქნება.

2. თეზისების შემდგომ ნაწილში უმართებულოდ მიმაჩნია მტკიცება: «მომავალი რევოლუცია საფრანგეთში (**cette révolution que nous devons faire**)... ერთგვარად ნაადრევი რევოლუცია იქნება» (**sera en quelque sorte une révolution avant terme**), აგრეთვე შემდეგი მტკიცება:

«საკუთრების კონცენტრაცია, რასაც აღიარებენ მარქსიზმის თეორეტიკოსები, სწორად არ ხდებოდა სოფლის მეურნეობაში» (**La concentration de la propriété annoncée par les théoriciens du marxisme ne s'est pas produite avec régularité dans l'agriculture**).

ეს არ არის სწორი. და ეს არის არა მარქსის შეხედულება, არა მარქსიზმის შეხედულება, არამედ კ ვ ა ზ ი-«მარქსიზმის» იმ «თეორეტიკოსების» შეხედულება, რომლებმაც მეორე ინტერნაციონალი სამარცხვინო გაკოტრებამდე მიიყვანეს 1914 წელს. ეს არის იმ ფსევდომარქსისტების შეხედულება, რომლებიც 1914 წლიდან «საკუთარი» ეროვნული ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ და რომელთაც დიდი ხნის წინათ ასე კარგად იგდებდა სამასხროდ თვით ჟიულ გედი, როცა მილიერანის წინააღმდეგ წერდა, რომ მომავალი მილიერანები მომავალ ომში კაპიტალისტური ნადავლის გაყოფისათვის «საკუთარი» კაპიტალისტების მხარეზე იქნებიანო.

მარქსი გამარტივებულად და უბრალოდ არ უყურებდა მიწათმოქმედებაში კონცენტრაციის პროცესის ფორმებს. ამის დამამტკიცებელია «კაპიტალის» მესამე ტომი. ამის დამა-

მტკიცებელია ენგელსის სტატია გასული საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთის მაშინდელი აგრარული პროგრამის წინააღმდეგ[28]. მარქსი პროლეტარიატის რევოლუციას «დროულად» არ თვლიდა მხოლოდ უკანასკნელი გლეხის ექსპროპრიაციის პირობით. მარქსის ასეთ შეხედულებათა განმარტებას დავუთმოთ ჰაინდმანებს, რენოდელებს, ვანდერველდეებსა და ზიუდეკუმებს, ბატონ ტურატისა და სერატის.

მე კი გირჩევდით უკუგეგდოთ ეს უმართებულო, უმაქნისო და საფრანგეთის კომუნისტების სახელის გამტეხი მტკიცება. ეს მტკიცება საჭირო არ არის მათი პრაქტიკულად და თეორიულად მნიშვნელოვანი და სწორი ძირითადი აზრის დასადასტურებლად, სახელდობრ იმ აზრისა, რომ მთლიანი კომუნიზმის უშუალოდ მიყენება (l'application immédiate) წვრილი გლეხური მეურნეობის პირობებისადმი (სრულიადაც არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყველა ქვეყანაში, სადაც კი არის წვრილი გლეხური მეურნეობა) დიდი შეცდომა იქნებოდა.

ნაცვლად ამ უმართებულო მტკიცებისა უმჯობესია უფრო დაწვრილებით ითქვას, რატომ არ არის მტკიცე ფრანგი გლეხების გამდიდრება ომის განმავლობაში; რატომ უფასურდება ამ გლეხების მიერ ომის დროს შეძენილი ფული; რატომ ძლიერდება დიდი ბანკების მხრივ საფრანგეთის მუშებისა და გლეხების ჩაგვრა; რით გამოიხატება ეს გაძლიერება, და სხვა და ასე შემდეგ.

3. თეზისებში, შემდეგ, ლაპარაკია, რომ ომამდელი სტატისტიკის მიხედვით საფრანგეთში ირიცხებოდა 5 700 000 სოფლის მეურნეობა (exploitations rurales); მათგან 4 850 000 წვრილი (10 ჰექტარამდე) და 850 000 — 10 ჰექტარზე მეტი სიდიდისა. ეს ციფრები ცხადყოფენ, — ნათქვამია თეზისებში — როგორ უთანაბროდ არის მიწა განაწილებული საფრანგეთში. «მაგრამ ეს ციფრები — ნათქვამია თეზისებში — არავითარ ზუსტ წარმოდგენას («mais ils (ces chiffres) ne fournissent aucune précision»...) არ იძლევიან იმაზე, თუ რა შე-

ფარდება არსებობს მესაკუთრეთა მიერ დამუშავებული მიწების ოდენობასა და იმ მიწებს შორის, რომლებიც კაპიტალისტური მოგების წყაროს შეადგენენ» (...«sur le rapport qui existe entre l'étendue des terres travaillées par leurs propriétaires et des terres source de profit capitaliste»).

ჯერ-ერთი, ის მიწებიც კი, რომელთაც მათი მესაკუთრენი ამუშავებენ, საფრანგეთში (ისე როგორც ყოველ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში) «კაპიტალისტური მოგების წყაროს» შეადგენენ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თეზისებში თეორიულად უფრო სწორი და პრაქტიკულად უფრო სასარგებლო იქნებოდა ლაპარაკი ამ მოგების ფორმებზე, ვიდრე იმაზე, თითქოს სოფლის მეურნეობაში საკუთრების კონცენტრაცია არ ხდებოდეს «სწორად» («avec régularité»).

მეორეც. სწორია, რომ საფრანგეთის აგრარული სტატისტიკა მოიკოჭლებს, რომ ის ჩამორჩება გერმანიის, ამერიკის, შვეიცარიის, დანიის სტატისტიკას და რომ იგი ზუსტად ვერ განსაზღვრავს მიწის იმ ფართობის ოდენობას, რომელზედაც წარმოებს კაპიტალისტური მეურნეობა. სწორია თეზისებში აღნიშნული ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ დაქირავებული მუშები ამუშავებენ 10 ჰექტარზე ნაკლები ფართობის ფერმებს, ხოლო მესაკუთრე გლეხები ზოგჯერ ამუშავებენ «ფერმებს, რომელთა ფართობი აღემატება 20, 30 ჰექტარს» («des fermes de 20, 30 hectares et au-dessus»).

მაგრამ საფრანგეთის აგრარული სტატისტიკის მიხედვითაც შეიძლება თუ სავსებით ზუსტი არა, დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ მიწის იმ ფართობის ოდენობის შესახებ, რომელიც კაპიტალისტური ექსპლოატაციის საგანია. მეხელთ არა მაქვს არც კომპერ-მორელის წიგნი და არც სხვა წყაროები, მაგრამ მახსოვს, რომ საფრანგეთის სტატისტიკა ცალკე გამოჰყოფს იმ მეურნეობებს, რომელთაც 40 და მეტი ჰექტარი უჭირავთ. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამ მონაცემების მოყვანა, რათა უფრო თვალსაჩინოდ დაგვენახვებინა საფრანგეთის წვრილი გლეხებისათვის, რა დიდძალი მიწა გამოსტაცეს

ხელიდან (მუშებსა და მათ) საფრანგეთის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა. აგრარულ თეზისებში შეიძლება (და ჩემი შეხედულებით კიდევაც უნდა) გამოვხატოთ უფრო თვალსაჩინოდ, საფრანგეთის იმავე აგრარული სტატისტიკის ციფრებით (და კომპერ-მორელის ციფრებითაც, როცა ის ჯერ კიდევ სოციალისტი იყო და არა დამცველი კაპიტალისტებისა და მათი 1914 — 1918 წლების მძარცველური ომისა და მათი მძარცველური ვერსალის ზავისა), თუ საფრანგეთის სოფლის მოსახლეობის რა უდიდესი უმრავლესობა მოიგებდა ახლავე, დაუყოვნებლივ და ფრიად მნიშვნელოვნად პროლეტარული რევოლუციით.

4. ჩემი უკანასკნელი შენიშვნა ეხება თეზისების იმ განყოფილებებს, სადაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების აუცილებლობაზე, თანამედროვე მანქანების (**des machines modernes**), კერძოდ ისეთი მანქანების მნიშვნელობაზე, როგორიცაა სალეწი მანქანები (**les batteuses**), მოტორიანი გუთნები (**les charrues à tracteur**) და სხვ.

თეზისების ყველა ეს მითითება უსათუოდ სამართლიანი და პრაქტიკულად აუცილებლად საჭიროა. მე მხოლოდ მგონია, რომ არ უნდა დავრჩეთ კაპიტალისტური ტექნიკისთვის სრულიად ჩვეულებრივ ფარგლებში, რომ საჭიროა ნაბიჯის გადადგმა წინ. საჭირო იყო რამდენიმე სიტყვის თქმა მთელი საფრანგეთის გეგმაზომიერი და სრული ელექტროფიკაციის აუცილებლობაზე, იმაზე, რომ უცილობლად შეუძლებელია ამ სამუშაოს შესრულება მ უ შ ა თ ა და გ ლ ე ხ თ ა სასარგებლ ო დ ბურჟუაზიის ძალაუფლების დაუმხობლად, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაუგდებლად. ფრანგულ ლიტერატურაში ცოტა მონაცემები როდი მოიპოვება საფრანგეთის ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ მონაცემების მცირე ნაწილი მოყვანილი იყო ნაშრომში, რომელიც ჩვენი მთავრობის დავალებით შესრულდა, რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ და

რომ ომის შემდეგ ელექტროფიკაციის საკითხის ტექნიკური მომზადება ძლიერ წავიდა წინ საფრანგეთში.

ჩემი აზრით, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-აგიტაციური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს თეზისებში ითქვას (და საერთოდაც რაც შეიძლება მეტი ლაპარაკი იყოს კომუნისტურ ლიტერატურაში) იმაზე, რომ თანამედროვე მოწინავე ტექნიკა გარდუვალად მოითხოვს მ თ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს — და მ თ ე ლ ი რ ი გ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს — ე ლ ე ქ ტ რ ო ფ ი კ ა ც ი ა ს ე რ თ ი გეგმის მიხედვით; რომ ამჟამად ასეთი სამუშაო სავსებით განსახორციელებელია; რომ ელექტროფიკაციით ყველაზე მეტად მოიგებდა სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით გლეხობა; რომ, ვიდრე რჩება კაპიტალიზმი და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, მთელი ქვეყნის და მთელი რიგი ქვეყნების ელექტროფიკაცია, ჯერ-ერთი, შეუძლებელია სწრაფად და გეგმაზომიერად მოხდეს; მეორე, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ეს მოხდეს მუშათა და გლეხთა ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ. კაპიტალიზმის დროს ელექტროფიკაცია გარდუვალად გამოიწვევს დ ი დ ი ბ ა ნ კ ე ბ ი ს მხრივ როგორც მუშების, ისე გ ლ ე ხ ე ბ ი ს ჩაგვრის გაძლიერებას. ჯერ კიდევ ომამდე არა რომელიმე «ვიწრო მარქსისტმა», არამედ თვითონ ამჟამად კაპიტალისტების წინაშე პატრიოტულად მლიქვნელმა ლიზისმა (**Lusis**) დაამტკიცა, საფრანგეთი სინამდვილეში ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ო ლ ი გ ა რ ქ ი ა არისო.

საფრანგეთს ელექტროფიკაციის საუცხოო შესაძლებლობა აქვს. საფრანგეთში პროლეტარიატის გამარჯვების შემთხვევაში, ელექტროფიკაციით, თუ ის მოხდება გეგმაზომიერად და მსხვილი მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების კერძო საკუთრებისთვის ანგარიშის გაუწევლად, განსაკუთრებით გ ი გ ა ნ ტ უ რ ა დ მოგებული დარჩება წ ვ რ ი ლ ი გ ლ ე ხ ობ ა. კაპიტალისტების ძალაუფლების შენარჩუნებისას გარდუვალია, რომ ელექტროფიკაცია არ იქნება გეგმაზომიერი და სწრაფი, ხოლო რამდენადაც იგი საერთოდ მოხდება, იგი

იქნება ახალი სახის კაბალა გლეხებისათვის, ახალი სახის მონობა გლეხებისათვის, რომლებსაც ძარცვავს «ფინანსური ოლიგარქია».

აი ის მცირეოდენი შენიშვნები, რაც შემიძლია გავაკეთო ფრანგული აგრარული თეზისების გამო, რომლებიც, ჩემი აზრით, საერთოდ და მთლიანად, სავსებით სწორია.

1921. 11. XII.

პირველად დაიბეჭდა
1922 წ. მარტში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წმენდისა და პარტიაში მილების პირობების შესახებ [22]

ჩემი აზრით, პარტიის წმენდის საკითხზე გამოქვეყნებული ფაქტები სავსებით ამტკიცებენ, რომ საერთოდ წმენდას უზარმაზარი წარმატება აქვს, მიუხედავად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინდივიდუალური შეცდომებისა. მე მგონია, რომ პარტკონფერენციის შედეგად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორივე ეს გარემოება. მე მგონია, ხელახალი წმენდის ვადის დანიშვნა საჭირო არ არის, რათა არაფრით არ შევიბოჭოთ ხელი.

გირჩევდით პარტკონფერენციის გადაწყვეტილებით დააწესოთ პარტიის წევრად მიღების უფრო სასტიკი პირობები: კანდიდატობის ვადა 1½ წელიწადი მუშისთვის (მუშად ითვლება ის, ვინც არა ნაკლებ 10 წლისა მუშაობდა მსხვილ მრეწველობაში უბრალო დაქირავებულ მუშად და ახლა არა ნაკლებ 2 — 3 წელია რაც მუშაობს), ყველა დანარჩენისთვის — 3 წელი.

ამ ვადების ერთიორად შემცირება შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პარტიისადმი ერთგულება და კომუნისტური სიმტკიცე სავსებით დამტკიცებულია და როცა ამას ადასტურებს საკითხის გადამწყვეტი ყველა პარტიული კოლეგიის უმრავლესობა ⅘-ის რაოდენობით.

იგივე ვადები დაწესდეს ახლანდელი წმენდის დროს პარტიიდან გარიცხულთა კანდიდატებად ჩასარიცხავად, თუ ისინი გარიცხული არ არიან განსაზღვრული ვადით და თუ ისინი გარიცხული არ არიან სამარცხვინო მოქმედებისათვის.

გთხოვთ ეს ჩემი წერილი უჩვენოთ უახლოეს ამხანაგებს და თუ ძნელი არ იქნება — მოკლედ მაცნობოთ ფოტიევას სახელზე თქვენი აზრი, თუნდაც იმ სახით, რომ ამ წერილში ხაზი გაუსვათ იმას, რასაც ეთანხმებით, და იმას, რასაც არ ეთანხმებით.

ლ ე ნ ი ნ ი

1921. 19. XII.

პირველად დაიბეჭდა 1945 წ.
ლენინის კრებულში XXXV

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით

წერილი პოლიტბიუროს მიმართ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის რეზოლუციის გამო [30]

გთხოვთ განიხილოთ საკითხი, საჭირო ხომ არ არის საბ-ჭოების ყრილობის სპეციალური რეზოლუციის მიღება პოლო-ნეთის, ფინეთისა და რუმინეთის (იაპონიის შესახებ უმჯობე-სია გავჩუმდეთ მთელი რიგი მიზეზების გამო) ავანტიურის პოლიტიკის წინააღმდეგ. რეზოლუციაში დაწვრილებით იქნეს განმარტებული, რომ რუსეთის არც ერთ მთავრობას არ უცვნია და არც შეეძლო ეცნო (გარდა საბჭოთა მთავრობისა) ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების მიმართ იმპერიალის-ტური პოლიტიკის დანაშაულებრიობა როგორც ცარიზმის, ისე დროებითი მთავრობის მხრივ, რომელსაც მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები. რეზოლუციაში დაწვრილებით ითქვას ის, თუ რამდენად ცხადვყავით საქმით, რომ ვაფასებთ ეროვნე-ბათა თვითგამორკვევასაც და მშვიდობიან ურთიერთობასაც წინათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სახელმწი-ფოებთან. დაწვრილებით ითქვას, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს არა მარტო ყველა დასახელებული ქვეყნის მუშებისა და გლე-ხებისა, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიისა და მთავრობების კე-თილგონიერ წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილის მშვიდობი-ანი გრძნობებისა. ავანტიურისტული ელემენტების მიმართ დავამთავროთ უსასტიკესი მუქარით, რომ თუ არ შეწყდება ავანტიურისტული თამაში ბანდებთან, როგორც ეს ხდებოდა სა-ვინკოვის წინანდელი ბანდების მიმართ, თუ ჩვენს მშვიდობიან

მუშაობას კვლავ ხელს შეუშლიან, ჩვენ გავაჩაღებთ საყოველთაო-სახალხო ომს, და საბოლოოდ გავსრესთ იმათ, ვინც მონაწილეობას იღებს ავანტიურასა და ბანდიტიზმში.

ყრილობის ასეთი შინაარსის რეზოლუცია ხელსაყრელი იქნებოდა იმით, რომ შეეძლებდით მის მასობრივად გავრცელებას ყველა ენაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

1921 წ. 22/XII.

პირველად დაიბეჭდა 1945 წ.
ლენინის კრებულში XXXV

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა

1921 წ. 23 — 28 დეკემბერი

1

რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ

სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ანგარიში საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობას 1921 წ. 23 დეკემბერი

(მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ე ბ ი. შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «ვ ა შ ა!», «გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხ. ლენინს!», «გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს!». ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.) ამხანაგებო! მე უნდა წარმოვადგინო ანგარიში რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. პირველად მიხდება ასეთი ანგარიშის წარმოდგენა ისეთ ვითარებაში, როცა მთელმა წელმა განვლო, და არც ერთი, ყოველ შემთხვევაში დიდი, თავდასხმა ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებაზე რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტების მხრივ არ ყოფილა. პირველი წელია, რაც ჩვენ ვისარგებლეთ, თუმცა სრულიადაც არა სავსებით, მაგრამ მაინც ვისარგებლეთ თავდასხმისაგან შედარებითი შესვენებით და შეგვეძლო თუნდაც რამდენადმე გამოგვეყენებინა ჩვენი ძალ-ღონე იმისათვის, რაც შეადგენს ჩვენს მო

ვხედავთ. ჩვენს შორის იმას, ვინც თავიდანვე განიცადა რევოლუცია, ვინც იცნობდა და უშუალოდ ხედავდა ჩვენს მიერ იმპერიალისტური ფრონტების გარღვევის გაუგონარ სიძნელეებს, დიდად ეუცხოება ახლა იმის დანახვა, თუ როგორ მოეწყო საქმე. მაშინ, ალბათ, არავინ მოელოდა და არც არავის შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, როგორიც ახლა შეიქმნა.

მომავალი განვითარება ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა (და ეს, თითქოს, ზედმეტი არ იქნება მოგაგონოთ, იმიტომ რომ ეს გამოდგება ჩვენთვის და მთავარ სამეურნეო საკითხებში ჩვენი პრაქტიკული დასკვნებისთვისაც) უფრო მარტივი, უფრო პირდაპირი სახით, ვიდრე აღმოჩნდა. ჩვენ ვეუბნებოდით ჩვენს თავს, ვეუბნებოდით მუშათა კლასს, ვეუბნებოდით როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების ყველა მშრომელს: არ არსებობს სხვა გამოსავალი წყეული და დანაშაულებრივი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან, გარდა რევოლუციისა, და, ვარღვევთ რა იმპერიალისტურ ომს რევოლუციით, ჩვენ ყველა ხალხს ვაძლევთ ერთადერთ შესაძლებელ გამოსავალს ამ უაღრესად დანაშაულებრივი ხოცვა-ჟლეტიდან. ჩვენ მაშინ გვეგონა, — და სხვანაირად ვერც წარმოგვედგინა, — რომ ეს გზა ნათელი, პირდაპირი და ყველაზე უფრო იოლი იყო. აღმოჩნდა, რომ ამ პირდაპირ გზას, რომელმაც მართლაც ერთადერთმა გამოგვიყვანა იმპერიალისტური კავშირურთიერთობიდან, იმპერიალისტური დანაშაულობიდან და იმპერიალისტური ომიდან, რომელიც კვლავ ემუქრება მთელ დანარჩენ სამყაროს, აღმოჩნდა, რომ ყოველ შემთხვევაში ისე სწრაფად, როგორც ჩვენ გვეგონა, სხვა ხალხებმა ვერ შესძლეს ამ გზას დადგომოდნენ. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენ ახლა ვხედავთ იმას, თუ რა გამოვიდა, ვხედავთ ერთადერთ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც არსებობს მის მიმართ მთელი რიგი გააფთრებულად მტრული იმპერიალისტური სახელმწიფოების გარემოცვაში, ვეკითხებით ჩვენს თავს: როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ვუპასუხოთ: ეს მოხდა იმიტომ, რომ ძირითადად ამბების ჩვენი გაგება სწორი იყო, რომ ძირითადად იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის შექმნილი არევ-დარევის ჩვენი შეფასება სწორი იყო. მხოლოდ ამიტომ შეიქმნა ასეთი უცნაური მდგომარეობა, ასეთი მერყევი, გაუ-გებარი და ერთგვარად მაინც უცილობელი წონასწორობა, რომელსაც ახლა ვხედავთ და რომელიც იმაში მდგომარე-ობს, რომ, თუმცა ყოველი მხრივ გარემოცული ვართ როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო მხრივ ჩვენზე განუზომლად უფრო მძლავრი, ძალიან ხშირად ჩვენდამი გააფთრებამდე მისული აშკარად მტრული სახელმწიფოებით, მაგრამ ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ მათ ვერ შესძლეს განეხორციე-ლებინათ ის საქმე, რომელსაც სამი წლის განმავ-ლობაში ამდენი სახსარი და ძალა შეალიეს, — საბჭოთა რუსეთის უშუალოდ და დაუყოვნებლივ დახრჩობის საქმე. როდესაც ვეკითხებით ჩვენს თავს, როგორ შეიძლებო-და ეს მომხდარიყო, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო, რომ ერთ-ერთი უსათუოდ ყველაზე ჩამორ-ჩენილი და მეტისმეტად სუსტი სახელმწიფო, რომ-ლისადმი აშკარად მტრულად არიან განწყობილი მსოფლიოს ყველაზე უფრო მძლავრი სახელმწიფოები, გაუმკლავდა მის წინააღმდეგ მიმართულ იერიშს, — როდესაც ამ საკითხში ვერკვევით, ნათლად ვხედავთ, თუ რაში იყო საქმე: ჩვენ მართალი აღმოვჩნდით უძირითადეს რამეში. ჩვენ მართალი აღმოვჩნდით ჩვენს ვარაუდებსა და ანგარიშში. აღმოჩნდა, რომ, თუმცა ჩვენ ვერ მივიღეთ ის სწრაფი, პირდაპირი, უშუალო მხარისდაჭერა მთელი მსოფლიოს მშრომელი მა-სებისა, რომლის იმედიც გვქონდა, რომელსაც საფუძვლად ვუდებდით მთელ ჩვენს პოლიტიკას, მაგრამ სხვაგვარი მხარის-დაჭერა, არა პირდაპირი მხარისდაჭერა, არა სწრაფი მხარის-დაჭერა იმდენად დიდი იყო, რომ სწორედ ეს მხარისდაჭერა, სახელდობრ თანაგრძნობა ჩვენდამი მშრომელი მასებისა, — მუშათა და გლეხთა, მიწათმოქმედი მასებისა, — მთელ

მსოფლიოში, იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც ყველაზე უფრო მტრულად არიან ჩვენდამი განწყობილი, სწორედ ეს მხარისდაჭერა და ეს თანაგრძნობა იყო უკანასკნელი, ფრიად გადამწყვეტი წყარო, გადამწყვეტი მიზეზი იმისა, რომ ყველა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული შემოსევა მარცხით დამთავრდა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა კავშირმა, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ, განვამტკიცეთ და ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში კიდევაც განვახორციელეთ, რომ ამ კავშირმა ყველა ქვეყანაზე მოახდინა გავლენა. თუმცა ეს დასაყრდენი ძალზე მერყეევია, ვიდრე სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი არსებობს (ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, ნათლად უნდა დავინახოთ და პირდაპირ ვაღიაროთ), თუმცა მთელი ეს დასაყრდენი მერყეევია, უნდა ითქვას, რომ ახლა უკვე მასზე დაყრდნობა შეიძლება. ამ თანაგრძნობამ და მხარისდაჭერამ გავლენა მოახდინა იმ მხრივ, რომ შემოსევა, რომელსაც სამი წლის განმავლობაში განვიცდიდით, რომელიც გაუგონარ გაჩანაგებასა და ტანჯვას გვაყენებდა, ეს შემოსევა, არ ვიტყვი, რომ შეუძლებელი გახდა, — ამ მხრივ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, — მაგრამ იგი, რაც უნდა იყოს, უდიდესად გაძნელებულია ჩვენი მტრებისათვის. და ამით აიხსნება საბოლოო ანგარიშში ერთი შეხედვით ის უცნაური, გაუგებარი მდგომარეობა, რომელსაც ამჟამად ვხედავთ.

თუ ჩვენ სავსებით გულდამშვიდებით ავწონ-დავწონით ბოლშევიზმისა და სოციალისტური რევოლუციისადმი თანაგრძნობას, თუ საერთაშორისო მდგომარეობას განვიხილავთ მხოლოდ ძალთა შეჯამების თვალსაზრისით, დამოუკიდებლად იმისა, მართალ თუ არამართალ საქმეს, ექსპლოატატორულ კლასს თუ მშრომელ მასებს იცავენ ეს ძალები, — ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, არამედ შევეცდებით ავწონ-დავწონოთ, როგორ არიან დაჯგუფებული ეს ძალები საერთაშორისო მასშტაბით, — დავინახავთ, რომ ეს ძალები ისე არიან დაჯგუფებული, რომ ძირითადად დადასტურდა ჩვენი წინასწარხედვა, ჩვენი ანგარიში, რომ კაპიტალიზმი ახრწნება, და ომის შემდეგ, რომელიც დამთავრდა ჯერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით,

ხოლო შემდეგ ვერსალის ზავით, — აღარ ვიცი, რომელია უარესი, — რაც დრო გადის, მით უფრო მეტად იზრდება სიძულვილი და ზიზღი ომისადმი იმ ქვეყნებშიც, რომლებიც გამარჯვებულნი გამოვიდნენ. და რაც უფრო ვშორდებით ომს, მით უფრო ცხადი ხდება არა მარტო მშრომელებისათვის, არამედ, სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით, გამარჯვებული ქვეყნების ბურჟუაზიისთვისაც, რომ კაპიტალიზმი იხრწნება, რომ მთელი მსოფლიოს ეკონომიურმა კრიზისმა შექმნა აუტანელი მდგომარეობა, რომ გამოსავალი არ არსებობს, მიუხედავად ყველა მოპოვებული გამარჯვებისა. აი რატომ არის, რომ ჩვენ, თუმცა ყველა დანარჩენ სახელმწიფოზე განუზომლად უფრო სუსტი ვართ ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც და სამხედრო მხრივაც, ამავე დროს მათზე უფრო ძლიერი ვართ იმით, რომ ვიცით და სწორ შეფასებას ვაძლევთ ყოველივე იმას, რაც გამოდის და რაც უნდა გამოვიდეს ამ იმპერიალისტური არევ-დარევიდან, ამ სისხლიანი ხლართიდან და იმ წინააღმდეგობიდან (ავიღოთ თუნდაც სავალუტო წინააღმდეგობა, დანარჩენზე უკვე აღარ ვილაპარაკებ), რომელშიც ეფლობოდნენ და სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობიან ისინი, ვერ ხედავენ რა გამოსავალს.

და აი ჩვენ ვხედავთ, როგორ იცვლიან კილოს უზომიერესი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ბურჟუაზიისა, რომელიც გადაჭრით და უცილობლად შორსაა ყოველგვარ ფიქრზე საერთოდ სოციალიზმის შესახებ, — «ამ საშინელ ბოლშევიზმზე» უკვე აღარ ვლაპარაკობ, — როცა კილოს იცვლიან ისეთი ადამიანებიც კი, როგორიცაა განთქმული მწერალი კეინსი, რომლის წიგნი ყველა ენაზეა გადათარგმნილი, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას ვერსალის მოლაპარაკებაში, რომელიც არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ დახმარებოდა თავის მთავრობებს, — ისიც კი შემდეგ იძულებული იყო მიეტოვებინა ეს გზა, განშორებოდა მას, განაგრძობდა რა სოციალიზმის წყევლა-კრულვას. ვიმეორებ, ის არაფერს ამბობს და ფიქრიც კი არა სურს ბოლშევიზმზე, — იგი ეუბნება

კაპიტალისტურ სამყაროს: «ის, რასაც თქვენ სჩადიხართ, გამოუვალ მდგომარეობაში გაგდებთ», და რაღაც იმის მსგავსსაც კი ურჩევს მათ, რომ გააუქმონ ყველა ვალი.

ძალიან კარგი, ბატონებო! დიდი ხანია დროა მიჰბაძოთ ჩვენს მაგალითს.

მხოლოდ ამ დღეებში წავიკითხეთ გაზეთებში მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური მთავრობის ერთ-ერთი გამოცდილი, მეტისმეტად გაქნილი და მარჯვე ბელადი, ლოიდ-ჯორჯი, თითქოს იწყებს ასეთივე ღონისძიების წამოყენებას, და როგორ სურს თითქოს ამერიკას უპასუხოს მას ამაზე: უკაცრავად, ჩვენ კი გვინდა სრულად მივიღოთ რაც გვეკუთვნისო. მაშინ ჩვენ ვამბობთ გულში: ცუდად ყოფილა იმ მოწინავე, უძლიერესი სახელმწიფოების საქმე, რომლებიც ომის შემდეგ ამდენი წლის განმავლობაში იხილავენ ასეთ უბრალო ღონისძიებას. ეს საქმე ჩვენთვის ყველაზე ადვილი იყო, — განა ასეთი სიძნელეები დაგვიძლევია! (ტ ა შ ი.) როცა ასეთ საკითხში სულ უფრო და უფრო მზარდ არევ-დარევას ვხედავთ, ვამბობთ, სრულიადაც არ ვივიწყებთ რა ჩვენს გარშემო არსებულ საშიშროებას, თუმცა ეკონომიური და სამხედრო მხრივ ძალიან სუსტნი ვართ ყოველ იმ სახელმწიფოსთან შედარებით, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ერთობლივად აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ჩვენდამი, რომ ასეთი პროპაგანდის ჩვენ არ გვეშინია. ხოლო როდესაც რამდენადმე სხვა შეხედულებებს გამოვთქვამთ მემამულეებისა და კაპიტალისტების არსებობის სამართლიანობის შესახებ, ეს მათ არ მოსწონთ, და ამ შეხედულებებს დანაშაულებრივ პროპაგანდად აცხადებენ. ეს მე ვერასგზით ვერ გამიგია, რადგან ასეთი პროპაგანდა წარმოებს ლეგალურად ყველა იმ სახელმწიფოში, რომლებიც არ იზიარებენ ჩვენს ეკონომიურ შეხედულებებს და თვალსაზრისს. ხოლო პროპაგანდას, რომ ბოლშევიზმი საზარელი, დანაშაულებრივი, უზურპატორული რამაა, — არ არსებობს ისეთი სიტყვა, რომ მთელი ეს საშინელება გამოხატო, — ასეთ პროპაგანდას აშკარად აწარმოებენ ყველა ამ ქვეყანაში. ამას წინათ შევხვდი ქრისტენსენს,

რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პოსტის კანდიდატად გამოვიდა იქაური მუშურ-გლეხური პარტიის სახელით. შეცდომაში არ შეგიყვანოთ, ამხანაგებო, ასეთმა სახელწოდებამ. ეს სახელწოდება სრულიად არა ჰგავს იმას, რასაც ჩვენში, რუსეთში, მუშურ-გლეხური პარტია ეწოდება. იქ ეს წმინდა წყლის ბურჟუაზიული პარტიაა, რომელიც აშკარად და გადაჭრით მტრულადაა განწყობილი ყოველგვარი სოციალიზმის მიმართ, სრულიად წესიერ პარტიად არის აღიარებული ყველა ბურჟუაზიული პარტიის მიერ. და აი ამ, ტომით დანიელმა, ახლა კი ამერიკელმა, რომელმაც მილიონამდე ხმა მიიღო (შეერთებულ შტატებში ეს, რაც უნდა იყოს, ცოტა რამეს ნიშნავს) პრეზიდენტის არჩევნებში, მიამბო — როგორ სცადა მან დანიაში, «ჩემსავით ჩაცმულ» ხალხში, — ასე თქვა მან, ის კი კარგად იყო ჩაცმული, ბურჟუაზიულად იყო ჩაცმული, — როცა სცადა ეთქვა, რომ ბოლშევიკები ავაზაკები არ არიანო, «კინაღამ მომკლესო», — მითხრა მან. მას უთხრეს, რომ ბოლშევიკები საზარლები, უზურპატორები არიან, როგორ უნდა დაგებადოს აზრი, რომ რიგიან საზოგადოებაში ამ ადამიანებზე ილაპარაკო? აი პროპაგანდის როგორი ატმოსფეროა ჩვენს გარშემო.

და მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთგვარი წონასწორობა მაინც შეიქმნა. ეს არის ობიექტური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც დამოკიდებული არ არის ჩვენს გამარჯვებებზე და რომელიც ცხადყოფს, რომ ჩვენ შევაფასეთ იმ წინააღმდეგობის მთელი სიღრმე, რომელიც დაკავშირებულია იმპერიალისტურ ომთან, და ვზომავთ უფრო სწორად, ვიდრე ოდესმე, ვიდრე სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც მიუხედავად ყველა მათი გამარჯვებისა, მთელი მათი ძლიერებისა, გამოსავალი დღემდე ვერ უპოვიათ და ვერც პოულობენ. აი საერთაშორისო მდგომარეობის ის დედაარსი, რომელიც გვიხსნის იმას, რასაც ახლა ვხედავთ. ჩვენს წინაშეა მეტისმეტად მერყევი, მაგრამ მაინც უცილობელი, უდავო განსაზღვრული წონასწორობა. დიდხანს იქნება ეს თუ არა — არ ვიცი, და ვფიქრობ, რომ ამის ცოდნა

შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი მხრივ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე. და ჩვენი პოლიტიკის პირველი მცნება, პირველი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი მთავრობის ერთი წლის მუშაობიდან, გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისოს ყველა მუშამ და გლეხმა, ეს ის არის, რომ ფხიზლად ვიყოთ, გვახსოვდეს, რომ გარს გვარტყია ისეთი ადამიანები, კლასები, მთავრობები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ წამს მოსალოდნელია ყოველგვარი შემოსევა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, რომ თავიდან ავიცილოთ ეს უბედურება. ჩვენ იმპერიალისტური ომის ისეთი სიმძიმე გადავიტანეთ, როგორიც არა მგონია გადაეტანოს რომელიმე სხვა ხალხს. ამის შემდეგ ჩვენ გადავიტანეთ სიმძიმე სამოქალაქო ომისა, რომელიც თავს მოგვახვიეს გაბატონებული კლასების წარმომადგენლებმა, რომლებიც იცავდნენ ემიგრანტულ რუსეთს — მემამულეთა რუსეთს, კაპიტალისტთა რუსეთს. ჩვენ ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რა გაუგონარი უბედურება მოაქვს ომს მუშებისა და გლეხებისთვის. ამიტომ ჩვენ უაღრესად ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს. ჩვენ მივდივართ უდიდეს დათმობებსა და მსხვერპლზე, ოღონდ შევინარჩუნოთ მშვიდობა, რომელიც ასე ძვირად დაგვიჯდა. ჩვენ მივდივართ უდიდეს დათმობებსა და მსხვერპლზე, მაგრამ არა ყოველგვარზე, მაგრამ არა უსაზღვროზე, — დაე ფინეთის, პოლონეთისა და რუმინეთის სამხედრო პარტიებისა და დამპყრობთა ხროვის იმ, საბედნიეროდ, მცირერიცხოვანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ამას ეთამაშებიან, დაე კარგად დაიხსომონ ეს. (ტ ა შ ი.)

ვინც რამდენადმე გონივრულად და წინდახედულად მსჯელობს, როგორც პოლიტიკოსი, ის იტყვის, რომ რუსეთში არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი მთავრობა, გარდა საბჭოთა მთავრობისა, რომელსაც ამდენი დაეთმოს და ამდენი მსხვერპლი გაეღოს როგორც ჩვენი სახელმწიფოს შიგნით მყოფი ეროვნებების, ისე რუსეთის იმპერიის ფარგლებში

შემოსულთა მიმართ. არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა მთავრობა, რომელსაც ჩვენსავით ნათლად ჰქონდეს შეგნებული და რომელიც ყველას წინაშე ასე გარკვევით ამბობდეს და აცხადებდეს, რომ ძველი რუსეთის, მეფის რუსეთის, სამხედრო პარტიათა რუსეთის დამოკიდებულება რუსეთში მოსახლე ეროვნებებისადმი დანაშაულებრივი იყო, რომ ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია, რომ ის იწვევდა ჩაგრულ ეროვნებათა გულისწყრომის უაღრესად კანონიერ პროტესტს, აღშფოთებას. არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა მთავრობა, რომელიც ასე აშკარად აღიარებდეს ამ მდგომარეობას, რომელიც ეწეოდეს ამ პროპაგანდას, ანტიშოვინიზმის პროპაგანდას, ძველი რუსეთის, ცარიზმის რუსეთისა და კერენსკის რუსეთის დანაშაულებრიობის აღიარების პროპაგანდას, მთავრობა, რომელიც პროპაგანდას ეწეოდეს რუსეთისადმი სხვა ეროვნებათა ძალით შემოერთების წინააღმდეგ. ეს არის არა ლიტონი სიტყვები — ეს არის უბრალო პოლიტიკური ფაქტი, რომელიც ყველასათვის ნათელია, რომელიც სრულიად უდავოა. ვიდრე რომელიმე ეროვნების მხრივ ჩვენს წინააღმდეგ არ არის ინტრიგები, რაც ბოჭავდეს ამ ეროვნებებს, იმპერიალისტურად იმონებდეს მათ, ვიდრე მათ არ გაუდვიათ ხიდი ჩვენს დასახრჩობად, ჩვენ ფორმალობის წინაშე არ შევჩერდებით. ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ რევოლუციონერები ვართ. (ტ ა შ ი.) მაგრამ არსებობს ფაქტები, რომლებიც უცილობლად, უდავოდ ამტკიცებენ, რომ სულ პატარა, სრულიად შეუიარაღებელი ეროვნება, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, რუსეთში, რომელმაც დაამარცხა მენშევიკები და ესერები, იგი აბსოლუტურად გულდამშვიდებული შეიძლება იყოს და უნდა იყოს იმაში, რომ ჩვენ მის მიმართ მხოლოდ მშვიდობიანი განზრახვები გვაქვს და მეტი არაფერი, რომ ჩვენი პროპაგანდა ძველ მთავრობათა ძველი პოლიტიკის დანაშაულებრიობის შესახებ არ სუსტდება და რომ ჩვენი სურვილი რადაც უნდა დაჯდეს, უდიდეს მსხვერპლთა და დათმობათა ფასად შევინარჩუნოთ მშვიდობა ყველა იმ ეროვნებასთან, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ,

მაგრამ არ მოისურვეს ჩვენთან დარჩენა, ურყევი რჩება. ეს ჩვენ დავამტკიცეთ. და რაც უნდა ძლიერ წყევლა-კრულვას გვაყრიდნენ ყოველი მხრიდან, ჩვენ ამას დავამტკიცებთ. ჩვენ გვგონია, რომ ეს საუცხოოდ დავამტკიცეთ, და მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების კრების წინაშე, რუსეთის მთელი მუშურ-გლეხური მრავალმილიონიანი მასის წინაშე ვიტყვით, რომ შემდეგშიც მთელი ძალღონით დავიცავთ მშვიდობას, არ შევჩერდებით დიდი დათმობებისა და მსხვერპლის წინაშე იმისათვის, რომ ეს მშვიდობა დავიცვათ.

მაგრამ არსებობს საზღვარი, რომლის იქით ველარ წახვალ. ჩვენ არავის დავანებებთ აბუჩად აიგდონ სამშვიდობო ხელშეკრულებები, არავის დავანებებთ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობის დარღვევის ცდას. არავის დავანებებთ ამას არავითარ შემთხვევაში და ფეხზე დავდგებით, როგორც ერთი კაცი, ჩვენი არსებობის დასაცავად. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ის, რაც ახლა ვთქვი, თქვენთვის სავსებით გასაგები და ნათელია, და სხვა რამეს, ალბათ, არც მოელოდით იმ ადამიანისაგან, რომელიც ანგარიშს გაძლევთ ჩვენს პოლიტიკაში. თქვენ იცოდით, რომ ჩვენი პოლიტიკა ასეთია და მხოლოდ ასეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ქვეყნად არის ორი სამყარო: ძველი — კაპიტალიზმი, რომელიც აირ-დაირია, რომელიც არასდროს უკან არ დაიხევს, და მზარდი ახალი სამყარო, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, მაგრამ რომელიც გაიზრდება, რადგან იგი უძლეველია. ამ ძველ სამყაროს ჰყავს თავისი ძველი დიპლომატია, რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება ილაპარაკო პირდაპირ და გულახდილად. ძველ დიპლომატიას ჰგონია: აი სწორედ აქ რაღაც ვერაგობა უნდა იყოსო. (ტ ა შ ი დ ა ს ი ც ი ლ ი.) როდესაც ეკონომიური და სამხედრო მხრივ ამ ყოვლისშემძლე სამყაროს წარმომადგენელმა მოგვიგზავნა — მას შემდეგ უკვე დიდი ხანია — ამერიკის მთავრობის ერთერთი წარმომადგენელი, ბულიტი, წინადადებით — ზავი დაგვედო კოლჩაკთან და დენიკინთან, ჩვენთვის ყოვლად

არახელსაყრელი ზავი, და როცა ჩვენ ვუპასუხეთ — იმდენად ვაფასებთ მუშათა და გლეხთა სისხლს, რომელიც უკვე დიდი ხანია იღვრებოდა რუსეთში, რომ, თუმცა ზავი ჩვენთვის მეტისმეტად არახელსაყრელია, მაგრამ მზადა ვართ დავდოთ იგი, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ კოლჩაკი და დენიკინი შინაგანად დაიშლებიან; როდესაც ჩვენ პირდაპირ ასე ვუპასუხეთ, და დახვეწილი დიპლომატიური კილო მაინცდამაინც არ გვიხმარია, — მათ გადაწყვიტეს, რომ ჩვენ უეჭველად მატყუარები უნდა ვიყოთ. და როგორც კი დაბრუნდა სამშობლოში ჩვენთან საერთო მაგიდაზე კეთილმოსურნედ მოსაუბრე ბულიტი, მას ყური აუწიეს და აიძულეს გადამდგარიყო, — მე ის მაკვირვებს, კატორღაში როგორ არ უკრეს მას თავი, ბოლშევიკებისადმი ფარული თანაგრძნობის გამო, როგორც ეს სჩვევიათ იმპერიალისტებს. (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი.) ხოლო ისე კი გამოვიდა, რომ ჩვენ, მაშინ ჩვენთვის უარესი ზავის შემთავაზებლებმა, მივიღეთ ზავი ჩვენთვის უკეთესი პირობების საფუძველზე. ეს პატარა გაკვეთილია. ვიცი, ჩვენ ვერ ვისწავლით ძველ დიპლომატიას, ისე როგორც ვერ გარდავიქმნებით, მაგრამ ის გაკვეთილები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში დიპლომატიის დარგში მივეცით და სხვა სახელმწიფოებმა შეითვისეს, ეს გაკვეთილები მაინც მთლად უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, ვინმეს მეხსიერებაში მაინც, უეჭველად, ჩარჩებოდა. (ს ი ც ი ლ ი.) ამიტომაც ჩვენი პირდაპირი განცხადება, რომ რუსეთის მუშები და გლეხები ყველაზე უფრო მეტად მშვიდობის სიკეთეებს აფასებენ, მაგრამ ისინი მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე მოითმენენ ამ მხრივ უკან დახევას, — ისე იქნა მიღებული, რომ მათ ერთი წამით, ერთი წუთითაც არ დავიწყნიათ ის, თუ რა მძიმე განსაცდელი გადაიტანეს მათ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომში. ეს ჩვენი მოგონება, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მთელ ყრილობასთან, მუშათა და გლეხთა მთელ მასასთან, მთელ რუსეთთან ერთად დავადასტურებთ და გამოვხატავთ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოგონება, როგორც უნდა შეხედონ მას, რაც უნდა დიპლომატიური

ვერაგობა დაინახონ აქ ძველი დიპლომატიური ჩვეულებით, უცილობლად უკვალოდ არ ჩაივლის და ერთგვარ როლს მაინც შეასრულებს.

აი, ამხანაგებო, ის, რის თქმაც აუცილებლად მიმაჩნია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე. მიღწეულია რამდენადმე მერყეევი წონასწორობა. მატერიალურად ეკონომიური და სამხედრო მხრივ ჩვენ უზომოდ სუსტი ვართ, ხოლო მორალურად, — რა თქმა უნდა, თუ ამ აზრს განყენებული მორალის თვალსაზრისით კი არ გავიგებთ, არამედ როგორც ყველა კლასის რეალურ ძალთა თანაფარდობას ყველა სახელმწიფოში, — ყველაზე ძლიერი ვართ. ეს ნაცადია საქმით, ეს მტკიცდება არა სიტყვით, არამედ საქმით, ეს უკვე დამტკიცებულია ერთხელ, და, შეიძლება, თუ ერთგვარად ისტორია შემობრუნდა, ეს დამტკიცებული იქნეს არა ერთხელაც. აი რატომ ვამბობთ: რაკი ხელი მოვკიდეთ მშვიდობიან მშენებლობას, მთელ ძალ-ღონეს გამოვიყენებთ, რომ განუწყვეტლივ განვაგრძოთ იგი. ამავე დროს, ამხანაგებო, იყავით ფხიზლად, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წითელი არმიის თავდაცვისუნარიანობას და გახსოვდეთ, რომ უფლება არა გვაქვს ერთი წუთითაც დავუშვათ ჩვენი მუშათა და გლეხთა და მათ მონაპოვართა შესუსტება. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ამ მოკლე გადმოცემიდან იმისა, რაც ყველაზე არსებითია ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში, გადავალ იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ეკონომიური ურთიერთობა ჩვენში და დასავლეთ ევროპაში, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. აქ უდიდესი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებულების დაუმყარებლად ჩვენსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა შეუძლებელია ჩვენთვის. მოვლენები მეტად თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, რომ ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია მათთვისაც. მაგრამ ჩვენ ამჟამად ისე ალტრუისტულად განწყობილი არა ვართ და უფრო იმაზე ვფიქრობთ, როგორმე განვაგრძოთ არსებობა სხვა-

სახელმწიფოების ჩვენდამი მტრული დამოკიდებულების პირობებში.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა საერთოდ ისეთი რამ, რომ სოციალისტური რესპუბლიკა არსებობდეს კაპიტალისტურ გარემოცვაში? ეს შეუძლებელი ჩანდა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო მხრივ. ეს რომ შესაძლებელია პოლიტიკური და სამხედრო მხრივ, ეს დამტკიცებულია, ეს უკვე ფაქტია. ვაჭრობის მხრივ? ეკონომიური აღებ-მიცემობის მხრივ? კავშირი, დახმარება, ურთიერთი სამსახურის გაწევა ჩამორჩენილი, გაჩანაგებული სამიწათმოქმედო რუსეთისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების მოწინავე, მრეწველობის მხრივ მდიდარი ჯგუფისა, — ეს კი შესაძლებელია? განა არ გვემუქრებოდნენ იმით, რომ ეკლიან მავთულს შემოგვავლებენ და ამიტომ შეუძლებელია რაიმე ეკონომიური ურთიერთობა არსებობდესო? «ომს ისინი არ შეუშინდნენ, ბლოკადით მაინც დავიმორჩილებთო».

ამხანაგებო, ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი მუქარა და ისეთი საშინელი მუქარა მოგვისმენია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეგვაშინებს. რაც შეეხება ბლოკადას, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საკითხია, ვისთვის არის იგი უფრო მძიმე: იმათთვის, ვისაც ბლოკადას უქმნიან, თუ იმათთვის, ვინც ბლოკადას ატარებს. გამოცდილებამ, უეჭველად, დაგვანახვა, რომ ამ პირველი წლის განმავლობაში, როცა შემიძლია ანგარიში წარმოგიდგინოთ, როგორც პირდაპირ მხეცური ძალმომრეობისაგან თუნდაც შედარებით ელემენტარული შესვენების პერიოდის განმავლობაში, ჩვენ არ გვცნობდნენ, ჩვენ უარგვყოფდნენ, ჩვენთან კავშირურთიერთობას არარსებულად აცხადებდნენ (დაე ბურჟუაზიულმა სასამართლომ არარსებულად ჩათვალოს ეს კავშირურთიერთობა), მაგრამ ის მაინც არსებობს. აი რა მიმაჩნია საჭიროდ სრულიად გადაუჭარბებლად მოგახსენოთ, როგორც საანგარიშო 1921 წლის ერთ-ერთი მთავარი შედეგი.

არ ვიცი, დაგირიგეს თუ არა დღეს ან დაგირიგებენ თუ არა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ანგარიშს

საბჭოების IX ყრილობისათვის. ჩემი შეხედულებით ამ ანგარიშს ის ნაკლი აქვს, რომ იგი მეტისმეტად სქელტანიანია და ბოლომდე მისი წაკითხვა ძნელია. მაგრამ, შესაძლოა, ეს ჩემი პირადი სისუსტე იყოს, და მე ეჭვი არ მეპარება, რომ თუმცა არა დაუყოვნებლივ, მაგრამ მაინც თქვენი დიდი უმრავლესობა, აგრეთვე ყველა ის, ვისაც პოლიტიკა აინტერესებს, ამ ანგარიშს წაიკითხავს. და რომც არ წაიკითხო მთლიანად და მხოლოდ ოდნავ გადახედო და გადაფურცლო, დაინახავ, რომ რუსეთს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარშემოეზარდა მთელი რიგი საკმაოდ წესიერი, მუდმივი სავაჭრო კავშირურთიერთობა, წარმომადგენლობანი, ხელშეკრულებები და სხვ.. თუმცა იურიდიულად არა ვართ ცნობილი. ეს თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს, რადგან მერყევი წონასწორობის დარღვევის საშიშროება, შემოსევის ახალი ცდის საშიშროება გაძლიერდა, რაზედაც წინათ ვილაპარაკე, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

1921 წელს — პირველ წელს საზღვარგარეთთან სავაჭრო აღებ-მიცემობის საქმეში — ჩვენ მეტისმეტად დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია ტრანსპორტის — შეიძლება ითქვას მთელი ჩვენი ეკონომიკის მთავარი თუ ერთ-ერთი უმთავრესი ბაზის საკითხთან. ეს დაკავშირებულია შემოტანასთან და საზღვარგარეთ გატანასთან. ნება მომეცით ამის თაობაზე მოვიყვანო სულ მცირე ციფრები. მთელი ჩვენი სიძნელე, უზომო სიძნელე, მთელი მძიმე განსაცდელი, ჩვენი თავიდათავი სიძნელეა სათბობი და სურსათი, მთელ სიძნელეს შეადგენს გლეხური მეურნეობა, შიმშილი და უბედურებანი, რაც თავს დაგვატყდა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია ტრანსპორტის საკითხთან; ეს საჭიროა ითქვას, და საჭიროა ისიც, რომ ადგილებიდან ჩამოსულმა ყველა ამხანაგმა იცოდეს და ყველა ადგილობრივ ამხანაგს ჩააგონონ, რომ საჭიროა დავძაბოთ მთელი ჩვენი ენერგია, რათა დავძლიოთ სურსათის და სათბობის კრიზისი. ამ მიზეზთა გამოა, რომ ისევ შეფერხებულია

ჩვენი ტრანსპორტი — საზღვარგარეთთან კავშირურთიერთობის მატერიალური საშუალება.

ამ წლის განმავლობაში ორგანიზაციული გაუმჯობესებანი ჩვენი ტრანსპორტის საქმეში უეჭველია. 1921 წლის განმავლობაში სამდინარო გემებით გაცილებით უფრო მეტი გადავზიდეთ, ვიდრე 1920 წლის განმავლობაში. საშუალო გარბენა 1921 წელს შეადგენს 1 000 ფუთ-ვერსს, ხოლო 1920 წელს — 800 ფუთ-ვერსს. ორგანიზაციული პროგრესი უსათუოდ არის. უნდა ითქვას, რომ ჩვენ პირველად ვიწყებთ დახმარების მიღებას საზღვარგარეთიდან: შეკვეთილი გვაქვს ათასობით ორთქლმავალი, და უკვე მივიღეთ პირველი 13 შვედური და 37 გერმანული ორთქლმავალი. ეს სულ მცირედი დასაწყისია, მაგრამ მაინც დასაწყისია. ჩვენ მაინც შევუკვეთეთ რამდენიმე ასეული ცისტერნი, და მათ ანგარიშში 500-მდე უკვე მივიღეთ 1921 წელს. ჩვენ ყოველივე ეს მეტისმეტად ძვირი გვიჯდება, განუზომლად ძვირი, მაგრამ ეს მაინც იმას ნიშნავს, რომ მოწინავე ქვეყნების მსხვილი მრეწველობა დახმარებას გვიწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მსხვილი მრეწველობა დახმარებას გვიწევს ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ქვეყანას ხელმძღვანელობენ კაპიტალისტები, რომლებსაც მთელი არსებით ვძულვართ. ყველა ეს ქვეყანა გაერთიანებულია მთავრობებით, რომლებიც კვლავ განუწყვეტლივ წერენ თავიანთ პრესაში იმაზე, თუ როგორ არის საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობის საქმე, და კანონიერია თუ უკანონო ბოლშევიკური მთავრობაო. და ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კანონიერი ყოფილა, მაგრამ მისი ცნობა შეუძლებელიაო. ეს სამწუხარო სიმართლე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვცნობენ, მე უფლება არა მაქვს დაგიმალოთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ სავაჭრო ურთიერთობა ჩვენს შორის მაინც ვითარდება.

ყველა ეს კაპიტალისტური ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ტყავს გვაძრობენ, ძვირად ვყიდულობთ მათგან, მაგრამ ისინი მაინც ეხმარებიან ჩვენს მეურნეობას. როგორ

მოხდა ეს ასე? რატომ მოქმედებენ ისინი საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რასაც განუწყვეტლივ იმეორებს პრესა, — ამ პრესას ხომ ეგზემპლართა რაოდენობით და იმ ძალითა და სიძულვილით, რომლითაც იგი ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებს, ჩვენი პრესა ვერ შეედრება. ისინი დამნაშავეებად გვაცხადებენ, მაგრამ მაინც გვეხმარებიან. და ისე გამოდის, რომ ეკონომიურად ისინი დაკავშირებული არიან ჩვენთან. გამოდის ისე, როგორც უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი ანგარიში, დიდი მასშტაბით აღებული, უფრო სწორი გამოდგა, ვიდრე მათი ანგარიში. და ეს არა იმიტომ, რომ მათ არ ჰყავდეთ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ სწორად გაანგარიშება, — პირიქით, მათ ასეთები მეტი ჰყავთ, ვიდრე ჩვენ, — არამედ იმიტომ, რომ სწორად ვერ იანგარიშებ, როცა დაღუპვის გზას ადგიხარ. აი რატომ მინდოდა, დამატებით, გამეცნო თქვენთვის რამდენიმე ციფრი, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი საზღვარგარეთული ვაჭრობის განვითარებას. ავიღებ მხოლოდ სულ მცირეოდენ ციფრებს, რომელთა დამახსოვრება შესაძლებელი იქნება. თუ თვალს გავადევნებთ სამივე წელს — 1918, 1919 და 1920 წლებს, — ჩვენ შემოვიტანეთ საზღვარგარეთიდან 17-ზე ცოტა მეტი მილიონი ფუთი, 1921 წელს კი — 50 მილიონი ფუთი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე სამივე წინა წლის განმავლობაში ერთად. ჩვენ პირველი სამი წლის განმავლობაში გავიტანეთ სულ $2^1/_2$ მილიონი ფუთი, მარტო 1921 წელს — $11^1/_2$ მილიონი ფუთი. ეს არის უმნიშვნელო, სულ მცირე, სასაცილოდ მცირე ციფრი, რომელიც ყოველ მცოდნე ადამიანს ერთბაშად ეუბნება — სიღატაკეა. აი რას მოწმობენ ეს ციფრები. მაგრამ ეს მაინც დასაწყისია. და ჩვენ, რომლებმაც გამოვცადეთ ჩვენი უშუალოდ დახრჩობის ცდა, ჩვენ, რომლებსაც წლობით გვესმოდა მუქარა, ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ არ გავაბათ თქვენთან ურთიერთობა, ვიდრე რჩებით იმად, რაცა ხართო, — მაინც ვხედავთ, რომ ვიღაც ამ მუქარაზე ძლიერი აღმოჩნდა. ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ეკონომიური განვითარება მათ სწორად არა აქვთ გათვალის-

წინებული, ჩვენ კი სწორად გვაქვს გათვალისწინებული. საფუძველი ჩაყრილია. ამჟამად მთელი ყურადღება, მთელი ძალ-ღონე, მთელი მზრუნველობა უნდა მივმართოთ იმისაკენ, რომ ეს განვითარება არ შეჩერდეს, რომ იგი წინ მიდიოდეს.

მოვიყვან კიდევ ერთ პატარა სურათს, რათა დაგანახვოთ, როგორ მივდიოდით წინ 1921 წლის განმავლობაში. 1921 წლის პირველ მეოთხედში შემოვიტანეთ დაახლოებით 3 მილიონი ფუთი, მეორე მეოთხედში — 8 მილიონი ფუთი და მესამე მეოთხედში — 24 მილიონი ფუთი. ჩვენ მაინც წინ მივდივართ. ეს ციფრები უბადრუკად მცირეა, მაგრამ ისინი მაინც თანდათანობით იზრდებიან. და ჩვენ ვხედავთ, როგორ იზრდება ეს ციფრები 1921 წელს, რომელიც გაუგონარი სიძნელის წელი იყო. თქვენ იცით, რა დაგვიჯდა ისეთი უბედურება, როგორიცაა შიმშილი, რა გაუგონარ ტანჯვას აყენებს იგი ახლაც მთელ სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და მთელ ჩვენს ცხოვრებას. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიყავით ის ქვეყანა, რომელიც ასე ძლიერ გააჩანაგა ომმა, ქვეყანა, რომელიც ასეთ კოლოსალურ უბედურებას განიცდიდა ყველა ომის შედეგადაც და მეფეებისა და კაპიტალისტების პარპაშის შედეგადაც, ახლა მაინც ისეთ გზას ვადგივართ, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავიუმჯობესოთ მდგომარეობა, მიუხედავად შეუწყვეტელი მტრობისა ჩვენდამი. აი რა არის ძირითადი ფაქტორი. აი რატომაა, რომ, როცა ამას წინათ წავიკითხეთ ვაშინგტონის კონფერენციის[31] შესახებ, როცა გავიგონეთ ცნობა, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები ზაფხულში იძულებული იქნებიან მოიწვიონ მეორე კონფერენცია გერმანიისა და რუსეთის მონაწილეობით ნამდვილი ზავის პირობების განსახილველადო, ჩვენ ვამბობთ: ჩვენი პირობები ნათელი და მკაფიოა, ჩვენ ეს პირობები წამოვაყენეთ, ისინი გამოქვეყნებულია. რამდენ მტრობას შევხვდებით? ამ მხრივ ეჭვი არ გვეპარება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმათი ეკონომიური მდგომარეობა, ვინც ბლოკადას გვიქმნიდა, მტკიცე არ

აღმოჩნდა. არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილებაა, ეს ძალაა — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას. რაც უფრო მეტად დაადგებიან ისინი ამ გზას, მით უფრო ფართოდ, მით უფრო სწრაფად გამოისახება ის, რაც შემიძლია დღევანდელ ჩემს 1921 წლის ანგარიშში დაგანახვოთ მხოლოდ ასეთი მცირედი ციფრებით.

ახლა უნდა გადავიდე ჩვენს საშინაო ეკონომიურ მდგომარეობაზე. აქაც მთავარი საკითხი, რომელზედაც უნდა შევჩერდეთ უწინარეს ყოვლისა, — ეს არის ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საკითხი. საანგარიშო 1921 წლის განმავლობაში ჩვენი მთავარი მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ გადავსულიყავით ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომ პირველი ნაბიჯები გადაგვედგა ამ გზაზე, გვესწავლა ამ ნაბიჯების გადადგმა, ამისადმი შეგვეგუებინა ჩვენი კანონმდებლობა, ჩვენი ადმინისტრაცია. პრესიდან თქვენ იცით უამრავი ფაქტი, ცნობა, რომლებიც ცხადყოფენ, როგორ ვითარდებოდა მუშაობა ამ მხრივ. თქვენ, რა თქმა უნდა, არ მომთხოვთ, რომ აქ მოვიყვანო დამატებითი ფაქტები ან ჩამოვთვალო ესა თუ ის ციფრები. საჭიროა მხოლოდ დავადგინოთ ის ძირითადი რამ, რაც ყველაზე მეტად გვაერთიანებდა, რაც ყველაზე უფრო არსებითია მთელი ჩვენი რევოლუციისა და ყველა მომავალი სოციალისტური რევოლუციის (თუ მათ ავიღებთ საერთოდ მსოფლიო მასშტაბით) ყველაზე არსებითი და ყველაზე ძირითადი საკითხის თვალსაზრისით.

ყველაზე ძირითადი და ყველაზე არსებითი საკითხი — ეს არის მუშათა კლასის დამოკიდებულება გლეხობისადმი, ეს არის მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ეს არის უნარი მოწინავე მუშებისა, რომლებმაც განვლეს მსხვილი ფაბრიკის ხანგრძლივი, მძიმე, მაგრამ მადლიანი სკოლა, მათი უნარი — ისე დააყენონ საქმე, რომ მიიმხრონ კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული, მემამულეების მიერ დაბეჩავებული, თავიანთი ძველი ლატაკური, უბადრუკი მეურნეობით დაბეჩავებული

გლეხთა მასა, რათა დაუმტკიცონ მათ, რომ მხოლოდ მუშებთან კავშირი, რაც უნდა სიძნელეების გადატანა მოუხდეთ მათ ამ გზაზე, — სიძნელე კი ბევრია და მათზე თვალის დახუჭვა ჩვენ არ შეგვიძლია, — მხოლოდ ეს კავშირი იხსნის გლეხობას. მემამულეებისა და კაპიტალისტების საუკუნოვანი ჩაგვრისაგან. მხოლოდ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება იხსნის საერთოდ კაცობრიობას ისეთი რამეებისაგან, როგორიცაა ამასწინანდელი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა, იმ მხეცური წინააღმდეგობისაგან, რასაც ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტურ სამყაროში ამჟამად, სადაც მცირე რიცხვი, სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა უმდიდრესი სახელმწიფოებისა იხრჩობა თავის სიმდიდრეში, ხოლო დედამიწის უთვალავი მოსახლეობა გაჭირვებულია და საშუალება არა აქვს ისარგებლოს არსებული კულტურით და იმ მდიდარი რესურსებით, რომელთაც გამოსავალი ვერ უნახავთ ბრუნვის ნაკლებობის გამო.

მოწინავე ქვეყნების უმთავრესი უბედურებაა უმუშევრობა. სხვა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, გარდა გლეხობისა და მუშათა კლასის მტკიცე კავშირისა, მუშათა კლასის, რომელმაც განვლო მძიმე, მაგრამ ერთადერთი საფუძვლიანი და სერიოზული სკოლა, როგორიცაა ფაბრიკა, ფაბრიკული ექსპლოატაცია, ფაბრიკული გაერთიანება, — სხვა გამოსავალი არ არსებობს. ეს კავშირი, პოლიტიკური და სამხედრო, ჩვენ გამოვცადეთ ჩვენი რესპუბლიკის უმძიმეს წლებში. პირველად 1921 წელს გვაქვს ჩვენ ეს კავშირი, როგორც ეკონომიური კავშირი. ამ მხრივ ჩვენ ძალიან, ძალიან ცუდად გვაქვს დაყენებული საქმე. ეს აშკარად უნდა ითქვას. საჭიროა დავინახოთ ეს ნაკლი, არ უნდა შევალამაზოთ იგი, საჭიროა მთელი ძალ-ღონე ვიხმაროთ მის გამოსასწორებლად და გავიგოთ, რომ აქ არის ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი. მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის სწორად დასაყენებლად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ორი გზა. თუ მსხვილი მრეწველობა დიდად განვითარებულია, თუ მას შეუძლია ერთბაშად მიაწოდოს

წვრილ გლეხებს პროდუქტები საკმაო რაოდენობით ან წინანდელზე მეტი რაოდენობით და ამრიგად დაამყაროს სწორი თანაფარდობა გლეხებისაგან შემოსულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარაგსა და სამრეწველო ნაწარმს შორის, — მაშინ გლეხობა სავსებით დაკმაყოფილებული იქნება, მაშინ გლეხობა, მასობრივად აღებული, უპარტიო გლეხობა, გარემოებათა გამო, აღიარებს, რომ ეს ახალი წესწყობილება სჯობს კაპიტალისტურ წესწყობილებასო. თუ ვილაპარაკებთ განვითარებულ მსხვილ მრეწველობაზე, რომელსაც შეუძლია ერთბაშად დააკმაყოფილოს გლეხობა ყველა საჭირო პროდუქტით, ეს პირობა უკვე არსებობს; თუ საკითხს ავიღებთ მსოფლიო მასშტაბით, ასეთი განვითარებული მსხვილი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია მთელ მსოფლიოს მიაწოდოს ყოველგვარი პროდუქტები, არსებობს დედამიწაზე, მაგრამ მას ამუშავებენ მხოლოდ იმისთვის, რომ აკეთონ ზარბაზნები, ყუმბარები და სხვა იარაღები, რაც ასე დიდი წარმატებით გამოიყენეს 1914 — 1918 წლებში. მაშინ მრეწველობა მუშაობდა ომის საჭიროებისათვის და მან კაცობრიობას თავისი პროდუქტები ისე სრულად მიაწოდა, რომ სულ ცოტა 10 მილიონი კაცი აღმოჩნდა მოკლული და არა ნაკლებ 20 მილიონისა დასახიჩრებული. ეს ჩვენ ვიხილეთ, მაგრამ XX საუკუნის ომი მაინც ის არ არის, რაც წინანდელი ომები იყო.

იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ყველაზე უფრო მტრულად არიან განწყობილი სოციალიზმისადმი და არ იზიარებენ არავითარ სოციალიზმს, შეუბრალებლად მტრულად არიან განწყობილი სულ მცირედი სოციალისტური იდეისადმი, ამ ომის შემდეგ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც გამარჯვებული გამოვიდნენ ამ ომიდან, გარკვევით გაისმა ყველაზე მეტი ხმები, ქვეყნად ბოროტი ბოლშევიკებიც კი რომ არ იყვნენ, არა გვგონია კიდევ ერთი ასეთი ომი დაგვეშვაო. ამას ლაპარაკობენ ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყნების წარმომადგენლები. აი რაზე მუშაობდა ეს მდიდარი მოწინავე მსხვილი მრეწველობა. იგი ემსახურებოდა დასა-

ხიჩრებულ ადამიანთა ფაბრიკაციის საქმეს, და მას დრო არ დარჩა მიეწოდებინა გლეხებისთვის თავისი პროდუქტები. ჩვენ მაინც გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ მსოფლიო მასშტაბით ასეთი მრეწველობა არსებობს. დედამიწაზე მოიპოვება ისეთი მოწინავე მსხვილი მრეწველობის მქონე ქვეყნები, რომელსაც შეუძლია ერთბაშად მოამარაგოს ასეული მილიონობით ჩამორჩენილი გლეხობა. ამას ვუდებთ საფუძვლად ჩვენს გაანგარიშებას. თქვენ სხვებზე უკეთ იცით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავთ ამას, რა შეგვრჩა ჩვენი მსხვილი მრეწველობიდან, რომელიც ისედაც სუსტი იყო. მაგალითად, დონბასში, მსხვილი მრეწველობის ამ ძირითად ბაზაში, რამდენი ნგრევა მოხდა სამოქალაქო ომის განმავლობაში და რამდენმა იმპერიალისტურმა მთავრობამ გადათელა იგი (რამდენი ასეთი მთავრობა უნახავს უკრაინას!), — ყოველივე ამას არ შეეძლო ისე არ ემოქმედნა, რომ ჩვენი მსხვილი მრეწველობიდან დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები. თუ ამას მივუმატებთ ისეთ უბედურებას, როგორიცაა 1921 წლის მოუსავლობა, გასაგები გახდება, რომ ჩვენ ვცადეთ გლეხობის მომარაგება სახელმწიფოს ხელში გადასული მსხვილი მრეწველობის პროდუქციით, მაგრამ ვერ შევძელით. რაკი ასეთი ცდა არ გამართლდა, სხვა ეკონომიური კავშირი (გლეხობასა და მუშებს შორის, ე. ი. მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის შეუძლებელია, გარდა გაცვლა-გამოცვლისა, გარდა ვაჭრობისა. აი რაშია დედაარსი. გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით — აი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის დედაარსი, ეს დედაარსი სულ უბრალოა. როცა არ არსებობს განვითარებული მსხვილი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია ისე მოეწყოს, რომ ერთბაშად დააკმაყოფილოს გლეხობა პროდუქტებით, არავითარი სხვა გამოსავალი მუშათა და გლეხთა ძლიერი კავშირის თანდათანობით განვითარებისათვის, გარდა ვაჭრობისა და მიწათმოქმედების და მრეწველობის თანდათანობით აღორძინებისა მათ ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით, მუშათა სახელმწიფოს ხელმძღვანელობით და კონტროლით, — არავითარი სხვა გზა არ არსებობს. ამ გზაზე

დაგვაყენა აბსოლუტურმა აუცილებლობამ. და მხოლოდ ეს არის ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი და დედაარსი.

ისეთ ეპოქაში, როცა მთავარი ყურადღება და მთავარი ძალები მიმართული იყო პოლიტიკური და სამხედრო ამოცანებისაკენ, ჩვენ შეგვეძლო გვემოქმედნა მხოლოდ უდიდესი სისწრაფით, გავქანებულიყავით წინ ავანგარდთან ერთად, რადგან ვიცოდით, რომ ამ ავანგარდს მხარს დაუჭერდნენ. პოლიტიკაში უდიდეს გარდაქმნათა სფეროში, იმ უდიდესი საქმის სფეროში, რაც ჩვენ გავაკეთეთ სამი წლის განმავლობაში, ომის მდგომარეობაში ჩავდექით რა მთელი მსოფლიოს უმთავრეს სახელმწიფოთა მიმართ, ჩვენ უზრუნველყოფილი გვქონდა გლეხთა და მუშათა კავშირი პოლიტიკური და სამხედრო უბრალო აღტყინებით, იმიტომ რომ ყოველმა გლეხმა იცოდა, ყოველი გლეხი გრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ დგას საუკუნოვანი მტერი — მემამულე, რომელსაც ასე თუ ისე ეხმარებიან სხვა პარტიების წარმომადგენლები. ამიტომაც იყო ეს კავშირი ასე მტკიცე და უძლეველი.

ეკონომიურ სფეროში კავშირი სხვა საწყისებზე უნდა აიგოს. აქ აუცილებელია კავშირის არსისა და ფორმის შეცვლა. თუ ვინმეს კომუნისტური პარტიიდან, პროფკავშირიდან ან თუნდაც იმ ადამიანთაგან, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობს, გამოეპარა კავშირის არსისა და ფორმის ეს აუცილებელი შეცვლა, მით უარესი მისთვის. რევოლუციაში ასეთი დაუდევრობა შეუწყნარებელია. კავშირის ფორმის შეცვლის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური კავშირის და სამხედრო კავშირის განგრძობა ეკონომიურ სფეროშიც ასევე უბრალოდ არ შეიძლებოდა, როცა მსხვილი მრეწველობა ჯერ კიდევ არა გვაქვს, როცა იგი გაჩანაგებულია ისეთი ომით, რომელიც არც ერთ სახელმწიფოში არ გაგონილა. ხოლო მრეწველობა ხომ ჯერ არ აღორძინებულა ჩვენზე უსაზღვროდ უფრო მდიდარ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც ომით მოგებული დარჩნენ და არა წაგებული. მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმისა და

არსის შეცვლა აუცილებელი გახდა. პოლიტიკურ და სამხედრო ეპოქაში ჩვენ გაცილებით უფრო შორს შევტოპეთ, ვიდრე ამის უშუალო საშუალებას გვაძლევდა მუშათა და გლეხთა ეკონომიური კავშირი. ჩვენ ასე უნდა მოვქცეულიყავით, რომ მტერი დაგვემარცხებინა, და უფლებაც გვქონდა ასე მოვქცეულიყავით. ჩვენ ეს გავაკეთეთ წარმატებით, იმიტომ რომ მტრები დავამარცხეთ იმ ასპარეზზე, რომელიც მაშინ იყო, — პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე, მაგრამ ეკონომიურ ასპარეზზე მთელი რიგი დამარცხება განვიცადეთ. და აქ ზედმეტია ამის აღიარების შიში, პირიქით: გამარჯვების მიღწევას ჩვენ მხოლოდ მაშინ ვისწავლით, როცა აღარ შეგვეშინდება ვაღიაროთ ჩვენი დამარცხებანი და ნაკლოვანებანი, როცა ჭეშმარიტებას, თუნდაც ფრიად სავალალოს, პირდაპირ გავუსწორებთ თვალს. ჩვენი დამსახურებით პირველ სფეროში, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში, ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიო მონაპოვარი, რომელიც კიდევ იჩენს თავს ყველა სფეროში. მაგრამ ეკონომიურ სფეროში იმ წლის განმავლობაში, რომლის ანგარიშს გაბარებთ, ჩვენ მხოლოდ დავადექით ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას, და ამ მხრივ ჩვენ ნაბიჯს ვდგამთ წინ. ამავე დროს ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ ძლივძლივობით ვიწყებთ სწავლას, და აქ გაცილებით მეტ შეცდომას ვუშვებთ, როცა უკან ვიხედებით, როცა მივსდევთ წარსულ გამოცდილებას, რომელიც საუცხოო, დიადი, დიდებული იყო, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ რომელსაც არ შეეძლო გადაეწყვიტა ეკონომიური ხასიათის ის ამოცანა, რაც ამჟამად მოხვეული გვაქვს თავზე, ჩვენი ქვეყნის მსხვილი მრეწველობის გაჩანაგების პირობებში, ისეთ პირობებში, როცა საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შევისწავლოთ ის ეკონომიური კავშირი, რომელიც ამჟამად გარდუვალი და აუცილებელია. ეს კავშირია ვაჭრობა. კომუნისტებისათვის ეს ფრიად არასასიამოვნო აღმოჩენაა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს აღმოჩენა მეტისმეტად არასასიამოვნოა, ეჭვიც კი არ გვეპარება,

რომ ეს არასასიამოვნოა, მაგრამ თუ ჩვენ იმ მოსაზრებებით ვიხელმძღვანელებთ, რა არის სასიამოვნო და რა არასასიამოვნო, იმ «თითქმის» სოციალისტების დონემდე დავეცემით, რომლებიც საკმაოდ გვინახავს კერენსკის დროებითი მთავრობის ეპოქაში. არა მგონია ამგვარი «სოციალისტები» კიდევ სარგებლობდნენ რაიმე ავტორიტეტით ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენი ძალა კი ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ უნარი შეგვწევდა გაგვეთვალისწინებინა ნამდვილი თანაფარდობა და არ შეგვშინებოდა მისი, რაც უნდა არასასიამოვნო ყოფილიყო იგი ჩვენთვის.

რამდენადაც არსებობს მსხვილი მრეწველობა მსოფლიო მასშტაბით, იმდენად, უდავოდ, შესაძლებელია უშუალო გადასვლა სოციალიზმზე — და ვერავინ უარყოფს ამ ფაქტს, როგორც ვერ უარყოფს იმას, რომ ეს მსხვილი მრეწველობა ან სულს ღაფავს და უმუშევრობას ქმნის უაღრესად განვითარებულ და მდიდარ გამარჯვებულ ქვეყნებში, ანდა მხოლოდ ყუმბარებს ამზადებს ადამიანთა გასაქლეტად. ხოლო თუ ჩვენ რევოლუციაში ჩავებით ჩამორჩენილობის პირობებში და ახლა ჩვენთვის საჭირო სამრეწველო განვითარება არ არის, როგორ მოვიქცეთ — ხელი ავიღოთ? სულით დავეცეთ? არა. ჩვენ გადავალთ მძიმე სამუშაოზე, იმიტომ რომ სწორია ის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ. ეჭვი არ არის, ხალხის მასების კავშირის გზა ერთადერთი გზაა, და თუ ამ გზას დავადგებით, გლეხის შრომა და მუშის შრომა იქნება საკუთარი თავისთვის შრომა და არა ექსპლოატატორისთვის შრომა. და ჩვენს ვითარებაში ამის განსახორციელებლად აუცილებელია ის ეკონომიური კავშირი, რომელიც ერთადერთი შესაძლებელი კავშირია, — კავშირი მეურნეობის მეშვეობით.

აი მიზეზი ჩვენი უკან დახევისა, აი რატომ უნდა დაგვეხია უკან სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, უკან დაგვეხია კონცესიებისაკენ, უკან დაგვეხია ვაჭრობისაკენ. უამისოდ იმ გაჩანაგების ნიადაგზე, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, ჯეროვან კავშირს გლეხობასთან ვერ აღვადგენთ. უამისოდ

ის საშიშროება მოგველის, რომ რევოლუციის მოწინავე რაზმი ისე შორს შეტოპავს, რომ გლეხთა მასას მოსწყდება. კავშირი მოწინავე რაზმსა და გლეხთა მასას შორის მოიშლება და ეს კი რევოლუციის დაღუპვა იქნებოდა. ამას ჩვენ განსაკუთრებით ფხიზლად უნდა შევხედოთ, რადგან პირველ რიგში და ყველაზე მეტად აქედან გამომდინარეობს ის, რასაც ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეწოდება. აი რატომ ვთქვით ჩვენ ერთსულოვნად, რომ ამ პოლიტიკას ვატარებთ სერიოზულად და დიდი ხნით, მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორც უკვე სწორად არის შენიშნული, არა სამუდამოდ. იგი გამოწვეულია ჩვენი სიღატაკისა და გაჩანაგების მდგომარეობით და ჩვენი მსხვილი მრეწველობის უდიდესი შესუსტებით.

ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ახლა სულ მცირედი ციფრები, რათა დაგანახვოთ, რომ, თუმცა ეს ძალიან ძნელი იყო ჩვენთვის, თუმცა მრავალ შეცდომას ვუშვებდით (ჩვენ მეტისმეტად ბევრ შეცდომას ვუშვებდით), საქმე მაინც წინ მიდის. ამხანაგებო, მე ხელთ არა მაქვს საერთო მონაცემები საშინაო ვაჭრობის განვითარების შესახებ, ვფიქრობ მოვიყვანო მხოლოდ «ცენტროსოიუზის» ბრუნვის მონაცემები, სამი თვის მონაცემები. და აი, სექტემბრის განმავლობაში «ცენტროსოიუზის» ბრუნვა შეადგენს 1 მილიონ მანეთს ოქროთი, ოქტომბრისა — 3 მილიონ მანეთს და ნოემბრისა — 6 მილიონ მანეთს. ციფრები, კვლავ, თუ მათ ავიღებთ როგორც აბსოლუტურ ციფრებს, უმნიშვნელო, მცირედია; ეს უნდა ვაღიაროთ პირდაპირ, იმიტომ რომ ამ მხრივ ილუზიების შექმნა უფრო მავნებელი იქნება. ეს ციფრები ღატაკურია, მაგრამ გაჩანაგების იმ პირობებში, რომლებშიც ჩვენ აღმოვჩნდით, ეს ციფრები უეჭველად მოწმობენ იმას, რომ წინსვლა არის, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩავეჭიდოთ ამ ეკონომიურ საფუძველს. თუმცა უამრავ შეცდომას ვუშვებთ, — პროფკავშირებიც, კომუნისტური პარტიაც, მმართველი აპარატიც, — მაინც ვრწმუნდებით იმაში, რომ თავს დავაღწევთ ამ შეცდომებს, და კიდევაც ვაღწევთ თავს თანდათანობით,

რომ ჩვენ ვადგავართ იმ გზას, რომელიც რადაც უნდა დაჯდეს აღადგენს ურთიერთობას მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ და კიდევაც შეგვიძლია მივაღწიოთ საწარმოო ძალთა აღმავლობას თუნდაც წვრილი გლეხური მეურნეობის საფეხურზე და ჯერჯერობით წვრილი მრეწველობის საფუძველზე, თუ ასე ძნელია მსხვილი მრეწველობის აღდგენა. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ წარმატებები, და კიდევაც ვიწყებთ ამ წარმატებების მოპოვებას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მუშაობის სხვა ტემპი და სხვა ვითარებაა, აქ უფრო ძნელია გამარჯვების მოპოვება. აქ ჩვენ ასე სწრაფად ვერ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს, როგორც ამას ვაღწევდით პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში. აქ ჩვენ არ შეგვიძლია აჩქარებით და ნახტომებით ვიაროთ, აქ ვადებიც სხვაა — აქ ვადებს ათეული წლობით ანგარიშობენ. აი რა ვადებში მოგვიხდება ჩვენ წარმატებათა მოპოვება ეკონომიურ ომში და ისიც ჩვენი მეზობლების მხრივ არა დახმარების, არამედ მტრობის ვითარებაში.

ხოლო ჩვენი გზა სწორია, რადგან ამ გზას აღრე თუ გვიან აუცილებლად დაადგებიან დანარჩენი ქვეყნებიც. ამ სწორ გზას დავადექით ჩვენ. ოღონდ საჭიროა დეტალურად ავწონ-დავწონოთ ყოველი ოდნავი ნაბიჯის გადადგმა, გავითვალისწინოთ ყველა ჩვენი სულ მცირედი შეცდომა, და მაშინ ამ გზით მივაღწევთ ჩვენს მიზანს.

ამხანაგებო, ახლა მინდოდა ცოტა რამ მეთქვა ჩვენს მთავარ საქმიანობაზე — სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე თქვენ მოისმენთ გაცილებით უფრო საფუძვლიან და სრულ მოხსენებას, ვიდრე მე შემეძლო გამეკეთებინა, ისევე როგორც შიმშილის შესახებაც, რომელსაც გაგიშუქებთ ამხ. კალინინი.

თქვენ მშვენივრად იცით, ამხანაგებო, რა გაუგონარი სიმძიმით დაგვატყდა თავს შიმშილი 1921 წელს. ძველი რუსეთის ეს უბედურება გარდუვალად უნდა გადმოტანილიყო ჩვენზეც, იმიტომ რომ ერთადერთი გამოსავალი აქედან შეიძ-

ლება იყოს მხოლოდ საწარმოო ძალთა აღდგენა, მაგრამ არა ძველ, ღატაკურ, წვრილმან საფუძველზე, არამედ ახალ საფუძველზე, მსხვილი მრეწველობისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე. მხოლოდ ასე შეიძლება თავი დავაღწიოთ ჩვენს სიღატაკეს, მუდმივ შიმშილობას, ამ მუშაობისთვის კი, როგორც ერთბაშად ჩანს, ის ვადები, რომლებითაც ვზომავდით ჩვენს პოლიტიკურ და სამხედრო გამარჯვებებს, არ გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ მტრული სახელმწიფოებით ვიყავით გარემოცული, ეს ბლოკადა მაინც გავარღვიეთ: თუმცა დახმარება უმნიშვნელო იყო, მაგრამ ცოტა რამ მაინც მივიღეთ. მთელი ეს დახმარება შეადგენს 2½ მილიონ ფუთს. ეს არის მთელი ის დახმარება, რომელიც საზღვარგარეთიდან მივიღეთ, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოებმა სამოწყალოდ წამოუგდეს დამშეულ რუსეთს. შემოწირულებათა გზით ჩვენ შევკრიბეთ დაახლოებით 600 ათასი ოქროს მანეთი. ეს მეტად უმნიშვნელო ციფრია, და ამ ციფრიდან ვხედავთ, რა ანგარებით მიუდგა ჩვენს შიმშილს ევროპის ბურჟუაზია. თქვენ, ალბათ, ყველას წაკითხული გაქვთ, რომ თავდაპირველად, როცა ცნობები გავრცელდა შიმშილის შესახებ, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწენი მაღალფარდოვნად და დიდის ამბით აცხადებდნენ, შიმშილის გამოყენება ძველი ვალების საკითხის დასაყენებლად ჯოჯოხეთური რამ იქნებოდაო. მე არ ვიცი, ჯოჯოხეთი უფრო საზარელია თუ თანამედროვე იმპერიალიზმი. ის კი ვიცი, რომ სინამდვილეში სწორედ ასე გამოვიდა, რომ, მიუხედავად შიმშილისა, სცადეს ძველი ვალები გადაეხდევინებინათ ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე პირობების საფუძველზე. ჩვენ უარს არ ვამბობთ გადახდაზე და საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ ამაზე ვილაპარაკოთ საქმიანად. მაგრამ ამის გამო ურთიერთი პრეტენზიების სრულიად გაუთვალისწინებლად, გაუანგარიშებლად, საკითხის ყოველგვარი საქმიანი განხილვის გარეშე არავის დავემონებით, — თქვენ ყველამ იცით, და ამაში დაეჭვება შეუძლებელია, — ამას ჩვენ არასდროს და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებდით.

უნდა გაცნობოთ, რომ უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ შიმშილობასთან ბრძოლის საქმეში. თქვენ, ალბათ, წაიკითხავდით გაზეთებში, რომ ამერიკამ 20 მილიონი დოლარი გადადო დამშეულთა დასახმარებლად რუსეთში, ალბათ, იმ პირობების საფუძველზე, რა პირობების საფუძველზედაც დახმარებას იძლევა ა რ ა — დამშეულთა დამხმარე ამერიკული ორგანიზაცია. ამ დღეებში კრასინისაგან მიღებულია დეპეშა, რომ ამერიკის მთავრობა წინადადებას იძლევა — ფორმალურ გარანტიას მოგცემთ სამი თვის განმავლობაში მიიღოთ სურსათი და თესლი ამ 20 მილიონი დოლარისა, თუ ჩვენი მხრივ თანახმა ვიქნებით დავხარჯოთ 10 მილიონი დოლარი (20 მილიონი ოქროს მანეთი) იმავე მიზნისთვის. ჩვენ დაუყოვნებლივ მივეცით ასეთი თანხმობა და ეს გადავეცით ტელეგრაფით. და, როგორც ჩანს, შეიძლება ითქვას, რომ პირველი სამი თვის განმავლობაში ჩვენ უზრუნველვყოფთ 30 მილიონი დოლარის, ე. ი. 60 მილიონი ოქროს მანეთის, სურსათსა და თესლს დამშეულთათვის. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა, ეს არავითარ შემთხვევაში არ დაფარავს იმ საშინელ უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა. ეს თქვენ ყველას მშვენივრად მოგეხსენებათ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც დახმარებაა, რომელიც, უეჭველია, საშინელი გაჭირვებისა და საშინელი შიმშილის შემსუბუქებაში თავის საქმეს გააკეთებს. და თუ ჩვენ შემოდგომაზე უკვე შევძელით განსაზღვრული წარმატების მიღწევა დამშეული ადგილების თესლით მომარაგებისა და საერთოდ ნათესების გაფართოების საქმეში, იმედი გვაქვს, რომ გაზაფხულზე კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ.

შემოდგომაზე დამშეულ გუბერნიებში დათესილი გვქონდა საშემოდგომო ფართობის დაახლოებით 75%, მოუსავლობის გამო ნაწილობრივ დაზარალებულ გუბერნიებში — 102%, მწარმოებელ გუბერნიებში — 123%, მომხმარებელ გუბერნიებში — 126%. ეს, ყოველ შემთხვევაში, იმას გვიჩვენებს, რომ თუმცა საშინლად მძიმე პირობებში

ვიმყოფებოდით, მაგრამ გლეხობას ცოტა რამ დახმარება ნათესების გაფართოებისა და შიმშილთან ბრძოლის საქმეში მაინც აღმოვუჩინეთ. შექმნილ პირობებში ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ სრულიად გადაუჭარბებლად და შეუცდომლად, რომ საგაზაფხულო ფართობის დათესვაში არსებით დახმარებას გავუწევთ გლეხობას. ეს დახმარება, ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში არ იქნება სრული. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვექნება იმის საშუალება, რომ მთელი გაჭირვება დავაკმაყოფილოთ. ეს უნდა ითქვას პირდაპირ. და მით უფრო უნდა დავძაბოთ ძალ-ღონე, რომ გავაფართოოთ ეს დახმარება.

ამის გამო უნდა გაცნობოთ ჩვენი სასურსათო მუშაობის შეჯამებული ციფრები. სასურსათო გადასახადმა გლეხებს, საერთოდ და მთლიანად, მასობრივად, მთელ გლეხობას თუ ავიღებთ, შეუმსუბუქა მდგომარეობა. ეს დამტკიცებას არ მოითხოვს. საქმე მარტო ის კი არ არის, რამდენი პური მივიღეთ გლეხისგან, არამედ ის, რომ გლეხმა უფრო უზრუნველყოფილად იგრძნო თავი სასურსათო გადასახადის დროს, და ის უფრო დაინტერესდა მეურნეობით. ბეჯით გლეხს, საწარმოო ძალთა გადიდების პირობებში, სასურსათო გადასახადი უფრო ფართოდ უხსნიდა გზას. საანგარიშო წლის განმავლობაში სასურსათო გადასახადის აკრეფის ჯამი საერთოდ ისეთია, რომ უნდა ვთქვათ: საჭიროა დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე, რომ საქმე არ ჩაგვეფუშოს.

აი ის საერთო, სულ მოკლე შენაჯამი, რომელიც შემიძლია გაცნობოთ სურსათის სახალხო კომისარიატიდან მიღებული უკანასკნელი მონაცემების მიხედვით. ჩვენთვის აუცილებელია არა ნაკლებ 230 მილიონი ფუთისა. აქედან 12 მილიონი ფუთი დამშეულთათვის, 37 მილიონი ფუთი სათესლედ და 15 მილიონი ფუთი სათადარიგო ფონდი, — ჩვენ კი შეგვიძლია მივიღოთ 109 მილიონი ფუთი სასურსათო გადასახადით, 15 მილიონი ფუთი სამინდე გამოსაღებით, 12½ მილიონი ფუთი სათესლე სესხის დაბრუნებით, 13½ მილიონი ფუთი საქონელცვლით, 27 მილიონი ფუთი უკრაინიდან

და 38 მილიონი ფუთი საზღვარგარეთიდან (38 მილიონი, თუ ჩავთვლით, რომ 30 მილიონ ფუთს მივიღებთ იმ ოპერაციის გათვალისწინებით, რომლის შესახებაც ახლა გელაპარაკეთ, და, გარდა ამისა, 8 მილიონ ფუთს ვიყიდით). ჯამი — 215 მილიონი ფუთი. ამრიგად, მაინც დეფიციტია და არც ერთი ფუთი სათადარიგო ფონდში. ხოლო შევძლებთ თუ არა საზღვარგარეთ კიდევ ყიდვას — არ ვიცით. ჩვენი სასურსათო გეგმა ახლა გაანგარიშებულია ზუსტად, ძლივძლივობით თავის გასატანად იმისათვის, რომ უმცირესი სიმძიმე დაეკისროს შიმშილით დაზარალებულ გლეხობას. თუ ჩვენ 1920 წელს სახელმწიფოს კმაყოფაზე ვთვლიდით 38 მილიონ კაცს, ახლა ეს ციფრი შევამცირეთ 8 მილიონამდე. მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის: სასურსათო გადასახადი უნდა აიკრიფოს 100%-ის რაოდენობით, ე. ი. სრულად, რადაც უნდა დაჯდეს. ჩვენ სრულიადაც არ გვავიწყდება, რომ ეს გლეხობისათვის, რომელიც ასე დიდად დაზარალდა, უზარმაზარი ტვირთია. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ადგილობრივმა ამხანაგებმა, რომლებმაც მთელი სასურსათო მუშაობა გადაიტანეს, ჩემზე უკეთ იციან, რას ნიშნავს ასეთი ამოცანა — სასურსათო გადასახადის აკრეფა 100%-ით უსათუოდ ახლა. მაგრამ მთავრობის სახელით, როგორც ჩვენი 1921 წლის მუშაობის ანგარიშის შეჯამება, უნდა გითხრათ: ეს ამოცანა, ამხანაგებო, უნდა შევასრულოთ, ეს სიძნელე უნდა ვიკისროთ და ეს მძიმე მდგომარეობა აუცილებლად უნდა დავძლიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ იქნება ყველაზე ძირითადი, ყველაზე ელემენტარული რამ ჩვენი ტრანსპორტისა და ჩვენი მრეწველობის საქმეში, უზრუნველყოფილი არ იქნება ფრიად მინიმალური, აბსოლუტურად აუცილებელი ბიუჯეტი, ურომლისოდ შეუძლებელია არსებობა იმ ვითარებაში, რომელშიც ვიმყოფებით, მტრებით გარემოცულნი და უალრესად მერყევი საერთაშორისო წონასწორობის დროს.

ძალ-ღონის უდიდესად დაუძაბავად გამოსავალი არ არის. და არც შეიძლება იყოს იმ მდგომარეობიდან, რომელშიც მოვექეცით ჩვენ, რომლებსაც გვტანჯავდნენ იმპერიალისტური ომით და სამოქალაქო ომით, რომლებსაც გვდევნიდნენ ყველა ქვეყნის მმართველი კლასები, ამიტომაც საჭიროა სრულიად გარკვევით, მწარე სიმართლის დაუფარავად ვთქვათ და ყრილობის სახელით დავუდასტუროთ ყველა ადგილობრივ მუშაკს: «ამხანაგებო, საბჭოთა რესპუბლიკის მთელი არსებობა, ტრანსპორტისა და მრეწველობის აღდგენის მთელი ჩვენი მეტად მცირედი გეგმა ემყარება იმას, რომ საერთო სასურსათო პროგრამას შევასრულებთ. ამიტომ სასურსათო გადასახადის 100%-ით აკრეფა უთუო აუცილებლობას წარმოადგენს».

რახან გეგმაზე ვლაპარაკობ, გადავალ იმაზე, პრაქტიკულად როგორი მდგომარეობა შეიქმნა ჩვენში სახელმწიფო გეგმასთან დაკავშირებით. დავიწყებ სათბობით, იმით, რაც წარმოადგენს პურს მრეწველობისათვის, საფუძველია მთელი ჩვენი მრეწველობის მუშაობისა. თქვენ, ალბათ, უკვე მიიღეთ დღეს ან ამ დღეებში მიიღებთ მასალას ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის შესახებ. თქვენ მიიღებთ ელექტროტექნიკოსთა ყრილობის ანგარიშს, ყრილობისა, რომელმაც მოგვცა უაღრესად სერიოზული და უმდიდრესი მასალა, — რუსეთის საუკეთესო ტექნიკოსთა და მეცნიერთა ძალების მიერ იმ გეგმის შემოწმებას, რომელიც წარმოადგენს ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღდგენის ერთადერთ მეცნიერულად შემოწმებულ, უმოკლეს, უახლოეს ვადაში შესასრულებელ გეგმას, რომლის განხორციელება მოითხოვს სულ ცოტა 10 — 15 წელს. მე უკვე ვთქვი და მუდამ გავიმეორებ, რომ ის ვადები, რასაც ანგარიში უნდა გავუწოთ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, ახლა ის აღარ არის, რაც ჩვენ ვნახეთ პოლიტიკური და სამხედრო მუშაობის სფეროში. კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირთა ძალიან ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა შეითვისა ეს, საჭიროა კი, რომ ეს ყველამ შეითვისოს. სხვათა შორის, ამხ.

კრჟიჟანოვსკის იმ ბროშურაში, რომელიც ხვალ დაგირიგ-დებათ — ანგარიში სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის შესახებ, — თქვენ დაინახავთ, როგორ ისმება საერთოდ ჩვენი სახელმწიფო გეგმის საკითხი ინჟინერთა და აგრონომთა კოლექტიური აზრის თვალსაზრისით. თქვენ დაინახავთ, როგორ უდგებიან საქმეს, — არა ჩვენი ჩვეულებრივი, საერთო-პოლიტიკური თუ საერთო-ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ კოლექტიური გამოცდილების თვალსაზრისით, — ჩვენი ინჟინრები და აგრონომები, ანგარიშობენ რა, სხვათა შორის, სადამდე შეგვიძლია უკან დავიხიოთ. ამ ბროშურაში თქვენ იპოვით პასუხს ამ კითხვაზე ინჟინრებისა და აგრონომების თვალსაზრისით, და მით უფრო საგულისხმო ის არის, რომ თქვენ მასში იპოვით, როგორც ჩვენი საერთო-საგეგმო სახელმწიფო დაწესებულების საანგარიშო წლის მუშაობის შედეგს, იმის გაანგარიშებას, თუ როგორ აყენებს იგი ტრანსპორტისა და მრეწველობის საკითხს. გასაგებია, რომ აქ ვერ გადმოგცემთ ამ ნაშრომის შინაარსს.

მე მხოლოდ მინდა სულ მოკლედ შევჩერდე საკითხზე, როგორაა სათბობის გეგმის საქმე, რადგან ამ სფეროში საანგარიშო 1921 წლის დამდეგს ჩვენ უსასტიკესი მარცხი განვიცადეთ. სწორედ აქ, დავეყრდნეთ რა საქმის გაუმჯობესებას 1920 წლის დამლევს, საშინლად მოვტყუვდით გაანგარიშებაში და ტრანსპორტის კოლოსალური კრიზისი გამოვიწვიეთ 1921 წლის გაზაფხულზე, კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო უკვე არა მარტო მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობით, არამედ იმითაც, რომ ჩვენ არასწორად გავიანგარიშეთ განვითარების სიჩქარის ტემპი. შეცდომამ უკვე მაშინ იჩინა თავი, როცა გამოცდილება, რომელიც ჩვენ შევითვისეთ პოლიტიკური და სამხედრო პერიოდიდან, გადავიტანეთ სამეურნეო ამოცანებზე, — უაღრესად მნიშვნელოვანი შეცდომაა, ძირითადი შეცდომაა, რომელსაც დღემდე ვიმეორებთ, ამხანაგებო, ყოველ ნაბიჯზე. ამჟამად ჩვენ მრავალი შეცდომა გვაქვს, და უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ ამ შეცდომებს არ შევიგნებთ და რადაც უნდა დაჯდეს არ

მივალწევთ იმას, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ, ჩვენში მტკიცე სამეურნეო გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება. გამოვლილი გაკვეთილის შემდეგ სათბობის გეგმას 1921 წლის მეორე ნახევრისთვის უკვე დიდი სიფრთხილით ვადგენთ, ოდნავ გადაჭარბებას აქ შეუწყნარებლად ვთვლით და ყოველნაირად ვებრძვით ამას. დეკემბრის დამლევისათვის მიღებული ციფრები, თუმცა ჯერ კიდევ არასრული, რომლებიც მე მაცნობა ამხ. სმილგამ, სათბობის შემგროვებელი ყველა ჩვენი დაწესებულების ხელმძღვანელმა, ცხადყოფს, რომ ჩვენ აქ გვაქვს დეფიციტი, მაგრამ უკვე უმნიშვნელო დეფიციტი, ამასთან ისეთი დეფიციტი, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი სათბობის ბიუჯეტის შინაგანი აღნაგობის გაუმჯობესებას — სახელდობრ იმას, რასაც ტექნიკოსები უწოდებენ მის მინერალიზაციას, ე. ი. დიდ წარმატებას მინერალური სათბობით რუსეთის მომარაგების საქმეში, ამასთან მხოლოდ მინერალურ სათბობზე შეიძლება მტკიცედ დაყენება მსხვილი მრეწველობისა, რომელსაც შეუძლია სოციალისტური საზოგადოების ბაზა იყოს.

აი როგორ იყო გაანგარიშებული 1921 წლის მეორე ნახევრის დამდეგს ჩვენი სათბობის გეგმა. თუ 2 700 000 კუბ. საჟენ შეშას გადავიტანთ პირობითს 7 000 კალორიის შემცველ სათბობზე, როგორც ამას ყოველთვის ვშვრებით და როგორც ეს გაკეთებულია კრჟიჟანოვსკის ბროშურის მე-40 გვერდზე, რომელიც დაგირიგდებათ, ჩვენ ვვარაუდობთ მივიღოთ 297 მილიონი ფუთი. მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, რომ ჩვენ მივიღეთ დაახლოებით 234 მილიონი ფუთი. აქ უდიდესი ნაკლებობაა, რასაც უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება. სათბობის მომმარაგებელ ჩვენ დაწესებულებათა შეშის დამზადებაზე მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში დიდ ყურადღებას ვაქცევდით. მაგრამ სწორედ ეს მუშაობა ყველაზე მეტად არის დაკავშირებული გლეხური მეურნეობის მდგომარეობასთან. გლეხს და მის ცხენს სწორედ აქ აწვება მთელი ტვირთი. აქ სათბობის ნაკლებობა, საკვების უქონლობა და სხვ. დიდ გავლენას ახდენს

მუშაობაზე. აი რატომ გამოდის ნაკლებობა. აი ახლა, როცა ჩვენ ვდგავართ ზამთრის სათბობის კამპანიის დაწყების წინ, რატომ მიხდება კვლავ მოგმართოთ: ამხანაგებო, მიიტანეთ ადგილებზე ძალთა უდიდესი დაძაბვის ლოზუნგი ამ სფეროში. ჩვენი სათბობის ბიუჯეტის სფეროში ჩვენ მინიმალური ოდენობით ვივარაუდეთ მხოლოდ ის, რაც აბსოლუტურად აუცილებელია მრეწველობის ასაღორძინებლად, მაგრამ ეს მინიმალური ოდენობა საჭიროა შესრულდეს რადაც უნდა დაჯდეს, რა მძიმე პირობებიც უნდა იყოს.

შემდეგ. ქვანახშირის მიღება ჩვენ ვივარაუდეთ 143 მილიონი ფუთის რაოდენობით, მივიღეთ 184 მილიონი ფუთი, — აქ არის ჩვენი სათბობის მინერალიზაციის წარმატება, პროგრესი, დონბასისა და სხვა დაწესებულებათა პროგრესი, სადაც მეტად თავდადებით მუშაობდნენ მთელი რიგი ამხანაგები, რომლებმაც კარგ პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს მსხვილი მრეწველობის გაუმჯობესების საქმეში. მოვიყვან ორიოდე ციფრს დონბასის შესახებ, იმიტომ რომ ეს არის მთელი ჩვენი მრეწველობის საფუძველი, დიდი ცენტრი. ნავთობის მიღებას ჩვენ ვვარაუდობდით 80 მილიონი ფუთის რაოდენობით, რაც პირობითს სათბობზე გადაყვანისას მოგვცემს 120 მილიონს. ტორფის მიღებას ვვარაუდობდით 40 მილიონის რაოდენობით (19 მილიონი პირობითი სათბობი), ხოლო მივიღეთ 50 მილიონი. სულ ვვარაუდობდით 579 მილიონი ფუთის მიღებას, ხოლო, როგორც ჩანს, მივიღებთ 562 მილიონზე არა უმეტესს. საერთოდ, სათბობის ნაკლებობა არის. მართალია, ეს ნაკლებობა არც ისე დიდია, შეიძლება, 3 — 4% დარჩეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებობა არის. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველივე ეს პირდაპირ საფრთხეს უქმნის მსხვილ მრეწველობას, რადგან ცოტა რამ არ შესრულდება იმ მინიმუმიდან, რომელიც ნავარაუდევი იყო. ვფიქრობ, რომ ამ მაგალითით დაგანახვეთ, ჯერ-ერთი, ის, რომ ჩვენი საგეგმო დაწესებულებები ფუჭად არ მუშაობდნენ და რომ დაიწყო ჩვენი გეგმის შესრულების მომენტის მოახლოება,

ეს მაგალითი ამასთანავე ცხადყოფს, რომ ჩვენ ძლივძლივობით ვიწყებთ ფეხზე წამოდგომას, რომ ამ მხრივ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის გასაჭირი, სიძნელე ჯერ კიდევ უაღრესად დიდია და რომ ამიტომ ძირითადი ლოზუნგი, ძირითადი საბრძოლო ძახილი, ძირითადი მოწოდება, რომლითაც უნდა წარმართოს და დაამთავროს ჩვენმა ყრილობამ თავისი მუშაობა, რომლითაც მისი დელეგატები უნდა დაბრუნდნენ ადგილებზე, არის: საჭიროა კიდევ ძალ-ღონის დაძაბვა, რაც უნდა მძიმე იყოს ეს, მრეწველობის სფეროში სამუშაოთაც და სოფლის მეურნეობის სფეროში სამუშაოთაც. რესპუბლიკის ხსნა, მუშურ-გლეხური ხელისუფლების შენარჩუნება, დაცვა და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ დაძაბული შრომით ამ მხრივ. ჩვენ რომ საკმაოდ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ, ეს განსაკუთრებით დაგვანახვა, მაგალითად, დონბასმა, სადაც განსაკუთრებული ერთგულებით და განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდნენ ისეთი ამხანაგები, როგორიცაა ამხ. პიატაკოვი — მსხვილი მრეწველობის სფეროში, როგორიცაა ამხ. რუხიმოვიჩი — წვრილი მრეწველობის სფეროში, რომელმაც პირველად შესძლო წვრილი მრეწველობის ისე დაყენება, რომ მან ცოტა რამ მოგვცა. მსხვილ მრეწველობაში მნგრეველის გამომუშავებამ მიაღწია ომამდელ ნორმას, რაც წინათ ჩვენ არ გვქონია. დონბასის მთელი ნაყოფიერება, თუ 1920 წელს ავიღებთ, გამოანგარიშებული იყო 272 მილიონი ფუთის რაოდენობით, 1921 წელს კი გამოანგარიშებულია 350 მილიონი ფუთის რაოდენობით. ეს ციფრი მეტისმეტად მცირეა იმ ციფრთან შედარებით, რომელიც მაქსიმალური იყო ომამდელ ხანაში — 1 მილიარდი და 700 მილიონი. მაგრამ ეს ცოტა რამ მაინც არის. ეს ცხადყოფს, რომ სერიოზული ნაბიჯი იდგმება წინ. ეს მაინც ნაბიჯის გადადგმაა წინ მსხვილი მრეწველობის აღდგენის საქმეში, ხოლო მსხვილი მრეწველობის აღსადგენად მსხვერპლის გაღებას ჩვენ ვერ დავიშურებთ.

ორიოდე სიტყვა კიდევ მეტალურგიის შესახებ. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. ჩვენ, შესაძლოა,

რაღაც 6%-ს ვაწარმოებდეთ იმისას, რასაც ომამდე აწარმოებდნენ. აი რა გაჩანაგებამდე, რა სიღატაკემდე მიიყვანა რუსეთი იმპერიალისტურმა ომმა და სამოქალაქო ომმა! მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, აღმა მივდივართ. ჩვენში იქმნება ისეთი ცენტრები, როგორიცაა «იუგოსტალი», სადაც ასევე მეტად ერთგულად მუშაობს ამხ. მეჟლაუკი. თუმცა ჩვენი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ჩვენ აქ უდიდეს წარმატებას ვხედავთ. 1921 წლის პირველ ნახევარში ყოველთვიურად ვადნობდით 70 ათას ფუთ თუჯს, ოქტომბერში — 130 ათასს, ნოემბერში — 270 ათასს, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტს. როგორც ვხედავთ, საფუძველი არა გვაქვს პანიკას მივეცეთ. ჩვენ სრულიად არ ვუმალავთ ჩვენს თავს, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ უბადრუკ, ღატაკურ დონეს, მაგრამ ამ ციფრებით მაინც შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ, რაც უნდა მძიმე იყოს 1921 წელი, რაც უნდა განსაკუთრებით მძიმე გასაჭირი ატყდებოდეს თავს მუშათა და გლეხთა კლასს, ჩვენ მაინც აღმა მივდივართ, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ და, თუ მთელ ძალ-ღონეს დავძაბავთ, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ აღმავლობა იმატებს.

მინდა გაცნობოთ კიდევ ზოგიერთი მონაცემი ელექტროფიკაციის წარმატების შესახებ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით დიდი წარმატება არა გვაქვს. მე იმედი მქონდა, რომ IX ყრილობას მოვულოცავდი საბჭოთა ხელისუფლების მიერ აშენებული მეორე დიდი ელექტროცენტრის გახსნას: პირველია — შატური, ხოლო მეორე — ახალი ცენტრი — კაშირის სადგური, რომლის გახსნას ჩვენ ვვარაუდობდით სწორედ დეკემბერში [32]. იგი მოგვცემდა — და შეუძლია მოგვცეს — 6 000 კილოვატს პირველ რიგში, და იმ 18 ათას კილოვატთან ერთად, რაც მოსკოვში გვაქვს, არსებითი დახმარება იქნებოდა. მაგრამ აქ მთელმა რიგმა დაბრკოლებებმა ის გამოიწვია, რომ 1921 წლის დეკემბერში ამ სადგურს ვერ გავხსნით. იგი გაიხსნება უმოკლეს ვადაში, არა უგვიანეს რამდენიმე კვირისა. საერთოდ თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება იმ ანგარიშს, რომელიც ამ დღეებში მოთავსებული

იყო «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» და რომელსაც ხელს აწერს ინჟინერი ლევი, ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობის ერთ-ერთი დიდი მუშაკი და საერთოდ ერთ-ერთი დიდი ჩვენი მუშაკი. მოვიყვან ამ ანგარიშიდან მხოლოდ შემდეგ მოკლე ციფრებს: 1918 და 1919 წლებს თუ შევაჯამებთ, ჩვენში ამ ვადაში გაიხსნა 51 სადგური 3½ ათასი კილოვატის ძალოვნობისა. 1920 და 1921 წლებში გაიხსნა 221 სადგური 12 ათასი კილოვატის ძალოვნობისა. თუ ამ ციფრებს შევადარებთ დასავლეთ ევროპას, ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირედი, ლატაკური მოგვეჩვენება. მაგრამ ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ როგორ შეიძლება საქმე წინ მიდიოდეს იმ სიძნელეთა პირობებშიც კი, რაც არც ერთ ქვეყანაში არ ნახულა. საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წვრილი სადგურების გავრცელებამ სოფლად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ ძალიან ხშირი იყო დატაცება. მაგრამ ამ დატაცებაშიც არის ერთგვარი სარგებლობა. ამ წვრილი სადგურების მეოხებით შეიქმნა სოფლად თანამედროვე ახალი მსხვილი მრეწველობის ცენტრები. თუმცა ეს სადგურები უმნიშვნელო რამაა, მაგრამ მაინც უჩვენებენ გლეხებს, რომ რუსეთი არ შეჩერდება ხელით შრომაზე, არ დარჩება თავისი პრიმიტიული ხის კავის ამარა, არამედ წავა წინ სხვა დროებისაკენ. გლეხთა მასებიც თანდათან იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ ჩვენ რუსეთი უნდა დავაყენოთ და შეგვიძლია დავაყენოთ სხვა ბაზაზე. ვადები აქ, როგორც უკვე ვთქვი, განიზომება ათეული წლობით, მაგრამ მუშაობა უკვე დაიწყო, გლეხთა მასის შეგნება ფართოვდება და ნაწილობრივ სწორედ იმის წყალობით, რომ ჩვენში წვრილი სადგურები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დიდი სადგურები. მაგრამ თუ 1921 წელს ჩვენ დაგვიგვიანდა ერთი დიდი ელექტროსადგურის გახსნა, 1922 წლის დამდეგს გვექნება ორი ელექტროსადგური: კაშირისა მოსკოვთან და უტკინა ზავოდისა პიტერთან[43]. ამ მხრივ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვდგავართ იმ გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს

წინსვლას, თუ წინანდელი დაძაბვით მოვკიდებთ ხელს ჩვენი ამოცანების შესრულებას.

ორიოდე სიტყვა კიდევ ერთ წარმატებაზე — ჩვენი წარმატების შესახებ ტორფზე მუშაობის საქმეში. ტორფის მოპოვებამ ჩვენში 1920 წელს მიაღწია 93 მილიონ ფუთს, 1921 წელს — 139 მილიონ ფუთს, — თითქმის ერთადერთი სფეროა, სადაც დიდად გავუსწრეთ ომამდელ ნორმას. ტორფის მხრივ ჩვენი სიმდიდრე განუზომელია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ მოეპოვება ამდენი ტორფი. მაგრამ აქ უზარმაზარი სიძნელე იყო და ნაწილობრივ ახლაც არის იმ მხრივ, რომ ეს სამუშაო, რომელიც საერთოდ მძიმეა, საშინლად მძიმე იყო სწორედ რუსეთში. ტორფის მოპოვების ჰიდრავლიკური წესის გამოგონება, რაზედაც ტორფის მთავარ სამმართველოში მუშაობდნენ ამხანაგები რადჩენკო, მენშიკოვი და მოროზოვი, აადვილებს ამ სამუშაოს. ამ მხრივ უდიდესი წარმატებაა მიღწეული. 1921 წელს სულ მუშაობდა ტორფის 2 ტუმბო — ტორფის ჰიდრავლიკური წესით მოპოვების აპარატი, რომელიც ათავისუფლებს მუშებს კატორღული შრომისაგან, რაც დღემდე დაკავშირებულია ტორფის მოპოვებასთან. ამჟამად შეკვეთილი გვაქვს გერმანიაში და 1922 წლისთვის უზრუნველყოფილია 20 აპარატის მიღება. დაიწყო თანამეგობრობა ევროპის მოწინავე ქვეყანასთან. და ამჟამად ჩვენ წინაშე იხსნება შესაძლებლობა ამ საქმის განვითარებისა, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია. რუსეთში ჭაობების სიუხვე და ტორფის მარაგი დიდია, როგორც არსად, და ამ შრომის გარდაქმნა კატორღული შრომიდან, რომელსაც მუშების მხოლოდ მცირე რიცხვი თუ თანხმდებოდა და შეეძლო დათანხმებულიყო, უფრო ნორმალურ შრომად ახლა შესაძლებელი ხდება. პრაქტიკული თანამეგობრობა თანამედროვე მოწინავე სახელმწიფოსთან — გერმანიასთან — მიღწეულია, რამდენადაც იქაურ ქარხნებში უკვე ამზადებენ ხელსაწყოებს, რომლებიც აადვილებენ ამ შრომას, ხელსაწყოებს, რომლებიც უეჭველად ამუშავდება 1922 წელს. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამ სფეროში ძალიან ბევრი რამის

გაკეთება შეგვიძლია, თუ ყველა შევიგნებთ და ყველა გავავრცელებთ იმ აზრს, რომ ძალ-ღონის დაძაბვით, შრომის მექანიზაციით ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვაქვს თავი დავაღწიოთ ეკონომიურ კრიზისს რუსეთში, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

ახლა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის სფეროში მინდა ხაზგასმით აღვნიშნო კიდევ საქმის ერთი მხარე. ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეფასებისას არ კმარა ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს. რა თქმა უნდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დედაარსია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, დედაარსია პროლეტარიატის ავანგარდის კავშირი ფართო გლეხურ მინდორთან. საწარმოო ძალთა აღმავლობა, — რადაც უნდა დაჯდეს, დაუყოვნებლივ, ახლავე, — დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით. არის კიდევ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთი მხარე — სწავლა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ის ფორმა, როცა მეურნეობის გაძღოლის სწავლას დავიწყებთ ჯეროვნად, ამ მხრივ კი დღემდე ძალიან ცუდად ვმუშაობდით. რა თქმა უნდა, მშრომელი მასების კომუნისტი ხელმძღვანელისთვის, პროფკავშირული ხელმძღვანელისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ვაჭრობა ამჟამად მოსინჯვაა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა. ერთადერთი შესაძლებელი კავშირია პროლეტარიატის მოწინავე რაზმისა გლეხობასთან, ერთადერთი შესაძლებელი ხელჩასაჭიდია, რომ საერთო ფრონტით დავიწყოთ ეკონომიური აღმავლობა. თუ ავიღებთ რომელიმე ვაჭარს, რომელიც ვაჭრობს სახელმწიფოს და სასამართლოს კონტროლით (ჩვენი სასამართლო პროლეტარულია, და ჩვენი სასამართლო შესძლებს თვალყური ადევნოს ყოველ კერძო მეწარმეს, რომ მათთვის კანონები იწერებოდეს არა ისე, როგორც ისინი იწერება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში; ამას წინათ ამის მაგალითი იყო მოსკოვში[24], და თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენ ამ მაგალითების რიცხვს გავამრავლებთ, სასტიკად დავსჯით რა ბატონ კერძო მეწარმეთა მხრივ ჩვენი კანონების

დარღვევის ცდას), დავინახავთ, რომ მაინც ეს ვაჭარი, ეს კერძო მეწარმე ასი პროცენტი მოგებისათვის შესძლებს საქმის გაკეთებას, — ვთქვათ, ნედლეულის შეძენას მრეწველობისათვის, — ისე, როგორც ძალიან ხშირად ამის გაკეთებას ვერ შესძლებს ვერც ერთი კომუნისტი და პროფმუშაკი. და სწორედ ამაშია ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა. ისწავლეთ. ამის სწავლა ძალიან სერიოზული საქმეა, ჩვენ ყველამ უნდა განვვლოთ ეს. ეს სწავლა მეტისმეტად მკაცრია. ის არა ჰგავს სკოლაში ლექციების წაკითხვას და ამა თუ იმ გამოცდის ჩაბარებას. ეს არის მძიმე, სასტიკი ეკონომიური ბრძოლის პრობლემა, რომელიც ჩაყენებულია სიღატაკის ვითარებაში, გაუგონარი გაჭირვების, სიძნელის, უპურობის, შიმშილის, სიცივის ვითარებაში, მაგრამ ეს არის ის ნამდვილი სწავლა, რომელიც ჩვენ უნდა განვვლოთ. აქ ყოველგვარი ცდა თავი ავარიდოთ ამ ამოცანას, ყოველგვარი ცდა თვალის დახუჭვისა, რომ ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართო, უაღრესად დანაშაულებრივი და უაღრესად საშიში კომუნისტური და პროფესიული ყოყოჩობა იქნება. ეს ცოდვა ჩვენ, ამხანაგებო, ყველას, ვინც განვაგებთ საბჭოთა რუსეთს, ბლომადა გვაქვს, და საჭიროა სრულიად გულახდილად ვაღიაროთ ეს, რათა თავიდან მოვიშოროთ ეს ნაკლი.

ჩვენი ეკონომიური მშენებლობის ამოცანას ხელს ვკიდებთ ჩვენი გუშინდელი გამოცდილების საფუძველზე, და სწორედ აქ იმალება ჩვენი ძირითადი შეცდომა. აქ მოგიყვანთ ერთ ფრანგულ ანდაზას, რომელიც ამბობს, ჩვეულებრივ ადამიანთა ნაკლოვანებებს კავშირი აქვს მათ ღირსებებთანო. ადამიანის ნაკლოვანებები თითქოს გაგრძელებაა მისი ღირსებებისა. მაგრამ თუ ღირსებები საჭიროზე მეტია, აშკარავდება არა მაშინ, როცა საჭიროა, და არა იქ, სადაც საჭიროა, მაშინ ის ნაკლოვანებებად იქცევა. ალბათ, თითქმის ყველა თქვენგანს პირად ცხოვრებაში და საერთოდაც უნახავს ეს, და ჩვენც ვხედავთ ახლა როგორც ჩვენი რევოლუციის, ჩვენი პარტიის, ისე ჩვენი პროფკავშირების მთელი განვითარების მიმართ, პროფკავშირების, რომლებიც მთავარი და-

საყრდენია პარტიისა, საბჭოთა რუსეთის მართვა-გამგეობის მთელი აპარატის მიმართ ვხედავთ ამ ნაკლს, რომელიც თითქოს გაგრძელებაა ჩვენი ღირსებებისა. უდიდესი ღირსება იყო ის, რომ პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში ჩვენ გადავდგით მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი, რომელიც მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც ორი ეპოქის ცვლა. რაც უნდა ტანჯვის გადატანა მოგვიხდეს კიდევ, ამას უკანვე ვერავინ წაგვართმევს. იმპერიალისტურ ომსა და ჩვენს გაჭირვებას თავი დავაღწიეთ მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის წყალობით, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ძველი წყობილება შეიცვალა საბჭოთა წყობილებით. ამის უკანვე წაღება შეუძლებელია, ეს ღირსება უდავო, უცილობელი და ხელშეუვალია, რომლის წართმევა არ შეიძლება ჩვენი მტრების არავითარი ღონისძიებით და იერიშით, მაგრამ რომელიც სწორედ, თუ მას განვაგრძობთ იქ, სადაც საჭირო არ არის, უაღრესად საშიშ ნაკლად იქცევა.

პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები შეიძლებოდა გადაგვეჭრა ენთუზიაზმის აღმავლობით მუშათა და გლეხთა შეგნების ამა თუ იმ საფეხურზე. ყველა მათგანი მიხვდა, რომ იმპერიალისტური ომი სულს უხუთავდა მათ; ამის მისახვედრად საჭირო არ იყო შეგნების ახალ საფეხურზე, ორგანიზაციის ახალ საფეხურზე ასვლა. ენთუზიაზმმა, იერიშმა, გმირობამ, რომელიც იყო და მუდამ დარჩება იმის სახსოვრად, თუ რას აკეთებს რევოლუცია და რის გაკეთება შეეძლო მას, ხელი შეუწყო ამ ამოცანების გადაჭრას. აი რით მივაღწიეთ ჩვენ პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებას, და ეს ღირსება ახლა ჩვენი უაღრესად საშიში ნაკლი ხდება. ჩვენ უკან ვიხედებით და ვფიქრობთ, რომ ასევე შეიძლება გადავჭრათ სამეურნეო ამოცანებიც. მაგრამ სწორედ ესაა შეცდომა: როცა ვითარება შეიცვალა და ჩვენ სხვაგვარი ამოცანები უნდა გადავჭრათ, აქ არ შეიძლება უკან მივიხედოთ და ვეცადოთ გუშინდელი ხერხით გადავჭრათ ეს ამოცანები. ნუ ცდილობთ — ვერ გადაჭრით! და ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს შეცდომა. კომუნისტი მუშაკები და პროფკავშირული მუშაკები,

რომლებიც, როგორც საბჭოთა მუშაკები, როგორც გუშინდელი მებრძოლები, ძალიან ხშირად ჩამოშორებული არიან შავ, მძიმე, მრავალწლოვან სამეურნეო მუშაობას, რაც მოითხოვს გამძლეობას, მძიმე განსაცდელის გადატანას, ხანგრძლივ მუშაობას, წესიერებას, შეუპოვრობას — ჩამოშორდნენ მას, თავს იძვრენენ მისგან, იმიზეზებენ იმის შოგონებას, რომ დიდი საქმე რაც კი იყო გუშინ გავაკეთეთო, — თქვენ მომაგონებთ იგავ-არაკს ბატების შესახებ, რომლებიც ყოყოჩობდნენ იმით, რომ «რომი ვიხსენითო», მაგრამ რომლებსაც ამაზე გლეხმა წკეპლით უპასუხა: « — ვიცი! ვიცი!.. თქვენ ის ბრძანეთ, თქვენდათავად რას აკეთებთ?». ის, რომ 1917 — 18 — 19 — 20 წლებში ჩვენ გადავჭერით ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები იმ გმირობით, იმ წარმატებით, რომლითაც საფუძველი ჩავუყარეთ მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას, ამას არავინ უარყოფს. ეს დამსახურება ჩვენ გვეკუთვნის, და არც პარტიაში, არც პროფკავშირებში არავინ ცდილობს ეს წაგვართვას, — მაგრამ საბჭოთა მუშაკებისა და პროფკავშირთა მუშაკების წინაშე ამჟამად სხვა ამოცანა დგას.

ამჟამად თქვენ გარემოცული ხართ კაპიტალისტური სახელმწიფოებით, რომლებიც კი არ დაგეხმარებიან, არამედ ხელს შეგიშლიან, ამჟამად თქვენ მუშაობთ სიღატაკის, გაჩანაგების, შიმშილისა და გაჭირვების პირობებში. ან უნდა ისწავლოთ სხვა ტემპით მუშაობა, იმუშაოთ ათეული წლობით და არა თვეობით, ხელი ჩასჭიდოთ იმ მასას, რომელიც დაიტანჯა და რომელსაც აღარ შეუძლია რევოლუციურ-გმირული ტემპით ყოველდღიური მუშაობა, — ან ისწავლეთ ეს, ანდა სამართლიანად გიწოდებენ ბატებს. როცა რომელიმე პროფკავშირული და პოლიტიკური მუშაკი წარმოთქვამს ზოგად ფრაზებს, რომ, აი, ჩვენ, პროფკავშირები, ჩვენ, კომუნისტური პარტია, განვაგებთო, — ეს კარგია. პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში ჩვენ ამას მშვენივრად ვაკეთებდით, ხოლო სამეურნეო სფეროში ამას საძაგლად ვაკეთებთ. ეს უნდა შევიგნოთ და უკეთ გავაკეთოთ. ყოველ პროფკავშირს,

რომელიც ზოგადად აყენებს საკითხს, უნდა მიიღონ თუ არა პროფკავშირებმა მონაწილეობა წარმოებაშიო, მე ვუპასუხებ: თავი დაანებეთ ლაყბობას (ტ ა შ ი), სჯობს პრაქტიკულად მიპასუხოთ კითხვაზე და მითხრათ (თუ თქვენ პასუხისმგებელი პოსტი გიჭირავთ, როგორც ავტორიტეტიან კაცს, კომუნისტური პარტიის თუ პროფკავშირის მუშაკი ხართ): სად დააყენეთ კარგად წარმოება, რამდენი წელი მოუნდით მის დაყენებას, რამდენი კაცი გექვემდებარებათ — ათასი თუ ათი ათასი, მომეცით იმათი სია, ვის აყენებთ თქვენ მიერ ბოლომდე მიყვანილ სამეურნეო სამუშაოზე, ანდა ისე ხომ არ შვრებით, რომ 20 საქმეს მოჰკიდებთ ხელს და შემდეგ მოუცლელობის გამო ვერც ერთი ბოლომდე ვერ მიგყავთ. ჩვენი, საბჭოთა ზნე-ჩვეულების მიხედვით, ისე კი არ ხდება, რომ მეურნეობა ბოლომდე მივიყვანოთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატება დავიმოწმოთ, რომ არ ვითაკილოთ იმ ვაჭრისაგან ვისწავლოთ, რომელიც 100% მოგებას ნახავს და კიდევ თავისთვის წაიღებს, არამედ ისე, რომ დაწერენ საუცხოო რეზოლუციას ნედლეულის შესახებ და იტყვიან, რომ ჩვენ კომუნისტური პარტიის, პროფკავშირის, პროლეტარიატის წარმომადგენლები ვართო. უკაცრავად, გეთაყვათ. ვინ არის პროლეტარიატი? ეს არის კლასი, რომელიც მუშაობს მსხვილ მრეწველობაში. მერე სად არის მსხვილი მრეწველობა? ეს რა პროლეტარიატია? სად არის თქვენი მრეწველობა? რატომ დგას იგი? იმიტომ, რომ არ არის ნედლეული? მერე თქვენ შესძელით მისი შოვნა? არა. დაწერთ რეზოლუციას, რომ იშოვონ იგი, — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, იტყვიან — სისულელეა, და, მაშასადამე, თქვენ ჰგავხართ იმ ბატს, რომლის წინაპრებმა რომი იხსნეს.

ჩვენ ამჟამად ისტორიამ დაგვაკისრა ამოცანა: უდიდესი პოლიტიკური გადატრიალება დავაგვირგვინოთ ნელი, მძიმე, ძნელი ეკონომიური მუშაობით, სადაც ფრიად ხანგრძლივ ვადებს ნიშნავენ. ისტორიაში ყოველთვის დიდი პოლიტიკური გადატრიალებები მოითხოვდა გრძელ გზას იმისათვის,

რომ ეს გადატრიალებანი აეთვისებინათ. ყველა დიდ პოლიტიკურ გადატრიალებას წყვეტდა იმ მოწინავე რაზმების ენთუზიაზმი, რომელთაც სტიქიურად, ნახევრადშეგნებულად მიჰყვებოდა მასა. სხვანაირად განვითარება ვერც წავიდოდა წინ იმ საზოგადოებაში, რომელიც დაბეჩავებული იყო მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ. და მუშაობის ეს ნაწილი, ე. ი. პოლიტიკური გადატრიალება, ისე შევასრულეთ, რომ ამ საქმის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა უდავოა. შემდეგ, დიდ პოლიტიკურ გადატრიალებას კი მოსდევს მეორე ამოცანა, რომელიც ასე უნდა გავიგოთ: საჭიროა ეს გადატრიალება ავითვისოთ, განვახორციელოთ, ნუ მოვიმიზეზებთ იმას, რომ საბჭოთა წყობილება ცუდია და საჭიროა მისი გარდაქმნაო. ჩვენში ძალიან ბევრნი არიან ყოველგვარ გარდაქმნათა მოყვარულნი, და ამ გარდაქმნებს ისეთი უბედურება მოსდევს, რომ ამაზე უარესი უბედურება მთელ სიცოცხლეში არც კი განმიცდია. მასების დამრაზმველ ჩვენს აპარატს რომ ნაკლოვანებები აქვს, — ეს მე ჩინებულად ვიცი და ყოველ ათ ნაკლზე, რომელთაც რომელიმე თქვენგანი მიმითითებს, მაშინვე ასეულ დამატებითს დავუსახელებ. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ სწრაფი რეორგანიზაციით გავაუმჯობესოთ ეს, არამედ საქმე ისაა, რომ ეს პოლიტიკური გარდაქმნა ავითვისოთ, რათა სხვა კულტურული ეკონომიური დონე მივიღოთ. აი რაშია საქმე. საჭიროა არა გარდაქმნა, არამედ, პირიქით, დახმარება იმ მრავალი ნაკლის გამოსასწორებლად, რომელნიც აქვს საბჭოთა წყობილებას და მართვა-გამგეობის მთელ სისტემას, რათა დავეხმაროთ ათეულ და მილიონობით ადამიანს. საჭიროა მთელი გლეხური მასა დაგვეხმაროს ჩვენ მიერ მიღწეული უდიდესი პოლიტიკური მონაპოვრის ათვისებაში. აქ ფხიზლად უნდა ვიყოთ და გავითვალისწინოთ, რომ ეს მონაპოვარი მიღწეულია, მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრების ეკონომიკას არ შეუსისხლხორცებია და მასების საარსებო პირობებში ჯერ კიდევ არ შესულა. აქ მთელ ათწლეულთა სამუშაოა და მას უნდა მოვახმაროთ უდიდესი ძალ-ღონე.

მას ვერ წარვმართავთ იმ ტემპით, იმ სისწრაფით და იმ პირობებში, როგორც სამხედრო მუშაობას წარვმართავდით.

ვიდრე დავამთავრებდე, თავს ნებას მივცემ ეს გაკვეთილი, — რომ ნაკლოვანებანი ზოგჯერ ჩვენ ღირსებათა გაგრძელებაა, — გავავრცელო ერთ-ერთ ჩვენს დაწესებულებაზე, სახელდობრ: სრ. რუს. საგანგებო კომისიაზე. ამხანაგებო! რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ იცით, რა ველურ სიძულვილს უნერგავს ეს დაწესებულება რუსეთის ემიგრაციას და იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ კლასთა იმ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთის ამ ემიგრაციასთან ცხოვრობენ. ოღონდაც! — ეს ის დაწესებულებაა, რომელიც შემმუსვრელი იარაღი იყო ჩვენს ხელში უამრავი შეთქმულების, საბჭოთა ხელისუფლებაზე უამრავი ხელყოფის წინააღმდეგ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც ჩვენზე უსაზღვროდ უფრო ძლიერი იყვნენ. მათ, კაპიტალისტებსა და მემამულეებს, ჰქონდათ ხელში მთელი საერთაშორისო კავშირურთიერთობა, მათ მხარეზე იყო მთელი საერთაშორისო დახმარება, მათ უჭერდნენ მხარს ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერი სახელმწიფოები. ამ შეთქმულებათა ისტორიიდან იცით, როგორ მოქმედებდნენ ეს ადამიანები. თქვენ იცით, რომ მათთვის შეიძლებოდა გვეპასუხნა მხოლოდ შეუბრალებელი, სწრაფი, დაუყოვნებელი რეპრესიით, რომელიც დამყარებული იქნებოდა მუშათა და გლეხთა თანაგრძნობაზე. ეს არის ღირსება ჩვენი სრ. რუს. საგანგებო კომისიისა. ჩვენ ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავთ ამას, როდესაც გავიგონებთ, პირდაპირი თუ ასახული ფორმით, როგორც ხშირად გვესმის საზღვარგარეთიდან, იმ რუსი წარმომადგენლების გოდებას, რომლებსაც ყველა ენაზე ეხერხებათ სიტყვის «საგანგებო კომისია» ხმარება და ის მიაჩნიათ რუსული ბარბაროსობის გამოხატულებად, ტიპად.

რუსეთისა და უცხოეთის ბატონო კაპიტალისტებო! ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ვერ შეიყვარებთ ამ დაწესებულებას. ოღონდაც! მას ეხერხებოდა თქვენი ინტრიგებისა და თქვენი ზრახვების გამომზეურება, როგორც არავის, ისეთ ვითარე-

ბაში, როცა გვახრჩობდით, როცა შემოსევას გვიწყობდით, როცა საშინაო შეთქმულებებს გვიწყობდით და არავითარ დანაშაულობას არ ერიდებოდით ჩვენი მშვიდობიანი მუშაობის ჩასაშლელად. ჩვენ სხვა პასუხი არ მოგვეპოვება, გარდა იმ დაწესებულების პასუხისა, რომელსაც ეცოდინება შეთქმულის ყოველი ნაბიჯი, რომელიც შესძლებს არა შეგონებას, არამედ დაუყოვნებლივ დასჯას. ასეთი დაწესებულების უქონლად მშრომელთა ხელისუფლება ვერ იარსებებს, ვიდრე იარსებებენ ქვეყნად ექსპლოატატორები, რომლებსაც არა აქვთ სურვილი ლანგარით მიართვან მუშებსა და გლეხებს თავიანთი უფლებები მემამულეებისა, თავიანთი უფლებები კაპიტალისტებისა. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცით, რომ ადამიანის ღირსებები შეიძლება გახდეს მის ნაკლოვანებებად, და ჩვენ ვიცით, რომ ის ვითარება, რომელიც ჩვენში შეიქმნა, მბრძანებლურად მოითხოვს ეს დაწესებულება შევზღუდოთ წმინდა პოლიტიკური სფეროთი, მთელი მისი ყურადღება მივაპყროთ იმ ამოცანებზე, რომელთა ვითარება და პირობები ხელს უწყობენ მას. თუ კონტრრევოლუციის ზრახვები ისეთივე იქნება, როგორც დღემდე იყო, — ჩვენ კი არა გვაქვს საბუთი, რომ ამ მხრივ ჩვენი მტრების ფსიქოლოგია შეიცვალა, ამის საფუძველი ჩვენ არა გვაქვს, — ჩვენ შევძლებთ ისეთი პასუხი გავცეთ, რომ ამ პასუხში რაღაც სერიოზული დაინახონ. საბჭოთა სახელმწიფო ღებულობს უცხოეთის წარმომადგენლებს, რომლებიც თითქოს დახმარების გასაწევად ჩამოდიან, ეს წარმომადგენლები კი ხელს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ამის მაგალითები იყო. ასეთი სახელმწიფოს მდგომარეობაში ჩვენ არ ჩავვარდებით, იმიტომ რომ დავაფასებთ და გამოვიყენებთ ისეთ დაწესებულებას, როგორიცაა სრ. რუს. საგანგებო კომისია. ამის გარანტია შეგვიძლია ყველას მივცეთ. მაგრამ ამასთანავე გარკვევით ვამბობთ, რომ აუცილებელია მოვახდინოთ სრ. რუს. საგანგებო კომისიის რეფორმა, განვსაზღვროთ მისი ფუნქციები და კომპეტენცია და მისი მუშაობა შევზღუდოთ პოლიტიკური ამოცანებით. ამჟამად

ჩვენ წინაშე დგას სამოქალაქო აღებ-მიცემობის განვითარების ამოცანა, — ამას მოითხოვს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, — ეს კი მოითხოვს მეტ რევოლუციურ კანონიერებას. გასაგებია, რომ სამხედრო შემოტევის ვითარებაში, როცა ყელში უჭერდნენ ხელს საბჭოთა ხელისუფლებას, მაშინ რომ ეს ამოცანა მთავარ ამოცანად დაგვესახა, პედანტები ვიქნებოდით, რევოლუციის თამაშს გავმართავდით, მაგრამ რევოლუციას არ მოვახდენდით. რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ ხელისუფლებას შეეფერება, რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემობა, მით უფრო აუცილებელია წამოვაყენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი, და მით უფრო ვიწროვდება იმ დაწესებულების სფერო, რომელიც საპასუხო დარტყმით უპასუხებს შეთქმულთა ყოველგვარ დარტყმაზე. ასეთია გამოცდილების, დაკვირვებისა და მოფიქრების შედეგი, რომელიც გამოიტანა მთავრობამ საანგარიშო წლის განმავლობაში.

დასასრულ უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ის ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვწყვეტთ წელს და რომელსაც ასე ცუდად ვწყვეტდით დღემდე, — მუშათა და გლეხთა მტკიცე ეკონომიური კავშირის შექმნა, თუნდაც უდიდესი სიღატაკისა და გაჩანაგების ვითარებაში, — ახლა სწორად გვაქვს დაყენებული, მიღებული გვაქვს სწორი ხაზი, და რაიმე დაეჭვება ამ მხრივ შეუძლებელია. და ეს არის არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო ხასიათის ამოცანა.

ის ამოცანა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვწყვეტთ, ჯერჯერობით — დროებით — ცალკე, წმინდა რუსულ ამოცანად ჩანს, მაგრამ ნამდვილად ეს არის ამოცანა, რომელიც ყველა სოციალისტის წინაშე დადგება. კაპიტალიზმი იღუპება; დაღუპვისას მას კიდევ შეუძლია წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენოს ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს, მაგრამ მისი დაცემის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ახალი საზოგადოება, რომელიც დამყარებული იქნება მუშათა და გლეხთა კავშირზე, გარდუვალია. ადრე თუ გვიან, ოცი

წლით ადრე თუ ოცი წლით გვიან, იგი შეიქმნება, და მისთვის, ამ საზოგადოების დამყარებისთვის, ვუწყობთ ჩვენ ხელს მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმების შემუშავებას, როცა ვიღწვით ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანის გადაჭრისათვის. ჩვენ ამ ამოცანას გადავჭრით და მუშათა და გლეხთა იმდენად მტკიცე კავშირს შევქმნით, რომ დედამიწის ზურგზე ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს მას. (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში.)

«პრავდა» № 292,
1921 წ. 25 დეკემბერი

იბეჭდება წიგნის — «მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და კაზაკთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეცხრე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში», მოსკოვი, სრ. რუს. ცაკის გამომც., 1922, — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან.

2

განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხებზე, მიღებული საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს

საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა, განიხილა სახალხო კომისარიატთა მოხსენებები და ანგარიშები სამეურნეო საქმიანობის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში, იძლევა, სამეურნეო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე საბჭოების ყრილობის დადგენილებათა შესავსებად და განზოგადებისათვის, ცენტრსა და ადგილებზე ყველა საბჭოთა დაწესებულების მიერ ურყევად შესასრულებლად, შემდეგ სახელმძღვანელო მითითებებს:

1. ყველა სამეურნეო ორგანოს მთავარ და გადაუდებელ ამოცანად საბჭოების ყრილობა ბრძანებს მიჩნეულ იქნეს: უმოკლეს ვადაში, რადაც უნდა დაჯდეს, მტკიცე პრაქტიკული წარმატებების მიღწევა გლეხობის მომარაგების საქმეში დიდძალი საქონლით, რაც აუცილებლად საჭიროა მიწათმოქმედების აღმავლობისათვის და გლეხობის მშრომელი მასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. ეს უმთავრესი მიზანი მხედველობიდან არ უნდა გაუშვან მრეწველობის მმართველმა ორგანოებმა, რასაკვირველია, იმ ვარაუდით, რომ ოდნავ არ შესუსტდეს წითელი არმიის საჭიროებათა 100 პროცენტით მომარაგების ამოცანა, რაც პირველ რიგში უნდა დაისვას საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების გულისათვის.

3. ამავე მიზანს უნდა ემორჩილებოდეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება იმ მხრივ, რომ ყველა მუშათა ორგანიზაციას (და პირველ რიგში პროფკავშირებს) ევალებათ

იზრუნონ მრეწველობის ისე დაყენებაზე, რომ იგი სწრაფად და სრულად აკმაყოფილებდეს გლეხობის მოთხოვნილებებს, ამასთან ამ მხრივ მიღწეულ წარმატებებზე უშუალოდ უნდა იყოს დამოკიდებული ხელფასის გადიდება და მრეწველობის მუშების საარსებო პირობების გაუმჯობესება.

4. ამავე მიზანს უნდა ემორჩილებოდეს ფინსახკომის მუშაობა, რომელსაც საბჭოების IX ყრილობა ავალებს ძალთა უდიდესი დაძაბვით და უდიდესი სიჩქარით განახორციელოს ემისიის შემცირება და შემდეგში მისი შეწყვეტა და ოქროს ვალუტის საფუძველზე სწორი ფულადი მიმოქცევის აღდგენა. ურყევად უნდა გატარდეს, ოდნავი გაჭიანურების დაუშვებლად, ემისიის შეცვლა გადასახადებით.

5. იგივე მიზანი ქვაკუთხედად უნდა გაიხადონ ყველა იმ ორგანომ და დაწესებულებამ, რომლებიც განაგებენ საშინაო და საგარეო ვაჭრობას, ე. ი. «ცენტროსოიუზმა», საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და სხვ.. მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის განვითარების საქმეში მხოლოდ სწრაფი პრაქტიკული შედეგების მიხედვით გაზომავს საბჭოების ყრილობა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებსაც ავალებს გაზომონ ამ დაწესებულებათა წარმატებები. კერძოდ, საბჭოების ყრილობა ბრძანებს რაც შეიძლება ფართოდ მოიშველიონ კერძო სამეურნეო საწარმოები ნედლეულის შოვნის, მისი გამოტანისა და ვაჭრობის ყოველნაირად განვითარების საქმეში, ამასთან სახელმწიფო ორგანოების როლი გაგებულ იქნეს როგორც კონტროლის გამწევი და წარმმართველი ორგანოებისა, და დაუნდობლად ებრძოლონ ცოცხალი საქმის ხელისშემშლელ ყოველგვარ გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს.

6. ყველა ორგანოსა და დაწესებულებისაგან, რომლებიც სამეურნეო მუშაობას განაგებენ, საბჭოების IX ყრილობა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ ყურადღებასა და ენერგიას, ვიდრე დღემდე მოითხოვდა, სახელმწიფო მუშაობის ამა თუ იმ სფეროში უპარტიო მუშათა და გლეხთა რიგებიდან ყველა რამდენადმე გამოჩენილ ძალთა ჩაბმის საქმეში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით; — რომ ამ მხრივ არ ვიჩენთ საკმაო სისტემატურობასა და შეუპოვრობას; — რომ ამ მხრივ სამეურნეო და სახელმწიფო მუშაკთა წრის გაფართოება უსათუოდ და უეჭველად აუცილებელია; — რომ, კერძოდ, ყოველგვარი წარმატება მეურნეობის აღმავლობის საქმეში უფრო რეგულარულად უნდა ჯილდოვდებოდეს როგორც შრომის დროშის ორდენით, ისე ფულადი პრემიებით.

საბჭოების ყრილობა ყველა სამეურნეო ორგანოს და ყოველგვარი კლასობრივი, არა წმინდა სახელმწიფო ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ უთუოდ აუცილებელია კიდევ უფრო მეტი შეუპოვარი მუშაობა სამეურნეო მშენებლობის საქმეში სპეციალისტების ჩასაბმელად, ასეთებად მიაჩნია რა როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლები, ისე ის ადამიანები, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობით შეუძენიათ გამოცდილება და ცოდნა ვაჭრობის საქმეში, მსხვილი საწარმოების მოწყობის, სამეურნეო ოპერაციების კონტროლის საქმეში და სხვ.. სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა ფართო წრის სწავლება რსფს რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების მუდმივი მზრუნველობის საგანი უნდა გახდეს.

7. იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან საბჭოების IX ყრილობა მოითხოვს გაცილებით მეტ ენერგიას ორი მხრივ:

ჯერ-ერთი, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს კერძო ვაჭრებისა, და მეწარმეების საქმიანობას, ოდნავადაც არ ზღუდავდნენ მათ საქმიანობას, მაგრამ ამასთანავე უმკაცრესად უნდა სჯიდნენ რესპუბლიკის კანონების განუხრელად დაცვისაგან გადახვევის ოდნავ ცდას და მუშათა და გლეხთა ფართო მასებს ზრდიდნენ ისე, რომ დამოუკიდებელი, სწრაფი და საქმიანი მონაწილეობა მიიღონ კანონიერების დაცვის მეთვალყურეობის საქმეში;

მეორე, რომ სახალხო სასამართლოები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, სამეურნეო უთაურობის სასამართლოს წესით დევნას. ამგვარი საქმეების გამო პროცესების მოწყობა აუცილებელია როგორც პასუხისმგებლობის გასადიდებლად იმ ბოროტებისათვის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასე ძნელია ჩვენს პირობებში, ისე მუშათა და გლეხთა მასების ყურადღების მისაპყრობად ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი და პრაქტიკული მიზნის: მეტი სამეურნეო წარმატებების მისაღწევად.

IX ყრილობას მიაჩნია, რომ განსახკომის ამოცანა ახალ პერიოდში იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში შექმნას სპეციალისტების კადრი ყველა სფეროში გლეხთა და მუშათა წრიდან, და წინადადებას აძლევს განსახკომს კიდევ უფრო გააძლიეროს კავშირი სასკოლო და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუშაობასა და როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე ამა თუ იმ ოლქის და ამა თუ იმ ადგილის საჭირბოროტო სამეურნეო ამოცანებს შორის. კერძოდ, საბჭოების IX ყრილობა აღნიშნავს, რომ რუსეთში ელექტროფიკაციის გეგმის პროპაგანდის შესახებ საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, და მოითხოვს, რომ ყოველ ელექტროსადგურთან ყველა გამოსადეგი სპეციალისტის მობილიზაციის გზით რეგულარულად მოეწყოს საუბრები, ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობა მუშებისა და გლეხებისთვის ელექტრობის, მისი მნიშვნელობისა და ელექტროფიკაციის გეგმის გასაცნობად; იმ მაზრებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის არც ერთი ელექტროსადგური, უნდა აშენდეს, რაც შეიძლება სასწრაფოდ, თუნდაც წვრილი ელექტროსადგურები, რომლებიც უნდა გადაიქცნენ ამ სფეროში პროპაგანდის, განათლებისა და ყოველგვარი თაოსნობის წახალისების ადგილობრივ ცენტრად.

დაწერილია 1921 წ. 25 — 27 დეკემბერს

დაიბეჭდა 1921 წ. 30 დეკემბერს

სრ. რუს. ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 295

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ

წერილი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს

დეპეშა ბრიტანეთის მუშათა პარტიის შესახებ ცხადყოფს კრასინის მეტისმეტ გულუბრყვილობას. ჩემი აზრით, ამჟამად საჭიროა მივიღოთ ორგვარი ღონისძიება: 1) გამოვიდეთ პრესაში მთელი რიგი სტატიებით სხვადასხვა ხელმოწერით და აბუჩად ავიგდოთ ეგრეთწოდებული ევროპის დემოკრატიის შეხედულებანი საქართველოს საკითხზე; 2) დაუყოვნებლივ დავავალოთ რომელიმე გესლიან ჟურნალისტს დაწეროს ინგლისის მუშათა პარტიის პასუხად არქითავაზიანი ნოტის პროექტი. ამ ნოტაში უაღრესად დაბეჯითებით უნდა იქნეს განმარტებული, რომ წინადადება საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოყვანისა და იქ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ სავსებით გონივრული იქნებოდა და შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ ეს წინადადება გამოდის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც არ არიან ჭკუაზე შეშლილნი, ანტანტის მიერ მოსყიდულნი, თუ ის გავრცელდებოდა დედამიწის ყველა ეროვნებაზე; კერძოდ, იმისათვის, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს მივახვედროთ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე იმპერიალისტური ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკაში, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მას მოწყალე თვალით განიხილოს: ჯერ-ერთი, ინგლისის ჯარების გამოყვანა ირლანდიიდან და იქ რეფერენდუმის მოწყობა; მეორე, იგივე ინდოეთის მიმართ; მესამე, იგივე კორეიდან იაპონიის ჯარების გამოყვანის შესახებ; მეოთხე, იგივე ყველა იმ ქვეყნის მიმართ, სადაც რომელიმე დიდი

იმპერიალისტური სახელმწიფოს ჯარები იმყოფებიან. ნოტაში ზედმიწევნით ზრდილობიანი ფორმით გამოვხატოთ ის აზრი, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მოისურვებენ ჩაუფიქრდნენ ამ ჩვენს წინადადებებს და საერთაშორისო პოლიტიკაში იმპერიალისტური ურთიერთობის სისტემას, შეიძლება იმდენი უნარი აღმოაჩნდეთ, რომ გაიგონ იმ წინადადებათა «საინტერესო» ხასიათი, რომლებიც ჩვენ წავუყენეთ ინგლისის მუშათა პარტიას. საერთოდ და მთლიანად ნოტის პროექტი უნდა იყოს არქითავაზიანი და მეტისმეტად პოპულარული (10 წლის ასაკის ბავშვთა მიხვედრილობის დონე) დაცინვა ინგლისის მუშათა პარტიის იდიოტი ბელადების მიმართ.

ვურჩევ პოლიტბიუროს განსაჯოს, საჭიროა თუ არა ამ წერილის ასლი გაეგზავნოს კრასინს. პირადად მე მომხრე ვარ.

1921 წ. 27. XII. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

ნაკარნახევია ტელეფონით

იბეჭდება საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ასლის მიხედვით

პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 12 იანვრის დადგენილება [35]

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პროფკავშირები

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მთელი რიგი არსებითი ცვლილებები შეაქვს პროლეტარიატის მდგომარეობაში და, მაშასადამე, პროფკავშირების მდგომარეობაშიც. მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროში წარმოების საშუალებათა უდიდესი მასა პროლეტარული სახელმწიფოს ხელში რჩება. მიწის ნაციონალიზაციასთან ერთად ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ ცვლის მუშური სახელმწიფოს არსს, თუმცა არსებითად ცვლის სოციალისტური მშენებლობის მეთოდებსა და ფორმებს, რადგან იგი უშვებს ეკონომიურ მეტოქეობას შენების პროცესში მყოფ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, რომელიც აღორძინებისაკენ მიისწრაფვის ბაზრის მეშვეობით მრავალმილიონიანი გლეხობის დაკმაყოფილების ნიადაგზე.

სოციალისტური მშენებლობის ფორმების შეცვლას იწვევს ის გარემოება, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთელ პოლიტიკაში კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება ამჟამად ახორციელებენ ამ გადასვლის განსაკუთრებულ ხერხებს, ბევრი მხრივ მოქმედებენ სხვა წესებით, ვიდრე წინათ მოქმედებდნენ, მთელ რიგ პოზიციებს იპყრობენ, ასე

ვთქვათ, «ახალი შემოვლით», უკან იხევენ, რათა უფრო მომზადებული გადავიდნენ კვლავ შეტევაზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ. კერძოდ, ამჟამად დაშვებულია და ვითარდება თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალიზმი, რაც სახელმწიფო მოწესრიგებას ექვემდებარება, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალიზაციაქმნილი სახელმწიფო საწარმოები გადაჰყავთ ეგრეთწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე, ე. ი. კომერციულ საწყისებზე, რაც ჩვენი ქვეყნის საერთო კულტურული ჩამორჩენილობისა და გაღატაკების პირობებში მეტად თუ ნაკლებად გარდუვალად გამოიწვევს მასების შეგნებაში ამა თუ იმ საწარმოების ადმინისტრაციის დაპირისპირებას ამ საწარმოებში ჩაბმული მუშებისადმი.

2. სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში და პროფკავშირები

პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი არსის შეუცვლელად ვაჭრობის თავისუფლება და კაპიტალიზმის განვითარება შეუძლია დაუშვას მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე და ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ სახელმწიფო აწესრიგებდეს (მეთვალყურეობა, კონტროლი, ფორმების, წესის განსაზღვრა და სხვ.) კერძო ვაჭრობასა და კერძომეურნეობრივ კაპიტალიზმს. ასეთი მოწესრიგების წარმატება დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლებაზე, არამედ კიდევ უფრო მეტად საერთოდ პროლეტარიატისა და მშრომელი მასების მომწიფების დონეზე, შემდეგ კულტურის დონეზე და სხვ.. მაგრამ ასეთი მოწესრიგების სრული წარმატების პირობებშიც კი შრომისა და კაპიტალის კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა უსათუოდ რჩება. ამიტომ ამიერიდან პროფკავშირთა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ყოველმხრივი და ყოველნაირი დაცვა კაპიტალთან ბრძოლაში. ეს ამოცანა აშკარად უნდა დაისვას ერთ-ერთ პირველ ადგილზე, პროფკავშირთა აპარატი სათანადოდ უნდა გარდაიქმნას,

შეიცვალოს ან შეივსოს (უნდა შეიქმნას საკონფლიქტო კომისიები, საგაფიცვო ფონდები, ურთიერთდახმარების ფონდები და სხვ.).

3. სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ეგრეთწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე გადაჰყავთ, და პროფკავშირები

სახელმწიფო საწარმოთა გადაყვანა ეგრეთწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე გარდუვალად და განუყრელად დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან და უახლოეს მომავალში ეს ტიპი გარდუვალად გახდება გაბატონებული, თუ ერთადერთი არა. თავისუფალი ვაჭრობის დაშვებისა და განვითარების ვითარებაში ფაქტიურად ეს ნიშნავს სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელოვნად გადაყვანას კომერციულ საფუძვლებზე. ეს გარემოება, იმასთან დაკავშირებით, რომ უაღრესად აუცილებელია გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი სახელმწიფო საწარმო მოგებას იძლეოდეს და არა ზარალს, გარდუვალ საუწყებო დაინტერესებასა და გადაჭარბებულ საუწყებო გულმოდგინებასთან დაკავშირებით, უეჭველად წარმოშობს ხოლმე საწარმოში არსებულ შრომის პირობების საკითხებზე ინტერესთა ერთგვარ წინააღმდეგობას მუშათა მასასა და სახელმწიფო საწარმოთა დირექტორებსა, მმართველებსა თუ უწყებებს შორის, რომელთაც ეს საწარმოები ეკუთვნის. ამიტომ სოციალიზაციაქმნილი საწარმოების მიმართ პროფკავშირებს უსათუოდ ევალებათ დაიცვან მშრომელთა ინტერესები, შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ მათი მატერიალური ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, მუდამ გამოასწორონ ხოლმე სამეურნეო ორგანოების შეცდომები და გადამლაშება, რამდენადაც ეს გამომდინარეობს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯებიდან.

4. არსებითი განსხვავება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასა იმ სახელმწიფოში, რომელიც ცნობს მიწის, ფაბრიკებისა და სხვათა კერძო საკუთრებას და სადაც პოლიტიკური ძალაუფლება კაპიტალისტთა კლასის ხელშია, და პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას შორის იმ სახელმწიფოში, რომელიც არ ცნობს მიწისა და მსხვილ საწარმოთა უმრავლესობის კერძო საკუთრებას, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოში პროლეტარიატის ხელშია

ვიდრე კლასები არსებობენ, კლასობრივი ბრძოლა გარდუვალია. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში კლასთა არსებობა გარდუვალია, და რკ პარტიის პროგრამაც სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საქმეში. ამიტომ კომპარტიამაც და საბჭოთა ხელისუფლებამაც, ისევე როგორც პროფკავშირებმა, აშკარად უნდა აღიარონ ეკონომიური ბრძოლის არსებობა და მისი აუცილებლობა მანამდე, ვიდრე არ დამთავრებულა, თუნდაც ძირითადად, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ელექტროფიკაცია, ვიდრე ამით სულ მთლად ძირი არ გამოთხრია წვრილ მეურნეობასა და ბაზრის ბატონობას.

მეორე მხრივ, ცხადია, კაპიტალიზმის დროს საგაფიცვო ბრძოლის საბოლოო მიზანია სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა, არსებული კლასობრივი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა. ხოლო გარდამავალი ტიპის პროლეტარული სახელმწიფოს დროს, როგორიცაა ჩვენი სახელმწიფო, მუშათა კლასის ყოველგვარი გამოსვლის საბოლოო მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოს და პროლეტარული კლასობრივი სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება ამ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან, მის შეცდომებთან და სუსტ მხარეებთან ბრძოლით, ბრძოლით კაპიტალისტთა კლასობრივ მადასთან და სხვ., რასაც თავი

დაუღწევია ამ სახელმწიფოს კონტროლისთვის. ამიტომ არც კომპარტიამ, არც საბჭოთა ხელისუფლებამ, არც პროფკავშირებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყონ და არ უნდა დაუმალონ მუშებსა და მშრომელ მასებს ის გარემოება, რომ საგაფიცვო ბრძოლის გამოყენება ისეთ სახელმწიფოში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება პროლეტარულია, შეიძლება აიხსნას და გამართლებულ იქნეს, ერთი მხრივ, მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოს ბიუროკრატიული დამახინჯებებით და მის დაწესებულებებში კაპიტალისტური ძველი დროის ყოველგვარი ნაშთებით, ხოლო მეორე მხრივ, მშრომელი მასების პოლიტიკური შეუგნებლობით და კულტურული ჩამორჩენილობით.

ამიტომ მუშათა კლასის ცალკეულ ჯგუფთა და მუშური სახელმწიფოს ცალკეულ დაწესებულებათა და ორგანოთა შეხლა-შემოხლისა. და კონფლიქტების სფეროში პროფკავშირების ამოცანას შეადგენს კონფლიქტების რაც შეიძლება უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ მოგვარების ხელის შეწყობა ისე, რომ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნას მათ მიერ წარმოდგენილი მუშათა ჯგუფებისათვის, რამდენადაც ამ ხელსაყრელი პირობების განხორციელება ზარალს არ მიაყენებს სხვა ჯგუფებს და ზიანს არ მოუტანს მუშურ სახელმწიფოს და მისი მეურნეობის განვითარებას საერთოდ, რადგან მხოლოდ ამ განვითარებას შეუძლია საფუძველი შეუქმნას მუშათა კლასის მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას. √ მუშათა კლასის ცალკეულ ნაწილთა და მუშური სახელმწიფოს ორგანოებს შორის წამოჭრილი შეხლა-შემოხლისა და კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ სწორ, საღ და მიზანშეწონილ მეთოდს წარმოადგენს პროფკავშირთა შუამავლური ჩარევა; პროფკავშირები თავიანთი სათანადო ორგანოების სახით ან მოლაპარაკებას მართავენ სათანადო დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოებთან ორივე მხარის ზუსტად ფორმულირებული მოთხოვნებისა და წინადადებების საფუძველზე, ანდა უმაღლეს სახელმწიფო ინსტანციებს მიმართავენ.

იმ შემთხვევაში, როცა სამეურნეო ორგანოების უმართებულო მოქმედება, მუშათა განსაზღვრული ჯგუფების ჩამორჩენილობა, კონტრრევოლუციური ელემენტების პროვოკაციული მუშაობა, ან, ბოლოს, თვით პროფკავშირული ორგანიზაციების წინდაუხედაობა იწვევს აშკარა კონფლიქტებს სახელმწიფო საწარმოებში გაფიცვების სახით და სხვ., პროფკავშირთა ამოცანას შეადგენს ხელი შეუწყოს კონფლიქტების რაც შეიძლება სწრაფად ლიკვიდაციას ისეთი ზომების მიღებით, რომლებიც გამომდინარეობენ პროფკავშირული მუშაობის ხასიათიდან: ზომების მიღება ნამდვილ უმართებულობათა და უწესრიგობათა აღმოსაფხვრელად და მასების იმ კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთა განხორციელება შესაძლებელია, მასებზე პოლიტიკური ზეგავლენა და სხვ.

პროფესიული კავშირის მართებული და წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უტყუარი საზომია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად წარმატებით გვაცილებს იგი თავიდან მასობრივ კონფლიქტებს სახელმწიფო საწარმოებში წინდახედული პოლიტიკის გატარებით, რაც მიმართული უნდა იყოს მუშათა მასის ინტერესების ნამდვილი და ყოველმხრივი დაცვისაკენ და კონფლიქტების საბაბთა დროულად მოსპობისაკენ.

5. პროფკავშირებში ნებაყოფლობითი წევრობისადმი დაბრუნება

პროფკავშირთა ფორმალურმა დამოკიდებულებამ კავშირების წევრებად დაქირავებული შრომის გამოუკლებლივ ყველა პირთა ჩარიცხვისადმი ერთგვარი ბიუროკრატიული დამახინჯება შეიტანა პროფკავშირებში და უკანასკნელნი მოწყვიტა თავიანთ წევრთა ფართო მასებს; ამიტომ აუცილებელია გადაჭრით განხორციელდეს ნებაყოფლობითი წევრობა კავშირებში როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შესვლის მხრივ. პროფკავშირის წევრებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეთხოვოთ გარკვეული პოლიტიკური

შეხედულებები; ამ მხრივ, ისევე როგორც რელიგიისადმი დამოკიდებულების საკითხში, პროფკავშირები უპარტიონი უნდა იყვნენ. პროლეტარულ სახელმწიფოში პროფკავშირთა წევრებს მოეთხოვებათ მხოლოდ ის, რომ აუცილებელია ამხანაგური დისციპლინისა და მუშახელის ერთიანობის შეგნება მშრომელთა ინტერესების დასაცავად და დახმარების გასაწევად მშრომელთა ხელისუფლებისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებისთვის. პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მუშების პროფესიული გაერთიანება როგორც უფლებრივი, ისე მატერიალური მხრივ. მაგრამ პროფკავშირებს არავითარი უფლებები არ უნდა მიენიჭოთ ვალდებულებათა დაუკისრებლად.

6. პროფკავშირები და საწარმოების მართვა

პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების შემდეგ მის უმთავრეს და უძირითადეს ინტერესს შეადგენს პროდუქტთა რაოდენობის გადიდება, საზოგადოების საწარმოო ძალთა უდიდესი რაოდენობით გადიდება. ეს ამოცანა, რომელიც ნათლად არის წამოყენებული რკპ პარტიის პროგრამაში, განსაკუთრებით გამწვავებულია ჩვენში ახლა ომისშემდგომი გაჩანაგებით, შიმშილითა და ნგრევით. ამიტომ უაღრესად სწრაფი და რაც შეიძლება უფრო მტკიცე წარმატების მოპოვება მსხვილი მრეწველობის აღდგენის. საქმეში ის პირობაა, ურომლისოდ წარმოუდგენელია კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების მთელი საქმის წარმატება, წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვება, ასეთი წარმატება კი, თავის მხრივ, უსათუოდ მოითხოვს, რუსეთის დღევანდელ ვითარებაში, სრული ძალაუფლების მოქცევას ქარხნების სამმართველოთა ხელში. ეს სამმართველოები, რომლებიც, როგორც საერთო წესი, შექმნილია ერთპიროვნულ საწყისებზე, დამოუკიდებლად უნდა განაგებდნენ ხელფასის ოდენობის დაწესებასაც და ფულის ნიშნების, ულუფების, სპეცტანსაცმლის და ყოველგვარი სხვა მომარაგების განაწილებასაც, პროფკავშირებთან დადებული კოლექტიური

ხელშეკრულებების საფუძველზე და ფარგლებში; ამასთან საჭიროა მანევრირების მაქსიმალური თავისუფლება, წარმოების გადიდების, უზარალობისა და მომგებიანობის საქმეში ფაქტიურ წარმატებათა უსასტიკესი შემოწმება, ყველაზე უფრო გამოჩენილ და მარჯვე ადმინისტრატორებისა და სხვათა უალრესად სერიოზული შერჩევა.

პროფკავშირების ყოველგვარი უშუალო ჩარევა საწარმოთა მართვის საქმეში ამ პირობებში მიჩნეულ უნდა იქნეს უსათუოდ მავნებლად და შეუწყნარებლად.

მაგრამ სავსებით უმართებულო იქნებოდა ამ უდავო ჭეშმარიტების გაგება იმ აზრით, რომ უარყოფილ იქნეს პროფკავშირთა მონაწილეობა მრეწველობის სოციალისტურად მოწყობაში და სახელმწიფო მრეწველობის მართვის საქმეში. ეს მონაწილეობა აუცილებელია ზუსტად განსაზღვრულ, სახელდობრ — შემდეგ ფორმებში.

7. პროფკავშირთა როლი და მონაწილეობა პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში

პროლეტარიატი წარმოადგენს ისეთი სახელმწიფოს კლასობრივ საფუძველს, რომელიც გადადის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. პროლეტარიატს ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ისეთ ქვეყანაში, სადაც წვრილი გლეხობის უდიდესი სიჭარბეა, მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ მეტისმეტად მარჯვედ, ფრთხილად და თანდათანობით ხორციელდება კავშირი გლეხობის უდიდეს უმრავლესობასთან. პროფკავშირები უნდა გახდნენ უახლოესი და ნამდვილი თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც მთელ მის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი — კომპარტია. პროფკავშირები, როგორც საერთოდ კომუნიზმის სკოლა, კერძოდ უნდა გახდნენ სოციალისტური მრეწველობის (ხოლო შემდეგ თანდათანობით აგრეთვე მიწათმოქმედების)

მართვის სკოლა მუშათა მთელი მასისთვის, ხოლო შემდეგ ყველა მშრომელისთვისაც.

გამოვდივართ რა ამ პრინციპული დებულებებიდან, საჭიროა უახლოესი პერიოდისთვის დავადგინოთ პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში პროფკავშირთა მონაწილეობის შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. პროფკავშირები მონაწილეობას იღებენ ეკონომიკასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოს შედგენაში, აყენებენ თავიანთ კანდიდატებს, მათი სტაჟის, გამოცდილებისა და სხვათა აღნიშვნით. საკითხს წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო ორგანოები, რომლებიც სათანადო ორგანოების მუშაობის მთელ პასუხისმგებლობასაც კისრულობენ. ამასთან სამეურნეო ორგანოები მხედველობაში იღებენ ყველა კანდიდატის შეფასებას, რომელსაც სათანადო პროფკავშირი იძლევა.

2. პროფკავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს საერთოდ მუშათა და მშრომელთა მასებიდან ადმინისტრატორების დაწინაურება და მომზადება. თუ ამჟამად მრეწველობაში გვყავს მრავალი ათეული სავსებით დამაკმაყოფილებელი და ასობით მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი ასეთი ადმინისტრატორი, უახლოეს დროში ჩვენ დაგვჭირდება ასობით — პირველნი და ათასობით — მეორენი. პროფკავშირებმა ბევრად უფრო ზედმიწევნით და გულმოდგინედ, სისტემატურად უნდა აღრიცხონ ასეთი მუშაობისთვის გამოსადეგი ყველა მუშა და გლეხი და დაწვრილებით, ყოველმხრივ, საქმიანად უნდა შეამოწმონ მათი წარმატება მართვის შესწავლის საქმეში, ვიდრე ეს ამჟამად ხდება.

3. აუცილებელია გავაძლიეროთ პროფკავშირთა მონაწილეობა პროლეტარული სახელმწიფოს ყველა საგეგმო ორგანოში, სამეურნეო გეგმების, წარმოებისა და მუშების მატერიალური მომარაგების ფონდების ხარჯვის პროგრამების შემუშავებაში, იმ საწარმოების შერჩევაში, რომლებიც რჩება სახელმწიფო მომარაგებაზე, გაიცემა იჯარით ან

კონცესიით და სხვ.. პროფკავშირები უშუალოდ კონტროლის არავითარ ფუნქციებს არ კისრულობენ კერძო და იჯარით აღებულ საწარმოთა წარმოების მიმართ და კერძოკაპიტალისტური წარმოების მოწესრიგების საქმეში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ მონაწილეობას იღებენ სათანადო სახელმწიფო ორგანოებში. მთელ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასა და საწარმოო პროპაგანდაში მონაწილეობის მიღებასთან ერთად პროფკავშირების ასეთმა მუშაობამ სულ უფრო და უფრო ფართოდ და ღრმად უნდა ჩააბას მუშათა კლასი და მშრომელი მასები სახელმწიფო მეურნეობის მთელ მშენებლობაში, გააცნოს მათ სამეურნეო ცხოვრების მთელი წრე, მრეწველობის მუშაობის მთელი წრე, დაწყებული ნედლეულის დამზადებით და გათავებული პროდუქციის რეალიზაციით, და სულ უფრო და უფრო მეტი კონკრეტული წარმოდგენა მისცეს მათ როგორც სოციალისტური მეურნეობის ერთ მთლიან სახელმწიფო გეგმაზე, ისე მუშისა და გლეხის მხრივ ამ გეგმის განხორციელებაში პრაქტიკულ დაინტერესებაზე.

4. ტარიფების, მომარაგების ნორმებისა და სხვათა შემუშავება პროფკავშირთა მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სოციალიზმის მშენებლობის და მრეწველობის მართვის საქმეში მათი მონაწილეობისა. კერძოდ, დისციპლინარული სასამართლოები ურყევად უნდა განამტკიცებდნენ შრომის დისციპლინას, ამ დისციპლინისათვის და ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის კულტურულ ფორმებს, ამავე დროს სრულიად არ უნდა ერეოდნენ საერთოდ სახალხო სასამართლოების ფუნქციებში და მართვის ფუნქციებში.

სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში პროფკავშირთა უმთავრესი ფუნქციების ეს დეტალიზაცია უფრო ფართოდ, რასაკვირველია, პროფკავშირთა და საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა უნდა მოახდინონ. სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში ყველაზე არსებითი ის არის,

რომ მხედველობაში მივიღოთ კავშირების მიერ შესრულებული უდიდესი მუშაობა მეურნეობის მოწყობისა და მისი მართვის საქმეში, აგრეთვე ის შეცდომებიც, რომლებმაც ცოტა ზიანი როდი მოგვაყენა მართვის საქმეში უშუალო, მოუმზადებელი, არაკომპეტენტური, უპასუხისმგებლო ჩარევით და შეგნებულად, გადაჭრით გადავიდეთ მუშებისა და ყველა მშრომელისთვის მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის შეუპოვრად, საქმიანად, მრავალი წლით ნავარაუდევ სწავლებაზე.

8. მასასთან კავშირი, როგორც პროფკავშირთა ყოველგვარი მუშაობის ძირითადი პირობა

მასასთან, ე. ი. მუშების (შემდეგ კი მთელი მშრომელების) უდიდეს უმრავლესობასთან კავშირი პროფკავშირთა ყოველგვარი საქმიანობის წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძირითადი პირობაა. პროფკავშირთა ორგანიზაციებსა და მათ აპარატში თავიდან ბოლომდე უნდა შეიქმნეს და მრავალი წლის გამოცდილებით პრაქტიკულად შემოწმდეს მთელი სისტემა პასუხისმგებელი ამხანაგებისა, უსათუოდ არა მარტო კომუნისტებისა, რომლებიც უნდა ტრიალებდნენ მუშათა ცხოვრების შუაგულში, უნდა იცნობდნენ მას მთელი სიგრძე-სიგანით, რომლებსაც უნდა შესწევდეთ უნარი უტყუარად გაარკვიონ ყოველ საკითხსა და ყოველ მომენტში მასის განწყობილება, მისი ნამდვილი მისწრაფებანი, მოთხოვნილებანი, აზრი, შესწევდეთ უნარი, ოდნავი ყალბი იდეალიზაციის გარეშე, გაარკვიონ მისი შეგნებულობის დონე და ამა თუ იმ ცრურწმენის და ძველი დროის ნაშთების გავლენის ძალა, შესწევდეთ უნარი მოიპოვონ მასის უსაზღვრო ნდობა მისდამი ამხანაგური დამოკიდებულებით, მის საჭიროებათა მზრუნველობით დაკმაყოფილებით. ერთ-ერთ უდიდეს და მრისხანე საშიშროებას რიცხობრივად მცირედი კომპარტიისა, რომელიც როგორც მუშათა კლასის ავანგარდი ხელმძღვანელობას უწევს უზარმაზარ ქვეყანას, რომელიც სოციალიზმზე გადადის (ჯერჯერობით

უფრო მოწინავე ქვეყნების მხრივ პირდაპირი დახმარების გაუწევლად), წარმოადგენს მასებისგან მოწყვეტის საშიშროება, იმის საშიშროება, რომ ავანგარდი მეტისმეტად წაიწევს წინ ისე, რომ «არ გამოასწორებს ფრონტს», არ უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს შრომის მთელ არმიასთან, ე. ი. მუშათა და გლეხთა მასის უდიდეს უმრავლესობასთან. როგორც საუკეთესო ფაბრიკა საუცხოო ძრავით და პირველხარისხოვანი მანქანებით უმოქმედოდ იდგომება, თუ გაფუჭებულია ძრავიდან მანქანებისაკენ გადამცემი მექანიზმი, ისე გარდუვალია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის კატასტროფა, თუ არასწორადაა აგებული ან არასწორად მუშაობს კომპარტიიდან მასებისაკენ გადამცემი მექანიზმი — პროფკავშირები. არ კმარა ამ ჭეშმარიტების განმარტება, გახსენება, დადასტურება, იგი ორგანიზაციულად უნდა იქნეს განმტკიცებული პროფკავშირების მთელ აგებულებაში და მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

9. წინააღმდეგობა თვით პროფკავშირთა მდგომარეობაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს **მთელი** რიგი წინააღმდეგობანი პროფკავშირთა სხვადასხვა ამოცანას შორის. ერთი მხრივ, მათი მოქმედების მთავარი მეთოდია ჩაგონება, აღზრდა; მეორე მხრივ, მათ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილეებს, არ შეუძლიათ ხელი აიღონ **იძულებაში** მონაწილეობის მიღებაზეც. ერთი **მხრივ**, მათი მთავარი ამოცანაა მშრომელი მასების ინტერესების **დაცვა ამ სიტყვის** სრულიად უშუალო და უახლოესი აზრით; მეორე მხრივ, მათ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილეებს და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლებს, არ შეუძლიათ ხელი აიღონ ზეგავლენაზე. ერთი მხრივ, მათ უნდა იმუშაონ სამხედრო ყაიდაზე, რადგან პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასთა უაღრესად გააფთრებული, უაღრესად შეუპოვარი, უაღრესად თავ-

განწირული ომი; მეორე მხრივ, სწორედ პროფკავშირების მიმართ ყველაზე ნაკლებ გამოსადეგია მუშაობის სპეციფიკურად სამხედრო მეთოდები. ერთი მხრივ, მათ უნარი უნდა შესწევდეთ შეეგუონ მასებს, მის დღევანდელ დონეს; მეორე მხრივ, ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აფარებდნენ ხელს მასების ცრურწმენას და ჩამორჩენილობას, პირიქით, ურყევად და სულ უფრო და უფრო უნდა ამაღლებდნენ მის დონეს და სხვ. და ა. შ.. ეს წინააღმდეგობანი შემთხვევითი არ არის და დაუძლეველიცაა მთელ რიგ ათწლეულთა მანძილზე. რადგან, ვიდრე არსებობს კაპიტალიზმისა და წვრილი წარმოების ნაშთები, გარდუვალია წინააღმდეგობა მთელ საზოგადოებრივ წყობილებაში ამ ნაშთებსა და სოციალიზმის ყლორტებს შორის.

აქედან გამომდინარეობს ორგვარი პრაქტიკული დასკვნა. პირველი დასკვნა: პროფკავშირთა წარმატებით მუშაობისათვის არ კმარა მათი ამოცანების სწორი გაგება, არ კმარა მათი სწორი აგებულობა; აუცილებელია კიდევ ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში მასებისადმი მიდგომის განსაკუთრებული ტაქტი, უნარი, იმის მიღწევა, რომ უმცირესი შეხლა-შემოხლით ერთი საფეხურით აამაღლო ეს მასა კულტურული, სამეურნეო და პოლიტიკური მხრივ.

მეორე დასკვნა: აღნიშნული წინააღმდეგობანი გარდუვალად გამოიწვევენ კონფლიქტებს, შეუთანხმებლობას, შეხლა-შემოხლას და სხვ.. ყოველივე ამის დაუყოვნებლივ გადასაწყვეტად აუცილებელია საკმაოდ ავტორიტეტული უმაღლესი ინსტანცია. ასეთ ინსტანციას წარმოადგენს კომპარტია და ყველა ქვეყნის კომპარტიათა საერთაშორისო გაერთიანება — კომინტერნი.

10. პროფკავშირები და სპეცები

ამ საკითხზე ძირითადი დებულებანი მოცემულია რკ პარტიის პროგრამაში. მაგრამ ეს დებულებანი ქაღალდზე დარჩება, თუ განმეორებით არ მივაქცევთ ყველას

ყურადღებას იმ ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რამდენად ხორციელდება ეს დებულებები. უკანასკნელ ხანებში ასეთი ფაქტები შემდეგია: პირველი, მუშების მიერ ინჟინრების მკვლელობა სოციალიზაციაქმნილ მაღაროებში არა მარტო ურალში, არამედ დონბასშიც; მეორე, მოსკოვის წყალსადენის მთავარი ინჟინრის ვ. ვ. ოლდენბორგერის თვითმკვლელობა, მუშაობის აუტანელ პირობებთან დაკავშირებით, რაც შეიქმნა როგორც კომუჯრედის წევრთა, ისე საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არაკომპეტენტური და შეუწყნარებელი მოქმედებით, რამაც სრ. რუს. ცაკ-ი აიძულა მთელი ეს საქმე სასამართლოსთვის გადაეცა.

ასეთი მოვლენებისათვის დანაშაული გაცილებით უფრო მეტად მიუძღვით საერთოდ კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, ვიდრე პროფკავშირებს. მაგრამ ამჟამად ლაპარაკია არა პოლიტიკური დანაშაულის ოდენობის დადგენაზე, არამედ გარკვეულ პოლიტიკურ დასკვნებზე. თუ ყველა ჩვენი ხელმძღვანელი დაწესებულება, ე. ი. კომპარტიაც, საბჭოთა ხელისუფლებაც და პროფკავშირებიც ვერ მიაღწევენ იმას, რომ ჩვენ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ყოველ სპეცს, რომელიც მუშაობს კეთილსინდისიერად, თავისი საქმის ცოდნით და სიყვარულით, თუნდაც მისთვის კომუნიზმი იდეურად სრულიად უცხო იყოს, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში რაიმე სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შევძლებთ განვახორციელოთ, მაგრამ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა განვახორციელოთ ის, რომ სპეცებს, როგორც განსაკუთრებულ სოციალურ ფენას, რომელიც განსაკუთრებულ ფენადვე დარჩება, ვიდრე მივაღწევდეთ კომუნისტური საზოგადოების განვითარების უმაღლეს საფეხურს, სოციალიზმის დროს უკეთ ეცხოვრებოდეს, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, მატერიალურადაც, უფლებრივადაც, მუშებთან და გლეხებთან ამხანაგური თანამშრომლობის მხრივაც, იდეურადაც, ე. ი. თავისი მუშაობით კმაყოფილების მხრივაც და იმის შეგნებითაც, რომ მის მუშაობას სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის

და ამავე დროს დამოკიდებული არ არის კაპიტალისტთა კლასის ანგარებიან ინტერესებზე. არავინ დათანხმდება რამდენადმე გვარიანად დაყენებულად აღიაროს ისეთი უწყება, სადაც არ წარმოებს გეგმაზომიერი და პრაქტიკული შედეგების მომცემი მუშაობა სპეციალისტების ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად, მათგან საუკეთესოთა წასახალისებლად, მათი ინტერესების დასაცავად და სხვ.

პროფკავშირებმა ყველა ამ სახის მთელი მუშაობა უნდა აწარმოონ (ან სისტემატური მონაწილეობა მიიღონ ყველა უწყების სათანადო მუშაობაში) არა ამა თუ იმ უწყების ინტერესების თვალსაზრისით, არამედ შრომისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით. სპეცების მიმართ პროფკავშირებს ეკისრებათ უმძიმესი და უძნელესი მუშაობა — ყოველდღიური ზეგავლენა მოახდინონ მშრომელთა უფართოეს მასებზე, რათა შექმნან მათი სწორი ურთიერთდამოკიდებულება სპეციალისტებისადმი, და მხოლოდ ასეთ მუშაობას შეუძლია მოგვცეს მართლაც სერიოზული პრაქტიკული შედეგები.

11. პროფკავშირები და წვრილბურჟუაზიული გავლენა მუშათა კლასზე

პროფკავშირები მხოლოდ მაშინ არის რეალური, როცა ისინი აერთიანებენ უპარტიო მუშათა უფართოეს ფენებს. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც გლეხობის უდიდესი სიჭარბეა, შედარებითი სიმყარე სწორედ პროფკავშირებში იმ პოლიტიკური გავლენისა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის ნაშთის და წვრილი წარმოების ზედნაშენს. ეს გავლენა წვრილბურჟუაზიულია, ე. ი., ერთი მხრივ, ესერულ-მენშევიკური (II და II½ ინტერნაციონალების პარტიათა რუსული სახესხვაობა), მეორის მხრივ, ანარქისტული; მხოლოდ ამ მიმდინარეობათა შორის დარჩა იმ პირთა რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც იცავენ კაპიტალიზმს არა

კლასობრივი ანგარებიანი მოტივებით, არამედ იდეურად, ინარჩუნებენ რა რწმენას, რომ «დემოკრატიას», «თანასწორობას», საერთოდ «თავისუფლებას», რასაც ისინი ქადაგებენ, არაკლასობრივი მნიშვნელობა აქვთო.

სწორედ აღნიშნული სოციალურ-ეკონომიური მიზეზით, და არა ცალკეულ ჯგუფთა, მით უფრო ნაკლებ ცალკეულ პირთა როლით უნდა აიხსნას ჩვენში არსებული ნაშთები (იშვიათად კი აღორძინებაც) ასეთი წვრილბურჟუაზიული იდეებისა პროფკავშირებში. ამიტომ კომპარტიამაც, საბჭოთა დაწესებულებებმაც, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან, პროფკავშირებში მომუშავე ყველა კომუნისტმაც გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იდეურ ბრძოლას წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან, მიმდინარეობებთან და გადახრებთან პროფკავშირებში, — მით უმეტეს, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს კაპიტალიზმის განსაზღვრული გაძლიერება. ამის დასაპირისპირებლად უცილობლად საჭიროა მუშათა კლასზე წვრილბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

რ კ პ (ბ) ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი

დაწერილია 1921 წ.
30 დეკემბერს — 1922 წ. 4 იანვარს

დაიბეჭდა 1922 წ. 17 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 12

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

პროექტი
რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ *)

პოლიტბიურო მიუთითებს ყველა სამეურნეო ორგანოს, რომ ახლა, 1921 წ. დეკემბრის პარტკონფერენციის და საბჭოების IX ყრილობის შემდეგ, ახალი ეკონომიური პოლიტიკა საკმაოდ მტკიცედ და ნათლად დადგენილია. ამიტომ აუცილებელია მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ რაც შეიძლება უფრო ფართოდ და უფრო სწრაფად გამოვიყენოთ იგი პრაქტიკულად. ყოველგვარი ზოგადი მსჯელობა, თეორეტიკოსობა და კამათი თემაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ უნდა გადავიტანოთ სადისკუსიო კლუბებში, ნაწილობრივ პრესაში. ასეთი რამეები დაუნდობლად უნდა განვდევნოთ სახკომსაბჭოდან, შრომისა და თავდაცვის საბჭოდან და ყველა სამეურნეო ორგანოდან.

ფინსახკომისგან პოლიტბიურო მოითხოვს მთელი ძალ-ღონის მიმართვას იქითკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადიდდეს გადასახადთა რიცხვი და შემოსავალთა ოდენობა ამ გადასახადთა მიხედვით, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანი შესწორებები იქნეს შეტანილი საერთო ბიუჯეტში. მთელი მსჯელობა ფულის პოლიტიკის, სასურსათო გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლის და სხვა საკითხებზე გადატანილ უნდა იქნეს ნაწილობრივ სადისკუსიო კლუბებში, ნაწილობრივ პრესაში.

ყოველგვარი კომისიები დაყვანილ იქნეს უმინიმალურეს მინიმუმამდე, კომისიების მუშაობა შეიცვალოს ყველა დაინტერესებული უწყებისაგან უმოკლეს ვადებში (1 — 2 დღე)

წერილობითი შესწორებებისა ან კონტრპროექტების წარმოდგენის მოთხოვნით.

ყველა სახალხო კომისრისაგან პოლიტბიურო უსათუოდ მოითხოვს ტექნიკურ სისწრაფეს, ენერგიას, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკულად გამოცდის საქმეში; პოლიტბიურო მოითხოვს უსათუოდ გადაყვანილ იქნენ პრემიაზე პასუხისმგებელ პირთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა წარმოებისა და როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის სწრაფად გადიდებისათვის. ეს მოთხოვნა პირველ რიგში ეხება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, შემდეგ სახბანკს (განსაკუთრებით მის სავაჭრო განყოფილებას), «ცენტროსოიუზსა» და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

ლ ე ნ ი ნ ი

პოლიტბიუროში მიღების შემდეგ ეს პროექტი ეცნობოს ყველა სახალხო კომისარიატის კოლეგიების ყველა წევრს და სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმის ყველა წევრს.

ნაკარნახევია ტელეფონით

დაწერილია 1922 წ.
9 და 12 იანვარს შუა

იბეჭდება პირველად

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

დაღისტნის მშრომელებს [97]

მადლობის გრძნობით ვღებულობ ძღვენს — დაღისტნის მშრომელი მასების შემოქმედებითი თაოსნობის შედეგს.

გისურვებთ წარმატებას დაღისტნის სამეურნეო აღორძინების ძნელ საქმეში.

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

12/I. 1922 წ.

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 10,
1922 წ. 14 იანვარი

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

წერილი ამხ. ორჯონიკიძეს საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ [33]

ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, უნდა გატარდეს გადაწყვეტილება თუნდაც უაღრესად ზოგადი სახით: აუცილებლად იქნეს ცნობილი «საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერება, მოვუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე» და სხვ.

მაგრამ საქმით რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (რომორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ესაჭირო გახდება,—ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგაგდებთ მოურიდებლად. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე

საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე.

ველოდები პასუხს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

13/II.

ეს ეხება ამხ. სერგოსაც და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსაც.

ი. ბ. სტალინის მინაწერი

ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას. რაც შეეხება საქმის «სამხედრო-ტექნიკურ» მხარეს, თქვენ ეს ჩემზე და სხვა მოსკოველებზე უკეთ იცით.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.

იბეჭდება დედნის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ; ი. ბ. სტალინის მინაწერი — ხელნაწერის მიხედვით

წერილი დ. ი. კურსკის

28/II. 1922.

ამხ. კურსკი!

თქვენი 23 თებერვლის (№ 255) წერილის გამო ჩემი წერილის პასუხად.

შევეცდები პირადად გინახულოთ, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რადგან ჯანზე ვერა ვარ.

იმედი მაქვს, პასუხისმგებელ მუშაკთა კრების შემდეგ, ჩემს წერილთან დაკავშირებით, კიდევ მომწერთ მის პრაქტიკულ შედეგებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტიური შემოწმების დაყენება: რა კეთდება **საქმით?** რას ვაღწევთ საქმით? სახალხო სასამართლოებისა და რევოლუციური ტრიბუნალების წარმატებები? როგორ შეიძლება ამის აღრიცხვა და შემოწმება?

პროცესების რაოდენობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენების საქმეზე?

საბრალდებო განაჩენთა რაოდენობა და რა სასჯელი გამოჰქონდათ (საერთოდ და არა ერთეულ შემთხვევებში)?

და სხვ.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

განსაკუთრებით სასწრაფო და მნიშვნელოვანია:

P.S. * ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო კ ო დ ე ქ ს ი ს[39] გ ა ნ ა მ ო: მე არ ძალმიძს ჩავუკვირდე ცალკეული მუხლების ფორმულირებას. ჯანმრთელობა არ მაძლევს ამის საშუალებას.

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

უნდა დავჯერდე შემდეგ მუხლებს:

1) იუსტიციის სახალხო კომისარმა **პირადად** უნდა ადევნოს თვალყური და შეამოწმოს, სახელდობრ ვინ აგებს პასუხს სამოქალაქო კოდექსის ყოველი მნიშვნელოვანი განყოფილების გამო.

2) უსათუოდ აღებულ უნდა იქნეს ყველაფერი, რაც კი რამ არსებობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურასა და გამოცდილებაში მ შ რ ო მ ე ლ თ ა დ ა ს ა ც ა ვ ა დ.

3) არ დასჯერდეთ ამას (ეს ყველაზე მნიშვნელოვანია). ბრმად არ გაჰყვეთ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს. **«ევროპას» კი არ უნდა აამოთ, არამედ უ ფ რ ო შ ო რ ს უ ნ დ ა წ ა ხ ვ ი დ ე თ «კერძოუფლებრივ ურთიერთობაში», სამოქალაქო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების მხრივ.** სახელდობრ როგორ უნდა მოხდეს ეს, ამის თქმა არ შემიძლია, რადგან არ ძალმიძს არც საკითხის შესწავლა, არც თუნდაც ცალკეული კოდექსის ჩაკვირვება. მაგრამ ამის გაკეთება რომ საჭიროა, ჩემთვის ცხადია. ამჟამად რომ გვემუქრება საშიშროება — ამ სფეროში ყველაფერს **ვერ გავაკეთებთ** (და არა იმის საშიშროება, რომ «გადაჭარბებით» გავაკეთებთ), ჩემთვის ესეც სავსებით ცხადია. სწორედ გენუის[40] წინ არ უნდა ავიღოთ ყალბი გეზი, არ გამოვიჩინოთ სულმოკლეობა, ხელიდან არ გავუშვათ ოდნავი შესაძლებლობა «სამოქალაქო» ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევის **გაფართოებისა.**

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის კრებულში XXIV	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კუბლიცისტის შენიშვნები

ჭაღალ მთებზე ასვლისა, სასოწარკვეთილების მავნებლობისა, ვაჭრობის სარგებლობისა, მენშევიკებისადმი დამოკიდებულებისა და სხვათა შესახებ «

I

მაგალითისებური

წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ფრიად მაღალ, ციცაბო და ჯერ გამოუკლეველ მთაზე ადის. ვთქვათ, მან შესძლო გაუგონარ სიძნელეთა და საშიშროებათა გადალახვა და გაცილებით უფრო მაღლა ასვლა, ვიდრე მისი წინამორბედნი ასულან, მაგრამ მწვერვალს მაინც ვერ მიაღწია. იგი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც წინსვლა ამორჩეული მიმართულებითა და გზით არამცთუ ძნელი და სახიფათო აღმოჩნდა, არამედ პირდაპირ შეუძლებელიც. მას მოუხდა უკან დაბრუნება, დაბლა დაშვება, სხვა გზების ძებნა, თუნდაც უფრო გრძელი გზებისა, მაგრამ ისეთების, რომლებიც მწვერვალზე ასვლის იმედს იძლევიან. დაღმა დაშვება ქვეყნად იმ ჯერ არნახული სიმაღლიდან, რომელზედაც აღმოჩნდა გონებით წარმოსახული ჩვენი მოგზაური, თითქმის უფრო მეტ საშიშროებასა და სიძნელეს წარმოადგენს, ვიდრე ასვლა; ფეხის აცდენა აქ უფრო ადვილია; ისე მარჯვედ ვერ მოსინჯავ იმ ადგილს, სადაც ფეხს ადგამ; არ არის ის განსაკუთრებით ამაღლებული სულიერი განწყობილება, რომელიც იქმნებოდა უშუალო აღმასვლით, პირდაპირ მიზნისაკენ, და სხვ.. იძულებული ხარ თოკი მოიბა წელზე, რამდენიმე საათი დახარჯო, რომ წერაქვით ამოჭრა საფეხურები ან ის ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თოკის მაგრად მიბმა; იძულებული ხარ იარო კუსებურად ნელა და ამასთანავე, იარო უკან, თავქვე, დაშორდე მიზანს, და ჯერ კიდევ არ მოჩანს, თავდება თუ არა ეს წარმოუდგენლად

საშიში, მტანჯველი დაღმართი, არის თუ არა რამდენადმე საიმედო მოსავლელი გზა, რომლითაც კვლავ შეიძლებოდეს უფრო გაბედულად, უფრო სწრაფად, უფრო პირდაპირ წინსვლა მაღლა, მწვერვალისკენ.

ვგონებ, ბუნებრივი იქნება წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, — მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოუდგენლად მაღლა ავიდა, — სასოწარკვეთილების წუთებს განიცდის. და, ალბათ, ეს წუთები უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო ხშირი, უფრო მძიმე იქნებოდა, მას რომ ესმოდეს ქვემოდან ზოგი რამ ხმა, იმათი, ვინც უშიშარი შორეული ადგილიდან დურბინდით უყურებენ ამ ფრიად სახიფათო თავქვედაშვებას, რომელსაც (მსგავსად «სმენოვეხელებისა» [42]) «მუხრუჭებით თავქვედაშვებასაც» კი ვერ უწოდებ, რადგან მუხრუჭი გულისხმობს კარგად ნავარაუდევ, უკვე ნაცად ეტლს, წინასწარ მომზადებულ გზას, ადრევე ნაცად მექანიზმებს. აქ კი არც ეტლია, არც გზა, საერთოდ არაფერია, სულ არაფერი, რაც კი წინასწარ იყოს ნაცადი!

ქვემოდან კ[illegible] გესლიანი ხმები მოისმის. ერთნი გესლს ანთხევენ აშკარად, ხითხითებენ, ჰყვირიან: აი ახლა ჩამოვარდება, ახია მასზე, რამ გააგიჟაო! სხვები ცდილობენ დამალონ თავიანთი ბოროტი სიხარული, იქცევიან უმთავრესად ეუდუშკა გოლოვლევისებურად; ისინი წუხან ცად აღუპყრიათ რა თვალნი. სამწუხაროდ, ჩვენი შიში მართლდება! განა ჩვენ, რომელთაც მთელი სიცოცხლე მოვანდომეთ ამ მთაზე ასვლის გონივრული გეგმის მომზადებას, განა ჩვენ არ მოვითხოვდით ასვლის გადადებას, ვიდრე ჩვენი გეგმის დამუშავება არ დამთავრდებოდა? და თუკი ჩვენ ასე თავგამოდებით ვიბრძოდით იმ გზის წინააღმდეგ, რომელსაც ახლა თვით ეს უგუნურიც კი ანებებს თავს (შეხეთ, შეხეთ, ის უკან დაბრუნდა, თავქვე ეშვება, ის მთელი საათობით ამზადებს შესაძლებლობას, რომ რაღაც ერთი ადლით წაიწიოს წინ! ჩვენ კი უსაძაგლესი სიტყვებით გვლანძღავდა, როდესაც სისტემატურად მოვითხოვდით ზომიერებას და პუნქტუალობას!), —

თუ ჩვენ ასე ცხარედ ვკიცხავდით უგუნურს და ყველას ვაფრთხილებდით არ მიებაძათ მისთვის და არ დახმარებოდნენ მას, ამას ჩავდიოდით მხოლოდ და მხოლოდ ამ მთაზე ასვლის დიადი გეგმის სიყვარულით, რათა სახელი არ გატეხოდა საერთოდ ამ დიად გეგმას!

საბედნიეროდ, გონებით წარმოსახულს ჩვენს მოგზაურს, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითის პირობებში, არ შეუძლია გაიგონოს მთაზე ასვლის იდეის ამ «ჭეშმარიტ მეგობართა» ხმა, თორემ მას, ალბათ, გული აერეოდა. გულის არევა კი, როგორც ამბობენ, ხელს არ უწყობს გონების სიფხიზლეს და ფეხის სიმტკიცეს, განსაკუთრებით ფრიად მაღალ მწვერვალებზე.

II

უმეტაფიზიკურებიდან

მაგალითი დამამტკიცებელი საბუთი როდია. ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებს. ეს უდავო და საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებანია, მაგრამ ზედმეტი არ იქნება მათი გახსენება, რათა უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ საერთოდ ყოველი შედარების ღირებულების საზღვრები.

რუსეთის პროლეტარიატი თავის რევოლუციაში უზარმაზარ სიმაღლეზე ავიდა, არათუ 1789 და 1793 წლებთან შედარებით, არამედ 1871 წელთან შედარებითაც. საჭიროა რაც შეიძლება ფხიზლად, ნათლად, თვალსაჩინოდ მივცეთ ჩვენს თავს ანგარიში იმაში, თუ სახელდობრ რა «დავამთავრეთ» და რა არ დაგვიმთავრებია: მაშინ გონება ფხიზელი დარჩება, აღარ იქნება არც გულის არევა, არც ილუზიები, არც სასოწარკვეთილება.

ჩვენ «დავამთავრეთ» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ისე «სუფთად», როგორც ჯერ არასდროს არ დაუმთავრებიათ ქვეყნად. ეს არის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვეღარ წაგვართმევს.

ჩვენ დავამთავრეთ რევოლუციური გზით გამოსვლა ურეაქციულესი იმპერიალისტური ომიდან. ესეც ისეთი

მონაპოვარია, რომელსაც ვერავითარი ძალა ქვეყნად ვეღარ წაგვართმევს, და ეს მონაპოვარი მით უფრო საგულისხმოა, რომ რეაქციული იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა გარდუვალი იქნება ახლო მომავალში, თუ კაპიტალიზმი კვლავ დარჩა; XX საუკუნის ადამიანები კი მეორეჯერ ისე ადვილად როდიღა დასჯერდებიან «ბაზელის მანიფესტებს», რომლებიც რენეგატებმა, II და II½ ინტერნაციონალთა გმირებმა, 1912 და 1914 — 1918 წლებში თავიც გაიბრიყვეს და მუშებიც გააბრიყვეს.

ჩვენ შევქმენით საბჭოთა ტიპის სახელმწიფო, ამით დავიწყეთ ახალი მსოფლიო-ისტორიული ეპოქა, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის ეპოქა, რომელმაც შესცვალა ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქა. უკვე არც ამის უკან წაღება შეიძლება, თუმცა საბჭოთა ტიპის სახელმწიფოს «მოთავება» შესაძლო იქნება მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მუშათა კლასის პრაქტიკული გამოცდილებით.

მაგრამ ჩვენ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველიც კი არ დაგვიმთავრებია. ამის წართმევა კიდევ შეუძლიათ ჩვენდამი მტრულად განწყობილ მომაკვდავი კაპიტალიზმის ძალებს. ეს მკაფიოდ უნდა შევიგნოთ და აშკარად ვაღიაროთ, რადგან ილუზიებზე (და თავბრუდახვევაზე, განსაკუთრებით დიდ სიმაღლეებზე) სახიფათო არა არის რა. და «საშიში» სრულიად არაფერია, არაფერია ისეთი რამ, რაც ამ მწარე ჭეშმარიტების აღიარების გამო თუნდაც ოდნავი სასოწარკვეთილების კანონიერ საბაბს იძლეოდეს, რადგან ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით და ვიმეორებდით მარქსიზმის იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ სოციალიზმის გამარჯვებისთვის საჭიროა რამდენიმე მოწინავე ქვეყნის მუშათა ერთობლივი ძალ-ღონე. ჩვენ კი ჯერჯერობით მარტონი ვართ, და ჩამორჩენილ ქვეყანაში, სხვებზე მეტად გაჩანაგებულ ქვეყანაში, წარმოუდგენლად ბევრი რამ გავაკეთეთ. ეგ კიდევ არაფერი: ჩვენ შევინარჩუნეთ რევოლუციურ პროლეტარულ ძალთა «არმია», ჩვენ შევინარჩუნეთ მისი «მანევრირების უნარი», ჩვენ შევინარჩუნეთ ნათელი გონება, რაც საშუალებას

გვაძლევს ფხიზლად გავითვალისწინოთ, სად, როდის და რამდენად უნდა დავიხიოთ უკან (რათა უფრო ძლიერ გადავხტეთ); — სად, როდის და სახელდობრ როგორ უნდა მოვკიდოთ ხელი დაუმთავრებლის გადაკეთებას. უეჭველად დაღუპულად უნდა ჩაითვალონ ის კომუნისტები, რომელთაც გონიათ, რომ უშეცდომებოდ, უკანდაუხევლად, დაუმთავრებლისა და უმართებულოდ გაკეთებულის მრავალგზის გადაუკეთებლად შეიძლება ისეთი მსოფლიო-ისტორიული «წამოწყების» დამთავრება, როგორიცაა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მოთავება (განსაკუთრებით წვრილი გლეხობის ქვეყანაში). არ დაღუპულან (და, ალბათ, არც დაიღუპებიან) ის კომუნისტები, რომლებიც არ მიეცემიან არც ილუზიებს, არც სასოწარკვეთილებას, რომლებიც შეინარჩუნებენ ორგანიზმის ძალასა და მოქნილობას, რომ ხელმეორედ «დაიწყონ თავიდან» უძნელესი ამოცანისადმი მიდგომის საქმეში.

და ჩვენ მით უფრო ნაკლებ გვმართებს მივეცეთ თუნდაც სულ მცირედ სასოწარკვეთილებას, მით უფრო ნაკლებ გვაქვს ამის საფუძველი, რომ მიუხედავად მთელი ჩვენი გაჩანაგებისა, სიღატაკისა, ჩამორჩენილობისა, შიმშილისა, ზოგ რამეში დ ა ვ ი წ ყ ე თ წ ი ნ ს ვ ლ ა სოციალიზმის მოსამზადებელი ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს სფეროში, მაშინ როდესაც ჩვენს გვერდით, მთელ მსოფლიოში, უფრო მოწინავე ქვეყნები, ჩვენზე ათასჯერ უფრო მდიდარნი და სამხედრო მხრივ უფრო მძლავრნი, გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ე ნ უ კ ა ნ ს ვ ლ ა ს «მ ა თ ი», მათ მიერ ნაქები, მათთვის ნაცნობი, ასეული წლობით უკვე ნაცადი კაპიტალისტური ეკონომიკის სფეროში.

III

მელებზე ნადირობის შესახებ; ლევის შესახებ; სერატის შესახებ

ამბობენ, მელებზე ნადირობის ყველაზე საიმედო ხერხი შემდეგიაო: კვალმიგნებულ მელებს განსაზღვრულ მანძილზე თოკს შემოავლებენ და ამ თოკს თოვლზე ცოტა მაღლა ჰატა-

რა წითელ დროშებს გაუკეთებენ; მელას ეშინია აშკარად ხელოვნური, «ადამიანის» ნაგებობისა და გამოდის მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ ადგილას, სადაც პატარა დროშების ეს «გალავანი» გარღვეულია; მონადირეც სწორედ იქ უცდის მას. თითქოს, ისეთი ნადირისთვის, რომელსაც ყველა დევნის, სიფრთხილე ყველაზე დადებითი თვისება უნდა იყოს. მაგრამ აქაც «ღირსების გადამეტება» ნაკლი ხდება. მელას სწორედ მისი მეტისმეტი სიფრთხილის გამო იჭერენ.

უნდა მოვინანიო ერთი შეცდომა, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის III ყრილობაზე ჩავიდინე იმავე გადამეტებული სიფრთხილის გამო. ამ ყრილობაზე უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე ვიდექი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი პოზიცია, რადგან დელეგატთა ფრიად მრავალრიცხოვან (და «გავლენიან») ჯგუფს, მრავალი გერმანელი, უნგრელი და იტალიელი ამხანაგის მეთაურობით, არაზომიერად «მემარცხენე» და არასწორი მემარცხენე პოზიცია ეჭირა; ნაცვლად იმისა, რომ ფხიზლად გაეთვალისწინებინათ ის ვითარება, რომელიც მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო დაუყოვნებლივი და უშუალო რევოლუციური მოქმედებისათვის, ისინი ძალიან ხშირად გაძლიერებით აქნევდნენ პატარა წითელ დროშებს. სიფრთხილის გამო, იმის ზრუნვაში, რომ ამ უეჭველად უმართებულო გადახრას მარცხნივ ყალბი გეზი არ მიეცა კომუნისტური ინტერნაციონალის მთელი ტაქტიკისთვის, მე ყოველნაირად ვიცავდი ლენინის, გამოვთქვამდი მოსაზრებას, რომ იქნებ ლენინმ თავგზა დაჰკარგა (მე არ უარვყოფდი, რომ მან თავგზა დაჰკარგა) მეტისმეტი შიშით მემარცხენეთა შეცდომების წინაშე, და რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც თავგზადაკარგულ კომუნისტებს შემდეგ კვლავ «უპოვიათ» გზა. «მემარცხენეთა» იერიშის წინაშე ისიც დავუშვი, რომ ლენინ მენშევიკია, თანაც აღვნიშნე, რომ ასეთი დაშვებაც ჯერ კიდევ არა წყვეტს საკითხს. მაგალითად, რუსეთში მენშევიკებისა და ბოლშევიკების 15 წლის ბრძოლის მთელი ისტორია (1903 — 1917) ამტკიცებს,

როგორც ამას ამტკიცებს რუსეთის სამი რევოლუციაც, რომ მენშევიკები საერთოდ უსათუოდ არ იყვნენ მართალნი და რომ ისინი საქმით ბურჟუაზიის აგენტები იყვნენ მუშათა მოძრაობაში. ეს უდავო ფაქტია. მაგრამ ეს უდავო ფაქტი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ცალკეულ შემთხვევებში მენშევიკები მართალნი იყვნენ ხოლმე ბოლშევიკებთან დავაში, მაგალითად, 1907 წელს სტოლიპინის სათათბიროს ბოიკოტის საკითხში.

კომინტერნის III ყრილობის შემდეგ უკვე 8 თვემ განვლო. ჩანს, ჩვენი მაშინდელი დავა «მემარცხენეებთან» უკვე მოძველდა, უკვე გადაწყვიტა ცხოვრებამ. ლენის შესახებ მე მართალი არ გამოვდექი, რადგან მან წარმატებით დაამტკიცა, რომ მენშევიკურ გზას დაადგა არა შემთხვევით, არა დროებით, არა მარტო იმიტომ, რომ «ჯოხი გადაღუნა» «მემარცხენეთა» ფრიად სახიფათო შეცდომის წინააღმდეგ, არამედ დიდი ხნით, მტკიცედ, მთელი თავისი არსებით. ნაცვლად იმისა, რომ კომინტერნის III კონგრესის შემდეგ პატიოსნად ელიარებინა აუცილებლობა იმისა, რომ ეთხოვა ისევ მიმიღეთ პარტიაშიო, როგორც უნდა მოქცეულიყო მემარცხენეთა ზოგიერთი შეცდომის გამო გაბრაზებული და დროებით თავგზადაკარგული ადამიანი, ლენინმ ხელი მიჰყო პარტიისათვის წვრილმანი ენების მიყენებას და ფარულად სარმის გამოდებას, ე. ი. ფაქტიური სამსახურის გაწევას ბურჟუაზიის აგენტებისათვის, რომლებიც მოკალათებული არიან II და II½ ინტერნაციონალში. რასაკვირველია, სავსებით მართალნი იყვნენ გერმანელი კომუნისტები, რომლებმაც ამის პასუხად ამას წინათ თავიანთი პარტიიდან გარიცხეს კიდევ რამდენიმე ვაჟბატონი, რომლებიც ფარულად დახმარებას უწევდნენ პავლე ლენის ამ კეთილშობილ საქმიანობაში.

გერმანიისა და იტალიის კომუნისტურ პარტიათა განვითარება კომინტერნის III კონგრესის შემდეგ ამტკიცებს, რომ მემარცხენეთა შეცდომა ამ კონგრესზე მათ შეიგნეს და სწორდება — ცოტ-ცოტად, ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად; კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის

გადაწყვეტილებები ლოიალურად ხორციელდება. გარდაქმნა ძველი ევროპული პარლამენტური ტიპის პარტიისა, რომელიც სინამდვილეში რეფორმისტულია და მხოლოდ ოდნავ არის რევოლუციურად შეფერადებული ახალი ტ ი პ ი ს პარტიად, ნამდვილად რევოლუციურ, ნამდვილად კომუნისტურ პარტიად, ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა. მგონი, საფრანგეთის მაგალითი ამ სიძნელეს ყველაზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში პარტიული მუშაობის ტ ი პ ი ს გადაკეთება, ჩვეულებრივობის გარდაქმნა, იმის მიღწევა, რომ პარტია გახდეს რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდი და კი არ დაშორდეს მასებს, არამედ სულ უფრო და უფრო დაუახლოვდეს მათ, აამაღლოს ისინი რევოლუციურ შეგნებამდე და რევოლუციურ ბრძოლამდე — ეს ყველაზე ძნელი, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეა. თუ ევროპის კომუნისტები თავიანთი პარტიების მთელი შენებისა და მთელი მუშაობის ამ ძირითადი, შინაგანი, ღრმა გარდაქმნისათვის არ გამოიყენებენ იმ (ალბათ, ფრიად ხანმოკლე) დროს, რომელმაც რევოლუციურ ბრძოლათა განსაკუთრებული გამწვავების პერიოდებს შორის განვლო, ბრძოლათა, რაც ევროპისა და ამერიკის მრავალმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ გადაიტანა 1921 წელსა და 1922 წლის დამდეგს, ეს მათი მხრივ უდიდესი დანაშაული იქნება. საბედნიეროდ, არა გვაქვს საფუძველი, რომ ამისი გვეშინოდეს. ევროპასა და ამერიკაში ნამდვილ კომუნისტურ პარტიათა, პროლეტარიატის ნამდვილ რევოლუციურ ავანგარდთა შესაქმნელად დაწყებულია ჩუმი, არათვალისმომჭრელი, არამყვირალა, არასწრაფი, მაგრამ ღრმა მუშაობა და ეს მუშაობა ახლაც მიმდინარეობს.

პოლიტიკური გაკვეთილები, გამოტანილი ისეთი ტრივიალური ამბის დაკვირვებიდანაც კი, როგორიც არის მელებზე ნადირობა, უსარგებლო არ ყოფილა: ერთი მხრივ, მეტისმეტ სიფრთხილეს შეცდომები მოსდევს. მეორე მხრივ, არ შეიძლება დავიწყება, რომ თუ ვითარების ფხიზელ გათვალისწინებას შევცვლით მარტო «განწყობილებით» ანდა წითელი

დროშების ქნევით, შეიძლება უკვე გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინოთ; შეიძლება დავიღუპოთ ისეთ პირობებში, როცა სიძნელეები თუმცა დიდია, მაგრამ დაღუპვა ჯერ კიდევ სრულიადაც, ოდნავადაც არ არის სავალდებულო.

პავლე ლევის ახლა სურს განსაკუთრებით მოიგოს ბურჟუაზიის გული — და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, II და II½ ინტერნაციონალთა, ბურჟუაზიის აგენტების გული, — როდესაც იგი ხელახლა სცემს როზა ლუქსემბურგის სწორედ იმ თხზულებებს, რომლებშიც ის მართალი არ იყო. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ ორი სტრიქონით ერთი კარგი რუსული არაკიდან: ხდება ხოლმე, რომ არწივი ქათამზე დაბლაც ეშვება, მაგრამ ქათამი არწივისებრ მაღლა ვერასოდეს ვერ აფრინდება. როზა ლუქსემბურგი ცდებოდა პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხში; ცდებოდა 1903 წელს მენშევიზმის შეფასებაში; ცდებოდა კაპიტალის დაგროვების თეორიაში; ცდებოდა, როდესაც 1914 წლის ივლისში პლეხანოვთან, ვანდერველდესთან, კაუცკისთან და სხვებთან ერთად იცავდა ბოლშევიკების გაერთიანებას მენშევიკებთან; ცდებოდა 1918 წელს საპყრობილეში დაწერილ თავის ნაწერებში (ამასთან საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ 1918 წლის დამლევს და 1919 წლის დამდეგს თვითონვე გამოასწორა თავისი შეცდომების მეტი ნაწილი). მაგრამ მიუხედავად ამ თავისი შეცდომებისა, იგი არწივი იყო და არწივად რჩება; და არა მარტო მისი ხსოვნა ყოველთვის ძვირფასი იქნება მთელი მსოფლიოს კომუნისტებისათვის, არამედ მისი ბიოგრაფია და მისი თხზულებების ს რ უ ლ ი კრებული (რომელსაც შეუწყნარებლად აგვიანებენ გერმანელი კომუნისტები, რომელთაც მხოლოდ ნაწილობრივ თუ ეპატიებათ ეს თავიანთ მძიმე ბრძოლაში გაუგონრად დიდი მსხვერპლის გაღების გამო) ფრიად სასარგებლო გაკვეთილი იქნება მთელი მსოფლიოს კომუნისტთა მრავალი თაობის აღსაზრდელად. «გერმანიის სოციალ-დემოკრატია 1914 წ. 4 აგვისტოს შემდეგ აყროლებული ლეშია», — აი როზა ლუქსემბურგის რა სიტყვებით შევა მისი სახელი მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის

ისტორიაში. ხოლო მუშათა მოძრაობის უკანა ეზოში, სანეხ-ვეზე, პავლე ლევის, შეიდემანის, კაუცკის და ძმათა მათთა მსგავსი ქათმები, რასაკვირველია, განსაკუთრებულ აღტაცე-ბაში მოვლენ დიდი კომუნისტი ქალის შეცდომების გამო. ყველას კუთვნილი მიეზღვის.

რაც შეეხება სერატის, იგი უნდა შევადაროთ ლაყე კვერცხს, რომელიც სკდება ხმაურით და განსაკუთრებული... პიკანტური სურნელებით. «თავის» ყრილობაზე გაიყვანო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ მზადა ვართ დავემორჩი-ლოთ კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებასო, შემდეგ ამ კონგრესზე გაგზავნო მოხუცი ლაძარი და, ბოლოს, მოატყუო მუშები ცხენის ქორვაჭრის სიტლანქით, ეს მარგა-ლიტია. იტალიელ კომუნისტებს, რომელნიც რევოლუციური პროლეტარიატის ნამდვილ პარტიას ზრდიან იტალიაში, ახლა პოლიტიკანური თაღლითობისა და მენშევიზმის თვალსაჩინო ნიმუში ექნებათ მუშათა მასების თვალწინ. არა ერთბაშად, არა მრავალი განმეორებითი თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე იჩენს თავს ამ ნიმუშის სასარგებლო, ზიზღის გამომწვე-ვი მოქმედება, მაგრამ უეჭველად კი იჩენს თავს. არ უნდა მოწყდე მასებს, არ უნდა დაჰკარგო მოთმინება უბრალო მუშის წინაშე სერატის ყველა თაღლითობის პრაქტიკულად მხილე-ბის მძიმე მუშაობაში; არ აჰყვე ფრიად იოლ და უაღრესად საშიშ გადაწყვეტას: იქ, სადაც სერატი ამბობს «a»-ს, ჩვენ «მინუს a» ვთქვათო; განუხრელად უნდა აღზარდო მასები რევოლუციური მსოფლმხედველობისა და რევოლუციური მოქმედებისათვის; პრაქტიკულად და სარფიანად გამოიყენო ფაშიზმის საუცხოო (თუმცა ძვირად ღირებული) თვალსაჩინო გაკვეთილები — და იტალიური კომუნიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ლევი და სერატი დამახასიათებელნი არიან არა თავის-თავად, არამედ როგორც თანამედროვე ნიმუში წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენე ფრთისა, «მათი» ბანაკისა, საერთაშორისო კაპიტალისტთა ბანაკისა, ჩვენი ბანაკის წინააღმდეგ. «მათი» ბანაკი გესლს

ანთხევს, ზეიმობს ანდა ნიანგის ცრემლებსა ღვრის ჰომპერსიდან დაწყებული სერატიმდე, ჩვენი უკან დახევის გამო, ჩვენი «თავქვე დაშვების» გამო, ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო. დაე იხითხითონ. დაე თავიანთ ჯამბაზურ მალაყებს გადავიდნენ. ყველას კუთვნილი მიეზღვის. ჩვენ კი არ ავყვებით არც ილუზიებს, არც სასოწარკვეთილებას. ნუ შევუშინდებით საკუთარი შეცდომების აღიარებას, ნუ შევუშინდებით მრავალგზის, განმეორებითს შრომას მათ გამოსასწორებლად — და ჩვენ სულ მწვერვალს მოვექცევით. საერთაშორისო ბლოკის საქმე ჰომპერსიდან სერატიმდე — დაღუპული საქმეა.

დაწერილია 1922 წ. თებერვლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 16 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 87

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ

სიტყვა მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე

1922 წლის 6 მარტს [43]

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ამხანაგებო! ნება მომეცით რამდენადმე დავარღვიო თქვენი ჩვეულებრივი წესი და დღეს შევეხო არა იმ თემებს, რომლებიც თქვენი სხდომისა და თქვენი ყრილობის დღის წესრიგში დგას, რათა გაგიზიაროთ ჩემი დასკვნები და მოსაზრებანი პოლიტიკის მთავარ ამოცანათა საკითხზე. ჩვენში უკვე არა ერთხელ ყოფილა მიღებული მივმართოთ იმათ, ვინც, თუმცა არ არის ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების ოფიციალური წარმომადგენელი, მაგრამ ფაქტიურად სახელმწიფო მუშაობის უდიდეს ნაწილს ასრულებს. და თქვენ ყველამ იცით, რომ ნამდვილ საქმიან მუშაობას ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობაში ეწევიან მუშათა კლასის ესა თუ ის წარმომადგენელნი და მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ პირველ რიგში მელითონეები.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სრულიადაც უადგილო არ იქნება დავარღვიო თქვენი მუშაობის ჩვეულებრივი წესი და ვილაპარაკო არა იმდენად პროფესიულ და პარტიულ საკითხებზე, რამდენადაც პოლიტიკურ საკითხებზე, ჩვენს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე. ვინაიდან, ჩემი რწმენით, ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაშიც და ჩვენს საშინაო მდგომარეობაშიც არის რაღაც ისეთი რამ, რაც წააგავს ერთგვარ გარდატეხას პოლიტიკაში და რაც ყოველი პარტიული ადამიანისაგან და, რასაკვირველია, ყოველი შეგნებული მუშისაგან მოითხოვს

განსაკუთრებულ ყურადღებას იმისათვის, რომ ეს გარდატეხა პოლიტიკაში სავსებით გავიგოთ, სწორად შეფასებისოთ და ჩვენს მუშაობაში — საბჭოთა, პარტიულ, პროფესიულ და ყოველგვარ სხვა მუშაობაშიც — განვახორციელოთ.

თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით, ამხანაგებო, რომ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხთა პირველ რიგში ჩვენთვის კვლავ გენუა დგას. მე არც ისე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ იგი პირველ რიგში იდგეს კანონიერად, რადგან, როდესაც ვამბობთ: «გენუა», ვგულისხმობთ ყველასთვის დიდი ხანია ცნობილ კონფერენციას, რომელიც იტალიაში, გენუაში, იყო დანიშნული, თითქმის სრულიად მომზადებული იყო, ხოლო ამჟამად, სამწუხაროდ, ისეთ გაურკვეველ მდგომარეობაშია, რომ არავინ იცის (ძალიან ვშიშობ, რომ გენუის თვით ინიციატორებმაც და მომწყობებმაც არ იციან), აქვს თუ არა მას ბევრი შანსი, რომ შედგეს, თუ ეს შანსები მას თითქმის არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავსაც და ყველა იმასაც, ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს მუშურ-გლეხური რესპუბლიკის ბედი, რომ ჩვენი პოზიცია ამ მხრივ, ე. ი. გენუის კონფერენციის საკითხში, თავიდანვე სრულიად მტკიცე იყო და ასევე მტკიცე დარჩა. და ჩვენი ბრალი არაა, თუ ვინმე სხვას არ გააჩნია არამცთუ სიმტკიცე, არამედ სულ მცირედი ელემენტარული გამბედაობაც კი, სულ მცირედი ელემენტარული უნარი, რომ თავისივე ზრახვები შეისრულოს. ჩვენ იმთავითვე ვაცხადებდით, რომ გენუას მივესალმებით და მივდივართ იქ; ჩვენ მშვენივრად გვესმოდა და სრულიადაც არ ვმალავდით, რომ იქ მივდივართ როგორც ვაჭრები, იმიტომ რომ ჩვენთვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან (ვიდრე ისინი ჯერ საბოლოოდ არ დაშლილან) ვაჭრობა უსათუოდ აუცილებელია, და რომ იქ მივდივართ იმისთვის, რომ ამ ვაჭრობის პოლიტიკურად შესაფერისი პირობები განვიხილოთ რაც შეიძლება უფრო სწორად და რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელად, — ეს არის და ეს. რა თქმა უნდა, ეს საიდუმლოებას სრულიადაც არ შეადგენდა იმ კაპიტა-

ლისტური სახელმწიფოებისათვის, რომელთა მთავრობები ადგენდნენ გენუის კონფერენციის პირველ გეგმას და მსვლელობას აძლევდნენ ამ კონფერენციას. ამ სახელმწიფოებმა მშვენივრად იციან, რომ სულ უფრო და უფრო გრძელი ხდება იმ სავაჭრო ხელშეკრულებათა წყება, რომელნიც გვაკავშირებენ სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან; პრაქტიკულ სავაჭრო გარიგებათა რიცხვი იზრდება; ამჟამად უდიდეს რიცხვს აღწევს ფრიად დეტალური განხილვის საგნად ქცეული სავაჭრო საწარმოთა რიცხვი, როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის საწარმოებისა, უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოსა და ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგის უაღრესად ნაირნაირი კომბინაციების სახით. ამიტომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მშვენივრად მოეხსენებათ იმის პრაქტიკული საფუძველი, რის შესახებაც გენუაში, უმთავრესად, იქნება ლაპარაკი. და თუ ამ საფუძვლის დამატებით ზედნაშენის სახით გვევლინება ყოველნაირი პოლიტიკური ლაპარაკის, ვარაუდების, პროექტების მთელი გროვა, — უნდა გვესმოდეს, რომ ეს მხოლოდ პაწაწა ზედნაშენია, რომელიც ძალიან ხშირად აგებულია ხელოვნურად, შეთხზულია და განხორციელებული იმათ მიერ, ვინც ამით დაინტერესებულია.

საბჭოთა ხელისუფლება ოთხ წელზე მეტია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, საკმაო პრაქტიკული გამოცდილება შევიძინეთ (გარდა იმისა, რაც ამის შესახებ საკმაოდ ვიცოდით თეორიულადაც), რომ შესაფერისად შევაფასოთ ეს დიპლომატიური თამაში, რომელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბატონმა წარმომადგენლებმა გააჩაღეს მოძველებული ბურჟუაზიული დიპლომატიური ხელოვნების ყველა წესის მიხედვით. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რა უდევს ამ თამაშს საფუძვლად: ჩვენ ვიცით, რომ მის დედაარსს ვაჭრობა შეადგენს. ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ ქ ვ ე ყ ნ ებ ს რ უ ს ე თ თ ან ვ ა ჭ რ ო ბ ა ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ: მათ იციან, რომ ეკონომიური ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის გარეშე ნგრევა მათ ქვეყნებში უფრო და უფრო შორს წავა,

როგორც იგი დღემდე მიდიოდა; მიუხედავად ყველა მათი უბრწყინვალესი გამარჯვებისა, მიუხედავად მთელი იმ დაუსრულებელი ტრაბახისა, რომლითაც ისინი ავსებენ მთელი მსოფლიოს გაზეთებსა და დეპეშებს, მათი ეკონომიკა მაინც დაშლას განიცდის, და აი მათ უდიდეს გამარჯვებათა შემდეგ უკვე მეოთხე წელიწადია და მათ თავი ვერ გაურთმევიათ სულ უბრალო ამოცანისთვის — არა იმისთვის, რომ ახალი ააშენონ, არამედ ძველი აღადგინონ მხოლოდ, — და კვლავ იმას უტრიალებენ, რომ როგორმე თავი მოიყარონ ერთად სამმა, ოთხმა ან ხუთმა სახელმწიფომ (როგორც ხედავთ, არაჩვეულებრივად დიდი რიცხვია, რაც საშინლად აბრკოლებს შეთანხმების შესაძლებლობას) და ისეთი კომბინაცია შეადგინონ, რომ ვაჭრობა შეიძლებოდეს.

მე მესმის, რომ კომუნისტებისათვის მართლაც საჭიროა დრო ვაჭრობის შესასწავლად და რომ ვისაც ამის სწავლა სურს, ის რამდენიმე წლის განმავლობაში უხეშ შეცდომებს დაუშვებს, და ისტორია მას აპატიებს, იმიტომ რომ ეს საქმე მისთვის ახალია. აქ ისიც არის საჭირო, რომ გონება უფრო მოქნილი შეიქნეს, ისიც, რომ თავიდან მოიშორო ყოველგვარი კომუნისტური ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რუსული ობლომოვშჩინა და მრავალი სხვა რამ. მაგრამ უცნაურია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების წარმომადგენლებს ხელახლა უხდებოდეთ სწავლა ვაჭრობის საქმისა, რომელსაც ისინი ასეული წლობით მისდევენ და რომელზედაც აგებულია მთელი მათი საზოგადოებრივი ყოფა. თუმცა ჩვენთვის ეს არც ისე უცნაურია: ჩვენ დიდი ხანია ვამბობდით და ვიცოდით, რომ მათ იმპერიალისტური ომი ჩვენზე ნაკლებ სწორად შეაფასეს. ისინი ამ ომს აფასებდნენ იმის თვალსაზრისით, რაც მათ ცხვირწინ არის, ხოლო მათ გიგანტურ გამარჯვებათა სამი წლის შემდეგ ვერ უპოვიათ გამოსავალი მდგომარეობიდან.

ჩვენ, კომუნისტები, ვამბობდით, რომ ომს ვაფასებთ უფრო ღრმად და უფრო სწორად, რომ ომის წინააღმდეგობანი და უბედურებანი მოქმედებენ განუზომლად უფრო

ფართოდ, ვიდრე ეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს წარმოუდგენიათ. და როცა გარედან ვუყურებდით გამარჯვებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ვამბობდით: არა ერთხელ მოიგონებენ ისინი ჩვენს წინასწარმეტყველებას და ომისა და მისი შედეგების ჩვენს შეფასებას. ჩვენ არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ მათ თავგზა აებნათ, ასე გასინჯეთ, ოთხზე ნაკლებ ფიჭვს შორის. მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვამბობთ: ჩვენთვის აუცილებელია ვაჭრობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ვიდრე ისინი არსებობენ როგორც ასეთნი. მათთან მოლაპარაკებაზე ჩვენ მივდივართ როგორც ვაჭრები, ხოლო ამის განხორციელება რომ შეგვიძლია, ამას ამტკიცებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებათა რიცხვი, რომელიც იზრდება, ამტკიცებს გარიგებათა რიცხვი. ჩვენ არ შეგვიძლია მათი გამოქვეყნება, ვიდრე ეს გარიგებანი დადებული არ არის. როდესაც ჩვენთან მოდის ვაჭარი კაპიტალისტი და გვეუბნება: «ვიდრე მოლაპარაკება ბოლომდე არ მიგვიყვანია, ეს ჩვენს შორის უნდა დარჩესო», — რა თქმა უნდა, ვაჭრული თვალსაზრისით ამაზე უარს ვერ ვეტყვით. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი ხელშეკრულება მზადდება — მარტო მათ სიას რამდენიმე გვერდი უჭირავს, მათ შორის ათეულობით არის კონკრეტულად განხილული პრაქტიკული წინადადება სანდო ფინანსურ ჯგუფებთან. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბატონმა წარმომადგენლებმა, რომელნიც გენუაში იკრიბებიან, ჩვენზე ნაკლებ არ იციან ეს: სხვა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ მთავრობათა კავშირი თავიანთ კაპიტალისტურ ფირმებთან, რა თქმა უნდა, შერჩენილია. მათ შორისაც კი ჯერ კიდევ მოშლილობა იმდენად დიდი არ არის, რომ მათ ეს არ იცოდნენ.

და ამიტომ, თუ ჩვენ საზღვარგარეთიდან მოსულ დეპეშებში მუდამ ვხვდებით ცნობებს, თითქოს მათ ზუსტად არ ჰქონდეთ წარმოდგენილი, თუ რა მოხდება გენუაში, თითქოს ისინი იგონებდნენ რაღაც ახალს, თითქოს სურდეთ ქვეყანა გააკვირვონ იმით, რომ რუსეთს წარუ-

დგენენ ახალ პირობებს, ნება მომეცით ვუთხრა მათ (იმედი მაქვს, რომ შევძლებ პირადად ვუთხრა ეს ლოიდ ჯორჯს გენუაში) — თქვენ, ბატონებო, ამით ვერავის გააკვირვებთ. თქვენ ვაჭარი ხალხი ხართ და მშვენივრადაც ვაჭრობთ. ჩვენ ეს-ეს არის ვაჭრობას ვსწავლობთ და ძალიან ცუდად ვვაჭრობთ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ათეული და ასეული ხელშეკრულება და ხელშეკრულების პროექტი, რომლებიდანაც ჩანს, თუ როგორ ვვაჭრობთ, რა გარიგებებს და რა პირობებში ვდებთ ანდა დავდებთ. ხოლო თუ გაზეთებში ვხვდებით ყოველგვარ ცნობებს, იმისათვის ნავარაუდევს, რომ ზოგი ვინმე შეაშინონ, რომ ჩვენ თავს მოგვახვევენ რაღაც განსაცდელს, ამაზე ჩვენ საკმაოდ დამშვიდებით ვიღიმებით. მუქარა საკმარისად გვინახავს და უფრო სერიოზულიც, ვიდრე მუქარა იმ ვაჭრისა, რომელიც კარის მოჯახუნებას აპირებს, როდესაც გვთავაზობს თავის სულ უკანასკნელ ფასს. ჩვენ გვინახავს ზარბაზნებით მუქარა მოკავშირე სახელმწიფოების მხრივ, რომელთაც ხელში უჭირავთ თითქმის მთელი მსოფლიო. ამ მუქარას ჩვენ არ შევუშინდით. ამას, ბატონო ევროპელო დიპლომატებო, გთხოვთ ნუ დაივიწყებთ.

ჩვენ სრულიადაც არ მივსდევთ იმას, რომ დავიცვათ ჩვენი საკუთარი დიპლომატიური პრესტიჟი, ჩვენი რენომე, როგორც ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის. ჩვენ ამაზე ოფიციალურად სრულიადაც არ ვილაპარაკებთ. მაგრამ ჩვენ ეს არ დაგვივიწყებია. ჩვენში არც ერთ მუშას, არც ერთ გლეხს არ დავიწყებია, არ შეიძლება დაავიწყდეს და არც არასოდეს დაავიწყდება, რომ იგი ომობდა და იცავდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ყველა იმ უაღრესად ძლიერ სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელნიც მხარს უჭერდნენ ინტერვენციას. ჩვენ გვაქვს მთელი კოლექცია ხელშეკრულებებისა, რომელთაც ეს სახელმწიფოები დებდნენ მთელი რიგი წლების განმავლობაში კოლჩაკებთან და დენიკინებთან. ეს ხელშეკრულებები გამოქვეყნებულია, ჩვენ ვიცნობთ მათ, მთელი

მსოფლიო იცნობს მათ. მაშ რაღა საჭიროა კეკემალულობა და საქმის ისე მოჩვენება, თითქოს ჩვენ ყველანი გულმავიწყ ივანეებად გადავიქეცით? ყოველმა გლეხმა და ყოველმა მუშამ იცის, რომ იგი ომობდა ამ სახელმწიფოებთან, და რომ მათ იგი ვერ დაამარცხეს. და თუ თქვენ, ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბატონო წარმომადგენლებო, გსურთ თავი შეიქციოთ და თქვენი ქაღალდი (ქაღალდი თქვენ ძალიან ბევრი გაქვთ, საჭიროზე მეტი), თქვენი მელანი ხარჯოთ, დატვირთოთ თქვენი სატელეგრაფო მავთულები და რადიოსადგურები იმისათვის, რომ მთელ ქვეყნიერებას ამცნოთ: «ჩვენ რუსეთს გამოსაცდელი ადამიანის მდგომარეობაში ჩავაყენებთო», ჯერ კიდევ ვნახოთ, ვინ — ვის. ჩვენ უკვე გავიარეთ გამოცდა და გამოცდა არა სიტყვებით, არა ვაჭრობით, არა მანეთით, არამედ კეტით. და ჩვენ უკვე დავიმსახურეთ მძიმე, სისხლიანი და მტანჯველი ჭრილობებით ის, რომ ჩვენზე ჩვენ თვითონ კი არა, არამედ მტრებმა უნდა თქვან: «ერთ გალახულში ორ გაულახავს იძლევიანო».

ჩვენ ეს დავიმსახურეთ სამხედრო სფეროში. აი სავაჭრო საქმეში კი, სამწუხაროა, რომ ჩვენ, კომუნისტებს, ცოტას გვცემენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ეს ნაკლი ასეთივე წარმატებით იქნება შევსებული.

მე ვთქვი, რომ იმედი მაქვს გენუაში პირადად მოველაპარაკო ლოიდ ჯორჯს ამ თემებზე და ვუთხრა, რომ უ ბ რ ა ლ ო რ ა მ ე ე ბ ი თ ნ უ გ ვ ა შ ი ნ ებ ენ, რადგან ამით პრესტიჟს მხოლოდ ისინი დაჰკარგავენ, ვინც გვაშინებს. იმედი მაქვს, რომ ამას ხელს არ შეუშლის ჩემი ავადმყოფობა, რომელიც რამდენიმე თვეა საშუალებას არ მაძლევს უშუალოდ მივიღო მონაწილეობა პოლიტიკურ საქმეებში და სრულიად მისპობს საშუალებას შევასრულო საბჭოთა თანამდებობა, რომელზედაც დაყენებული ვარ. მე საფუძველი მაქვს იმედი ვიქონიო, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ შევძლებ დავუბრუნდე ჩემს უშუალო მუშაობას. ხ ო ლ ო შ ე ს ძ ლ ებ ენ თ უ ა რ ა ი ს ი ნ ი, ს ა მ ნ ი თ უ ო თ ხ ნ ი, რ ა მ დ ე ნ ი მ ე კ ვ ი რ ი ს შ ე მ დ ე გ შ ე თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ

იმაში, რის შესახებაც მათ მთელ ქვეყნიერებას ამცნეს, რომ შეთანხმდნენ, — ამაში დარწმუნებული არა ვარ. ის კი არა, გავბედავ და ვიტყვი, რომ ქვეყნად არავინ არ არის ამაში დარწმუნებული, უფრო მეტიც, ეს ფვითონაც არ იციან მათ, იმიტომ რომ, როდესაც გამარჯვებული სახელმწიფოები, რომელთა ხელშიც არის ძალაუფლება მთელი მსოფლიოს მიმართ, კანაში შეიკრიბნენ, მას შემდეგ, რაც ისინი უკვე მრავალჯერ ყოფილან შეკრებილნი, — მათი კონფერენციების რიცხვი უთვალავია, და ევროპის ბურჟუაზიული პრესა თვითონაც კი დასცინის ამას, — მათ რიგიანად ვერც კი შესძლეს იმისი თქმა, თუ რა სურთ.

ამიტომ მდგომარეობა ყველაზე უფრო სწორად, პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით და არა დიპლომატიური ათურმის თვალსაზრისით, განსაზღვრა ამხ. ტროცკიმ. იმ ცნობის მიღების მეორე დღეს, რომ გენუა სრულიად მოგვარებულია, სრულიად მოლაპარაკებულია, რომ გენუის შესახებ სრული თანხმობაა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი ბურჟუაზიული მთავრობის მერყეობამ (ისინი როგორღაც საეჭვოდ მერყევნი გახდნენ) გამოიწვია დროებით გადადებაო, მან გამოაქვეყნა ბრძანება: «დაე თვითეულმა წითელარმიელმა შეითვისოს საერთაშორისო მდგომარეობა; ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ მათში არის ურყევი ჯგუფი, რომელსაც სურს სცადოს ინტერვენცია; ჩვენ ფხიზლად ვიქნებით, და დაე თვითეულმა წითელარმიელმა იცოდეს, თუ რა არის დიპლომატიური თამაში და რა არის იარაღის ძალა, რომელიც დღემდე ყველა კლასობრივ კონფლიქტს წყვეტდა».

დაე თვითეულმა წითელარმიელმა იცოდეს, რა არის ეს თამაში, რა არის იარაღის ძალა, და მაშინ ვნახოთ. თუმცა დიდად მოიშალა კაპიტალიზმი ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაინც ამის მოსინჯვა ბევრ გავლენიან პარტიას შეუძლია. ხოლო თუ მთავრობები იმდენად მერყევნი არიან, რომ მათ არ შეუძლიათ დროზე მოიწვიონ კრება, მაშინ ვინ იცის, ვის ხელში

აღმოჩნდება ეს მთავრობები. ჩვენ ვიცით, რომ მათში მოიპოვებიან გავლენიანი, ომის მოსურნე პარტიები და გავლენიანი პირები და ეკონომიური ავანჩავანები, ჩვენ ეს მშვენივრად ვიცით და საკმაოდ გაცნობილი ვართ იმ ნამდვილ დედაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიურ ხელშეკრულებებს. ჩვენ არაჩვეულებრივად ბევრი მძიმე რამ გადავიტანეთ და ვიცით, თუ რა უბედურებისა და ტანჯვა-წამების მოყენება შეუძლია ჩვენთვის ომის გაჩაღების ახალ ცდას, და ამიტომ ვამბობთ — ამას კიდევ გადავიტანთ, აბა ერთი სინჯეთ ამის ცდა. დასკვნა, რომელიც ამხ. ტროცკიმ გააკეთა, როდესაც დიპლომატიური ათურმის მოსაზრებათა ნაცვლად გამოაქვეყნა თავისი მტკიცე ბრძანება, იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ წითელარმიელს ხელახლა განუმარტონ საერთაშორისო მდგომარეობა, რომ გენუის კონფერენციის გადადება იტალიის კაბინეტის მერყეევი მდგომარეობის გამო — ეს არის ომის საფრთხე. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენში ყოველ წითელარმიელს ეცოდინება ეს. ამის მიღწევა ჩვენთვის მით უფრო ადვილია, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ოჯახი, ისეთი წითელარმიელი რუსეთში, რომელმაც ეს არ იცოდეს და არა მარტო გაზეთებიდან, ცირკულარებიდან ან ბრძანებებიდან, არამედ თავისი სოფლიდან, სადაც იგი ხედავდა დასახიჩრებულებს, ხედავდა ოჯახებს, რომლებმაც ეს ომი გადაიტანეს, სადაც იგი ხედავს მოუსავლობას, მტანჯველ შიმშილსა და გაჩანაგებას, ჯოჯოხეთურ გაჭირვებას და იცის, რით არის ეს გამოწვეული, თუმცა იგი არ კითხულობს მენშევიკებისა და ესერების პარიზულ გამოცემებს, რომ ეს ბოლშევიკების ბოროტი თვისებებით ახსნას. მას არა მგონია ამჟამად მთელ თავის არსებაში იმაზე უფრო მტკიცე განწყობილება ჰქონდეს, ვიდრე წინააღმდეგობის გაწევის (ვიტყვი თუნდაც ასე) განწყობილება, წინააღმდეგობისა იმათ მიმართ, ვინც თავს მოგვახვია კოლჩაკისა და დენიკინის ომი და ვინც მხარი

დაუჭირა ამ ომს ჩვენს წინააღმდეგ. ამ მხრივ არ დაგვჭირდება აგიტაციისა და პროპაგანდის ახალ კომისიათა შექმნა.

გენუის კონფერენციის საკითხში მკაცრად უნდა გავარჩიოთ საქმის დედაარსი იმ საგაზეთო ჭორებისაგან, რომლებსაც ბურჟუაზია ავრცელებს; ეს ჭორები ბურჟუაზიას თავზარდამცემი ყუმბარები ჰგონია, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, რადგან ბევრი ასეთი ჭორი გვინახავს და ეს ყოველთვის როდი არის ხოლმე ღირსი იმისა, რომ თუნდაც ღიმილით გასცე პასუხი. ყოველგვარი ცდა თავს მოგვახვიონ პირობები, როგორც დამარცხებულებს, აშკარა სისულელეა, რომელზედაც პასუხის გაცემაც კი არა ღირს. ჩვენ, როგორც ვაჭრები, ურთიერთობას ვამყარებთ დავიცით, თუ რა გმართებს ჩვენი და რა გვმართებს შენი, და რამდენი უნდა იყოს შენი კანონიერი და თუნდაც გადიდებული მოგება. ჩვენ ვხედავთ მრავალ წინადადებას, ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებათა რიცხვი იზრდება და კვლავაც გაიზრდება, რაგვარადაც უნდა მოეწყოს სამი-ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს ფიგურა; კონფერენციის ამ გადადებით თქვენ წააგებთ, იმიტომ რომ თქვენივე საკუთარ ხალხს დაუმტკიცებთ, რომ თვითონაც არ იცით, რა გინდათ, და რომ თქვენ დაავადებული ხართ ეგრეთწოდებული ნების ავადმყოფობით. ეს ავადმყოფობა მდგომარეობს იმ ეკონომიკისა და პოლიტიკის გაუგებლობაში, რომელიც თქვენზე უფრო ღრმად შევაფასეთ. მალე ათი წელიწადი გავა მას შემდეგ, რაც ჩვენ ეს შევაფასეთ, ხოლო მთელი ეს შემდგომი ნგრევა და რღვევა ჯერ კიდევ ნათელი არაა ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის.

ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენში შეიქმნა, და შეგვიძლია სრული სიმტკიცით ვთქვათ, რომ უკან დახევა, რომელიც დავიწყეთ, შეგვიძლია უკვე შევაჩეროთ და კიდევაც

ვაჩვერებთ მას. კმარა. ჩვენ სრულიად ცხადად ვხედავთ და არც ვმალავთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა უკან დახევაა, ჩვენ იმაზე შორს წავედით, რისი შენარჩუნებაც შეგვეძლო, მაგრამ ასეთია ბრძოლის ლოგიკა. თუ ვინმეს ახსოვს, რაც იყო 1917 წლის ოქტომბერში, ანდა თუ ვინმე მაშინ პოლიტიკურად არ იყო მომწიფებული და შემდეგ გაეცნო მდგომარეობას, რომელიც 1917 წელს იყო, მან იცის, რა უამრავ კომპრომისულ წინადადებას იძლეოდნენ მაშინ ბოლშევიკები ბურჟუაზიის მიმართ. ისინი ამბობდნენ: «ბატონებო, თქვენ საქმე გეფუშებათ, ჩვენ კი ხელისუფლებას ჩავუდგებით სათავეში და შევინარჩუნებთ მას. იქნებ კეთილ ინებოთ და მოიფიქროთ, რომ როგორმე, ტეტიურად რომ ვთქვათ, უსკანდალოდ მოაგვაროთ ეს საქმე». ჩვენ ვიცით, რომ იყო არათუ სკანდალები, არამედ აჯანყებათა ცდაც, რომელთაც ახდენდნენ და მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები. ისინი წინათ ამბობდნენ: «თუნდაც ახლავე გადავცემთ ძალაუფლებას საბჭოებსო». ამ დღეებში მე მომიხდა კერენსკის სტატიის წაკითხვა ჩერნოვის წინააღმდეგ პარიზის ჟურნალში (იქ ეს დოვლათი ძალიან ბლომადაა); კერენსკი ამბობს, — განა ჩვენ ხელისუფლებას ვებღაუჭებოდით, მე ჯერ კიდევ დემოკრატიული თათბირის დროს ვაცხადებდი, რომ თუ აღმოჩნდებიან ისეთი პირნი, რომლებიც იკისრებენ ერთგვაროვანი მთავრობის შედგენას, ძალაუფლება გადაეცემა ახალ მთავრობას ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გამოუწვევლად-მეთქი.

ჩვენ უარს არ ვამბობდით მარტო აგვეღო ძალაუფლება. ჩვენ ამას ვაცხადებდით ჯერ კიდევ 1917 წლის ივნისში[44]. 1917 წლის ოქტომბერში საბჭოთა ყრილობაზე ეს განვახორციელეთ. საბჭოების ყრილობამ ბოლშევიკური უმრავლესობა მიიღო. მაშინ კერენსკიმ იუნკრებს მიმართა, კრასნოვთან გაქუსლა, უნდოდა არმია შეეკრიბა და პეტროგრადზე გამოელაშქრა. ჩვენ ცოტათი გვირდები დავუზილეთ მათ; ახლა ისინი ნაწყენი არიან და ამბობენ: «რა მჩაგვრელები არიან, რა დამპყრობლები, რა ჯალათებიო». ჩვენ ვუპასუხებთ:

«თქვენივე თავს დააბრალეთ, მეგობრებო! ნუ გგონიათ, რომ რუსეთის გლეხებმა და მუშებმა დაივიწყეს თქვენი მოქმედება! თქვენ ბრძოლაში გამოგვიწვიეთ ოქტომბერში უაღრესი გაფთრებით, ამის პასუხად ჩვენ წამოვაყენეთ ტერორი და სამმაგი ტერორი, ხ ო ლ ო თ უ კ ი დ ე ვ ს ა ჭ ი რ ო ი ქ ნ ე ბ ა, კ ი დ ე ვ წ ა მ ო ვ ა ყ ე ნ ე ბ თ, თ უ თ ქ ვ ე ნ კ ვ ლ ა ვ შ ე ე ც დ ე ბ ი თ». არც ერთ მუშას, არც ერთ გლეხს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ტერორი აუცილებელია; გარდა ისტერიული ინტელიგენტებისა, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

გაუგონარ ეკონომიურ სიძნელეთა პირობებში ჩვენ მოგვიხდა ომის გადახდა მტერთან, რომელიც ასჯერ აღემატებოდა ჩვენს ძალებს; ცხადია, რომ ამ დროს მოგვიხდა სასწრაფო კომუნისტურ ღონისძიებათა სფეროში შორს წავსულიყავით, იმაზე შორს, ვიდრე საჭირო იყო; ამას ჩვენ გვაიძულებდნენ. ჩვენი მოწინააღმდეგენი ფიქრობდნენ, რომ ისინი ბოლოს მოგვიღებდნენ, მათ ეგონათ, რომ გვაიძულებდნენ არა სიტყვით, არამედ საქმით დავმორჩილებულიყავით. ისინი ამბობდნენ: «არავითარ დათმობაზე არ წავალთო». ჩვენ ვუპასუხეთ: «ცდებით, თუ გგონიათ, რომ უკიდურეს კომუნისტურ ღონისძიებათა მიღებას ვერ გავბედავთ». და ჩვენ გავბედეთ, ჩვენ ეს შევასრულეთ და გავიმარჯვეთ კიდეც. ახლა ჩვენ ვამბობთ, რომ ამ პოზიციებს ვერ შევინარჩუნებთ, ჩვენ უკან ვიხევთ, იმიტომ რომ საკმაო მონაპოვარი გვაქვს, რათა შევინარჩუნოთ საჭირო პოზიციები. მთელი თეთრგვარდიელობა მენშევიკებისა და ესერების მეთაურობით სიხარულით ცას ეწევა და გაიძახის: «ოჰო! თქვენ უკან იხევთ!». — გაიხარეთ, თქვენ ამით ნებივრობთ, — ვეუბნებით ჩვენ. ჩვენთვის ეს ხელსაყრელია, როდესაც ჩვენი მტერი საქმიანი მუშაობის ნაცვლად — ნებივრობს. იზეიმეთ, კიდევ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში გვაყენებთ იმით, რომ ილუზიებით ინებივრებთ თავს. ჩვენ უდიდესი პოზიციები დავიპყარით და ეს პოზიციები რომ არ დაგვეპყრო 1917-დან 1921 წლამდე, უკანდასახევი სივრცე არ გვექნებოდა — არც

გეოგრაფიულად, არც ეკონომიურად და პოლიტიკურად. ჩვენ ვინარჩუნებთ ხელისუფლებას გლეხობასთან კავშირში, ხოლო თუ თქვენ არ გინდათ დათანხმდეთ იმ პირობებს, რომლებსაც ომის დაწყებამდე გთავაზობდნენ, ომის შემდეგ უარეს პირობებს მიიღებთ. ეს ზუსტად არის აღბეჭდილი დიპლომატიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიაში 1917-დან 1921 წლამდე, ასე რომ ეს ოდნავადაც არ არის ბაქიობა. ეს უბრალო აღნიშვნაა, უბრალო გახსენებაა. ბატონ კაპიტალისტებს 1917 წლის ოქტომბერში რომ მიეღოთ ჩვენი წინადადებანი, მათ ხუთჯერ უფრო მეტი ექნებოდათ, ვიდრე ახლა აქვთ. თქვენ სამ წელიწადს იომეთ. რა მიიღეთ? კიდევ გინდათ იომოთ? ჩვენ კარგად ვიცით, რომ თქვენს შორის ყველას როდი სურს ომი. ჩვენ ვიცით, მეორე მხრივ, რომ იმ საშინელი შიმშილობის დროს, მრეწველობის იმ მდგომარეობის დროს, რომელიც ახლაა, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ 1917-დან 1921 წლამდე მოპოვებულ ყველა პოზიციას. ჩვენ მთელი რიგი პოზიციები დავთმეთ. მაგრამ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უკან დახევა, იმ მხრივ, რასაც კაპიტალისტებს ვუთმობთ, დამთავრდა. ჩვენ ავწონ-დავწონეთ ჩვენი ძალები და კაპიტალისტების ძალები. ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი დაზვერვითი სანიმუშო მოძრაობა რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტებთან ხელშეკრულებათა დადების აზრით და ვამბობთ, იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ პარტიის ყრილობაც იტყვის ამას ოფიციალურად რუსეთის ხელმძღვანელი პარტიის სახელით: ახლა შეგვიძლია შევაჩეროთ ჩვენი ეკონომიური უკან დახევა. კმარა. ამაზე მეტს უკან აღარ დავიხევთ და ხელს მივყოფთ იმას, რომ სწორად გავშალოთ და დავაჯგუფოთ ძალები.

როდესაც ვამბობ, რომ ჩვენს ეკონომიურ უკან დახევას ვაჩერებთ-მეთქი, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ოდნავადაც ვივიწყებდე იმ ჯოჯოხეთურ სიძნელეებს, რასაც ჩვენ განვიცდით, და თითქოს მსურდეს ამ მხრივ დაგამშვიდოთ და განუგეშოთ. უკან დახევის საზღვრების საკითხი და ის

საკითხი, ვაჩერებთ თუ არა ამ უკან დახევას, — ეს არ არის იმის საკითხი, თუ რა სიძნელეები დგას ჩვენს წინაშე. ჩვენ ვიცით, თუ რა სიძნელეები დგას ჩვენს წინაშე. ჩვენ ვიცით, თუ რა არის შიმშილი ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით იმ უბედურებათა გამოსწორება, რაც შიმშილით არის გამოწვეული. ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ფინანსური კრიზისი ისეთ ქვეყანაში, რომელიც იძულებულია ივაჭროს და სადაც იმდენი ქაღალდის ფულია გამოშვებული, რომ ქვეყნად ჯერ არ ნახულა. ჩვენ ვიცით ეს სიძნელეები, ვიცით, რომ ეს სიძნელეები უზარმაზარია. არ მეშინია ვთქვა, რომ ეს სიძნელეები თვალუწვდენია. ჩვენ ეს სრულიადაც არ გვაშინებს. პირიქით, ჩვენ ძალას ვპოვებთ იმაში, რომ აშკარად ვეუბნებით მუშებსა და გლეხებს: «აი რა სიძნელეებია თქვენს წინაშე, აი რა საშიშროება გვემუქრება დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ. მოდით ვიმუშაოთ და ფხიზლად ვუყურეთ ჩვენს ამოცანებს». თუ ჩვენ ვაჩერებთ ჩვენს უკან დახევას, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ ეს საშიშროება. ჩვენ პირდაპირ ვუყურებთ მას. ჩვენ ვამბობთ: «აი სად არის მთავარი საფრთხე; შიმშილით გამოწვეული უბედურება უნდა განვკურნოთ. ჩვენ იგი ჯერ არ განგვიკურნავს. ჩვენ ჯერ სრულიადაც არ დაგვიძლევია ფინანსური კრიზისი». ასე რომ სიტყვები უკან დახევის შეჩერების შესახებ იმ აზრით სულაც არ უნდა გვესმოდეს, თითქოს გვგონია, რომ საძირკველი (ახალი ეკონომიკისა) უკვე შევქმენით და შეგვიძლია არხეინად ვიყოთ. არა, საძირკველი ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია არხეინად ვუყუროთ მომავალს. ჩვენ გარემოცული ვართ სამხედრო საფრთხითაც, რომლის შესახებ საკმაოდ ვილაპარაკე, და კიდევ უფრო მეტი საფრთხით ვართ გარემოცული შიგნით, სადაც არსებობს ეკონომიური საფრთხე — გლეხობის საშინელი გაჩანაგება, შიმშილი, ფინანსური მოუგვარებლობა. ეს საფრთხე მიტისმეტად დიდია. ჩვენ მოგვეთხოვება ძალთა უდიდესი დაძაბვა. მაგრამ, თუ თავს მოგვახვევენ ომს, ჩვენ

შევძლებთ ვიომოთ. მაგრამ არც მათთვის არის ასე იოლი ომის წარმოება. 1918 წელს მათთვის ადვილი იყო ომის დაწყება და აგრეთვე განგრძობა 1919 წელშიც. მაგრამ 1922 წლამდე მრავალმა წყალმა, სისხლმა და ყოველივე სხვამ ჩაიარა. დასავლეთის მუშები და გლეხები სრულიადაც აღარ არიან ისეთნი, რაც 1919 წელს იყვნენ. არც ის შეიძლება, რომ მოატყუო ისინი ლაპარაკით: ჩვენ გერმანელების წინააღმდეგ ვომობთ, ხოლო ბოლშევიკები ისე, გერმანელების მოციქულები არიან, და მეტი არაფერიო. ჩვენ არ გვიპყრობს პანიკა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გამო. ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება ათეულობით ხელშეკრულება, დადებული რუს და უცხოელ კაპიტალისტებთან. ჩვენ ვიცით, რა სიძნელეები იყო და არის ჩვენს წინაშე. ჩვენ ვიცით, რატომ დებენ ამ ხელშეკრულებებს რუსი კაპიტალისტები. ჩვენ ვიცით, რა პირობების საფუძველზეა დადებული ეს ხელშეკრულებები. ამ კაპიტალისტების უმრავლესობა ამ ხელშეკრულებებს დებს როგორც პრაქტიკოსები, როგორც ვაჭრები. ჩვენც ვდებთ როგორც ვაჭრები. მაგრამ ყოველი ვაჭარი რამდენადმე ითვალისწინებს პოლიტიკას. თუ ეს სულ ველური ქვეყნის ვაჭარი არ არის, იგი გარიგებას არ დადებს იმ მთავრობასთან, რომელიც დიდად მტკიცე, დიდად საიმედო არა ჩანს. ის ვაჭარი, რომელიც ამას ჩაიდენს, ვაჭარი კი არა, რეგვენია. ხოლო ვაჭართა შორის ეს რეგვნები დიდ უმრავლესობას არ შეადგენენ, იმიტომ რომ ვაჭართა ბრძოლის მთელი ლოგიკა აბარგავს ხოლმე მათ ვაჭრული სარბიელიდან. თუ წინათ გვქონდა შეფასება: დენიკინმა გაგლახა, დაამტკიცე, რომ შეგიძლია მისი გალახვაო, — ახლა სხვანაირი შეფასებაა: ვაჭარმა გაგლახა, დაამტკიცე, რომ შეგიძლია აიძულო ის გარიგება დადოს. ჩვენ ეს დავამტკიცეთ. ჩვენ უკვე გვაქვს მთელი წყება ხელშეკრულებები რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უდიდეს კაპიტალისტურ ფირმებთან. ჩვენ ვიცით, რა სურთ მათ. მათ იციან, თუ რა გვსურს ჩვენ.

ახლა მუშაობის ამოცანა ჩვენში რამდენადმე იცვლება. აი ამის შესახებ მინდოდა კიდევ რამდენიმე სიტყვა მეთქვა

ჩემი რამდენადმე ისედაც გაჭიანურებული მოხსენების დამატებით.

იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, როდესაც გენუა იჩენს მერყეობას, რომელსაც, მგონი, ბოლო არ უჩანს, და როდესაც ჩვენ საშინაო პოლიტიკაში ამდენ დათმობაზე წავედით, ახლა უნდა ვთქვათ: «კმარა, მეტი არავითარი დათმობა!». თუ ბატონი კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ შეიძლება კიდევ საქმის გაჭიანურება და რაც უფრო მეტად გააჭიანურებენ, მით უფრო მეტი დათმობა იქნებაო, ვიმეორებ, მათ უნდა ვუთხრათ: «კმარა, ხვალ თქვენ ვერაფერს ვერ მიიღებთ!». თუ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი გამარჯვებების ისტორიამ მათ ვერაფერი ასწავლა, მაშინ — როგორც ნებავთ ისე მოიქცნენ. ჩვენი მხრივ ყველაფერი გავაკეთეთ და ამის შესახებ მთელი ქვეყნიერების წინაშე განვაცხადეთ. იმედი მაქვს, ყრილობაც დაადასტურებს, რომ ამას იქით უკან აღარ ვიხევთ. უკან დახევა გათავდა, ხოლო ამასთან დაკავშირებით ჩვენი მუშაობაც იცვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის განხილვის დროს ჩვენში დღემდე შენიშნულია დიდი ნერვულობა, თითქმის მტკივნეულობამდე მისული; ადგენენ ყოველნაირ გეგმებს და გამოაქვთ ყოველგვარი გადაწყვეტილებები. ამის თაობაზე შემდეგი მინდა ვთქვა. გუშინ «იზვესტიაში» შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე[45]. მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლებს, თუმცა სავსებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება, პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებს არიან გადაყოლილნი. პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს სავსებით სწორია. ჩვენ, მართლაც, იმ ადამიანთა მდგომარეობაში ვიმყოფებით (უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ძალზე სულელურია), რომლე-

ბიც ნიადაგ სხდომებზე არიან, ადგენენ კომისიებს, ადგენენ გეგმებს — დაუსრულებლივ. იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გეგმებს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ, რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხი, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტი, არამედ მუშაც და კომუნისტიც. საკმარისია შემოგვხედოს კაცმა, რას ვაკეთებთ ამ სხდომებზე, როგორ ვმუშაობთ კომისიებში, რომ თქვას: ძ ვ ე ლ ი ო ბ ლ ო მ ო ვ ი დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა, დ ა ს ა ჭ ი რ ო ა ი გ ი დ ი დ ხ ა ნ ს ვ ბ ა ნ ო თ, ვ ა ს უ ფ თ ა ო თ, ვ ჩ ე ჩ ო თ დ ა ვ ა ნ ჯ ღ რ ი ო თ, რ ო მ მ ი ს გ ა ნ რ ა ი მ ე ს ა ხ ე ი რ ო გ ა მ ო ვ ი დ ე ს ო. ამ მხრივ ჩვენს მდგომარეობას უნდა შევხედოთ ყოველგვარი ილუზიების გარეშე. ჩვენ არ მიგვიბაძავს არავისთვის იმათგან, ვინც სიტყვას «რევოლუცია» დიდი ასოთი წერს, როგორც ამას ესერები შვრებიან. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ მარქსის სიტყვები, რომ რევოლუციის დროს ნაკლები სისულელე არ ხდება, ხანდახან კი მეტიცო[46]. ამ სისულელეებს უნდა შევხედოთ საღად და უშიშრად — ეს ჩვენ, რევოლუციონერებმა, უნდა ვისწავლოთ.

ჩვენ ამ რევოლუციაში იმდენი ხელშეუვალი რამ შევქმენით, რამაც უკვე საბოლოოდ გაიმარჯვა და რაც უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ შეშფოთება და ნერვულობა არავითარ შემთხვევაში არ გვმართებს. ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ, ვეყრდნობით რა დაზვერვის შედეგებს, ვამოწმებთ იმას, რაც ჩვენ მიერ გაკეთებულია, — ამ შემოწმებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, აქედან უნდა წავიდეთ წინ. და როდესაც გვიხდება კაპიტალისტებთან ბრძოლის გადატანა, ჩვენ გაბედულად უნდა გავატაროთ ჩვენი ახალი გეზი. მ თ ე ლ ი ჩ ვ ე ნ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ი ს ე უ ნ დ ა ა ვ ა გ ო თ, რ ო მ კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა თ ა ვ ე შ ი ა რ ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ ი ს ე თ ი

ადამიანები, რომელთაც არ აქვთ გამოცდილება ამ საქმეში. ჩვენში ძალიან ხშირად დაწესებულების სათავეში აყენებენ კომუნისტს — ადამიანს უეჭველად კეთილსინდისიერს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში ნაცადს, ადამიანს, რომელსაც გაუვლია საპყრობილე, მაგრამ ისეთს, რომელმაც ვაჭრობა არ იცის, და ამის გამო იგი სახელმწიფო ტრესტის სათავეშია დაყენებული. და აი მას აქვს ყველა უდავო ღირსება, როგორც კომუნისტს, მაგრამ ვაჭარი მას მაინც გალახავს — და ძალიან კარგსაც იზამს. ვინაიდან ტყუილად ხდება, რომ ყოვლად ღირსეულ, საუცხოო კომუნისტებს, რომელთა ერთგულებაში არც ერთ ჭკვათამყოფელს ეჭვი არ შეეპარება, აყენებენ იქ, სადაც უნდა დავაყენოთ მარჯვე, საქმის კეთილსინდისიერად შემსრულებელი ნოქარი, რომელიც თავის მუშაობას გაცილებით უკეთ გაართმევს თავს, ვიდრე უაღრესად ერთგული კომუნისტი. აი სწორედ აქ იჩენს თავს ჩვენი ობლომოვობა.

ჩვენ პრაქტიკულ სამუშაოზე შესასრულებლად დავაყენეთ კომუნისტები, რომლებიც შემკული არიან ყველა მშვენიერი ღირსებით, მაგრამ ამ საქმისთვის სრულიად გამოუსადეგარი არიან. რამდენი კომუნისტი ზის ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში? ჩვენ მოგვეპოვება უამრავი მასალა, საფუძვლიანი შრომები, რომელნიც აღტაცებაში მოიყვანდნენ ფრიად პუნქტუალურ გერმანელ მეცნიერს, ჩვენ მოგვეპოვება ქაღალდების მთელი ზვინები, და საჭიროა პარტისის [47] 50-ჯერ 50 წლის მუშაობა, რომ ყოველივე ამას თავი გაართვას, ხოლო პრაქტიკულად სახტრესტში თქვენ ვერაფერს გახდებით და ვერ გაიგებთ, თუ ვინ რისი პასუხისმგებელია. შეუმოწმებელი რჩება იმ დეკრეტთა პრაქტიკული შესრულება, რომელნიც საკმაოზე მეტი გვაქვს და რომელთაც ისე სახელდახელოდ ვაცხობთ, როგორც ეს მაიაკოვსკიმ დაგვიხატა. სრულდება თუ არა ჩვენში პასუხისმგებელ კომუნისტ მუშაკთა დადგენილებები? შეუძლიათ თუ არა მათ ამ საქმის დაყენება? არა, ეს არ არის, და აი რატომ იცვლება ჩვენი საშინაო პოლიტიკის დედააზრიც. რას წარმოადგე-

ნენ ჩვენი სხდომები და კომისიები? ძალიან ხშირად ეს თამაშობიაა. მას შემდეგ, რაც პარტიის წმენდას შევუდექით და ვთქვით: «ძირს თავკერძნი, პარტიას მიტმასნებულნი, ქურდები» — საქმე გაუმჯობესდა. დაახლოებით ასი ათასი კაცი გავაძევეთ; ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. პარტიის ყრილობაზე ამ საკითხს ჯეროვნად განვიხილავთ. და მაშინ, მე ვფიქრობ, იგივე ბედი ეწევათ იმ ათეულ ათასებს, რომლებიც ახლა მხოლოდ კომისიებს ქმნიან და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევიან და არც შეუძლიათ გასწიონ. აი, როდესაც ასე გავიწმინდებით, ჩვენი პარტია ხელს მოჰკიდებს ფაქტიურ მუშაობას და მას ისევე გაიგებს, როგორც ეს მას ესმოდა სამხედრო სფეროში. რა თქმა უნდა, ეს მუშაობა რამდენიმე თვისა კი არა, წლების საქმეა. ამ საკითხში ჩვენ უდიდესი სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ არ გვეშინია იმის თქმისა, რომ ჩვენი მუშაობის ხასიათი შეიცვალა. ჩვენი ყველაზე უარესი შინაური მტერია — ბიუროკრატი, ეს არის კომუნისტი, რომელიც ზის პასუხსაგებ (ხოლო შემდეგ არაპასუხსაგებზედაც) საბჭოთა პოსტზე და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, როგორც კეთილსინდისიერი ადამიანი. ის ბევრს არაფერს აკეთებს, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსანია. მან ვერ ისწავლა ბრძოლა საქმის გაჯიანურებასთან, მას არ ეხერხება ბრძოლა მასთან, ის ხელს აფარებს მას. ამ მტრისაგან ჩვენ უნდა განვიწმინდოთ და ყველა შეგნებული მუშისა და გლეხის მეოხებით ჩვენ მას გავუსწორდებით. ამ მტრისა და ამ უთავბოლობის და ობლომოვობის წინააღმდეგ მთელი უპარტიო მუშათა და გლეხთა მასა უკლებლივ გაჰყვება კომუნისტური პარტიის მოწინავე რაზმს. ამ მხრივ რაიმე მერყეობა შეუძლებელია.

ვამთავრებ რა სიტყვას, მოკლედ შევაჯამებ ნათქვამს. ჯენუის თამაში, ათურმის თამაში, რომელიც მის გარშემო ხდება, ოდნავადაც ვერ გვაიძულებს მერყეობა გამოვიჩინოთ.

ახლა ჩვენ უკვე ველარ დაგვიჭერენ. ჩვენ მივდი-ვართ ვაჭრებთან და დავდებთ გარიგებებს, განვაგრძობთ დათმობების პოლიტიკას, მაგ-რამ ამ დათმობათა ფარგლები უკვე განსა-ზღვრულია. ის, რაც დღემდე ვაჭრებს მივეცით ჩვენს ხელშეკრულებებში, ეს მოვახდინეთ ჩვენს კანონმდებლობა-ში ნაბიჯის უკან გადადგმის აზრით, და ამაზე შორს ალარ წავალთ.

ამასთან დაკავშირებით იცვლება ჩვენი მთავარი ამოცა-ნები საშინაო, განსაკუთრებით ეკონომიურ პოლიტიკაში. ჩვენ გვესაჭიროება არა ახალი დეკრეტები, არა ახალი და-წესებულებები, ბრძოლის არა ახალი წესები. ჩვენ გვე-საჭიროება ადამიანთა ვარგისობის შემოწ-მება, ფაქტიური შესრულების შემოწმება. შემდეგი წმენდა შეეხება იმ კომუნისტებს, რომელ-თაც ადმინისტრატორებად მოაქვთ თავი. სჯობია გადაბარგდნენ საპროპაგანდო, სააგიტაციო და ყოველგვარ სხვა სასარგებლო სამუშაოს სფეროში — ყველა ისინი, ვინც გართულია ამ კომისიებით, თათბირებით, ლაპარაკით, ხოლო უბრალო საქმეს კი არ აკეთებენ. თხზავენ რაღაც განსაკუთ-რებულს და თავსატეხს და თავს იმით იმართლებენ, რომ ახა-ლი ეკონომიური პოლიტიკაა და ახალი რამ უნდა გამოვიგო-ნოთო. ის საქმე კი, რომელიც მათ მინდობილი აქვთ, არ კეთდება. არ ზრუნავენ იმაზე, რომ დაზოგონ კაპიკი, რომე-ლიც მათ აქვთ მიცემული, და არ ცდილობენ იგი 2 კაპიკად აქციონ, საბჭოთა მილიარდებსა და ტრილიონებზე კი გეგმებსა თხზავენ. აი ამ ბოროტების წინააღმდეგ მივმარ-თავთ ჩვენს ბრძოლას. ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწ-მება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი. ეს რამდენიმე თვის, ერთი წლის საქმე კი არ არის, არამედ რამდენიმე წლის საქ-მეა. პარტიის სახელით ჩვენ ოფიციალურად უნდა ვთქვათ,

თუ რაშია ამჟამად მუშაობის ღერძი, და ამის შესაფერისად უნდა გადავაჯგუფოთ რიგები. მაშინ ამ ახალ სფეროშიც ისეთივე გამარჯვებულნი გამოვალთ, როგორც დღევანდლამდე გამოვდიოდით მუშაობის ყველა იმ სფეროში, რომელთაც კი ხელს ჰკიდებდა გლეხთა მასის მიერ ზურგგამაგრებული ბოლშევიკური პროლეტარული ხელისუფლება. (ტ ა შ ი.)

«პრავდა» № 54,
1922 წ. 8 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მეგრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს[43] საერთო ამოცანების შესახებ ამბ. ტროცკიმ 1—2 ნომრის ფურცლებზე ყველაფერი არსებითი უკვე თქვა და ჩინებულადაც თქვა. მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც უფრო სრულად არკვევენ იმ მუშაობის შინაარსსა და პროგრამას, რაც ჟურნალის რედაქციამ 1—2 ნომრის შესავალ განცხადებაში გამოაქვეყნა.

ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა ისინი, ვინც ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს ირგვლივ გაერთიანდა, კომუნისტები არ არიან, მაგრამ თანამიმდევარი მატერიალისტები კი ყველანი არიანო. ჩემი აზრით, კომუნისტების ეს კავშირი არაკომუნისტებთან აუცილებლად საჭიროა და სწორად განსაზღვრავს ჟურნალის ამოცანებს. კომუნისტების (ისე როგორც საერთოდ იმ რევოლუციონერების, რომლებმაც წარმატებით ჩაატარეს დიდი რევოლუციის დასაწყისი) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში შეცდომა არის ის წარმოდგენა, თითქოს რევოლუცია მარტოოდენ რევოლუციონერებს შეუძლიათ მოახდინონ. პირიქით, ყოველგვარი სერიოზული რევოლუციური მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია შევიგნოთ და განვახორციელოთ ის დებულება, რომ რევოლუციონერებს შეუძლიათ შეასრულონ როლი მხოლოდ როგორც ნამდვილად ცხოველმყოფელი და მოწინავე კლასის ავანგარდს. ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრუ-

ლებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას უნარი შესწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას. მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე.

ეს ითქმის მატერიალიზმისა და მარქსიზმის დაცვის იმ მუშაობაზეც, რომელსაც ხელი მოჰკიდა ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-მ. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მთავარ მიმართულებებს, საბედნიეროდ, თვალსაჩინო მატერიალისტური ტრადიცია მოეპოვება. გ. ვ. პლეხანოვზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ ჩერნიშევსკი, რომლისაგანაც თანამედროვე ნაროდნიკები (სახალხო სოციალისტები, ესერები და სხვ.) ხშირად უკან იხევდნენ მოდურ რეაქციულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა გამოდევნების გამო, მათ თვალს სჭრიდა ევროპული მეცნიერების ვითომდა «უკანასკნელი სიტყვის» ზიზილ-პიპილები და ამ ზიზილ-პიპილების გამო ისინი ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიისადმი, მისი ცრურწმენისა და ბურჟუაზიული რეაქციულობისადმი ლაქიობის ამა თუ იმ სახესხვაობას.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ჩვენ გვყავს — და, უეჭველია, ჯერ კიდევ დიდხანს გვეყოლებიან — მატერიალისტები არაკომუნისტთა ბანაკიდან, და ჩვენი უცილობელი მოვალეობაა ეგრეთწოდებული «განათლებული საზოგადოების» ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩავაბათ თანამიმდევრული და მებრძოლი მატერიალიზმის ყველა მომხრე. დიცგენმა-მამამ, რომელიც არ უნდა აგერიოთ მის იმდენადვე პრეტენზიულ, რამდენადაც უხეირო ლიტერატორ-ვაჟიშვილში, სწორად, სხარტად და ნათლად გამოხატა მარქსიზმის ძირითადი თვალსაზრისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებულ და მათ მეცნიერთა და პუბლიცისტთა შორის მიღებულ ფილოსოფიურ მიმართულებებზე, როცა თქვა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ფილოსოფიის პროფესორები

უმეტეს შემთხვევაში ნამდვილად წარმოადგენენ «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» და მეტს არაფერსო.

ჩვენს, რუსეთის, ინტელიგენტებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი მოწინავეობით, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის მათ მოძმეებსაც, ძალიან არ უყვართ საკითხის გადატანა იმ შეფასების ნიადაგზე, რომელიც მოცემულია დიცგენის სიტყვებით. მაგრამ მათ ეს იმიტომ არ უყვართ, რომ სიმართლე თვალსა სჭრით. საკმარისია ოდნავ მაინც ჩავუფიქრდეთ, თუ როგორ არიან დამოკიდებული თანამედროვე განათლებული ადამიანები გაბატონებული ბურჟუაზიისაგან სახელმწიფოებრივი, შემდეგ საერთო-ეკონომიური, შემდეგ საყოფაცხოვრებო და ყოველგვარი სხვა მხრივ, რომ გავიგოთ დიცგენის მკაცრი დახასიათების აბსოლუტური სისწორე. საკმარისია გავიხსენოთ დიდი უმეტესობა მოდური ფილოსოფიური მიმართულებებისა, რომელნიც ასე ხშირად ჩნდებიან ევროპულ ქვეყნებში, დაწყებული, თუგინდ, იმ მიმართულებებით, რომელნიც რადიუმის აღმოჩენასთან იყვნენ დაკავშირებული, და გათავებული იმ მიმართულებებით, რომელნიც ახლა ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ ეინშტეინს, — რომ წარმოვიდგინოთ კავშირი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ პოზიციას შორის, მის მიერ რელიგიის ყოველგვარი ფორმის მხარისდაჭერასა და მოდურ ფილოსოფიურ მიმართულებათა იდეურ შინაარსს შორის.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, მებრძოლი ორგანო უნდა იყოს, ჯერ-ერთი, «ხუცობის» ყველა თანამედროვე «დიპლომიანი ლაქიის» ურყევი მხილებისა და დევნის აზრით, სულ ერთია, ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები არიან ისინი თუ მოხალისე მსროლელნი, რომელნიც «დემოკრატიულ მემარცხენეებს თუ იდეურ-სოციალისტ» პუბლიცისტებს უწოდებენ თავიანთ თავს.

მეორე, ასეთი ჟურნალი უნდა იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო. ჩვენ გვაქვს უწყებები ან, ყოველ შემთხვევაში,

სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ. მაგრამ ეს მუშაობა ფრიად მოდუნებულად, ფრიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, განიცდის რა, როგორც ჩანს, ჩვენი ჭეშმარიტად რუსული (თუმცა საბჭოური) ბიუროკრატიზმის საერთო პირობების სიმძიმეს. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესავსებად, მის შესასწორებლად და გამოსაცოცხლებლად, ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდასა და ბრძოლას ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნიდეს ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერ იმის შინაარსს გადმოსცემდეს, რაც კი ამ სფეროში საგულისხმო რამ არის.

ენგელსი დიდი ხანია ურჩევდა თანამედროვე პროლეტარიატის ხელმძღვანელებს — ეთარგმნათ და ხალხში მასობრივად გავრცელებინათ XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურა [49]. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს აქამდე არ გაგვიკეთებია (ერთი მრავალ საბუთთაგანი იმისა, რომ რევოლუციურ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ძალაუფლების სწორად გამოყენება). ხანდახან ამ ჩვენს მოდუნებულობას, უმოქმედობასა და უუნარობას ყოველგვარი «მაღალფარდოვანი» მოსაზრებებით ამართლებენ: მაგალითად, ამბობენ, XVIII საუკუნის ძველი ათეისტური ლიტერატურა მოძველდა, არამეცნიერულია, გულუბრყვილოაო და სხვ.. არა არის რა ამ, ვითომდა-მეცნიერულ, სოფიზმებზე უარესი, რომლებითაც ან პედანტობა იფარება, ანდა მარქსიზმის სრული გაუგებლობა. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ მოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც. მაგრამ ამ თხზულებათა გამომცემლებს არავინ უშლის შეამოკლონ ისინი, დაურთონ მოკლე ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია

ბურჟუაზიამ რელიგიის მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან, მიუთითონ სათანადო უახლესი თხზულებანი და სხვ.. მარქსისტისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ.

XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამახინჯებენ მარქსიზმს. მარქსისა და ენგელსის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენში უკვე გადმოთარგმნილია. იმის შიში, რომ ძველი ათეიზმი და ძველი მატერიალიზმი ჩვენში შეუვსებელი დარჩება იმ შესწორებებით, რაც მასში მარქსმა და ენგელსმა შეიტანეს, სრულიად უსაფუძვლოა. ყველაზე მნიშვნელოვანი — და ყველაზე ხშირად სწორედ ამას ივიწყებენ ჩვენი ვითომდა მარქსისტი, ნამდვილად კი მარქსიზმის დამამახინჯებელი კომუნისტები — ეს არის შევძლოთ დავაინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად მიუდგენ

რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები.

მეორე მხრივ, შეხედეთ რელიგიათა თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენლებს. განათლებული ბურჟუაზიის ეს წარმომადგენლები რელიგიური ცრურწმენის თავიანთივე საკუთარ უარყოფას თითქმის ყოველთვის ისეთს მსჯელობებს «დაურთავენ» ხოლმე, რაც მყისვე ამჟღავნებს მათ როგორც ბურჟუაზიის იდეურ მონებს, როგორც «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს».

ორი მაგალითი. 1918 წელს პროფ. რ. ი. ვიპერმა გამოსცა წიგნი: «ქრისტიანობის წარმოშობა» («ფაროსის» გამოც.. მოსკოვი). ავტორი გადმოსცემს თანამედროვე მეცნიერების მთავარ მიღწევებს და არათუ არ ებრძვის იმ ცრურწმენას და ტყუილს, რაც ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, იარაღს შეადგენს, არათუ გვერდს უვლის ამ საკითხებს, არამედ პირდაპირ სასაცილო და ფრიად რეაქციულ პრეტენზიასაც კი აცხადებს: ორივე «უკიდურესობის» — იდეალისტურისა და მატერიალისტურის — მაღლა უნდა დავდგეო. ეს არის ლაქიობა გაბატონებული ბურჟუაზიისა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა ექსპლოატაციით გამოწოვილი მოგებიდან ასეულ მილიონ მანეთს ხარჯავს რელიგიის დასახმარებლად.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, არტურ დრევსი, რომელიც თავის წიგნში: «მითი ქრისტეს შესახებ» აბათილებს რელიგიურ ცრურწმენას და ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ იყოო, წიგნის ბოლოში მაინც მხარს უჭერს რელიგიას, მხოლოდ განახლებულს, განწმენდილს, გაქნილს, ისეთს, რომელსაც უნარი ექნება შეებრძოლოს «დღითი დღე სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ნატურალისტურ ნიაღვარს» (იხ. მე-4 გერმანული გამოცემის 238-ე გვ., 1910 წ.). ეს უკვე წმინდა წყლის, შეგნებული რეაქციონერია, რომელიც აშკარად ეხმარება ექსპლოატატორებს ძველი და დამყაყებული რელიგიური ცრურწმენა ახალი, უფრო მეტად საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენით შესცვალონ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იყო დრეკვის გადმოთარგმნა. ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებმა და ყველა თანამიმდევარმა მატერიალისტმა, რომლებიც ერთგვარად დაკავშირებული არიან ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილთან, განუხრელად უნდა ამხილონ ბურჟუაზიის ეს პროგრესული ნაწილი, როცა იგი რეაქციულობაში ვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო კავშირს XVIII საუკუნის, ე. ი. იმ ეპოქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, როცა იგი რევოლუციური იყო, ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმისა და მატერიალიზმის მიმართ, რადგან დრეკვებთან ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ ზომით «კავშირის» დაჭერა გაბატონებული რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენთვის საკალდებულოა.

ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-მ, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ათეისტურ პროპაგანდას, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვასა და ამ სფეროში ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნებისა და ბროშურების გამოყენება, რომელნიც მრავალ ისეთს კონკრეტულ ფაქტსა და დაპირისპირებას შეიცავენ, რაც ცხადყოფს თანამედროვე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციების კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციებთან.

მეტისმეტად საყურადღებოა ყველა ის მასალა, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხება, სადაც ნაკლებად იჩენს თავს რელიგიისა და კაპიტალის ოფიციალური, კაზიონური, სახელმწიფოებრივი კავშირი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება, რომ ეგრეთწოდებული «თანამედროვე დემოკრატია» (რომლის წინაშე ასე უგუნურად შუბლს იხეთქენ მენშევიკები, ესერები, ნაწილობრივ ანარქისტები და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, ხოლო მისთვის ხელსაყრელია იქადაგოს ყველაზე რეაქციული იდეები,

რელიგია, ბნელეთის მოციქულობა, ექსპლოატატორების დაცვა და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, ჩვენს მკითხველ საზოგადოებას მიაწვდის ათეისტური ლიტერატურის მიმოხილვას და დახასიათებას, თუ მკითხველთა რომელი წრისათვის და რა მხრივ არის შესაფერისი ესა თუ ის ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ რა არის გამოცემული (გამოცემულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ხეირიანი თარგმანები, ასეთები კი არცთუ იმდენად ბევრია) და რა უნდა გამოიცეს კიდევ.

გარდა კავშირისა თანამიმდევარ მატერიალისტებთან, რომლებიც კომუნისტების პარტიას არ ეკუთვნიან, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ მუშაობისათვის, რომელიც მებრძოლმა მატერიალიზმმა უნდა შეასრულოს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების იმ წარმომადგენლებთან კავშირს, რომელნიც მატერიალიზმისაკენ იხრებიან და არ ეშინიათ დაიცვან და იქადაგონ იგი ეგრეთწოდებულ «განათლებულ საზოგადოებაში» გაბატონებულ იდეალიზმისა და სკეპტიციზმისაკენ მოდური ფილოსოფიურ მერყეობათა წინააღმდეგ.

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს 1—2 ნომერში მოთავსებული ა. ტიმირიაზევის სტატია ეინშტეინის რელატივობის თეორიის შესახებ იმედს იძლევა, რომ ჟურნალი ამ მეორე კავშირის განხორციელებასაც შესძლებს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის მძაფრი მსხვრევა, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ძალიან ხშირად წარმოშობს ხოლმე რეაქციულ ფილოსოფიურ სკოლებს და პაწია სკოლებს, მიმართულებებს და პაწია მიმართულებებს. ამიტომ თვალყურის დევნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც უახლესი რევოლუცია ბუნებისმეტყველების სფეროში აყენებს, და ფილოსოფიურ ჟურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბმა, — ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად მებრძოლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება

ვერც მებრძოლი, ვერც მატერიალიზმი. თუ ტიმირიაზევი ჟურნალის პირველ ნომერში იძულებული იყო აღენიშნა, რომ თუმცა ეინშტეინის — რომელიც, ტიმირიაზევის თქმით, თვითონ მატერიალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ არავითარ აქტიურ ლაშქრობას არ ეწევა — თეორიას უკვე ხელი ჩასჭიდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უდიდესმა მასამ, — ეს შეეხება არა მარტო ეინშტეინს, არამედ ბუნებისმეტყველების მთელ რიგ დიდ გარდამქმნელთ, თუ მათ უმრავლესობას არა, დაწყებული XIX საუკუნის დამლევიდან.

და იმისათვის, რომ ასეთ მოვლენას შეუგნებლად არ მოვეპყრათ, უნდა გავიგოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს თანამშრომლებმა უნდა მოაწყონ ჰეგელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. უნდა შეისწავლონ ის დიალექტიკა, რომელსაც მარქსი პრაქტიკულად იყენებდა როგორც თავის «კაპიტალში», ისე თავის ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში და იყენებდა ისეთი წარმატებით, რომ ახლა აღმოსავლეთში (იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი) ცხოვრებისა და ბრძოლისათვის ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე — ე. ი. გამოღვიძება კაცობრიობის იმ ასეული მილიონებისა, რომელნიც დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ და რომელნიც დღემდე თავიანთი ისტორიული უმოქმედობითა და ისტორიული ძილით განაპირობებდნენ დამყაყე-

ბულობასა და ლპობას ევროპის მრავალ მოწინავე სახელმწიფოში, — ცხოვრებისათვის ახალ-ახალ ხალხთა და ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ადასტურებს მარქსიზმს.

რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი გაგება და ასეთი პროპაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უეჭველია, ამ მხრივ პირველი ცდა უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. იმაზე დამყარებით, თუ როგორ იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დავამუშავოთ ეს დიალექტიკა ყოველი მხრივ, დავბეჭდოთ ჟურნალში ნაწყვეტები ჰეგელის უმთავრესი თხზულებებიდან, მატერიალისტურად განვმარტოთ ისინი, კომენტარები გავუკეთოთ დიალექტიკის მარქსისებური გამოყენების ნიმუშებით, აგრეთვე ეკონომიური, პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში დიალექტიკის იმ ნიმუშებით, რომელთაც უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია, მეტისმეტად ბევრს იძლევიან. ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს რედაქტორთა და თანამშრომელთა ჯგუფი, ჩემი შეხედულებით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ «ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტი მეგობრების საზოგადოებას». თანამედროვე ბუნებისმეტყველნი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკაში ჰპოვებენ (თუ შესძლებენ ძებნას და თუ ჩვენც ვისწავლით მათდამი დახმარებას) მთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და რომლებზედაც «ფეხი უსხლტებათ» რეაქციისაკენ ბურჟუაზიული მოდის ინტელიგენტ თაყვანისმცემლებს.

თუ ასეთი ამოცანა არ დავისახეთ და იგი სისტემატურად არ შევასრულეთ, მატერიალიზმი ვერ იქნება მებრძოლი მატერიალიზმი. იგი დარჩება, შჩედრინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არა იმდენად მებრძოლი, რამდენადაც ნაბრძოლი.

უამისოდ დიდი ბუნებისმეტყველნი ისევე ხშირად, როგორც აქამდე, უმწეონი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებაში. ვინაიდან ბუნებისმეტყველება ისე სწრაფად მიდის წინ, ყველა სფეროში ისეთი ღრმა რევოლუციური მსნვრევის პერიოდს განიცდის, რომ ბუნებისმეტყველება ფილოსოფიურ დასკვნათა გარეშე ვერავითარ შემთხვევაში იოლად ვერ წავა.

დასასრულ მოვიყვან მაგალითს, რომელიც ფილოსოფიის სფეროს არ ეკუთვნის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეხება სფეროს საზოგადოებრივი საკითხებისას, რომელთაც აგრეთვე სურს ყურადღება მიაქციოს ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-მ.

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ სინამდვილეში თანამედროვე ვითომდა მეცნიერება როგორ ემსახურება ფრიად უხეშ და უსაზიზღრეს რეაქციულ შეხედულებათა გატარებას.

ამას წინათ გამომიგზავნეს ჟურნალი «ეკონომისტი» № 1 (1922 წ.), რომელსაც «რუსეთის ტექნიკური საზოგადოების» XI განყოფილება სცემს. ამ ჟურნალის გამომგზავნმა ახალგაზრდა კომუნისტმა (რომელსაც, ალბათ, დრო არა ჰქონდა ჟურნალის შინაარსს გაცნობოდა) მოუფიქრებლად ეს ჟურნალი ფრიად დიდი თანაგრძნობით მოიხსენია. ნამდვილად კი, არ ვიცი რამდენად შეგნებულად, ეს ჟურნალი წარმოადგენს იმ თანამედროვე მებატონეთა ორგანოს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მეცნიერულობის, დემოკრატიზმისა და სხვ. სამოსში ეხვევიან.

ვინმე ბ-ნი პ. ა. სოროკინი ამ ჟურნალში ათავსებს ვრცელ ვითომდა «სოციოლოგიურ» გამოკვლევებს «ომის გავლენის შესახებ». მეცნიერული სტატია აჭრელებულია მეცნიერული მითითებებით ავტორისა და მისი მრავალრიცხოვანი უცხოელი მასწავლებლისა და ამხანაგის «სოციოლოგიურ» შრომებზე. აი როგორია მისი მეცნიერულობა:

83-ე გვერდზე ვკითხულობ:

«პეტროგრადში ახლა 10 000 ქორწინებაზე მოდის 92,2 განქორწინება — ფანტასტიკური ციფრია, ამასთანავე 100 განქორწინებიდან 51,1 ქორწინება იყო ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლიობისა, 11% — ერთ თვეზე ნაკლებისა, 22% — ორ თვეზე ნაკლებისა, 41% — 3 — 6 თვეზე ნაკლებისა და მხოლოდ 26% იყო 6 თვეზე მეტი ხანგრძლიობისა. ეს ციფრები იმას მეტყველებენ, რომ თანამედროვე ლეგალური ქორწინება — ფორმაა, რომელიც არსებითად ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობას ჰფარავს და «მარწყვის» მოყვარულთ საშუალებას აძლევს «კანონიერად» დაიკმაყოფილონ თავიანთი მადა» («ეკონომისტი» № 1, გვ. 83).

ეჭვი არ არის, რომ ეს ვაჟბატონიც და რუსეთის ის ტექნიკური საზოგადოებაც, რომელიც ჟურნალს სცემს და შიგ მსგავს ლათაიებს ათავსებს, თავიანთ თავს დემოკრატიის მომხრედ თვლიან და უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევენ, როცა მათ ნამდვილ სახელს, ე. ი. მებატონეებს, რეაქციონერებს, «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» უწოდებენ.

ქორწინების, განქორწინებისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობის სულ მცირეოდენი გაცნობა, აგრეთვე ამ მხრივ საქმის ფაქტიური მდგომარეობის გაცნობა, ცხადყოფს ამ საკითხით დაინტერესებული ყოველი ადამიანისთვის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია, თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი, ამ მხრივ ქალისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთადმი სწორედ ბატონყმურ დამოკიდებულებას იჩენს.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტთა ნაწილს და დასავლეთ ევროპის ყველა სათანადო პარტიას განაგრძონ ყვირილი დემოკრატიაზე და ბოლშევიკების მიერ მის დარღვევაზე. ნამდვილად კი სწორედ ბოლშევიკური რევოლუციაა ერთადერთი თანამიმდევრულ-დემოკრატიული რევოლუცია ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტის ინტერესებს ეხება უშუალოდ. პირველად მხოლოდ ბოლშევიკურმა

რევოლუციამ, მიუხედავად მისი წინამორბედი მრავალი ბურჟუაზიული რევოლუციისა, თავის თავს დემოკრატიულს რომ უწოდებდა, — ჩაატარა შეუპოვარი ბრძოლა ამ მხრივ, როგორც რეაქციულობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ისე მმართველ და შეძლებულ კლასთა ჩვეულებრივი ფარისევლობის წინააღმდეგ.

თუ ბ-ნ სოროკინს 10 000 ქორწინებაზე 92 განქორწინება ფანტასტიკურ ციფრად ეჩვენება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან ავტორი რომელიმე ისეთს კარჩაკეტილ მონასტერში ცხოვრობდა და იზრდებოდა, რომ მსგავსი მონასტრის არსებობა საეჭვოა ვინმემ დაიჯეროს, ანდა ეს ავტორი რეაქციისა და ბურჟუაზიის საამებლად სიმართლეს ამახინჯებს. ყოველმა ადამიანმა, ვინც კი რამდენადმე მაინც იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების საზოგადოებრივ პირობებს, იცის, რომ ფაქტიურ განქორწინებათა (რა თქმა უნდა, ეკლესიისა და კანონის მიერ დაუდასტურებელთა) ფაქტიური რიცხვი ყველგან განუზომლად უფრო მეტია. რუსეთი ამ მხრივ სხვა ქვეყნებისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ მისი კანონები პატივით კი არ მოსავენ ფარისევლობასა და ქალის და მისი ბავშვის უუფლებო მდგომარეობას, არამედ აშკარად და სახელმწიფო ხელისუფლების სახელით სისტემატურ ომს უცხადებენ ყოველგვარ ფარისევლობასა და ყოველგვარ უუფლებობას.

მარქსისტულ ჟურნალს მოუხდება ომის წარმოება ამგვარ თანამედროვე «განათლებულ» მებატონეთა წინააღმდეგაც. ალბათ, მათი არც ისე მცირე ნაწილი ჩვენში სახელმწიფო ფულსაც კი იღებს და სახელმწიფო სამსახურშიც ირიცხება ახალგაზრდობის გასანათლებლად, თუმცა ამ მიზნისათვის ისინი გამოსადეგნი არიან იმდენადვე, რამდენადაც აშკარა გამხრწნელნი გამოდგებოდნენ მცირეწლოვანთა სასწავლებლებში აღმზრდელთა როლისათვის.

რუსეთში მუშათა კლასმა შესძლო ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ მისი გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მსგავს მასწავლებლებს და სამეც-

ნიეტო საზოგადოებათა წევრებს დიდი ხანია ზრდილობიანად გაისტუმრებდა ბურჟუაზიული «დემოკრატიის» ქვეყნებში. ასეთი მებატონეებისთვის სწორედ იქ არის შესაფერისი ადგილი.

ისწავლის, ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა.

1922. 12. III.

«პოდ ზნამენემ მარკსიზმა» № 3,
1922 წ. მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ
«პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს
ტექსტის მიხედვით

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ [50]

1. სათაური არ ვარგა. ეს არის არა «ძირითადი პრინციპები», რომელნიც უკვე დადგენილია პროგრამით, არამედ «სოფლად რკ პარტიის მუშაობის დაყენების შესახებ მიმდინარე მომენტის პირობებში».

ჩემი წინადადებაა: დაავალოთ ავტორს შ ე ა მ ც ი რ ო ს და ნაწილობრივ შეცვალოს თეზისები თემის ამ შეცვლასთან შეფარდებით. კერძოდ, შეცვალოს ზოგადპრინციპული განმეორებანი (მათ ადგილი დაეთმობათ ფურცელში, სადაც განმარტებული და კომენტირებული იქნება ყრილობის მომავალი გადაწყვეტილება) და უფრო დეტალურად განავითაროს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი, განსაკუთრებით ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი დასკვნები.

2. პირველი პარაგრაფის სათაური: «სოციალური ურთიერთობანი» ნაცვლად მხოლოობითი რიცხვისა.

(გადაწერილია დაუდევრად: «გაერთიანებანი» ნაცვლად «გ ა ღ ა რ ი ბ ე ბ ი ს ა»
«უფართობონი» ნაცვლად «უცხენონი»-სა...)

3. პირველ პარაგრაფში განსაკუთრებით ბევრია გაჭიანურებული ადგილი: ბევრი რამ ბროშურაში უნდა გადავიტანოთ.

4. «კოოპერაციაში გაერთიანების» შესახებ პირველ პარაგრაფშიც და სხვა პარაგრაფებშიც ლაპარაკია დაუსაბუთებლად

და აბსტრაქტულად. ეს უკვე უმარავჯერ არის ნათქვამი და მომაბეზრებელია. საჭიროა სრულიად სხვანაირად გადმოიცეს, საჭირო არ არის განმეორება ცარიელი ლოზუნგისა: «გაერთიანდით კოოპერაციაში!», არამედ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ უნდა მ ი ვ უ თ ი თ ო თ, რაში მდგომარეობს კოოპერაციაში გაერთიანების **პრაქტიკული გამოცდილება** და **როგორ** დავეხმაროთ მას. თუ ავტორს ეს მასალა არ მოეპოვება, ყრილობის გადაწყვეტილებაში შეტანილ უნდა იქნეს მ ო თ ხ ო ვ ნ ა — ეს მასალა შეიკრიბოს და დამუშავდეს არა აკადემიურად, არამედ პრაქტიკულად. (ამხ. პრეობრაჟენსკის ყველა თეზისი არქიაკადემიური და გადამლაშებულად აკადემიურია; ეს არის ინტელიგენტურობა, წრეობანა, ლიტერატურულობა და არა პრაქტიკული სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობა.)

5. «კოლექტიური მეურნეობების გამოკლებით» არა განვითარება, არამედ «ტენდენცია დაქვეითებისა» (ღარიბთა მეურნეობებში). არ ვარგა. ჯერ-ერთი, დამტკიცებული არ არის, რომ «კოლექტივებს» საერთოდ უკეთ ჰქონდეთ საქმე. არ უნდა გავაღიზიანოთ გლეხები ცრუ კომუნისტური მკვეხარობით. მეორეც, არა «ტენდენცია დაქვეითებისა», არამედ განვითარების შეფერხება ყ ვ ე ლ გ ა ნ; დაქვეითება — ხ შ ი რ ა დ.

6. რომ «ყაირათიანი გლეხობა» **«გატაცებულია»**, «სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაუმჯობესების ამოცანით», ეს უხერხული გამოთქმაა და, სამწუხაროდ, ესეც «კომუნისტური მკვეხარობაა». უნდა ითქვას: «იწყებს, თუმცა ნელნელა» (§ I).

7. «გლეხთა (?) თანასწორობა ქარწყლდება» (?). ასე არ შეიძლება ითქვას.

პირველი პარაგრაფის ბოლო სრულიად არ ვარგა: სტატიაა და არა თეზისები; ვარაუდებია, უმონაცემებოდ.

8. მეორე პარაგრაფის დასაწყისი არქი-არაპოპულარულია. არსებითადაც თეზისებში უადგილოა. სულ სხვა რამაა.

9. მეორე პარაგრაფის მეორე ფრაზა («ღარიბკომთა წესების» წინააღმდეგ) მავნეა და უმართებულო, რადგან ომს,

მაგალითად, შეუძლია გაიძულოს მიმართო ლარიბკომთა წესებს.

ამაზე სულ სხვანაირად უნდა ითქვას. მაგალითად, ასე: ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობას და მისი პროდუქციის გადიდებას, ამჟამად პროლეტარიატის პოლიტიკა კულაკობისა და შეძლებული გლეხობის მიმართ უმთავრესად მიმართული უნდა იყოს მის ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს ა კ ე ნ და სხვ.

ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იცოდეს როგორ შეზღუდოს ეს მისწრაფებები, როგორ დაიცვას ღარიბები და ეს კიდევაც შეუძლია მას, ეს არის მთელი არსი. ეს უნდა შევისწავლოთ და სხვებიც უნდა ვაიძულოთ შეისწავლონ პრაქტიკულად, ზოგადი ფრაზები კი ფ უ ჭ ი ა.

10. მეორე პარაგრაფის უკანასკნელი სიტყვები სწორია, მაგრამ პოპულარული არ არის და არც განვითარებულია. საჭიროა მასზე მუშაობა.

11. მესამე პარაგრაფში ფრაზა: «მოწყვეტა» და სხვ. სავსებით დამახინჯებულია.

12. არსებითად მთელ მესამე პარაგრაფში სჭარბობს ზოგადი ადგილები. ეს არ ვარგა. მათი ასე ხელაღებით განმეორება მავნებელია; ეს გამოიწვევს გულისრევას, მობეზრებას, გაბოროტებას ცოხნის წინააღმდეგ.

ამის ნაცვლად უმჯობესია თუნდაც ერთი მ ა ზ რ ი ს აღება და ს ა ქ მ ი ა ნ ი ანალიზით ჩვენება, როგორ უნდა დაეხმარო «კოოპერაციაში გაერთიანებას» და არ გააბოროტო გლეხები კ ო ო პ ე რ ა ც ი ო ბ ა ნ ა ს ს უ ლ ე ლ უ რ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი თ ა მ ა შ ი თ; — როგორ და სახელდობრ რაში დავეხმარეთ ს ა ქ მ ი თ აგრონომიულ გაუმჯობესებათა შეტანას და სხვ. და რაში უნდა დავეხმაროთ და სხვ.

სხვა მიდგომაა თემისადმი. მავნე მიდგომაა. ყველას გულს ურევს ზოგადი ფრაზები. ზოგადი ფრაზები ა ვ რ ც ე ლ ე ბ ს ბიუროკრატიზმს და ხელს უწყობს მას.

13. მეოთხე პარაგრაფის დასაწყისი განსაკუთრებით უხეიროა. ეს არის არაპოპულარული სტატია და არა თეზისები ყრილობისათვის.

შემდეგ. «დირექტივები დეკრეტის წესით», აი რას გვირჩევს ავტორი. ეს ძირიანფესვიანად შემცდარია. ბიუროკრატიზმი სწორედ იმიტომ გვიხუთავს სულს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვთამაშობთ «დირექტივობიას დეკრეტის წესით». ამაზე უარესს და უფრო მავნებელს ავტორი ვერაფერს მოიგონებდა.

შემდეგ. რკ პარტიის ყრილობაზე იმის თქმა, რომ «საჭიროა განვახორციელოთ საბჭოების IX ყრილობის გადაწყვეტილებებიო», ეს არქისკანდალია. ამისთვის იწერებოდეს თეზისები!!

მთელი პარაგრაფი არ ვარგა. ზოგადი ადგილები. ფრაზები. ყველასთვის მომაბეზრებელი სურვილები. ეს არის სწორედ თანამედროვე «კომბიუროკრატიზმი».

ამის ნაცვლად უმჯობესია ავიღოთ პრაქტიკული გამოცდილების მონაცემები თუნდაც ერთი მაზრისა, — თუნდაც ერთი ვოლოსტისა, — და დავამუშაოთ იგი არა აკადემიურად, არამედ პრაქტიკულად: ისწავლეთ, ძვირფასო კომბიუროკრატებო, აი ესა და ესა არ გააკეთოთ (კონკრეტულად, მაგალითებით და ადგილების დასახელებით, ფაქტების ზუსტი აღნიშვნით), ხოლო აი ესა და ეს გააკეთოთ (ასევე კონკრეტულად).

«კოოპერაციის» მიმართ თეზისების ეს ნაკლი აქ, მეოთხე პარაგრაფში, განსაკუთრებით დიდია და განსაკუთრებით მავნებელი.

14. მეხუთე პარაგრაფში «სოფლის მეურნეობის პროლეტარიატის კადრებად» ცხადდება «საბჭოთა მეურნეობების მუშები». ეს არ არის სწორი. ეს «კომყოყოჩობაა». გაცილებით უფრო ხშირად ეს **არ** არის პროლეტარიატი, არამედ ესენი არიან «პაუპერები», წვრილი ბურჟუები, და ყველაფერი რაც გნებავთ. არ უნდა მოვიტყუოთ თავი სიცრუით. ეს მავნებელია.

ეს არის ჩვენი ბიუროკრატიზმის მთავარი წყარო. და ეს ამაოდ აღიზიანებს გლეხებს, შეურაცხყოფს მათ. ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში «სოფლის მეურნეობის პროლეტარიატის კადრებზე» ჯერჯერობით ჭკუასთან უფრო ახლოს იქნება გავჩუმდეთ.

შემდეგ სწორად არის ნათქვამი, რომ ამ «პროლეტარიატის» (რომელიც «ფრიად სხვადასხვაგვარია და ჭრელი»: სწორია! და ამიტომ უფრო ჰგავს... რაღაც უხამსს, მაგრამ არა «კადრებს») დარაზმვა «ძალიან ძნელიაო».

სწორია! და ამიტომაც არ უნდა ითქვას ისეთი რამეები, როგორც «საბჭოთა მეურნეობების შემადგენლობა უნდა გაიწმინდოს წვრილმესაკუთრე ელემენტებისაგან», რადგან ეს გამოიწვევს ს ი ც ი ლ ს, და კანონიერადაც (მსგავსად გლეხთა ქოხების ცუდი ჰაერისაგან გაწმენდისა).

უმჯობესია გავჩუმდეთ.

15. მეექვსე პარაგრაფში (მხოლოდ!) იწყება პრაქტიკული ამოცანებისადმი მიდგომა. მაგრამ ეს მიდგომაც ისე სუსტია, ისე უმნიშვნელოდ არის დასაბუთებული პრაქტიკული გამოცდილებით, რომ იძულებული ხდები გამოიყვანო დასკვნა (ზემოთ, პირველ მუხლში, აღნიშნული წინადადების შესაცვლელად):

> თეზისები მიჩნეულ იქნეს შეუფერებლად;
>
> დაევალოს ავტორს პლუს ოსინსკის პლუს ტეოდოროვიჩს პლუს იაკოვენკოს მოაწყონ ყრილობაზე სოფლად მომუშავე დელეგატთა თათბირი;
>
> თათბირის თემა გახდეს არა «პრინციპები» და სხვ., არამედ მხოლოდ და მხოლოდ **პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და შეფასება:**
>
> > როგორ მოვახდინოთ კოოპერაციაში გაერთიანება?
> >
> > როგორ ვებრძოლოთ ცუდ საბჭოთა მეურნეობებს? ცუდ კოოპერატივებს და კოლექტივებს?

როგორ გავაძლიეროთ «ვსერაბოტზემლესი»[51]? (ჩავაყენოთ იქ ავტორი ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ა დ სამუშაოდ).

ცენტრალური კომიტეტის სახელით ამ თათბირს ამოცანად დავუყენოთ — საერთო ადგილების განმეორებას კი არ მიმართონ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დეტალურად შეისწავლონ ადგილობრივი (სამაზრო, სავოლოსტო, სასოფლო) **პრაქტიკული** გამოცდილება; თუ ასეთი გამოცდილება მცირეა (ალბათ, მცირეა, რადგან არავინ გარჯილა შეეგროვებინა; შეუგროვებელი გამოცდილება კი ძალიან ბევრია), უმჯობესია ყრილობამ აირჩიოს

(ა) ამ პრაქტიკული გამოცდილების შემსწავლელი კომისია;

(ბ) ეს კომისია დაუმორჩილოს ცენტრალურ კომიტეტს;

(გ) შეიყვანოს მასში ამხ. პრეობრაჟენსკი;

(დ) » ის «ვსერაბოტზემლესი»...

(ე) დაავალოს კომისიას შეაგროვოს გამოცდილება, იმუშაოს, შეიმუშაოს (მთელი რიგი სტატიების შემდეგ)

(ახალი) ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს წ ე რ ი ლ ი სოფლად მუშაობის დაყენების შესახებ საკანონმდებლო უკონკრეტულესი მითითებით, რ ო გ ო რ გააერთიანონ კოოპერაციაში, რ ო გ ო რ «შეზღუდონ» კულაკები საწარმოო ძალთა ზრდის შეუჩერებლად, რ ო გ ო რ წაიყვანოს საქმე «ვსერაბოტზემლესმა», რ ო გ ო რ გააძლიერონ იგი და სხვ. და სხვ.

ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის სახელით მომზადდეს ასეთი (დაახლოებით):

ფაქტები გვიჩვენებს, და ყრილობის სპეციალური კომისია ადასტურებს, რომ სოფლად მუშაობის სფეროში პარტიის მთავარი ნაკლია . პრაქტიკული გამოცდილების შეუსწავლელობა. ეს არის ფესვი ყველა უბედურებისა და მთელი ბიუროკრატიზმისა. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს პირველ რიგში ამას ებრძოლოს.

სხვათა შორის, ამა და ამ კომისიის დახმარებით, რომლის 1 წევრი — (ან 2, 3) «ვსერაბოტზემლესშია» მ უ დ მ ი ვ სამუშაოზე.

კომისიამ უნდა ბეჭდოს ფურცლები, ბროშურები, სისტემატურად შეისწავლოს გამოცდილება, რომ ურჩიოს და უბრძანოს, სახელდობრ როგორ წარმართონ მუშაობა, როგორ არ უნდა წარმართონ.

ლ ე ნ ი ნ ი

1922. 16. III.

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი პასუხისა ე. ვანდერველდეს [5]

1922 წ. 17 მარტი.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის არც ერთ წევრს არასოდეს ეჭვი არ შეპარვია იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები მუდამ განუხრელად ატარებდნენ იმ პოლიტიკას, რომელსაც მცირეოდენი მერყეობით ატარებდნენ აგრეთვე «ვენის სოციალისტური გაერთიანების» წარმომადგენლები. სწორედ ისინი ატარებდნენ იმ ექსპლოატატორულ კლასებთან როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კავშირის პოლიტიკას, რომლებიც ყველა ქვეყანაში დევნიდნენ და კლავდნენ კომუნისტებს, რის მაგალითი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და თვალსაჩინოა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მხოლოდ ამ გაერთიანებით და ესერებისა და მენშევიკების პარტიებს შორის არსებული პოლიტიკური სიახლოვით, — რომლებიც ფაქტიურად ხელს უწყობდნენ კოლჩაკის, დენიკინისა და სხვათა შემოსევას რუსეთზე, — მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის მიმნდობლობა, რასაც ამჟამად იჩენენ ესერებისა და მენშევიკებისადმი დასავლეთ ევროპის გარკვეული პოლიტიკური წრეები. ნამდვილად კი არათუ გამოტანილი არ არის განაჩენი ესერების საქმეზე, რის შესახებაც თქვენ იწერებით, არამედ სასამართლოც კი არ შემდგარა და ბრალდებულთ ჯერ ჩაბარებულიც კი არა აქვთ საბრალდებო აქტი. ყოველ შემთხვევაში, მოვალეობად ვრაცხ დავუმატო,

რომ საბჭოთა მთავრობას უარი არ უთქვამს საქმიან წინადადებებზე, როგორიცაა ტყვეთა გაცვლის ან ამა თუ იმ კატეგორიის ტყვეთა განთავისუფლების წინადადება, როდესაც ასეთ წინადადებას იძლეოდა დენიკინის მთავრობა საბჭოთა რუსეთზე მისი პირდაპირი შემოსევის დროს მემამულეთა ძალაუფლების აღდგენის მიზნით.

იბეჭდება პირველად
საწერ მანქანაზე დაბეჭდილი
ასლის მიხედვით

წინასიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით»

მთელი სულითა და გულით მივაქცევ ყველა კომუნისტის ყურადღებას ამხ. სტეპანოვის ამ ნაშრომზე.

ავტორმა შესძლო შესანიშნავი ოსტატობით გადმოეცა უძნელესი და უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორი ძალიან კარგად მოიქცა, რომ გადაწყვიტა ეს წიგნი დაეწერა არა ინტელიგენტებისთვის (როგორც ჩვენში მიღებულია წიგნის წერა ბურჟუაზიულ მწერალთა უცუდესი მანერების მიბაძვით), არამედ მშრომელებისათვის, ხალხის ნამდვილი მასისათვის, უბრალო მუშებისა და გლეხებისათვის. დამატებად ავტორმა მოათავსა ლიტერატურული საძიებელი როგორც იმათთვის, ვისთვისაც ძნელი იქნებოდა ამხ. სტეპანოვის გადმოცემის ზოგიერთი ადგილის განუმარტებლად გაგება, ისე იმათთვის, ვისაც სურს იცოდეს, რა და რა მთავარი ნაშრომებია საერთოდ რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში ამ საკითხზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI თავის დასაწყისი, სადაც ავტორი მშვენივრად გადმოსცემს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობას და შემდეგ ჩინებულად უარყოფს გაცვეთილ «ზერელე» სკეპტიციზმს ელექტროფიკაციის შესახებ; ეს სკეპტიციზმი ჩვეულებრივ ფარავს საგანზე სერიოზული დაფიქრების უუნარობას (თუ ეს სკეპტიციზმი არ წარმოადგენს, რაც ზოგჯერ აგრეთვე ხდება, თეთრგვარდიელების, ესერებისა და მენშევიკების საერთოდ ყოველგვარი საბჭოთა მშენებლობისადმი მტრობის დაფარვას).

სახალხო განათლების სფეროში ნამდვილი (და არა მოხელურ-უმაქნისო) მუშაობისათვის ჩვენ ყველაზე მეტი გვაკლია სწორედ აი ასეთი «სასკოლო სახელმძღვანელოები» (საერთოდ ყველა, უეჭველად ყველა სკოლისთვის). ყველა ჩვენი მარქსისტი ლიტერატორი იმის ნაცვლად, რომ თავის ძალ-ღონეს ანდომებდეს ყველასათვის მობეზრებულ საგაზეთო და საჟურნალო პოლიტიკურ ლაქლაქს, ჩაუჯდებოდეს ასეთი სახელმძღვანელოების ან დამხმარე წიგნების წერას. გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაშინ აღარ გვექნებოდა ისეთი სამარცხვინო მდგომარეობა, რომ თითქმის ხუთი წლის შემდეგ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებიდან, მ ი ს, პროლეტარიატის, სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდობას ასწავლიან (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რყვნიან) ძველი ბურჟუაზიული მეცნიერები ძველ ბურჟუაზიულ ხარახურას.

საბჭოების მერვე ყრილობამ დაადგინა, რომ ელექტროფიკაციის გეგმის სწავლება სავალდებულოა რსფს რესპუბლიკის ყველა — გამოუკლებლივ ყველა — სასწავლებელში [53]. ეს დადგენილება, როგორც ბევრი სხვაც, ქაღალდზე დარჩა ჩვენი (ჩვენი, ბოლშევიკების) უკულტურობის გამო. ახლა, როცა გამოქვეყნდა ამხ. სტეპანოვის ეს «სასკოლო სახელმძღვანელო», უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ — და კიდევაც მივაღწევთ! — იმას, რომ ყოველ სამაზრო (შემდეგ კი ყოველ სავოლოსტო) ბიბლიოთეკაში იყოს ამ «სახელმძღვანელოს» რამდენიმე ეგზემპლარი; — რომ რუსეთის ყოველ ელსადგურთან (მათი რიცხვი კი 800-ზე მეტია) არათუ იყოს ეს წიგნი, არამედ უსათუოდ ეწყობოდეს საყოველთაოდ მისაწვდომი სახალხო კითხვა ელექტრობაზე და რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაციაზე და საერთოდ ტექნიკაზე; — რომ ყოველმა სახალხო მასწავლებელმა ყოველ სკოლაში წაიკითხოს და შეითვისოს ეს «სახელმძღვანელო» (ამ საქმის დასახმარებლად ყოველ მაზრაში უნდა მოეწყოს ინჟინერთა და ფიზიკის მასწავლებელთა წრე ან ჯგუფი), და არათუ წაიკითხოს,

გაიგოს და შეითვისოს თვითონ, არამედ უნდა შესძლოს ამის უბრალოდ და გასაგებად გადაცემა სკოლის მოწაფეებისათვის და საერთოდ გლეხური ახალგაზრდობისათვის.

ამის მიღწევას ცოტა შრომა როდი დასჭირდება. ჩვენ ღატაკი და უკულტურო ადამიანები ვართ. არა უშავს რა. ოღონდ შეგნება იყოს იმისა, რომ საჭიროა სწავლა. ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა. ოღონდ ნათლად შევიგნოთ ის, რომ ახლა მუშასა და გლეხს სწავლა ესაჭიროებათ არა იმისთვის, რომ «სარგებლობა» და მოგება მოუტანონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არამედ **საკუთარი** ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ეს კი ჩვენ გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვისწავლით და კიდევაც შევისწავლით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1922. 18. III.

«პრავდა» № 64, 1922 წ. 21 მარტი

იბეჭდება წიგნის — ი. სტეპანოვი. «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით». მოსკოვი, 1922 — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

წერილი ი. ბ. სტალინს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ

1922. 21. III.

ვესაუბრე ციურუპას და რიკოვს. იმედი მაქვს, რომ მუშაობა კარგად წავა. სხვათა შორის ერთი საკითხი შეეხება თქვენს სახალხო კომისარიატს. ციურუპას და რიკოვის მთავარ ამოცანას შეადგენს (მთავარი ამოცანა უნდა იყოს ახლა) შესრულების შემოწმება, ადამიანთა შერჩევა.

საჭირონი არიან თანაშემწეები. მარტო სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოს აპარატი ამას ვერ გასწვდება, ხოლო მისი გადიდება რაციონალური არ იქნება. მე ის აზრი გამოვთქვი, რომ ამ საქმეში (უშუალო დახმარება ციურუპასი და რიკოვისათვის შესრულების შემოწმების, სახალხო კომისარიატთა ძირა ორგანიზაციების მეთვალყურეობის საქმეში) გამოვიყენოთ მუშგლეხინი. მინდა ვიცოდე, მოიწონებთ თუ არა თქვენ; თუ ჰო, საჭიროა წერილობით შეუთანხმდეთ მოადგილეებს, და ამ შეთანხმების შემუშავებაში მინდოდა მონაწილეობა მიმეღო.

მიზანი: მუშგლეხინის საუკეთესო მუშაკთაგან, რომელთაც ციურუპა და რიკოვი შეარჩევენ, თქვენთან შეთანხმებით, განსაკუთრებით უნდა მოამზადოთ (უნდა გამოცადოთ ისინი როგორც თქვენ, ისე ორივე მოადგილემ პრაქტიკული დავალებებით) უეჭველად საიმედო ადამიანები, რომელთაც ეცოდინებათ სწრაფად და უსათუოდ ა) მიაღწიონ შესრულებას; ბ) შეამოწმონ შესრულება; ვ) შეამოწმონ აპარატის სწორად დაყენება ამა თუ იმ სახალხო

კომისარიატში, განყოფილებაში, მოსკოვის თუ პეტროგრადის საბჭოში და სხვ.; დ) გაუწიონ ინსტრუქტაჟი, თუ როგორ დააყენონ მუშაობა.

ეს ადამიანები პირადად მოახსენებენ მოადგილეებსა და თქვენ მუშაობის მსვლელობას და შედეგს. ეს ადამიანები შერჩეულ უნდა იქნენ ძალიან გულდასმით იმ ანგარიშით, რომ მხოლოდ მრავალგზის გამოცდის შემდეგ გავხადოთ ისინი, ასე ვთქვათ, «განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილ» ინსპექტორებად და ინსტრუქტორებად; მათი რიცხვი, თანდათან, აყვანილ უნდა იქნეს რამდენიმე ათეულამდე. ისინი, თავის მხრივ, მუშგლეხინში სამუშაოდ (ფაქტიურად) ჩააბამენ უპარტიო მუშებსა და გლეხებს.

თუ მოიწონებთ, ამის ასლი გაუგზავნეთ ციურუპას და რიკოვს, თქვენი მინაწერით. თუ საწინააღმდეგო გაქვთ რაიმე, დაუყოვნებლივ მომწერეთ (ან დამირეკეთ). მე მინდა ამაზე ვილაპარაკო მოხსენებაში ყრილობაზე.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა
1930 წ. 21 იანვარს გაზეთ
«პრავდაში» № 21

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

«ბედნოტის»[54] ოთხი წლის იუბილესათვის

მივესალმები «ბედნოტის» რედაქციას გაზეთის ოთხი წლის იუბილეს გამო.

ოთხი წელიწადი ღირსეულად და წარმატებით იღვწოდა გაზეთი, რომ სამსახური გაეწია მშრომელი გლეხობის ინტერესებისათვის. კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ ხალხებისთვის თავს მოხვეულმა ომმა ისე გააჩანაგა რუსეთი, რომ მშრომელი გლეხობა ჩვენში ჯერ კიდევ ღარიბია. ჯერ კიდევ ბევრი და მძიმე მუშაობა მოელის რუსეთის მშრომელ მასებს, რომ დაძლიოს შიმშილი და სიღატაკე, გაჭირვება და გაჩანაგება, რაც გამოწვეულია ომის შედეგებით.

მაგრამ ამ მძიმე სამუშაოს რუსეთის გლეხები და მუშები შეასრულებენ და რადაც უნდა დაჯდეს ბოლომდე მიიყვანენ. ამ მუშაობაში მუშებსა და გლეხებს გაამხნევებს და განამტკიცებს იმის შეგნება, რომ ისინი ახლა იშრომებენ საკუთარი თავისთვის, საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად და არა მემამულეებისა და კაპიტალისტების გასამდიდრებლად.

მუშათა და გლეხთა კავშირი — აი რა მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. აი რაშია მისი ძალა. აი რა არის ჩვენი წარმატებებისა და ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

ამ კავშირმა მოგვანიჭა გამარჯვება კოლჩაკსა და დენიკინზე, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ რუსეთში მემამულეების ძალაუფლება კაპიტალისტების მიერ გამოგზავნილი უცხოური ჯარების დახმარებით.

ამჟამად უცხოელი კაპიტალისტები იძულებული არიან სავაჭრო ხელშეკრულებანი დადონ საბჭოთა რუსეთთან. ეს ხელშეკრულებანი დახმარებას გაგვიწევენ შევიძინოთ საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და სხვა საგნები გაჩანაგებული გლეხური მეურნეობის აღსადგენად.

ამჟამად ჩვენ განვიცდით უაღრესად მძიმე გაზაფხულს, ჭშიერი წლის შემდეგ. მაგრამ ნუ დავეცემით სულით. რაც უნდა დიდი იყოს მუშათა და გლეხთა გაჭირვება, ჩვენ ახლა მოვიპოვეთ უფლება და შესაძლებლობა ვიმუშაოთ ჩვენთვის და არა მემამულისთვის. და ჩვენ აღვადგენთ და გავაუმჯობესებთ გაჩანაგებულ მეურნეობას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1922. 23. III.

«ბედნოტა» № 1 183,
1922 წ. 26 მარტი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი ვ. მ. მოლოტოვს პარტიის XI ყრილობაზე პოლიტმოხსენების გეგმის შესახებ[55]

1922. 23. III.

ამხ. მოლოტოვ!

გთხოვთ გადასცეთ ც. კ-ის პლენუმს:

1. ჩემი შუამდგომლობა ავადმყოფობის გამო გამათავისუფლონ პლენუმში მონაწილეობისაგან (მე არ ძალმიძს როგორც პლენუმის სხდომების დასწრება, ისე ყრილობაზე მოხსენების გაკეთება);

2. თუ საჭირო გახდება პლენუმზე ჩემი დასწრება ახსნა-განმარტებისათვის მოხსენების ქვემომოყვანილი გეგმის გამო, მე უცილობლად შემიძლია მოვიდე და მოვალ 2 — 3 საათში გამოძახების შემდეგ.

3. ყრილობაზე ც. კ-ის სახელით ჩემ მიერ განზრახული პოლიტმოხსენების გეგმა:

> ძირითადად განმეორება, ზოგიერთ მუხლში განვითარება იმისა, რაც ნათქვამია სიტყვაში მელითონეთა ყრილობაზე, 1922. 6. III. სულ მოკლედ გენუის შესახებ. რამდენადმე უფრო ვრცლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და «სახელმწიფო კაპიტალიზმის» ცნების შესახებ.
>
> (ეკონომიური) უკან დახევის შეჩერება და ძალთა გადაჯგუფების ამოცანა. ჩვენი გაფრთხილება ბურჟუაზიის მხრივ, რომე-

ლიც სმენოვეხელი უსტრიალოვის პირით აცხადებს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის არა «ტაქტიკა», არამედ ბოლშევიზმის «ევოლუცია».

მთავარი, რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტურულობა, მართვის უნარი. ამის დასურათება რამდენიმე მაგალითით. ეკონომიურად და პოლიტიკურად ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის იმის შესაძლებლობას, რომ საძირკველი ჩავუყაროთ სოციალისტურ ეკონომიკას. საქმე «მხოლოდ» პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურული ძალებია.

იმის შესახებ, თუ რა მოიპოვა ჩვენმა რევოლუციამ ხელშეუვალად, და იმის შესახებ, თუ რა არ დაუმთავრებია მას.

ინტერვენციის შესაძლებლობა. ფინანსური კრიზისის საშიშროება. გამოვიყენოთ «შესვენება»: მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ადამიანთა შერჩევასა და ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე.

შეუსაბამობა იმ დიად ამოცანებსა, რომელთა განხორციელება დაწყებულია, და როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ სიღატაკეს შორის.

მოხსენების დამატებით აღინიშნოს ორი მოადგილის — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის როლი; ჩემი მიწერ-მოწერა ამის თაობაზე ა. დ. ციურუპასთან 1922 წ. იანვრის დამლევიდან; დებულება მუშაობის ახლად დაყენებისა და შესრულების რაც შეიძლება უფრო მეტად

შემოწმების შესახებ, რასაც ახლა ვამუშავებთ ჩვენ სამივე (პლუს რიკოვი).

გავათავისუფლოთ სახკომსაბჭო წვრილმანებისაგან; უფრო ზუსტად განისაზღვროს მისი ფუნქციები შრომისა და თავდაცვის საბჭოს და მცირე სახკომსაბჭოს ფუნქციებისაგან. გავადიდოთ სახკომსაბჭოს ავტორიტეტი მასში მონაწილეობის მისაღებად ხელმძღვანელი ამხანაგების, სახალხო კომისრების და არა მარტო მათი მოადგილეების მიწვევით.

ამასთან დაკავშირებით და თანახმად ამხ. კალინინის მრავალჯერ ზეპირი განცხადებისა, აგრეთვე ამხ. ენუქიძის ამასთანვე დართულ წერილობითი ცნობისა ც. კ-ის სახელით წინადადება მიეცეს ყრილობას დაადასტუროს როგორც ზემოაღნიშნული გეგმა, ისე სრ. რუს. ცაკ-ის მოწვევა უფრო ხანგრძლივ სესიებზე კანონმდებლობის ძირითად საკითხთა შესამუშავებლად და სახალხო კომისარიატებისა და სახკომსაბჭოს მუშაობის სისტემატური კონტროლისათვის.

ბოლოს, აუცილებელია გაცილებით უფრო ზუსტად განისაზღვროს პარტიისა (და მისი ც. კ-ის) და საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციები; გავადიდოთ საბჭოთა მუშაკებისა და საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა, ხოლო პარტიას დავუტოვოთ ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, ისე რომ არ ხდებოდეს, როგორც ახლა ხდება, მეტისმეტად ხშირი, არარეგულარული, ხშირად წვრილმანი ჩარევა.

შემუშავდეს სათანადო რეზოლუციის პროექტი და წარედგინოს პარტყრილობას დასამტკიცებლად.

4. ვთხოვ ც. კ-ის პლენუმს დანიშნოს დამატებითი მომხსენებელი ც. კ-ის სახელით, რადგან ჩემი მოხსენება მეტისმეტად ზოგადია, ამასთან არა ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ შევძლებ მოხსენების გაკეთებას და, რაც მთავარია, უკვე მთელი თვეობით ჩამოვრჩი პოლიტბიუროს მიმდინარე მუშაობას.

კომუნისტური სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
30 აგვისტოს გაზეთ
«პრავდაში» № 201

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პარტიაში ახალ წევრთა მიღების პიროობების შესახებ

წერილები ვ. მ. მოლოტოვს

1

ამხანაგ მოლოტოვს

გთხოვთ ც. კ-ის პლენუმზე შეიტანოთ ჩემი შემდეგი წინადადება:

მე ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია გავადიდოთ პარტიაში ახალ წევრთა მიღების სტაჟი. ზინოვიევი სტაჟს განსაზღვრავს მუშებისთვის ½ წლით და დანარჩენთათვის ერთი წლით. ჩემი წინადადებაა ნახევარი წელიწადი დავტოვოთ მხოლოდ იმ მუშებისათვის, რომლებიც ფაქტიურად მუშებად იყვნენ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში არა ნაკლებ 10 წლისა. დანარჩენი მუშებისათვის დაინიშნოს 1½ წელიწადი; 2 წელიწადი დაინიშნოს გლეხებისა და წითელარმიელებისათვის და 3 წელიწადი ყველა დანარჩენისათვის. განსაკუთრებული გამონაკლისი დასაშვებია ც. კ-ისა და ცენტრ. საკ. კომისიის ერთობლივი ნებართვით.

ძალიან სახიფათოდ მიმაჩნია შეუცვლელად დარჩეს ზინოვიევის მიერ წამოყენებული მოკლე ვადები. ეჭვი არაა, რომ ჩვენში ყოველთვის მუშებად თვლიან ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი სერიოზული სკოლა, მსხვილი მრეწველობის აზრით, არ გაუვლიათ. ძალიან ხშირად მუშების კატეგორიაში ჰყვებიან ნამდვილი წვრილი ბურჟუები, რომლებიც შემთხვევით და ფრიად მოკლე ვადით გადაქცეულან მუშებად. ყველა ჭკვიანი თეთრგვარდიელი სავსებით ნათლად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი პარტიის ვითომდა პროლეტარული ხასიათი ნამდვილად სრულიადაც არ უზრუნველ-

ყოფს მას წვრილმეპატრონულ ელემენტთა შესაძლებელი უპირატესობისაგან, და ისიც ფრიად მოკლე ვადაში. მუშაობის ჩვენში გაბატონებული დაუდევრობისა და არასისტემატურობის გამო სტაჟის მოკლე ვადები საქმით იმას ნიშნავს, რომ არავითარი სერიოზული შემოწმება არ იქნება იმისა, კანდიდატები ნამდვილად ცოტად თუ ბევრად გამოცდილ კომუნისტებს წარმოადგენენ თუ არა. თუ ჩვენს პარტიაში 300 — 400 ათასი წევრია, ეს რაოდენობაც მეტისმეტად დიდია, რადგან ყველა მონაცემი გადაჭრით მიგვითითებს იმაზე, რომ პარტიის ახლანდელ წევრთა მომზადების დონე საკმაო არაა. ამიტომ დაბეჯითებით მოვითხოვ აუცილებლად გადიდდეს სტაჟის ვადები და შემდეგ ორგბიუროს დაევალოს შეიმუშაოს და სასტიკად დაიცვას ის წესები, რომელნიც სტაჟს ნამდვილად ფრიად სერიოზულ გამოცდად გადააქცევენ და არა უბრალო ფორმალობად.

ვფიქრობ, ეს საკითხი განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა იქნეს განხილული ყრილობაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

1922 წ. 24. III.

2

ამხანაგ მოლოტოვს

თხოვნით—წასაკითხად გადასცეს ც. კ-ის ყველა წევრს, ვიდრე ყრილობაზე დაისმებოდეს საკითხი პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ

წავიკითხე 25 მარტის პლენუმის გადაწყვეტილება პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკანდიდატო სტაჟის ვადების საკითხზე და მსურს ეს გადაწყვეტილება სადავოდ გავხადო ყრილობაზე. მაგრამ ვშიშობ, რომ ყრილობაზე გამოსვლას ვერ შევძლებ და გთხოვთ წაიკითხოთ ჩემი შემდეგი მოსაზრებანი.

ეჭვი არაა, რომ ჩვენი პარტია ამჟამად თავისი შემადგენლობის უმრავლესობის მხრივ საკმაოდ პროლეტარული არ არის. ვფიქრობ, არავის არ შეუძლია უარყოს ეს, და უბრალო სტატისტიკური ცნობაც დაადასტურებს ამ დებულებას. ომის შემდეგ რუსეთში ფაბრიკა-ქარხნების მუშების შემადგენლობა გაცილებით ნაკლებ პროლეტარული გახდა, ვიდრე წინათ იყო, რადგან ომის დროს ქარხნებში მიდიოდნენ ისინი, ვინც თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მეორე მხრივ, ისიც უეჭველია, რომ ჩვენი პარტია ამჟამად საერთოდ და საშუალოდ (თუ ავიღებთ მის წევრთა უდიდესი უმრავლესობის დონეს) პოლიტიკურად ნაკლებ გათვითცნობიერებულია, ვიდრე ეს საჭიროა ნამდვილად პროლეტარული ხელმძღვანელობისათვის ასეთ მძიმე მომენტში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ უდიდესად სჭარბობს გლეხობა, რომელიც სწრაფად იღვიძებს საიმისოდ, რომ დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკა აწარმოოს. შემდეგ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამჟამად მმართველ პარტიაში შესვლის ცთუნება გიგან-

ტურია. საკმარისია გავიხსენოთ სმენოვეხელების ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა ყველაფერ პროლეტარულს დაშორებული საზოგადოებაა გატაცებული ახლა ბოლშევიკების პოლიტიკური წარმატებებით. გენუის კონფერენციამ თუ ახალი პოლიტიკური წარმატება მოგვცა, მაშინ გიგანტურად გაიზრდება წვრილბურჟუაზიული და ყველაფერი პროლეტარულისადმი პირდაპირ მტრულად განწყობილი ელემენტების მოზღვავება პარტიაში შესასვლელად. ნახევარწლიანი სტაჟი მუშებისათვის ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეაჩერებს ამ მოზღვავებას, რადგან იმაზე ადვილი არაფერია, რომ ხელოვნურად მოაწყო ასეთი მოკლე სტაჟი, მით უმეტეს, რომ ფრიად მრავალი ინტელიგენტური და ნახევრადინტელიგენტური ელემენტისათვის მუშად გახდომა ჩვენს პირობებში სრულიად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ყოველივე აქედან გამომყავს დასკვნა, რომელსაც ჩემს თვალში სიმტკიცე ენიჭება იმითაც, რომ თეორგვარდიელები სრულიად შეგნებულად ითვალისწინებენ ჩვენი პარტიის არაპროლეტარულ შემადგენლობას, — დასკვნა, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ საკანდიდატო სტაჟის ვადები, და თუ 6 თვეს დავტოვებთ მუშებისთვის, აუცილებლად საჭიროა, რათა არც თავი მოვიტყუოთ და არც სხვები მოვატყუოთ, ისე განვსაზღვროთ ცნება «მუშა», რომ ამ ცნებას უდგებოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ნამდვილად თავისი ცხოვრების მდგომარეობით უნდა შეეთვისებინა პროლეტარული ფსიქოლოგია. ეს კი შეუძლებელია, თუ მრავალი წლის განმავლობაში არ იმყოფები ფაბრიკაში არა რაიმე გარეშე მიზნებით, არამედ ეკონომიური და სოციალური ყოფა-ცხოვრების საერთო პირობების გამო.

თუ თვალს არ დავხუჭავთ სინამდვილეზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად პარტიის პროლეტარული პოლიტიკა განისაზღვრება არა მისი შემადგენლობით, არამედ იმ უაღრესად თხელი ფენის უდიდესი, განუყოფელი ავტორიტეტით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პარტიის ძველი გვარდია. საკმარისია მცირედი შინაგანი ბრძოლა ამ ფენაში, და მისი

აგტორიტეტი თუ არ დაეცემა, ყოველ შემთხვევაში იმდენად შესუსტდება, რომ გადაწყვეტა უკვე აღარ იქნება მასზე დამოკიდებული.

ამიტომ აუცილებელია: 1) გადიდდეს ყველა საკანდიდატო სტაჟი; 2) განისაზღვროს განსაკუთრებით დეტალურად, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს საკანდიდატო სტაჟის ნამდვილი გავლა, როგორი უნდა იყოს კონკრეტული და პრაქტიკული პირობები იმის შემოწმებისა, რომ საკანდიდატო სტაჟის გავლა ნამდვილად ხდება და უბრალო ფორმალობად არა რჩება; 3) აუცილებლად უნდა შეიქმნას კვალიფიციური უმრავლესობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც წყვეტენ პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხს; 4) აუცილებელია ეს მიღება შეპირობებული იყოს არა მარტო საგუბერნიო კომისიების, არამედ საკონტროლო კომისიების გადაწყვეტილებებითაც; 5) უნდა შემუშავდეს აგრეთვე რაიმე ზომები იმისთვის, რომ გაადვილდეს პარტიის განთავისუფლება იმ წევრებისაგან, რომლებიც სრულიად არ არიან პროლეტარული პოლიტიკის სავსებით შეგნებულად გამტარებელი კომუნისტები. მე არ ვაყენებ პარტიის ახალი გენერალური წმენდის წინადადებას, რადგან ვფიქრობ, რომ ახლა ეს პრაქტიკულად განუხორციელებელია, მაგრამ აუცილებელია რაიმე საშუალების გამონახვა პარტიის ფაქტიური წმენდისათვის, ე. ი. მისი შემადგენლობის შესამცირებლად, და თუ ამაზე ვიფიქრებთ, დარწმუნებული ვარ, შეიძლება გამოინახოს მთელი რიგი შესაფერისი ღონისძიებები.

თუ შესაძლებელია, მე ვთხოვდი ამ მიმართვის წამკითხველ ც. კ-ის წევრებს მიპასუხონ თუნდაც მოკლე ტელეფონოგრამით სახკომსაბჭოს ერთ-ერთი მდივანი ქალის სახელზე.

1922 წ. 26. III.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1925 წ. დეკემბერში

ნაკარნახევია ტელეფონით

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

რკპ(ბ) XI ყრილობა [56]

1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი

დაიბეჭდა 1922 წელს წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეთერთმეტე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, რკპ ც. კ-ის საგამომცემლო განყოფილება

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან; სიტყვა ყრილობის დახურვისას — ხელნაწერის მიხედვით

1

სიტყვა ყრილობის გახსნისას

27 მარტს

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით რკ პარტიის XI ყრილობას გახსნილად ვაცხადებ.

ამხანაგებო! ამ ყრილობაზე თქვენ პირველად შეიკრიბეთ მთელი წლის შემდეგ, რომლის განმავლობაში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენცია და შემოსევა, ყოველ შემთხვევაში მისი ყველაზე უფრო პირდაპირი ფორმით, არ გვაწუხებს. პირველი წელია რომ შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი ძალ-ღონე შოვანდომოთ სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ, მთავარ, ძირითად ამოცანებს.

ამ მხრივ ჩვენ, უსათუოდ, მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ მიერ გაკეთებულს სათანადო სიფხიზლით შევაფასებთ და არ შევუშინდებით პირდაპირ გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს, რომელიც ყოველთვის სასიამოვნო როდია, ზოგჯერ კი სრულიად არასასიამოვნოცაა, ყველა სიძნელეს, რაც მხოლოდ ახლა იხატება ჩვენ წინაშე მთელი მოცულობით, ყველა ამ სიძნელეს ჩვენ, უსათუოდ, დავძლევთ.

ის გაჭირვებანი, რაც წელს თავს დაგვატყდა, თითქმის კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე გასულ წლებში.

თითქოს მთელმა შედეგებმა იმპერიალისტური ომისა და იმ ომისა, რომელიც თავს მოგვახვიეს კაპიტალისტებმა, თითქოს ყველა ამ შედეგმა ერთად აღებულმა თავს დაგვატეხა შიმშილი და უსაშინელესი გაჩანაგება. ეს გაჭირვებანი ამჟამად

ჯერ კიდევ სულაც არ არის დაძლეული. და ჩვენთაგან არავის არა აქვს იმის იმედი, რომ მათი დაძლევა ჩქარა შეიძლება.

მაგრამ თუ შევინარჩუნებთ და განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის მთლიანობას, თუ ჩვენ საერთაშორისო სიძნელეებს ისევე წარმატებით დავაღწევთ თავს, როგორც დღემდე ვაღწევდით თავს, თუ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მივმართავთ იმ ამოცანების გადაჭრაზე, რომლებიც ამჟამად უეჭველი აუცილებლობით გამომდინარეობენ ახლანდელი პირობებიდან, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ყველა ამ სიძნელეს დავძლევთ.

კომუნისტური მოძრაობა მთელ მსოფლიოში იზრდება, თუ მთლად ისე სწრაფად არა, როგორც მოელოდნენ ჩვენთაგან ისინი, რომლებიც მას ომიანობის დროის და ომის დამთავრების დროის ტემპის მიხედვით ზომავდნენ, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად, მტკიცედ, ფართოდ და ღრმად. და თუ ჩვენ კომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობით, რომლებიც ამჟამად უკვე მცირეოდენი გამოკლებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს, თუ შევძლებთ ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა და არ შევუშინდებით ჩვენი შეცდომების აღიარებას, ყველა ამ სიძნელიდან გამარჯვებულნი გამოვალთ.

2

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში 27 მარტს

(ტ ა შ ი .) ამხანაგებო! ნება მომეცით ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიში დავიწყო არა წლის დამდეგიდან, არამედ მისი დამლევიდან. ამჟამად პოლიტიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხი არის გენუა. მაგრამ რადგან ჩვენს პრესაში ამის შესახებ უკვე ძალიან ბევრი ითქვა, და რადგან 6 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც დაიბეჭდა, არსებითად ვილაპარაკე ამ საკითხზე, ამიტომ, თუ თქვენი მხრივ არ იქნება წამოყენებული განსაკუთრებული მოთხოვნა რაიმე დაწვრილებითი ამბების გადმოცემის შესახებ, მე გთხოვდით დეტალურად ნუ შევეხებით ამ საკითხს.

საერთოდ გენუის ამბავი თქვენ ყველამ იცით, იმიტომ რომ პრესა ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობდა, — ჩემი შეხედულებით ზომაზე მეტსაც კი, საერთოდ ჩვენი მშენებლობის, განსაკუთრებით კი სამეურნეო მშენებლობის ნამდვილ, პრაქტიკულ და არსებით საჭიროებათა საზიანოდ. ევროპაში, გასაგებია, ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, ძალიან გართული არიან ყოველგვარი ლაქლაქით გენუის შესახებ. ჩვენ კი ამჯერად (თუმცა არა მარტო ამჯერად) მათ ვბაძავთ და ზომაზე მეტადაც ვბაძავთ.

უნდა ვთქვა, რომ ც. კ-ში ჩვენ მივიღეთ უაღრესად ზედმიწევნითი ზომები იმისათვის, რომ შეგვექმნა დელეგაცია ჩვენი საუკეთესო დიპლომატებისაგან (ჩვენ კი ახლა საბჭოთა დიპლომატების საკმაო რაოდენობა გვყავს, არა ისე, როგორც

საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის დასაწყისში). ც. კ-ში ჩვენ შევიმუშავეთ საკმაოდ დეტალური დირექტივები გენუაში მიმავალი ჩვენი დიპლომატებისათვის, დიდი დრო მოვანდომეთ მათ შემუშავებას, რამდენჯერმე ვიხილავდით და ხელახლა ვიხილავდით მათ. და თავისთავად ცხადია, რომ აქ დასმულია, მე არ ვიტყოდი — სამხედრო საკითხი, იმიტომ რომ ეს სიტყვა გამოიწვევს სხვაგვარ განმარტებას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში — შეჯიბრების საკითხი. ბურჟუაზიულ ბანაკში არსებობს მეტისმეტად ძლიერი და სხვა მიმდინარეობებზე გაცილებით უფრო მძლავრი მიმდინარეობა, რომელიც იქითკენ იხრება, რომ ჩაშალოს გენუის კონფერენცია. არის სხვა მიმდინარეობები, რომელთაც რადაც უნდა დაჯდეს სურთ დაიცვან იგი, მიაღწიონ იმას, რომ იგი შეიკრიბოს. ამჟამად ამ უკანასკნელმა მიმდინარეობებმა გაიმარჯვა. ბოლოს, ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის ბანაკში არსებობს მიმდინარეობა, რომელსაც შეიძლება პაციფისტური ვუწოდოთ და რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ მთელი II და II½ ინტერნაციონალიც. ეს არის ბურჟუაზიის ის ბანაკი, რომელიც ცდილობს დაიცვას მთელი რიგი პაციფისტური წინადადებები და მოხაზოს რაღაც პაციფისტური პოლიტიკის მსგავსი. ჩვენ, როგორც კომუნისტებს, ამ პაციფიზმის შესახებ გვაქვს გარკვეული შეხედულებები, რომელთა გადმოცემა აქ სრულიად ზედმეტია. გასაგებია, რომ გენუაში ჩვენ მივდივართ არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვაჭრები. ჩვენ გვინდა ვივაჭროთ, და მათაც უნდათ ივაჭრონ. ჩვენ გვინდა ვივაჭროთ ჩვენდა სასარგებლოდ, ხოლო მათ უნდათ, რომ საქმე მათდა სასარგებლოდ გაკეთდეს. თუ როგორ გაიშლება ბრძოლა, ეს დამოკიდებული იქნება, თუმცა არც ისე დიდად, ჩვენი დიპლომატების ხელოვნებაზე.

გასაგებია, რომ, როცა ჩვენ გენუაში მივდივართ როგორც ვაჭრები, ჩვენთვის სულ ერთი არ არის, საქმე გვაქვს ბურჟუაზიული ბანაკის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც იხრებიან საკითხის სამხედრო ყაიდაზე გადაჭრისაკენ, თუ ბურჟუაზიული ბანაკის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც იხრებიან

პაციფიზმისაკენ, თუნდაც იგი იყოს უცუდესი პაციფიზმი და, კომუნიზმის თვალსაზრისით, კრიტიკის ნასახსაც კი ვერ უძლებდეს. მაინც ცუდი იქნებოდა ის ვაჭარი, რომელიც ვერ შეითვისებდა ამ განსხვავებას და ვერ შეუფარდებდა ამას თავის ტაქტიკას პრაქტიკული მიზნების მისაღწევად.

ჩვენ გენუაში მივდივართ პრაქტიკული მიზნით — გავაფართოოთ ვაჭრობა და შევქმნათ პირობები, რომ იგი რაც შეიძლება უფრო ფართოდ და წარმატებით ვითარდებოდეს. მაგრამ ჩვენ სრულიადაც ვერ ვიდებთ თავს, რომ გენუის კონფერენციას წარმატება ექნება. ამის თავდებობა სასაცილო და უაზრო იქნებოდა. უნდა ვთქვა, რომ იმ შესაძლებლობათა უაღრესად ფხიზელი და ფრთხილი შეფასების დროს, რომელთაც ამჟამად გენუა წარმოადგენს, მაინც, ვფიქრობ, გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ ამ ჩვენს მიზანს მივაღწევთ.

გენუის საშუალებით, თუ საკმაოდ გონიერნი და არა მეტისმეტად ჯიუტნი იქნებიან იქაური ჩვენი თანამოსაუბრენი, გენუის გვერდის ავლით, — თუ ისინი ჯიუტობას გამოიჩენენ. მაგრამ ჩვენს მიზანს მაინც მივაღწევთ!

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი, საარსებო, პრაქტიკული და უკანასკნელ წლებში მკვეთრად გამომჟღავნებული ინტერესები ხომ მოითხოვს რუსეთთან ვაჭრობის განვითარებას, მოწესრიგებას და გაფართოებას. ხოლო რაკი ამგვარი ინტერესები არის, შეიძლება ვიდავოთ, წავიჩხუბოთ, შეიძლება ერთმანეთს დავშორდეთ სხვადასხვა კომბინაციაში, — ფრიად ახლოც არის სიმართლესთან, რომ შეიძლება კიდევაც დავშორდეთ ერთმანეთს, — მაგრამ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ეს ძირითადი სამეურნეო აუცილებლობა თვითონ გაიკაფავს გზას. და მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ. არ გპირდებით ვადას, არ გპირდებით წარმატებას, მაგრამ სწორედ ამ კრებაზე შეიძლება საკმაოდ დარწმუნებით ითქვას, რომ საბჭოთა რესპუბლიკასა და მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ სამყაროს შორის სწორი სავაჭრო ურთიერთობის განვითარება აუცილებლად

წინ წავა. ამასთან თუ როგორი შესვენებებია შესაძლებელი, — ამაზე თავის ადგილას ვიტყვი მოხსენებაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ გენუის საკითხზე შეიძლება ამას დავჯერდეთ.

თავისთავად გასაგებია, რომ ამხანაგებს, რომლებიც მოისურვებენ საკითხის უფრო დეტალურად გაცნობას და არ დაკმაყოფილდებიან დელეგაციის წევრთა იმ სიით, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთებში, შეუძლიათ აირჩიონ კომისია ან სექცია და გაეცნონ ც. კ-ის მთელ მასალას, მიწერ-მოწერას, დირექტივებს. რასაკვირველია, დეტალებს ჩვენ ვსახავდით პირობითად, იმიტომ რომ დღემდე ზუსტად არ ვიცით, ამ გენუაში ვინ მოუჯდება მაგიდას და ამასთან რა პირობები, ან წინასწარი პირობები, ან შენიშვნები იქნება წამოყენებული. ყოველივე ამის აქ განხილვა უაღრესად მიზანშეუწონელი, და, ვფიქრობ, პრაქტიკულადაც შეუძლებელი იქნებოდა. ვიმეორებ, ყრილობას, სექციის ან კომისიის საშუალებით, სრული შესაძლებლობა აქვს შეაგროვოს ამ საკითხზე ყველა დოკუმენტი, როგორც გამოქვეყნებული, ისე ის დოკუმენტებიც, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება.

მე დავჯერდები ნათქვამს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყველაზე დიდი სიძნელეები ამ საკითხში არ არის. ეს ის არ არის, რასაც მთელმა პარტიამ უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება. ევროპის ბურჟუაზიული პრესა ხელოვნურად და განზრახ ბერავს და აზვიადებს ამ კონფერენციის მნიშვნელობას, ატყუებს მშრომელ მასებს (ასე იქცევა ყოველთვის მთელი ბურჟუაზიული პრესის 9/10 ყველა ამ თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყანასა და რესპუბლიკაში). ჩვენ ცოტა არ იყოს ავყევით ამ პრესას. როგორც ყოველთვის, ჩვენი გაზეთები ჯერ კიდევ ბაძავენ ძველ ბურჟუაზიულ ჩვეულებებს, მათ არ სურთ ახალ სოციალისტურ რელსებზე გადავიდნენ, და ჩვენ იმაზე მეტი ხმაური ავტეხეთ, ვიდრე საგანი ამის ღირსია. არსებითად, კომუნისტებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომლებმაც გადაიტანეს ისეთი სერიოზული წლები, როგორიც ჩვენ გადავიტანეთ, დაწყებული

1917 წლიდან, რომელთაც უნახავთ პოლიტიკის ისეთი სერიოზული კომბინაციები, როგორიც ჩვენ მას შემდეგ გვინახავს, გენუა დიდ სიძნელეებს არ წარმოადგენს. მე არ მახსოვს, რომ ამ საკითხის გამო არათუ ც. კ-ის შემადგენლობაში, არამედ ჩვენი პარტიის შემადგენლობაშიც კი რაიმე უთანხმოება ან დავა აღძრულიყოს. ეს ბუნებრივია, რადგან აქ სადავო არაფერია კომუნისტების თვალსაზრისით, — კიდეც რომ მხედველობაში ვიქონიოთ სხვადასხვა ელფერი მათ შორის. ვიმეორებ, ჩვენ გენუაში მივდივართ, როგორც ვაჭრები, რათა მივაღწიოთ უაღრესად ხელსაყრელ ფორმებს ვაჭრობის გასავითარებლად, რომელიც დაიწყო, რომელიც მიმდინარეობს და რომელიც, კიდეც რომ ვინმემ მოახერხოს მისი ძალით შეწყვეტა ამა თუ იმ დროით, ამ შეწყვეტის შემდეგ მაინც აუცილებლად განვითარდება.

ამიტომ ვჯერდები აი ამ მოკლე შენიშვნებს გენუის შესახებ და გადავალ იმ საკითხებზე, რომლებიც, ჩემი შეხედულებით, პოლიტიკის მთავარი საკითხებია გასული წლის განმავლობაში და პოლიტიკის მთავარი საკითხებია მომავალი წლისათვის. მე მგონია (ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩემი ჩვეულება), ც. კ-ის პოლიტიკურ ანგარიშში ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა უბრალოდ იმაზე, რაც მოხდა საანგარიშო წლის განმავლობაში, არამედ იმაზე, თუ საანგარიშო წლის განმავლობაში როგორი ძირითადი, უმთავრესი პოლიტიკური გაკვეთილები მივიღეთ, რათა სწორად განვსაზღვროთ ჩვენი პოლიტიკა უახლოესი წლისათვის, რათა ერთი წლის განმავლობაში ცოტა რამ ვისწავლოთ.

✓მთავარი საკითხია, რა თქმა უნდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მთელი საანგარიშო წელიწადი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიშნით ჩატარდა. თუ ამ წლის განმავლობაში ჩვენ რაიმე დიდ, სერიოზულ და ხელშეუვალ მონაპოვარს მივაღწიეთ (ეს ჩემთვის ჯერ არც ისე უეჭველია), ეს მხოლოდ იმ მხრივ, რომ ცოტა რამ გვესწავლა ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საწყისებიდან. ჩვენ, მართლაც, ამ წლის განმავლობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის სფეროში

მეტისმეტად ბევრი რამ ვისწავლეთ. ხოლო იმის შემოწმებას, ნამდვილად ვისწავლეთ თუ არა ჩვენ და რამდენად, — ამას უკვე მოგვცემს, ალბათ, შემდგომი მოვლენები, იმგვარი შემთხვევები, რომლებიც ძალიან ნაკლებად არის დამოკიდებული ჩვენს ნებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მომავალი ფინანსური კრიზისი. მე ვფიქრობ, მთავარი, რაც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხში, როგორც საფუძველი ყოველგვარი მსჯელობისა და ერთი წლის გამოცდილების აღნუსხვისა და მომავალი წლისათვის პრაქტიკული გაკვეთილების შესაძენად, — ეს არის შემდეგი სამი პუნქტი.

ჯერ-ერთი, ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენთვის მნიშვნელოვანია უწინარეს ყოვლისა როგორც იმის შემოწმება, რომ ჩვენ ნამდვილად ვაღწევთ კავშირს გლეხურ ეკონომიკასთან. ჩვენი რევოლუციის განვითარების წინა ეპოქაში, როდესაც მთელი ყურადღება და მთელი ძალები მიმართული იყო ან თითქმის შთანთქმული იყო, უმთავრესად, შემოსევის მოგერიების ამოცანით, ჩვენ არ შეგვეძლო ამ კავშირზე ფიქრი როგორც საჭიროა, — ჩვენ მისთვის არ გვეცალა. იგი ერთგვარად შეიძლებოდა და კიდევაც უნდა უგულებელგვეყო, როდესაც იდგა აბსოლუტურად გადაუდებელი და პირდაპირ მოახლოებული ამოცანა — უკუგვეგდო მსოფლიო იმპერიალიზმის გიგანტური ძალების მიერ ჩვენი დაუყოვნებელი დახრჩობის საფრთხე.

ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ მობრუნება უაღრესად ერთსულოვნად გადაწყდა წარსულ ყრილობაზე, უფრო მეტი ერთსულოვნებითაც, ვიდრე სხვა საკითხები წყდებოდა ჩვენს პარტიაში (რომელიც, უნდა ვაღიაროთ, საერთოდ დიდი ერთსულოვნებით განირჩევა). ამ ერთსულოვნებამ დაგვანახვა, რომ აბსოლუტურად მომწიფდა სოციალისტური ეკონომიკისადმი ახალი მიდგომის აუცილებლობა. ადამიანები, რომლებიც მრავალ საკითხში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებდნენ მდგომარეობას, ერთსულოვნად და ძალიან სწრაფად სრულიად

უყოყმანოდ მივიდნენ იქამდე, რომ ჩვენ ნამდვილი მიდგომა სოციალისტური ეკონომიკისადმი, მისი საძირკვლის აგებისადმი არა გვაქვს და რომ არის ერთადერთი საშუალება ამ მიდგომის გამონახვისა — ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ჩვენ მოგვიხდა, სამხედრო ამბების განვითარების გამო, პოლიტიკური ამბების განვითარების გამო, კაპიტალიზმის განვითარების გამო ძველ კულტურულ დასავლეთში და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობათა განვითარების გამო კოლონიებში, — ჩვენ მოგვიხდა პირველთ შეგვენგრია კედელი ძველ ბურჟუაზიულ სამყაროში იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ეკუთვნოდა თუ ყველაზე ჩამორჩენილს არა, ერთ-ერთ უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყანას. ჩვენი ქვეყნის გლეხობის უდიდესი უმრავლესობა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობას ეწევა. იმის აგება, რისი განხორციელებაც ჩვენ ერთბაშად შეგვეძლო ჩვენ მიერ დასახული კომუნისტური საზოგადოებრიობის პროგრამიდან, წარმოებდა ერთგვარად განზე იმისაგან, რაც ხდებოდა უფართოეს გლეხურ მასაში, რომელსაც ჩვენ ვაკისრებდით ძალიან მძიმე ბეგარას და ამას იმით ვამართლებდით, რომ ამ მხრივ ომი არავითარ ყოყმანს არ იწყნარებს. და ეს გამართლება, თუ მას მთელი მოცულობით ავიღებთ, გლეხობამ მიიღო, მიუხედავად შეცდომებისა, რომელთა თავიდან აცილება ჩვენ არ შეგვეძლო. საერთოდ გლეხთა მასამ დაინახა და გაიგო, რომ ეს უდიდესი სიმძიმენი, რომელნიც მას ეკისრებოდა, აუცილებელი იყო, რათა მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაგვეცვა მემამულეებისაგან, რათა არ დავეხრჩვეთ კაპიტალისტურ შემოსევას, რომელიც რევოლუციის ყველა მონაპოვრის წართმევით გვემუქრებოდა. მაგრამ კავშირი იმ ეკონომიკასა, რომელიც შენდებოდა ნაციონალიზებულ, სოციალიზებულ ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, და გლეხურ ეკონომიკას შორის არ არსებობდა.

ეს ჩვენ ნათლად დავინახეთ პარტიის წარსულ ყრილობაზე. ამას ჩვენ ისე ნათლად ვხედავდით, რომ პარტიაში

არავითარი მერყეობა არ ყოფილა იმ საკითხის გამო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გარდუვალია.

სასაცილოა თვალყური ვადევნოთ ამ ჩვენი გადაწყვეტილების შეფასებას საზღვარგარეთ ყოველგვარი რუსული პარტიების არაჩვეულებრივად მდიდარ პრესაში. ამ შეფასებათა შორის მხოლოდ სულ უმნიშვნელო განსხვავებაა: ეს პარტიები, ცხოვრობენ რა წარსულით, ახლაც იმას იმეორებენ, რომ მემარცხენე კომუნისტები დღემდე კიდევ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგი არიანო. ადამიანებმა 1921 წელს გაიხსენეს ის, რაც 1918 წელს იყო, და ის, რაც ჩვენში თვით მემარცხენე კომუნისტებმაც კი დაივიწყეს, და დღემდე ღეჭავენ და ღეჭავენ ამას, ირწმუნებიან რა, რომ ეს ბოლშევიკები — მოგეხსენებათ, ვერაგნი და მატყუარები არიანო; ისინი ევროპას უმალავენ, რომ აქ თვით მათ შორის არის უთანხმოებაო. როდესაც ამას კითხულობ, ფიქრობ: დაე ცდებოდნენ. თუ მათ ასეთი წარმოდგენა აქვთ იმაზე, რაც ჩვენში ხდება, ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ, თითქოსდა, უაღრესად განათლებული ძველი ადამიანების შეგნებულობის დონის შესახებ, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ გაძვრნენ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა, და არ ყოფილა იმიტომ, რომ ყველასათვის ნათელი იყო სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებისადმი სხვაგვარი მიდგომის პრაქტიკული აუცილებლობა.

ჩვენ არ გვქონდა კავშირი გლეხურ ეკონომიკასთან იმ ახალი ეკონომიკისა, რომლის შექმნასაც ჩვენ ვცდილობდით. არის თუ არა იგი ახლა? ჯერ კიდევ არ არის. ჩვენ მას მხოლოდ ვუახლოვდებით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი მნიშვნელობა, რის ძებნასაც ჩვენს პრესაში ჯერ კიდევ ხშირად განაგრძობენ ყველგან, სადაც გნებავთ, მაგრამ არა იქ, სადაც საჭიროა, მთელი მნიშვნელობა ამაშია და მხოლოდ ამაში: მოვნახოთ კავშირი იმ ახალი ეკონომიკისა, რომელსაც ჩვენ უდიდესი ჯაფით ვქმნით. და ეს არის ჩვენი

დამსახურება. უამისოდ ჩვენ კომუნისტი-რევოლუციონერები არ ვიქნებოდით.

ახალი ეკონომიკის შენება ჩვენ დავიწყეთ სრულიად ახლებურად, ანგარიშს არ ვუწევდით არაფერს ძველს. და ჩვენ რომ მისი შენება არ დაგვეწყო, ჩვენ სასტიკად დამარცხებული ვიქნებოდით პირველ თვეებშივე, პირველ წლებშივე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ მივადექით იმას, რომ რაკი ჩვენ იგი ასეთი აბსოლუტური გამბედაობით დავიწყეთ, უსათუოდ ასევე განვაგრძობთ. საიდან გამომდინარეობს ეს? ეს არსაიდან არ გამომდინარეობს.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ჩვენ გვიხდება განუზომლად ახალი საქმის კეთება და თუ ჩქარა არ დაგვეხმარებიან კაპიტალისტური მხრივ უფრო განვითარებული ქვეყნების ამხანაგი მუშები, ჩვენი საქმე წარმოუდგენლად ძნელი იქნება, რაშიც, უსათუოდ, მთელი რიგი შეცდომები გვექნება. მთავარია: ფხიზლად უნდა შეგვეძლოს თვალყურის დევნება, თუ სად არის დაშვებული ეს შეცდომები, და ყველაფერი თავიდანვე გადავაკეთოთ. ორჯერ კი არა, მრავალჯერაც რომ მოგვიხდეს ყველაფრის თავიდან გადაკეთება, ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ცრურწმენის გარეშე, ფხიზელი თვალით ვუდგებით ჩვენს ქვეყნად უდიდეს ამოცანას.

ამჟამად ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხში ძირითადია — სწორად შევითვისოთ გასული წლის გამოცდილება. ეს უნდა გაკეთდეს, და ამის გაკეთება ჩვენ გვსურს. და თუ ჩვენ გვინდა რადაც უნდა დაჯდეს მივაღწიოთ ამას (ჩვენ კი ეს გვინდა და მივაღწევთ კიდეც!), მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი, გადამწყვეტი, ყოველივე დანარჩენის დამმორჩილებელი ამოცანა, — ეს არის კავშირის დამყარება იმ ახალ ეკონომიკასა, რომლის შენებაც ჩვენ დავიწყეთ (ძალიან ცუდად, ძალიან უცოდინარად, მაგრამ მაინც დავიწყეთ შენება, სრულიად ახალი სოციალისტური ეკონომიკის, ახალი წარმოების, ახალი განაწილების საფუძველზე), და გლეხურ ეკონომიკას შორის, რომლითაც ცხოვრობენ მილიონობით გლეხები.

ეს კავშირი არ იყო, და ეს კავშირი უწინარეს ყოვლისა უნდა შევქმნათ. ამ მოსაზრებას უნდა დავუმორჩილოთ ყველაფერი. ჩვენ ჯერ კიდევ უნდა გამოვარკვიოთ, რამდენად შესძლო ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შეექმნა ეს კავშირი და არ დაენგრია ის, რისი უცოდინარად შენებაც ჩვენ დავიწყეთ.

ჩვენს ეკონომიკას ჩვენ ვაშენებთ გლეხობასთან კავშირში. ჩვენ იგი არა ერთხელ უნდა გადავაკეთოთ და ისე მოვაწყოთ, რომ არსებობდეს კავშირი მსხვილი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხაზით წარმოებულ · ჩვენს სოციალისტურ მუშაობასა და იმ მუშაობას შორის, რომელსაც ეწევა ყოველი გლეხი და რომელსაც იგი ისე აწარმოებს, როგორც მას შეუძლია, თავს აღწევს რა გაჭირვებას ჭკუისათვის ძალდაუტანებლად (იმიტომ რომ, სად შეუძლია მას ჭკუას ძალა დაატანოს იმისათვის, რომ თავი დააღწიოს და გადაურჩეს უაღრესად მტანჯველი შიმშილით სიკვდილის პირდაპირ საფრთხეს?).

უნდა გამოვაჩინოთ ეს კავშირი, რომ ნათლად ვხედავდეთ მას, რომ მთელი ხალხი მას ხედავდეს, მთელი გლეხური მასა ხედავდეს, რომ არსებობს კავშირი მის ახლანდელ მძიმე, გაუგონრად გაჩანაგებულ, გაუგონრად ღატაკურ, გაწამებულ ცხოვრებასა და იმ მუშაობას შორის, რომელსაც ეწევიან შორეული სოციალისტური იდეალების გულისათვის. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ უბრალო, რიგითი მშრომელი ადამიანისათვის გასაგები იყოს, რომ მან მიიღო რაიმე გაუმჯობესება და მიიღო არა ისე, როგორც იღებდა გლეხთა მცირე რიცხვი მემამულური ძალაუფლებისა და კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც გაუმჯობესებათა (გაუმჯობესებანი, უეჭველად, იყო და ძალიან დიდიც) ყოველი ნაბიჯი დაკავშირებული იყო გლეხის აბუჩად აგდებასთან, შეგინებასთან, დაცინვასთან, მასის მიმართ ძალმომრეობასთან, რაც არც ერთ გლეხს არ დავიწყებია და რასაც ათეული წლების განმავლობაში არ დაივიწყებს რუსეთში. ჩვენი მიზანია — აღვადგინოთ კავშირი, საქმით დაუმტკიცოთ გლეხს, რომ ჩვენ ვიწყებთ იმით, რაც მისთვის გასაგებია, ცნობილია და ახლა მისაწვდომია მიუხედავად მთელი მისი სიღატაკისა, და არა რაღაც შორეულით, გლეხის თვალსაზრი-

სით ფანტასტიკურით, — დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ ვიცით მისთვის დახმარების გაწევა, რომ კომუნისტები გაჩანაგებული, გალატაკებული, მტანჯველად დამშეული წვრილი გლეხის მძიმე მდგომარეობის მომენტში ახლა მას საქმით ეხმარებიან. ან ჩვენ ამას დავამტკიცებთ, ანდა იგი ჯანაბას გაგვგზავნის. ეს სრულიად გარდუვალია.

აი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა, აი მთელი ჩვენი პოლიტიკის საფუძველი. აქ არის ჩვენი მთავარი გაკვეთილი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოყენების მთელი გასული წლის განმავლობაში და ჩვენი მთავარი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური წესი მომავალი წლისათვის. გლეხი ჩვენ გვენდობა და, რა თქმა უნდა, განცდილის შემდეგ არ შეუძლია არ გვენდოს. გლეხი, მასობრივად აღებული, ცხოვრობს, გვეთანხმება — «რა გაეწყობა, თუ თქვენ არ იცით, ჩვენ დავიცდით, შეიძლება, კიდევაც ისწავლოთ». მაგრამ ეს ნდობა არ შეიძლება დაუშრეტელი იყოს.

ეს უნდა ვიცოდეთ და, თუმცა ნდობა მოვიპოვეთ, მაინც უნდა ავჩქარდეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ახლოვდება მომენტი, როცა გლეხური ქვეყანა მეტს აღარ გვენდობა, როცა იგი, თუ კომერციულ ტერმინს ვიხმართ, ნაღდს მოგვთხოვს. «მაგრამ ახლა, მაინც, ვადის გაგრძელების ამდენი თვისა და ამდენი წლის შემდეგ, თქვენ, უძვირფასესო მმართველებო, მოიპოვეთ უაღრესად უტყუარი, საიმედო საშუალება დაგვეხმაროთ თავი დავაღწიოთ გაჭირვებას, სიღატაკეს, შიმშილს, გაჩანაგებას. თქვენ ამის უნარი გაქვთ, თქვენ ეს დაამტკიცეთ». აი რა გამოცდა გვიახლოვდება გარდუვალად, და იგი, ეს გამოცდა, საბოლოო ანგარიშში ყველაფერს გადაწყვეტს: ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბედსაც და კომუნისტური ძალაუფლების ბედსაც რუსეთში.

შევძლებთ თუ არა ჩვენი უშუალო საქმის საბოლოოდ დამთავრებას? ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოგვადგება თუ არა რამეში? თუ სწორი გამოდგა უკან დახევა, მაშინ შევმჭიდროვდეთ, უკან დახევით, გლეხურ მასასთან, და მასთან

ერთად, ასჯერ უფრო ნელა, მაგრამ სამაგიეროდ მტკიცედ და განუხრელად წავიდეთ წინ, რათა იგი მუდამ ხედავდეს, რომ ჩვენ მაინც წინ მივდივართ. მაშინ ჩვენი საქმე აბსოლუტურად უძლეველი იქნება, და ვერავითარი ძალა ქვეყნად ვერ დაგვამარცხებს. ჯერ კიდევ დღემდე, პირველი წლის განმავლობაში, ამას ვერ მივაღწიეთ. ეს პირდაპირ უნდა ითქვას. და მე ღრმადა ვარ დარწმუნებული (ხოლო ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა შესაძლებლობას იძლევა სავსებით ნათლად და მტკიცედ გამოვიყვანოთ ეს დასკვნა), რომ თუ ჩვენ შევიგნებთ მთელ უდიდეს საფრთხეს, რომელსაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეიცავს, და მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მივმართავთ სუსტ პუნქტებზე, მაშინ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ.

შევმჭიდროვდეთ გლეხურ მასასთან, უბრალო მშრომელ გლეხობასთან და დავიწყოთ წინსვლა განუზომლად, უსაზღვროდ უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროდ ისე, რომ მთელი მასა ნამდვილად მოძრაობდეს ჩვენთან ერთად. მაშინ ეს მოძრაობაც თავის დროზე ისე აჩქარდება, რაზედაც ჩვენ ახლა ოცნებაც კი არ შეგვიძლია. ჩემი აზრით, ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი ძირითადი პოლიტიკური გაკვეთილი.

მეორე, უფრო კერძო, გაკვეთილი, ეს არის სახელმწიფო და კაპიტალისტურ საწარმოთა შემოწმება შეჯიბრების საშუალებით. ჩვენში ახლა იქმნება შერეული საზოგადოებანი, — მე ცოტა რამეს ვიტყვი მათ შესახებ ქვემოთ, — რომლებიც, ისე როგორც მთელი ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობა, და მთელი ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა, წარმოადგენს ჩვენს მიერ, კომუნისტების მიერ, სავაჭრო ხერხების, კაპიტალისტური ხერხების გამოყენებას. მათ ის მნიშვნელობაც აქვთ, რომ აქ მყარდება კაპიტალისტური წესების და ჩვენი წესების პრაქტიკული შეჯიბრება. შეადარეთ პრაქტიკულად. ჩვენ დღემდე ვწერდით პროგრამას და ვიძლეოდით დაპირებებს. თავის დროზე ეს სავსებით აუცილებელი იყო. პროგრამისა და დაპირებების გარეშე მსოფლიო რევოლუციით გამოსვლა შეუძლებელია. თუ ჩვენ ამისათვის გვაგინებენ თეთრგვარ-

დიელები და მათ რიცხვში მენშევიკები, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მენშევიკებს და II და II½ ინტერნაციონალთა სოციალისტებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ იმაზე, თუ საერთოდ როგორ ვითარდება რევოლუცია. სხვაგვარად, თუ არა ამ გზით, ჩვენ დაწყება არ შეგვეძლო.

მაგრამ ამჟამად საქმის ვითარება ისეთია, რომ უნდა დავაწესოთ ჩვენი მუშაობის უკვე სერიოზული შემოწმება, არა ისეთი, როგორიც ხდება იმ საკონტროლო დაწესებულებათა საშუალებით, რომელთაც იგივე კომუნისტები ქმნიან, თუნდაც ეს საკონტროლო დაწესებულებანი დიდებულიც იყვნენ, და თუნდაც ისინი როგორც საბჭოთა დაწესებულებების სისტემაში, ისე პარტიულ დაწესებულებათა სისტემაში თითქმის იდეალურ საკონტროლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. ჩვენ გვესაჭიროება არა ასეთი შემოწმება, არამედ ისეთი, რომელიც წარმოადგენს შემოწმებას მასობრივი ეკონომიკის თვალსაზრისით.

კაპიტალისტმა იცოდა მომარაგების საქმე. ის ამას აკეთებდა ცუდად, ის ამას აკეთებდა მძარცველურად, ის ჩვენ შეურაცხყოფას გვაყენებდა, ის ჩვენ გვძარცვავდა. ეს იციან უბრალო მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც კომუნიზმზე არ მსჯელობენ, იმიტომ რომ არ იციან, რა არის ეს.

«მაგრამ კაპიტალისტებმა მაინც იცოდნენ მომარაგების საქმე, ხოლო თქვენ იცით? თქვენ არ იცით». აი გასული წლის გაზაფხულზე რა ხმები გაისმოდა, — არა ყოველთვის მკაფიოდ, — მაგრამ მთელი გასული წლის გაზაფხულის კრიზისის ქვენიადაგს შეადგენდა. «თქვენ საუცხოო ადამიანები ხართ, მაგრამ იმ საქმის, ეკონომიური საქმის კეთება, რომელსაც ხელი მოჰკიდეთ, თქვენ არ იცით». აი სრულიად უბრალო და ყველაზე მომაკვდინებელი კრიტიკა, რომელსაც გასულ წელს გლეხობა, ხოლო გლეხობის საშუალებით მუშათა მთელი რიგი ფენები მიმართავდნენ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. და აი ეს პუნქტი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხში, ეს ძველი პუნქტი, რატომ იღებს ასეთ მნიშვნელობას.

საჭიროა ნამდვილი შემოწმება. გვერდით მოქმედებს კაპიტალისტი, მოქმედებს მძარცველურად, იღებს მოგებას, მაგრამ მან საქმე იცის. თქვენ კი — თქვენ ახლებურად სინჯავთ: მოგება არა გაქვთ, პრინციპები კომუნისტურია, იდეალები კარგია, — ერთი სიტყვით, დასურათხატებული ხართ ისე, როგორც წმინდანები, სამოთხეში ცოცხლად შესვლის ღირსნი ხართ, — საქმის კეთება კი იცით? საჭიროა შემოწმება, ნამდვილი შემოწმება, მაგრამ შემოწმება არა ისეთი, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია გამოიკვლევს და გამოიტანს გაკიცხვას, ხოლო სრ. რუს. ცაკ-ი დანიშნავს სასჯელს, — არა, საჭიროა ნამდვილი შემოწმება, სახალხო ეკონომიკის თვალსაზრისით.

კომუნისტებს ყოველგვარი ვადა ჰქონდათ მიცემული, ნისიად იმდენი მიეცათ, რამდენიც არც ერთ სხვა მთავრობას არ მიუღია. რა თქმა უნდა, კომუნისტები დაეხმარნენ გლეხებს თავი დაეღწიათ კაპიტალისტებისაგან, მემამულეებისაგან, გლეხობა ამას აფასებს, და იგი წინასწარ იძლეოდა ვადის გაგრძელებას, მაგრამ ყველაფერს განსაზღვრულ ვადამდე. ხოლო შემდეგ კი იწყება უკვე შემოწმება: იცით თუ არა თქვენ მეურნეობის გაძღოლა სხვებზე არა ნაკლებ? ძველმა კაპიტალისტმა იცის, თქვენ კი არ იცით.

აი პირველი გაკვეთილი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების პირველი მთავარი ნაწილი. ჩვენ მეურნეობის გაძღოლა არ ვიცით. ეს დამტკიცებულია ერთი წლის მანძილზე. მე ძალიან მინდოდა ამეღო რამდენიმე სახტრესტის (თუ ვიხმართ ამ შესანიშნავ რუსულ ენას, რომელსაც ასე აქებდა ტურგენევი) მაგალითი და მეჩვენებინა, თუ როგორ ვიცით ჩვენ მეურნეობის გაძღოლა.

სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო, უმთავრესად კი ავადმყოფობის გამო, მოხსენების ამ ნაწილის დამუშავება ვერ შევძელი და უნდა დავკმაყოფილდე მხოლოდ რწმენის გამოთქმით, რომელიც ემყარება იმაზე დაკვირვებას, რაც ხდება. ამ წლის განმავლობაში ჩვენ სრული სიცხადით დავამტკიცეთ, რომ მეურნეობის გაძღოლა ჩვენ არ ვიცით. ეს არის

ძირითადი გაკვეთილი. ან უახლოეს წელიწადში ჩვენ დავამტკიცებთ საწინააღმდეგოს, ანდა საბჭოთა ხელისუფლება ვერ იარსებებს. და ყველაზე დიდი საფრთხე ის არის, რომ ეს ყველას არა აქვს შეგნებული. ყველა კომუნისტს, პასუხისმგებელ მუშაკს რომ ნათლად შეეგნოთ: არ ვიცით, მოდით დავიწყოთ სწავლა თავიდან, მაშინ საქმეს მოვიგებდით, — ეს, ჩემი აზრით, ძირითადი, უმთავრესი დასკვნა იქნებოდა. მაგრამ ეს შეგნებული არა აქვთ და დარწმუნებული არიან, რომ ვინც ასე ფიქრობს, ის განუვითარებელი ხალხია, კომუნიზმი არ უსწავლიათო, — შეიძლება, გაიგონ, ისწავლონო. არა, უკაცრავად, საქმე ის კი არ არის, რომ გლეხს, უპარტიო მუშას არ უსწავლიათ კომუნიზმი, არამედ საქმე ის არის, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც საჭირო იყო გაგვევითარებინა პროგრამა და მოგვეწოდებინა ხალხისთვის ამ დიადი პროგრამის შესრულებისაკენ. ამ დრომ განვლო, ახლა უნდა დაამტკიცოთ, რომ ახლანდელი მძიმე მდგომარეობის დროს იცით პრაქტიკულად როგორ დაეხმაროთ მუშისა და გლეხის მეურნეობას, რათა ისინი ხედავდნენ, რომ თქვენ შეჯიბრებაში გაიმარჯვეთ.

შერეული საზოგადოებანი, რომელთა შექმნა ჩვენ დავიწყეთ, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ რუსეთისა და საზღვარგარეთის კერძო კაპიტალისტებიც და კომუნისტებიც, ეს საზოგადოებანი ერთ-ერთი ფორმაა, სადაც შეიძლება შეჯიბრების სწორად დაყენება, იმის ჩვენება და შესწავლა, რომ ჩვენ კაპიტალისტებზე უარესად არ ვიცით კავშირის დამყარება გლეხურ მეურნეობასთან, შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილებები, შეგვიძლია დავეხმაროთ გლეხს დაიძრას წინ, ისე, როგორც ის დღეს არის, მთელი თავისი სიბნელით, რადგან მისი მოკლე ვადაში გარდაქმნა შეუძლებელია.

აი როგორი შეჯიბრება დგას ჩვენ წინაშე, როგორც აბსოლუტური გადაუდებელი ამოცანა. აი რაშია ახალი ეკონომიური პოლიტიკის დედააზრი და, ჩემი რწმენით, პარტიული პოლიტიკის მთელი არსი. ჩვენ, რამდენიც გნებავთ იმდენი

წმინდა პოლიტიკური საკითხები და სიძნელეები გვიდგას წინ. და თქვენ მათ იცნობთ: გენუაც, ინტერვენციის საშიშროებაც. სიძნელენი დიდია, მაგრამ ამ სიძნელესთან შედარებით ყველა ისინი სრულიად უმნიშვნელოა. იქ ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ კეთდება ეს, იქ ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, გამოვცადეთ ბურჟუაზიული დიპლომატია. ეს ისეთი რამაა, რასაც მენშევიკები 15 წლის განმავლობაში გვასწავლიდნენ და ცოტა რამ სასარგებლო გვასწავლეს. ეს ახალი ამბავი არ არის.

მაგრამ აი, რის კეთება გვიხდება ეკონომიკაში: ახლა შეჯიბრება უნდა გავმართოთ უბრალო ნოქართან, უბრალო კაპიტალისტთან, ვაჭართან, რომელიც გლეხთან მივა და კომუნიზმზე დავას კი არ გამართავს — წარმოიდგინეთ: კომუნიზმზე დავას კი არ დაიწყებს, — არამედ დაიწყებს დავას: თუკი საჭიროა რაიმეს შოვნა, წესიერად მორიგება, აშენება, მე ხომ ავაშენებ ძვირად, მაგრამ კომუნისტებმა, შეიძლება, ააშენონ უფრო ძვირად, თუ ათმაგად უფრო ძვირად არა. აი როგორი აგიტაცია წარმოადგენს ახლა საქმის არსს, აი რა არის ეკონომიკის ფესვი.

ვიმეორებ, ვადის გაგრძელება და ხალხის ნდობა მივიღეთ ჩვენი სწორი პოლიტიკის მეოხებით, და ეს, თუ ნეპურად ვიტყვით, — თამასუქებია, მაგრამ ამ თამასუქებს ვადა არ აწერია, და როდის წარადგენენ მათ გასანაღდებლად, ამას თამასუქის ტექსტში ჩახედვით ვერ გაიგებ. აი რაშია საფრთხე, აი ის თავისებურება, რომელიც განასხვავებს ამ პოლიტიკურ თამასუქებს ჩვეულებრივი ვაჭრული თამასუქებისაგან. ამას უნდა მივაქციოთ მთელი ყურადღება, არ უნდა დავმშვიდდეთ იმის გამო, რომ სახელმწიფო ტრესტებში და შერეულ საზოგადოებებში ყველგან პასუხისმგებელი და საუკეთესო კომუნისტები არიან — ამას არავითარი აზრი არა აქვს, იმიტომ რომ მათ არ იციან მეურნეობის გაძღოლა და ამ მხრივ ისინი კაპიტალისტის იმ ჩვეულებრივ ნოქარზე უარესნი არიან, რომელსაც მსხვილი ფაბრიკის და დიდი ფირმის სკოლა გაუვლია. ეს ჩვენ არა გვაქვს შეგნებული, აქ

დარჩა კომუნისტური ყოყოჩობა — კომყოყოჩობა, იმავე დიადი რუსული ენით რომ ვთქვათ. საქმე ისაა, რომ პასუხისმგებელმა კომუნისტმა — საუკეთესომ, უეჭველად პატიოსანმა და ერთგულმა, რომელსაც კატორღა გადაუტანია და სიკვდილის არ შეშინებია, — ვაჭრობა არ იცის, იმიტომ რომ ის საქმოსანი არ არის, ეს არ უსწავლია, არც სურს ისწავლოს და არ ესმის, რომ ანბანიდან უნდა დაიწყოს სწავლა. მან, კომუნისტმა, რევოლუციონერმა, რომელმაც ქვეყნად უდიდესი რევოლუცია მოახდინა, მან, რომელსაც თუ ორმოცი პირამიდა არა, ორმოცი ევროპული ქვეყანა მაინც შეჰყურებს კაპიტალიზმისაგან განთავისუფლების იმედით, — მან უნდა ისწავლოს უბრალო ნოქრისაგან, რომელიც ბეღელში დარბოდა ათი წელიწადი, რომელმაც ეს საქმე იცის, მან კი, პასუხისმგებელმა კომუნისტმა და ერთგულმა რევოლუციონერმა, არათუ ეს არ იცის, არამედ ისიც კი არ იცის, რომ ეს არ იცის.

და აი, ამხანაგებო, თუ ჩვენ ამ, თუნდაც პირველ, უცოდინარობას გამოვასწორებთ, ეს უდიდესი გამარჯვება იქნება. ჩვენ ამ ყრილობიდან უნდა წავიდეთ იმ რწმენით, რომ ჩვენ ეს არ ვიცოდით, და ანბანიდან დავიწყებთ სწავლას. ჩვენ რაც უნდა იყოს ჯერ კიდევ რევოლუციონერები ვართ (თუმცა ბევრი ლაპარაკობს, და არცთუ სავსებით უსაფუძვლოდ, რომ ჩვენ გავბიუროკრატდით) და შეგვიძლია იმ უბრალო რამის გაგება, რომ ახალ, არაჩვეულებრივად ძნელ საქმეში უნდა შეგვეძლოს რამდენჯერმე თავიდან დაწყება: დაიწყე, ჩიხში მოექეცი — დაიწყე ხელახლა, — და ასე გადააკეთე ათჯერ, მაგრამ მიაღწიე შენსას, ნუ მედიდურობ, ნუ ყოყოჩობ, რომ კომუნისტი ხარ, იქ კი ვიღაც ნოქარმა, უპარტიომ, შეიძლება, თეთრგვარდიელმაც, და უეჭველად თეთრგვარდიელმა, იცის იმ საქმის კეთება, რომელიც ეკონომიურად ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გაკეთდეს, შენ კი არ იცი. თუ შენ პასუხისმგებელი კომუნისტი ხარ და ასობით ხარისხი, წოდება და კომუნისტური და საბჭოთა «კავალერი» გაქვს, თუ ამას გაიგებ, მაშინ მიზანს მიაღწევ, რადგან ამის შესწავლა შეიძლება.

რაღაც წარმატებები, თუნდაც სულ მცირეოდენი, ამ წლის განმავლობაში გვაქვს, მაგრამ იგი უმნიშვნელოა. მთავარი ის არის, რომ არა გვაქვს შეგნება და ფართოდ გავრცელებული, ყველა კომუნისტის მიერ გაზიარებული რწმენა, რომ ამჟამად ჩვენ, რუს პასუხისმგებელ და უერთგულეს კომუნისტს, ეს უნარი ნაკლები აქვს, ვიდრე რომელიმე ძველ ნოქარს. ვიმეორებ, საჭიროა სწავლის თავიდან დაწყება. თუ ჩვენ ეს შეგნებული გვაქვს, მაშინ გამოცდას ჩავაბარებთ, ხოლო გამოცდა სერიოზულია, მას მოგვიწყობს ფინანსური კრიზისი, რომელიც ახლოვდება, გამოცდა, რომელსაც მოგვიწყობს რუსეთის და საერთაშორისო ბაზარი, რომელსაც ვემორჩილებით, რომელთანაც დაკავშირებული ვართ, რომელსაც ვერ მოვწყდებით. ეს გამოცდა სერიოზულია, რადგან აქ შეუძლიათ ჩვენი ეკონომიურად და პოლიტიკურად დამარცხება.

საკითხი ასე და მხოლოდ ასე დგას, იმიტომ რომ აქ შეჯიბრება სერიოზულია და ეს შეჯიბრება გადამწყვეტია. ჩვენ მრავალი სხვადასხვაგვარი ხვრელი და გამოსავალი გვქონდა ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური სიძნელეებიდან. ჩვენ შეგვიძლია ამაყად დავიკვეხოთ, რომ დღემდე ჩვენ ვახერხებდით ყველა ამ ხვრელისა და გამოსავალის გამოყენებას სხვადასხვა შეხამებით, სხვადასხვა გარემოებასთან შეფარდებით, მაგრამ ახლა ჩვენ არავითარი გამოსავალი აღარა გვაქვს. ნება მომეცით გითხრათ ეს სრულიად გაუზვიადებლად, ასე რომ ამ მხრივ, მართლაც, «უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა» გვაქვს არა საერთაშორისო კაპიტალიზმთან, — იქ ჯერ კიდევ ბევრი «უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა» გვექნება, — არა, არამედ აი რუსეთის კაპიტალიზმთან, იმ კაპიტალიზმთან, რომელიც წვრილი გლეხური მეურნეობიდან იზრდება, იმ კაპიტალიზმთან, რომელსაც იგი მხარს უჭერს. აი აქ მოგველის უახლოეს მომავალში ბრძოლა, რომლის ვადა შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს. აქ მოგველის «უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა», აქ მეტი არავითარი, არც პოლიტიკური, არც რაიმე სხვა შემოსავლელი

არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ეს არის კერძო კაპიტალთან შეჯიბრების გამოცდა. ან ჩვენ ჩავაბარებთ კერძო კაპიტალთან შეჯიბრების ამ გამოცდას, ან ეს სრული ჩავარდნა იქნება. ეს გამოცდა რომ ჩავაბაროთ, ამისათვის გვაქვს პოლიტიკური ძალაუფლება და ყოველგვარი ეკონომიური და სხვა რესურსების მთელი გროვა, ყველაფერი, რაც გნებავთ, — გარდა ცოდნისა. ცოდნა არა გვაქვს. და აი, თუ ჩვენ გასული წლის გამოცდილებიდან ამ უბრალო გაკვეთილს გამოვიტანთ და მას სახელმძღვანელოდ გავიხდით მთელი 1922 წლისათვის, მაშინ ჩვენ ამ სიძნელესაც დავძლევთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე წინანდელი სიძნელე, რადგან იგი თვით ჩვენში ძევს. ეს სულ სხვაა, ვიდრე რომელიმე გარეშე მტერი. ეს სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თვითონ არ გვსურს შევიგნოთ ის არასასიამოვნო ჭეშმარიტება, რომელიც თავს მოგვახვიეს, და არ გვსურს ჩავვარდეთ იმ არასასიამოვნო მდგომარეობაში, რომელშიც საჭიროა ჩავვარდეთ: დაიწყე თავიდან სწავლა. ეს არის მეორე გაკვეთილი, რომელიც, ჩემი შეხედულებით, ახალი ეკონომიური პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

ხოლო მესამე, დამატებითი გაკვეთილი, ეს არის სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი. სამწუხაროა, რომ ყრილობას არ ესწრება ამხ. ბუხარინი, მინდოდა მასთან ცოტა მეკამათნა, მაგრამ სჯობს შემდეგი ყრილობისათვის გადავდო. სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში, მე ვფიქრობ, საერთოდ ჩვენი პრესა და საერთოდ ჩვენი პარტია იმ შეცდომას სჩადის, რომ ჩვენ ვვარდებით ინტელიგენტობაში, ლიბერალიზმში, ჭკუას ძალას ვატანთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, და ჩავცქერით ძველ წიგნებს. იქ კი სრულიად სხვა რამეზე სწერია: იქ სწერია იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კაპიტალიზმის დროს არის, მაგრამ არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც დაწერილი იყოს იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კომუნიზმის დროს არის ხოლმე. თვით მარქსიც კი ვერ მიხვდა დაეწერა თუნდაც ერთი სიტყვა ამის გამო და ისე მოკვდა, რომ არც ერთი

ზუსტი ციტატი და უდავო მითითება არ დაუტოვებია. ამიტომ ჩვენ ახლა თვითონვე გვიხდება თავის გართმევა. და თუ გონებაში საერთოდ ერთი შეხედვით მიმოავლებ თვალს ჩვენს პრესას სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხზე, როგორც მე ვცადე ეს, როცა ამ მოხსენებისათვის ვემზადებოდი, რწმუნდები, რომ იქ სრულიად აცილებენ მიზანს, სრულიად სხვაგან იხედებიან.

სახელმწიფო კაპიტალიზმი, მთელ ეკონომიურ ლიტერატურაში, — ეს არის კაპიტალიზმი, რომელიც არსებობს კაპიტალისტური წყობილების დროს, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება პირდაპირ იმორჩილებს ამა თუ იმ კაპიტალისტურ საწარმოებს. ჩვენი სახელმწიფო კი პროლეტარულია, პროლეტარიატს ეყრდნობა, პროლეტარიატს ანიჭებს ყველა პოლიტიკურ უპირატესობას და პროლეტარიატის საშუალებით იზიდავს თავისკენ გლეხობას ქვედაფენებიდან (თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ ეს მუშაობა ღარიბთა კომიტეტებით დავიწყეთ). ამიტომაც სახელმწიფო კაპიტალიზმი ძალიან ბევრს თავგზას უბნევს. ეს რომ არ მოხდეს, უნდა გვახსოვდეს ძირითადი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი იმ სახით, როგორიც ჩვენშია, არავითარ თეორიაში, არავითარ ლიტერატურაში არ არის განხილული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ჩვეულებრივი ცნება, ამ სიტყვებთან დაკავშირებული, შეფარდებულია ბურჟუაზიული ხელისუფლებისადმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ჩვენ კი გვაქვს საზოგადოებრიობა, რომელიც კაპიტალისტური რელსებიდან გადავარდა, ხოლო ახალ რელსებზე ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი. ჩვენ არ გვინდა გავიგოთ, რომ, როდესაც ვამბობთ «სახელმწიფო», სახელმწიფო — ეს ჩვენა ვართ, ეს არის პროლეტარიატი, ეს არის მუშათა კლასის ავანგარდი. სახელმწიფო კაპიტალიზმი — ეს ის კაპიტალიზმია, რომლის შეზღუდვასაც ჩვენ შევძლებთ, რომლის ფარგლების დაწესებასაც ჩვენ მოვახერხებთ, ეს სახელმწიფო კაპიტალიზმი დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, სახელმწიფო კი — ეს არის

მუშები, ეს არის — მუშების მოწინავე ნაწილი, ეს არის — ავანგარდი, ეს — ჩვენა ვართ.

სახელმწიფო კაპიტალიზმი — ეს ის კაპიტალიზმია, რომელიც ჩვენ გარკვეულ ფარგლებში უნდა ჩავაყენოთ, და რომლის ჩაყენებაც ჩვენ დღემდე არ ვიცით. აი რაშია მთელი საქმე. და უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ეს სახელმწიფო კაპიტალიზმი. პოლიტიკური ძალაუფლება ჩვენ საკმაო გვაქვს, სავსებით საკმაო; ეკონომიური სახსრებიც საკმაოდაა ჩვენს განკარგულებაში, მაგრამ საკმაო უნარი არა აქვს მუშათა კლასის იმ ავანგარდს, რომელიც წამოყენებულია, რათა უშუალოდ განაგოს, განსაზღვროს ფარგლები, გაიმიჯნოს, თვითონ დაიმორჩილოს და არა დამორჩილებულ იქნეს. აქ საჭიროა მხოლოდ უნარი, ის კი ჩვენ არა გვაქვს.

ეს ხომ ისტორიაში სრულიად გაუგონარი მდგომარეობაა, როცა პროლეტარიატს, რევოლუციურ ავანგარდს სავსებით საკმაო პოლიტიკური ძალაუფლება აქვს, ხოლო ამასთან ერთად არსებობს სახელმწიფო კაპიტალიზმი. საკითხის დედააზრია გავიგოთ, რომ ეს არის ის კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავუშვათ, რომელიც ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა ჩავაყენოთ განსაზღვრულ ფარგლებში, რადგან ეს კაპიტალიზმი აუცილებელია ფართო გლეხობისათვის და კერძო კაპიტალისათვის, რომელმაც ისე უნდა ივაჭროს, რომ დააკმაყოფილოს გლეხობის საჭიროებანი. აუცილებელია საქმე ისე დავაყენოთ, რომ შესაძლებელი იყოს კაპიტალისტური მეურნეობისა და კაპიტალისტური ბრუნვის ჩვეულებრივი მსვლელობა, რადგან ეს ხალხს ესაჭიროება, უამისოდ ცხოვრება შეუძლებელია. ყოველივე დანარჩენი მათთვის, ამ ბანაკისათვის, აბსოლუტურად აუცილებელი არ არის, — ყოველივე დანარჩენს მათ შეუძლიათ შეურიგდნენ. შესძელით თქვენ, კომუნისტებო, თქვენ, მუშებო, თქვენ, პროლეტარიატის შეგნებულო ნაწილო, რომელმაც ხელი მოჰკიდა სახელმწიფოს მართვას, შესძელით თქვენ ისე გააკეთოთ, რომ სახელმწიფო, რომელიც თქვენ ხელთ აიღეთ, თქვენს ნებაზე მოქმედებდეს. აი ჩვენ კი წელიწადი განვლეთ,

სახელმწიფო ჩვენს ხელთაა, — ხოლო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ის ამ წლის განმავლობაში ჩვენს ნებაზე მოქმედებდა? არა. ეს არ გვსურს ვაღიაროთ: იგი ჩვენს ნებაზე არ მოქმედებდა. როგორღა მოქმედებდა იგი? მანქანა გვისხლტება ხელიდან: თითქოს ზის ადამიანი, რომელიც მას მართავს, ხოლო მანქანა იქით კი არ მიდის, საითაც მას მიმართავენ, არამედ იქით, საითაც მიმართავს ვიღაც, არ ვიცი არალეგალური, არ ვიცი უკანონო, თუ ღმერთმა იცის საიდან გაჩენილი, არ ვიცი სპეკულანტები, არ ვიცი კერძო მეპატრონე კაპიტალისტები, თუ ერთნიც და მეორენიც, — მაგრამ მანქანა მიდის არა სავსებით ისე, ხოლო ძალიან ხშირად სრულიადაც არა ისე, როგორც ჰგონია იმას, ვინც ამ მანქანის საჭესთან ზის. აი ძირითადი, რაც უნდა გვახსოვდეს სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხზე. საჭიროა ამ ძირითად სფეროში თავიდან ვისწავლოთ, და მხოლოდ მაშინ, თუ ეს გახდება ჩვენს აბსოლუტურ კუთვნილებად და შეგნებად, შეგვიძლია თავდებობა, რომ ამას ვისწავლით.

ახლა მე გადავალ უკან დახევის შეჩერების საკითხზე, რაზედაც ლაპარაკი მომიხდა ჩემს სიტყვაში მელითონეთა ყრილობაზე. მას შემდეგ არავითარ საწინააღმდეგო აზრს არ შევხვედრივარ, — არც პარტიულ პრესაში, არც ამხანაგების კერძო წერილებში, არც ცენტრალურ კომიტეტში. ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემი გეგმა მოიწონა, ეს გეგმა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის სახელით გაკეთებულ მოხსენებაშიც მთელი ენერგიით ყოფილიყო ხაზგასმული უკან დახევის ეს შეჩერება და გვეთხოვა ყრილობისათვის — მოეცა სათანადო დირექტივა უკვე მთელი პარტიის სახელით, როგორც უკვე სავალდებულო. ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვიხევდით უკან. ახლა უნდა განვაცხადოთ პარტიის სახელით: — კმარა! ის მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდა უკან დახევას, მიღწეულია. ეს პერიოდი თავდება, თუ უკვე გათავდა. ახლა სხვა მიზანი ისახება — ძალთა გადაჯგუფება. ჩვენ მივედით ახალ ადგილას, უკან დახევა საერთოდ და მთლიანად ჩვენ მაინც შედარებით წეს-

რიგით მოვახდინეთ. მართალია, სხვადასხვა მხრიდან არ გვაკლდა ხმები, რომელთაც სურდათ ეს უკან დახევა პანიკურ უკან დახევად გადაექციათ. ერთნი იმ მხრიდან, რომ თქვენ ამა თუ იმ ნაწილში უმართებულოდ იხევდით უკანო, როგორც, მაგალითად, იმ ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც «მუშათა ოპოზიციის» სახელწოდებას ატარებდა. (ვფიქრობ, რომ ისინი უმართებულოდ ატარებდნენ ამ სახელწოდებას.) ისინი ზედმეტი გულმოდგინებისაგან ერთი კარისაკენ მიდიოდნენ, ხოლო მეორეში კი მოხვდნენ, და ახლა ეს თვალსაჩინოდ გამოააშკარავეს. მაშინ ისინი ვერ ხედავდნენ, რომ მათი მოქმედება მიმართული იყო არა იმისაკენ, რომ გამოესწორებინათ ჩვენი მოძრაობა, არამედ ნამდვილად მათ მოქმედებას ერთი მნიშვნელობა ჰქონდა — იგი ავრცელებდა პანიკას, ხელს უშლიდა იმას, რომ უკან დახევა დისციპლინირებულად მოგვეხდინა.

უკან დახევა ძნელი საქმეა, განსაკუთრებით იმ რევოლუციონერებისათვის, რომლებიც მიეჩვივნენ შეტევას, განსაკუთრებით, როცა ისინი მიეჩვივნენ შეტევას რამდენიმე წლის განმავლობაში გიგანტური წარმატებით, განსაკუთრებით, თუ ისინი გარშემორტყმული არიან სხვა ქვეყნების რევოლუციონერებით, რომლებიც მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ შეტევა დაიწყონ. დაინახეს რა, რომ ჩვენ უკან ვიხევთ, ზოგიერთი მათგანი შეუწყნარებლად და ბავშვურად ატირდა, როგორც ეს მოხდა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე. უაღრესად კარგი კომუნისტური გრძნობებითა და კომუნისტური მისწრაფებებით გამსჭვალული ზოგიერთი ამხანაგი ატირდა იმის გამო, რომ, წარმოიდგინეთ, კარგი რუსი კომუნისტები უკან იხევენო. შესაძლოა, ჩემთვის ახლა უკვე ძნელი იყოს ამ დასავლეთ-ევროპული ფსიქოლოგიის წარმოდგენა, თუმცა მე საკმაო წლები ვიცხოვრე ამ მშვენიერ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც ემიგრანტმა. მაგრამ, შესაძლოა, მათი თვალსაზრისით ამის გაგება ისე ძნელია, რომ შეიძლება ატირდე. ჩვენ კი, ყოველ შემთხვევაში, არ გვცალია სანტიმენტალობაზე

შევჩერდეთ. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ასე წარმატებით ვუტევდით მრავალი წლის განმავლობაში და ასე ბევრ არაჩვეულებრივ გამარჯვებას ვაღწევდით (და ყოველივე ეს ხდებოდა წარმოუდგენლად გაჩანაგებულ, მატერიალურ წანამძღვრებს მოკლებულ ქვეყანაში!), ამ შეტევის განსამტკიცებლად ჩვენთვის სრულიად აუცილებელი იყო, რაკი ჩვენ ესოდენ ბევრი რამ მოვიპოვეთ, სრულიად აუცილებელი იყო უკან დახევა. ჩვენ არ შეგვეძლო ყველა იმ პოზიციის შენარჩუნება, რომელიც ერთი შეტევით დავიპყარით, ხოლო მეორე მხრივ, მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენ ერთი შეტევით, მუშებისა და გლეხების დიდი ენთუზიაზმის მეოხებით, უსაზღვროდ ბევრი რამ დავიპყარით, მხოლოდ ამიტომ ჩვენ იმდენად ბევრი ადგილი გვქონდა, რომ შეგვეძლო ძალიან შორს დაგვეხია უკან, და ჯერ კიდევ ახლაც შეგვიძლია შორს დავიხიოთ უკან, მთავარისა და ძირითადის სრული შენარჩუნებით. უკან დახევა საერთოდ და მთლიანად საკმაო წესრიგით ჩატარდა, თუმცა პანიკურმა ხმებმა, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა «მუშათა ოპოზიცია» (და ეს იყო მისი უდიდესი მავნებლობა!), გამოიწვია ჩვენში ნაწილობრივი განდგომა, ჩამოშორება დისციპლინისაგან, წესრიგიო უკან დახევისაგან. უკან დახევის დროს ყველაზე საშიში რამაა პანიკა. თუ მთელი არმია (აქ მე გადატანითი მნიშვნელობით ვლაპარაკობ) უკან იხევს, აქ შეუძლებელია ისეთი განწყობილება იყოს, როგორიცაა მაშინ, როდესაც ყველა წინ მიდის. აქ უკვე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით განსაზღვრულ დონემდე დაცემულ განწყობილებას. ჩვენ პოეტებიც კი გვყავდა ისეთნი, რომლებიც წერდნენ, აი შეხედეთ, მოსკოვში შიმშილია, სიცივე, «მაშინ როდესაც წინათ სისუფთავე, სილამაზე იყო, ახლა — ვაჭრობა, სპეკულაციაა»: ჩვენ მთელი რიგი ასეთი პოეტური ნაწარმოებები გვაქვს.

და გასაგებია, რომ ამას წარმოშობს უკან დახევა. და ეს არის უდიდესი საფრთხე: ძლევამოსილი დიდი შეტევის შემდეგ უკან დახევა საშინლად ძნელია; აქ სრულიად სხვაგვარი ურთიერთობაა; იქ დისციპლინას თუნდაც არც იცავდე, ყვე-

ლანი თავისთავად მიილტვიან და მიჰქრიან წინ; აქ დისციპ-ლინაც უფრო შეგნებული უნდა იყოს და იგი ასჯერ უფრო საჭიროა, იმიტომ რომ, როცა მთელი არმია უკან იხევს, მისთვის ნათელი არ არის, იგი ვერ ხედავს, სად გაჩერდეს, ხედავს მხოლოდ უკან დახევას, — აქ ზოგჯერ საკმარისია მცირეოდენი პანიკური ხმებიც კი, რომ ყველა გაიქცეს. აქ საფრთხე უდიდესია. როცა ნამდვილი არმიის ასეთი უკან დახევა ხდება, დგამენ ტყვიამფრქვევებს, და მაშინ, როცა წესრიგით უკან დახევა უწესრიგო უკან დახევად იქცევა, უბრძანებენ: «ესროლე!». და ეს სწორიცაა.

თუ ადამიანებს პანიკა შეაქვთ, თუნდაც ისინი საუკეთესო გრძნობებით ხელმძღვანელობდნენ, ისეთ მომენტში, როცა გაუგონრად ძნელ პირობებში ვიხევთ უკან და როცა მთელი საქმე იმაშია, რომ კარგი წესრიგი შევინარჩუნოთ, — ასეთ მომენტში აუცილებელია დისციპლინის სულ მცირედი დარღვევა დაისაჯოს მკაცრად, სასტიკად, ულმობელად, და არა მარტო ზოგიერთი ჩვენი შინაპარტიული საქმის მიმართ, არამედ ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში კიდევ უფრო მეტად ისეთი ვაუბატონების მიმართ, როგორიც არიან მენშევიკები ან II½ ინტერნაციონალის ყველა ვაუბატონი.

ამ დღეებში «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალის» მე-20 წიგნში წავიკითხე ამხ. რაკოშის სტატია იმ ოტო ბაუერის ახალ წიგნზე, რომლისაგანაც ოდესღაც ჩვენ ყველანი ვსწავლობდით, მაგრამ რომელიც ომის შემდეგ, ისე როგორც კაუცკი, უბადრუკი მეშჩანი გახდა. ის ახლა წერს: «აი ისინი უკან იხევენ კაპიტალიზმისაკენ; ჩვენ მუდამ ვამბობდით: რევოლუცია — ბურჟუაზიულიაო».

მენშევიკებსაც და ესერებსაც, რომლებიც ყველანი ასეთ რამეებს ქადაგებენ, უკვირთ, როცა ვამბობთ, რომ ჩვენ ასეთი რამეებისათვის დაეხვრეტთ. მათ უკვირთ, საკითხი კი ნათელია: როცა არმია უკან იხევს, მაშინ საჭიროა ასჯერ უფრო მეტი დისციპლინა, ვიდრე შეტევის დროს, იმიტომ რომ შეტევის დროს ყველა წინ ისწრაფვის. ხოლო თუ ახლა ყველა

უკან გაიქცევა, ეს იქნება დაღუპვა, გარდუვალი და დაუყოვნებლივი.

სწორედ ასეთ მომენტში უმთავრესი საქმეა წესრიგით უკან დახევა, უკან დახევის საზღვრის ზუსტად დაწესება და პანიკის აცილება. და როცა მენშევიკი ამბობს: «თქვენ ახლა უკან იხევთ, მე კი მუდამ უკან დახევის მომხრე ვიყავი, გეთანხმებით, მე თქვენი კაცი ვარ, მოდით ერთად დავიხიოთ უკანო», — ამაზე ჩვენ მას ვეუბნებით: «მენშევიზმის საჯარო გამოჩენისათვის ჩვენი რევოლუციური სასამართლოები უნდა ხვრეტდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩვენი სასამართლოები კი არ არიან, არამედ ღმერთმა უწყის რა».

მათ ვერასგზით ვერ გაუგიათ ეს და ამბობენ: «რა დიქტატორული ზნე სჭირთ ამ ადამიანებს!». ისინი დღემდე ფიქრობენ, რომ ჩვენ მენშევიკებს იმისთვის ვდევნით, რომ ისინი ჟენევაში გვეჩხუბებოდნენ. მაგრამ ჩვენ რომ ამ გზით გვევლო, ალბათ, ორ თვესაც ვერ გავძლებდით ხელისუფლების სათავეში. მართლაც, ისეთი ქადაგება, რომელსაც ეწევიან ოტო ბაუერიც, II და II½ ინტერნაციონალთა ხელმძღვანელებიც, მენშევიკებიც და ესერებიც, მათ საკუთარ ბუნებას შეადგენს: «რევოლუცია შორს წავიდა. ჩვენ მუდამ იმას ვამბობდით, რასაც შენ ახლა ამბობ. ნება მოგვეცი ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ეს». ჩვენ კი ამაზე ვუპასუხებთ: «ნება მოგვეცით ამისათვის კედელთან მიგაყენოთ. ან თქვენ გაისარჯეთ და თავი შეიკავეთ თქვენი შეხედულებების გამოთქმისაგან, ანდა, თუ თქვენ გსურთ გამოთქვათ თქვენი პოლიტიკური შეხედულებანი არსებულ ვითარებაში, როდესაც ჩვენ გაცილებით უარეს პირობებში ვიმყოფებით, ვიდრე თეთრების პირდაპირი შემოსევის დროს, მაშინ, უკაცრავად, თქვენ ისე მოგეპყრობით, როგორც თეთრგვარდიელობის უცუდეს და უაღრესად მავნე ელემენტებს». ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ.

როდესაც უკან დახევის შეჩერებაზე ვლაპარაკობ, მე სრულიადაც არა მაქვს მხედველობაში ამით ვთქვა, რომ ჩვენ ვისწავლეთ ვაჭრობა. პირიქით, მე საწინააღმდეგო აზრისა

ვარ; სწორად არ ვიქნებოდი გაგებული და დამტკიცებული იქნებოდა, რომ ვერ ვახერხებ ჩემი აზრების სწორად გადმოცემას, ჩემს გამოსვლას რომ ასეთი შთაბეჭდილება დაეტოვებინა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის ნერვულობა, ის ფაცაფუცი, რაც შეიქმნა ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო, მისწრაფება — ყველაფერი ახლებურად შევქმნათ, შევუგუოთ, რომ ეს შეჩერებულ იქნეს. ჩვენ ახლა მთელი რიგი შერეული საზოგადოებანი გვაქვს. მართალია, მათი რიცხვი ძალიან ცოტაა. ჩვენში უცხოელ კაპიტალისტთა მონაწილეობით დაარსებულია ცხრა საზოგადოება, რომლებიც დაამტკიცა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, სოკოლნიკოვის კომისიამ დაამტკიცა 6, და «სეევროლესმა» შექმნა ორი. ამრიგად, ამჟამად არსებობს სხვადასხვა ინსტანციის მიერ (რა თქმა უნდა, ჩვენ საკმაო არევ-დარევა გვაქვს ინსტანციებშიც, ასე რომ დაუდევრობა აქაც შესაძლებელია) დამტკიცებული ჩვიდმეტი საზოგადოება მრავალმილიონიანი კაპიტალით. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამჟამად უკვე გვაქვს საზოგადოებანი რუს და უცხოელ კაპიტალისტთა მონაწილეობით. მათი რიცხვი მცირეა. ეს პატარა, მაგრამ პრაქტიკული დასაწყისი გვიჩვენებს, რომ კომუნისტები დააფასეს, დააფასეს მათი პრაქტიკის თვალსაზრისით, დააფასეს არა ისეთმა მაღალმა დაწესებულებებმა, როგორიცაა ცენტრალური საკონტროლო კომისია და სრ. რუს. ცაკ-ი. რა თქმა უნდა, ცენტრალური საკონტროლო კომისია ძალიან კარგი დაწესებულებაა, და მას ახლა მეტ უფლებებს მივანიჭებთ. მაგრამ მაინც, როდესაც ეს დაწესებულებები ამოწმებენ კომუნისტებს... წარმოიდგინეთ, რომ საერთაშორისო ბაზარზე მათს ავტორიტეტს არა ცნობენ. (ს ი ც ი ლ ი.) ხოლო როცა ჩვეულებრივი კაპიტალისტები, რუსეთისა და საზღვარგარეთის, შედიან შერეულ საზოგადოებაში კომუნისტებთან ერთად, ჩვენ ვამბობთ: «და მაინც, ცოტა რამ გვცოდნია, რაც უნდა ცუდი იყოს, რაც უნდა მცირედი იყოს, დასაწყისისათვის ჩვენ რაღაც უკვე გვაქვს». რა თქმა უნდა, არც ისე ბევრი;

აბა დაფიქრდით, უკვე ერთი წელიწადია, რაც გამოვაცხადეთ, რომ მთელი ენერგია (ხოლო ამბობენ, რომ ჩვენ ენერგია ბევრი გვაქვს), მთელი ენერგია ამ საქმეს მოვახმარეთ, და ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ჩვიდმეტი საზოგადოება გვაქვს.

ეს გვიჩვენებს, თუ რა საშინლად მოუქნელნი, ზანტნი ვართ, კიდევ რამდენი ობლომოვობაა ჩვენში, რისთვისაც ჩვენ აუცილებლად კიდევ მიგვტყეპავენ. მაგრამ მაინც, ვიმეორებ, დასაწყისი არის, დაზვერვა მოხდენილია. კაპიტალისტები ჩვენთან არ მოვიდოდნენ, მათი მოქმედებისათვის რომ ელემენტარული პირობები არ ყოფილიყო. მაგრამ თუ უმნიშვნელო ნაწილი მაინც მოვიდა, ეს უკვე გვიჩვენებს, რომ ნაწილობრივი გამარჯვება არის.

რა თქმა უნდა, ისინი კიდევ ამ საზოგადოებათა შიგნით მოგვცხებენ, ისე მოგვცხებენ, რომ შემდეგ რამდენიმე წელიწადს მოგვიხდება ამის გარჩევა. მაგრამ ეგ არაფერია. მე არ ვამბობ, რომ ეს გამარჯვებაა, — ეს არის დაზვერვა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ასპარეზი, გვაქვს მიწის ნაკვეთი, და რომ უკვე შეგვიძლია შევაჩეროთ უკან დახევა.

დაზვერვით დადგენილია, რომ უმნიშვნელო რაოდენობის ხელშეკრულებები გვაქვს დადებული კაპიტალისტებთან, მაგრამ რაც უნდა იყოს, ხელშეკრულებები დადებულია. ამაზე უნდა ვისწავლოთ და განვაგრძოთ მუშაობა. ამ აზრით დროა თავი დავანებოთ ნერვულობას, ყვირილს, ფაცაფუცს. ბარათი ბარათს მოსდევს, ტელეფონოგრამა ტელეფონოგრამას: «იქნებ ჩვენი რეორგანიზაციაც მოახდინოთ, იმიტომ რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გვაქვს?». ყველა ფაცაფუცობს, გამოდის ორომტრიალი; პრაქტიკულ საქმეს არავინ აკეთებს, ყველა იმაზე მსჯელობს, როგორ შეეგუონ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, და არავითარი შედეგი არ გამოდის.

ვაჭრები კი კომუნისტებს დასცინიან და, ალბათ, დასძენენ: «წინათ იყვნენ მთავარშემგონებელნი[57], ახლა კი მთავარმოლაპარაკენი არიანო». კაპიტალისტები რომ გვჭირდავდნენ,

ჩვენ რომ დავაგვიანეთ, ხელიდან გავუშვით, — ამაში ეჭვის ნატამალიც არ არის, და ამ აზრით მე ვამბობ, რომ საჭიროა ყრილობის სახელითაც დავამტკიცოთ ეს დირექტივა.

უკან დახევა დამთავრდა. მოქმედების მთავარი ხერხები, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ კაპიტალისტებთან, დასახულია. არის ნიმუშები, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით.

თავი დაანებეთ ჭკუის ძალდატანებას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე მსჯელობას, ლექსები დაე პოეტებმა წერონ, ამიტომაც არიან ისინი პოეტები. მაგრამ, ეკონომისტებო, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ნუკი მსჯელობთ, არამედ გაამრავლეთ ამ საზოგადოებათა რიცხვი, შეამოწმეთ იმ კომუნისტების რაოდენობა, რომლებსაც შესწევთ კაპიტალისტებთან შეჯიბრების მოწყობის უნარი.

უკან დახევა დამთავრდა, ახლა საქმე ძალთა გადაჯგუფებაა. აი დირექტივა, რომელიც ყრილობამ უნდა გამოიტანოს, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ფაცაფუცს, აურზაურს. დამშვიდდით, ჭკუას ძალას ნუ ატანთ, ეს მინუსად ჩაგეთვლებათ. პრაქტიკულად უნდა დაამტკიცო, რომ კაპიტალისტებზე უფრო ცუდად არ მუშაობ. კაპიტალისტები ეკონომიურ კავშირს ამყარებენ გლეხობასთან იმისთვის, რომ გამდიდრდნენ; შენ კი უნდა დაამყარო კავშირი გლეხურ ეკონომიკასთან, რომ გააძლიერო ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური ძალაუფლება. შენ უპირატესობა გაქვს კაპიტალისტების მიმართ იმიტომ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება შენს ხელთაა, მთელი რიგი ეკონომიური საშუალებანი შენს ხელთაა, მხოლოდ შენ არ იცი მათი გამოყენება, უფრო ფხიზლად შეხედე საქმეს, თავიდან მოიშორე ზიზილ-პიპილები, ს̣აზეიმო კომუნისტური სამოსელი, უბრალოდ ისწავლე უბრალო საქმე, და მაშინ ჩვენ დავამარცხებთ კერძო კაპიტალისტს. ჩვენს ხელთაა სახელმწიფო ძალაუფლება, ჩვენს ხელთაა უამრავი ეკონომიური საშუალება; თუ ჩვენ კაპიტალიზმს დავამარცხებთ და კავშირს დავამყარებთ გლეხურ ეკონომიკასთან, მაშინ აბსოლუტურად უძლეველი ძალა ვიქნებით. და მაშინ სოციალიზმის მშენებლობა იქნება საქმე

არა წვეთისა ზღვაში, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწოდება, არამედ მთელი მშრომელი მასისა; მაშინ უბრალო გლეხი დაინახავს: ისინი მეხმარებიანო; და მაშინ იგი გამოგვყვება ისე, რომ, თუ ეს ნაბიჯი მართლაც ასჯერ უფრო ნელი იქნება, სამაგიეროდ მილიონჯერ უფრო მტკიცე და მაგარი იქნება.

აი რა აზრით უნდა ვილაპარაკოთ უკან დახევის შეჩერებაზე, და ეს ლოზუნგი, ამა თუ იმ ფორმით, სწორი იქნებოდა ყრილობის გადაწყვეტილებად გადაგვექცია.

ამასთან დაკავშირებით მე მინდოდა შევხებოდი იმ საკითხს, თუ რა არის ბოლშევიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა — ევოლუცია თუ ტაქტიკა? ასე დააყენეს საკითხი სმენოვეხელებმა, რომლებიც, როგორც იცით, წარმოადგენენ ემიგრანტულ რუსეთში ფეხმოკიდებულ მიმდინარეობას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელსაც სათავეში უდგანან უდიდესი კადეტი მოღვაწეები, კოლჩაკის ყოფილი მთავრობის ზოგიერთი მინისტრი, — ადამიანები, რომლებიც იმ რწმენამდე მივიდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის სახელმწიფოს აშენებს, და ამიტომ საჭიროა მას გავყვეთო. «მაგრამ ეს საბჭოთა ხელისუფლება როგორ სახელმწიფოს აშენებს? კომუნისტები ამბობენ, კომუნისტურსო, ირწმუნებიან, რომ ეს არის ტაქტიკა: ბოლშევიკები მძიმე მომენტში შეეგუებიან კერძო კაპიტალისტებს, შემდეგ კი თავისას გაიტანენო. ბოლშევიკებს შეუძლიათ ის ილაპარაკონ, რაც მათ მოსწონთ, ნამდვილად კი ეს არის არა ტაქტიკა, არამედ ევოლუცია, შინაგანი გადაგვარება, ისინი ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნიან, და ჩვენ მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. ისტორია სხვადასხვა გზით მიდისო», — მსჯელობენ სმენოვეხელები.

ზოგიერთ მათგანს კომუნისტებად მოაქვთ თავი, მაგრამ არიან უფრო პირდაპირნიც, მათ შორის უსტრიალოვი. მგონი, ის მინისტრი იყო კოლჩაკის დროს. ის არ ეთანხმება თავის ამხანაგებს და ამბობს: «რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ კომუნიზმის შესახებ, მე კი ვამტკიცებ, ეს არის არა მათი ტაქტიკა,

არამედ ევოლუცია». მე ვფიქრობ, რომ ამ უსტრიალოვს ამ თავისი პირდაპირი განცხადებით დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის. ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის, განსაკუთრებით მე თანამდებობის გამო, მოთაფლული კომუნისტური სიცრუე, «კომსიცრუე», ყოველ ცისმარე დღეს, და ზოგჯერ ეს საშინელ გულისრევას იწვევს. და აი, ამ «კომსიცრუის» ნაცვლად მოდის «სმენა ვეხ»-ის ნომერი და პირდაპირ ამბობს: «თქვენთან ეს სრულიადაც ასე არ არის, ეს თქვენ მხოლოდ ასე გგონიათ, ნამდვილად კი თქვენ მიექანებით ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ჭაობისაკენ, და იქ იფრიალებს კომუნისტური დროშები ყოველგვარი სიტყვებით». ეს ძალიან სასარგებლოა, იმიტომ რომ ამაში ჩვენ ვხედავთ უკვე არა იმის უბრალო გადამღერებას, რაც ჩვენ მუდამ გვესმის ჩვენს ირგვლივ, არამედ პირდაპირ კლასობრივი მტრის კლასობრივ სიმართლეს. ძალიან სასარგებლოა ისეთი რამის შეხედვა, რაც იმიტომ კი არ იწერება, რომ კომუნისტურ სახელმწიფოში მიღებულია ასე წერო ანდა აკრძალულია სხვაგვარად წერო, არამედ იმიტომ, რომ ეს მართლაც კლასობრივი სიმართლეა, უხეშად, აშკარად თქმული კლასობრივი მტრის მიერ. «მე იმ აზრისა ვარ, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში, — ამბობს უსტრიალოვი, თუმცა კადეტი, ბურჟუა იყო, მხარს უჭერდა ინტერვენციას, — მე იმ აზრისა ვარ, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ საბჭოთა ხელისუფლებას, იმიტომ რომ იგი დაადგა გზას, რომლითაც მიექანება ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ხელისუფლებისაკენ».

ეს ძალიან სასარგებლო რამაა, რაც, მე ვფიქრობ, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ; და გაცილებით უმჯობესია ჩვენთვის, როდესაც სმენოვეხელები ასე წერენ, ვიდრე ის, როცა ზოგიერთ მათგანს თითქმის კომუნისტად მოაქვს თავი, ასე რომ შორიდან ვერც კი გაარჩევ — ღმერთი სწამს, თუ — კომუნისტური რევოლუცია. პირდაპირ უნდა ითქვას, ასეთი აშკარა მტრები სასარგებლონი არიან. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისეთი რამეები, რასაც უსტრიალოვი ლაპარაკობს, შესაძლებელია. ისტორიამ იცის ყოველგვარი

ჯერის გარდაქმნები; რწმენაზე, ერთგულებაზე და სხვა საუცხოო სულიერ თვისებებზე დაყრდნობა — ასეთი რამ პოლიტიკაში სრულიად არა სერიოზულია. საუცხოო სულიერი თვისებები აქვს ადამიანთა მცირე რიცხვს, ისტორიულ ბედს კი წყვეტენ უდიდესი მასები, რომლებიც, თუ ადამიანთა მცირე რაოდენობა მათთვის შეუფერებელია, ზოგჯერ ადამიანთა ამ მცირე რაოდენობას არცთუ ისე ზრდილობიანად ეპყრობიან.

ამის მაგალითი ბევრი ყოფილა, და ამიტომ სმენოვეხელეგბის ამ გულახდილ განცხადებას უნდა მივესალმოთ. მტერი კლასობრივ სიმართლეს ამბობს, მიუთითებს რა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენ წინაშე დგას. მტერი იმისაკენ ისწრაფვის, რომ ეს გარდუვალი გახდეს. სმენოვეხელები გამოხატავენ ათასობით და ათიათასობით ყოველგვარი ბურჟუის ან საბჭოთა მოსამსახურის, ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მონაწილის განწყობილებას. ეს — ძირითადი და ნამდვილი საფრთხეა. ამიტომაც ამ საკითხს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს: მართლაცდა, ვინ გაიმარჯვებს? მე ვლაპარაკობდი შეჯიბრებაზე. ჩვენ პირდაპირ არ გვიტევენ, ყელში არ გვწვდებიან. რა იქნება ხვალ, ამას ჩვენ კიდევ ვნახავთ, მაგრამ დღეს ჩვენ არ გვიტევენ იარაღით ხელში, და, მიუხედავად ამისა, ბრძოლა კაპიტალისტურ საზოგადოებასთან ასწილ უფრო გააფთრებული და საშიში გახდა, იმიტომ რომ ყოველთვის ნათლად ვერ ვხედავთ, სად არის მტერი ჩვენს წინააღმდეგ, და ვინ არის ჩვენი მეგობარი.

კომუნისტურ შეჯიბრებაზე მე ვლაპარაკობდი არა კომუნისტური თანაგრძნობის თვალსაზრისით, არამედ მეურნეობის ფორმათა და საზოგადოებრივი წყობის ფორმათა განვითარების თვალსაზრისით. ეს არის არა შეჯიბრება, ეს არის თაქგანწირული, გაშმაგებული, თუ უკანასკნელი არა, მასთან ახლოს მისული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის.

და აქ ნათლად უნდა დავაყენოთ კითხვა — რაშია ჩვენი ძალა და რა გვაკლია? პოლიტიკური ძალაუფლება სრულიად

საკმაოდ გვაქვს. საეჭვოა აქ მოინახოს ვინმე, რომელიც მიგვითითებდა, რომ ამა და ამ პრაქტიკულ საკითხში, ამა და ამ საქმიან დაწესებულებაში კომუნისტებს, კომუნისტურ პარტიას არასაკმაო ძალაუფლება აქვსო. ძირითადი ეკონომიური ძალა ჩვენს ხელთაა. ყველა გადამწყვეტი მსხვილი საწარმო, რკინიგზები და სხვ., — ყველა ისინი ჩვენს ხელთაა. იჯარა, რაც უნდა ფართოდ იყოს იგი განვითარებული ზოგ ადგილას, საერთოდ სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებს, საერთოდ ეს სრულიად უმნიშვნელო წილია. რუსეთის პროლეტარული სახელმწიფოს ხელში სრულიად საკმაო ეკონომიური ძალაა საიმისოდ, რომ კომუნიზმზე გადასვლა უზრუნველვყოთ. მაშ რაღა გვაკლია? ცხადია, რაც გვაკლია: აკლია კულტურულობა კომუნისტების იმ ფენას, რომელიც მართავს. მაგრამ თუ ავიღებთ მოსკოვს — 4 700 პასუხისმგებელ კომუნისტს — და ავიღებთ ამ ბიუროკრატიულ უზარმაზარ გროვას, — ვინ ვის მიჰყავს? მე ძალიან ვეჭვობ, შეიძლებოდეს იმის თქმა, რომ ეს გროვა კომუნისტებს მიჰყავთ. თუ სიმართლეს ვიტყვით, მათ კი არ მიჰყავთ, არამედ ისინი მიჰყავთ. აქ მოხდა რაღაც იმის მსგავსი, რასაც ბავშვობაში მოგვითხრობდნენ ისტორიიდან. ჩვენ გვასწავლიდნენ: ხდება ხოლმე, რომ ერთი ხალხი იპყრობს მეორეს, და მაშინ ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო, დამპყრობია, ხოლო ის, რომელიც დაიპყრეს, დამარცხებული. ეს ძალიან მარტივი და ყველასათვის გასაგებია. მაგრამ რა ემართება ამ ხალხთა კულტურას? აქ საქმე ასე მარტივი არ არის. თუ ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო, დამარცხებულ ხალხზე უფრო კულტურულია, მაშინ დამპყრობი თავს ახვევს მას თავის კულტურას, ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ ისე ხდება, რომ დამარცხებული თავის კულტურას თავს ახვევს დამპყრობს. რაღაც ამის მსგავსი ხომ არ მომხდარა რსფს რესპუბლიკის დედაქალაქში და ისე ხომ არ გამოვიდა, რომ 4 700 კომუნისტი (თითქმის მთელი დივიზია, და ყველა საუკეთესონი) უცხო კულტურას დამორჩილებული აღმოჩნდა? მართალია, აქ შეიძლება თითქოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ დამარცხებულთ მაღალი კულტურა

აქვთ. არაფერი ამის მსგავსი. მათი კულტურა მცირედი, უმნიშვნელოა, მაგრამ ის მაინც მეტია, ვიდრე ჩვენი. რა უბადრუკიც, რა მცირედიც არის იგი, მაგრამ იგი მეტია, ვიდრე ჩვენი პასუხისმგებელი კომუნისტი მუშაკების კულტურა, იმიტომ რომ მათ არა აქვთ მართვის საკმაო უნარი. კომუნისტები, სათავეში უდგებიან რა დაწესებულებებს, — ხოლო მათ ზოგჯერ განგებ ასე აყენებენ მოხერხებულად მესაბოტაქეები, რომ აბრა-ფირმა მიიღონ, — ხშირად გაბრიყვებული გამოდიან. ეს ძალიან არასასიამოვნო აღიარებაა. ან, ყოველ შემთხვევაში, არცთუ ძალიან სასიამოვნო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა ვაღიაროთ, რადგან ახლა ამაშია საკითხის დედააზრი. მე მგონია, ეს არის ერთი წლის პოლიტიკური გაკვეთილი, და ამ ნიშნით ჩატარდება 1922 წლის ბრძოლა.

შესძლებენ თუ არა რსფს რესპუბლიკის და რკ პარტიის პასუხისმგებელი კომუნისტები იმის გაგებას, რომ მათ არ იციან მართვა? რომ მათ ჰგონიათ, თითქოს მათ მიჰყავთ, ნამდვილად კი ისინი მიჰყავთ? აი, თუ ისინი შესძლებენ ამის გაგებას, მაშინ, რა თქმა უნდა, ისწავლიან, იმიტომ რომ შესწავლა შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ისწავლო, ჩვენში კი არ სწავლობენ. ჩვენში მარჯვნივ და მარცხნივ აფრიალებენ ბრძანებებს და დეკრეტებს, და სულაც ის არ გამოდის, რაც სურთ.

შეჯიბრება და შეცილება, რომელიც ჩვენ დღის წესრიგში დავაყენეთ, გამოვაცხადეთ რა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, — ეს სერიოზული შეჯიბრებაა. თითქოს იგი ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ხდება, ნამდვილად კი ეს არის ორი, ერთიმეორისადმი შეურიგებლად მტრული, კლასის ბრძოლის კიდევ ერთი ფორმა. ეს არის პროლეტარიატთან ბურჟუაზიის ბრძოლის კიდევ ერთი ფორმა, ეს არის ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და მოსკოვის ცენტრალურ დაწესებულებებშიც კი არ არის დაძლეული კულტურულად. ვინაიდან ძალიან ხშირად ბურჟუაზიულმა მოღვაწეებმა საქმე უკეთ იციან, ვიდრე ჩვენმა საუკეთესო კომუნისტებმა, რომელთა ხელშიცაა მთელი ძალაუფლება, ყველა

შესაძლებლობა და ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოუხერხებიათ, მიუხედავად თავიანთი უფლებებისა და თავიანთი ძალაუფლებისა.

მე მინდა მოვიყვანო ერთი ციტატი ალექსანდრე ტოდორსკის წიგნაკიდან. წიგნაკი გამოვიდა ქ. ვესიეგონსკში (არის ასეთი სამაზრო ქალაქი ტვერის გუბერნიაში), და იგი გამოვიდა რუსეთის საბჭოთა რევოლუციის პირველი წლის თავზე — 1918 წ. 7 ნოემბერს, დიდი-დიდი ხნის წინათ. ეს ვესიეგონსკელი ამხანაგი, როგორც ჩანს, პარტიის წევრია. მე ეს წიგნაკი დიდი ხანია წავიკითხე და ვერ დავიჩემებ, რომ ამ მხრივ შეცდომას არ დავუშვებ. ის ამბობს, როგორ შეუდგა ორი საბჭოთა ქარხნის მოწყობას, როგორ მიიწვია ორი ბურჟუა და ეს მაშინდებურად გააკეთა: თავისუფლების აღკვეთისა და მთელი ქონების კონფისკაციის მუქარით. ისინი ჩაابეს ქარხნის აღდგენის საქმეში. ჩვენ ვიცით, როგორ იზიდავდნენ ბურჟუაზიას 1918 წელს (ს ი ც ი ლ ი), ასე რომ დაწვრილებით ამაზე შეჩერება არა ღირს: ჩვენ ბურჟუაზიას ახლა სხვა საშუალებებით ვიზიდავთ. მაგრამ აი მისი დასკვნა: «ეს ჯერ კიდევ საქმის ნახევარია — არ კმარა დაამარცხო ბურჟუაზია, ბოლო მოუღო მას, უნდა ვაიძულოთ იგი ჩვენს სასარგებლოდ იმუშაოს».

აი ეს შესანიშნავი სიტყვებია. შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ქალაქ ვესიეგონსკშიც კი, 1918 წელსაც კი, სწორად ესმოდათ ურთიერთობა გამარჯვებულ პროლეტარიატსა და დამარცხებულ ბურჟუაზიას შორის.

ეს ჯერ კიდევ საქმის ნახევარია, თუ ჩვენ ხელებზე დავცხებთ ექსპლოატატორს, უვნებელვყოფთ და ბოლოს მოვუღებთ მას. ჩვენში კი, მოსკოვში, პასუხისმგებელ მუშაკებს შორის 100-დან დაახლოებით 90-ს წარმოუდგენია, რომ ამაშია მთელი საქმე, ე. ი. იმაში, რომ ბოლო მოვუღოთ, უვნებელვყოთ, ხელებზე დავცხოთ. იმას, რასაც მე მენშევიკებზე, ესერებზე, თეთრგვარდიელებზე ვამბობდი, ყოველივე ამას ძალიან ხშირად იქამდე მივყავართ, რომ უვნებელვყოთ, ხელებზე დავცხოთ (და, შესაძლოა, არათუ ხელებზე, შეიძლება

სხვა ადგილზედაც) და ბოლო მოვუღოთ. მაგრამ ეს ხომ საქმის ნახევარია. 1918 წელსაც კი, როცა ეს ვესიეგონსკელმა ამხანაგმა თქვა, ეს საქმის ნახევარი იყო, ახლა კი ეს საქმის მეოთხედზე ნაკლებიცაა. ჩვენ უნდა ვაიძულოთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მათი ხელით ვიმუშაოთ ჩვენს სასარგებლოდ, და არა ისე, რომ პასუხისმგებელი კომუნისტები იდგნენ სათავეში, ჰქონდეთ ჩინები, ხოლო მიჰყვებოდნენ ბურჟუაზიას მისი მიმართულებით. აი ამაშია მთელი არსი.

კომუნისტური საზოგადოების კომუნისტების ხელით აშენება, ეს არის ბავშვური, სავსებით ბავშვური იდეა. კომუნისტები — ეს წვეთია ზღვაში, წვეთია ხალხის ზღვაში. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებენ ხალხის თავისი გზით წაყვანას, თუ სწორად განსაზღვრავენ გზას არა მარტო მსოფლიო ისტორიული მიმართულების აზრით. ამ აზრით ჩვენ ჩვენი გზა აბსოლუტურად სწორად განვსაზღვრეთ, და ყოველი სახელმწიფო ადასტურებს, რომ ჩვენ იგი სწორად განვსაზღვრეთ, და ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ქვეყანაში, ეს გზა სწორად უნდა განვსაზღვროთ. ეს გზა მარტო ამით კი არ განისაზღვრება, არამედ იმითაც, რომ აღარ იქნება ინტერვენცია, იმით, რომ ჩვენ შევძლებთ გლეხს პურში საქონელი მივცეთ. გლეხი იტყვის: «შენ მშვენიერი კაცი ხარ, შენ იცავდი ჩვენს სამშობლოს; ჩვენ ამიტომ შენი გვჯეროდა, მაგრამ თუ შენ მეურნეობის გაძღოლა არ იცი, დაიკარგე აქედანო». დიახ, გლეხი ამას იტყვის.

მეურნეობის მართვას ჩვენ მაშინ შევძლებთ, თუ კომუნისტები შესძლებენ ამ მეურნეობის სხვისი ხელით გამართვას, თვითონ კი ისწავლიან ამ ბურჟუაზიისაგან და წარმართავენ მას იმ გზით, რომლითაც მათ სურთ. ხოლო თუ კომუნისტს წარმოუდგენია, რომ, აქაოდა, ყველაფერი ვიცი, იმიტომ რომ პასუხისმგებელი კომუნისტი ვარ, განა ისეთები დამიმარცხებია, როგორიცაა ვიღაც ნოქარი, ჩვენ ფრონტებზე ვამარცხებდით, და განა ასეთებს ვამარცხებდითო, — აი სწორედ ასეთი გაბატონებული განწყობილება ჩვენ გვღუპავს.

ეს საქმის სრულიად უმნიშვნელო ნაწილია, თუ ჩვენ ექსპლოატატორს უვნებელვყოფთ, ხელებზე დავცხებთ და შევზღუდავთ. ეს უნდა გავაკეთოთ. და ჩვენმა სახპოლიტსამმართველომ და ჩვენმა სასამართლოებმა ეს უნდა აკეთონ არა ისე მოდუნებულად, როგორც დღემდე აკეთებენ, არამედ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი პროლეტარული სასამართლოებია, რომლებიც გარემოცული არიან მთელ მსოფლიოში გაფანტული მტრებით. ეს ძნელი საქმე არ არის, ეს ჩვენ ძირითადად ვისწავლეთ. აქ საჭიროა ერთგვარი ძალდატანება, მაგრამ ეს ადვილია.

ხოლო გამარჯვების მეორე ნაწილი, — რომ არაკომუნისტური ხელით ვაშენოთ კომუნიზმი, შეგვწევდეს იმის პრაქტიკულად კეთების უნარი, რისი ეკონომიურად კეთებაც გვიხდება, — ეს არის კავშირის გამოძებნა გლეხურ მეურნეობასთან, გლეხების დაკმაყოფილება, რათა გლეხმა თქვას: «რა ძნელი, რა მძიმე, რა მტანჯველიც არ უნდა იყოს შიმშილი, მე კი ვხედავ, რომ თუმცა ძალაუფლება უჩვეულოა, თუმცა არაჩვეულებრივიცაა, მაგრამ მისგან ვიღებთ პრაქტიკულ, რეალურად ხელშესახებ სარგებლობას». უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ის მრავალრიცხოვანი, ჩვენზე ბევრად მეტი ელემენტები, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, ისე მუშაობდნენ, რომ ვიცოდეთ მათი მუშაობისათვის თვალყურის დევნება, რომ გვესმოდეს ეს მუშაობა, რომ მათი ხელით კეთდებოდეს კომუნიზმისათვის სასარგებლო რამ. აი ამაშია ახლანდელი მდგომარეობის დედააზრი, რადგან თუ ცალკეულ კომუნისტებს ეს კიდეც ესმოდათ და კიდეც ხედავდნენ ამას, ჩვენი პარტიის ფართო მასაში უპარტიოების მუშაობაში მიზიდვის აუცილებლობის ეს შეგნება არ არის. რამდენი ცირკულარი დაიწერა ამის შესახებ, რამდენი ითქვა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში რაიმე გაკეთდა? არაფერი. ჩვენი პარტიის ასეული კომიტეტიდან ხუთი კომიტეტიც კი ვერ შესძლებს გვიჩვენოს თავისი მუშაობის პრაქტიკული შედეგები. აი რამდენად ჩამოვრჩით იმ მოთხოვნილებას, რომელიც ახლა რიგში დგას, რამდენად ვცხოვრობთ 1918 და 1919 წლების ტრადიციებით. ეს იყო დიადი

წლები, გაკეთდა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული საქმე. ხოლო თუ ამ წლებს ვუცქირეთ უკან და ვერ დავინახეთ, თუ რა ამოცანა დგას ახლა რიგში, ეს იქნებოდა დაღუპვა, უეჭველი, აბსოლუტური დაღუპვა, და მთელი საქმე იმაშია, რომ არ გვინდა შევიგნოთ ეს.

ახლა მე მსურს მოვიყვანო იმის ორი პრაქტიკული მაგალითი, თუ რა გამოდის ჩვენი მართვიდან. მე უკვე ვთქვი, რომ ამისათვის უფრო სწორი იქნებოდა ერთ-ერთი სახელმწიფო ტრესტი აგველო. ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ამ სწორი წესის გამოყენება არ შემიძლია, იმიტომ რომ ამისათვის საჭირო იქნებოდა მასალების უაღრესად კონკრეტულად შესწავლა თუნდაც ერთ-ერთი სახელმწიფო ტრესტის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, მე მოკლებული ვიყავი საშუალებას შემესწავლა ეს მასალა და ამიტომ მომყავს ორი პატარა მაგალითი. ერთი მაგალითი ასეთია: მსს[58] ბიუროკრატიზმში სდებდა ბრალს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს; მეორე — დონბასისა.

პირველი მაგალითი ნაკლებ გამოსადეგია, მაგრამ უკეთესის აღების შესაძლებლობა არა მაქვს. ძირითადი აზრის დასურათება ამ მაგალითითაც შემიძლია. უკანასკნელ თვეებში, როგორც გაზეთებიდან იცით, შესაძლებლობა არ მქონდა უშუალოდ შევხებოდი საქმეს, მე არ ვმუშაობდი სახკომსაბჭოში, არ ვყოფილვარ ცენტრალურ კომიტეტშიც. მოსკოვში დროებით და იშვიათად ჩამოსვლის დროს თვალში მეცა გამწვავებული და საშინელი საჩივრები საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატზე. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი რომ ცუდია, რომ იქ საქმის გაჭიანურებაა, ამაში არასოდეს ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვარ. მაგრამ როდესაც საჩივრები განსაკუთრებით გამწვავდა, შევეცადე გავრკვეულიყავი საქმეში, — ამეღო კონკრეტული შემთხვევა, თუნდაც ერთხელ ჩავწვდომოდი ფესვებს, გამომერკვია, რა ხდება იქ, რატომ არ მიდის ეს მანქანა.

მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოებას უნდა ეყიდნა კონსერვები. ამისთვის გამოცხადდა ფრანგი მოქალაქე. არ

ვიცი, რისთვის აკეთებდა ის ამას: საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესებისათვის და ანტანტის ხელმძღვანელთა ნებართვით, თუ პუანკარესა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრების თანხმობით (ვფიქრობ, ჩვენი ისტორიკოსები გაერკვევიან ამაში გენუის კონფერენციის შემდეგ), მაგრამ ფაქტია, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მონაწილეობას იღებდა არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც, რადგან საფრანგეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელი აღმოჩნდა მოსკოვში და ყიდდა კონსერვებს. მოსკოვი შიმშილობს, ზაფხულში კიდევ უფრო მეტად იშიმშილებს, ხორცი არ მოუტანიათ და — ჩვენი გზათა სახალხო კომისარიატის ყველა ცნობილი თვისების გამო — უთუოდ არც მოიტანენ.

ჰყიდიან ხორცის კონსერვებს (რა თქმა უნდა, თუ იგი მთლად დამპალი არ არის, — ამას კიდევ მომავალი გამოკვლევა დაგვანახვებს) საბჭოთა ფულზე. ამაზე მარტივი რაღა იქნება? მაგრამ აღმოჩნდა, რომ თუ საბჭოურად და როგორც საჭიროა ისე განსჯი, ეს სრულიადაც ასე მარტივი არ არის. მე შესაძლებლობა არ მქონდა უშუალოდ მედევნებინა თვალყური საქმისათვის, ამიტომ მოვაწყვე გამოძიება, ახლა ხელთა მაქვს რვეული, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ვითარდებოდა ეს ცნობილი ისტორია. იგი იმით დაიწყო, რომ 11 თებერვალს, ამხ. კამენევის მოხსენების მიხედვით, რკ პარტიის ც. კ-ის პოლიტბიურომ გამოიტანა დადგენილება სასურსათო საგნების საზღვარგარეთ შესყიდვის სასურველობის შესახებ. რა თქმა უნდა, აბა როგორ შეუძლიათ რუს მოქალაქეებს რკ პარტიის ც. კ -ის პოლიტბიუროს ჩაურევლად ასეთი საკითხის გადაჭრა! აბა, წარმოიდგინეთ: როგორ შეეძლო 4 700 პასუხისმგებელ მუშაკს (ეს მხოლოდ აღწერით) ც. კ-ის პოლიტბიუროს ჩაურევლად გადაეჭრა საზღვარგარეთ სასურსათო საგნების შესყიდვის საკითხი? ამის წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ზებუნებრივია. ამხ. კამენევმა, როგორც ჩანს, მშვენივრად იცის ჩვენი პოლიტიკა და სინამდვილე და ამიტომ დიდ იმედს არ ამყარებდა პასუხისმგებელ მუშაკთა დიდ რაოდენობაზე, და იმით დაიწყო, რომ ხარს რქაში სწვდა, და თუ ხარს არა, ყოველ

შემთხვევაში პოლიტბიუროს, და ერთბაშად მიიღო (მე არ მსმენია, რომ ამის შესახებ კამათი ყოფილიყოს) რეზოლუცია: «საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყურადღება მიექცეს საზღვარგარეთიდან სურსათის შემოტანის სასურველობას, ამასთან ბაყები» და ა. შ.. მიქცეულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყურადღება. საქმე დაიძრა. ეს იყო 11 თებერვალს. მაგონდება, რომ სწორედ თებერვლის დამლევს თუ დაახლოებით ამ დროს მე მომიხდა მოსკოვში ჩამოსვლა, და ის, რასაც ერთბაშად წავაწყდი, — ეს იყო მოსკოველი ამხანაგების გოდება, პირდაპირ სასოწარკვეთილი გოდება. რაშია საქმე? ვერასგზით ვერ შეგვისყიდია სურსათიო. რატომ? — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საქმეს აჭიანურებსო. მე დიდი ხანია მონაწილეობა არ მიმიღია საქმეებში და მაშინ არ ვიცოდი, რომ ამის შესახებ არის პოლიტბიუროს დადგენილება, და მხოლოდ ვუთხარი საქმეთა მმართველს: თვალყური ადევნეთ, მოძებნეთ ქაღალდი და მაჩვენეთ. და ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ, როდესაც კრასინი ჩამოვიდა, კამენევი მოელაპარაკა მას, საქმე მოგვარდა, და კონსერვები ვიყიდეთ. ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება.

კამენევსა და კრასინს რომ შეუძლიათ შეთანხმდნენ და სწორად განსაზღვრონ პოლიტიკური ხაზი, რომელსაც რკ პარტიის ცკ-ის პოლიტბიურო მოითხოვს, ამაში მე ოდნავადაც ეჭვი არ მეპარება. სავაჭრო საკითხებშიც პოლიტიკურ ხაზს რომ კამენევი და კრასინი წყვეტდნენ, ჩვენ საუკეთესო საბჭოთა რესპუბლიკა გვექნებოდა მსოფლიოში, მაგრამ შეუძლებელია, რომ ყოველი გარიგების გამო მოვაცდინოთ პოლიტბიუროს წევრი კამენევი და კრასინი, — უკანასკნელი, გართული დიპლომატიური საქმეებით გენუის წინ, საქმეებით, რომლებიც მოითხოვდნენ დაძაბულ, უზომო მუშაობას, — მოვაცდინოთ ეს ამხანაგები იმისთვის, რომ ფრანგი მოქალაქისაგან კონსერვები ვიყიდოთ. ასე მუშაობა შეუძლებელია. ეს არის არა ახალი, არა ეკონომიური და არა პოლიტიკა, არამედ პირდაპირ დაცინვა. ახლა ხელთა მაქვს ამ საქმის გამოძიება, ორი გამოძიებაც კი: ერთი — ჩატარებული სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის

გორბუნოვისა და მისი თანაშემწის მიროშნიკოვის მიერ, მეორე — ის, რომელიც სახელმწიფო პოლიტსამმართველომ მოახდინა. კაცმა რომ თქვას, რატომ დაინტერესდა სახელმწიფო პოლიტსამმართველო ამ საქმით, არ ვიცი და მტკიცედ დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს სწორია, მაგრამ ამაზე არ შევჩერდები, იმიტომ რომ ვშიშობ, ახალი გამოძიება არ გახდეს საჭირო. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ მასალა შეგროვილია და იგი ახლა ხელთა მაქვს.

როგორ მოხდა, რომ თებერვლის დამლევს, როდესაც მოსკოვში ჩამოვედი, წავაწყდი ნამდვილ გოდებას — «ვერ შეგვისყიდია კონსერვებიო», მაშინ როდესაც გემი ლიბავაში დგას და კონსერვები იქ აწყვია, და საბჭოთა ფულსაც კი იღებენ ნამდვილ კონსერვებში! (ს ი ც ი ლ ი.) თუ ეს კონსერვები მთლად დამპალი არ აღმოჩნდა (მე კი ახლა ხაზს ვუსვამ: «თუ», იმიტომ რომ სავსებით დარწმუნებული არა ვარ, რომ მაშინ არ დავნიშნავ მეორე გამოძიებას, მაგრამ მის შედეგებზე ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი უკვე შემდგომ ყრილობაზე) — ამრიგად, თუ კონსერვები დამპალი არ აღმოჩნდა, იგი ნაყიდია, მე ვაყენებ კითხვას: რაშია საქმე, რომ უკამენევოდ და უკრასინოდ ვერ მოგვარდა ეს საქმე? გამოძიებიდან, რომელიც ხელთა მაქვს, ვხედავ, რომ ერთმა პასუხისმგებელმა კომუნისტმა შეუკურთხა მეორე პასუხისმგებელ კომუნისტს. ამავე გამოძიებიდან ვხედავ, რომ ერთმა პასუხისმგებელმა კომუნისტმა უთხრა მეორე პასუხისმგებელ კომუნისტს: «ამიერიდან უნოტარიუსოდ აღარ დაგელაპარაკებითო». როდესაც ეს ისტორია წავიკითხე, მომაგონდა, თუ როგორ მიხდებოდა 25 წლის წინათ, როცა ციმბირში ვიყავი გადასახლებული, ადვოკატად ყოფნა. ვიყავი არალეგალური ადვოკატი, იმიტომ რომ ადმინისტრაციული წესით ვიყავი გადასახლებული და ეს აკრძალული იყო, მაგრამ რადგან სხვა არავინ იყო, ხალხი ჩემთან მოდიოდა და მიამბობდა ზოგიერთ საქმეს. მაგრამ აქ ყველაზე ძნელი იყო საქმის შინაარსის გაგება. მოდის დედაკაცი, იწყებს, რა თქმა უნდა, ნათესავებით, და წარმოუდგენლად ძნელი იყო გაგება, თუ

რაშია საქმე. ვეუბნები: «მოიტანე ასლი». იგი ჰყვება თეთრ ძროხის შესახებ. ვეუბნები: «მოიტანე ასლი», მაშინ ის მიდის და ამბობს: «არ სურს უასლოდ მომისმინოს თეთრი ძროხის შესახებო». ბევრი ვიცინეთ ამ ასლის გამო ჩვენს კოლონიაში. მაგრამ ცოტაოდენ პროგრესს მაინც მივაღწიე: როდესაც ჩემთან მოდიოდნენ, თან მოჰქონდათ ასლი, და შესაძლებელი ხდებოდა იმის გარკვევა, თუ რაშია საქმე, რატომ ჩივიან და რა აწუხებთ. ეს იყო 25 წლის წინათ ციმბირში (ისეთ ადგილას, საიდანაც მრავალი ასეული ვერსი იყო რკინიგზის პირველ სადგურამდე).

რევოლუციის სამი წლის შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში რატომ გახდა საჭირო ორი გამოძიება, კამენევისა და კრასინის ჩარევა და პოლიტბიუროს დირექტივები კონსერვების საყიდლად? რა გვაკლდა? პოლიტიკური ძალაუფლება? არა. ფული იშოვეს, ასე რომ ეკონომიური ძალაუფლებაც იყო და პოლიტიკურიც. ყველა დაწესებულება თავის ადგილასაა. რაღა გვაკლია? — მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკთა, რომელთა მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და მათ საუცხოო კომუნისტებად ვთვლი, და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაკთა 99 მეასედის კულტურულობა, — ისინი კულტურულად ვერ მიუდგნენ საქმეს.

როცა მე ეს პირველად გავიგონე, წერილობითი წინადადება შევიტანე ც. კ-ში: ჩემი აზრით, ყველა, გარდა სრ. რუს. ცაკ-ის წევრებისა, რომლებიც, თქვენ იცით, ხელშეუვალნი არიან, ყველა, გარდა სრ. რუს. ცაკ-ის წევრებისა, მოსკოვის დაწესებულებებიდან მოთავსებულ იქნენ მოსკოვის ყველაზე ცუდ საპყრობილეში 6 საათით, ხოლო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან — 36 საათით. ახლა კი აღმოჩნდა, რომ დამნაშავე ვერ იპოვეს. (ს ი ც ი ლ ი.) მართლაც, იქიდან, რაც მე გიამბეთ, სავსებით ცხადია, რომ დამნაშავეს ვერ იპოვი. პირდაპირ ჩვეულებრივი რუსული ინტელიგენტური უუნარობაა პრაქტიკულად საქმის კეთებისა — უთავბოლობა და დაუდევ-

რობა. ჯერ დაიწყებს, გააკეთებს, შემდეგ იფიქრებს, ხოლო როცა არაფერი გამოუდით — გარბიან კამენევთან საჩივლელად, მიათრევენ პოლიტბიუროში. რა თქმა უნდა, პოლიტბიუროში უნდა დავაყენოთ ყველა სახელმწიფო ძნელი საკითხი — ამის თაობაზე კიდევ მომიხდება ლაპარაკი, — მაგრამ საჭიროა ჯერ მოფიქრება და შემდეგ უკვე გაკეთება. თუ გამოდიხარ, გაისარჯე და გამოდი საბუთებით. ჯერ გაგზავნე დეპეშა, მოსკოვში ჯერ კიდევ არის ტელეფონები, გაგზავნე ტელეფონოგრამა სათანადო დაწესებულებებში, გადაეცი ასლი ციურუპას, უთხარი: გარიგება საჩქარო საქმედ მიმაჩნია და საქმის გაჭიანურებისათვის პასუხისგებაში მიგცემთ. საჭიროა ვიფიქროთ ამ ელემენტარულ კულტურულობაზე, საქმეს მოფიქრებით უნდა მივუდგეთ; თუ საქმე არ გვარდება ერთბაშად ორი წუთის განმავლობაში, ტელეფონით დალაპარაკებით, აიღე საბუთები, გაიმაგრე მით ზურგი და უთხარი: «თუ საქმეს გააჭიანურებ, საპყრობილეში ჩაგსვამ». მაგრამ არავითარი მოფიქრება, არავითარი მომზადება, ჩვეულებრივი ფაცაფუცი, რამდენიმე კომისია, ყველა მოიქანცა, გაიტანჯა, დაავადმყოფდა, ხოლო საქმის დაძვრა მაშინ ხერხდება, როცა კამენევს შეახვედრებ კრასინს. ეს ტიპიური საქმეა. და სრულიადაც არა მარტო დედაქალაქ მოსკოვში, არამედ ასეა სხვა დედაქალაქებშიც, ყველა დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და ცალკეული ოლქების დედაქალაქებშიც, და არადედაქალაქებშიც მუდამ ასეთი რამ ხდება და ასჯერ უარესიც.

ჩვენს ბრძოლაში უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტებს ესაჭიროებათ მოფიქრება. ისინი ჩინებულად მოგითხრობენ რევოლუციური ბრძოლის, მთელ მსოფლიოში რევოლუციური ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ხოლო საშინელ გაჭირვებასა და სიღატაკეს რომ თავი დააღწიო, ამისთვის საჭიროა მოიფიქრო, კულტურული, წესიერი იყო — ამის უნარი მათ არა აქვთ. თუ პასუხისმგებელ კომუნისტებს ბრალს დავდებთ, რომ ისინი არაკეთილსინდისიერად უდგებიან საქმეს, ეს სწორი არ იქნება. მათი უდიდესი უმრავლესობა — 99 მეასედი — არათუ

კეთილსინდისიერი ადამიანებია, არამედ ისეთები, რომლებმაც დაამტკიცეს რევოლუციისადმი ერთგულება უმძიმეს პირობებში, ცარიზმის დამხობამდეც და რევოლუციის შემდეგაც, ადამიანები, რომლებიც პირდაპირ სიცოცხლეს სწირავდნენ. თუ მიზეზს ამაში დაუწყებთ ძებნას, ეს სრულიად არ იქნება სწორი. საჭიროა კულტურული მიდგომა უმარტივესი სახელმწიფო საქმისადმი, საჭიროა გაგება, რომ ეს არის სახელმწიფო, სავაჭრო საქმე; თუ დაბრკოლებები იქნება, უნდა შეგეძლოს მათი გადალახვა და საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა. მოსკოვში ჩვენ გვაქვს პროლეტარული სასამართლო, და მან პასუხისგებაში უნდა მისცეს ისინი, ვინც დამნაშავეა იმაში, თუ რატომ არ იყიდეს რამდენიმე ათეული ათასი ფუთი კონსერვი. მე ვფიქრობ, რომ პროლეტარული სასამართლო შესძლებს დამნაშავეთა დასჯას, ხოლო რომ დასჯო — საჭიროა დამნაშავენი იპოვო, მე კი სიტყვას გაძლევთ, რომ დამნაშავეთა პოვნა შეუძლებელია, დაე თვითეულმა თქვენგანმა გადახედოს ამ საქმეს — დამნაშავენი არ არიან, არის მხოლოდ აურზაური, ფაცაფუცი და უაზრობა. არავინ არ იცის საქმისადმი მიდგომა, არავის ესმის, რომ სახელმწიფო საქმეს უნდა მიუდგე არა ისე, არამედ ასე. ხოლო მთელი თეთრგვარდიელობა, მესაბოტაჟეები ამით სარგებლობენ. ჩვენ გვქონდა მესაბოტაჟეებთან გაშმაგებული ბრძოლის ხანა, ეს ბრძოლა ახლაც რიგში დგას; რა თქმა უნდა, სწორია, რომ მესაბოტაჟეები არიან და მათთან საჭიროა ბრძოლა. მაგრამ განა შეიძლება მათთან ბრძოლა, როცა ისეთი მდგომარეობაა, როგორც მე გიამბეთ? ეს ყოველგვარ საბოტაჟზე უფრო მავნებელია, მესაბოტაჟესაც სხვა არაფერი უნდა, ოღონდ დაინახოს, რომ ორი კომუნისტი ერთმანეთს ედავებიან იმ საკითხზე, თუ როდის მიმართონ პოლიტბიუროს პრინციპული დირექტივის მისაღებად სურსათის საყიდლად, და ამ ხვრელში გაძვრეს. თუ რამდენადმე ჭკვიანი მესაბოტაჟე ამა თუ იმ კომუნისტის ან რიგრიგობით ორივეს გვერდით დადგება და მხარს დაუჭერს მათ, — მაშინ მორჩა და გათავდა. საქმე სამუდამოდ დაღუპულია. ვინ არის დამნაშავე? არავინ. იმიტომ

რომ ორი კომუნისტი, პასუხისმგებელი, თავდადებული რევოლუციონერი, დავობენ გასული წლის თოვლისათვის, დავობენ იმ საკითხზე, თუ როდის დააყენონ საკითხი პოლიტბიუროში, რომ პრინციპული დირექტივა მიიღონ სურსათის საყიდლად.

აი როგორ დგას საკითხი, აი რაშია სიძნელე. ყოველმა ნოქარმა, რომელსაც გაუვლია მსხვილი კაპიტალისტური საწარმოს სკოლა, ასეთი რამის გაკეთება იცის; ხოლო პასუხისმგებელი კომუნისტების 99 მეასედმა არ იცის და არც სურს გაიგოს, რომ მათ არა აქვთ ეს უნარი, რომ საჭიროა სწავლის ანბანიდან დაწყება. თუ ჩვენ ამას ვერ გავიგებთ, კვლავ არ ჩავუჯდებით სწავლას მოსამზადებელი კლასიდან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავწყვეტთ ეკონომიურ ამოცანას, რომელიც ამჟამად საფუძვლად უდევს მთელ პოლიტიკას.

მეორე მაგალითი, რომლის მოყვანაც მე მინდოდა, ეს არის დონბასი. თქვენ იცით, რომ ეს არის მთელი ჩვენი ეკონომიკის ცენტრი, ნამდვილი საფუძველი. რუსეთში მსხვილი მრეწველობის არავითარ აღდგენაზე, სოციალიზმის არავითარ ნამდვილ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი აშენება შეუძლებელია ისე, თუ არა მსხვილი მრეწველობის საშუალებით, თუ არ აღვადგენთ, სათანადო სიჩაღლეზე არ დავაყენებთ დონბასს. ც. კ-ში ჩვენ ამას თვალყურს ვადევნებდით.

ამ რაიონის მიმართ არ გვქონია წვრილმანი საკითხის პოლიტბიუროში უკანონო, სასაცილო, უაზრო გადატანის შემთხვევა, არამედ იყო ნამდვილი, აბსოლუტურად გადაუდებელი საქმე.

თითქოს ცენტრალურ კომიტეტს თვალყური უნდა ედევნებინა იმისთვის, რომ მთელი ჩვენი ეკონომიკის ასეთ ნამდვილ ცენტრებში, საფუძველსა და საძირკველში, მართლაც ხეირიანად ემუშავნათ, იქ ხომ ქმცგ-ში — ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალური გამგეობის სათავეში იდგნენ არა მარტო უეჭველად ერთგული ადამიანები, არამედ ნამდვილად განათლებული

და უდიდესი უნარის მქონე ადამიანები, და არც შევცდები, თუ ვიტყვი — ნიჭიერი ადამიანები, და ამიტომ ც. კ-ის ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ პარტიული მხრივ ის ზოგჯერ მიმართავს — როგორა ვთქვა უფრო ზრდილობიანად? — შემოვლას, და ჩვენ როგორმე მივწვდებით მათ, იმიტომ რომ იქ ზის ეშმაკი ხალხი, და ც. კ. — არ ვიტყვი, რომ გვატყუებს, მაგრამ რაღაც ცოტათი გვშორდება. მთელი ეს საქმე რომ დაგვენახა, ჩვენ განვიხილეთ აქაურ ც. კ-ში და დავინახეთ შეხლა-შემოხლა და უთანხმოება. იქ არის წმგკ — წვრილი მაღაროების გამოყენების კომისია. რა თქმა უნდა, წვრილი მაღაროების გამოყენების კომისიასა და ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალურ გამგეობას შორის დიდი შეხლა-შემოხლაა. მაგრამ ჩვენ, ც. კ-ს, მაინც ერთგვარი გამოცდილება გვაქვს და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ არ მოგვეხსნა ხელმძღვანელი წრეები, ხოლო თუ შეხლა-შემოხლა იქნება, გვაცნობონ ჩვენ, თუნდაც მთელი დეტალებით, იმიტომ რომ, როცა ჩვენ მხარეში გვყავს არა მარტო ერთგული, არამედ ნიჭიერი ადამიანებიც, უნდა შევეცადოთ მხარი დავუჭიროთ მათ, რომ მათ ბოლომდე შეისწავლონ, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ არ შეუსწავლიათ. დამთავრდა იმით, რომ უკრაინაში იყო პარტიული ყრილობა, — მე არ ვიცი, რა მოხდა იქ, ბევრი რამ მოხდა. შევეკითხე უკრაინელ ამხანაგებს და ამბ. ორჯონიკიძეს სპეციალურად ვთხოვე, აგრეთვე ც. კ-მაც დაავალა წასულიყო და ენახა, რა მოხდა იქ. როგორც ჩანს, იქ იყო ინტრიგა და ყოველგვარი დომხალი, და პარტისი 10 წლის განმავლობაშიც ვერ გაერკვევა, თუ ამას მოჰკიდებს ხელს. მაგრამ ფაქტიურად ის გამოვიდა, რომ, მიუხედავად ც. კ-ის ერთსულოვანი დირექტივებისა, ეს ჯგუფი მეორე ჯგუფით შეცვლილი აღმოჩნდა. რაში იყო აქ საქმე? ძირითადად ამ ჯგუფის ერთმა ნაწილმა, მიუხედავად ყველა თავისი მაღალი თვისებისა, ერთგვარი შეცდომა დაუშვა. ისინი იმ ადამიანების მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომლებმაც ადმინისტრირების საქმეში გადაამლაშეს. იქ ჩვენ საქმე გვაქვს მუ-

შებთან. ძალიან ხშირად, როცა ამბობენ: «მუშები», ფიქრობენ, რომ ეს არის ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატი. სრულიადაც არა. ჩვენში ომის დროიდან დაწყებული ფაბრიკებსა და ქარხნებში წავიდნენ სრულიადაც არა პროლეტარები, არამედ წავიდნენ იმ მიზნით, რომ დამალოდნენ ომს, და განა ჩვენ ახლა ისეთი საზოგადოებრივი და ეკონომიური პირობები გვაქვს, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში ნამდვილი პროლეტარები მიდიან? ეს სწორი არ არის. ეს სწორია მარქსის მიხედვით, მაგრამ მარქსი წერდა არა რუსეთზე, არამედ საერთოდ მთელ კაპიტალიზმზე, დაწყებული მეთხუთმეტე საუკუნიდან. ექვსასი წლის მანძილზე ეს სწორია, ხოლო დღევანდელი რუსეთისათვის ეს სწორი არ არის. ძალიან ხშირად ფაბრიკებში მიმავალნი პროლეტარები კი არ არიან, არამედ ყოველგვარი შემთხვევითი ელემენტი.

შეგვწევდეს მუშაობის სწორად დაყენების უნარი, ისე, რომ არ ჩამოვრჩეთ, რომ დროზე გადავჭრათ არსებული უთანხმოება და ადმინისტრირება არ ჩამოვაშოროთ პოლიტიკას, — აი რაშია ამოცანა. ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა და ადმინისტრირება იმას ეყრდნობა, რომ მთელი ავანგარდი დაკავშირებული იყოს მთელ პროლეტარულ მასასთან, მთელ გლეხურ მასასთან. თუ ვინმე ამ პატარა ბორბლებს დაივიწყებს, თუ მას მარტო ადმინისტრირება გაიტაცებს, უბედურება იქნება. დონბასის მუშაკების მიერ დაშვებული შეცდომა სრულიად უმნიშვნელოა ჩვენს სხვა შეცდომებთან შედარებით, მაგრამ ეს ტიპიური მაგალითია, როდესაც ც. კ-ში ერთსულოვანი მოთხოვნა იყო: «დატოვეთ ეს ჯგუფი, გადმოიტანეთ ჩვენთან ც. კ-ში წვრილმანი კონფლიქტებიც კი, იმიტომ რომ დონბასი არის არა შემთხვევითი რაიონი, არამედ ეს ისეთი რაიონია, ურომლისოდაც სოციალისტური მშენებლობა უბრალო კეთილ სურვილად დარჩება», — მაგრამ მთელი ჩვენი პოლიტიკური ძალაუფლება, ც. კ-ის მთელი ავტორიტეტი საკმარ არ აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ამჯერად დაშვებულია შეცდომა ადმინისტრირებაში; გარდა ამისა, იყო მრავალი სხვა შეცდომაც.

აი იმის მაგალითი, რომ მთელი დაბრკოლება პოლიტიკური ძალაუფლება კი არ არის, არამედ ის, რომ შეგეძლოს მართვა, შეგეძლოს ადამიანების სწორად განლაგება, შეგეძლოს წვრილმან შეჯახებათა თავიდან აცილება ისე, რომ სახელმწიფო სამეურნეო მუშაობა არ შეწყდეს. ეს ჩვენ არა გვაქვს, — აი რაშია შეცდომა.

მე ვფიქრობ, რომ, როდესაც ჩვენი რევოლუციის შესახებ ვლაპარაკობთ და ვიწყებთ რევოლუციის ბედის აწონ-დაწონვას, სასტიკად უნდა გავარჩიოთ რევოლუციის ის ამოცანები, რომლებიც მთლიანად გადაწყვეტილია და რომლებიც შესულია; როგორც რაღაც სრულიად განუყოფელი, კაპიტალიზმისგან მსოფლიო-ისტორიული მობრუნების ისტორიაში. ჩვენს რევოლუციას მიუძღვის ასეთი საქმეები. რა თქმა უნდა, დაე მენშევიკებმა და ოტო ბაუერმა — II½ ინტერნაციონალის წარმომადგენელმა — იყვირონ: «მათ იქ ბურჟუაზიული რევოლუცია აქვთო», ჩვენ კი ვამბობთ, რომ ჩვენი ამოცანაა ბოლომდე მივიყვანოთ ბურჟუაზიული რევოლუცია. როგორც ერთი თეთრგვარდიული გამოცემა ამბობდა: 400 წელიწადი აგროვებდნენ ნეხვს ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში; ჩვენ კი ეს ნეხვი ოთხ წელიწადში გამოვგავეთ, — ეს ჩვენი უდიდესი დამსახურებაა. ხოლო რა გააკეთეს მენშევიკებმა და ესერებმა? არაფერი. არც ჩვენში და არც მოწინავე, განათლებულ გერმანიაში, იქაც კი არ ძალუძთ შუასაუკუნეობრივი ნეხვის გამოგვა. და ისინი ჩვენს უდიდეს დამსახურებას ჩვენვე გვისაყვედურებენ. რევოლუციის საქმის ბოლომდე მიყვანა — ეს ჩვენი ხელშეუვალი დამსახურებაა.

ახლა ომის სუნი ტრიალებს. მუშათა კავშირები, როგორც, მაგალითად, რეფორმისტული კავშირები, იღებენ რეზოლუციებს ომის წინააღმდეგ და გაფიცვებით იმუქრებიან ომის წინააღმდეგ. ამას წინათ, თუ არ ვცდები, გაზეთში ვნახე დეპეშა ომის შესახებ, რომ საფრანგეთის პალატაში ერთმა შესანიშნავმა კომუნისტმა სიტყვა წარმოთქვა ომის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ მუშები აჯანყებას ამჯობინებენ ომსო. არ

შეიძლება საკითხის ისე დაყენება, როგორც ჩვენ მას 1912 წელს ვაყენებდით, როდესაც ბაზელის მანიფესტი იბეჭდებოდა. მხოლოდ რუსეთის რევოლუციამ დაგვანახვა, თუ როგორ შეიძლება ომიდან გამოსვლა და რამდენი შრომაა ამისათვის საჭირო, თუ რას ნიშნავს — რეაქციული ომიდან რევოლუციური გზით გამოსვლა. რეაქციული იმპერიალისტური ომები გარდუვალია მსოფლიოს ყოველ კიდეში. კაცობრიობას არ შეუძლია დაივიწყოს, და იგი ვერც დაივიწყებს იმას, რომ ათეული მილიონობით ადამიანი გაიჟლიტა მაშინ და ახლაც გაიჟლიტება კიდევ, ყველა ასეთი ხასიათის საკითხის გადაჭრის დროს. ჩვენ ხომ XX საუკუნეში ვცხოვრობთ, და ერთადერთი ხალხი, რომელიც რეაქციული ომიდან გამოვიდა რევოლუციური გზით არა ამა თუ იმ მთავრობის სასარგებლოდ, არამედ მისი ჩამოგდების **გზით, — ეს არის რუსი ხალხი**, და იგი **რუსეთის** რევოლუციამ გამოიყვანა. და ის, რაც რუსეთის რევოლუციამ მოიპოვა — ხელშეუვალია. მას ვერავითარი ძალა ვერ წაიღებს, როგორც ქვეყნად არავითარ ძალას არ შეუძლია იმის უკან წაღება, რაც საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა. ეს არის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. ასეული წლობით სახელმწიფოები ბურჟუაზიული ტიპის მიხედვით შენდებოდა, და პირველად იქნა ნაპოვნი არა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფორმა. შეიძლება, ჩვენი აპარატი ცუდიც იყოს, მაგრამ ამბობენ, რომ პირველი ორთქლის მანქანაც, რომელიც გამოიგონეს, ცუდი იყო, და არც კი იციან, მუშაობდა თუ არა იგი. მაგრამ საქმე ამაში როდია, საქმე ისაა, რომ გამოგონება მოხდა. დაე პირველი ორთქლის მანქანა თავისი ფორმით გამოუსადეგარიც ყოფილიყო, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ახლა ორთქლმავალი გვაქვს. დაე ჩვენი სახელმწიფო აპარატი ძალზე ცუდია, მაგრამ იგი მაინც შექმნილია, უდიდესი ისტორიული გამოგონება მოხდა, და პროლეტარული ტიპის სახელმწიფო შექმნილია, — და ამიტომ დაე მთელმა ევროპამ, ათასობით ბურჟუაზიულმა გაზეთმა მოგვითხროს იმის შესახებ, რა უმსგავსოება და სიღატაკეა ჩვენში, რომ მშრომელი ხალხი მხოლოდ წამებას

განიცდის, — მაინც მთელ მსოფლიოში ყველა მუშა საბჭოთა სახელმწიფოსაკენ ილტვის. აი ის უდიდესი მონაპოვარნი, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ და რომლებიც ხელშეუვალია. მაგრამ ჩვენთვის, კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებისათვის, ეს მხოლოდ კარის გაღებას ნიშნავს. ჩვენს წინაშე ახლა დგას სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების ამოცანა. გაკეთებულია ეს? არა, არ არის გაკეთებული. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სოციალისტური საძირკველი. ის კომუნისტები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ იგი არის, უდიდეს შეცდომას სჩადიან. მთელი დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც ჩვენში წარმოადგენს რუსეთის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ დამსახურებას, მტკიცედ, ნათლად და ფხიზლად გამოვყოთ იმისგან, რასაც ჩვენ მეტისმეტად ცუდად ვასრულებთ, რაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და რაც კიდევ მრავალჯერ უნდა გადავაკეთოთ.

პოლიტიკური მოვლენები ყოველთვის ძალიან არეულ-დარეული და რთულია. ისინი ჯაჭვს შეიძლება შევადაროთ. მთელი ჯაჭვი რომ დაიჭირო, ხელი უნდა ჩასჭიდო ძირითად რგოლს. არ შეიძლება ხელოვნურად აირჩიო ის რგოლი, რომელსაც გინდა ხელი ჩასჭიდო. 1917 წელს რა იყო თავიდათავი? ომიდან გამოსვლა, რასაც მთელი ხალხი მოითხოვდა, და ეს ყველაფერს ფარავდა. ომიდან გამოსვლას რევოლუციურმა რუსეთმა მიაღწია. საჭირო გახდა დიდი ძალ-ღონის დახარჯვა, მაგრამ სამაგიეროდ ხალხის ძირითადი მოთხოვნილება გათვალისწინებულ იქნა, და ამან მოგვანიჭა გამარჯვება მრავალი წლით. და ხალხმა იგრძნო, გლეხი ხედავდა, ფრონტიდან დაბრუნებულ ყოველ ჯარისკაცს მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სახით ის იღებს უფრო დემოკრატიულ, მშრომელებთან უფრო ახლო მდგომ ხელისუფლებას. რამდენი სისულელე და უმსგავსოებაც უნდა ჩაგვედინა სხვა სფეროებში, რაკი ეს მთავარი ამოცანა გავითვალისწინეთ, — მაშასადამე, ყველაფერი სწორი იყო.

1919 და 1920 წლებში რა იყო თავიდათავი? — სამხედრო წინააღმდეგობა. აქ ჩვენზე მოდიოდა, ჩვენ გვახრჩობდა სა-

ქვეყნოდ ძლიერი ანტანტა, და საჭირო არ იყო პროპაგანდა — ყოველ უპარტიო გლეხს ესმოდა, თუ რა ხდებოდა. მოდის მემამული. კომუნისტებმა იციან როგორ ებრძოლონ მას. აი რატომ იყო გლეხი მასობრივად კომუნისტების მხარეზე, აი რატომ გავიმარჯვეთ ჩვენ.

1921 წელს თავიდათავი იყო წესრიგით უკან დახევა. აი რატომ იყო საჭირო უდიდესი დისციპლინა. «მუშათა ოპოზიცია» ამბობდა: «თქვენ სათანადოდ ვერ აფასებთ მუშებს, მუშები მეტ ინიციატივას უნდა იჩენდნენ». ინიციატივა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ წესრიგით უკან დაიხიო და უდიდესი დისციპლინა დაიცვა. ის, ვისაც რამდენადმე მაინც პანიკა ან დისციპლინის დარღვევა შემოაქვს, დაღუპავდა რევოლუციას, იმიტომ რომ იმაზე ძნელი არაფერია, როგორც ისეთ ადამიანებთან ერთად უკან დახევა, რომლებიც შეეჩვივნენ დაპყრობას, რომლებიც გაჟღენთილი არიან რევოლუციური შეხედულებებითა და იდეალებით და გულში ყოველგვარი უკან დახევა საზიზღრობად მიაჩნიათ. უდიდესი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ არ დავარღვიოთ წესრიგი, და უდიდესი ამოცანა — იმაში, რომ შევინარჩუნოთ წესრიგი.

ხრლო ახლა რა არის თავიდათავი? თავიდათავია — სწორედ ამით მინდოდა დამემთავრებინა და შემეჯამებინა ჩემი მოხსენება — თავიდათავია არა პოლიტიკა, მიმართულების შეცვლის აზრით; ამაზე განუზომლად ბევრს ლაპარაკობენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ყოველივე ამას ტყუილუბრალოდ ლაპარაკობენ. ეს უაღრესად მავნე ლაყბობაა. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩვენში იწყებენ ჯახირს, დაწესებულებათა გარდაქმნას, ახალ დაწესებულებათა დაარსებას. ეს უაღრესად მავნე ლაყბობაა. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თავიდათავია ადამიანები, ადამიანთა შერჩევა. ამის შეთვისება ძნელია იმ რევოლუციონერისათვის, რომელიც მიეჩვია წვრილმანი საქმეების წინააღმდეგ, მოკულტუროსნობის წინააღმდეგ

ბრძოლას, რომელმაც დაწესებულების გარდაქმნის ნაცვლად პიროვნების როლი წამოაყენა. მაგრამ ჩვენ იმ მდგომარეობას მივადექით, რომელიც პოლიტიკური აზრით ფხიზლად უნდა შევაფასოთ, — ჩვენ ისე შორს წავიწიეთ, რომ არ შეგვიძლია ყველა პოზიცია შევინარჩუნოთ და არც უნდა შევინარჩუნოთ.

საერთაშორისო აზრით ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი მდგომარეობა გიგანტურად გაუმჯობესდა. ჩვენ მოვიპოვეთ სახელმწიფოს საბჭოთა ტიპი, — ეს არის მთელი კაცობრიობის წინგადადგმული ნაბიჯი, კომინტერნიც ყოველი ქვეყნიდან მიღებული ცნობებით ყოველდღე გვიდასტურებს ამას. და ეჭვის ნატამალიც არავის აქვს. მაგრამ პრაქტიკული მუშაობის აზრით საქმის ვითარება ისეთია, რომ თუ კომუნისტები პრაქტიკულ დახმარებას ვერ აღმოუჩენენ გლეხურ მასას, იგი მათ მხარს არ დაუჭერს. ყურადღების ცენტრი იმაში კი არ არის, რომ იკანონმდებლო, საუკეთესო დეკრეტები გამოსცე და ა. შ.. ჩვენ გვქონდა ისეთი ხანა, როცა დეკრეტები პროპაგანდის ფორმას წარმოადგენდა. ჩვენ დაგვცინოდნენ, ამბობდნენ, ბოლშევიკებს არ ესმით, რომ მათ დეკრეტებს არ ასრულებენო; მთელი თეთრგვარდიული პრესა სავსეა დაცინვით ამის გამო, მაგრამ ეს ხანა კანონიერი იყო, როცა ბოლშევიკებმა ძალაუფლება აიღეს და უბრალო გლეხს, უბრალო მუშას უთხრეს: აი სახელმწიფოს როგორი მართვა გვსურს არსებობდეს, აი დეკრეტი, სინჯეთ. უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაცნობდით ჩვენს შეხედულებებს პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის მასებში. ეს იყო დრო, ეს იყო ხანა, რომელიც აუცილებელი იყო რევოლუციის დასაწყისში, უამისოდ ჩვენ სათავეში ვერ ჩავუდგებოდით რევოლუციურ ტალღას, და კუდში ჩანჩალს დავიწყებდით. უამისოდ ჩვენდამი ნდობა არ ექნებოდა ყველა მუშასა და გლეხს, რომელთაც სურდათ ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აშენება. მაგრამ ამ ხანამ განვლო, ჩვენ კი არ გვინდა გავიგოთ ეს. ახლა გლეხები და

მუშები სიცილს დაიწყებენ, როცა მოვითხოვთ ამა და ამ დაწესებულების აშენებას, გარდაქმნას. ახლა უბრალო მუშა და გლეხი ამით აღარ დაინტერესდებიან, და მართალიც იქნებიან, რადგან სიმძიმის ცენტრი ამაში არ არის. შენ, კომუნისტი, ახლა ხალხში ამით კი არ უნდა მიდიოდე. თუმცა ჩვენ, სახელმწიფო დაწესებულებებში მსხდომნი, მუდამ გადატვირთული ვართ ასეთი წვრილმანებით, მაგრამ ჯაჭვის ამ რგოლს კი არ უნდა ჩავჭიდოთ ხელი, თავიდათავი ეს კი არ არის, თავიდათავი ისაა, რომ ადამიანები სწორად არ არიან განლაგებული, რომ პასუხისმგებელ კომუნისტს, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მთელი რევოლუცია, ჩაბარებული აქვს ის სავაჭრო-სამრეწველო საქმე, რაშიც მას არაფერი გაეგება და ხელს გვიშლის დავინახოთ სიმართლე, რადგან მის ზურგს უკან საუცხოოდ იმალებიან საქმოსნები და თაღლითები. საქმე იმაშია, რომ ჩვენ არა გვაქვს იმის პრაქტიკული შემოწმება, რაც შესრულებულია. ეს პროზაიკული, პატარა ამოცანაა, ეს წვრილმანი საქმეებია, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ, ისეთ პირობებში, როცა ჩვენ რამდენიმე ხანი უნდა ვიარსებოთ კაპიტალისტური წყობის ვითარებაში, როცა თავიდათავია არა პოლიტიკა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით (ის, რასაც გაზეთებში ამბობენ, პოლიტიკური ლაქლაქია და აქ სოციალისტური არაფერია), როცა თავიდათავია არა რეზოლუციები, არა დაწესებულებები, არა ხელახალი ორგანიზაცია. რამდენადაც ეს აუცილებელია ჩვენთვის, ამას გავაკეთებთ, მაგრამ ნუ მიძვრებით ამით ხალხში, შეარჩიეთ საჭირო ადამიანები და შეამოწმეთ პრაქტიკული შესრულება, — და ხალხი ამას დააფასებს.

ხალხის მასაში ჩვენ მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვმართოთ, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეგნებული აქვს. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაიყოლიებს მასებს, და მთელი მანქანა დაიშლება. ამჟამად ხალხი და მთელი მშრომელი

მასები თავისთვის ძირითადს მხოლოდ იმაში ხედავენ, რომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ ამ საშინელი გაჭირვებისა და შიმშილის დროს და დაანახვონ, რომ ნამდვილად წარმოებს გაუმჯობესება, რაც გლეხს ესაჭიროება, რაც მისთვის ჩვეულია. გლეხმა იცის ბაზარი და იცის ვაჭრობა. ჩვენ არ შეგვეძლო პირდაპირი კომუნისტური განაწილება შემოგვეღო. ამისათვის არ გვყოფნიდა ფაბრიკები და მათი მოწყობილობა. მაშინ ჩვენ ვაჭრობის საშუალებით უნდა მივცეთ, რაც მას ესაჭიროება, მაგრამ კაპიტალისტზე უარესად როდი უნდა მივცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ასეთ მართვა-გამგეობას ვერ აიტანს. ეს არის თავიდათავი. და თუ მოულოდნელი რამ არაფერი მოხდა, ეს უნდა გადაიქცეს მთელი ჩვენი მუშაობის დედააზრად 1922 წლისთვის სამი პირობით.

ჯერ-ერთი, იმ პირობით, რომ არ იქნება ინტერვენცია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი დიპლომატიით იმისათვის, რომ ინტერვენცია თავიდან ავიცილოთ, მიუხედავად ამისა იგი ყოველდღე შესაძლებელია. ჩვენ მართლაც ფხიზლად უნდა ვიყოთ და წითელი არმიის სასარგებლოდ ერთგვარი მძიმე მსხვერპლი უნდა გავიღოთ, რა თქმა უნდა, სასტიკად უნდა განისაზღვროს ამ მსხვერპლის ფარგლები. ჩვენს წინაშეა ბურჟუაზიის მთელი სამყარო, რომელიც მხოლოდ ფორმას ეძებს, რომ დაგვახრჩოს. ჩვენი მენშევიკები და ესერები ამ ბურჟუაზიის აგენტები არიან და სხვა არაფერი, ასეთია მათი პოლიტიკური მდგომარეობა.

მეორე პირობაა — თუ ფინანსური კრიზისი მეტად ძლიერი არ იქნება. კრიზისი გვიახლოვდება. მის შესახებ თქვენ მოისმენთ ფინანსური პოლიტიკის საკითხის განხილვისას. თუ იგი მეტად ძლიერი და მძიმე იქნა, ჩვენ კვლავ ბევრი რამ უნდა გარდავქმნათ და მთელი ძალები მხოლოდ აქეთკენ უნდა მივმართოთ. თუ იგი მეტად მძიმე არ იქნა, შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს: იგი გაწმენდს კომუნისტებს ყოველგვარი სახტრესტებიდან. ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ ამის გაკეთება. ფინანსური კრიზისი ბერტყავს დაწესებულებებსა და საწარმოებს, და უვარგისნი მათ შორის პირველ რიგში

კოტრდებიან. ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ეს იმას არ მიაწერონ, რომ დამნაშავენი სპეცები არიან, ხოლო პასუხისმგებელი კომუნისტები ძალიან კარგი მუშაკები არიან, ფრონტებზე იბრძოდნენ და მუდამ კარგად მუშაობდნენო. ასე რომ, თუ ფინანსური კრიზისი განუზომლად მძიმე არ იქნა, მან შეიძლება სარგებლობა მოგვიტანოს და სამეურნეო დაწესებულებებში ყველა პასუხისმგებელი კომუნისტი გავწმინდოთ არა ისე, როგორც წმენდს ცენტრალური საკონტროლო კომისია და ცენტრალური შემმოწმებელი კომისია [59], არამედ გავწმინდოთ, როგორც წესი და რიგია.

და მესამე პირობა — რომ ამ დროის განმავლობაში არ დავუშვათ პოლიტიკური შეცდომები. რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკურ შეცდომებს დავუშვებთ, მაშინ მთელ სამეურნეო მშენებლობას ძირი გამოეთხრება, მაშინ ხელი უნდა მოვკიდოთ დავას გამოსწორებისა და გაძღოლის შესახებ. მაგრამ თუ ასეთი სამწუხარო შეცდომები არ იქნება, მაშინ უახლოეს მომავალში თავიდათავი იქნება არა დეკრეტები და არა პოლიტიკა, ამ სიტყვის ვიწრო აზრით, არა დაწესებულებები, არა მათი ორგანიზაცია — ამ საქმეს გააკეთებენ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, პასუხისმგებელი კომუნისტების წრე და საბჭოთა დაწესებულებები, — არამედ თავიდათავი მუშაობა იქნება ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება. თუ ჩვენ ამ საქმეს პრაქტიკულად შევისწავლით, პრაქტიკულ სარგებლობას მოვიტანთ, მაშინ ჩვენ კვლავ ყველა სიძნელეს გადავლახავთ.

დასასრულ უნდა შეევეხო ჩვენი საბჭოთა ორგანოების, უმაღლესი დაწესებულებებისა და მათდამი პარტიის დამოკიდებულების საკითხის პრაქტიკულ მხარეს. ჩვენში არასწორი ურთიერთობა დამყარდა პარტიასა და საბჭოთა დაწესებულებებს შორის, და ამაში სრულიად ერთსულოვანი ვართ. ერთ მაგალითზე მე გიჩვენეთ, როგორ გადააქვთ კონკრეტული წვრილმანი საქმე უკვე პოლიტბიუროში. ფორმალურად ამის თავის დაღწევა ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ჩვენში მართავს ერთადერთი მმართველი პარტია, და პარტიის წევრს

ჩივილს ვერ დაუშლი. ამიტომ სახკომსაბჭოდან ყველაფერი პოლიტბიუროში გადააქვთ. აქ დიდი იყო აგრეთვე ჩემი დანაშაულიც, რადგან სახკომსაბჭოსა და პოლიტბიუროს შორის კავშირის მხრივ ბევრ რამეს პერსონალურად მე ვასრულებდი. ხოლო როცა მე მომიხდა წასვლა, აღმოჩნდა, რომ ორი ბორბალი ერთბაშად არ მოქმედებს, კამეჩევს მოუხდა სამმაგი მუშაობა ამ კავშირის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება ძირითად დირექტივებს, აქ ც. კ-ში სრული თანხმობაა, და იმედი მაქვს, რომ ყრილობა ამ საკითხს დიდი ყურადღებით მოეკეკვა და დირექტივებს დაამტკიცებს იმ აზრით, რომ საჭიროა პოლიტბიურო და ცენტრალური კომიტეტი გავთავისუფლოთ წვრილმანებისაგან და გავაძლიეროთ პასუხისმგებელ მუშაკთა მუშაობა. საჭიროა, რომ სახალხო კომისრები პასუხს აგებდნენ თავიანთი მუშაობისთვის, და ისე არ ხდებოდეს, რომ ჯერ მიმართავდნენ სახკომსაბჭოს, ხოლო შემდეგ პოლიტბიუროს. ფორმალურად ჩვენ არ შეგვიძლია ც. კ-ში ჩივილის უფლება გავაუქმოთ, იმიტომ რომ ჩვენი პარტია ერთადერთი მმართველი პარტიაა. აქ უნდა აღიკვეთოს ყოველგვარი მიმართვა წვრილმან საკითხებზე, მაგრამ უნდა ავწიოთ სახკომსაბჭოს ავტორიტეტი, რომ იქ მეტ მონაწილეობას იღებდნენ სახალხო კომისრები და არა მოადგილეები. უნდა შევცვალოთ სახკომსაბჭოს მუშაობის ხასიათი იმ მხრივ, რა მხრივაც მე ვერ ვახერხებდი ამას უკანასკნელი წლის განმავლობაში: გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს იმას, რომ თვალყური ვადევნოთ შესრულების შემოწმებას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიები შეკვეცილ იქნენ, რომ ისინი იცნობდნენ და წყვეტდნენ თავიანთ საკუთარ საქმეებს და არ ედებოდნენ უამრავ კომისიას. ამ დღეებში მოხდა კომისიების წმენდა. დაითვალეს 120 კომისია. მერე რამდენი აღმოჩნდა საჭირო? 16 კომისია. და ეს პირველი წმენდა როდია. იმის ნაცვლად,

რომ პასუხი აგო შენს საქმეზე, გამოატანინო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება და იცოდე, რომ შენ ამისათვის პასუხს აგებ, — კომისიებს ეფარებიან. კომისიებში ეშმაკი ფეხს მოიტეხს, ვერავინ ვერაფერს გაიგებს, ვინ აგებს პასუხს; ყველაფერი აირ-დაირია და, ბოლოს და ბოლოს, გამოაქვთ ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ყველა პასუხისმგებელია.

ამასთან დაკავშირებით უნდა მივუთითოთ, რომ აუცილებელია გაფართოვდეს და გაძლიერდეს საოლქო ეკონომიური საბჭოების ავტონომია და საქმიანობა. ჩვენში ახლა რუსეთის საოლქო რაიონებად დაყოფა ჩატარებულია მეცნიერულ საფუძველთა მიხედვით, სამეურნეო, კლიმატური, საყოფაცხოვრებო პირობების, სათბობის მიღების, ადგილობრივი მრეწველობის პირობების გათვალისწინებით და სხვ.. ამ დაყოფის საფუძველზე შექმნილია რაიონული და საოლქო ეკონომიური საბჭოები. რა თქმა უნდა, კერძო შესწორებები იქნება, მაგრამ უნდა ავწიოთ ამ ეკონომიური საბჭოების ავტორიტეტი.

შემდეგ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სრ. რუს. ცაკ-ი უფრო ენერგიულად მუშაობდეს და წესიერად იკრიბებოდეს სესიებზე, რომლებიც უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს. სესიები უნდა იხილავდნენ იმ კანონების პროექტებს, რომლებიც ზოგჯერ ნაჩქარევად შეაქვთ სახკომსაბჭოში აუცილებელი საჭიროების გარეშე. უმჯობესია გადაიდოს და საშუალება მიეცეს ადგილობრივ მუშაკებს გულდასმით მოიფიქრონ, და უფრო მკაცრი მოთხოვნა წარედგინოს კანონების შემდგენელთ, რაც ჩვენში არ ხდება.

თუ სრ. რუს. ცაკ-ის სესიები უფრო ხანგრძლივი იქნება, ისინი დაიყოფიან სექციებად და ქვეკომისიებად და შესძლებენ მუშაობის უფრო მკაცრად შემოწმებას, მიაღწევენ იმას, რაც, ჩემი აზრით, შეადგენს ახლანდელი პოლიტიკური მომენტის მთელ დედააზრს, მთელ არსს: სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს ადამიანთა შერჩევაზე, ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე.

უნდა შევიგნოთ და არ უნდა გვეშინოდეს იმის შეგნებისა, რომ პასუხისმგებელ კომუნისტებს 100-დან 99 შემთხვევაში ის არ აბარიათ, რისთვისაც ისინი ახლა გამოსადეგნი არიან, მათ არ იციან თავისი საქმის გაძღოლა და ახლა უნდა ისწავლონ. თუ ამას ვაღიარებთ, და რაკი ამის საკმაო შესაძლებლობა გვაქვს, — ხოლო საერთო საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით თუ განვსჯით, ჩვენ გვეყოფა დრო იმისათვის, რომ მოვასწროთ შესწავლა, — ეს უნდა გავაკეთოთ რადაც უნდა დაჯდეს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

3

საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის გამო

28 მარტს

(ტ ა შ ი.) უწინარეს ყოვლისა რამდენიმე დრო უნდა დავუთმო იმ შენიშვნების კრიტიკას, რომლებიც აქ გააკეთეს ამხ. პრეობრაჟენსკიმ და ამხ. ოსინსკიმ. მე ვფიქრობ, ამხ. პრეობრაჟენსკი და ამხ. ოსინსკი მთავარსა და ძირითადში სრულიად ვერ ახვედრებდნენ მიზანს, და სწორედ თავიანთი გამოსვლებით მათ დაგვანახვეს იმ ხაზის უმართებულობა, როგორც მათ წარმოუდგენიათ პოლიტიკა.

ამხ. პრეობრაჟენსკი ლაპარაკობდა კაპიტალიზმზე და იმაზე, რომ პროგრამის გამო უნდა გაგვემართა საერთო დისკუსიაო. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა დროის სრულიად უნაყოფოდ და უმართებულოდ დახარჯვა.

პირველ ყოვლისა სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხზე. «სახელმწიფო კაპიტალიზმი იგივე კაპიტალიზმია, — ამბობდა პრეობრაჟენსკი, — ეს მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ და ასეც უნდა გავიგოთო». მე ვამტკიცებ, რომ ეს სქოლასტიკაა. დღემდე კაცობრიობის ისტორიაში არავის დაუწერია ასეთი წიგნი კაპიტალიზმის შესახებ, იმიტომ რომ ამას ჩვენ პირველად მხოლოდ ახლა განვიცდით. დღემდე რამდენადმე ხეირიანი წიგნები სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ იწერებოდა ისეთ პირობებსა და ისეთ ვითარებაში, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი კაპიტალიზმიაო. ახლა სხვანაირად გამოვიდა, და არავითარ მარქსს და არავითარ მარქსისტებს არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ეს. და არც არის საჭირო უკან ვიხედებოდეთ. თუ თქვენ ისტორიის

წერას შეუდგებით, თქვენ მას ჩინებულად დაწერთ, ხოლო როცა სახელმძღვანელოს დაწერას დაიწყებთ, დაწერთ: სახელმწიფო კაპიტალიზმი — ეს არის კაპიტალიზმი სრულიად მოულოდნელი, რომელიც აბსოლუტურად არავის არ გაუთვალისწინებია, — ხომ არ შეეძლო ვინმეს წინასწარ განეჭვრიტა, რომ პროლეტარიატი ხელისუფლებას ჩაუდგებოდა სათავეში ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში და შეეცდებოდა ჯერ მოეწყო მსხვილი წარმოება და განაწილება გლეხებისათვის, ხოლო შემდეგ, როცა, კულტურული პირობების გამო, ვერ დაძლევდა ამ ამოცანას, კაპიტალიზმს ჩააბამდა საქმეში. ყოველივე ეს არასდროს არ გაუთვალისწინებიათ, მაგრამ ეს ხომ სრულიად უდავო ფაქტია.

ლარინის სიტყვაში სრულიად ბუნდოვანად არის წარმოდგენილი, თუ რა არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორ უნდა მოვეპყრათ მას.

არც ერთი სერიოზული აზრი არ ყოფილა გამოთქმული იმის საწინააღმდეგოდ, რომ საჭირო იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა. პროლეტარიატს არ ეშინია აღიაროს, რომ რევოლუციაში მას ესა და ეს ჩინებულად გამოუვიდა, ხოლო ესა და ეს არ გამოუვიდა. ყველა რევოლუციური პარტია, რომელნიც დღემდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ ყოყოჩობდნენ და იმის უნარი კი არ შესწევდათ, რომ დაენახათ, რაშია მათი ძალა, თავიანთ სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა ეშინოდათ. ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ რომ არ გვეშინია ვილაპარაკოთ ჩვენს სუსტ მხარეებზე, და ვისწავლით სუსტი მხარეების დაძლევას. (ტ ა შ ი.) კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ დავუშვით, აუცილებლად უნდა დაგვეშვა. თუ იგი მახინჯი და ცუდია, ჩვენ შეგვიძლია ეს გამოვასწოროთ, იმიტომ რომ ძალაუფლება ჩვენს ხელთაა და რისი უნდა გვეშინოდეს. ამას ყველა აღიარებს, და ამისა და პანიკის გავრცელების ერთმანეთში არევა სასაცილოა. ჩვენ რომ ამის აღიარებისა შეგვშინებოდა, უეჭველად დავიღუპებოდით. მაგრამ ჩვენ რომ ამას ვისწავლით და მოვინდომებთ ამის სწავლას, გვიჩვენებს ის სამი-ოთხი-ხუთი

წელი, როცა ჩვენ უფრო რთული რამეები ვისწავლეთ დროის უფრო მოკლე პერიოდებში. მართალია, მაშინ ბიძგს გვაძლევდა აუცილებელი საჭიროება. ომში ბიძგს გვაძლევდნენ მეტისმეტად ენერგიულად, და, მგონი, არც ერთ ფრონტზე, არც ერთ ლაშქრობას არ ჩაუვლია უმისოდ, რომ ჩვენთვის ბიძგი არ მოეცათ: ჯერ იყოდა მოსკოვს მოუახლოვდნენ ასიოდე ვერსის მანძილზე, მოუახლოვდნენ ორიოლს, იყვნენ ხუთი ვერსის მანძილზე პეტროგრადიდან. აი ნამდვილად როდის მოვედით გონს და დავიწყეთ სწავლაც, სწავლის ნაყოფის გამოყენებაც და მტერიც განვდევნეთ.

ათასწილ უფრო ძნელია ის მდგომარეობა, როცა იძულებული ხდები საქმე იქონიო მტერთან, რომელიც აქვე დგას ჩვეულებრივ ეკონომიურ ვითარებაში. დავა, რომელიც დღემდე ლიტერატურაში აღძრულა სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ, ეს დავა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება შევიდეს ისტორიის სახელმძღვანელოში. მე სრულიადაც არ უარვყოფ სახელმძღვანელოთა სარგებლობას და ამას წინათ ვწერდი კიდეც, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენი ლიტერატორები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გაზეთებს, პოლიტიკურ ლაქლაქს, და წერდნენ სახელმძღვანელოებს, რასაც ჩინებულად შესძლებდა ბევრი მათგანი, მათ შორის ამხ. ლარინიც. ამ საქმეში მისი ღირსებები მეტისმეტად სასარგებლო იქნებოდა, მაშინ ჩვენში გადაწყდებოდა ის ამოცანა, რომელსაც ამხ. ტროცკიმ კარგად გაუსვა ხაზი, როცა განაცხადა, ამჟამად ძირითადი საქმეა ახალგაზრდა თაობის აღზრდა, ხოლო სახელმძღვანელოები არ მოგვეპოვება, რომელთა მიხედვით შეიძლებოდეს მისი აღზრდაო. მართლაც — რის მიხედვით სწავლობს იგი საზოგადოებრივ მეცნიერებებს? ძველი ბურჟუაზიული ხარახურის მიხედვით. ეს სამარცხვინოა! და ეს იმ დროს, როცა ასობით მარქსისტი ლიტერატორი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ სახელმძღვანელოები ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაგრამ არ იძლევიან იმიტომ, რომ სხვა რამით არიან გართულნი, სხვა რამისკენ მიისწრაფვიან.

სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ საჭიროა ვიცოდეთ ის, რაც აგიტაციისა და პროპაგანდის ლოზუნგი უნდა გახდეს, რაც აუცილებელია განვმარტოთ, პრაქტიკულად გავიგოთ. ეს არის ის, რომ ჩვენში სახელმწიფო კაპიტალიზმი ახლა ის კი არ არის, რომლის შესახებაც გერმანელები წერდნენ. ეს არის ჩვენ მიერ დაშვებული კაპიტალიზმი. სწორია ეს თუ არა? ყველამ იცის, რომ ეს სწორია!

კომუნისტთა ყრილობაზე ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი დაუშვა ჩვენმა პროლეტარულმა სახელმწიფომ, სახელმწიფო კი — ეს ჩვენა ვართ. თუ ცუდად დავუშვით, დამნაშავე ვართ ჩვენ, სხვას ვერ დავაბრალებთ! უნდა ვისწავლოთ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმმა პროლეტარულ სახელმწიფოში ვერ შესძლოს და ვერც გაბედოს გასცილდეს იმ ფარგლებს და პირობებს, რომლებიც დაუდო მას პროლეტარიატმა, პირობებს, რომლებიც ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის. და აქ სწორად აღნიშნეს, რომ ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია გლეხობისათვის, როგორც მასისათვის, და თავისუფალი ვაჭრობის ნება დაგვერთო მისთვისო. ყოველ გონიერ მუშას ესმის, რომ ეს აუცილებელია პროლეტარული დიქტატურისათვის, და მხოლოდ ამხ. შლიაპნიკოვს შეუძლია იოხუნჯოს და სასაცილოდ აიგდოს ეს. ეს ყველამ შეიგნო, საკმაოდ გადაღეჭილია ათასჯერ და თქვენ რატომღაც არ გსურთ გაიგოთ ეს. თუ გლეხისათვის აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობა დღევანდელ პირობებში და განსაზღვრულ ფარგლებში, ჩვენ ნება უნდა დავრთოთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნებას მივცემთ რახით ივაჭროს. ამისთვის ჩვენ დავსჯით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნებას მივცემთ ივაჭროს პოლიტიკური ლიტერატურით, რომელსაც მენშევიკური და ესერული ეწოდება და რომლის მთელ ხარჯებს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები ეწევიან.

აი რაზე ვლაპარაკობდი მე, როცა ტყვიამფრქვევები მოვიხსენიე, და ამხ. შლიაპნიკოვს უნდა გაეგო ეს. ის, რასაც შლიაპნიკოვი ამბობს — ჩმახია!

ამით თქვენ ვერავის შეაშინებთ და ვერავის შეაბრალებთ თავს! (ტ ა შ ი. ს ი ც ი ლ ი.)

საბრალო ბლიაახიკოვი! ლენინი აპირებს ტყვიამფრქვევები დაუმიზნოს მას.

ლაპარაკია ზემოქმედების პარტიულ ზომებზე და არა რაღაც ტყვიამფრქვევებზე. ტყვიამფრქვევებზე ლაპარაკია იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც ახლა ჩვენში მენშევიკები, ესერები ეწოდებათ და რომლებსაც ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ აი თქვენ კაპიტალიზმისაკენ უკან დახევაზე ლაპარაკობთ, და ჩვენც ამასვე ვამბობთ: ვეთანხმებით ერთმანეთსო! მუდამ ეს გვესმის, საზღვარგარეთაც უდიდესი აგიტაციაა გაჩაღებული, ბოლშევიკებს სურთ მენშევიკები და ესერები საპყრობილეებში ჰყავდეთ, თვითონ კი კაპიტალიზმი შემოაქვთო. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმი შემოგვაქვს, მაგრამ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია გლეხობისათვის. ეს საჭიროა! უამისოდ გლეხს ცხოვრება და მეურნეობის გაძღოლა არ შეუძლია. ხოლო ესერული და მენშევიკური პროპაგანდის გაუწევლად მას, რუს გლეხს, ჩვენ ამას ვამტკიცებთ, შეუძლია ცხოვრება. ხოლო ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, მას ვეუბნებით, უმჯობესია ყველანი დავიღუპოთ უკანასკნელ კაცამდე, მაგრამ შენ არ დაგითმობთ! და ჩვენს სასამართლოებს ყოველივე ეს უნდა ესმოდეთ. როდესაც სრ. რუს. საგანგებო კომისიიდან სახელმწიფო პოლიტიკურ სასამართლოებზე გადავდივართ, ყრილობაზე უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ ვცნობთ არაკლასობრივ სასამართლოებს. ჩვენი სასამართლოები უნდა იყოს არჩევითი, პროლეტარული, და სასამართლოებმა უნდა იცოდნენ, რა მიგვაჩნია ჩვენ დასაშვებათ. მოსამართლეებმა მტკიცედ უნდა იცოდნენ, რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი.

აი რა არის სადღეისო პოლიტიკური ლოზუნგი, და არა დავა იმაზე, თუ როგორ ესმოდათ გერმანელ პროფესორებს სახელმწიფო კაპიტალიზმი და როგორ გვესმის ჩვენ სახელმწიფო კაპიტალიზმი. მას შემდეგ ჩვენ ბევრი რამ გადავიტანეთ, და სრულიადაც არ შეგვშვენის უკან ვიხედებოდეთ.

რამდენად სრულიად განზე იხედება პოლიტიკურად პრეობრაჟენსკი, — ამას ცხადყოფს მისი მსჯელობა ეკონომიური ბიუროს ან პროგრამის შესახებ. რა საუცხოო რამაა ეს პროგრამა, და როგორ ვამახინჯებთ მას! და როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ეს ხდება იმიტომ, რომ კითხულობენ ასო-ასო, სტრიქონ-სტრიქონ, ხოლო შემდეგ რა არის, არავის არ სურს დაინახოს. ამოგლეჯს ციტატს და ამბობს: აი აქ იყო დავაო. ამბობენ, სწორი ხაზი ჰქონდათ მუშფაკებს და კომუჯრედებს და არა იმათ, ვინც ამბობდა: «რაც შეიძლება ფრთხილად, რაც შეიძლება ზომიერად მოეპყარით ამ სპეციებსო». კომუჯრედები რომ საუცხოო კომუჯრედებია და მუშფაკები რომ საუცხოო მუშფაკებია, — ეს ასეა, მაგრამ ისინი დაზღვეული არ არიან შეცდომებისაგან, ისინი წმინდანები როდი არიან.

დიახ, კომუჯრედები ჩვენი პარტიის წარმომადგენლები არიან, მუშფაკებიც ჩვენი კლასის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ისინი რომ შეცდომებს უშვებენ, და ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ეს შეცდომები, ეს საანბანო ჭეშმარიტებაა. როგორ გამოვასწოროთ, არ ვიცი, იმიტომ რომ პირადად მონაწილეობა არ მიმიღია ც. კ-ის იმ კრებებში, სადაც ეს საკითხი ირჩეოდა. მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ ვამლაშებთ პროფესორების წინააღმდეგ მუშფაკებისა და კომუჯრედების ხაზის მხრივ. მაგრამ როდესაც ც. კ-მა საქმის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ დაინახა, რომ აქ გადაამლაშეს, რომ ამ პროფესორების, უცხოთა, არა ჩვენი კლასის წარმომადგენელთა მიმართ საჭიროა რაც შეიძლება ფრთხილი ხაზი ავიღოთ, მაშინ მოდის პრეობრაჟენსკი, იღებს პროგრამას და ამბობს: არავითარი პოლიტიკური დათმობები ამ ფენის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროგრამის დარღვევა იქნებაო [60].

თუ ასე დავიწყეთ პარტიის მართვა, ეს უთუოდ დაგვღუპავს. იმიტომ კი არა, რომ ამხ. პრეობრაჟენსკის საერთოდ ცუდად ესმის პოლიტიკა, არამედ იმიტომ, რომ ის ყველაფერს იმ აზრით უდგება, რაც მის ძლიერ მხარეს შეადგენს: ის

თეორეტიკოსია, რომლის მთელი გაქანება შემოფარგლულია გარკვეული, ჩვეული და ჩვეულებრივი საზომით, პროპაგანდისტია, რომელიც იმუშავებს სხვადასხვა ღონისძიებას პროპაგანდისათვის. ყველამ იცის და ყველა აფასებს მის ამ ძლიერ მხარეს, ხოლო როდესაც ის საკითხს უდგება პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაღაც საშინელი რამ გამოდის. ეკონომიური ბიურო შევქმნათო?! ეს-ეს არის ახლა ვლაპარაკობდით ყველანი და შევთანხმდით, ერთნაირ აზრს დავადექით (ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს: ამ ერთიანობაზეა დამოკიდებული მოქმედებაც), რომ პარტიული და საბჭოთა აპარატები უნდა გავმიჯნოთ.

ეს საშინლად ძნელი საქმეა, — მუშაკები არა გვყავს! აი პრეობრაჟენსკიმ აქ ადვილად გვისაყვედურა, სტალინი ორ კომისარიატშიაო[61]. მერე ვის არ მიუძღვის ცოდვა ჩვენს შორის? ვის არ უკისრია რამდენიმე მოვალეობა ერთბაშად? ანდა სხვანაირად როგორ შეიძლება მოვიქცეთ? როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა, რომ უზრუნველვყოთ არსებული მდგომარეობა ეროვნებათა სახალხო კომისარიატში, რომ გავერკვეთ ყველა ამ თურქესტანის, კავკასიისა და სხვა საკითხში? ყველა ეს ხომ პოლიტიკური საკითხია! ამ საკითხების გადაჭრა კი აუცილებელია, ეს ის საკითხებია, რომელთაც საუკუნეობით უტრიალებდნენ ევროპის სახელმწიფოები, რომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუა გადაჭრილი დემოკრატიულ რესპუბლიკებში. ჩვენ ამ საკითხებს ვწყვეტთ, და საჭიროა, რომ გვყავდეს ისეთი კაცი, რომელთანაც ყოველი ერის ყოველ წარმომადგენელს შეეძლება მივიდეს და დაწვრილებით უამბოს, თუ რაშია საქმე. სად მოვძებნოთ ასეთი კაცი? ვფიქრობ, რომ პრეობრაჟენსკიც კი ვერ დაასახელებდა სხვა კანდიდატურას, თუ არა ამხანაგ სტალინს.

იგივე ითქმის მუშგლეხინზე. უზარმაზარი საქმეა. მაგრამ იმისათვის, რომ თავი გაართვა შემოწმებას, საჭიროა სათავეში იდგეს ავტორიტეტიანი ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავეფლობით, ჩავიძირებით წვრილმან ინტრიგებში.

ამხ. პრეობრაჟენსკი გვირჩევს შევქმნათ ეკონომბიურო, ოაგრამ მაშინ ყველაფერი, რასაც ჩვენ პარტიული და საბჭოთა მუშაობის გამიჯვნაზე ვლაპარაკობთ, არარად იქცევა. ამხ. პრეობრაჟენსკი თითქოს კარგ სქემას აყენებს: ერთი მხრივ — პოლიტბიურო, შემდეგ — ეკონომბიურო, ორგბიურო. მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე გამოდის კარგად, ცხოვრებაში კი სასაცილოა! მე პირდაპირ ვერ გამიგია, როგორ შეეძლო ადამიანს, რომელსაც აქვს ცოცხალი პოლიტიკის ალღო, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის შემდეგ, ასეთი წინადადება შემოეტანა და დაეცვა!

რით განსხვავდება ჩვენი ორგბიურო პოლიტბიუროსაგან? ზუსტად ხომ ვერ განსაზღვრავ რომელია პოლიტიკური საკითხი და რომელი ორგანიზაციული. ყოველი პოლიტიკური საკითხი შეიძლება იყოს ორგანიზაციული, და პირიქით. და მხოლოდ შექმნილმა პრაქტიკამ, რომ ორგბიუროდან შეიძლება ყოველი საკითხი გადავიტანოთ პოლიტბიუროში, მოგვცა საშუალება მოგვეწესრიგებინა ც. კ-ის მუშაობა.

ვინმეს, ოდესმე წამოუყენებია სხვა წინადადება? არავის არასდროს არ წამოუყენებია, იმიტომ რომ სხვა გამოსავალს გონივრულობის თვალსაზრისით ვერ წამოაყენებ. შეუძლებელია მექანიკურად გამიჯნო პოლიტიკური ორგანიზაციულისაგან. პოლიტიკა ადამიანების საშუალებით ტარდება, ხოლო ქაღალდებს თუ სხვა ადამიანები დაწერენ, არაფერი გამოვა.

თქვენ იცით, რომ ყოფილა ისეთი რევოლუციები, როცა პარლამენტის კრებებზე წერდნენ ქაღალდებს, მათ კი ახორციელებდნენ სხვა კლასის ადამიანები. გამოდიოდა უსიამოვნება, და მათ გარეთ აგდებდნენ. ორგანიზაციული საკითხების გამიჯვნა პოლიტიკისაგან შეუძლებელია. პოლიტიკა — ეს არის კონცენტრირებული ეკონომიკა.

ამხ. კოსიორი უჩივის ც. კ-ს, გვარებიც დაასახელა (მე ყველანი ჩაწერილი მაქვს) — მე პირადად არაფერი ვიცი და პასუხს ვერ მოგცემთ, მაგრამ თუ თქვენ, როგორც პარტიულ ყრილობას, გაინტერესებთ — თქვენი მოვალეობაა აირჩიოთ კომისია თვითეული გვარის შესახებ და გულდასმით

დაჰკითხოთ კოსიორს და სათანადო პირთ. აქ საქმის დედა-ბრსი ისაა, რომ თუ ცენტრალურ კომიტეტს ართმევენ იმის უფლებას, რომ განაგოს ადამიანთა განაწილების საქმე, იგი ვეღარ შესძლებს პოლიტიკა წარმართოს. თუმცა ჩვენ ამა თუ იმ ადამიანთა განაწილების საქმეში შეცდომებს ვუშვებთ, მაგრამ მაინც თავს ნებას მივცემ ვიფიქრო, რომ ც. კ-ის პოლიტბიურომ მთელი თავისი მუშაობის განმავლობაში მინიმალური შეცდომა დაუშვა. ეს თავის ქება როდია. პოლიტბიუროს მუშაობას ამოწმებენ არა კომისიები, არა ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენივე პარტია აყენებს, მის მუშაობას ამოწმებენ თეთრგვარდიელები, მის მუშაობას ამოწმებენ ჩვენი მტრები, ამას ამტკიცებს იმ პოლიტიკის შედეგები, რომელშიც დიდი შეცდომები არ გვქონია.

ოსინსკის ძლიერი მხარეა — ენერგიულად და შეუპოვრად შეუდგეს იმ საქმეს, რომელსაც ხელს ჰკიდებს. ისე უნდა ვოვიქცეთ, რომ ეს ძლიერი მხარე ისეთ პირობებში ჩავაყენოთ, რომ მისი სუსტი მხარე შეიკვეცოს (თუმცა ოსინსკი მორთავს ყვირილს, ის ენერგიული კაცია, — მაგრამ ეს მაინც უნდა გავაკეთოთ, თორემ ის, როგორც მუშაკი, დაიღუპება). ვფიქრობ, რომ ჩვენ ც. კ-ში მიღებული გვაქვს ზომები მისი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახამებლად.

ოსინსკის წინააღმდეგ საუკეთესო საბრალდებო მასალა, — მე რომ მსურდეს მასთან პოლემიკის გამართვა, მე კი ეს არა მსურს, — საუკეთესო მასალა იქნებოდა გადაგვებეჭდა და გამოგვეკრა დაფაზე მისი დღევანდელი სიტყვა... იყო კაცი...

როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სახკომის სახალხო კომისრის მოადგილემ და ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც იმ ადამიანთა წინა რიგებშია, ყოველ საკითხში რომ შეუძლიათ პლატფორმა შექმნან, — მან, ამ კაცმა, გვირჩია გადავიდეთ კაბინეტურ სისტემაზე. მე ვამტკიცებ, რომ ეს კაცი სამუდამოდ აბსოლუტურად დაღუპულია. მე არ შევუდგები ამის გარჩევას, დაწვრილებითს კამათს ვერ გავმართავ, მთელი ინტერესი იმაშია, რომ ისეთი უდიდესი ძალა,

როგორიცაა ოსინსკი, სწორად იქნეს გამოყენებული. თუ ამხ. ოსინსკი ამხანაგურად არ მოეკიდება იმ რჩევა-დარიგებებს, რაც მას ხშირად ეძლეოდა ც. კ-ში და რაშიც მე ცოტა წილი როდი მიმიძღვის, და არ შეიკავებს თავს ამ მხრივ, ის გარდუვალად და აბსოლუტურად ჩაეფლობა ჭაობში, როგორც ეს დღეს მოხდა.

ეს ძალიან სწყინთ იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ თავიანთი ბუნების გამოაშკარავება; ეს მისწრაფება კანონიერია, თუ კაცი მდიდარი ბუნებითაა დაჯილდოებული, და მას სურს ეს გამოხატოს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. მაგრამ ც. კ-მა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ეს ბუნება თავს იჩენდეს სასარგებლო საქმეში. ც. კ-მა ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ კაბინეტზე მსჯელობა ჩააჩუმოს, თუნდაც იმ კაცმა, რომლის, ასე ვთქვათ, ჩაჩუმება სურთ, საჩივარიც აღძრას. ეს სასარგებლო იქნება. საჭიროა შეანელოთ შენი ნიჭი, რომ ამ ჭაობში არ შეტოპო, მოეთათბირო სხვადასხვა სახკომის ამხანაგებს და გამოხატო საერთო ხაზი, ჩვენში კი თუგინდ ერთ სახკომში უდავიდარაბოდ რაიმე გაკეთებულა? არ გაკეთებულა.

«მართვა-გამგეობის სისტემის გაუმჯობესება და მასების ფსიქოლოგიური მობილიზაცია». ეს ხომ თვითმკვლელობაა! ყრილობა რომ პოლიტიკური რეაქციის ასეთ თვალსაზრისზე დამდგარიყო, ეს თვითმკვლელობის ყოვლად უტყუარი და საუკეთესო საშუალება იქნებოდა.

«მართვა-გამგეობის სისტემის გაუმჯობესება». ღმერთმა ქნას იქამდე მივიდეთ, რომ თავი დავაღწიოთ იმ აურზაურს, რომელიც არსებობს.

ჩვენ სისტემა არა გვაქვს?! ხუთი წლის განმავლობაში საუკეთესო ძალები იმას უნდებოდა, რომ ეს სისტემა შეგვექმნა! ეს სისტემა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია.

პრაქტიკული აპარატი ცუდია! ვიცით თუ არა ჩვენ, როგორია საქმის ვითარება? არ ვიცით! ოსინსკი კი ისე ლაპარაკობს, თითქოს უნდა იცოდეს. მას ხომ შეუძლია ჩაუჯდეს და 10 წუთში გამოაცხოს მართვა-გამგეობის სისტემა,

და თუ არ შევზღუდეთ ეს სურვილი, ეს ზავნებლობას მოიტანს და პოლიტიკური შეცდომა იქნება. სხვა ვითარებაში კი, თუ ის შემდეგშიც ასეთივე თავგამოდებით იმუშავებს, როგორც ამჟამად მუშაობს, ეს მუშაობა მეტად სასარგებლო იქნება.

ა ი ლ ი ს ტ რ ა ც ი ა. შემდეგ იმის შესახებ, რომ, როცა მე ვლაპარაკობდი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, პრეობრაჟენსკიმ და ოსინსკიმ ეს დაამტკიცეს, ხოლო ლარინმა ეს ორკეცად დაამტკიცა. დახეთ, რა გააკეთა მან. ის მე მდებდა ბრალს და ძალიან მხიარულადაც ოხუნჯობდა და იცინოდა.

ეს მას ჩინებულად გამოუდის, აქ არის მისი ძლიერი მხარე. ამხ. ლარინის ეს ძლიერი მხარე რომ დაკავშირებული არ იყოს იმასთან, რომ ამას ის იყენებს სახელმწიფო მუშაობის მიმართ, ამხ. ლარინი ათასჯერ მეტ სარგებლობას **მოუტანდა** რესპუბლიკას, იმიტომ რომ ის მეტად ნიჭიერი კაცია და დიდი ფანტაზიის პატრონი. ეს ნიჭი მეტისმეტად საგულისხმოა. ტყუილა ფიქრობენ, რომ ფანტაზია მხოლოდ პოეტისთვისაა საჭიროო. ეს სულელური ცრურწმენაა! მათემატიკაშიც კი საჭიროა იგი, დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოთვლათა აღმოჩენაც კი უფანტაზიოდ შეუძლებელი იქნებოდა. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა, მაგრამ ამხ. ლარინს იგი ცოტა არ **იყოს ჭარბად აქვს. მაგალითად,** მე ასე ვიტყოდი, ლარინის ფანტაზიის მთელი მარაგი რომ თანაბრად გავანაწილოთ რკ პარტიის წევრთა მთელ რიცხვზე, მაშინ ძალიან კარგი გამოვიდოდა. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი.). ხოლო სანამ ამ ოპერაციის გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია, მანამდე სახელმწიფო, სამეურნეო, საგეგმო, ეკონომიურ საქმეს ლარინს ვერ მივანდობთ; იგივე მოხდებოდა, რაც ძველ სმუს-ში მოხდა, როცა რიკოვი ჯერ კიდევ შეუძლოდ იყო, ხოლო მის მაგივრად მუშაობდა და მთელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელით ხელს აწერდა «ი. ლარინი»; საქმე ცუდად მიდიოდა არა იმიტომ, რომ ამხ. ლარინი მხოლოდ თავის უცუდეს თვისებებს იჩენდა, არამედ, პირიქით, — იმიტომ, რომ თავის საუკეთესო ნიჭს

იჩენდა, რადგან მის ერთგულებაში და საქმის ცოდნაში ოდნავი ეჭვიც კი არავის ეპარება, საქმე კი მაინც არასწორად იყო დაყენებული!

მეც ეგა ვთქვი. მართალია, ყოველივე ეს გაცვეთილი ამბებია. მაგრამ გაცვეთილი ამბების თაობაზე ჯერ კიდევ ესერების ყრილობაზე კამკოვი დაბეზღეოდა. კამკოვი ამბობდა: «ლენინი დღეს ქადაგებს: «არ იქურდო», ხვალ კი დაუმატებს: «არ იმრუშო». აი ლენინის მთელი სიბრძნეო». ესერ კამკოვისაგან ეს მე მსმენია ჯერ კიდევ 1918 წელს. და თუ კამკოვმა, რომელმაც ამ საბუთებს ზარბაზნების გრიალი მოაყოლა თან, ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მით უფრო ვერ მოახდენს ლარინიც. აბეჭედად ეს ამოცანები უნდა მივუყენოთ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითად მომენტებს. აქ ამხ. ლარინი შეეცადა პარტია წაეყვანა არასწორი მიმართულებით; ხოლო ის რომ იმ საქმეს აკეთებდეს, სადაც მას უამრავი ნიჭი გამოაჩნდება და სადაც ის მეტ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას, და სადაც ის არ გააკეთებს ისეთ რამეს, რაც სახელმწიფო საგეგმო კომისიაში გააკეთა, სულ სხვა იქნებოდა. იქ ახალგაზრდა თაობისთვის ამხ. ლარინის ქვალი დარჩებოდა. მე, მგონი, საკმაოდ ნათლად გამოვთქვი ჩემი აზრი. და არ იქნებოდა ის დომხალი, რომელიც აქ ლარინმა შემოიტანა.

მე ვთქვი, რომ კამენევმა პოლიტბიუროში შემოიტანა წინადადება-დირექტივა — ცნობილ იქნეს სურსათის შემოტანა სასაგებლო საქმედ და რომ კონსერვების ყიდვა ხდებოდეს საბჭოთა ფულით. ლარინი აქ იჯდა, მას ყველაფერი მშვენივრად ესმოდა და ყველაფერი მშვენივრად ახსოვს და მაშინვე, როგორც კი ამ ტრიბუნაზე ავიდა, მან თქვა: «ლენინს დაავიწყდა, ავადმყოფობის გამო, — ვაპატიოთ მას ამჯერად, — რომ ოქროს ფონდის დასახარჯავად პოლიტბიუროს უნდა მიმართოო». ამხ. კამენევს რომ ეთქვა, ოქროს ფონდი მივცეთ ფრანგ სპეკულანტებს კონსერვების საყიდლადო, ჩვენ მას არც კი მოვუსმენდით. არც ერთი კაპიკი ოქრო ჩვენ კონსერვებში არ მიგვიცია, მივეცით საბჭოთა

ქაღალდის ფული და — წარმოიდგინეთ — ვიყიდეთ კიდეც. ვულფსონი გუშინ კიდევაც მარწმუნებდა, ეს კონსერვები კარგი ხარისხისაა (თუმცა ეს კონსერვები ჯერ არ მოსულა). მაგრამ მას არ ვუჯერი, ჯერ გავსინჯოთ, იმიტომ რომ აქ შესაძლებელია მოგვატყუონ. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ლარინმა თვითონ აურია: არც ერთი კაპიკი ოქრო არ მიგვიცია, მივეცით 160 მილიარდი საბჭოთა ქაღალდის ფული.

რა თქმა უნდა, სასაცილო და უაზრო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლარინი, როცა ასე ლაპარაკობს, ბოროტი განზრახვით შვრება ამას; არა, საქმე ამაში როდია, მაგრამ მისი ფანტაზია ნავარდობს ტრილიონ კილომეტრზე უფრო შორს, და ამიტომ ხდება, რომ საქმე იხლართება.

შემდეგ მან თქვა, სახელმწიფო საგეგმო კომისია გვირჩევდა იჯარით გაგვეცა რკინიგზის ტრანსპორტის 3/4. კიდევ კარგი, რომ მან ეს თქვა პარტიულ ყრილობაზე, სადაც კრეიფანოვსკიმ იქვე უარყო ეს. ეს არც ისე ხშირად ხდება. თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ პარტიულ ყრილობაზე ცდილობენ ასე ილაპარაკონ? ინებეთ და იკითხეთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, როგორ გაარჩიეს მათ მოსკოვის სადისკუსიო კლუბის[62] საქმე, საერთოდ რატომ აღიძრა მოსკოვის სადისკუსიო კლუბის საქმე, სადაც ამხ. ლარინი და ამხ. რიაზანოვი... (რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «იქ ოქროს ფონდზე არ მილაპარაკნია, უარესი ილაპარაკეს».) მე მოსკოვში არ ვყოფილვარ, ამ საქმის გარჩევაში მონაწილეობა არ მიმიღია, მხოლოდ მოკლე ცნობა მქონდა. (რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი: «ყოველგვარ ხმას როდი დაეჯერება».) მე ეს ვიცი ამხ. სოლცთან საუბრიდან, ეს ხმა კი არა, საუბარია იმ პირთან, რომელიც უმაღლესმა პარტიულმა ყრილობამ დანიშნა ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად, და მან მითხრა, და ის, რაც მან მითხრა, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამას რომ ხმა უწოდო, დიდი ფუქსავატი უნდა იყო. ცენტრ. საკ. კომისიამ გაარჩია საქმე სადისკუსიო კლუბის საქციელის შესახებ და მან ერთხმად აღნიშნა საქმის დაყენების უმართებულობა. ჩემთვის ნათელია, რაში მდგომარეობს ეს უმართებულობა.

დღეს ლარინმა გაკვრით თქვა, იმიტომ რომ, საკუთარი სიტყ-ვით გატაცებულს, წამოცდა, რომ იჯარით სცემენ რკინიგზის ტრანსპორტის 3/4-ს, და ც. კ-მა გამოასწორაო. კრჟიჟანოვსკი ამბობს, არავითარი ამის მსგავსი რამ არ ყოფილა — ც. კ-ს არ გამოუსწორებია, ლარინმა აურიაო. მუდამ ასე ხდება.

ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ვერ გვისწავლია ისეთი რამ, რომ სასარგებლო მუშაკი ლარინი დავაყენოთ ნამდვილ სასარგებლო სამუშაოზე და გადავაყენოთ იმ სამუშაოდან, სადაც მას თავისდა უნებურად ზიანი მოაქვს.

თითქოს, საკმაოდ არაბუნებრივია: პროლეტარიატის დიქ-ტატურა, ტერორისტული ხელისუფლება, მთელი მსოფლიოს არმიებზე გამარჯვება, გარდა ლარინის არმიაზე გამარჯვებისა. აქ სრული დამარცხებაა! ყოველთვის იმას ჰკიდებს ხელს, რასაც ხელი არ უნდა მოჰკიდოს. მისი უდიდესი ცოდნა, უნარი ადამიანთა გატაცებისა ფრიად არსებითს სარგებლობას მოუტანდა ახალგაზრდა თაობას, რომელიც წყვდიადში მიიკვლევს გზას. ჩვენ არ ვიცით როგორ გამოვიყენოთ მისი ცოდნა, ამიტომ იწყება შეხლა-შემოხლა, წინააღმდეგობა; აქ ც. კ-ის პოლიტბიუროს, ორგბიუროს, ც. კ-ის პლენუმებს, რომელთაც აბრალებენ მეტისმეტი ძალაუფლება აქვთო, თურმე იმდენი ძალაუფლებაც ან ავტორიტეტიც კი არა ჰქონიათ, რომ სწორად გაანაწილონ ყველა ამხანაგი.

ამას უნდა ჩავუფიქრდეთ და სერიოზულად განვიხილოთ ეს საკითხი. ამაშია მუშაობის სიმძიმის ცენტრი, საჭიროა ეს გამოსწორდეს. თუ ამას გამოვასწორებთ, — თავს დავაღ-წევთ სიძნელეებს. ამას ჩვენ მივაღწევთ გამოსწორებით და არა იმით, რომ დავიწყებთ ლაპარაკს აგრარული პროგრამის ახალ ამოცანებზე, რაზედაც ლაპარაკობდნენ ოსინსკი და ლარინი. მის შესახებ მე რეცენზია დავწერე ცენტრალური კომიტეტისთვის[63]. მასზე მე ახლა არ ვილაპარაკებ, — პარ-ტიის ყოველ წევრს, რომელსაც იგი აინტერესებს, უფლება აქვს აიღოს ის და წაიკითხოს სამდივნოში. **გთხოვთ!** თუ სწორად გამოვიყენებთ ლარინისა და ოსინსკის **შესაძლებლო-**

ბებს, თუ შევკვეცავთ მათ არასწორ გაქანებას, მათი ძალების გამოყენება უდიდეს სარგებლობას მოგვიტანს.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა შლიაპნიკოვის შესახებ. მის შესახებ მეტი მინდოდა მეთქვა. ტროცკიმ, რომელმაც ც. კ-ის დავალებით ზინოვიევთან ერთად კომინტერნში პასუხი გასცა 22-ის განცხადებაზე[64], 99 მეასედით ამოსწურა ეს თემა.

ჯერ-ერთი, ამხ. შლიაპნიკოვმა ისე მოგვაჩვენა თავი, თითქოს არ ესმოდა რის გამო ვლაპარაკობდი მე ტყვიამფრქვევებზე და პანიკიორებზე; ხუმრობდა, ბევრჯერ ვყოფილვარ გასამართლებულიო. ამხანაგებო, ხუმრობა, რა თქმა უნდა, კარგი რამაა. რა თქმა უნდა, თუ კაცმა დიდ კრებაზე ლაპარაკში ხუმრობა არ გაურია, ისე შეუძლებელია, იმიტომ რომ ხალხი დაიღალა; ადამიანები ვართ და ეს უნდა გვესმოდეს. მაგრამ არის ისეთი რამეები, რომელთა შესახებ ხუმრობა შეუწყნარებელია; ასეთი რამაა, მაგალითად, პარტიის ერთიანობა.

როცა ჩვენ ყოველი მხრით მტრებით ვართ გარშემორტყმული, როცა საერთაშორისო ბურჟუაზია საკმაოდ ჭკვიანია იმისათვის, რომ მილიუკოვი მარცხნივ გადააჯინოს, ხოლო ესერები ფულით მოამარაგოს ყოველგვარი გაზეთების გამოსაცემად, დაძრას ვანდერველდე, ოტო ბაუერი კამპანიის გასაჩაღებლად ესერების გასამართლების გამო, იყვირონ, ბოლშევიკები — მხეცები არიანო; როდესაც ეს ადამიანები ასეული წლობით სწავლობდნენ პოლიტიკას, როცა მათ განკარგულებაშია მილიარდობით ოქროს მანეთი, ფრანკი და სხვა., როცა ყოველივე ეს ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, — ასეთ პირობებში ხუმრობა, როგორც ამხ. შლიაპნიკოვი ხუმრობს, «ბევრჯერ ვყოფილვარ ც. კ-ში გასამართლებულიო» და სხვ., — ეს, ამხანაგებო, სამწუხაროა. პარტიულმა ყრილობამ გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანოს. ჩვენ ტყუილუბრალოდ ც. კ-ში გასამართლებას არ ვაწყობთ! შლიაპნიკოვი გასამართლეს და ც. კ-ში სამი ხმა დააკლდა, რომ ის პარტიიდან გაერიცხათ[65]. პარტიულ ყრილობაზე

შეკრებილი პარტიის წევრები უნდა დაინტერესდნენ ამით, უნდა წაიკითხონ ც. კ-ის ამ კრების ოქმები. ასეთ რამეზე როდი ხუმრობენ!

თქვენ კანონიერი უფლება გაქვთ მიმართოთ კომინტერნს. მაგრამ დიდი ხნით ადრე ამ მიმართვამდე ც. კ-ის დიდი უმრავლესობა ამხ. შლიაპნიკოვის გარიცხვის მომხრე იყო, — დააკლდა ხმების კანონიერ ორ მესამედს. ეს სახუმრო საქმე როდია! ზედმეტი არ იქნება გაეცნოთ იმ გარემოებას, რომ ამხ. შლიაპნიკოვი მელითონეთა ყრილობის ფრაქციის წევრთა კრებაზე გათიშვის აშკარა აგიტაციას ეწეოდა.

ამხ. კოლონტაის ბროშურის[63] როლის შესახებ ამხ. ტროცკიმ ილაპარაკა.

თუ ასეთ რამეებზე დავიწყებთ ხუმრობას, მაშინ შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ გავუძლებთ ისეთ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით. იმისათვის, რომ ჩვენ გავუძლოთ, სამი პირობა წამოვაყენე: პირველი — თუ არ იქნება ინტერვენცია, მეორე — თუ ფინანსური კრიზისი მეტად მძიმე არ იქნება, მესამე — თუ ჩვენ არ დავუშვებთ პოლიტიკურ შეცდომებს.

რომელიღაც ორატორმა აქ თქვა, თითქოს მე ვლაპარაკობდი პოლიტიკურ გართულებებზე. არა, მე ვლაპარაკობდი პოლიტიკურ შეცდომებზე. თუ ჩვენ პოლიტიკურ შეცდომებს არ დავუშვებთ, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ პარტიის 99 მეასედი ჩვენი მომხრე იქნება ისევე, როგორც უპარტიო მუშები და გლეხები, რომლებიც მიხვდებიან, რომ ახლა სწავლის დროა.

მაგონდება, ამხ. ტროცკიმ თავის სტატიაში წითელი არმიის წლისთავის გამო თქვა: «სწავლის წელი». ეს ლოზუნგი სწორია აგრეთვე პარტიის მიმართაც და მუშათა კლასის მიმართაც. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ დაგვიგროვდა მრავალი გმირი ადამიანი, რომლებმაც უსათუოდ განამტკიცეს მსოფლიო ისტორიაში მომხდარი გარდატეხა. თავს ვერ გავიმართლებთ იმით, რომ ვერ გავიგეთ ამჟამად ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანა: «სწავლის წელი».

ახლა ჩვენ გაცილებით უფრო მაგრად ვდგავართ, ვიდრე ამ ერთი წლის წინათ ვიდექით. რა თქმა უნდა, ბურჟუაზია ახლაც შეეცდება დაიწყოს ახალი ინტერვენცია, მაგრამ ეს მათ წინანდელზე უფრო გაუჭირდებათ; დღეს ეს გუშინდელზე უფრო ძნელია.

სწავლა რომ შევძლოთ, არ უნდა დავუშვათ პოლიტიკური შეცდომა. არ უნდა დავკარგოთ დრო პარტიის ერთიანობის თამაშზე, როგორც ამას ამხ. შლიაპნიკოვი შვრება. ასე თამაში შეუძლებელია! ჩვენ ვიცით, რომ პარტიაში ბრძოლით ბევრს ვაგებთ. ამხანაგებო, ამ გაკვეთილის დავიწყება შეუძლებელია! და წელს ც. კ-ს სრული უფლებით შეუძლია თქვას, რომ პარტია ყრილობაზე შეიკრიბა უფრო ნაკლებ ფრაქციული და უფრო მეტად ერთიანი, ვიდრე შარშან. მე არ მსურს დავიტრაბახო, რომ ყოველგვარი ფრაქციულობა ჩვენს პარტიაში გაქრა. მაგრამ ეს ფრაქციულობა რომ ნაკლებია — ეს სრულიად უდავო, უკვე დამტკიცებული ფაქტია.

თქვენ იცით, რომ «მუშათა ოპოზიცია» — იგი უკვე წინანდელის ნამსხვრევია. შეადარეთ ერთმანეთს 22-ის განცხადების ხელმოწერანი X ყრილობის წინ გამოქვეყნებული პლატფორმის ხელმოწერებს. აქ ყველა ხელმოწერა არ არის. უნდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებიც კანონიერად იყენებენ კომინტერნისადმი მიმართვის თავიანთ უფლებას, რომ კანონიერი არ იყო მიასნიკოვისთვის შუამდგომლობა. მიასნიკოვის ისტორია იყო გასული წლის ზაფხულში. მაშინ მე მოსკოვში არ ვიყავი, და მას მივწერე გრძელი წერილი[67], რომელიც მან მოათავსა თავის ბროშურაში. ვხედავდი, რომ ამ კაცს ნიჭი აქვს, რომ მასთან მოლაპარაკება ღირს, მაგრამ საჭიროა გააფრთხილო, რომ თუ ასეთი კრიტიკით გამოვა, ეს შეუწყნარებელი იქნება.

იგი მწერს წერილს: შეკრიბეთ ამა თუ იმ რაიონში ყველა უკმაყოფილოო. დიახ, ამა თუ იმ რაიონში ყველა უკმაყოფილოს შეკრება არც ისე ძალიან ძნელია. აი რას ლაპარაკობდა აქ შლიაპნიკოვი, და არა აქ ლაპარაკობს ამხ. მედვედევი. (მ ე დ ვ ე დ ე ვ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «ვინ გაწვდით თქვენ

ცნობებს?».) მე ცნობებს მაწვდიან რკ პარტიის ყრილობის მიერ დაწესებული ორგანოები: ც. კ-ის ორგბიურო, ც. კ-ის სამდივნო, ცენტრ. საკ. კომისია. მიმართეთ მათ, თუ გსურთ, და დაინახავთ, რას ლაპარაკობს ამხ. მედვედევი. თუ ეს არ შეწყდა, ერთიანობას ვერ შევინარჩუნებთ, ეს კი თითქმის მთავარი მონაპოვარია: დაუნდობლად ვამხილოთ ჩვენი შეცდომები და ვილაპარაკოთ მათზე. თუ ჩვენ ეს ნათლად გვაქვს შეგნებული, — ამ ყრილობაზე კი ამას ვაღწევთ, — მაშინ ოდნავი ეჭვიც კი არ არის, რომ მათ დაძლევას შევძლებთ. (მქუხარე ტაში.)

4

სიტყვა ყრილობის დახურვისას
2 აპრილს

ამხანაგებო! ჩვენ მივადექით ჩვენი ყრილობის მუშაობის დასასრულს.

პირველი განსხვავება, რომელიც თვალში გვხვდება ამ ყრილობის წინა ყრილობასთან შედარების დროს, ეს არის მეტი დარაზმულობა, მეტი ერთსულოვნება, მეტი ორგანიზაციული ერთიანობა.

წინა ყრილობის ოპოზიციის ერთი ნაწილის მხოლოდ მცირე ნაწილმა დაიყენა თავი პარტიის გარეთ.

უთანხმოება პროფესიულ კავშირთა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე ჩვენს პარტიაში არ აღმოჩნდა ან არ აღმოჩნდა რამდენადმე შესამჩნევი ოდენობით.

ძირითადი და მთავარი, რაც ჩვენ მოვიპოვეთ «ახალი» ამ ყრილობაზე, ეს არის ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ცდებოდნენ ჩვენი მტრები, რომლებიც დაუღალავად ჩიჩინებდნენ და ჩიჩინებენ, რომ ჩვენი პარტია ბერდება, ჰკარგავს ჭკუის მოქნილობას და მთელი თავისი ორგანიზმის მოქნილობას.

არა. ეს მოქნილობა ჩვენ არ დაგვიკარგავს.

როცა საჭირო იყო — მოვლენათა მთელი ობიექტური მდგომარეობით რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც — წინსვლა, მტერზე შეტევა თავგანწირული სიმამაცით, სისწრაფით, გაბედულებით, ჩვენ ასეც ვუტევდით. როცა საჭირო იქნება, ამას შევძლებთ კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ.

ამით ჩვენი რევოლუცია მსოფლიოში ჯერ არნახულ სიმაღლემდე ავიყვანეთ. ვერავითარი ძალა ქვეყნად, რამდენი ბოროტება, უბედურება და ტანჯვაც უნდა მოუტანოს კიდევ მან მილიონობით და ასეულ მილიონობით ხალხს, ჩვენი რევოლუციის ძირითად მონაპოვართ უკან ვერ წაიღებს, რადგან ახლა ეს არის უკვე არა «ჩვენი», არამედ მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარნი.

ხოლო როცა 1921 წლის გაზაფხულზე აღმოჩნდა, რომ რევოლუციის ჩვენს მოწინავე რაზმს ემუქრება საფრთხე — მოსწყდეს ხალხის მასას, გლეხობის მასას, რომელიც ამ რაზმს უნარიანად უნდა მიჰყავდეს წინ, მაშინ ჩვენ ერთსულოვნად და მტკიცედ გადავწყვიტეთ უკან დაგვეხია. და განვლილ წელს ჩვენ უკან ვიხევდით, საერთოდ და მთლიანად, რევოლუციური წესრიგით.

პროლეტარიატის რევოლუციები, რომელნიც მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაში მწიფდება, თავიანთ ამოცანას ვერ გადაწყვეტენ, თუ თავდადებული ბრძოლისა და შეტევის უნარი ვერ შეაერთეს რევოლუციური წესრიგით უკან დახევის უნართან. ჩვენი ბრძოლის მეორე პერიოდის გამოცდილება, ე. ი. უკან დახევის გამოცდილება, ალბათ, მომავალში გამოადგებათ ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ქვეყნის მუშებს ისევე, როგორც ყველა ქვეყნის მუშებს უსათუოდ გამოადგებათ რევოლუციის პირველი პერიოდის ჩვენი გამოცდილება, თავდადებულად გაბედული შეტევის გამოცდილება.

ახლა ჩვენ დავადგინეთ უკან დახევა დამთავრებულად ვაღიაროთ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პოლიტიკის მთელი ამოცანა ახლებურად ისმება.

ახლა მთავარი ის არის, რომ ავანგარდი არ შეუშინდეს თავის თავზე მუშაობას, თავისი თავის გარდაქმნას, აშკარად ცნოს თავისი არასაკმაო მომზადება, არასაკმაო უნარი. მთავარი ის არის, რომ ახლა წინ წავიდეთ შეუდარებლად უფრო ფართო და მძლავრი მასით, უსათუოდ გლეხობასთან

ერთად, საქმით, პრაქტიკით, გამოცდილებით დავუმტკიცოთ მას, რომ ჩვენ ვსწავლობთ და ვისწავლით მის დახმარებას, მის წინ წაყვანას. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში, რუსეთის საწარმოო ძალთა ახლანდელ მდგომარეობაში, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მას გადავწყვეტთ მეტად ნელა, ფრთხილად, საქმიანად, თუ ყოველ ჩვენს ნაბიჯს ათასჯერ შევამოწმებთ პრაქტიკულად.

თუ ჩვენს პარტიაში აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც წინააღმდეგი იქნებიან ამგვარი ფრიად ნელი და ფრიად ფრთხილი მოძრაობისა, ასეთები განმარტოებული იქნებიან.

პარტიამ მთლიანად გაიგო და იგი ახლა საქმით დაამტკიცებს, რომ მან შეიგნო აუცილებლობა — თავისი მუშაობა ამჟამად აგოს სწორედ ასე და მხოლოდ ასე. ხოლო რაკი ჩვენ ეს შევიგნეთ, შევძლებთ მივაღწიოთ ჩვენს მიზანს!

რუსეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას დახურულად ვაცხადებ.

სოფლად მუშაობის თაობაზე პარტიის XI ყრილობის რეზოლუციის პროექტის შესახებ"

წერილი ნ. ოსინსკის

1922 წ. 1. IV.

ამხ. ოსინსკი!

როცა ჩავუფიქრდი თქვენთან საუბარს პარტყრილობის სასოფლო-სამეურნეო სექციის მუშაობის გამო, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამჟამად ყველაზე საჭირბოროტოა ასეთი ამოცანა:

> არ შევიბოჭოთ ხელი (არც პარტიის და არც საბჭოთა ხელისუფლების ხაზით) რაიმე წერილობითი ბრძანებებით, დირექტივებით თუ წესებით, ვიდრე სამეურნეო ცხოვრების ფაქტები საკმაოდ არ შეგვიკრებია ადგილებზე, ვიდრე საკმაოდ არ შეგვისწავლია ახლანდელი გლეხური მეურნეობის ნამდვილი პირობები და მოთხოვნილებები;
>
> არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ის, რაც ყველაზე უფრო საშიში და მავნებელი იქნებოდა ამჟამად და რაც ადვილად დაუბნევდა გზას ხელისუფალთ ადგილებზე, სახელდობრ: ზედმეტი და შეუსაბამო, ნაუცბათევად შედგენილი, გამოცდილებით შეუმოწმებელი რეგლამენტაცია.

საბჭოების უკანასკნელმა ყრილობამ მოგვცა ხაზი. ჩემი აზრით, პარტყრილობის ამოცანას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო სექციაში განიხილოს ამ ხაზის გამოყენება ა დ გ ი ლ ე ბ ი ს პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა და გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს თვალ-

საზრისით; უბრძანოს რკ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც და მიწსახკომსაც (საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებას) უფრო გულდასმით და უფრო სრულად შეკრიბონ შესამოწმებელი ფაქტები; უბრძანოს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დირექტივა მისცეს სრ. რუს. ცაკ-ის უახლოესი სესიის კომფრაქციას საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილების დეტალიზაციის დროს, ე. ი. ამ გადაწყვეტილების ახალ და უფრო კონკრეტულ კანონებად გადაქცევის დროს, იყვნენ რაც შეიძლება უფრო ფრთხილად, რათა შეუსაბამო ჩარევით არ შეაფერხონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებით განვითარება.

ჩემი აზრით, ახლა ქვეყნად ყველაზე უფრო უნდა გვეშინოდეს სწორედ შეუსაბამო ჩარევისა, ვიდრე ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ შეგვისწავლია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ნამდვილი მოთხოვნილებები და ხელისუფლების ჩვენი ადგილობრივი აპარატის ნამდვილი უნარი (უნარი — ბოროტება არ მივუზღოთ კეთილი საქმის გაკეთების სათნო სურვილის გულისთვის).

ამიტომ პარტყრილობის სასურველი რეზოლუცია, სასოფლო-სამეურნეო სექციის მუშაობის საფუძველზე, წარმოდგენილი მაქვს **დაახლოებით** ასეთი სახით:

1. მოისმინა რა ცნობა სასოფლო-სამეურნეო სექციის მუშაობის შესახებ, პარტყრილობა იღებს მას მხედველობაში; აღნიშნავს, რომ ადგილებზე მუშაობის გამოცდილების შესახებ შეკრებილი მასალა საკმარისი არ არის და როგორც პარტიის, ისე ყველა საბჭოთა დაწესებულების კომფრაქციის უპირველეს ამოცანად აყენებს გულდასმით შეკრიბონ და უდიდესი ყურადღებით შეისწავლონ ადგილობრივი პრაქტიკული გამოცდილება.

2. ყრილობა შეცდომად თვლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაწესებულებათა გარეკვის (თუ ნაუცბათევად გარდაქმნის?) ზომებს და რჩევას იძლევა უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინონ ამ მხრივ.

3. სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებისა და მიწის იჯარის საკითხში პარტყრილობა ურჩევს ამ სფეროში მომუშავე ყველა მუშაკს ზედმეტი ფორმალობით არ დააბრკოლონ არც ერთი და არც მეორე მოვლენა და დასჯერდნენ საბჭოების უკანასკნელი ყრილობის გადაწყვეტილების განხორციელებას, აგრეთვე იმის შესწავლას, სახელდობრ რა პრაქტიკული ზომებით იქნებოდა მიზანშეწონილი შეგვეზღუდა უკიდურესობანი და მავნე გაზვიადებანი ამ მხრივ.

4. გლეხობაში მთელი პარტიული მუშაობის უპირველეს და უმთავრეს მიზნად ყრილობა აღიარებს პრაქტიკული დახმარების გაწევას ნათესების დაუყოვნებლივ გაფართოების, სახნავი მიწების გადიდების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდების, გლეხობის მძიმე გაჭირვების შემცირების საქმისათვის; ამასთანავე საჭიროა მთელი ძალ-ღონით და საშუალებებით ხელი შევუწყოთ და წავახალისოთ გლეხობის უღარიბესი ნაწილისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე, შეუპოვარი შრომით შევიმუშაოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც პრაქტიკულად გამოსადეგნი არიან ამ მხრივ ახლანდელ მძიმე პირობებშიც კი.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა *

წარმოიდგინეთ, რომ კომუნისტების წარმომადგენელი უნდა შევიდეს იმ შენობაში, სადაც ბურჟუაზიის რწმუნებულნი პროპაგანდას ეწევიან მუშების საკმაოდ მრავალრიცხოვან კრებაზე. წარმოიდგინეთ, შემდეგ, რომ ამ შენობაში შესვლისათვის ბურჟუაზია ჩვენგან მოითხოვს დიდ ფასს. თუ ფასი ადრევე არ იყო განსაზღვრული, ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვეეჭვროთ, რომ არ დავამძიმოთ ჩვენი პარტიის ბიუჯეტი. თუ ამ შენობაში შესვლა ძალიან ძვირად დაგვიჯდა, უეჭველია, ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ. მაგრამ უმჯობესია ძვირად დაგვიჯდეს, — ყოველ შემთხვევაში, სანამ არ ვისწავლით როგორც საჭიროა ვაჭრობას, — ვიდრე უარი ვთქვათ შესაძლებლობაზე — სიტყვით გამოვიდეთ მუშების წინაშე, რომლებიც აქამდე რეფორმისტების, ე. ი. ბურჟუაზიის უერთგულესი მეგობრების, განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, «მფლობელობაში» იმყოფებოდნენ.

ეს შედარება დამებადა თავში, როდესაც დღევანდელ «პრავდაში» წავიკითხე ბერლინიდან ტელეგრაფით გადმოცემული ცნობა იმის შესახებ, თუ რა პირობების საფუძველზეა მიღწეული შეთანხმება სამი ინტერნაციონალის წარმომადგენლებს შორის.

ჩვენი წარმომადგენლები, ჩემი აზრით, არასწორად მოიქცნენ, როდესაც ორ შემდეგ პირობაზე დათანხმდნენ: პირველი პირობა ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სიკვდილით დასჯას არ გამოიყენებს 47 სოციალისტ-რევოლუციონერის საქმეში; მეორე პირობა ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება

ნებას დართავს სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს დაესწრონ გასამართლებას.

ორივე ეს პირობა რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკური დათმობაა რეაქციული ბურჟუაზიის მიმართ და სხვა არაფერი. თუ ვისმე ეჭვი შეეპარება ასეთი განსაზღვრის სისწორეში, ასეთი ადამიანის პოლიტიკური გულუბრყვილობის გამოსააშკარავებლად საკმარისია დავუსვათ მას კითხვა: დათანხმდება თუ არა ინგლისის ან სხვა თანამედროვე მთავრობა, რომ სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლები დაესწრონ იმ ირლანდიელი მუშების პროცესს, რომელთაც ბრალდებათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება? ანდა სამხრეთ აფრიკის იმ მუშების პროცესს, რომელთაც ბრალდებათ ახლახან მომხდარ აჯანყებაში მონაწილეობა[70]? დათანხმდება თუ არა ინგლისის ან სხვა მთავრობა ამ და ამგვარ შემთხვევებში იმაზე, რომ მან მოგვცეს დაპირება, რომ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ არ გამოიყენებს სიკვდილით დასჯას? საკმარისია ცოტაოდენი დაუფიქრდე ამ კითხვას, რომ გაიგო შემდეგი უბრალო ჭეშმარიტება: მთელ მსოფლიოში ჩვენ ვხედავთ რეაქციული ბურჟუაზიის ბრძოლას რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც წარმოადგენს ერთ მხარეს ამ ბრძოლაში, პოლიტიკურ დათმობას უშვებს მეორე მხარის — რეაქციული ბურჟუაზიის მიმართ. რადგან ქვეყნად ყველამ იცის (იმათ გარდა, ვისაც აშკარა სიმართლის დამალვა სურს), რომ ესერები ტყვიას უშენდნენ კომუნისტებს და მათ წინააღმდეგ აწყობდნენ აჯანყებებს, მოქმედებდნენ რა ფაქტიურად, ხოლო ზოგჯერ ფორმალურადაც, ერთიანი ფრონტით მთელ საერთაშორისო რეაქციულ ბურჟუაზიასთან ერთად.

•ბადება კითხვა, სამაგიეროდ რა დაგვითმო ჩვენ საერთაშორისო ბურჟუაზიამ? ამის პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: არაფერიც არ დაუთმია ჩვენთვის.

ამ აშკარა ჭეშმარიტების დაბნელების ცდა შეუძლია მხოლოდ ისეთ მსჯელობას, რომელიც აბნელებს კლასობრივი

ბრძოლის ამ მარტივ და ნათელ ჭეშმარიტებას, მხოლოდ ისეთ მსჯელობას, რომელიც თვალს უხვევს მუშებსა და მშრომელ მასებს. ბერლინში III ინტერნაციონალის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებით ჩვენ უკვე დავუშვით ორი პოლიტიკური დათმობა საერთაშორისო ბურჟუაზიის მიმართ. სამაგიეროდ ჩვენ მისგან არავითარი დათმობა არ მიგვიღია.

II და II½ ინტერნაციონალთა წარმომადგენლებმა შეასრულეს იმ პოლიტიკური დათმობის გამომძალველთა როლი, რომელიც პროლეტარიატმა დაუშვა ბურჟუაზიის მიმართ, ამასთან გადაჭრით უარი თქვეს გაეტარებინათ ან თუნდაც ცდილიყვნენ გაეტარებინათ რაიმე პოლიტიკური დათმობა საერთაშორისო ბურჟუაზიის მხრით რევოლუციური პროლეტარიატის მიმართ. რა თქმა უნდა, ეს უდავო პოლიტიკური ფაქტი მიჩქმალეს ბურჟუაზიული დიპლომატიის დახელოვნებულმა წარმომადგენლებმა (ბურჟუაზია მრავალი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა თავისი კლასის წარმომადგენლებს კარგი დიპლომატები ყოფილიყვნენ), მაგრამ ფაქტის მიჩქმალვის ცდა სრულიადაც არა ცვლის თვით ფაქტს. პირდაპირ თუ არაპირდაპირ იყვნენ ბურჟუაზიასთან დაკავშირებული II და II½ ინტერნაციონალთა წარმომადგენლები, ეს ამ შემთხვევაში სრულიად მეათეხარისხოვანი საკითხია. პირდაპირ კავშირს ჩვენ მათ არ ვაბრალებთ. სრულიად არ ეხება საქმეს, აქ პირდაპირი კავშირი იყო, თუ საკმაოდ დახლართული არაპირდაპირი კავშირი. საქმეს მხოლოდ ის ეხება, რომ კომინტერნმა პოლიტიკური დათმობა 'დაუშვა საერთაშორისო ბურჟუაზიის მიმართ II და II½ ინტერნაციონალების რწმუნებულთა ზეგავლენით, და რომ სამაგიეროდ ჩვენ არავითარი დათმობა არ მიგვიღია.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა, რომ ამხ. რადეკი, ბუხარინი და სხვები, რომლებიც წარმოადგენდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალს, სწორად არ მოიქცნენ.

შემდეგ. გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ ჩვენ უნდა დავარღვიოთ მათ მიერ ხელმოწერილი შეთანხმება? არა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დასკვნა სწორი არ იქნებოდა, და ხელმოწერილი შეთანხმება ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ. ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ბურჟუაზიული დიპლომატები ამჯერად ჩვენს დიპლომატებზე უფრო დახელოვნებული აღმოჩნდნენ, და რომ შემდეგში — თუ შენობაში შესასვლელი ფასი წინასწარ არ იქნა განსაზღვრული — ჩვენ მეტი დახელოვნებით უნდა ვაწარმოოთ ვაჭრობა და მანევრირება. ჩვენ წესად უნდა შემოვიღოთ არ დავუშვათ პოლიტიკური დათმობანი საერთაშორისო ბურჟუაზიის მიმართ (რაც უნდა დახელოვნებულად იყოს დაფარული ეს დათმობანი ყოველი ჯურის შუამავლების მიერ), თუ სამაგიეროდ არ მივიღებთ მეტნაკლებად თანასწორი ღირებულების დათმობებს საერთაშორისო ბურჟუაზიის მხრით საბჭოთა რუსეთის მიმართ ანდა კაპიტალიზმთან მებრძოლი საერთაშორისო პროლეტარიატის სხვა რაზმების მიმართ.

შესაძლოა, რომ იტალიის კომუნისტებმა და საფრანგეთის კომუნისტების და სინდიკალისტების ნაწილმა, რომლებიც ერთიანი ფრონტის ტაქტიკის წინააღმდეგი იყვნენ, ზემომოყვანილი მსჯელობიდან ის დასკვნა გააკეთონ, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა მცდარია. ეს დასკვნა აშკარად უმართებულო იქნება. თუ კომუნისტების რწმუნებულებმა მეტად დიდი ფასი გადაიხადეს შენობაში შესვლისათვის, სადაც მათ აქვთ ერთგვარი, თუმცა მცირე, შესაძლებლობა მიმართონ მუშებს, რომლებიც დღემდე რეფორმისტების განსაკუთრებულ «მფლობელობაში» იმყოფებიან, უნდა ვეცადოთ შემდეგში გამოვასწოროთ ეს შეცდომა. მაგრამ შეუდარებლად უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა უარისთქმა ყოველგვარ პირობაზე და ყოველგვარ ფასზე იმისათვის, რომ შევაღწიოთ ამ, საკმაოდ მაგრად დაცულ, ჩაკეტილ შენობაში. ამხ. რადეკის, ბუხარინისა და სხვათა შეცდომა დიდი არ არის; იგი მით უფრო არ არის დიდი, რომ ჩვენ სულ დიდი იმის რისკს ვეწევით, რომ ბერლინის თათბირის შედეგებით წაქეზებულმა საბჭოთა რუსე-

თის მტრებმა, შესაძლოა, მოაწყონ ორი-სამი წარმატებითი თავდასხმა ცალკეულ პირებზე. ვინაიდან ახლა მათ წინასწარ იციან, რომ შეუძლიათ ტყვია დაუშინონ კომუნისტებს, რადგან აქვთ იმის შანსები, რომ ბერლინის მსგავსი თათბირი ხელს შეუშლის კომუნისტებს ტყვია დაუშინონ მათ.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე ჩვენ შევანგრიეთ ჩაკეტილი შენობა. ყოველ შემთხვევაში, ამხ. რადეკმა მოახერხა გამოეაშკარავებინა თუნდაც მუშების ნაწილის წინაშე, რომ II ინტერნაციონალმა უარი თქვა დემონსტრაციის ლოზუნგთა შორის წამოეყენებინა ვერსალის ხელშეკრულების გაუქმების ლოზუნგი. იტალიის კომუნისტების და საფრანგეთის კომუნისტებისა და სინდიკალისტების ნაწილის უდიდესი შეცდომა ის არის, რომ ისინი იმ ცოდნას სჯერდებიან, რაც მათ აქვთ. ისინი სჯერდებიან იმას, რაც მათ კარგად იციან, რომ II და II½ ინტერნაციონალთა წარმომადგენელნი და აგრეთვე ბატონი პაულ ლევი, სერატი და სხვ. ბურჟუაზიის უაღრესად დახელოვნებული რწმუნებულები და მისი გავლენის გამტარებლები არიან. მაგრამ ისეთი ადამიანები და ისეთი მუშები, რომელთაც ეს მართლაც მტკიცედ იციან და მართლაც ესმით ამის მნიშვნელობა, უეჭველად უმცირესობას შეადგენენ იტალიაშიც, ინგლისშიც, ამერიკაშიც და საფრანგეთშიც. კომუნისტები თავიანთ საკუთარ წვენში კი არ უნდა იხარშებოდნენ, არამედ უნდა სწავლობდნენ ისე იმოქმედონ, რომ არ მოერიდონ ერთგვარი მსხვერპლის გაღებას, არ შეუშინდნენ ყოველი ახალი და ძნელი საქმის დასაწყისში აუცილებელ შეცდომებს და შეაღწიონ ჩაკეტილ შენობაში, სადაც ბურჟუაზიის წარმომადგენლები ზეგავლენას ახდენენ მუშებზე. იმ კომუნისტებს, რომლებიც არ მოისურვებენ ამის გაგებას და არ მოისურვებენ ისწავლონ ეს, არ შეუძლიათ იმედი იქონიონ უმრავლესობის მოპოვებისა მუშებში, ან, ყოველ შემთხვევაში, ისინი აძნელებენ და ანელებენ ასეთი უმრავლესობის მოპოვების საქმეს. ხოლო ეს უკვე კომუნისტებისათვის და მუშათა რევოლუციის ყოველი ნამდვილი მომხრისათვის სრულიად მიუტევებელი რამაა.

ბურჟუაზია, თავისი დიპლომატების სახით, კვლავ უფრო დახელოვნებული აღმოჩნდა, ვიდრე კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლები. ასეთია ბერლინის თათბირის გაკვეთილი. ამ გაკვეთილს ჩვენ არ დავივიწყებთ. ამ გაკვეთილიდან ჩვენ გამოვიტანთ ყველა საჭირო დასკვნას. II და II½ ინტერნაციონალთა წარმომადგენლებს ერთიანი ფრონტი ესაჭიროებათ, რადგან მათ იმედი აქვთ დაგვასუსტონ მეტისმეტი დათმობებით ჩვენი მხრივ; მათ იმედი აქვთ შემოაღწიონ ჩვენს, კომუნისტურ, შენობაში სრულიად უფასოდ; მათ იმედი აქვთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკის მეოხებით დაარწმუნონ მუშები რეფორმისტული ტაქტიკის სისწორეში და რევოლუციური ტაქტიკის უმართებულობაში. ჩვენ ერთიანი ფრონტი იმიტომ გვესაჭიროება, რომ იმედი გვაქვს ამის წინააღმდეგში დავარწმუნოთ მუშები. ხოლო ჩვენი კომუნისტი წარმომადგენლების შეცდომას ჩვენ დავაბრალებთ მათ და იმ პარტიებს, რომლებიც ამ შეცდომებს სჩადიან, და ვეცდებით ვისწავლოთ ამ შეცდომების მაგალითზე და მივაღწიოთ იმას, რომ აღარ გავიმეოროთ ისინი მომავალში. მაგრამ ჩვენი კომუნისტების შეცდომებს არავითარ შემთხვევაში არ დავაბრალებთ პროლეტარიატის მასებს, რომელიც მთელ მსოფლიოში მის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსული კაპიტალის იერიშის წინაშე დგას. იმის გულისათვის, რომ ამ მასებს დავეხმაროთ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში, დავეხმაროთ იმაში, რომ გაიგონ ორი ფრონტის «მზაკვრული მექანიკა» მთელ საერთაშორისო ეკონომიკასა და მთელ საერთაშორისო პოლიტიკაში, ამის გულისათვის მივიღეთ ჩვენ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და ბოლომდე გავატარებთ მას.

1922 წ. 9 აპრილი.

ნაკარნახევია ტელეფონით

«პრავდა» № 81, 1922 წ. 11 აპრილი
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოადგილეთა) მუშაობის შესახებ [71]

1. მოადგილეთა საერთო და ძირითადი ამოცანები

1. მოადგილეთა ძირითადი მუშაობა, რომლის გამოც ისინი სპეციალურად აგებენ პასუხს და რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველივე დანარჩენი, ეს არის დეკრეტთა, კანონთა და დადგენილებათა ფაქტიური შესრულების შემოწმება; საბჭოთა დაწესებულებების შტატების შემცირება, დაწესებულებებში საქმისწარმოების მოწესრიგებისა და გამარტივების მეთვალყურეობა; ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან.

ყოველივე დანარჩენი წარმოადგენს ამ ძირითადი დავალების დეტალიზაციას ან მის კერძო დამატებას.

მოადგილეებს ეკისრებათ:

2. მეთვალყურეობა გაუწიონ იმას, რომ საბჭოთა საკითხების განხილვა სხვა, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ დაწესებულებებში (სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმი, რკ პარტიის ც. კ-ის პოლიტ. და ორგბიურო — და სხვ. სრულიად გამოუკლებლივ) ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მოადგილეთა ნებართვით და მონაწილეობით.

3. მაქსიმალურად განტვირთონ სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო წვრილმანი საკითხებისაგან, რომელთა გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს ნაწილობრივ (და უპირატესად) საუწყებო მმართველობის წესით, ნაწილობრივ (სახელდობრ გადაუდებელ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში) მოადგილეთა უშუალო განკარგულებით.

4. გულმოდგინე მეთვალყურეობა გაუწიონ იმას, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს განმკარგულებელმა სხდომებმა და განსაკუთრებით მცირე სახკომსაბჭომ[72] არ გააფართოონ თავიანთი მუშაობა უეჭველი აუცილებლობის გადამეტებით, არ გაირთულონ საქმე და მათზე დაკისრებული ამოცანები, არ დაუშვან თავიანთი ფუნქციების ბიუროკრატიული გაბერვა და ჰიპერტროფია, არამედ თვითეულ სახალხო კომისარს და თვითეულ ცალკე დაწესებულებას მოთხოვონ მეტი დამოუკიდებლობა მუშაობაში და მეტი პასუხისმგებლობა.

5. აიძულონ სახალხო კომისრები და ცალკე დაყენებული დაწესებულებები დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობის შეგნებით მართონ მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ფარგლებში.

6. მეთვალყურეობა გაუწიონ იმას, რომ პასუხისმგებლობა პირველ რიგში კოლეგიების წევრებისა და თვალსაჩინო საბჭოთა მუშაკებისა, ხოლო შემდეგ ყველა საბჭოთა მუშაკისა დადგინდეს სავსებით ზუსტად და ინდივიდუალურად; დაუნდობლად ებრძოლონ გაბატონებულ ბუნდოვანობასა და გაურკვევლობას იმ საკითხში, რაც დავალებული აქვს თვითეულს ცალ-ცალკე, და აქედან გამომდინარე სრულ უპასუხისმგებლობას.

7. პირადად გაეცნონ არა მარტო მაღალი, არამედ უსაოთუოდ საშუალო და დაბალი თანამდებობის საბჭოთა მუშაკების განსაზღვრულ რიცხვს მათი გამოძახებით და შეძლებისდაგვარად მოსკოვის ცალკეულ დაწესებულებებში მისვლით, პროვინციაში გამგზავრებით ადამიანთა შემოწმებისა და შერჩევის, აგრეთვე საბჭოთა აპარატის მართლაც გაუმჯობესების მიზნით.

8. საბრძოლო მდგომარეობაზე გადაიყვანონ ის სახკომები, მათი განყოფილებები და დაწესებულებები, რომლებსაც განსაზღვრული დროის განმავლობაში განსაკუთრებით დამკვრელი მნიშვნელობა ენიჭებათ, მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ

მათ მუშაკებით, სახსრებით, მოადგილეთა პირადი მითითებებით და სხვ.

II. სპეციალური საკითხები, რომლებიც შეეხება მოადგილეთა მუშაობას

9. შრომის დაახლოებით $^{9}/_{10}$ მოადგილეებმა უნდა მოანდომონ სამეურნეო სახკომებს, $^{1}/_{10}$ — დანარჩენებს.

10. უახლოეს ხანებში პირველი ადგილი დაიკავა ფინანსურმა საკითხებმა, მოადგილეებმა ამ საკითხებს უნდა მიაქციონ ყველაზე მეტი ყურადღება.

11. განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხია პრემიალური სისტემის შემოღება, საბჭოთა მოსამსახურეებისათვის გასამრჯელოს გაცემა საგარეო ვაჭრობის სახკომის, კოოპერაციისა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა ხაზით ბრუნვის ოდენობისა და მოგების ოდენობისდა მიხედვით.

საჭიროა სისტემატური ხასიათი მიეცეს იმ ღონისძიებათა შესწავლას და მომზადებას, რომლებიც პრემიალურ სისტემას ავრცელებენ საერთოდ ყველა საბჭოთა მოსამსახურის ხელფასზე.

12. უნდა შეწყდეს საშინაო ვაჭრობის ცალკე სახკომის შექმნის ან ამ საქმის საგარეო ვაჭრობის სახკომში თუ სმუს-ში გადატანის ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან დაარსდეს ცალკე «საშინაო ვაჭრობის კომისია», მინიმალური სამდივნოთი და მისი ერთადერთი ადგილობრივი ორგანოებით: საგუბერნიო ეკონომიური თათბირებით.

13. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ტრესტების მუშაობის მეთვალყურეობას იმ მიზნით, რომ გვარიანად დაყენებულნი გამოვყოთ საძაგლად დაყენებულთა უმრავლესობისაგან და უყოყმანოდ დავხუროთ ეს უკანასკნელნი; სახელმწიფო ტრესტების გამგეობებში კომუნისტების (ფაქტიური) როლის შემოწმებას; საქმის გაძღოლისა და საქმის

წარმატებით გაძღოლისათვის ნამდვილად პასუხისმგებელ პირთა გამოვლინებას.

14. საჭიროა ყოველმა მოადგილემ იკისროს ამა თუ იმ სახკომის ერთი-ორი სანიმუშო განყოფილების ან დაწესებულების დაყენების პასუხისმგებლობა შტატების ნორმის შესამუშავებლად, ამ ნორმის შესამოწმებლად, საქმისწარმოების და მისი მეთვალყურეობის საუკეთესო ხერხების დასაწესებლად.

ამ მცირერიცხოვან, მაგრამ მართლაც სანიმუშო დაწესებულებებში შემუშავებული მუშაობის ხერხები, მისი ნაყოფიერების გადიდების წესები, კონტროლის მეთოდები შემდეგ თანდათან უნდა შემოღებულ იქნეს ყველა საბჭოთა დაწესებულებაში.

ამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, საბჭოთა ბიუროკრატიის მეტად შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო, ბიუროკრატიისა, რომელიც იცავს ძველებურ ბიუროკრატიულ ჩვევებს, აუცილებელია შეუპოვარი ბრძოლა რამდენიმე სანიმუშო დაწესებულების შესაქმნელად, როგორც დანარჩენთა წახალისებისა და შემოწმების საშუალება. სათანადო დაწესებულებებთან (საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის ცენტრალური კომიტეტი, სრ. რუს. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭო, შრომის ინსტიტუტი და სხვ. და ა. შ.) შეთანხმებით და მოადგილეთა მეთვალყურეობით უნდა გადმოითარგმნოს და გამოიცეს მთელი საუკეთესო უახლესი ლიტერატურა, განსაკუთრებით ამერიკული და გერმანული, შრომის ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის შესახებ.

15. საჭიროა თვალყური ადევნონ — თავდაპირველად თუნდაც რამდენიმე დაწესებულებაში — საბჭოთა დაწესებულებების შიგნით კომუნისტების გადაჯგუფებას, იმ მიზნით, რომ კომუნისტებმა დაიკავონ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი თანამდებობანი (იერარქიული კიბის როგორც სულ მაღალ საფეხურზე, ისე სულ დაბალ საფეხურზე), რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ ნამდვილად შეამოწმონ მუშაობის მსვლელობა, ნამდვილად ებრძოლონ ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას, ნამდვილად მიაღწიონ იმ უბედურ მოქალაქეთა

მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას და ბედის შემსუბუქებას, რომლებიც იძულებული არიან საქმე იქონიონ ჩვენს ყოვლად უვარგის საბჭოთა აპარატთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ კომუნისტებს, რომელთაც უკავიათ თანამდებობანი იერარქიული კიბის ქვედა საფეხურზე, რადგან ხშირად მათ სინამდვილეში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ზედა საფეხურზე მდგომთ.

16. საგუბერნიო ეკონომიური თათბირების ანგარიშებს წესიერად უნდა კითხულობდნენ, ჯერ-ერთი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრები და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» მუშაკები, ისე, რომ ყოველი წამკითხველი სულ მოკლე შეფასებას იძლეოდეს პრესისათვის ან თავისი დაწესებულებისათვის და პასუხს აგებდეს აუცილებელი დროული მითითებებისა და დასკვნებისათვის; მეორე, რამდენიმე ათეული (არანაკლები) კომუნისტისაგან შემდგარი ჯგუფი შეძლებისდაგვარად იმათი რიცხვიდან, ვინც მოსამსახურედ არ ითვლება და შეუძლია ანგარიშები წაიკითხოს არა საუწყებო, არამედ მ ხ ო ლ ო დ კომუნისტური თვალსაზრისით.

პეტროგრადის ჯგუფს ამხ. მილიუტინის მეთაურობით უვალება განაგოს საგუბერნიო ეკონომიური თათბირების ანგარიშების განაწილება ამ ანგარიშების წასაკითხად და გამოსაყენებლად გაზეთებში, ჟურნალებში, შეჯამებითს ბროშურებში და სხვ.

საჭიროა განუხრელად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თანდათანობით გაფართოვდეს ყოველგვარი ეკონომიური დაწესებულებების (სამაზრო ეკონომიური თათბირების, სახელმწიფო ტრესტების, «შერეულ საზოგადოებათა» და სხვ. და ა. შ.) აუცილებლად დასაბეჭდი ანგარიშების რიცხვი, რადგან მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა თუ არ შევაჩვიეთ ასეთი ანგარიშების წაკითხვას ბიბლიოთეკებში, ლაპარაკიც კი შეუძლებელია იმაზე, რომ ნახევრადაზიური ქვეყანა ნამდვილად გადავაქციოთ კულტურულ და სოციალისტურ ქვეყნად.

17. გაზეთი «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» უნდა გადაიქცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნამდვილ ორგანოდ, ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ა რ თ ვ ი ს ო რ გ ა ნ ო დ. ორივე მოადგილემ რეგულარულად უნდა იკითხონ იგი და დაუნდობლად ებრძოლონ ყველა ლიტერატორის და ყველა საბჭოთა მუშაკის გაბატონებულ მისწრაფებას — დაიყვანონ ეს გაზეთი «აზრთა», შეხედულებათა და კინკლაობის ჩვეულებრივ «ნახევრადდამოუკიდებელი», ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული ორგანოს დონემდე, რომლის ფურცლებზე აღარ იქნება მოთავსებული ანგარიშების შენაჯამები, არავინ გაუწევს კონტროლს მათ წესიერ შემოსვლას, არავინ გაუკეთებს სერიოზულ ანალიზს სამეურნეო მუშაობას ც ა ლ კ ე უ ლ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ, არავინ გააკრიტიკებს სერიოზულად კარგ და უვარგის დაწესებულებებს, პ ი რ ე ბ ს, მუშაობის ხერხებსა და სხვ.

წლობით მოგვიხდება ბრძოლა «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გადასაქცევად ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ა რ თ ვ ი ს ნამდვილ ორგანოდ, სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ ორგანოდ, მაგრამ მით უფრო აუცილებელია განუხრელი და სისტემატური ბრძოლა.

18. იგივე ითქმის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოზე. იგი უნდა იყოს არა «აკადემიური» და არა «დამოუკიდებელი» ორგანო, რასაც იგი $^{9}/_{10}$-ით წარმოადგენს ამჟამად ძველი ბურჟუაზიული ჩვეულების გამო, არამედ სოციალისტური მშენებლობის ორგანო, იმის შემოწმების, კონტროლის, აღრიცხვის ორგანო, რაც უნდა იცოდეს სოციალისტურმა სახელმწიფომ ახლა, ამჟამად, პირველ რიგში. ძველ ჩვეულებათა წინააღმდეგობა აქაც აუცილებლად ძალიან შეუპოვარი იქნება; მით უფრო შეუპოვარი უნდა იყოს ბრძოლა. (ვთხოვ მოადგილეებს გადაათვალიერონ ჩემი 1921 წლის ზაფხულის მიწერ-მოწერა აღნიშნულ თემაზე «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან *.)

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 20 — 23, 12 — 19. რ ე დ.

III. მოადგილეების მუშაობის წესი; მათი აპარატი

19. მოადგილეები მაქსიმალურად ითავისუფლებენ თავს წვრილმანი საქმეებისაგან და სახკომებთან, კოლეგიების წევრებთან ზედმეტი შეხვედრისაგან, რაც ჩვეულებრივ დიდ დროს ართმევს და საშუალებას უსპობს მათ ხელი მოჰკიდონ ფაქტიური მუშაობის შემოწმებას.

20. მოადგილეები მაქსიმალურად ითავისუფლებენ თავს სხვადასხვაგვარ კომისიაში მონაწილეობისაგან.

21. მოადგილეები ყოველნაირად ცდილობენ გააუქმონ არსებული კომისიები (რომელთა $^{9}/_{10}$ ზედმეტია და რომელთაც ის თვისება აქვთ, რომ გაუქმების შემდეგ ძალიან სწრაფად ახლდებიან ოდნავ შეცვლილი სახით) და ეწინააღმდეგებიან ახალთა შექმნას.

22. კომისიებში მუშაობის აუცილებელ შემთხვევაში მოადგილეები ყოველნაირად არიდებენ თავს პირადად მიიღონ მათში მონაწილეობა და, შეძლებისდაგვარად, სჯერდებიან მათი გადაწყვეტილებების საბოლოო დამტკიცებას ანდა მუშაობის დაჩქარებას და მათ გადაწყვეტილებათა დასამტკიცებლად გაგზავნას მიღებული წესით.

23. მოადგილეების აპარატს შეადგენს, ჯერ-ერთი, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველების, მათი თანაშემწეებისა და მდივნების პირადი შემადგენლობა. აუცილებლად საჭირო მინიმუმის ზევით — და ამასთან მხოლოდ ისეთის, რომლის ზედამხედველობა სავსებით მისაწვდომია (არცთუ მაინცდამაინც დიდია) პ ი რ ა დ ა დ მოადგილეებისთვის — ეს აპარატი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გადიდებული. მეორე, მცირე სახკომსაბჭოს ცალკეულ წევრებს მოადგილეები აძლევენ სხვადასხვა დავალებას. მესამე, მოადგილეების მთავარი აპარატი უნდა იყოს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახკომი.

მოადგილეები პირადად იყვანენ თანაშემწეებსა და შემსრულებლებს ამ სახკომიდან, აჩვევენ მუშაობას და ამოწმებენ მათ მუშაობას, განსაკუთრებით ცდილობენ გააფართოონ უპარტიო

მუშებისა და გლეხების მონაწილეობა ამ მუშაობაში (განსაკუთრებით ძნელი საქმეა, მაგრამ ამავე დროს ისეთი, რომლის თანდათან გაუფართოებლად საბჭოთა ხელისუფლებას გარდუვალი დაღუპვა მოელის).

24. მოადგილეები უნდა ცდილობდნენ წინანდელზე უფრო ხშირად გამოიყენონ ადმინისტრაციული სასჯელი პირადი ძალაუფლებით (დააჩქარონ ამხ. ციურუპას მიერ ამ თემაზე მომზადებული კანონპროექტი) ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, შეუსრულებლობის, დაუდევრობის გამო და სხვ.. უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის შემთხვევაში აუცილებელია თანამდებობიდან გადაყენება, სამართალში მიცემა, იუსტიციის სახკომის მეშვეობით სადემონსტრაციო, თვალსაჩინო პროცესების მოწყობა.

IV. ორივე მოადგილის მუშაობის ერთიანობის შესახებ

25. ორივე მოადგილის მუშაობის სრული ერთიანობის დასამყარებლად ისინი ერთმანეთს უგზავნიან უმნიშვნელოვანეს განკარგულებათა ასლებს და სისტემატურად შემოაქვთ ჩვეულებად იმ განკარგულებათა, მითითებათა და სხვათა სტენოგრაფიული ჩაწერა, რომელთაც ისინი იძლევიან ზეპირად, პირადი შეხვედრისას (რა თქმა უნდა, სულ მოკლედ და მხოლოდ რაც უმნიშვნელოვანესია). საამისოდ სტენოგრაფისტთა რაოდენობა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობასთან იმდენად უნდა გადიდდეს, რომ მოადგილეების მთელი სამუშაო დროის განმავლობაში მორიგეობდეს ორი სტენოგრაფისტი. საჭიროების შემთხვევაში გამოწერილ იქნეს საზღვარგარეთიდან ორიოდე საუკეთესო დიქტოფონი.

26. იგივე ითქმის როგორც წერილობითს, ისე ზეპირ უმნიშვნელოვანეს მოხსენებათა შესახებ.

27. აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს შემთხვევებში მოადგილეები თათბირობენ ამოცანებისა და მოქმედების გაგების ერთნაირობისა და მუშაობაში ერთმანეთისთვის ხელის შეშლისა და წინააღმდეგობის ყოველნაირად თავიდან ასაცილებლად.

მოადგილეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხს წყვეტს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ ის არ არის — ც. კ-ის პოლიტბიურო ან მის მიერ საგანგებოდ დანიშნული ამხანაგი.

V. მუშაობის განაწილება მოადგილეებს შორის

28. უახლოესი თვეებისათვის, განსაკუთრებულ დადგენილებამდე, მყარდება მოადგილეებს შორის მუშაობის შემდეგი განაწილება.

29. ამხ. ციურუპა თავმჯდომარეობს დიდ სახკომსაბჭოში (2 საათის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეობა გადაეცემა ამხ. რიკოვს). დიდი სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს (პლენარულ) სხდომაზე იმ მოადგილის დასწრება, რომელიც არ თავმჯდომარეობს, სავალდებულოა.

ამხ. ციურუპა ხელს აწერს დიდი სახკომსაბჭოს დასაბეჭდ დადგენილებებს და მისი სახელით სატელეგრაფო განკარგულებებს, აგრეთვე მეთვალყურეობას უწევს დიდი სახკომსაბჭოს და მცირე სახკომსაბჭოს კომისიებს და მცირე სახკომსაბჭოს მუშაობას. თვითონვე უახლოეს მეთვალყურეობას უწევს დიდი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას და სამდივნოს, ამავე დროს პასუხს აგებს ამ აპარატის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს აპარატის მუშაობის სრული ერთიანობისათვის, აგრეთვე ყოველგვარი გაორებისა და ყოველგვარი შეუთანხმებლობის გამო.

30. ამხ. რიკოვი თავმჯდომარეობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს პლენარულ სხდომებზე, ხელს აწერს მის დასაბეჭდ დადგენილებებს და სატელეგრაფო განკარგულებებს, უახლოეს მეთვალყურეობას უწევს შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობას და სამდივნოს (ამ აპარატისა და დიდი სახკომსაბჭოს აპარატის სრული განუყოფლობის ზემოაღნიშნულ პირობებში).

31. შესრულების შემოწმების, შტატების შემცირებისა და აპარატის გაუმჯობესების მეთვალყურეობის მხრივ, აგრეთვე

ცალკეულ წვრილმან მიმდინარე საკითხთა მხრივ, რომლებიც არ საჭიროებენ დიდი სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადაწყვეტას, სახკომები შემდეგნაირად ნაწილდებიან ორივე მოადგილეს შორის:

ამხ. ციურუპას ექვემდებარებიან:

მიწსახკომი
გზათა სახკომი
სმუს-ი
კავშირგაბმულობის სახკომი
იუსტიციის სახკომი
შინსახკომი
ეროვნებათა სახკომი
განსახკომი

ამხ. რიკოვს ექვემდებარებიან:

ფინსახკომი
საგარეო ვაჭრობის სახკომი
საშინაო ვაჭრობის კომისია
«ცენტროსოიუზი»
შრომის სახკომი (ნაწილობრივ სრ. რუს. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭო)
სოციალური უზრუნველყოფის სახკომი
სურსათის სახკომი
სამხედრო სახკომი
საგარეო საქმეთა სახკომი
ჯანსახკომი
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო
საოლქო ეკონომიური თათბირები
საკონცესიო კომიტეტი
სახელმწიფო საგეგმო კომისია

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 11. IV.

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ი. ბ. სტალინს

ამხანაგ სტალინს (პოლიტბიუროსათვის)

15/IV

ეს-ეს არის მივიღე წიგნი: «საფრანგეთ-რუსეთის 1910 — 1914 წლების ურთიერთობის ისტორიის მასალები» [73].

ეს ვეებერთელა, 733-გვერდიანი ტომი გამოცემულია იმ უსირცხვილო ჭეშმარიტად საბჭოური დაუდევრობით, რომლისთვისაც საპყრობილეში ჩასმის ღირსნი არიან. ფასი არ აწერია. არ არის ხელმოწერა პასუხისმგებელი პირის თუ პირებისა. არა აქვს საძიებელი!! დართული აქვს უბრალო სახელთა ს ი ა, შედგენილია დ ა უ დ ე ვ რ ა დ. და სხვ.

წინადადებას ვიძლევი:

1) დაავალოთ განეცკის და კარახანს 2 დღეში მონახონ გამოცემისათვის ყველა პასუხისმგებელი პირნი;

2) მათვე — შეაჩერონ წიგნის გაყიდვა;

3) — მოამზადონ ფურცელი ჩასაკვრელად, სადაც აღნიშნული იქნება რაც აკლია;

4) — მოამზადონ გონივრული საძიებელი; ერთი სიტყვით, ხუთშაბათისათვის ც. კ-ში წარმოადგინონ **მოკლე** მოხსენება ყველა სისაძაგლეზე — გამოცემის დეფექტებისა და გამოსწორების წესების შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «წინასიტყვაობაში» — **ხელმოუწერელში!!** — დასახელებულია მ. ნ. პოკროვსკი, მაგრამ ცხადია, რომ გამოცემისათვის, მისი ტექნიკისათვის პასუხს აგებს არა ის, რომელიც მუშაობდა მასალების შეგროვებაზე.

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა: «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლოგელ თემებზე»

წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის[74]

ეს ბროშურა გამოდის მოსკოველი კომუნისტების, და არა ჩემი, თაოსნობით. თავდაპირველად მე წინააღმდეგი ვიყავი ამ ძველი სტატიების ხელახლა გამოცემისა, რადგან ეს ძველი სტატიები მოძველებულად მიმაჩნდა.

როცა გადავიკითხე მოსკოველი ამხანაგების მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, დავრწმუნდი, რომ ამ შემთხვევაში ძველი უფრო ნაკლებ მოძველებულია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამ ძველის უმეტესი ნაწილი ამ შემთხვევაში სულაც არ მოძველებულა, თუმცა არაჩვეულებრივ მძაფრი და სწრაფი რევოლუციური განვითარების ოთხმა წელმა განვლო.

1922 წლის გაზაფხულზე მიმდინარე მომენტი დიდი მასშტაბით იმეორებს 1918 წლის გაზაფხულის მიმდინარე მომენტის ძირითად თავისებურებებს. მაშინ იყო «შესვენება» ომებს შორის: იმპერიალისტურ ომსა, რომელიც ჩვენ დავამთავრეთ (უფრო სწორი იქნება ვთქვათ: თითქმის დავამთავრეთ) 1918 წლის თებერვალში, და სამოქალაქო ომს შორის, რომელიც ბოგაევსკის მსგავს კონტრრევოლუციონერებზე პირველი გამარჯვებით კი არ დამთავრებულა, არამედ ჯერ მხოლოდ მზადდებოდა ჩეხოსლოვაკების, კორნილოვის, დენიკინისა და კომპანიის მიერ.

ახლა გენუა სწორედ კვლავ მოწმობს «შესვენებას» განუზომლად უფრო დიდი, მსოფლიო მასშტაბით, შესვენებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომსა, რომელსაც მსოფლიო ბურჟუაზია აწარმოებდა და რომელიც მან წააგო, და ახალ ომს შორის, რომელსაც ეს ბურჟუაზია ამზადებს, მაგრამ ამჟამად ჯერ კიდევ სავსებით არ მოუმზადებია. (ამ სტრიქონებს ვწერ

1922 წ. 28 აპრილს, როცა უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩანს, რომ განხეთქილების საფრთხე ჩამოწოლილა.)

მაშინაც და ახლაც მთელ საბჭოთა პოლიტიკაში თავიდათავია ორგანიზაცია, აღრიცხვა და კონტროლი, დინჯი, ფრთხილი, საქმიანი მიდგომა პრაქტიკული ამოცანისადმი, ფაქტიური მუშაობის შემოწმება, ჩვენი პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა. ამაზე მე ვილაპარაკე რკ პარტიის XI ყრილობაზე ამ რამდენიმე კვირის წინ. ეს «გეზი» აიღო ყრილობამ, როგორც ეს ჩანს ც. კ-ის მოხსენების გამო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის და სხვა რეზოლუციების მიხედვით. ამ გეზის შეჯამებას ვცდილობდი მე საბოლოო სიტყვაში XI ყრილობის დახურვისას.

1918 წლის ძველი ბროშურის ხელახლა გამოცემა სასარგებლოა ახლაც, რადგან მაშინდელი დავა დახმარებას გვიწევს ბევრი რამ გავარკვიოთ ჩვენი პარტიის ახლანდელ ამოცანებში. ისეთი სიტყვები, როგორიცაა პარტიის XI ყრილობაზე ამხ. პრეობრაჟენსკის, ოსინსკის, ლარინის მიერ წარმოთქმული სიტყვები ც. კ-ის მოხსენების გამო გამართულ კამათში, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ პარტიის მრავალი და მეტად გამოჩენილი ხელმძღვანელი მუშაკის ყურადღება მიპყრობილია არა იქითკენ, საითკენაც უნდა იყოს მიპყრობილი. ამ სიტყვებში ჩვენი პოლიტიკის ამოცანების დედააზრი უმართებულოდ არის განსაზღვრული. იმედი მაქვს, რომ ამაზე ახლო მომავალში საშუალება მექნება უფრო ვრცლად ვესაუბრო მკითხველებს. ჯერჯერობით კი უნდა დავჯერდე შენიშვნას, რომ ბროშურაში, რომელიც ხელმეორედ იბეჭდება, ლაპარაკია სწორედ იმის გარკვევაზე, თუ რატომ იყო, რომ მაშინ პირველ რიგში ვაყენებდით (და ახლაც ვაყენებთ) ამოცანას: «ვისწავლოთ მუშაობა», უფრო სწორად განვალაგოთ ადამიანები, მივაღწიოთ იმას, რომ დაწესდეს თვითეულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ზუსტად განსაზღვრული სამუშაოსთვის, გულდასმით შევისწავლოთ და შევამოწმოთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ნუ გაგვიტაცებს ახალი დაწესებულე-

ბების შექმნის თუ საქმის ახლებურად დაყენების, რეორგანიზაციების და სხვა «ახალი» გეგმები.

დასასრულ კიდევ ერთი უსათუოდ აუცილებელი შენიშვნა. ამ ბროშურიდან მე ამოვაგდე ჩემი საბოლოო სიტყვა, წარმოთქმული სრ. რუს. ცაკ-ში 1918 წლის გაზაფხულზე[75]. ეს სიტყვა ისეა ჩაწერილი, რომ არაფრად არ ვარგა. ამის გამო უნდა გავიმეორო ის, რაც ერთხელ, 1919 თუ 1920 წელს, ვთქვი წერილში პეტროგრადელი ამხანაგების მიმართ, ვთქვი პრესისათვის განკუთვნილ წერილში, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, არ დაუბეჭდიათ *. სახელდობრ: მე პასუხს არ ვაგებ ჩემი სიტყვების ტექსტისათვის, როგორც მათ ჩვეულებრივ გადმოსცემენ ხოლმე გაზეთებში, და ფრიად დაბეჯითებით გთხოვთ არ გადაბეჭდოთ ეს სიტყვები — მაშინ მაინც, თუ ამას უკიდურესი და განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, და ყოველ შემთხვევაში ამ ჩემი სავსებით გარკვეული განცხადების გაუმეორებლად. არ ვიცი რატომ ხდება ეს, იმიტომ რომ ხშირად ძალიან სწრაფად ვლაპარაკობ; იმიტომ რომ ხშირად ძალიან უმართებულოდ ვლაპარაკობ სტილისტიკის მხრივ, იმიტომ რომ ჩვენში სიტყვების ჩაწერა ჩვეულებრივ ნაუცბათევად და მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად ხდება; ყველა ამ თუ კიდევ სხვა რაიმე, ერთად აღებული მიზეზების გამო, — მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ჩემი სიტყვების ჩანაწერების ტექსტის პასუხისმგებლობას არ ვკისრულობ და გთხოვთ არ გადაბეჭდოთ ისინი. დაე პასუხი აგონ იმათ, ვინც სიტყვის ჩაწერას აწარმოებს. ხელმეორედ გამოსაცემად კი, თუ ამის საჭიროება არსებობს, ჭარბად მოგვეპოვება ბროშურები და სტატიები, რომელთა ტექსტისათვის მე უსათუოდ და მთლიანად პასუხისმგებელი ვარ.

1922. 28. IV. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1922 წელს ბროშურაში:
ნ. ლენინი (ვ. ი. ულიანოვი).
«ძველი სტატიები ახალ თემებთან
ახლობელ თემებზე», მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 128 — 130. რ ე დ.

დეკეშა აზნავთის მუშებსა და ინჟინრებს

ბაქო

9 აპრილს ღამით მუშათა კლასის მტრები შეეცადნენ მთელ რიგ ადგილას ხანძრის გაჩენით მოესპოთ სურახანის ნავთობის სარეწები ბაქოში. გავეცანი რა არაჩვეულებრივი გმირობისა და თავგანწირვის ფაქტებს, რაც გამოიჩინეს სარეწების მუშებმა და ინჟინრებმა, რომლებმაც ხანძრის ლოკალიზაცია მოახდინეს სიცოცხლისათვის უდიდესი საფრთხის ვითარებაში, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია საბჭოთა რუსეთის სახელით მადლობა გამოვუცხადო სურახანის ნავთობის სარეწების მუშებსა და ინჟინრებს. გმირობის ასეთი ფაქტები ყველაზე უკეთ გვიჩვენებენ, რომ, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, მიუხედავად მუშათა რესპუბლიკის ესერულ-თეთრგვარდიული მტრების განუწყვეტელი შეთქმულებებისა, საბჭოთა რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვა ყველა სიძნელიდან.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წ. 22 აპრილს

პირველად დაბეჭდა 1942 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დედნიდან
მიხედვით

«პრავდის» ათი წლის იუბილესათვის

ათი წელი შესრულდა იმ დროიდან, რაც დაარსდა ლეგალური — მ ე ფ ი ს კანონების მიხედვით ლეგალური — ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი «პრავდა». ხოლო ამ ათწლეულს წინ უსწრებს კიდევ, დაახლოებით, ათწლეული: ცხრა წელი (1903 — 1912), თუ ვიანგარიშებთ ბოლშევიზმის წარმოშობის დროიდან, ხოლო თუ სავსებით «ბოლშევიკური» მიმართულების ძველი «ისკრის» დაარსების დროიდან (1900) ვიანგარიშებთ, ცამეტი წელი (1900 — 1912).

ათი წლის იუბილე ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთისა, რომელიც რუსეთში გამოდის... მხოლოდ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ! ხოლო ბრძოლისა და მოძრაობის შინაარსის მხრივ ამ ხნის განმავლობაში განვლილია ასი წელი. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფე პირდაპირ ზებუნებრივია, თუ გავზომავთ ძველი საზომით, ევროპელი ფილისტერების საზომით, მსგავსად II და II½ ინტერნაციონალთა გმირებისა, — ამ ცივილიზებული ფილისტერებისა, რომლებიც მიჩვეული არიან «ბუნებრივად» ჩათვალონ, რომ ასეული მილიონობით ადამიანი (მილიარდზე მეტი, თუ ზუსტად ვიტყვით) კოლონიებში, ნახევრადდამოკიდებულ და სავსებით ღატაკ ქვეყნებში დათანხმდეს მოითმინოს ისეთი მოპყრობა, როგორც ეპყრობიან ინდოელებს ან ჩინელებს, მოითმინოს გაუგონარი ექსპლოატაცია, ნამდვილი

ძარცვაც, შიმშილიც, ძალმომრეობაც, აბუჩად აგდებაც, ყველაფერი იმის გულისთვის, რომ «ცივილიზებულ» ადამიანებს შეეძლოთ «თავისუფლად», «დემოკრატიულად», «პარლამენტურად» გადაწყვიტონ საკითხი — მშვიდობიანად გაიყონ ნადავლი თუ ორიოდე ათეული მილიონი ადამიანი გაჟლიტონ იმპერიალისტური ნადავლის გაყოფის გულისთვის — გუშინ გერმანიასა და ინგლისს შორის, ხვალ იაპონიასა და ამერიკას შორის (საფრანგეთისა და ინგლისის ამა თუ იმ მონაწილეობით).

მსოფლიო განვითარების ამ უდიდესი დაჩქარების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მასში ასეული მილიონობით ახალი ადამიანი ებმება. ძველი ბურჟუაზიული და იმპერიალისტური ევროპა, რომელიც დედამიწის ცენტრად თვლიდა თავს, დალპა და გასკდა პირველსავე იმპერიალისტურ ომში, როგორც მყრალი მუწუკი. როგორაც უნდა წუწუნებდნენ ამის გამო შპენგლერები და ყველა ის განათლებული მეშჩანი, რომლებიც აღტაცებაში მოჰყავს მას (ან თუნდაც ინტერესს იჩენენ მისდამი), მაგრამ ძველი ევროპის ეს დაცემა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია მსოფლიო ბურჟუაზიის დაცემის ისტორიაში, ბურჟუაზიისა, რომელიც ყელთამდე გამძღარია იმპერიალისტური ნადავლით და დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის ჩაგვრით.

ამჟამად ამ უმრავლესობამ გაიღვიძა, იგი ამოძრავდა, და ამ მოძრაობის შეჩერება არ ძალუძთ ყველაზე ძლიერ და «მძლავრ» სახელმწიფოებს. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება! პირველ იმპერიალისტურ ომში ახლანდელ «გამარჯვებულთ» ისიც კი არ ძალუძთ, რომ დაამარცხონ პატარა, სულ პატარა ირლანდია, არ ძალუძთ თავი გაართვან იმ დომხალსაც კი, რომელიც თვით მათ შორის შეიქმნა ფინანსურ და ვალუტის საკითხებში. ინდოეთი და ჩინეთი კი ბობოქრობენ. ეს 700 მილიონზე მეტი კაცია. ეს, გარშემო მდებარე და სავსებით მათსავით აზიური ქვეყნების დამატებით, დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. იქ ახლოვდება, შეუკავებლად და სულ უფრო და უფრო სწრაფად ახლოვდება, 1905 წელი, —

იმ არსებითი და უდიდესი განსხვავებით, რომ რუსეთის 1905 წლის რევოლუციას კიდევ შეეძლო (ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად) განმარტოებულად ჩატარებულიყო, ე. ი. რევოლუციაში ერთბაშად არ ჩაება სხვა ქვეყნები. ხოლო ინდოეთი და ჩინეთი, სადაც რევოლუცია ვითარდება, უკვე ახლავე ებმებიან და კიდევაც ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში, საერთაშორისო რევოლუციაში.

ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური «პრავდის» ათი წლის იუბილე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს უდიდესი მსოფლიო რევოლუციის დიდი დაჩქარების ერთ-ერთ ნიშანსვეტს. 1906 — 1907 წლებში ცარიზმმა, თითქოს, სასტიკად დაამარცხა რევოლუცია. ბოლშევიკურმა პარტიამ რამდენიმე წელში შესძლო — ს ხ ვ ა ს ა ხ ი თ, ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ — შეჭრილიყო მტრის ციხე-სიმაგრეში და ყოველდღიურად, «ლეგალურად» დაეწყო წყეული მეფისა და მემამულური თვითმპყრობელობის შიგნიდან აფეთქება. განვლო კიდევ რამდენიმე წელმა, და ბოლშევიზმის მიერ მოწყობილმა პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

როდესაც 1900 წელს ძველი «ისკრა» არსდებოდა, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა რაღაც ათიოდე რევოლუციონერი. როცა ბოლშევიზმი ჩნდებოდა, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა, ბრიუსელისა და ლონდონის არალეგალურ ყრილობებზე 1903 წელს, ოთხიოდე ათეული რევოლუციონერი.

1912 — 1913 წლებში, როცა ლეგალური ბოლშევიკური «პრავდა» წარმოიშვა, მას ზურგს უმაგრებდნენ ათეული და ასეული ათასობით მუშები, რომლებმაც თავიანთი კაპიკობით შეგროვილი ფულით ცარიზმის უღელიც დაამხვეს და სოციალიზმის წვრილბურჟუაზიულ გამყიდველთა, მენშევიკთა, მეტოქეობაც დასძლიეს.

1917 წლის ნოემბერში დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს 9 მილიონი ხმა 36 მილიონიდან. სინამდვილეში კი, არა კენჭისყრაში, არამედ ბრძოლაში, 1917 წლის

ოქტომბრის დამლევს და ნოემბერში ბოლშევიკებს მხარს უჭერდა პროლეტარიატისა და შეგნებული გლეხობის უმ-რავლესობა, საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის სახით, მშრომელი ხალხის ყველაზე აქტიური და შეგნებული ნაწილის უმრავ-ლესობის, სახელდობრ მაშინდელი თორმეტმილიონიანი არმიის სახით.

ასეთია უკანასკნელ ოცწლეულში მსოფლიო რევოლუ-ციური მოძრაობის «დაჩქარების» პატარა ციფრობრივი სურათი. ძალიან პატარა, ძალიან არასრული სურათი, რომე-ლიც ძალიან უხეშად გამოხატავს სულ რაღაც 150-მილიონიანი ხალხის ისტორიას, მაშინ როდესაც ამ ოცი წლის განმავლო-ბაში დაიწყო და უძლეველ ძალად გაიზარდა რევოლუცია იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა ერთ მილიარდზე მეტს შეადგენს (მთელი აზია, თან არ უნდა დავივიწყოთ ჯგრეთვე სამხრეთი აფრიკაც, რომელმაც ამას წინათ მოგვაგონა თავისი პრეტენზია — გვინდა ადამიანები ვიყოთ და არა მონებიო, და მოგვაგონა არცთუ მაინცდამაინც «პარლა-მენტურად»).

და თუ ვიღაც, მაპატიეთ ასეთი გამოთქმა, «წვრილფეხა შპენგლერები» აქედან იმ დასკვნას გამოიტანენ (ყოველგვარ სისულელეს უნდა მოელოდეს კაცი II და II½ ინტერნა-ციონალთა «ბრძენი» ბელადებისაგან), თითქოს ამ ანგარიშით რევოლუციური ძალებისგან გამორიცხულია ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი, ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ხსენებული «ბრძენი» ბელადები მუდამ ისე მსჯელობენ, თითქოს იმ გარე-მოებიდან, რომ ჩასახვიდან ცხრა თვის შემდეგ უნდა მოველო-დეთ ბავშვის დაბადებას, გამომდინარეობდეს მშობიარობის საათისა და წუთის, მშობიარობის დროს ბავშვის მდებარეო-ბის და მშობიარის მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლო-ბაც და ისიც, თუ ზუსტად რა ტკივილები ექნება და რა საფრთხე მოელის ბავშვსა და მშობიარეს. «ბრძენნი»! ისინი ვერასგზით ვერ მიმხვდარან, რომ საერთაშორისო რევოლუ-ციის განვითარების თვალსაზრისით ჩარტიზმიდან ბურჟუაზიის

წინაშე მოლაქიე ჰენდერსონების, ან ვარლენიდან რენოდელის, ან ვილჰელმ ლიბკნეხტიდან და ბებელიდან ზუდეკუმის, შეიდემანისა და ნოსკეს მხარეზე გადასვლა — ეს არის მხოლოდ რაღაც იმის მსგავსი, რომ ავტომობილი ასვერსიანი გატკეცილი და სწორი შარაგზიდან «გადავიდეს» იმავე შარაგზის ბინძურ, მყრალ წუმპეში, რამდენიმე არშინის სიგრძე წუმპეში.

ადამიანები თვითონვე ქმნიან თავიანთ ისტორიას. მაგრამ ჩარტისტები, ვარლენები და ლიბკნეხტები ისტორიას ქმნიან თავიანთი თავით და თავიანთი გულით. ხოლო II და II½ ინტერნაციონალთა ბელადები მას «ქმნიან» სხეულის სულ სხვა ნაწილებით: ანოყიერებენ ნიადაგს ახალი ჩარტისტებისათვის, ახალი ვარლენებისათვის, ახალი ლიბკნეხტებისათვის.

დღევანდელ უძნელეს მომენტში თავის მოტყუება უდიდეს ზიანს მოუტანდა რევოლუციონერებს. თუმცა ბოლშევიზმი საერთაშორისო ძალა გახდა, თუმცა ყველა ცივილიზებულ და მოწინავე ქვეყანაში უკვე გაჩნდნენ ახალი ჩარტისტები, ახალი ვარლენები, ახალი ლიბკნეხტები, რომლებიც იზრდებიან ლეგალური (როგორც ლეგალური იყო ჩვენი «პრავდა» ცარიზმის დროს ათი წლის წინათ) კომუნისტური პარტიების სახით, მიუხედავად ამისა საერთაშორისო ბურჟუაზია ჯერ კიდევ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მისი კლასობრივი მოწინააღმდეგე. ამ ბურჟუაზიას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა რაც კი შეეძლო, რომ გაეძნელებინა რუსეთში პროლეტარული ძალაუფლების მშობიარობა, გაეათკეცებინა მშობიარობის ტანჯვა და საშიშროება, ჯერ კიდევ ძალუძს ტანჯვა და სიკვდილი განუმზადოს მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანს თეთრგვარდიული და იმპერიალისტური ომების საშუალებით და სხვ.. ეს არ უნდა დავივიწყოთ. უნარი უნდა შეგვწევდეს ახლანდელი ვითარების ამ თავისებურებას შევუფარდოთ ჩვენი ტაქტიკა. ბურჟუაზიას ჯერ კიდევ თავისუფლად შეუძლია აწამოს,

აწვალოს, დახოცოს ხალხი. მაგრამ რევოლუციური პროლეტარიატის გარდუვალი და — მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით — ფრიად მოახლოებული სრული გამარჯვების შეჩერება მას არ შეუძლია.

1922. 2/V.

«პრავდა» № 98, 1922 წ. 5 მაისი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წერილი ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის

პასუხი იმ შენიშვნებისა, რომლებიც ეხება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობას

ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის, რაც გამოწვეულია ტყვიის ამოღების დავიდარაბით[76].

ამხ. რიკოვის შენიშვნები «კრიტიკულია», მაგრამ გაურკვეველი, და პასუხსაც არ მოითხოვს.

ამხ. ტომსკის შენიშვნა პრემიალური სისტემის შესახებ უმართებულოდ მიმაჩნია. პროფკავშირების მიერ შემოღებული პრემიალური სისტემის მარცხმა, სისტემისა, რომელიც, როგორც ამხ. ტომსკი ამბობს, «სახელმწიფოს ძარცვად» გადაგვარდა, ხელი კი არ უნდა აგვაღებინოს პრემიალურ სისტემაზე, არამედ უნდა გვაიძულოს უფრო შეუპოვრად შევუდგეთ მისი გამოყენების წესების შესწავლას და გაუმჯობესებას.

ამხ. ტროცკის შენიშვნებიც ნაწილობრივ გაურკვეველია (მაგალითად, «შიში» მე-4 პარაგრაფში) და პასუხს არ მოითხოვს; ნაწილობრივ ანახლებს ჩვენს ძველ უთანხმოებას ამხ. ტროცკისთან, რაც ბევრჯერ გვინახავს პოლიტბიუროში. ამ შენიშვნებიდან მოკლედ ვუპასუხებ ორ მუხლზე: ა) მუშგლეხინი და ბ) სახელმწიფო საგეგმო კომისია.

ა) მუშგლეხინის შესახებ ამხ. ტროცკი სრულიად არ არის მართალი. ჩვენი საშინელი «უწყებრიობის» დროს საუკეთესო კომუნისტებს შორისაც კი, მოსამსახურეთა დაბალი დონის, შინასაუწყებო ინტრიგანობის (ყოველგვარი მუშგლეხინური ინტრიგანობის უარესი) პირობებში ამჟამად უმუშგლეხინოდ

საქმეს თავს ვერ გავართმევთ. მუშგლეხინის საკითხზე შეიძლება და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ სისტემატურად და შეუპოვრად, რათა იგი გადავაქციოთ მთელი სახელმწიფო მუშაობის შემოწმებისა და გაუმჯობესების აპარატად. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის შემოწმების, გაუმჯობესების, სწავლების არავითარი პრაქტიკული საშუალება არ არსებობს. თუ ამჟამად მუშგლეხინის აპარატი შედგება დაახლოებით 12 000 კაცისაგან, ამასთან ეს აპარატი ცუდია და ხელფასი მცირეა, საჭიროა შევამციროთ და გავაუმჯობესოთ იგი; მაგალითად, დავტოვოთ 1/6 ნაწილი, ხელფასის წინანდელი ფონდი კი დავტოვოთ ნახევარი, ე. ი. ხელფასი გავადიდოთ ერთისამად; თავდაპირველად გამოვყოთ ათეული, შემდეგ ასეული საუკეთესო, უსათუოდ პატიოსანი და უნარიანი მუშაკი, რომლებიც ახლაც მოიპოვებიან, მაგრამ არავის დაუთვლია, არ გამოუყოფია, არ დაუჯგუფებია და არ დაურაზმავს. ეს შეიძლება გაკეთდეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. სხვანაირად უწყებრიობასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა შეუძლებელია. სხვანაირად უპარტიო მუშებსა და გლეხებს ვერ ვასწავლით მართვა-გამგეობის საქმეს, ამ ამოცანაზე კი ამჟამად ვერც პრინციპულად და ვერც პრაქტიკულად ხელს ვერ ავიღებთ.

ბ) სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ ამხ. ტროცკი არათუ სრულიად არ არის მართალი, არამედ მან განსაცვიფრებლად არ იცის ის, რაზედაც მსჯელობს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის ნაკლი მისი აკადემიზმი კი არ არის, არამედ, პირიქით, ის, რომ იგი მეტისმეტად დატვირთულია წვრილმანი, საჭირბოროტო «ვერმიშელით». ამხ. კრჟიჟანოვსკი, თავისი რბილი ხასიათის გამო, მეტად დამთმობია იმათ მიმართ, ვინც მას თხოვს ახლავე «დამეხმარეო».

რადგან კარგად ვიცი სახელმწიფო საგეგმო კომისიის ნამდვილი ნაკლოვანებანი და იმისათვის, რომ პოლიტბიუროს წევრებს გავაცნო ფაქტიური, ობიექტური მასალა და არა ფანტაზიები, შევეკითხე ამხ. კრჟიჟანოვსკის, მის მუშაობას ხომ არა აქვს «განყენებულობის» ნაკლი და რა ზუსტი მონაცე-

მები არსებობს ამის შესახებ-მეთქი. ამხ. კრჟიჟანოვსკიმ გამომიგზავნა იმ საკითხების სია, რომლებიც სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წინაშე იდგა ორი თვის განმავლობაში: 1922 წ. თებერვალსა და მარტში. სულ: აა) გეგმიანი საკითხები — 17%; ბბ) მნიშვნელოვანი სამეურნეო ხასიათის საკითხები — 37%; გგ) «ვერმიშელი» — 46%. ეს მასალები შემიძლია პოლიტბიუროს ყოველ წევრს გამოვუგზავნო გადასათვალიერებლად.

ამხ. ტროცკის მეორე ბარათი 1922 წ. 23 აპრილის თარიღით, გამოგზავნილი მოადგილეების სახელზე ასლის პოლიტბიუროს სამდივნოში გაგზავნით (ალბათ, ასლი შემთხვევით მოხვდა ჩემს ხელში), შეიცავს, ჯერ-ერთი, მეტისმეტად აღელვებულ, მაგრამ მეტად უმართებულო «კრიტიკას» პოლიტბიუროს დადგენილებისას ფინანსური სამეულის (სოკოლნიკოვი და ორივე მოადგილე) შექმნის შესახებ, რომელიც შემაფერხებელი რგოლი იქნება მცირე და დიდ სახკომსაბჭოს შორისო. ასეთი კრიტიკის გაგზავნა მოადგილეებისათვის არავითარ არც გეგმიან და არც რამდენადმე ორგანიზებულ სახელმწიფო მუშაობას არ შეეფერება.

მეორეც, ეს ბარათი შეიცავს სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის აკადემიზმის იმავე, სრულიად უმართებულო და ჭეშმარიტებისადმი დიამეტრულად საწინააღმდეგო, ბრალდების წაყენებას, ბრალდებისა, რაც იქამდე მიდის, რომ საქმის პირდაპირ განსაცვიფრებლად გაუცნობლობის გამო ამხ. ტროცკი აცხადებს: «ემისიის ოდენობის დაუდგენლად — წერს ის — და უწყებებს შორის ფულადი სახსრების გაუნაწილებლად ამჟამად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე სამეურნეო გეგმა. ამავე დროს, **რამდენადაც შემიძლია განვსაჯო,** სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამ ძირითად საკითხებთან **არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო».**

ხაზგასმული სიტყვები მაიძულებს მხოლოდ დავაყენო საკითხი: რატომ უნდა «განსაჯო» საქმის გაუცნობლად? საქმის გაცნობა ადვილია ც. კ-ის ყოველი წევრისათვის და შრომისა და

თავდაცვის საბჭოს ყოველი წევრისათვის. საქმის გაცნობა — ეს იქნებოდა იმის გაგება, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არის ფინანსურ-ეკონომიური სექცია, რომელიც სწორედ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს. ამ მუშაობას ნაკლოვანებანი, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ეს ნაკლოვანებანი უნდა ვეძიოთ არა აკადემიზმში, არამედ სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით.

5/V. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად ნაწილობრივ
დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროექტი სრ. რუს. ცაკ-ის დადგენილებისა გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო

იოფეს მოხსენების გამო შედგენილ იქნეს სრ. რუს. ცაკ-ის რეზოლუციის პროექტი დაახლოებით ამგვარად:

1. სრ. რუს. ცაკ-ის დელეგაციამ სწორად შეასრულა თავისი ამოცანები, იცავდა რა რსფს რესპუბლიკის სრულ სუვერენულობას, — ებრძოდა რა დამონებისა და კერძო საკუთრების აღდგენის ცდას, — დადო რა ხელშეკრულება გერმანიასთან.

2. საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

— პოლიტიკურად: მშვიდობის უქონლობა და ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხე |ირლანდია; ინდოეთი; ჩინეთი და სხვ.; ურთიერთობის გამწვავება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, — იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის და სხვ. და ასე შემდეგ. ((უფრო დაწვრილებით))|

3. — ეკონომიურად: «გამარჯვებულმა», საქვეყნოდ ძლიერმა და ომით (= ძარცვით) გამდიდრებულმა ქვეყნებმა, ომის დამთავრების 3½ წლის შემდეგ, წინანდელი კაპიტალისტური ურთიერთობის აღდგენაც კი ვერ შესძლეს |ვალუტის ქაოსი; ვერსალის ხელშეკრულების შეუსრულებლობა და შესრულების შეუძლებლობა; შეერთებული შტატებისთვის ვალების გადაუხდელობა და სხვ. და ასე შემდეგ. — **(უფრო დაწვრილებით)**|.

4. ამიტომ კანის რეზოლუციების § 1, აღიარებს რა საკუთრების ორი სისტემის (კაპიტალისტურის, ანუ კერძო საკუთრების, და კომუნისტურის, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ რსფს რესპუბლიკაშია მიღებული) თანასწორ-

უფლებიანობას, ამრიგად იძულებულია აღიაროს, თუმცა არაპირდაპირ, საკუთრების პირველი სისტემის კრახი, გაკოტრება, — მეორესთან, როგორც თანასწორის თანასწორთან, მისი შეთანხმების გარდუვალობა.

5. კანის პირობების სხვა §§, ისე როგორც სახელმწიფოთა მემორანდუმებიც და სხვ. გენუაში, ეწინააღმდეგება ამას და სწორედ ამის გამო უსიცოცხლო ხდება.

6. საკუთრების ორი სისტემის ნამდვილი თანასწორუფლებიანობა თუნდაც როგორც დროებითი მდგომარეობა, ვიდრე მთელ მსოფლიოს არ უარუყვია კერძო საკუთრება და მის მიერ წარმოშობილი ეკონომიური ქაოსი, ომები და საკუთრების უმაღლეს სისტემაზე არ გადასულა, — მოცემულია მხოლოდ რაპალოს ხელშეკრულებაში[77]. ამიტომ სრ. რუს. ცაკ-ი

მიესალმება რაპალოს ხელშეკრულებას, როგორც ერთადერთ სწორ გამოსავალს სიძნელეებიდან, ქაოსიდან და ომების საფრთხიდან (ვიდრე რჩება საკუთრების ორი სისტემა, მათ შორის ისეთი მოძველებული სისტემა, როგორიცაა კაპიტალისტური საკუთრება);

კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან რსფს რესპუბლიკის ურთიერთობისათვის ნორმალურად ცნობს **მხოლოდ** ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს;

— ავალებს სახკომსაბჭოს და საგარეო საქმეთა სახკომს ასეთი სახის პოლიტიკა აწარმოონ;

— ავალებს სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმს დაადასტუროს ეს რსფს რესპუბლიკის ფედერაციაში შემავალ ყველა რესპუბლიკასთან შეთანხმებით;

— უბრძანებს საგარეო საქმეთა სახკომს და სახკომსაბჭოს დაუშვას აქედან გამრნაკლისი, ე. ი. რაპალოს ტიპის ხელშეკრულებებიდან გადახვევა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც სრულიად განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანს რსფს რესპუბლიკის მშრომელ მასებს და სხვ.

დაწერილია 1922 წ. 15 თუ 16 მაისს
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი დ. ი. კურსკის

1922. 17. V.

ამხ. კურსკი! ჩვენი საუბრის შესავსებად გიგზავნით სისხლის სამართლის კოდექსის დამატებითი მუხლის მონასახს [78]. ეს მონასახი შავად ნაწერია და მას, რა თქმა უნდა, ესაჭიროება ყოველნაირად გაშალაშინება და გადაკეთება. იმედი მაქვს ძირითადი აზრი ნათელია, მიუხედავად შავად ნაწერის ყველა ნაკლისა: აშკარად წამოვაყენოთ პრინციპული და პოლიტიკურად მართალი (და არა მარტო იურიდიულად ვიწრო) დებულება, სადაც დასაბუთებული იქნება ტერორის ა რ ს ი და გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა, მისი აუცილებლობა, მისი ფარგლები.

სასამართლომ ტერორი კი არ უნდა უარყოს; ამის დაპირება თავის მოტყუება ან ტყუილი იქნებოდა, არამედ უნდა დააასაბუთოს და დააკანონოს იგი პრინციპულად, ნათლად, გაუყალბებლად და შეულამაზებლად. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ ფორმულირება, რადგან მხოლოდ რევოლუციური მართლშეგნება და რევოლუციური სინდისი განსაზღვრავენ საქმით მისი მეტნაკლებად ფართოდ გამოყენების პირობებს.

კომუნისტური სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

ვ ა რ ი ა ნ ტ ი 1-ლ ი:

პროპაგანდა ან აგიტაცია ან ორგანიზაციაში მონაწილეობა ან ხელის შეწყობა ორგანიზაციებისთვის, რაც (პროპაგანდა და აგიტაცია) მოქმედებს იმ მხრივ, რომ დახმარებას უწევს საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც არ ცნობს

კაპიტალიზმის ნაცვლად დამყარებული საკუთრების კომუნისტური სისტემის თანასწორუფლებიანობას და მიისწრაფვის ძალით დაამხოს იგი, ინტერვენციით იქნება ეს, ბლოკადით, შპიონაჟით, პრესის დაფინანსებით თუ სხვა ამგვარი საშუალებებით,

ისჯება უმაღლესი სასჯელით, ამასთან, დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებათა შემთხვევაში, იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით ან საზღვარგარეთ გადასახლებით.

ვ ა რ ი ა ნ ტ ი მ ე-2:

ა) პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც ობიექტურად ხელს უწყობს საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც და სხვ. ბოლომდე.

ბ) იგივე სასჯელი დაედება იმათ, ვისაც ბრალდება იმ ორგანიზაციების წევრობა ან იმ ორგანიზაციათა თუ პირთა ხელის შეწყობა, რომლებიც ზემოაღნიშნული ხასიათის საქმიანობას ეწევიან (რომელთა საქმიანობას ზემოაღნიშნული ხასიათი აქვს).

ვარიანტი მე-2 **ბ:** პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც ობიექტურად ხელს უწყობს ან რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც და სხვ. ბოლომდე.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილები ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების შესახებ

1

ამხანაგ სტალინს თხოვნით — გაუგზავნოს პოლიტბიუროს ყველა წევრს ერთიმეორისთვის გადასაცემად

ამხანაგო სტალინ,

გიგზავნით ორ მოხსენებას: პირველი ეკუთვნის პროფესორ ოსადჩის, ელექტრობის სპეციალისტს, რადიოტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირის შესახებ; მეორე — ბონჩ-ბრუევიჩს (ეს არ არის ნათესავი ცნობილი ძმების ბონჩ-ბრუევიჩებისა, რომელთაგან ერთი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი იყო, ხოლო მეორე მეფის გამოჩენილი გენერალი). ეს ბონჩ-ბრუევიჩი, რომლის მოხსენებას გიგზავნით, რადიოტექნიკის უდიდესი მუშაკი და გამომგონებელია, ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწეა.

ამ მოხსენებებიდან ჩანს, რომ ჩვენს ტექნიკაში სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს ადამიანის ცოცხალი სიტყვის გადაცემა უმავთულო რადიოკავშირით რაც შეიძლება შორ მანძილზე; სავსებით შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს ამუშავება მრავალი ასეული მიმღებისა, რომლებიც შესძლებდნენ მოსკოვიდან სიტყვების, მოხსენებებისა და ლექციების გადაცემას მოსკოვიდან რესპუბლიკის მრავალი ასეული, ხოლო განსაზღვრულ პირობებში, მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ მრავალ ასეულ ადგილას.

მე ვფიქრობ, რომ ამ გეგმის განხორციელება ჩვენთვის უსათუოდ საჭიროა როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ მასებისათვის, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, ისე ლექციების გადასაცემად. ისეთ პირობებში, როცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჩვენი პროფესორების უმრავლესობა სრულიად უვარგისნი არიან და მავნებლობაც კი მოაქვთ, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი კომუნისტი პროფესორები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში ლექციები წაიკითხონ, ამ ლექციებს კითხულობდნენ ფედერაციის ყველა კუთხის მრავალი ასეული ადგილისათვის.

ამიტომ ვფიქრობ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიშურროთ სახსრები რადიოტელეფონის კავშირის მოწყობის საქმის ბოლომდე მიყვანის და სამუშაოდ სავსებით გამოსადეგი ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატების წარმოებისათვის.

წინადადებას ვიძლევი გამოტანილ იქნეს დადგენილება — ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით ექსტრაორდინარული წესით ოქროს ფონდიდან გადაიდოს დაახლოებით 100 ათასი მანეთი ოქროთი ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის მუშაობის დასაყენებლად იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს მის მიერ დაწყებულ სამუშაოთა ბოლომდე მიყვანა. — სავსებით გამოსადეგი ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებისა და მთელ რესპუბლიკაში მრავალი ასეული რადიომიმღების დადგმა, რომელთაც შეეძლებათ ფართო მასებისათვის გაიმეორონ მოსკოვში ან სხვა ცენტრში წარმოთქმული სიტყვები, მოხსენებები და ლექციები.

დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს საგანგებო მეთვალყურეობა დააწესოს ამ ფონდის ხარჯვის მიმართ და, თუ ვინიცობაა მიზანშეწონილი აღმოჩნდება, შემოღებულ იქნეს პრემიები აღნიშნული ფონდიდან მუშაობის განსაკუთრებით სწრაფი და წარმატებით მსვლელობისათვის [79].

დავძენ, რომ დღევანდელი «იზვესტია» იტყობინება რადიოტელეგრაფიის სფეროში ინგლისური გამოგონების

შესახებ, რომელიც საიდუმლოდ გადასცემს რადიოდეპეშებს. ამ გამოგონების ყიდვას რომ მოვახერხებდეთ, რადიოტელეფონის და რადიოტელეგრაფის კავშირი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას მიიღებდა სამხედრო საქმისათვის.

1922 წ. 19. V. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1949 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

2

ამხანაგ სტალინს

ბონჩ-ბრუევიჩის დღევანდელი ბარათის გამო ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რადიოლაბორატორიის დაფინანსება ოქროს ფონდიდან სპეციალური დავალების გარეშე.

ამიტომ წინადადებას ვიძლევი დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამოარკვიოს აუცილებელი ხარჯები იმისათვის, რომ რადიოლაბორატორიამ მაქსიმალურად დააჩქაროს ხმამაღლა მოლაპარაკე ტელეფონებისა და რადიომიმღებთა გაუმჯობესების და წარმოების დამუშავება. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ საქმისთვის უნდა გადავდოთ ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით ოქროს განსაზღვრული თანხა.

1922 წ. 19. V. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

«ორმაგი» დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ [80]

ამხანაგ სტალინს პოლიტბიუროსათვის

პროკურატურის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის კომისიაში, რომელიც დანიშნულია სრ. რუს. ცაკ-ის სესიის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. თუ ეს უთანხმოება არ იწვევს საკითხის პოლიტბიუროში ავტომატურად გადატანას, მე, ჩემი მხრივ, ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ წინადადება შემომაქვს გადატანილ იქნეს იგი გადასაწყვეტად პოლიტბიუროში.

უთანხმოების არსი შემდეგში მდგომარეობს: სრ. რუს. ცაკ-ის მიერ არჩეული კომისიის უმრავლესობა პროკურატურის საკითხში წინააღმდეგია იმისა, რომ საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ მხოლოდ ცენტრის მიერ და ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ცენტრს. უმრავლესობა მოითხოვს ეგრეთწოდებულ «ორმაგ» დაქვემდებარებას, რაც საერთოდ დაწესებულია ყველა ადგილობრივი მუშაკისათვის, ე. ი. მათ დაქვემდებარებას, ერთი მხრივ, ცენტრისადმი სათანადო სახკომის სახით, მეორე მხრივ — ადგილობრივი საგუბერნიო აღმასკომისადმი.

სრ. რუს. ცაკ-ის კომისიის იმავე უმრავლესობამ უარყო საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივი წარმომადგენლების უფლება — კანონიერების თვალსაზრისით გააპროტესტონ ადგილობრივი საგუბერნიო აღმასკომებისა და

საერთოდ ადგილობრივ ხელისუფალთა ყოველგვარი გადაწყვეტილებები.

ჩემთვის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოსაზრებით შეიძლება დაიცვას კაცმა სრ. რუს. ცაკ-ის კომისიის უმრავლესობის ესოდენ აშკარად უმართებულო გადაწყვეტილება. მე გაგონილი მაქვს მხოლოდ ის მოსაზრებები, რომ ამ შემთხვევაში «ორმაგი» დაქვემდებარების დაცვა კანონიერი ბრძოლაა ბიუროკრატიული ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ადგილების აუცილებელი დამოუკიდებლობისათვის და საგუბერნიო აღმასკომების მუშაკებისადმი ცენტრის ქედმაღლური დამოკიდებულების წინააღმდეგო. არის თუ არა ქედმაღლობა იმ შეხედულებაში, რომ კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი? იმ შეხედულების ძირითადი შეცდომა, რომელმაც გაიმარჯვა სრ. რუს. ცაკ-ის კომისიის უმრავლესობაში, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი «ორმაგი» დაქვემდებარების პრინციპს უმართებულოდ იყენებენ. «ორმაგი» დაქვემდებარება აუცილებელია იქ, სადაც საჭიროა იცოდე გათვალისწინება განსხვავების ნამდვილად არსებული აუცილებლობისა. მიწათმოქმედება კალუგის გუბერნიაში სხვაა, ვიდრე ყაზანის გუბერნიაში. იგივე ითქმის მთელ მრეწველობაზე. იგივე ითქმის მთელი ადმინისტრირებისა თუ მართვა-გამგეობის მიმართ. ყველა ამ საკითხში ადგილობრივ განსხვავებათა გაუთვალისწინებლობა იქნებოდა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმში გადავარდნა და სხვ., იქნებოდა ხელის შეშლა ადგილობრივი მუშაკებისათვის ადგილობრივ განსხვავებათა იმ გათვალისწინებაში, რაც გონიერი მუშაობის საფუძველია. კანონიერება კი უნდა იყოს ერთი, და მთელი ჩვენი ცხოვრების, მთელი ჩვენი უკულტურობის ძირითადი უბედურებაა წაყრუება ძველისძველი რუსული შეხედულებისა და იმ ნახევრადველურთა ჩვეულებისა, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ კალუგის კანონიერება ყაზანის კანონიერებისაგან განსხვავებით. უნდა გვახსოვდეს,

რომ ყოველგვარი ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან განსხვავებით საპროკურორო ზედამხედველობას არავითარი ადმინისტრაციული ძალაუფლება არა აქვს და არც ერთ ადმინისტრაციულ საკითხში არავითარი გადამწყვეტი ხმით არ სარგებლობს. პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას. მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა. პროკურორის ერთადერთი უფლება და მოვალეობაა სასამართლოს გადასცეს საქმე გადასაწყვეტად. მერე როგორია ეს სასამართლოები? სასამართლოები ჩვენში ადგილობრივია. მოსამართლეებს ირჩევენ ადგილობრივი საბჭოები. ამიტომ ის ხელისუფლება, რომელსაც პროკურორი გადასაწყვეტად გადასცემს კანონის დარღვევის მის მიერ აღძრულ საქმეს, ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელიც ვალდებულია, ერთი მხრივ, აბსოლუტურად დაიცვას ერთიანი, მთელი ფედერაციისთვის დაწესებული კანონები, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია სასჯელის განსაზღვრის დროს გაითვალისწინოს ყველა ადგილობრივი გარემოება, ამასთან მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ თუმცა კანონი უსათუოდ დარღვეული იყო ამა და ამ შემთხვევაში, მაგრამ ადგილობრივ სასამართლოში გამორკვეული ესა და ეს გარემოებანი, რაც კარგად იციან ადგილობრივმა ადამიანებმა, აიძულებენ სასამართლოს საჭიროდ ცნოს სასჯელის შემსუბუქება ამა და ამ პირების მიმართ, ანდა ესა და ეს პირნი გამართლებულადაც კი ცნოს სასამართლოს წესით. თუ ჩვენ მთელ ფედერაციაში ერთიანი კანონიერების დასაწესებლად ამ უაღრესად ელემენტარულ პირობას არ გავატარებთ რადაც უნდა დაჯდეს, მაშინ კულტურულობის რაიმე დაცვასა და რაიმე შექმნაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

სწორედ ასევე პრინციპულად უმართებულოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს პროკურორს უფლება არ უნდა ჰქონდეს

გააპროტესტოს საგუბერნიო აღმასკომებისა და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი; კანონიერების თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილებები მუშგლეხნმა უნდა განიხილოსო.

მუშგლეხნი საქმეს განიხილავს არა მარტო კანონიერების თვალსაზრისით, არამედ მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც. პროკურორი პასუხს აგებს იმის გამო, რომ არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ უხვევდეს კანონს, და პროკურორი ვალდებულია მხოლოდ ამ თვალსაზრისით გააპროტესტოს ყოველგვარი უკანონო გადაწყვეტილება, ამასთან პროკურორს უფლება არა აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილებანი, არამედ ვალდებულია მხოლოდ მიიღოს ზომები, რომ კანონიერების აბსოლუტურად ერთნაირი გაგება დაწესდეს მთელ რესპუბლიკაში. ამიტომ სრ. რუს. ცაკ-ის კომისიის უმრავლესობის გადაწყვეტილება არათუ უდიდესი პრინციპული უმართებულობაა, არათუ სრულიად უმართებულოდ იყენებს «ორმაგი» დაქვემდებარების პრინციპს, არამედ ძირს უთხრის აგრეთვე კანონიერებისა და მინიმალური კულტურულობის დამყარების ყოველგვარ მუშაობას.

შემდეგ, ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გავითვალისწინოთ ადგილობრივ გავლენათა მნიშვნელობა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ უკანონობის მორევში და რომ ადგილობრივი გავლენა თუ უდიდესი არა, ერთ-ერთი უდიდესი ხელისშემშლელია კანონიერებისა და კულტურულობის დამყარების საქმეში. არა მგონია არ გაეგონოს ვინმეს, რომ პარტიის წმენდამ ადგილობრივი შემმოწმებელი კომისიების უმეტესობაში პარტიის წმენდის ჩატარების დროს გამოააშკარავა პირადი და ადგილობრივი ხასიათის ანგარიშის გასწორების მრავალი ფაქტი. ეს უდავო და საკმაოდ საგულისხმო ფაქტია. არა მგონია ვინმემ გაბედოს იმის უარყოფა, რომ ჩვენი პარტიისათვის უფრო ადვილია იპოვოს ათეული საიმედო კომუნისტი, საკმაოდ განათლებული იურიდიულად, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ წმინდა

ადგილობრივ გავლენებს, ვიდრე ასეთების ასობით პოვნა. სწორედ ასე დგება საკითხი, როცა ლაპარაკობენ პროკურატურის «ორმაგ» დაქვემდებარებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია იგი მხოლოდ ცენტრს ექვემდებარებოდეს. ცენტრში კი ჩვენ უნდა ვიპოვოთ დაახლოებით ათი კაცი, რომლებიც განახორციელებენ ცენტრალურ საპროკურორო ძალაუფლებას გენერალური პროკურორის, უმაღლესი ტრიბუნალისა და იუსტიციის სახკომის კოლეგიის სახით (მე არ ვეხები საკითხს, სარგებლობს თუ არა გენერალური პროკურორი ერთპიროვნული ძალაუფლებით თუ ამ ძალაუფლებას უზიარებს უმაღლეს ტრიბუნალსა და იუსტიციის სახკომის კოლეგიას, რადგან ეს საკითხი სავსებით მეორეხარისხოვანია და ასე თუ ისე შეიძლება მისი გადაწყვეტა იმისდა მიხედვით, პარტია ერთ პირს ანდობს ასეთ უდიდეს ძალაუფლებას თუ გაანაწილებს ამ ძალაუფლებას აღნიშნულ სამ ინსტანციას შორის). ეს ათი კაცი, რომლებიც ცენტრში იმყოფებიან, სამი პარტიული დაწესებულების უახლოესი მეთვალყურეობით მუშაობს და სრულიად უშუალო კონტაქტშია ამ სამ პარტიულ დაწესებულებასთან, რომლებიც წარმოადგენენ მაქსიმალურ გარანტიას ადგილობრივი და პირადი გავლენების წინააღმდეგ, სახელდობრ: ც. კ-ის ორგბიურო, ც. კ-ის პოლიტბიურო და ცენტრ. საკონტროლო კომისია, ამასთან ეს უკანასკნელი დაწესებულება, ე. ი. ცენტრ. საკონტროლო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე, ისეა აგებული, რომ ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებს შეუძლებელია რაიმე შეთავსება ჰქონდეთ რომელიმე სახკომში, რომელიმე ცალკეულ უწყებაში თუ საბჭოთა ხელისუფლების რომელიმე ორგანოში. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჩვენ გვაქვს მაქსიმალური, რაც კი დღემდე ყოფილა მოგონილი, გარანტია იმისა, რომ პარტია შექმნის პატარა ცენტრალურ კოლეგიას, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს საქმით ადგილობრივ გავლენებს, ადგილობრივ და ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და დააწესოს კანონიერების ნამდვილად ერთგვაროვანი გამოყენება მთელ

რესპუბლიკასა და მთელ ფედერაციაში. ამიტომ ამ ცენტრალური იურიდიული კოლეგიის შესაძლებელ შეცდომებს აქვე, ადგილობრივ, დაუყოვნებლივ ასწორებენ ის პარტიული ორგანოები, რომლებიც საერთოდ აწესებენ მთელი ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაობის ყველა ძირითად ცნებას და ყველა ძირითად წესს საერთოდ რესპუბლიკაში.

თუ ამას გადაუხვიე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩუმად გაატარო ის შეხედულება, რომელსაც არავინ იცავს პირდაპირ და აშკარად, სახელდობრ: თითქოს ჩვენში უკვე ისე დიდად იყოს განვითარებული კულტურულობა და მასთან განუყრელად დაკავშირებული კანონიერება, რომ შეგვიძლია ვიშოვოთ ასობით იმ მხრივ სრულიად უმწიკვლო პროკურორი, რომ ისინი არასოდეს არავითარ ადგილობრივ გავლენას არ დაემორჩილებიან და თვითონვე დააწესებენ ერთგვაროვან კანონიერებას მთელ რესპუბლიკაში.

ყველა ამის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ პროკურატურის მიმართ «ორმაგი» დაქვემდებარების დაცვა და მისთვის უფლების წართმევა — გააპროტესტოს ადგილობრივ ხელისუფალთა ყოველგვარი გადაწყვეტილება, არათუ პრინციპულად უმართებულოა, არათუ ხელს უშლის კანონიერების ურყევად დაწესების ჩვენს ძირითად ამოცანას, არამედ აგრეთვე გამოხატავს ადგილობრივი ბიუროკრატიისა და ადგილობრივი გავლენების, ე. ი. იმ უცუდესი სახის შუაკედლის ინტერესებსა და ცრურწმენას, რომელიც აღმართულია მშრომელებსა და ადგილობრივ და ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას, აგრეთვე რკ პარტიის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ამიტომ წინადადებას ვაძლევ ც. კ-ს უარყოს ამ შემთხვევაში «ორმაგი» დაქვემდებარება, დააწესოს პროკურორის ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარება მხოლოდ ცენტრისადმი და პროკურორის ხელისუფლებას შეუნარჩუნოს უფლება და ვალდებულება — გააპროტესტოს ადგილობრივ ხელისუფალთა ყველა და ყოველგვარი გადაწყვეტილება

ამ გადაწყვეტილებათა თუ დადგენილებათა კანონიერების თვალსაზრისით, ისე რომ უფლება არ მიეცეს მას შეაჩეროს ისინი, არამედ მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ იმის უფლება, რომ სასამართლოს გადასცეს საქმე გადასაწყვეტად.

1922 წ. 20. V. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 23 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 91

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

ერთი კოვზი კუპრი ერთ კასრ თაფლში

ბ-მა ო. ა. ერმანსკიმ დაწერა ძალიან სასარგებლო და ძალიან კარგი წიგნი: «შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა». (სახელგამი. 1922.) ეს არის მისი 1918 წელს გამოქვეყნებული წიგნის «ტეილორის სისტემის» გადამუშავებული გამოცემა. წიგნი მნიშვნელოვნად გაფართოებულია; შევსებულია მეტად მნიშვნელოვანი დამატებებით: I. «მწარმოებლური შრომა და კულტურა»; II. «დაღლილობის პრობლემა». ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განყოფილება, რომელსაც წინათ ეწოდებოდა «შრომა და დასვენება» და რომელსაც სულ 16 გვერდი ეჭირა, ახლა გაფართოებულია 70 გვერდამდე (თავი III. «ადამიანის მუშაობა»).

წიგნი ფრიად დაწვრილებით გადმოგვცემს ტეილორის სისტემას, ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც მის დადებითს, ისე უარყოფითს მხარეებს, აგრეთვე ძირითად მეცნიერულ მონაცემებს ადამიანის მანქანის ფიზიოლოგიური შემოსავლისა და გასავლის შესახებ. საერთოდ წიგნი, ჩემი აზრით, სავსებით გამოსადეგია საიმისოდ, რომ ცნობილ იქნეს სავალდებულო სახელმძღვანელოდ ყველა პროფსკოლისა და საერთოდ მე-2 საფეხურის ყველა სკოლისათვის. მუშაობის შესწავლა, ეს ახლა საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი, ნამდვილად საერთო-სახალხო ამოცანაა. მივაღწიოთ წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნას; არავითარ შემთხვევაში არ დავჯერდეთ ამას, რადაც უნდა დაჯდეს წავიდეთ უფრო შორს და ევროპისა და ამერიკის მეცნიერე-

ბიდან გადმოვიღოთ რაც კი რამ ნამდვილად საგულისხმოა; — აი ჩვენი უპირველესი და უმთავრესი ამოცანა.

ბ-ნ ერმანსკის წიგნს ერთი სერიოზული ნაკლი აქვს, რაც, მგონი, ხელს უშლის იმას, რომ სახელმძღვანელოდ ვცნოთ იგი. ეს არის ავტორის მრავალსიტყვაობა. ის ერთსა და იმავეს მრავალჯერ იმეორებს, როცა ეს სრულიად არ არის საჭირო. შესაძლოა, ამ შემთხვევაში რამდენადმე ავტორის გამამართლებელი იყოს ის გარემოება, რომ, როცა ის თავის ამ წიგნს წერდა, მხედველობაში არ ჰქონია სახელმძღვანელოდ გადაექცია იგი. თუმცა წინასიტყვაობის VIII გვერდზე ავტორი ამბობს, რომ თავისი წიგნის ღირსებად მას მიაჩნია მეცნიერული საკითხების პოპულარულად გადმოცემა. ის მართალია. მაგრამ პოპულარული გადმოცემაც მოითხოვს განმეორებათა თავიდან აცილებას. «ხალხს» დრო არა აქვს დიდი წიგნები იკითხოს. ბ-ნ ერმანსკის წიგნი მეტისმეტად დიდია, და ეს სრულიად ზედმეტია. ეს ხელს უშლის მის პოპულარობას... *.

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
სექტემბრის დამდეგს
დაწერილია 1922 წ. აგვისტოს დამლევს —

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

წერილი პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის V ყრილობისადმი [81]

1922. 17. IX.

ძვირფასო ამხანაგებო!

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად მიხდება გამოსვლა — თუნდაც წერილობითი — ყრილობის წინაშე. ამიტომ ნება მომეცით დავჯერდე მხურვალე მოსალმებას და რამდენიმე მოკლე სიტყვას ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა, იმიტომ რომ არა გვაქვს სახსრები ძირითადი კაპიტალის, მანქანების, იარაღების, შენობებისა და სხვათა აღსადგენად, ხოლო სოციალიზმის ძირითადი ბაზა ხომ სწორედ ეს მრეწველობა, ეგრეთწოდებული «მძიმე ინდუსტრიაა». კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ჩვეულებრივ ამ ძირითად კაპიტალს სესხთა საშუალებით აღადგენენ ხოლმე. ჩვენთვის სესხის მოცემა არ უნდათ, სანამ არ აღვადგენთ კაპიტალისტებისა და მემამულეების საკუთრებას, ჩვენ კი ამას ვერ ვიზამთ და არც ვიზამთ. გვრჩება არაჩვეულებრივად გრძელი და ხანგრძლივი გზა: ცოტ-ცოტაობით დავაგროვოთ მონაგარი, გავადიდოთ გადასახადები, რომ თანდათანობით აღვადგინოთ დანგრეული რკინიგზები, მანქანები, შენობები და სხვა. მთელ მსოფლიოში ჩვენ ჯერჯერობით მარტო ვრჩებით, როგორც სახელმწიფო, სადაც მშრომელი გლეხები მუშების ხელმძღვანელობით აშენებენ სოციალიზმს, გადაჭრით უარს ამბობენ კაპიტალისტების მხრივ ხელმძღვანელობაზე, რომლებიც, ეფარებიან რა ყოველ-

გვარ მაღალფარდოვან სიტყვებს დემოკრატიის, თავისუფლებისა და სხვათა შესახებ, ნამდვილად განამტკიცებენ კაპიტალისტებისა და მემამულეების კერძო საკუთრებას, ქმნიან მცირეოდენ მდიდართა ბატონობას, რომლებიც იყოფენ მთელ დედამიწას და ეომებიან ერთმანეთს მის ხელახლა გასანაწილებლად, ასეულ მილიონობით უფრო სუსტ და ჩამორჩენილ ხალხთა დასამონებლად.

ვიდრე მარტონი ვრჩებით, ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა არაჩვეულებრივი სიმძიმით გვაწვება მხრებზე. აუცილებელია უდიდესად დავძაბოთ ყველა გლეხისა და ყველა მუშის ძალ-ღონე, აუცილებელია გავაუმჯობესოთ და გავაიაფოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ცუდია, რომ გავაუმჯობესოთ მშრომელთა მდგომარეობა და თუნდაც თანდათან აღვადგინოთ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეული მეურნეობა.

დაე ყოველმა შეგნებულმა გლეხმა და მუშამ, რომელიც შეიძლება სასოწარკვეთილებას მიეცეს ცხოვრების მძიმე პირობების ან ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის მეტისმეტი ნელი ტემპის ზეგავლენით, მოიგონოს ახლო წარსული, როცა კაპიტალისტები და მემამულეები ბატონობდნენ. ასეთი მოგონება მხნეობას შემატებს მას მუშაობაში. მთელი ძალ-ღონით, ყოველმხრივ გავაძლიერეროთ და გავაუმჯობესოთ მუშაობა — ამაშია მუშურ-გლეხური ხელისუფლების ერთადერთი ხსნა.

ამხანაგური სალამით

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«ტრუდ», 1922 წ. 18 სექტემბერი
და «პრავდა» № 210,
1922 წ. 19 სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ"

ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე საღი კბილებით დავგლეჯ მას.

საჭიროა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ დ ნ ე ნ

რუსი

უკრაინელი

ქართველი **და სხვ.**

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ!

სწორია!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 6 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1937 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ქალაქ ბაქოს მუშებს

მოსკოვი. 1922. 6/X.

ძვირფასო ამხანაგებო! ეს-ეს არის მოვისმინე ამხ. სერეგროვსკის მოკლე ანგარიში აზნავთის მდგომარეობის შესახებ. სიძნელეები ამ მდგომარეობაში ცოტა როდია. გიძღვნით რა მხურვალე სალამს, გთხოვთ უახლოეს ხანებში ყოველნაირად გაიტანოთ თავი. პირველ ხანებშია ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა. შემდეგ უფრო შეგვიმსუბუქდება საქმე. უნდა მივაღწიოთ გამარჯვებას და კიდევაც მივაღწევთ რადაც უნდა დაჯდეს.

კვლავ გიძღვნით საუკეთესო კომუნისტურ სალამს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«ბაკინსკი რაბოჩი» № 251,
1922 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობას [83]

ძვირფასო მეგობრებო! ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მოგესალმოთ. ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ თქვენი V ყრილობის მუშაობას. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობა შესძლებს ისეთი წარმატებით განვითარდეს, რომ მსოფლიო რევოლუციის შემდგომი მომენტის მომწიფების დროისთვის სავსებით აღმოჩნდეს ამოცანის სიმაღლეზე.

მხურვალე კომუნისტური სალამით

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 11/X.

«პრავდა» № 230,
1922 წ. 12 ოქტომბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ

ცკ-ის მდივანს ამხანაგ სტალინს

1922. 13/X.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება (ოქმი № 7, პ. 3) ახდენს თითქოს უმნიშვნელო, ნაწილობრივ რეფორმას: «გატარდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მთელი რიგი ცალკეული დადგენილებები — დროებით ნებადართულ იქნეს საქონლის შემოტანა და გატანა ცალკეული კატეგორიების მიხედვით ან ცალკეული საზღვრებისადმი შეფარდებით» [84].

მაგრამ სინამდვილეში ეს არის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ჩაშლა. ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ ამის მიღწევას ლამობდა ამხ. სოკოლნიკოვი და კიდევაც მიაღწია მას. ის მუდამ ცდილობდა გაეტანა ეს, ის პარადოქსის მოყვარულია და მუდამ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მონოპოლია თვით ჩვენთვისვე არ არის ხელსაყრელიო. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამას ხმა მისცეს, ისე რომ დაწვრილებით არც ერთ სამეურნეო მუშაკს არ შეკითხვიან, ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც პრინციპულად მხარს უჭერენ მონოპოლიას.

რას ნიშნავს მიღებული დადგენილება?

შემოტანისა და გატანისათვის იხსნება შემყიდველი კანტორები. კანტორის პატრონს უფლება აქვს იყიდოს და გაყიდოს **მხოლოდ** საგანგებოდ აღნიშნული საქონელი.

სადღაა კონტროლი? სადღაა კონტროლის საშუალებები?

რუსეთში სელი ღირს 4 მან. და 50 კაპიკი, ინგლისში 14 მანეთი. ჩვენ ყველას წაგვიკითხავს «კაპიტალში», შინაგანად

როგორ გარდაიქმნება და როგორ თამამდება ხოლმე კაპიტალი პროცენტისა და მოგების სწრაფი ზრდის დროს. ყველას ახსოვს, რომ კაპიტალს შეუძლია უცბად ისეთი რისკი გასწიოს, რომ თავიც წააგოს, და მარქსი ამას აღიარებდა ომამდე დიდი ხნით ადრე და ვიდრე ომი «ნახტომებს» გააკეთებდა.

ახლა რაღა გამოდის? რა ძალა შეაკავებს გლეხებსა და ვაჭრებს არ დადონ უაღრესად ხელსაყრელი გარიგება? მოვფინოთ კიდევ რუსეთი ზედამხედველთა ქსელით? ხელი ჩავჭიდოთ შემყიდველი კანტორის მეზობელს და ვუმტკიცოთ მას, რომ მისი სელი წინასწარ გაყიდულია ფარულად გასატანად?

ამხ. სოკოლნიკოვის პარადოქსები ყოველთვის გონებამახვილია, მაგრამ პარადოქსები და მძიმე ჰეშმარიტება ერთმანეთისაგან ხომ უნდა გავარჩიოთ.

სოფლურ რუსეთში ასეთ საკითხზე რაიმე «კანონიერების» დაცვა აბსოლუტურად შეუძლებელია. საერთოდ კონტრაბანდასთან რაიმე შედარება («სულ ერთია, მონოპოლიის წინააღმდეგ კონტრაბანდაც ხომ გაძლიერებით მიმდინარეობსო») აბსოლუტურად არ არის სწორი: ერთი საქმეა სპეციალისტი-კონტრაბანდისტი, საზღვარზე, და სხვა საქმეა **მთელი** გლეხობა, რომელიც **დაჟინებით** დაიცავს თავს და შეებრძოლება ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს წაართვას მისი «საკუთარი» სარფა.

ვერც კი მოვასწარით გამოგვეცადა მონოპოლიის რეჟიმი, რომელიც ეს არის ახლა იწყებს მილიონების მოცემას (მომავალში კი ათეულ მილიონებს და მეტსაც მოგვცემს), რომ უკვე სრული ქაოსი შემოგვაქვს; ძირს ვუთხრით სწორედ იმ საყრდენებს, რომელთა გამაგრება ძლივძლივობით დავიწყეთ.

ჩვენ დავიწყეთ სისტემის შექმნა: როგორც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის, ისე კოოპერაციის შენება დაწყებულია. ორიოდე წლის შემდეგ ზოგი რამ შედეგი გვექნება. საგარეო ვაჭრობის მოგება ასეული პროცენტებით განიზომება, ჩვენ ვ ი წ ყ ე ბ თ მილიონების და ათეული მილიონების მიღებას.

ჩვენ **დ ა ვ ი წ ყ ე თ** შერეულ საზოგადოებათა შექმნა; დავიწყეთ სწავლა, როგორ მივიღოთ მათი (საზღაპრო) მოგების **ნ ა ხ ე ვ ა რ ი.** ჩვენ უკვე ვხედავთ უაღრესად საიმედო სახელმწიფო შემოსავლის ერთგვარ პერსპექტივას. ჩვენ ხელს ვიღებთ ამაზე ბაქის იმედით, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს რამდენადმე ამის მსგავსი მოგება, ჩვენ ხელიდან ვუშვებთ ყველაფერს და გამოვკიდებივართ მოჩვენებას!

საკითხი ნაჩქარევად შეიტანეს პლენუმზე. სერიოზული დისკუსიის მსგავსი რამ არაფერი ყოფილა. არავითარი მიზეზები არ არის ავჩქარდეთ. სამეურნეო მუშაკები მხოლოდ ახლა ერკვევიან საქმეში. სავაჭრო პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების სახელდახელოდ გადაწყვეტა, მასალების შეუკრებავად, **სასარგებლოდ** და **საწინააღმდეგოდ** დოკუმენტებით და ციფრებით აუწონ-დაუწონავად, სად არის აქ საქმისადმი სწორი მიდგომის რაიმე ნატამალი? დაღლილმა ხალხმა რამდენიმე წუთში ხმა მისცა, მორჩა და გათავდა. უფრო ნაკლებ რთული პოლიტიკური საკითხები მრავალჯერ აგვიწონ-დაგვიწონია და ხშირად რამდენიმე თვე დაგვჭირვებია მათ გადასაწყვეტად.

დიდად ვწუხვარ, რომ ავადმყოფობამ ხელი შემიშალა დავსწრებოდი ამ დღეს სხდომას და რომ ახლა იძულებული ვარ ვიშუამდგომლო ნორმიდან ერთგვარი გამონაკლისი დაუშვან.

მაგრამ ვფიქრობ, რომ საჭიროა ავწონ-დავწონოთ საკითხი და შევისწავლოთ, რომ აჩქარება მავნებელია.

მე წინადადებას ვიძლევი: გადავდოთ ამ საკითხის გადაჭრა ორი თვით, ე. ი. შემდგომ პლენუმამდე; მანამდე კი შევკრიბოთ **შეჯამებული** და **შემოწმებული** **დოკუმენტები** ჩვენი სავაჭრო პოლიტიკის გამოცდილების თაობაზე.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. ამხანაგ სტალინთან გუშინდელ საუბარში — (მე არ დავსწრებივარ პლენუმს და ვცდილობდი ცნობები მიმეღო პლენუმზე მყოფი ამხანაგებისაგან) — სხვათა შორის,

საკარაუდოდ შევეხეთ დროებით პიტერისა და ნოვოროსიისკის ნავსადგურების გახსნის საკითხს. ჩემი აზრით, ორივე მაგალითი გვიჩვენებს ასეთი ექსპერიმენტების უკიდურეს საშიშროებას თუნდაც საქონლის სულ მცირედი სიისთვის. პიტერის ნავსადგურის გახსნა შემაძრწუნებელი ოდენობით გააძლიერებს სელის კონტრაბანდას ფინეთის საზღვარზე. პროფესიონალ კონტრაბანდისტებთან ბრძოლის ნაცვლად თავს დაგვატყდება ბრძოლა მესელეობის რაიონის მ თ ე ლ გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ. ამ ბრძოლაში თითქმის უსათუოდ დაგვამარცხებენ და ამასთან გამოუსწორებლადაც. ნოვოროსიისკის ნავსადგურის გახსნა სწრაფად გამოაცარიელებს ნაჭარბ პურს: განა ეს სიფრთხილეა, როცა ომის შემთხვევისათვის მცირე მარაგი გვაქვს? როცა მის გასადიდებლად მთელი რიგი სისტემატური ზომების მიღებას ჯერ კიდევ შედეგები არ მოუცია?

საჭიროა კიდევ მოვიფიქროთ შემდეგი. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ გამოიწვია ოქროს ფონდის მოზღვავება რუსეთში. ეს-ეს არის შესაძლებელი ხდება გაანგარიშება: ამა და ამ ვაჭრის პირველად გამგზავრებამ რუსეთში ნახევარი წლით მისცა მას, ვთქვათ, ასეული პროცენტი მოგება; ასეთი უფლების ყიდვის ფასს ის გვიმატებს 25%-დან 50%-მდე საგარეო ვაჭრობის სახკომის სასარგებლოდ. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა თან ვისწავლოთ და თან ამ მოგების ოდენობაც გ ა ვ ა დ ი დ ო თ. ყოველივე ეს ერთბაშად დაიღუპება, მთელი მუშაობა შეწყდება, რადგან თუ ნაწილ-ნაწილ, დროებით გაიხსნება სხვადასხვა ნავსადგური, ა ს ე თ ი «მ ო ნ ო პ ო ლ ი ი ს თ ვ ი ს» ა რ ც ე რ თ ი ვ ა ჭ ა რ ი ე რ თ კ ა პ ი კ ს ა ც ა რ გ ა ი ღ ე ბ ს. ეს ცხადია. საჭიროა რამდენიმეჯერ მოიფიქრო და იანგარიშო, ვიდრე ასეთ რისკს გასწევდე. ამასთანავე პოლიტიკური რისკიცაა, როცა ვუშვებთ არა იმ უცხოელ ვაჭრებს სახელდებით, რომლებსაც ჩვენ ვამოწმებთ, არამედ საერთოდ მთელ წვრილ ბურჟუაზიას.

საგარეო ვაჭრობის სახკომთან ერთად ჩვენ ვვარაუდობთ ოქროს მოზღვავებას. სხვა ვარაუდს მე ვერ ვხედავ, არაყის მონოპოლიას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ აქ ფრიად სერიოზული

მორალური მოსაზრებებიც არის, და სოკოლნიკოვსაც აქვს მთელი რიგი საქმიანი საწინააღმდეგო მოსაზრებები.

ლ ე ნ ი ნ ი

P. P. S.* ახლა მატყობინებენ (ორის ნახევარია), რომ მთელი რიგი სამეურნეო მუშაკები შუამდგომლობენ გადადებას. ეს შუამდგომლობა ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ძლიერ ვუჭერ მხარს. სულ რაღაც 2 თვის საქმეა.

ლ ე ნ ი ნ ი

ბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

---

* P. P. S. — Post postscriptum — მეორე მინაწერი. რ ე დ.

ფინანსთა მუშაკების სრულიად რუსეთის ყრილობას [95]

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ფინანსების განმტკიცების ამოცანა ერთ-ერთი უაღრესად ძნელი ამოცანაა, მაგრამ ეს ამოცანა ამჟამად პირველ რიგში დგას და მის გადაუჭრელად მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვერ გადავდგამთ წინ ვერც საერთაშორისო კაპიტალისაგან საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში და ვერც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეში. ჩვენმა ფინანსურმა აპარატმა მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა დაძაბოს, რომ უმოკლეს ვადაში შესძლოს გადასახადების აკრეფის გზით უზრუნველყოს მუშურ-გლეხური სახელმწიფო სახსრებით, რაც აუცილებელია ყველა სახელმწიფო ორგანოს წესიერი მუშაობისათვის.

მივესალმები რა ფინანსთა მუშაკების სრულიად რუსეთის ყრილობას, გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ფინანსური მშენებლობის საქმეში ფინანსთა მუშაკები გაამართლებენ იმ მოლოდინს, რომელსაც მათზე ამყარებენ საბჭოთა რუსეთის მშრომელი მასები.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922 წ. 20 ოქტომბერი

«პრავდა» № 240,
1922 წ. 24 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებას (ამერიკაში) [86]

1922 წ. 20. X.

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს-ეს არის შევამოწმე პერმის საგუბერნიო აღმასკომის სპეციალური დაკითხვით ის მეტისმეტად კეთილსასურველი ცნობები, რომლებიც გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთებში, პერმის გუბერნიის საბჭოთა მეურნეობის «ტოიკინოს» სატრაქტორო რაზმთან გაროლდ ვერის მეთაურობით თქვენი საზოგადოების წევრთა მუშაობის შესახებ.

მიუხედავად უზარმაზარი სიძნელეებისა, განსაკუთრებით ცენტრისაგან აღნიშნული სამუშაო ადგილის უდიდესი სიშორისა და აგრეთვე კოლჩაკის მიერ სამოქალაქო ომის დროს ამ ადგილის გაჩანაგების გამო, თქვენ სრულიად განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეთ.

ვიჩქარი გამოვთქვა ჩემი ღრმა მადლობა თქვენდამი და გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს თქვენი საზოგადოების ორგანოში, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების საერთო პრესაშიც.

ვშუამდგომლობ სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმში ეს საბჭოთა მეურნეობა ცნონ სანიმუშო მეურნეობად და აღმოუჩინონ მას სპეციალური და ექსტრაორდინარული დახმარება როგორც საამშენებლო სამუშაოთა მხრივ, ისე ბენზინით, ლითონითა და სხვა მასალებით მომარაგებით, რაც საჭიროა სარემონტო სახელოსნოს მოსაწყობად.

ჩვენი რესპუბლიკის სახელით კვლავ გამოვთქვამ ღრმა მადლობას და გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რომ არც ერთი სახის დახმარება ჩვენთვის არ არის ისე დროული და ისე მნიშვნელოვანი, როგორც თქვენ მიერ აღმოჩენილი დახმარება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 240,
1922 წ. 24 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების საზოგადოებას [87]

1922 წ. 20. X.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნდა მეტისმეტად კეთილსასურველი ცნობები ტამბოვის გუბერნიის კირსანოვის მაზრის და ოდესის გუბერნიის სადგ. მიტინოს ახლოს საბჭოთა მეურნეობებში თქვენი საზოგადოების წევრთა მუშაობის შესახებ, აგრეთვე დონეცის აუზის მეშახტეთა ჯგუფის მუშაობის შესახებ.

მიუხედავად უზარმაზარი სიძნელეებისა და, განსაკუთრებით, სამოქალაქო ომის დროს გაჩანაგებისა, თქვენ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეთ.

ვიჩქარი გამოვთქვა ჩემი ღრმა მადლობა თქვენდამი და გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს თქვენი საზოგადოების ორგანოში, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების საერთო პრესაშიც.

ვშუამდგომლობ სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმში ყველაზე უფრო გამოჩენილი მეურნეობები ცნონ სანიმუშო მეურნეობებად და აღმოუჩინონ მათ სპეციალური და ექსტრაორდინარული დახმარება, რაც საჭიროა მათი მუშაობის კეთილსასურველად განვითარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სახელით კვლავ გამოვთქვამ ღრმა მადლობას და გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რომ თქვენი

დახმარება ტრაქტორით მიწის დამუშავების საქმეში განსაკუთრებით დროული და მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის ის გარემოება, რომ შესაძლებლობა მეძლევა მოგილოცოთ თქვენ მიერ 200 სასოფლო-სამეურნეო კომუნის მოწყობის განზრახვასთან დაკავშირებით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 240,
1922 წ. 24 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სალამი განთავისუფლებულ ზღვისპირეთს [88]

ჩიტა. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლისთავზე წითელმა არმიამ კიდევ ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა რსფს რესპუბლიკის და მისი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიის უცხოელ-ოკუპანტთა ჯარებისაგან სრული გაწმენდისაკენ. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური არმიის მიერ ვლადივოსტოკის დაკავება რუსეთის მშრომელ მასებთან აერთიანებს იმ რუს მოქალაქეებს, რომლებმაც გადაიტანეს იაპონიის იმპერიალიზმის მძიმე უღელი. მივულოცავთ რა ამ ახალ გამარჯვებას რუსეთის ყველა მშრომელს და გმირ წითელ არმიას, ვთხოვ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობას განთავისუფლებული ოლქებისა და ქ. ვლადივოსტოკის ყველა მუშასა და გლეხს გადასცეს რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სალამი.

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

მოსკოვი, 1922 წ. 26. X.

«პრავდა» № 243,
1922 წ. 27 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ინტერვიუ «ობსერვერის» და «მანჩესტერ გარდიანის»[89] კორესპონდენტ ფარბმანს

1. კითხვა. ანტირუსული პრესა ერიოს მიღებას მოსკოვში და საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკებას გვიხატავს, როგორც «საბჭოთა» რუსეთის საგარეო პოლიტიკის გადაჭრით შემობრუნებას.

სწორია თუ არა ეს? სწორია თუ არა, რომ რუსეთი ინგლისის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში უყურებს, როგორც გამოწვევას, და მზად არის დადოს ინგლისის წინააღმდეგ მიმართული შეთანხმება საფრანგეთთან?

პასუხი. მე აბსოლუტურად არასწორად მიმაჩნია ერიოს მიღება მოსკოვში და საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკება წარმოვიდგინოთ, როგორც საერთოდ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის რაიმე, თუნდაც ოდნავი, შემობრუნება და კერძოდ მისი შემობრუნება ინგლისის წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, ჩვენ მეტისმეტად დიდად ვაფასებთ ერიოს მიღებასაც მოსკოვში და იმ ნაბიჯის გადადგმასაც საფრანგეთთან დაახლოებისაკენ თუ მასთან მოლაპარაკებისაკენ, რაც ახლა შესაძლებელი, მოსალოდნელი და, მინდა ვიფიქრო, აუცილებელი გახდა. ჩვენთვის მეტისმეტად სასურველია ყოველგვარი დაახლოება საფრანგეთთან, განსაკუთრებით იმის გამო, რომ რუსეთის სავაჭრო ინტერესები დაუინებით მოითხოვს დაახლოებას ამ უძლიერეს კონტინენტურ სახელმწიფოსთან. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს დაახლოება ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს პოლიტიკაში აუცილებლად მოხდეს რაიმე ცვლილება ინგლისის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკუთარი შესაძლებელია სრულიად მეგობრული ურთი-

ერთობის დამყარება ორივე სახელმწიფოსთან, და ჩვენი მიზანიც ეს არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ სავაჭრო კავშირურთიერთობის განვითარება გარდუვალად მეტისმეტად ძლიერ იმოქმედებს ამ მიზნის მიღწევის მიმართულებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის სწორად გაგებული ინტერესები ასევე იმოქმედებს ამ მიმართულებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთი ინტერესები, რამდენადაც ეს ინტერესები ხვდება რუსეთის ინტერესებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიცავს ინგლისსა და საფრანგეთს შორის აუცილებელი მტრობის ელემენტებს. პირიქით, ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ რუსეთისადმი ამ სახელმწიფოების მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა შეიცავს იმის ერთ-ერთ გარანტიას (თითქმის მზადა ვარ ვთქვა: უძლიერეს გარანტიას), რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობა და მეგობრობა უფრო დიდხანს გაგრძელდება და რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ახლანდელ პირობებში ყოველგვარი შესაძლებელი და მოსალოდნელი უთანხმოება უფრო სწრაფად და უფრო უტყუარად გადაწყდება საკეთილოდ.

2. კითხვა. ფაქტიური დამთავრება საბერძნეთ-თურქეთის ომისა, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისი, ხომ არ წარმოადგენს საუკეთესო მომენტს ინგლის-რუსეთის შეთანხმების დასადებად?

პასუხი. რა თქმა უნდა, დამთავრება საბერძნეთ-თურქეთის ომისა, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისი, ისეთი მომენტია, რომელიც ერთგვარად ადიდებს ინგლის-რუსეთის შეთანხმების დადების შანსებს. ამ შეთანხმების მიღწევას ჩვენ ვცდილობდით ამ ომის დამთავრებამდეც და უდიდესი ენერგიით შევეცდებით ახლაც. მართალია, ზოგიერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ამ ომის დამთავრებასთან, ჩვენს უთანხმოებას იწვევს ინგლისთან. მაგრამ, ჯერ-ერთი, მშვიდობა, რომელმაც შეცვალა საბერძნეთ-თურქეთის ომი, ჩვენი აზრით; საერთოდ საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი მიღწევაა, რომ ჩვენ იმედი გვაქვს ამ პოლიტიკის საერთო პირობების გაუმჯობესებისა საბერძნეთ-თურქეთის ზავის

წყალობით. მეორეც, უთანხმოება, რომელიც ჩვენსა და ინგლისს შორის არსებობს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მიგვაჩნია დაუძლეველად. პირიქით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოესი მომავალი დაგვანახვებს, ახლო აღმოსავლეთის საკითხის სხვადასხვა სტადიასთან დაკავშირებით, რამდენად გამართლდება ჩვენი იმედი, რომ სწორედ საბერძნეთ-თურქეთის ომის დამთავრება იქნება აგრეთვე იმ კონფლიქტებისა და უთანხმოების დამთავრება, რომლებმაც ეს დამთავრებული ომი საერთაშორისო პოლიტიკის წინა რიგში დააყენა. ჩვენ არაფერს ვიშურებთ, რომ ამ ომის დამთავრებამ ბოლო მოუღოს აგრეთვე შეხლა-შემოხლას და უთანხმოებას ინგლისთან, და იმედი გვაქვს, რომ ინგლისის მთავრობის ინტერესები ამ შემთხვევაშიც გაიმარჯვებს ანტირუსული პრესის ყოველგვარ ჩაგონებაზე და ხშირად არაგულწრფელ სიტყვებზე.

3. კითხვა. მხოლოდ პრესტიჟის საქმედ მიგაჩნიათ რუსეთის მონაწილეობა აღმოსავლეთის საკითხის განხილვაში, თუ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რეალური ინტერესებიდან გამოდიხართ? ეთანხმება თუ არა რუსეთის მთავრობა საფრანგეთის წინადადებას — რუსეთი დაწვეულ იქნეს კონფერენციის მხოლოდ იმ ნაწილში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გადაჭრის სრუტეების საკითხს?

პასუხი. რუსეთის მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის საკითხის[90] გადაჭრაში არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია პრესტიჟის საქმედ. იმედი მაქვს, რომ მთელი ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკით ხუთი წლის განმავლობაში სავსებით დავამტკიცეთ, რომ პრესტიჟის საკითხს სრულიად გულგრილად ვუყურებთ და მხოლოდ პრესტიჟის გამო ვერასოდეს ვერ ჩავიდენთ იმას, რომ რაიმე მოთხოვნა წამოვაყენოთ ან გავაუარესოთ მშვიდობის ნამდვილი შანსები სახელმწიფოებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ სახელმწიფოში ხალხის მასები ისე გულგრილად არ ეკიდებიან და ისე გულმხიარული დაცინვით არ ხვდებიან პრესტიჟის, როგორც პრესტიჟის, საკითხს, როგორც ჩვენში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ეპოქის დიპლომატია სულ უფრო სწრაფად

მიდის იქითკენ, რომ სწორედ ამგვარად მოეპყრას პრესტიჟის საკითხებს.

ჩვენი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა რუსეთისა და მასთან ფედერაციული კავშირით შეერთებული მთელი რიგი სახელმწიფოების უაღრესად რეალური და უშუალო სასიცოცხლო ინტერესების საქმეა ჩვენთვის. ყველა ამ სახელმწიფომ რომ ვერ შეისრულოს თავისი მოთხოვნა და ვერ მიიღოს მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაში, ეს მტრობის, კონფლიქტებისა და უკმაყოფილების უამრავ ელემენტს წარმოშობდა; ეს ისეთი სიძნელეების მომასწავებელი იქნებოდა წმინდა სავაჭრო საქმეებში, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ევროპასა და, მეორე მხრივ, ყველა სხვა სახელმწიფოს შორის, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის ან სრულიად არ იქნებოდა ნიადაგი, ანდა იგი არაჩვეულებრივ გაძნელდებოდა.

ამიტომ რუსეთის მთავრობა უკმაყოფილოა პარიზის წინადადებით — რუსეთი დაშვებულ იქნეს კონფერენციის მხოლოდ იმ ნაწილში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც სრუტეების საკითხს გადაჭრის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეზღუდვა აუცილებლად გამოიწვევს მთელ რიგ ფრიად პრაქტიკულ და უშუალო, კერძოდ ეკონომიურ, უხერხულობას, რომლისაგან, ალბათ, სულ ახლო მომავალში თვით საფრანგეთი და ინგლისი დაზარალდებიან.

4. კ ი თ ხ ვ ა. როგორია სრუტეების საკითხის გადაჭრის რუსეთის პროგრამა?

პ ა ს უ ხ ი. ჩვენი პროგრამა სრუტეების თაობაზე (ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, დაახლოებითი) შეიცავს, სხვათა შორის:

ჯერ-ერთი, თურქეთის ნაციონალურ მისწრაფებათა დაკმაყოფილებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა მარტო ნაციონალური დამოუკიდებლობის ინტერესები მოითხოვს ამას. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი გამოცდილება ნაციონალური საკითხის გადაჭრისა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ისეთ მრავალ ეროვნებას შეიცავს, რამდენიც არა მგონია სხვა

ქვეყნებში მოიპოვებოდეს, სავსებით გვარწმუნებს იმაში, რომ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი სწორი დამოკიდებულება ერთა ინტერესებისადმი იქნება მათი მაქსიმალურად დაკმაყოფილება და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გამორიცხავენ კონფლიქტების ყოველგვარ შესაძლებლობას ამ ნიადაგზე. ჩვენმა გამოცდილებამ შექმნა ჩვენში ურყევი რწმენა, რომ მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთუნდობლობას, სპობს ყოველგვარი ინტრიგების შიშს, ქმნის იმ ნდობას, განსაკუთრებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებისა და გლეხების მხრივ, ეროვნულად აბსოლუტურად შეუძლებელია როგორც მშვიდობიანი ურთიერთობა ხალხებს შორის, ისე რამდენადმე წარმატებითი განვითარება ყოველივე იმისა, რაც კი საგულისხმო რამ არის თანამედროვე ცივილიზაციაში.

მეორე, ჩვენი პროგრამა შეიცავს სრუტეების დაკეტვას ყველა სამხედრო გემისთვის როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს. ეს შეადგენს ყველა სახელმწიფოს უშუალო უახლოეს სავაჭრო ინტერესს, არა მარტო იმ სახელმწიფოებისას, რომელთა ტერიტორიაც უშუალოდ ეკვრის სრუტეებს, არამედ ყველა დანარჩენისაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პაციფისტური ფრაზები, ლაპარაკი და მტკიცება, ზოგჯერ კი ფიციც როგორც ომის წინააღმდეგ, ისე მშვიდობის წინააღმდეგ არაჩვეულებრივ ბევრი გაისმის მთელ დედამიწაზე, ხოლო მზადყოფნას ნამდვილი ნაბიჯის გადასადგმელად, სულ უბრალო ნაბიჯის გადასადგმელად, მშვიდობის უზრუნველსაყოფად უმეტეს სახელმწიფოებში და, განსაკუთრებით, თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში არაჩვეულებრივ მცირეს ვხვდებით. ჩვენ კი გვსურს როგორც ამ, ისე ამგვარ საკითხებში დავინახოთ რაც შეიძლება ნაკლები ზოგადი განცხადებები, საზეიმო დაპირებები, მაღალფარდოვანი ფორმულები და რაც შეიძლება მეტი უაღრესად უბრალო, უაღრესად ნათელი გადაწყვეტილებები

და ზომები, რომლებიც მართლაც გამოიწვევდნენ მშვიდობას, ომის საფრთხის სრულ მოსპობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მესამე, ჩვენი პროგრამა სრუტეების თაობაზე მოითხოვს სავაჭრო ნაოსნობის სრულ თავისუფლებას. და მას შემდეგ, რაც წინა ფრაზაში ვთქვი, მე ვფიქრობ, ამ მუხლის განმარტება და კონკრეტიზაცია სრულიად ზედმეტია.

5. კითხვა. თანახმაა თუ არა რუსეთის მთავრობა ერთა ლიგა უწევდეს კონტროლს სრუტეებს, თუ ლიგა თავის შემადგენლობაში შეიყვანდა აგრეთვე რუსეთს, თურქეთს, გერმანიასა და შეერთებულ შტატებს? თუ რუსეთი მოითხოვდა განსაკუთრებული კომისიის შექმნას სრუტეების მიმართ კონტროლის გასაწევად?

პასუხი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთა ლიგის მოწინააღმდეგენი ვართ, და მე ვფიქრობ, ჩვენს უარყოფითს დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი იწვევს არა მარტო ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება მისი თავისებურებებით, არამედ მშვიდობის ინტერესებიც, განხილულნი საერთოდ მთელი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტული პირობების თვალსაზრისით, სავსებით ამართლებენ ამ უარყოფითს დამოკიდებულებას. ერთა ლიგა იმდენად შეიცავს მსოფლიო ომიდან თავისი წარმოშობის ყველა ნიშანს, იმდენად განუყრელად დაკავშირებულია ვერსალის ხელშეკრულებასთან, იმდენად სულ ერთიანად მოკლებულია ერთა თანასწორუფლებიანობის რეალურად დამყარების, მათ შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების რეალური შანსების მსგავს რაიმეს, რომ, მე მგონია, ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი გასაგებია და შემდგომ კომენტარებს არ საჭიროებს.

6. კითხვა. ნიშნავს თუ არა ურკარტთან შეთანხმების რატიფიკაციის უარყოფა «მემარცხენე კომუნისტების» გამარჯვებას? როგორია ის ობიექტური პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ მოლაპარაკების განახლებას და ურკარტთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციას?

პასუხი. ურკარტთან[91] ხელშეკრულების დადების საკითხი ჩვენმა მთავრობამ წამოაყენა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც

ავად ვიყავი და არ შემეძლო მონაწილეობა მიმეღო მთავრობის საქმეებში. ამიტომ ამ საქმის ყველა დეტალის შესახებ ამჟამად ჯერ კიდევ არა ვარ მთლიანად ინფორმირებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკსებით გარკვეულად შემიძლია ვთქვა, რომ მემარცხენე კომუნისტების გამარჯვებაზე ამჟამად ლაპარაკი არ არის და არც შეიძლება იყოს. მე ეს ვიცი მთავრობის საქმეების მსვლელობაზე ჩემი უშუალო დაკვირვებით.

საქმე იმაშია, რომ ინგლისის უსამართლო ნაბიჯი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან არ მოისურვა ჩვენი დაშვება კონფერენციაზე, იმდენად მოულოდნელი იყო, ამ ნაბიჯმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია რუსეთში და იმდენად შეამჭიდროვა არა მარტო მემარჯვენე კომუნისტები მემარცხენეებთან, არამედ უპარტიო რუსი მოსახლეობის გიგანტური მასაც, მუშები და გლეხები, რომ საქმე არ მისულა და არც შეიძლებოდა მისულიყო რაიმე უთანხმოებამდე მემარცხენე და მემარჯვენე კომუნისტებს შორის.

ჩვენ მიერ ურკარტთან ხელშეკრულების დადების უარყოფის მოტივირებამ, შეიძლება ითქვას, უშუალოდ გამოხატა არა მარტო საერთო-პარტიული, არამედ სწორედ საერთო-სახალხო განწყობილება, ე. ი. მთელი მუშური და მთელი გლეხური მასის განწყობილება.

მოლაპარაკების განახლება და შემდგომი რატიფიკაცია ხელშეკრულებისა ურკარტთან უწინარეს ყოვლისა შეპირობებულია იმით, რომ ინგლისმა უკუაგდოს აღმაშფოთებელი უსამართლობა რუსეთის მიმართ, რაც დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის საკითხების გამო მოწვეულ კონფერენციაში მისი მონაწილეობის უფლებათა ყოველგვარ დამცირებასთან. რაც შეეხება კონკრეტულ პირობებს, რომლებიც ურკარტმა შემოგვთავაზა, ჯერ დრო არ მქონდა საკმაოდ დაწვრილებით გავცნობოდი ამ საქმეს და შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება დაჩქარებით მისცეს ხაშუალება ამ შეთანხმების მომხრეთ და მოწინააღმდეგეთ გამოთქვან თავიანთი აზრი ჩვენს პრესაში, რათა რაც შეიძლება უფრო ობიექტური და მოტივირებული დისკუსიიდან

მიიღოს მასალა იმისათვის, რომ უაღრესად სერიოზულად შეამოწმოს «სასარგებლოდ» და «საწინააღმდეგოდ» ვამოთქმული ყველა მოსაზრება და ეს საკითხი გადაწყვიტოს რუსეთის ინტერესებისადმი რაც შეიძლება მეტი შესაბამისობის თვალსაზრისით.

7. კ ი თ ხ ვ ა. რამდენად სამართლიანია ბრალდებები ინგლისის ანტირუსული პრესისა, რომელიც ამტკიცებს, რომ მოსკოვში მრეწველთა ამას წინათ მომხდარი დაპატიმრება ნიშნავს ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასასრულს და ნაციონალიზაციისა და კონფისკაციის პოლიტიკისადმი დაბრუნებას?

პ ა ს უ ხ ი. თქვენს კითხვაზე იმის შესახებ, რომ ინგლისის ანტირუსული პრესა ბრალს გვდებს «მოსკოვში მრეწველთა» დაპატიმრებასთან დაკავშირებით, უნდა მოგახსენოთ, რომ მე სწორედ დღეს წავიკითხე ჩვენს გაზეთში («იზვესტია») შენიშვნა სათაურით «შავ ბირჟელთა დაპატიმრება». სწორედ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული ეკონომიური სამმართველოს უფროსი ამბ. ზ. ბ. კაცნელსონი მოგვითხრობს ამ შენიშვნაში, რომ მრეწველთა არავითარ დაპატიმრებაზე აბსოლუტურად არ ყოფილა ლაპარაკი, რომ «საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ როგორც რსფს რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ეს დაპატიმრებანი თავისუფალი ვაჭრობის დევნას წარმოადგენსო, ნამდვილად **აბსოლუტურად უაზრო** გამონაგონია გარკვეული კონტრრევოლუციური განზრახვით — ჩაშალონ მოგვარების პროცესში მყოფი ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან».

ნამდვილად კი დაპატიმრებული არიან მხოლოდ და მხოლოდ ეგრეთწოდებული შავი ბირჟის საქმოსნები, და ჩვენს ხელისუფალთ ხელთა აქვთ მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ ამ ბირჟელ-მევალუტეთა კავშირს მოსკოვის უცხოურ მისიათა ზოგიერთ თანამშრომელთან, ამასთან ეს მონაცემები ცხადყოფენ არა მარტო პლატინის, ოქროს (ზოდების) გაყიდვას, არამედ **ამ ფასეულობათა საზღვარგარეთ კონტრაბანდული გადაგზავნის ორგანიზაციასაც.**

აქედან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, თუ როგორ აბსოლუტურად მოკლებულია შინაარსს ხმები იმის შესახებ, თითქოს ჩვენ ბოლოს ვუღებთ «ახალ ეკონომიურ პოლიტიკას», და როგორ უაღრესად ყალბია ბრალდებანი ინგლისის ანტირუსული პრესისა, რომელიც ცდილობს საქმის სრულიად გაუგონარი დამახინჯებით და მოტყუებით ყალბად გააშუქოს ჩვენი პოლიტიკა. ნამდვილად კი მთავრობის რომელიმე წრეებში აბსოლუტურად არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა იმაზე, რომ ბოლო მოუღონ «ახალ ეკონომიურ პოლიტიკას» და დაუბრუნდნენ ძველ პოლიტიკას. მთავრობის მთელი მუშაობა, სხვათა შორის, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამჟამად მიმდინარე სესიაზე, მიმართულია იმისაკენ, რომ ის, რასაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეწოდება, განამტკიცოს კანონმდებლობით რაც შეიძლება უფრო მეტად, რათა მოსპობილ იქნეს მისგან გადახრის ყოველგვარი შესაძლებლობა.

1922 წ. 27. X.

«პრავდა» № 254, 1922 წ.
10 ნოემბერი

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით,
რომელიც გასწორებულია
ვ. ი. ლენინის მიერ

სიტყვა IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV სესიაზე 1922 წ. 31 ოქტომბერს [92]

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან.) ამხანაგებო! ნება მომეცით დავკმაყოფილდე მხოლოდ მისალმების რამდენიმე სიტყვით. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რა თქმა უნდა, ჩვენი მისალმება მივუძღვნათ წითელ არმიას, რომელმაც ამ დღეებში კვლავ დაგვანახვა თავისი სიმამაცე, აიღო რა ვლადივოსტოკი და გაწმინდა რა საბჭოთა რუსეთთან დაკავშირებული უკანასკნელი რესპუბლიკის მთელი ტერიტორია. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ აქ ყველანი მივესალმებით წითელი არმიის ამ ახალ გმირობას და მივესალმებით აგრეთვე იმას, რომ ომის დასამთავრებლად გადადგმულია, მგონი, საკმაოდ გადამწყვეტი ნაბიჯი: ზღვაშია გადაყრილი თეთრგვარდიელთა უკანასკნელი ძალები. (ტაში.) მე ვფიქრობ, ჩვენმა წითელმა არმიამ დიდი ხნით გადაგვარჩინა რუსეთზე ან ჩვენთან, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მჭიდროდ თუ მეტნაკლებად შორეულად დაკავშირებულ რომელიმე რესპუბლიკაზე თეთრგვარდიელთა ყოველგვარი შესაძლებელი შემოტევის განმეორებისაგან.

მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რათა ერთბაშად არ ავიღოთ მეტისმეტი თავისქების კილო, რომ აქ როლი ითამაშა არა მარტო წითელი არმიის გმირობამ და მისმა ძალამ, არამედ საერთაშორისო ვითარებამაც და ჩვენმა დიპლომატიამაც.

იყო დრო, როცა იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები ხელს აწერდნენ შეთანხმებებს კოლჩაკისათვის მხარისდაჭერის შესახებ. ეს დრო ისე შორს წავიდა, რომ ბევრმა ჩვენგანმა, მგონი, სრულიადაც დაივიწყა იგი. მაგრამ ასეთი დრო იყო. და თუ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მსგავსი შეთანხმება უკვე შეუძლებელია, რომ იაპონელებმა, მიუხედავად მთელი მათი სამხედრო ძლიერებისა, გამოაცხადეს მივდივართო და კიდევაც შეასრულეს ეს დაპირება, აქ, რა თქმა უნდა, ჩვენი დიპლომატიის დამსახურებაც არის. ჩვენს დიპლომატებს უახლოეს მომავალში მოუხდებათ კიდევ ერთხელ გამოიჩინონ თავი უდიდესი მნიშვნელობის საკითხში, საკითხში, რომლითაც ჩვენ არსებითად ვართ დაინტერესებული, — ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე, რომელსაც ინგლისი იწვევს 13 ნოემბერს ლოზანაში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დიპლომატები იქაც არ შეირცხვენენ თავს, და რომ იქაც შეეძლებთ დავიცვათ რსფს რესპუბლიკასთან ერთად ყველა ფედერალური რესპუბლიკის ინტერესები; ყოველ შემთხვევაში, შეეძლებთ იმის მიღწევას, რომ ნათლად დავანახოთ მსესებს, თუ სად არის დაბრკოლება, რაში მდგომარეობს იგი, რამდენად ეწინააღმდეგება იგი ჩვენს უაღრესად კანონიერ სურვილებსა და მისწრაფებებს, და არა მარტო ჩვენსას, არამედ სრუტეების საკითხით დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოს მისწრაფებებსაც.

მეც დავჯერდები ამ მოკლე შენიშვნებს საგარეო პოლიტიკის შესახებ და ახლა შევეხები თქვენს მუშაობას.

ვფიქრობ, რომ აქ ცოტა წარმატებებს როდი მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება, ერთი შეხედვით ვინმეს ეს მუშაობა არცთუ ისე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა ან ეჩვენება. ავიღოთ პირველი კოდექსი, რომელიც თქვენ უკვე გაატარეთ, — შრომის კოდექსი. ეს საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარია, რომ იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყანა ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ჩვენ გამოვდივართ კოდექსით, რომელიც მტკიცედ ამყარებს მუშათა კანონმდებლობის საფუძვლებს, როგორც, მაგალითად, 8-საათიან

სამუშაო დღეს. მართალია, შესაძლოა, ამ კოდექსის მიმართ შეიძლებოდა გამოგვეთქვა უფრო მეტი ესა თუ ის სურვილი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი სურვილი არ იქნებოდა სწორი.

ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ყველა იმ სახელმწიფოსთან შედარებით, სადაც ახლა გაფთრებული კაპიტალისტური კონკურენცია მიმდინარეობს, სადაც მილიონობით და ათეული მილიონობით უმუშევარია, სადაც კაპიტალისტები თავიანთი ძალებით აწყობენ მძლავრ კაპიტალისტურ კავშირებს, აწყობენ ლაშქრობას მუშათა კლასის წინააღმდეგ, — მათთან შედარებით ჩვენ ყველაზე ნაკლებ კულტურულნი ვართ, საწარმოო ძალები ჩვენში ყველაზე ნაკლებ არის განვითარებული, ჩვენ ყველაზე ცუდად ვიცით მუშაობა. შესაძლოა, ეს ძალიან არასასიამოვნოა, რომ ჩვენ გვიხდება ამის აღიარება. მაგრამ ვფიქრობ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ასეთ რამეებს არ ვფარავთ კეთილსახოვანი ფრაზებით და გაცვეთილი წამოძახილებით, არამედ პირდაპირ ვაღიარებთ ამას, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ყოველივე ეს შეგნებული გვაქვს და არ გვეშინია ტრიბუნიდან განვაცხადოთ, რომ ამის გამოსწორებას მეტ ძალებს ვანდომებთ, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფო, ჩვენ კიდეც მივაღწევთ იმას, რომ დავეწიოთ სხვა სახელმწიფოებს ისეთი სისწრაფით, როგორზედაც ისინი არაკი ოცნებობდნენ.

რა თქმა უნდა, ეს არ არის ფანტასტიკური სისწრაფე, რა თქმა უნდა, ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე წლის უაღრესად შეუპოვარი მუშაობა, რომ ამას მივაღწიოთ. რასაკვირველია, დღეს-ხვალ ვერაფერს გააწყობ. ჩვენ უკვე ხუთი წელი განვლეთ და დავინახეთ, თუ რა სისწრაფით იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობა. ჩვენ ვისწავლეთ იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ვადა. და საჭიროა, რომ ამას შემდგომაც ვსწავლობდეთ. რაიმე ცვლილებათა ფანტასტიკურ სისწრაფეს ჩვენში არავინ დაიჯერებს, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი სისწრაფე, სისწრაფე, შედარებით ისტორიული განვითარების ყოველგვარ პერიოდთან, აღებულთან ისე, როგორც იგი

იყო, — ასეთი სისწრაფე, თუ მოძრაობას ხელმძღვანელობს ნამდვილად რევოლუციური პარტია, ასეთი სისწრაფე ჩვენ გვწამს, ასეთ სისწრაფეს ჩვენ უცილობლად მივაღწევთ.

შემდეგ მე შევეხები მიწის კოდექსს, რომელიც თქვენ უკვე გაატარეთ. ამ მხრივ, თქვენ იცით, ჩვენი კანონები პირველი დღიდანვე ცნობილი 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ ერთბაშად, ყველა და ყოველგვარი კანონისაგან განსხვავებით, გამოვიდნენ დებულებით მიწის შესახებ, დებულებით, რომელიც ტექნიკურად, ხოლო შესაძლოა იურიდიულადაც ძალზე არასრულყოფილი იყო, მაგრამ რომელმაც მოგვცა ყოველივე არსებითი, რაც გლეხისათვის აბსოლუტურად აუცილებელია, რაც უზრუნველყოფდა მის კავშირს მუშებთან. და ამ დროიდან დაწყებული, თუმცა მეტად ძნელი იყო ჩვენთვის გაგვეტარებინა მიმდინარე ხუთი წელი განუწყვეტელ ომებში, ჩვენ ხელი არ აგვიღია ჩვენს ზრუნვაზე, რომ გლეხი რაც შეიძლება მეტად დაგვეკმაყოფილებინა მიწით. და თუ ის კანონი, რომელიც ახლა თქვენ მიიღეთ, ასევე მოითხოვს შესწორებებს ამა თუ იმ მხრივ, ჩვენ სრულიად დაუბრკოლებლად მივიღებთ ამ შემდგომ შესწორებებს, შემდგომ გაუმჯობესებებს ისევე, როგორც თქვენ აი ამ წუთს მიიღეთ შესწორებანი და გაუმჯობესებანი ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ. მიწის საკითხი, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის — გლეხთა მოსახლეობის — ყოფა-ცხოვრების მოწყობის საკითხი ჩვენთვის ძირითადი საკითხია. ამ მხრივ ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ რუსმა გლეხმა იცის, რომ ყოველგვარი წინადადება, რაც ძველი კანონების ცვლილებას შეეხება, ჩვენში ჰპოვებს არა დაბრკოლებას, არამედ მხარისდაჭერას და უაღრესად კეთილსასურველ დამოკიდებულებას ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში.

შემდეგ თქვენ განსახილველად გქონდათ კიდევ ისეთი საკითხები, როგორიცაა სამოქალაქო კოდექსი, საერთო სასამართლო წყობილება. იმ პოლიტიკის დროს, რომელსაც ჩვენ მტკიცედ ვატარებთ და რომლის შესახებ არ შეიძლება ვყოყ-

მანობდეთ, ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფართო მასისათვის. ჩვენ აქაც ვცდილობდით დაგვეცვა ზღვარი იმას შორის, რაც წარმოადგენს ყოველი მოქალაქის კანონიერ დაკმაყოფილებას, დაკავშირებულს თანამედროვე ეკონომიურ ბრუნვასთან, და იმას შორის, რაც წარმოადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენებას, რაც ყველა სახელმწიფოში ლეგალურია და რისი ლეგალიზაციაც ჩვენ არა გვსურს. რამდენად წარმატებითია ის შესწორებანი, რომლებიც თქვენ სპეციალურად ამ მიზნით შეიტანეთ და რომლებიც თქვენ მოიწონეთ, — ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შევიბოჭავთ ხელ-ფეხს ამ მხრივ. თუ მიმდინარე ცხოვრება გამოამჟღავნებს ბოროტმოქმედებას, რაც წინათ ვერ შევამჩნიეთ, მაშინვე შევიტანთ საჭირო შესწორებებს. ამ მხრივ თქვენ ყველამ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცით, რომ კანონმდებლობის ისეთი სისწრაფე, როგორც ჩვენშია, სხვა სახელმწიფოებში, სამწუხაროდ, არ არის. გნახოთ, მათაც ხომ არ აიძულებს ახლო მომავალი იზრუნონ იმაზე, რომ ამ მხრივ ცოტათი დაეწიონ საბჭოთა რუსეთს.

შემდეგ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიდან უნდა შევჩერდეთ იმ საკითხზე, რომელიც თქვენ აქ ასევე მოამზადეთ საბოლოოდ გადასაწყვეტად. ეს არის საკითხი საბჭოების ყრილობების შესახებ ადგილებზე და საგუბერნიო აღმასკომების შესახებ. ეს არის საკითხი, რომლის გადაჭრას დღემდე ძალიან აგვიანებდნენ კანონმდებლობის ყველა წინანდელი სისტემის დროს და ყველა წინანდელი კონსტიტუციის დროს. ეს მნიშვნელოვან საკითხად არ ითვლებოდა. ფიქრობდნენ, რომ ადგილებზე ძველძველიც შეიძლება დარჩესო. ჩვენ პირუკუ ვფიქრობთ. დარწმუნებული ვართ, რომ თუ ჩვენმა რევოლუციამ ნამდვილ წარმატებებს მიაღწია, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მუდამ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით სწორედ ადგილობრივ ხელისუფლებას, თვით ადგილების გამოცდილებას. თუ რევოლუციამ 1917 წლის ოქტომბერში ერთბაშად მიაღწია ისეთ წარმატებებს, რომ 1918 წლის გაზაფხულისთვის ომი

უკვე შეწყვეტილი გვეგონა, — ნამდვილად ის მხოლოდ იწყებოდა, და იწყებოდა სამოქალაქო ომის უცუდესი ფორმით; ნამდვილად ზავი გერმანელებთან ნიშნავდა ამ გერმანელების მხრივ სამოქალაქო ომის უცუდესი ელემენტებისათვის მხარისდაჭერას; ნამდვილად გერმანელებთან მაშინდელი ზავი, რომელიც შემოდგომისთვის ჩაიშალა, ძალიან ხშირად ნიშნავდა ამ ელემენტებისათვის მხარისდაჭერას მოკავშირე სახელმწიფოების მიერაც, რომლებიც ჩვენვე გვდებდნენ ბრალს გერმანელებთან ზავის დადებაში. და თუ, ვამბობ მე, რევოლუციამ ასეთი სისწრაფით რამდენიმე თვეში, რამდენიმე კვირაშიც კი, გააკეთა თავისი საქმე, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მთლიანად ადგილობრივ ელემენტებს ვეყრდნობოდით, რომ ჩვენ მათ ვაძლევდით მოქმედების სრულ გასაქანს, რომ ჩვენ სწორედ ადგილებიდან მოველოდით იმ ენთუზიაზმს, რომელმაც შექმნა ჩვენი რევოლუციის მოქმედების უძლეველობა და სისწრაფე. ვიცი, რომ მას შემდეგ ჩვენს ადგილებს უხდებოდათ მრავალი ფრიად სხვადასხვაგვარი, ასე ვთქვათ, პერტურბაციის განცდა. ცენტრისადმი ადგილების დამოკიდებულება ჩვენთვის მცირე ამოცანას როდი შეადგენდა, და სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ამ ამოცანას ყოველთვის იდეალურად ვწყვეტდით: კულტურის იმ საერთო დონის დროს, რაც ჩვენ გვაქვს, ჩვენი მხრივ ასეთ იდეალურ გადაწყვეტაზე ოცნება ფუჭია. მაგრამ იგი რომ უფრო გულწრფელად, უფრო გულმართლად და უფრო მტკიცედ არის გადაწყვეტილი, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოში, — ეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ.

დასასრულ კიდევ შევეხები მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც განსაკუთრებით მაინტერესებს და რომელიც, ვფიქრობ, უნდა გაინტერესებდეთ თქვენც ყველას, თუმცა ფორმალურად იგი არ არის დასმული არც თქვენს დღის წესრიგში, არც საკითხთა სიაში. ეს არის ჩვენი სახელმწიფო აპარატის საკითხი, ძველი და მუდამ ახალი საკითხი.

1918 წელს, აგვისტოში, ჩავატარეთ ჩვენი აპარატის აღწერა მოსკოვში. მივიღეთ რიცხვი — 231 000 სახელმწიფო და

საბჭოთა მოსამსახურე მოსკოვში, რიცხვი, რომელიც მოიცავს ცენტრალურ მოსამსახურეებსაც და ადგილობრივ — მოსკოვის, ქალაქის მოსამსახურეებსაც. ამას წინათ, 1922 წ. ოქტომბერში, კვლავ ჩავატარეთ ეს აღწერა, დარწმუნებულებმა, რომ შევამცირეთ ჩვენი გაბერილი აპარატი და რომ იგი, უეჭველად, უკვე უფრო მცირე უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდა 243 000 კაცი. აი ყველა შემცირების შედეგები. ეს მაგალითი მოითხოვს შესწავლისა და შედარებათა კიდევ უფრო მეტ შრომას. მაშინ, 1918 წელს, როდესაც ჩვენ, ასე ვთქვათ, რეფორმით პირველ გატაცებისას, ამგვარი აღწერა ჩავატარეთ, მისი შედეგებიდან, უბრალოდ რომ ვთქვათ, თითქმის ვერავითარი სასარგებლო რამ ვერ გამოვიტანეთ. ამისათვის არ გვეცალა. სამოქალაქო ომი არც ერთ თავისუფალ წუთს არ გვიტოვებდა. ახლა იმედი გვაქვს, რომ ეს გაკეთდება. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი აპარატი, რომელსაც მრავალი ნაკლი ახლავს, რომელიც გაბერილია ერთიორად და გაცილებით უფრო მეტადაც, რომელიც ძალიან ხშირად მუშაობს არა ჩვენთვის, არამედ ჩვენს წინააღმდეგ, — ამ სიმართლის თქმისა არ უნდა გვეშინოდეს, თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების ტრიბუნიდან, — გაუმჯობესებული იქნება. მის გასაუმჯობესებლად დიდი შრომა და უნარია საჭირო. ჩვენ დაწყებული გვაქვს ძალიან სერიოზული მუშაობა იმ საკითხზე, თუ სახელდობრ რაში უნდა გამოიხატოს ეს გაუმჯობესება, მაგრამ ჯერჯერობით ეს არის მხოლოდ დასაწყისი — ცალკეული სტატიები, ცალკეული ადგილობრივი გამოკვლევანი. თუ ჩვენ ყველანი აქედან წავალთ იმ გადაწყვეტილებით, რომ გაცილებით მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ამ საკითხს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, იმ გადაწყვეტილებით, რომ ნაკლები დრო მოვანდომოთ ფაცაფუცს და აურზაურს, — ხოლო ჩვენ ძალიან ხშირად ამას უზომო დროს ვანდომებთ, — და თუ ჩვენ ნამდვილად შევისწავლით ჩვენს აპარატს და ვიმუშავებთ მასზე წლობით, ეს იქნება უდიდესი მონაპოვარი, სწორედ ეს იქნება ჩვენი წარმატების უზრუნველყოფა. ჩვენ უნდა ვიქონიოთ

გამბედაობა ვთქვათ, რომ ჩვენს აპარატს სტიქიურად ვქმნით. საუკეთესო მუშები მიდიოდნენ და ხელს ჰკიდებდნენ უძნელეს მოვალეობებს სამხედრო დარგშიც და სამოქალაქო დარგშიც, ხელს ჰკიდებდნენ ძალიან ხშირად არასწორად, მაგრამ შესწევდათ გამოსწორებისა და მუშაობის უნარი. თანაფარდობა ამ, შეიძლება, ათეულ მამაც ადამიანთა და იმ ასეულთა შორის, რომლებიც სხედან და საბოტაჟს ეწევიან ან სანახევროდ საბოტაჟს ეწევიან, თავგზა ებნევათ თავიანთი ქალაღლდების გროვაში, ეს თანაფარდობა ძალიან ხშირად ღუპავდა ჩვენს ცოცხალ საქმეს ქალაღლდების უსაზომო გროვაში. ჩვენ უაღრესად დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ ეს საკითხი, რომლის შესწავლა დღემდე ვერ შევძელით. წლებმა და წლებმა უნდა განვლოს, წლობით და წლობით უნდა ვისწავლოთ, იმიტომ რომ ჩვენი მუშების კულტურის დონე დაბალია, მუშებისათვის ძნელია ხელის მოკიდება წარმოების სრულიად ახალი საქმისათვის, — ჩვენ კი მხოლოდ მუშებს შეიძლება დავეყრდნოთ გულწრფელობისა და ენთუზიაზმის მხრივ. წლებმა და წლებმა უნდა განვლოს, რომ მივაღწიოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მის აღმავლობას — არა ცალკეულ პიროვნებათა აზრით, არამედ მთელი მისი მოცულობით — კულტურის უმაღლეს საფეხურებზე. დარწმუნებული ვარ, რომ თუ შემდგომში ჩვენს ძალ-ღონეს ასეთ მუშაობას შევწირავთ, აუცილებლად და გარდუვალად მივაღწევთ საუკეთესო შედეგებს. (ხანგრძლივი ტაში.)

«პრავდა» № 247, 1922 წ.
1 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

«პეტროგრადსკაია პრავდას» [93]

1922 წ. 1. XI.

ძვირფასო ამხანაგებო! სულით და გულით მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის იუბილეს და ვისურვებ, რომ ჩვენ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ისეთივე წარმატებით ვიბრძოდეთ მშვიდობიან ფრონტზე, როგორც დღემდე სამხედრო ფრონტზე ვიბრძოდით.

საუკეთესო სალამით და სურვილებით

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პეტროგრადსკაია პრავდა»
№ 251
1922 წ. 5 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

«პრავდას»

ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალედ მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის იუბილეს. ჩემი სურვილია: რომ მომავალ ხუთწლეულში მოვიპოვოთ, და ამასთან მშვიდობიანი გზით, იმაზე არანაკლები, ვიდრე დღემდე შეიარაღებული ხელით მოგვიპოვებია.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

1922. 2. XI.

«პრავდა» № 252,
1922 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კომუნისტ-კოოპერატორთა პირველ საერთაშორისო კონფერენციას [94]

მივესალმები კომუნისტ-კოოპერატორთა საერთაშორისო კონფერენციის სავსებით დროულად მოწვევას და ვუსურვებ მას სრულ წარმატებას მუშაობაში.

კონფერენციის წევრებთან ერთად ვითვალისწინებ დასახული ამოცანის — მსოფლიო რევოლუციის სასარგებლოდ კოოპერაციის აპარატის დაუფლების სირთულესა და სიძნელეს.

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩვენ რუსეთში ჩატარებული მუშაობის გამოცდილებით სარგებლობას მოვუტანთ აგრეთვე საერთო საქმეს.

დაწერილია 1922 წ. 2 ნოემბერს

დაიბეჭდა 1922 წ. 3 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 249

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

სტატისტიკოსთა სრულიად რუსეთის ყრილობას [95]

1922 წ. 4 ნოემბერი.

გულითად მადლობას გიძღვნით მოსალმებისათვის და გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა და წარმატებითი მუშაობის საუკეთესო სურვილები.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 251, 1922 წ.
5 ნოემბერი

ბეჭდება ვ. ი. ლენინის
მიერ ხელმოწერილი დედნის
მიხედვით

ინტერვიუ «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტ ა. რანსომს

პირველი ვარიანტი

1. კითხვა. მე უდიდეს ეკონომიურ გამოცოცხლებას ვამჩნევ, ყველა ყიდულობს და ყიდის და, აშკარაა, იბადება ახალი ვაჭართა კლასი. გეკითხებით: როგორ არ წარმოადგენს ნეპმანი პოლიტიკურ ძალას და არ ამჟღავნებს ასეთად გადაქცევის მისწრაფების ნიშნებს?

პასუხი. თქვენმა პირველმა კითხვამ მომაგონა ერთი დიდი, დიდი ხნის წინანდელი საუბარი ლონდონში. ეს იყო შაბათ საღამოს. მე და ჩემი მეგობარი ვსეირნობდით, ოცი წელი იქნება მას შემდეგ. ქუჩებს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ემჩნეოდა. ყველგან ქუჩებში ვაჭრები მოკალათებულიყვნენ და თავიანთ საქონელს ნავთით თუ რაღაც მსგავსით სავსე პატარა ლითონის მილაკებით ანათებდნენ. განათება მეტად ლამაზი იყო. ქუჩებში პირდაპირ არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ყველა ყიდულობდა თუ ყიდდა.

რუსეთში მაშინ არსებობდა მიმართულება, რომელსაც ჩვენ «ეკონომისტებს» ვუწოდებდით. ამ ცოტა არ იყოს ბურჟულ სახელწოდებით ჩვენ ვგულისხმობდით მარქსის ისტორიული მატერიალიზმის შეხედულებათა ბავშვურ გამარტივებას. ჩემი მეგობარი «ეკონომისტი» იყო და მყისვე დაიწყო თავისი სიბრძნის გადმოლაგება: აი, ამ არაჩვეულებრივ ეკონომიურ საქმიანობას პოლიტიკურ ძალად გადაქცევის მისწრაფება უნდა მოჰყვესო. მე მეღიმებოდა მარქსის ასეთ გაგებაზე. წვრილ ვაჭართა სიმრავლე და მათი უაღრესად გაცხოველებული საქმიანობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ მოწმობს კლასის დიდ

ეკონომიურ ძალას, რასაც «პოლიტიკურ ძალად» გადაქცევა შეიძლება მოჰყვეს და კიდევაც უნდა მოჰყვეს. ალბათ, ლონდონი ვაჭრობის მსოფლიო ძალად, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ძალად, ცოტა უფრო რთული გზით ჩამოყალიბდა, ვიდრე ჩემს თანამოსაუბრეს წარმოედგინა, და ლონდონის ქუჩის ვაჭრები, მიუხედავად მათი განსაცვიფრებელი გაცხოველებისა, საკმაოდ შორს იყვნენ «პოლიტიკური» ძალისაგან და მისდამი მისწრაფებისაგანაც კი.

ვშიშობ, რომ თქვენი კითხვა, თუ რატომ არ ამქღავნებს ჩვენში «ნეპმანი» (ე. ი. ქუჩის ვაჭარი? მეწვრილმანე?) «პოლიტიკურ ძალად გადაქცევის მისწრაფების ნიშნებს», ჩვენს ღიმილს გამოიწვევს და ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ლონდონის ქუჩებში ხალხი, რომელიც სულ ერთიანად ყიდულობდა და ყიდდა ქუჩებში შაბათობით, არ ამქღავნებდა ინგლისში «პოლიტიკური ძალისადმი მისწრაფების ნიშნებს».

2. კითხვა. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთში ამჟამად ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა დიდად მომგებიანია, მაშინ როდესაც წარმოება შესაძლებელია მხოლოდ მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში. ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა ნეპმანთა ხელშია. მომგებიან წარმოებას მეტწილად მცირე მასშტაბით ეწევიან და იგი კერძო პირთა ხელშია. ზარალიანი წარმოება — სახელმწიფოს ხელშია. გეკითხებით: ხომ არ ნიშნავს ეს ნეპმანთა განუწყვეტელ ეკონომიურ გაძლიერებას და სახელმწიფოს განუწყვეტელ შესუსტებას?

პასუხი. ვშიშობ, რომ თქვენი მეორე კითხვაც დასმულია თითქმის «ეკონომისტური» თვალსაზრისით — ზემოთ აღნიშნული აზრით. ბასტია, მგონი, თითქმის სერიოზულად ფიქრობდა, რომ «ძველი ბერძნები და რომაელები ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდნენ». იგი მაინცდამაინც არ იტკივებდა თავს იმ «ეკონომიურ» საკითხზე, თუ საიდან ჩნდებოდა ის, რასაც ეს ძარცვა-გლეჯით მცხოვრებნი იტაცებდნენ?

თქვენ «გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ რუსეთში ამჟამად ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა დიდად მომგებიანია»,

«მაშინ როდესაც წარმოება შესაძლებელია მხოლოდ მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში».

ძალიან გამიკვირდა, როცა მოსკოვის ქუჩების მიმართ დაკვირვებიდან გამოტანილი ასეთი დასკვნა წავიკითხე. რაღა ვუყოთ, გავიფიქრე მე, მილიონობით რუს გლეხს? ისინი რომ მიწას სთესენ, ეს, როგორც ეტყობა, იშვიათი და მეტისმეტად იშვიათი შემთხვევა კი არ არის, არამედ მომეტებული შემთხვევაა რუსეთში? შემთხვევა უფრო მრავალრიცხოვანიც «კი», ვიდრე რაიმეს «ყიდვა-გაყიდვა» «ნეპმანის» მიერ? და, ალბათ, გლეხური წარმოება რუსეთში არათუ «შესაძლებელია», არამედ მეტისმეტად «მომგებიანიცაა»? თორემ საიდან მივიღებდით იმ ასეული მილიონობით სასურსათო გადასახადს, რაც ასე არაჩვეულებრივ სწრაფად და ადვილად ჩააბარეს უკვე სახელმწიფოს ჩვენმა გლეხებმა? საიდან არის აღმშენებლობითი საქმიანობის ის საყოველთაო აღმავლობა თვალუწვდენელი რუსეთის სოფლებშიც და ქალაქებშიც, რასაც ყველა და თვითეული ხედავს?

ხომ არ ჰგონია იმ პირს, ვინც ამ კითხვას იძლევა, «დიდად სარფიანი გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა» წვრილი ვაჭრობა, როდესაც ერთი წვრილი ვაჭარი ზოგჯერ იღებს მილიონობით მოგებას რუსული ვალუტით, რომელიც სულ ეცემა, როდესაც მილიონი თავისუფალ ბაზარზე წინანდელ მანეთზე ნაკლები ღირს? არა მგონია ასეთი შეცდომა შესაძლებელი იყოს, რადგან ჩვენი სახელმწიფო ახლა — აი უკვე რამდენიმე თვეა — შლის «ზედმეტ» ნულებს ქაღალდის ფულზე. გუშინ იყო ტრილიონი, დღეს კი ოთხი ნული იშლება და გამოდის ათი მილიონი. სახელმწიფო ამით არ მდიდრდება, მაგრამ მეტად უცნაური იქნებოდა გვეფიქრნა, რომ იგი «უფრო სუსტი ხდება», რადგან აქ აშკარაა ნაბიჯის გადადგმა ფულის გაუმჯობესებისაკენ. ნეპმანი იწყებს იმის დანახვას, თუ როგორ იწყება მანეთის სტაბილიზაცია; მაგალითად, ეს ჩანდა ამ ზაფხულში; ნეპმანი იწყებს იმის მოაზრებას, რომ ნულების «ამოშლა» კვლავაც გაგრძელდება, და ვეჭვობ, რომ იგი შეაჩეროს მისმა «პოლიტიკური ძალისადმი მისწრაფებამ».

ვუბრუნდები წარმოებას. ჩვენში მიწა სახელმწიფოს ხელშია. წვრილ გლეხებს, რომლებიც მას ფლობენ, ჩინებულად შემოაქვთ გადასახადი. სამრეწველო წარმოება, ეგრეთწოდებული მსუბუქი ინდუსტრიის სახით, აშკარად ცხოველდება, ხოლო იგი ხშირად ან სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და მას მისი მოსამსახურენი განაგებენ, ანდა მოიჯარადრეთა მფლობელობაშია.

ამიტომ «სახელმწიფოს განუწყვეტელი შესუსტების» შიშისათვის საფუძველი არ არსებობს.

უნდა განვასხვაოთ არა წარმოება ვაჭრობისაგან, არამედ მსუბუქი ინდუსტრიის წარმოება და მძიმე ინდუსტრიის წარმოება. ეს უკანასკნელი მართლაც არ არის ხელსაყრელი; აქედან გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს მართლაც მძიმე მდგომარეობა. ამაზე ქვემოთ.

3. კითხვა. გადაკვრით ამბობენ, შეეცდებიან (დაბეგვრის სახით) აიძულონ ნეპმანი სუბსიდია მისცეს წარმოებასო. გეკითხებით: ხომ არ მოჰყვება ამას შედეგად მხოლოდ ფასების მომატება, ნეპმანის მოგების გადიდება და, არაპირდაპირ, ხელფასის გადიდების აუცილებლობა,—ამრიგად, წინანდელი მდგომარეობისაკენ დაბრუნება?

პასუხი. სახელმწიფოს ხელშია ასეული მილიონობით ფუთი პური. ასეთ პირობებში იმის მოლოდინი, რომ გადასახადები «მხოლოდ» ფასებს გაზრდიან, შეუძლებელია. გადასახადები აგრეთვე მოგვცემენ შემოსავალს ნეპმანებისაგან და მწარმოებლებისაგან მრეწველობის დასახმარებლად, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის დასახმარებლად.

4. კითხვა. თუ ჩვეულებრივი კაპიტალისტური საზომით ვიმსჯელებთ, ეკონომიური მდგომარეობა უარესი უნდა იყოს. თუ კომუნისტური საზომით ვიმსჯელებთ, მდგომარეობა ასევე უარესი უნდა იყოს (მძიმე ინდუსტრიის დაცემა). მაგრამ, ყველა, ვისაც ვხვდები, მეთანხმება, რომ მისი მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. როგორც ჩანს, ხდება რაღაც ისეთი, რაც დაუშვებლად მიაჩნია როგორც კაპიტალისტურ, ისე კომუნისტურ იდეოლოგიას. ერთიც და მეორეც გულისხმობს პროგრესს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ პროგრესის

ნაცვლად რეგრესი გვაქვს? გეკითხებით: განა შეუძლებელია, რომ ჩვენ მივდივართ არა წინ, ახალი კეთილდღეობისაკენ, არამედ ვბრუნდებით უკან, ძველი მდგომარეობისაკენ? განა შეუძლებელია, რომ რუსეთი მიიმართება უკან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერიოდისაკენ, რაც დაახლოებით შეესაბამება მის მოთხოვნილებებს, და გაცხოველებული საშინაო ვაჭრობისაკენ, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელოდ შეეხება უცხოეთიდან შემოტანა? განა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მსგავსი პერიოდი პროლეტარული დიქტატურის დროს, როგორც ეს იყო წინათ ფეოდალური დიქტატურის დროს?

პასუხი. ჯერ ვიწყებთ «მსჯელობას» «ჩვეულებრივი კაპიტალისტური საზომით». მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენი მანეთი სტაბილური იყო. ეს გაუმჯობესების აშკარა დასაწყისია. შემდეგ გლეხური წარმოებისა და მსუბუქი ინდუსტრიის გაცხოველება უეჭველია. ესეც გაუმჯობესებაა. ბოლოს, ჩვენმა სახელმწიფო ბანკმა მიიღო წმინდა შემოსავალი არა ნაკლებ 20 მილიონი მანეთისა ოქროთი (ეს არის მინიმუმი; ნამდვილად მეტია). ცოტაა, მაგრამ გაუმჯობესება უეჭველია. ცოტაა, მაგრამ დასაწყისი მძიმე ინდუსტრიის ფონდის გადიდებისა უეჭველია.

შემდეგ. გადავიდეთ მსჯელობაზე კომუნისტური საზომით. სამივე ჩამოთვლილი გარემოება ნიშნავს პლუსს კომუნისტური თვალსაზრისითაც, რადგან ჩვენში სახელმწიფო ძალაუფლება მუშების ხელშია. მანეთის სტაბილიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯიც, გლეხური წარმოებისა და მსუბუქი ინდუსტრიის გაცხოველებაც, სახელმწიფო ბანკის (ესე იგი სახელმწიფოს) მოგებათა დაწყებაც — ყოველივე ეს არის პლუსი **კომუნისტური** თვალსაზრისითაც.

როგორ შეიძლება ისეთი რამ, რომ კაპიტალიზმი და კომუნიზმი დაპირისპირებულნი არიან, ხოლო სხვადასხვა გარემოება პლუსს იძლევა ორივე დაპირისპირებული თვალსაზრისით? ეს შესაძლებელია, რადგან კომუნიზმზე გადასვლა შეიძლება სახელმწიფო კაპიტალიზმის **გზითაც**, თუ სახელმწიფოში ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია. სწორედ ეს არის **«ჩვენი ახლანდელი შემთხვევა»**.

მძიმე ინდუსტრიის დაცემა ჩვენი მინუსია. შემოსავლის მიღების დაწყება სახელმწიფო ბანკისგან და საგარეო ვაჭრობისგან წარმოადგენს მომზადებას საქმის გაუმჯობესებისაკენ ამ დარგშიც. აქ დიდი სიძნელეებია, მაგრამ საქმე სრულიადაც არ არის უიმედო.

გავყვეთ ქვევით. განა არ შეიძლება, რომ მივდიოდეთ უკან, რაღაც «ფეოდალური დიქტატურის» მსგავსისაკენ? არავითარ შემთხვევაში, რადგან ჩვენ ნელა, შესვენებებით, დროდადრო ნაბიჯის უკან გადადგმით, ავდივართ მაღლა სახელმწიფო კაპიტალიზმის ხაზით. ხოლო ეს არის ხაზი, რომელსაც მივყავართ წინ სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ (როგორც სოციალიზმის უმაღლესი საფეხურისაკენ) და არავითარ შემთხვევაში არა უკან — ფეოდალიზმისაკენ.

იზრდება საგარეო ვაჭრობა; ძლიერდება, თუმცა შესვენებებით, მანეთის სტაბილიზაცია; მრეწველობის აშკარა აღმავლობაა პიტერშიც და მოსკოვშიც; მცირე, ძალიან მცირე დასაწყისია სახელმწიფოს სახსრების მომზადებისა მძიმე ინდუსტრიის დასახმარებლად და ა. შ.. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ რუსეთი წინ მიდის და არა უკან, თუმცა, ვიმეორებ, ძალიან ნელა და შესვენებებით.

5. კ ი თ ხ ვ ა. ან იქნებ მოწამენი ვართ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა ფ ლ ა ნ გ ვ ი ს ს ა ვ ა ლ ა ლ ო ს ა ნ ა ხ ა ო ბ ი ს ა, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, რ ო მ ე ლ ი ც წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი?

პ ა ს უ ხ ი. ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია წინა განმარტებით.

6. კ ი თ ხ ვ ა. გარდა ამ საკითხებისა «მანჩესტერ გარდიანისათვის» საინტერესო იქნებოდა პირადად თქვენგან მოესმინა ამჟამად მოსკოვში ფართოდ გავრცელებული იმ ხმების უარყოფა, რომ ამ ზამთარში კვლავ შემოღებული იქნება საბარათო სისტემა ნეპმანთა საწყობების სრულ რეკვიზიციასთან ერთად.

პ ა ს უ ხ ი. სიამოვნებით ვადასტურებ იმ ხმების სრულ უსაფუძვლობას, თითქოს ჩვენ ვფიქრობდეთ უკან, საბარათო

სისტემისაკენ, ან «ნეპმანთა საწყობების სრული რეკვიზიციისაკენ» დაბრუნებას.

წმინდა წყლის ზღაპარია. არაფერი ამის მსგავსი აზრადაც არ მოგვსვლია.

არაფერი ამის მსგავსის წარმოდგენაც კი არ შეიძლება თანამედროვე რუსეთში. ეს არის ხმები, რასაც ბოროტი მიზნით ავრცელებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენზე ძალიან გაჯავრებული არიან, მაგრამ არცთუ ძალიან ჭკვიანი არიან.

7. კითხვა. ბოლოს, სწორია თუ არა ჩემი ვარაუდი, რომ ხელშეკრულება ურკარტთან საბოლოოდ კი არ არის უარყოფილი, არამედ მხოლოდ გადადებულია ინგლისის მთავრობასთან ნორმალური მეგობრული ურთიერთობის აღდგენამდე?

პასუხი. ურკარტის შესახებ თქვენ აბსოლუტურად სწორი ხართ. ვიმეორებ იმას, რაც ამას წინათ ფარბმანს* ვუთხარი. ურკარტის კონცესია ჩვენ საბოლოოდ არ უარგვიყვია. ჩვენ იგი უარვყავით მხოლოდ ჩვენ მიერ საჯაროდ აღნიშნული პოლიტიკური მიზეზის გამო. ჩვენს პრესაში ჩვენ დავიწყეთ ყველა სასარგებლო და საწინააღმდეგო მოსაზრების აშკარა განხილვა. და იმედი გვაქვს, რომ ამ განხილვის შემდეგ შევიმუშავებთ საბოლოო აზრს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხაზით.

1922. 5/XI.

დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე
1922 წ. 22 ნოემბერს გაზეთში
«The Manchester Guardian» № 23797

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 452—460. რედ.

მეოთხე ვარიანტი (დაუმთავრებელი)

თქვენს კითხვებზე გიპასუხებთ:

1. მე ვფიქრობ, რომ «ნეპმანს», ე. ი. მზარდი ვაჭრობის წარმომადგენელს «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» დროს, სურს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდეს, მაგრამ არ ამჟღავნებს ამის არავითარ ნიშანს ანდა ისე ამჟღავნებს, რომ დაფაროს თავისი სურვილები. მისთვის აუცილებელია ესწრაფოდეს თავისი სურვილების დაფარვას, რადგან სხვაფრივ მას მოელის საფრთხე, რომ სერიოზულ ოპოზიციას შეხვდება ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ, ხოლო ზოგჯერ ოპოზიციაზე უფრო ცუდ რამესაც, ე. ი. პირდაპირ მტრობას.

მე მგონია, იმ დროს, როცა წარმოების საშუალებათა დიდი უმეტესობა ჩვენი სახელმწიფოს ხელშია თავმოყრილი, წვრილი ბურჟუაზიის ნამდვილ ეკონომიურ მოთხოვნილებას წარმოადგენს მოხმარების საგნების ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება. ჩვენი კანონმდებლობა უზრუნველყოფს წვრილი ბურჟუაზიისათვის ამ თავისუფლებას.

სიტყვა «ნეპმანი», რომელსაც თქვენ ხმარობთ, ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. ეს სიტყვა წარმოქმნილია შეკვეცილი «ნეპ»-ისა, რაც ნიშნავს «ახალი ეკონომიური პოლიტიკა», და დანამატ «მან»-ისაგან, რაც ნიშნავს «ადამიანს ანუ ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წარმომადგენელს». გაზეთის ენაზე ეს სიტყვა ჯერ წარმოიშვა როგორც სახუმარო სახელწოდება

მეწვრილმანისა ან ისეთი პირისა, რომელიც ვაჭრობის თავისუფლებას ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის იყენებს.

გარეგნულად ახალი ეკონომიური პოლიტიკა ყველაზე მეტად სწორედ იმით გვხვდება თვალში, რომ ასპარეზზე ჩნდება ამგვარი «ნეპმანი» ანუ, როგორც თქვენ წერთ, ყოველი ადამიანი, ვინც «ყიდის და ყიდულობს».

მაგრამ მოსახლეობის ნამდვილი უმრავლესობის ნამდვილი ეკონომიური საქმიანობა სრულიადაც ეს არ არის. საკმარისია, მაგალითად, აღვნიშნოთ გლეხობის უდიდესი მასის საქმიანობა, გლეხობისა, რომელიც სწორედ ახლა უდიდესი ენერგიით და უდიდესი თავგანწირვით აღადგენს თავის სახნავებს და მუშაობს თავისი წარმოების სასოფლო-სამეურნეო იარაღების, თავისი სადგომების, შენობების და სხვათა აღდგენაზე. მეორე მხრივ, მრეწველობის მუშები სწორედ ახლა ასეთივე უდიდესი ენერგიით მუშაობენ შრომის იარაღების გაუმჯობესების, შრომის გაცვეთილი იარაღების ახლით შეცვლის, დანგრეული, გაფუჭებული ან დაზიანებული შენობების განახლების საქმეზე და სხვ.

«ნეპმანი», თუკი ვიხმართ ამ გამოთქმას, რომელიც გაცილებით უფრო მეტად სახუმარო საგაზეთო ენას მიეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკური ეკონომიის სერიოზული ტერმინების დარგს, გაცილებით მეტად ხმაურობს, ვიდრე ეს მის ეკონომიურ ძალას შეეფერება. ამიტომ ვშიშობ, რომ ადამიანი, რომელიც ჩვენს «ნეპმანს» მიუყენებდა ისტორიული მატერიალიზმის იმ გამარტივებულ დებულებას, რომ ეკონომიურ ძალას უნდა მოჰყვეს პოლიტიკური ძალა, შეიძლება ძალიან დიდად შეცდეს და მთელი რიგი სასაცილო გაუგებრობის მსხვერპლიც კი გახდეს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნამდვილი დედაარსი ის არის, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ: ჯერ-ერთი, ვაჭრობის თავისუფლების ნება დართო წვრილი მწარმოებლებისათვის და, მეორეც, წარმოების საშუალებებს მსხვილი კაპიტალისათვის პროლეტარული სახელმწიფო

უყენებს იმის მთელ რიგ პრინციპებს, რასაც კაპიტალისტურ ეკონომიკაში «სახელმწიფო კაპიტალიზმი» ეწოდებოდა.

მე ვფიქრობ, «ნეპმანი», რომელიც აქედან გამოიტანს დასკვნას, რომ მისთვის სასურველია პოლიტიკურ ძალად იქცეს, შეიძლება არათუ მხოლოდ შეცდეს, არამედ გაზვიადების დაცინვის საგანიც გახდეს მის მიერ მარქსიზმის ვულგარული გაგების გამო.

2. თქვენს შთაბეჭდილებას, რომ რუსეთში ახლა ყიდვა-გაყიდვა არაჩვეულებრივ დიდ შემოსავალს იძლევა, «მაშინ როდესაც წარმოება შესაძლებელია მხოლოდ მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში», მე მგონია შეუძლია გამოიწვიოს საკმაოდ სამართლიანი დაცინვა «ბატონ «ნეპმანის»» პოლიტიკური ეკონომიის მიმართ.

თუ არ ვცდები, რუსეთში ითვლება წვრილგლეხური მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც ახლა არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი წარმოებას და მიაღწია (ნაწილობრივ თესლით და სხვ. სახელმწიფო დახმარების მეოხებით) უდიდეს, თითქმის წარმოუდგენელ წარმატებებს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ გაუგონარ ნგრევას სამოქალაქო ომის, შიმშილის და სხვ. შედეგად. წვრილმა გლეხებმა ამასთან ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ არაჩვეულებრივ ადვილად და თითქმის სრულიად ძალდაუტანებლად შემოიტანეს სახელმწიფო გადასახადი, რაც ასეული მილიონობით ფუთ პურს შეადგენს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ უფრო სამართლიანი იქნება ვთქვათ: ყველაზე დიდ მოგებას იძლევა მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობა, რომელსაც ზომით მეტად წვრილი წარმოება აქვს, რაც კერძო პირთა ხელშია. ეს შეეხება გლეხობის მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ასეთსავე ან ცოტა უფრო ნაკლებ მოგებას იძლევა სამრეწველო წარმოება, რომელიც ნაწილობრივ კერძო პირთა ხელშია, ნაწილობრივ სახელმწიფო მოიჯარადრეების ან იმ სახელმწიფო ქარხ-

ნების ხელში, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ სოფლის მოსახლეობისათვის.

მართლაც არამომგებიან წარმოებას, რომელიც სახელმწიფოს ხელში რჩება, მხოლოდ ის წარმოება წარმოადგენს, რასაც, თუ მეცნიერულ პოლიტიკურ-ეკონომიურ ტერმინოლოგიას ვიხმართ, უნდა ეწოდოს წარმოების საშუალებათა წარმოება (მადანი, ლითონი და სხვ.) ანუ ძირითადი კაპიტალის წარმოება. კაპიტალისტურ ეკონომიკაში კაპიტალის ეს სახე ჩვეულებრივ თავისი აღდგენისათვის საჭიროებს სახელმწიფო სესხებს, რაც ერთბაშად მეტად დიდ თანხებს იძლევა (ასეულ მილიონობით მანეთს ან დოლარსაც კი) მთელ რიგ ისეთ საწარმოთა რეორგანიზაციისათვის, რომელთაც შეუძლიათ აღადგინონ დანგრეული წარმოების საშუალებანი.

ჩვენ დანგრეული წარმოების საშუალებათა აღდგენა დიდი ხნის განმავლობაში არაკითარ მოგებას არ გვიქადის, იგი, როგორც თქვენ ამბობთ, «არამომგებიანია». ჩვენ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოგვიხდება ძირითადი კაპიტალის აღსადგენად გამოვიყენოთ კონცესიების შემოსავალი ან სახელმწიფო სუბსიდიები.

ასეთია თანამედროვე ეკონომიური სინამდვილე. როგორც ხედავთ, მე ამ სინამდვილეს არსებითად სხვანაირად ვუყურებ, ვიდრე თქვენ. ვშიშობ, რომ თქვენი შეხედულება, თითქოს ჩვენში «ნეპმანთა განუწყვეტელი ეკონომიური გაძლიერება» და «სახელმწიფოს განუწყვეტელი ეკონომიური შესუსტება» ხდებოდეს, ალბათ, მარქსის დაცინვას დაიმსახურებდა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის მიმართ.

მე კი ნებას მივცემ ჩემს თავს ძველებურად ვიფიქრო, რომ მარქსის შემდეგ რაიმე სხვა არამარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მეშჩანების, თუნდაც «დიდად ცივილიზებული» მეშჩანების გასაბრიყვებლად.

ვამთავრებ «პოლიტიკური ძალის» საკითხის შესახებ: მუშები და გლეხობა, აი პოლიტიკური ძალის საფუძველი რუსეთში. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში გლეხებს ძარცვავენ

მემამულეებიც და კაპიტალისტებიც. რაც უფრო შეგნებული ხდებიან გლეხები, მით უფრო უკეთ ესმით ეს მათ. ამიტომ მოსახლეობის მასა «მყიდველ და გამყიდველ» ნეპმანებს არ გაჰყვება.

3. «ნეპმანებზე» დაკისრებული გადასახადები ხომ არ გამოიწვევს მხოლოდ ხელფასისა და ფასების გადიდებას იმის ნაცვლად, რომ სახსრები მისცეს წარმოებას?

— არა, რადგან ფასებს საფუძვლად პური დაედება. მისი ერთი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, შეგროვილია გადასახადის სახით. ნეპმანი დამოუკიდებელ გავლენას ვერ მოახდენს ფასებზე, რადგან იგი მწარმოებელი არ არის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, შევნიშნავ აქვე, დახმარებას გაგვიწევს ხელთ გვყავდეს ნეპმანი, რადგან ფასები დაწესდება უმისოდ, საზღვარგარეთ არსებული წარმოების ფასის მიხედვით პლუს ჩვენი სახელმწიფო წანამატი, რაც წარმოების სუბსიდიას ხმარდება.

ვშიშობ, რომ თქვენ ზოგჯერ ნეპმანების მიერ ფასების გადიდებად გეჩვენებათ ემისიის ზრდით გამოწვეული ჩვენი ქაღალდის ფულის ფასის ზრდა. ეს შეცდომა იქნებოდა.

დაწერილია 1922 წ. 6 და 12 ნოემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. 21 იანვარს **გაზეთ «პრავდაში» № 17**

იბეჭდება საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ასლის მიხედვით, რომელიც გასწორებულია ვ. ი. ლენინის მიერ

მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშა და გლეხ-ქალთა უპარტიო კონფერენციას [96]

ძვირფასო ამხანაგებო! გულითად მადლობას გიძღვნით კეთილი სურვილებისა და მოსალოცებისათვის. ძალიან ვწუხვარ, რომ პირადად არ შემიძლია დაგესწროთ. მოგილოცავთ რევოლუციის ხუთი წლისთავს და ვუსურვებ ყრილობას ყოველგვარ წარმატებას.

თქვენი ლენინი

1922. 6/XI.

დაბეჭდილია 1922 წ. ნოემბერში

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოასლის მიხედვით

ᲥᲝᲤ. ᲛᲘᲮᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ [97]

ძვირფასო ამხანაგებო! ძალიან ვწუხვარ, რომ ცოტა შეუძლოდ ყოფნამ სწორედ დღეს მაიძულა სახლში დავრჩენილიყავი. გიძღვნით უმხურვალეს სალამსა და სურვილებს ხუთი წლის იუბილეს გამო. გისურვებთ წარმატებით მუშაობას შემდგომი ხუთწლეულისათვის.

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 7/XI.

პირველად დაიბეჭდა 1942 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩას» მუშებსა და მოსამსახურეებს [98]

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს, რევოლუციის ხუთი წლისთავზე, განსაკუთრებული სიამოვნებით მივესალმები თქვენი კლუბის გახსნას და გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენ, სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩას» მუშები და მოსამსახურეები, საერთო ძალ-ღონით შესძლებთ გადააქციოთ ეს კლუბი მუშათა განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოზიციად.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922 წ. 7. XI.

პირველად დაიბეჭდა 1945 წ. ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ გასწორებული და ხელმოწერილი დედნის მიხედვით

სტოდოლის მაუდის ფაბრიკის მუშებს კლინცში[99]

1922 წ. 8. XI.

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითად მადლობას გიძღვნით მოსალმებისა და საჩუქ-რისათვის. საიდუმლოდ უნდა გითხრათ, რომ საჩუქრებს არ უნდა მიგზავნიდეთ. ძალიან გთხოვთ ეს საიდუმლო თხოვნა რაც შეიძლება ფართოდ გააცნოთ ყველა მუშას.

საუკეთესო მადლობა, სალამი და სურვილები.

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესი [100]

1922 წ. 5 ნოემბერი — 5 დეკემბერი

1

კომინტერნის IV მსოფლიო კონგრესს, პეტროგრადის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ დავესწრები კონგრესის პირველ სხდომას და უნდა დავჯერდე წერილობით მოსალმებას.

მიუხედავად იმ გიგანტური სიძნელეებისა, რომლებიც კომუნისტურ პარტიებს ეღობება წინ, კომინტერნი იზრდება და მტკიცდება. მთავარი ამოცანა კვლავინდებურად მუშების უმრავლესობის მიმხრობაა. და ამ ამოცანას ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე შევასრულებთ.

II და II½ ინტერნაციონალთა გაერთიანება სარგებლობას მოუტანს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას: ნაკლები იქნება ფიქციები, ნაკლები იქნება თვალთმაქცობა — ეს ყოველთვის სასარგებლოა მუშათა კლასისათვის.

საუკეთესო სურვილებს და მხურვალე სალამს ვუძღვნი პეტროგრადის მუშებს და მათ ახალ საბჭოს, რომლებიც თავიანთ ქალაქში ეგებებიან კომინტერნის IV კონგრესს.

პიტერელი მუშები სამეურნეო ფრონტზედაც ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა იყვნენ. გულს გვიხარებს ცნობები პეტროგრადის სამეურნეო აღორძინების შესახებ. იმედი მაქვს ვისარგებლებ თქვენი მიპატიჟებით პეტროგრადში და ახლო მომავალში გესტუმრებით.

საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში დღესასწაულობს პირველ ხუთი წლისთავს. იგი უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. სამოქალაქო ომი დამთავრებულია. პირველი სამეურნეო

წარმატებები აშკარაა. საბჭოთა რუსეთს უდიდეს სიამაყედ მიაჩნია დაეხმაროს მთელი მსოფლიოს მუშებს მათს მძიმე ბრძოლაში კაპიტალიზმის დასამხობად. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ვ. ულიანოვი (ლენინი)

მოსკოვი, 1922 წ. 4 ნოემბერი.

«პრავდა» № 253,
1922 წ. 9 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

2

რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები

მოხსენება კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წ. 13 ნოემბერს

(ამხანაგ ლენინს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით და ოვაციით ხვდება მთელი დარბაზი. ყველანი დგებიან და მღერიან «ინტერნაციონალს».) ამხანაგებო! ორატორების სიაში მთავარ მომხსენებლად ვირიცხები, მაგრამ თქვენ მიხვდებით, რომ ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დიდი მოხსენების გაკეთებას ვერ შევძლებ. შემიძლია მოგაწოდოთ მხოლოდ უმთავრესი საკითხების შესავალი. ჩემი თემა ფრიად შეზღუდული იქნება. თემა — «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები» მეტად ფართოა და დიდი, და მას საერთოდ ერთი ორატორი ერთ სიტყვაში ვერ ამოსწურავს. ამიტომ ვიღებ ამ თემის მხოლოდ მცირე ნაწილს, სახელდობრ — «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» საკითხს. მე განზრახ ვიღებ მხოლოდ ამ მცირე ნაწილს, რათა გაგაცნოთ ეს ახლა უმნიშვნელოვანესი საკითხი, — უმნიშვნელოვანესი ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც, რადგან ამჟამად მე ამ საკითხზე ვმუშაობ.

ამრიგად, ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ დავიწყეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა და რა შედეგებს მივაღწიეთ ამ პოლიტიკის მეოხებით. თუ ამ საკითხს დავჯერდები, შეიძლება, შევძლო მისი საერთო მიმოხილვის გაკეთება და მოგცეთ ზოგადი წარმოდგენა ამ საკითხზე.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მივადექით ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, უნდა მივმართო ერთ ჩემს სტატიას, რომელიც დაწერილია 1918 წელს [1]. 1918 წლის დამდეგს

მოკლე პოლემიკაში მე შევეხე სწორედ იმ საკითხს, თუ რა პოზიცია უნდა დავიკავოთ ჩვენ სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართ. მაშინ მე ვწერდი:

«ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში საქმის ახლანდელ (ე. ი. იმდროინდელ) ვითარებასთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ჩვენში, რომ, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ დამკვიდრდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, ეს უდიდესი წარმატება და უეჭველი გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში საბოლოოდ განმტკიცდება და უძლეველი გახდება სოციალიზმი».

ეს, რა თქმა უნდა, იმ დროს იყო ნათქვამი, როდესაც ჩვენ უფრო სულელები ვიყავით, ვიდრე ახლა, მაგრამ არცთუ იმდენად სულელები, რომ ასეთი საკითხების განხილვის უნარი არ გვქონოდა.

ამრიგად, 1918 წელს მე იმ აზრს ვადექი, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მაშინდელ სამეურნეო მდგომარეობასთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს ძალიან უცნაურია და, შესაძლოა, შეუსაბამოც იყოს, რადგან ჩვენი რესპუბლიკა მაშინაც უკვე სოციალისტური რესპუბლიკა იყო; მაშინ ჩვენ ყოველდღე უდიდესი აჩქარებით, — ალბათ, გადაჭარბებული აჩქარებით, — ისეთ სხვადასხვა ახალ სამეურნეო ღონისძიებებს მივმართავდით, რომელთაც მხოლოდ სოციალისტური ღონისძიებები შეიძლება ვუწოდოთ. და მაინც მე მაშინ ვფიქრობდი, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მაშინდელ სამეურნეო მდგომარეობასთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, და ამ აზრს შემდეგ იმით განვმარტავდი, რომ პირდაპირ ჩამოვთვალე რუსეთის სამეურნეო წყობილების ელემენტები. ეს ელემენტები, ჩემი აზრით, შემდეგი იყო: «1) სოფლის მეურნეობის პატრიარქალური, ე. ი. ყველაზე უფრო პრიმიტიული ფორმა; 2) წვრილი სასაქონლო წარმოება (ამას მიეკუთვნება გლეხობის უმრავლესობაც, რომელიც პურით ვაჭრობს); 3) კერძო კაპიტალიზმი; 4) სახელ-

მწიფო კაპიტალიზმი და 5) სოციალიზმი». ყველა ეს სამეურნეო ელემენტი წარმოდგენილი იყო მაშინდელ რუსეთში. მე მაშინ დავისახე ამოცანა — განმემარტა, თუ რა ურთიერთობა არსებობს ამ ელემენტთა შორის, და ერთ-ერთ არასოციალისტურ ელემენტს, სახელდობრ სახელმწიფო კაპიტალიზმს, უფრო მაღალი შეფასება ხომ არ უნდა მივცეთ, ვიდრე სოციალიზმს. ვიმეორებ: ეს ყველას ფრიად უცნაურად ეჩვენება, რომ რესპუბლიკაში, რომელიც თავის თავს სოციალისტურ რესპუბლიკად აცხადებს, არასოციალისტური ელემენტი უფრო მაღლა ფასდება, უფრო მაღლა მდგომად ცხადდება, ვიდრე სოციალიზმი. მაგრამ საქმე გასაგები ხდება, თუ მოიგონებთ, რომ რუსეთის სამეურნეო წყობილებას ჩვენ სრულიადაც ისე არ ვუყურებდით, როგორც რაღაც ერთგვაროვანსა და დიდად განვითარებულს, არამედ სავსებით შეგნებული გვქონდა, რომ რუსეთში გვაქვს პატრიარქალური მიწათმოქმედება, ე. ი. მიწათმოქმედების ყველაზე პრიმიტიული ფორმა სოციალისტურ ფორმასთან ერთად. მაშ, რა როლი შეეძლო შეესრულებინა სახელმწიფო კაპიტალიზმს ასეთ ვითარებაში?

შემდეგ ვეკითხებოდი ჩემს თავს: ამ ელემენტებში რომელი უფრო სჭარბობს? ცხადია, წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში წვრილბურჟუაზიული ელემენტია გაბატონებული. მე მაშინ შეგნებული მქონდა, რომ წვრილბურჟუაზიული ელემენტი სჭარბობს; სხვანაირად ფიქრი შეუძლებელი იყო. კითხვა, რომელსაც მაშინ ჩემს თავს ვუყენებდი — ეს იყო სპეციალური პოლემიკის დროს, რაც ახლანდელ საკითხს არ ეხება, — შემდეგი იყო: როგორ ვუყურებთ სახელმწიფო კაპიტალიზმს? და ჩემს თავს ასე ვუპასუხე: სახელმწიფო კაპიტალიზმი, თუმცა იგი სოციალისტურ ფორმას არ წარმოადგენს, ჩვენთვის და რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელი ფორმა იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი ფორმა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა ჩვენ სოციალური რევოლუცია უკვე მოვახდინეთ, მაგრამ სოციალისტური მეურნეობის არც ჩანასახებს, არც საწყისებს

გადაჭარბებულ შეფასებას არ ვაძლევდით; პირიქით, ჩვენ მაშინაც კი რამდენადმე გვესმოდა: დიახ, უმჯობესი იქნებოდა, რომ ჯერ სახელმწიფო კაპიტალიზმთან მივსულიყავით და მხოლოდ შემდეგ გადავსულიყავით სოციალიზმზე.

ამ ნაწილს განსაკუთრებით უნდა გავუსვა ხაზი იმიტომ, რომ, ვფიქრობ, მხოლოდ მაშინ, თუ ამას დავეყრდნობით, ჯერ-ერთი, შეიძლება ავხსნათ, თუ რას წარმოადგენს ახლანდელი ეკონომიური პოლიტიკა, და მეორეც — აქედან შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნები გამოვიტანოთ კომუნისტური ინტერნაციონალისთვისაც. მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ უკვე წინასწარ მზად გვქონდა უკან დახევის გეგმა. ეს არ ყოფილა. ეს მოკლე პოლემიკური სტრიქონები არამცდაარამც არ ყოფილა მაშინ უკან დახევის გეგმა. ვრთ მეტად საყურადღებო პუნქტზე, მაგალითად, ვაჭრობის თავისუფლებაზე, რასაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის, აქ კრინტიც არ არის დაძრული. მაგრამ უკან დახევის საერთო, გაურკვეველი იდეა მაინც უკვე იყო მოცემული. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო იმ ქვეყნის თვალსაზრისით, რომელიც თავისი სამეურნეო წყობილებით იყო და დღემდე რჩება ძალიან ჩამორჩენილ ქვეყნად, არამედ კომუნისტური ინტერნაციონალისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების თვალსაზრისითაც. ახლა, მაგალითად, ჩვენ პროგრამას ვამუშავებთ. პირადად მე მგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, ყველა პროგრამა ჯერ საერთოდ, ასე ვთქვათ, პირველი წაკითხვისას განგვეხილა და მიგვეცა დასაბეჭდად, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ახლა, ამ წელს არ გამოგვეტანა. რატომ? ვფიქრობ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ არა მგონია ყველას რიგიანად გვქონდეს ისინი მოფიქრებული. შემდეგ კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენ თითქმის სრულიად არ მოგვიფიქრებია მოსალოდნელი უკან დახევისა და ამ უკან დახევის უზრუნველყოფის საკითხი. ეს კი ისეთი საკითხია, რომელსაც ჩვენ აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება მთელ მსოფლიოში ისეთი ძირითადი

ცვლილებების დროს, როგორიცაა კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის მშენებლობა მისი უზარმაზარი სიძნელეებით. ჩვენ არა მარტო უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ, როცა უშუალოდ შეტევაზე გადავდივართ და ამასთანავე ვიმარჯვებთ. რევოლუციურ ხანაში ეს არც იმდენად ძნელია, მაგრამ არც იმდენად მნიშვნელოვანია, ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაზე გადამწყვეტი არ არის. რევოლუციის დროს ყოველთვის არის ისეთი მომენტები, როდესაც მოწინააღმდეგე იბნევა, და თუ მას ამ დროს დავესხმებით თავს, შეგვიძლია ადვილად დავამარცხოთ. მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან, თუ ჩვენს მოწინააღმდეგეს საკმაო გამძლეობა აქვს, შეუძლია წინდაწინვე შეკრიბოს ძალები და სხვ.. მას ადვილად შეუძლია მაშინ პროვოკაციულად გამოიწვიოს ჩვენი თავდასხმა და შემდეგ უკუგვაგდოს მრავალი წლით. აი რატომ ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, და არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, იმ აზრს, რომ ჩვენ უნდა მოვამზადოთ უკან დახევის შესაძლებლობა. პრაქტიკული თვალსაზრისითაც ყველა იმ პარტიამ, რომელიც ემზადება ახლო მომავალში კაპიტალიზმის წინააღმდეგ პირდაპირ შეტევაზე გადასვლისათვის, ახლა უნდა იფიქროს აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ უზრუნველყოს თავისთვის უკან დახევა. მე მგონია, თუ ჩვენ ყველა იმ სხვა გაკვეთილთან ერთად, რომლებიც ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ მოგვცა, ამ გაკვეთილსაც გავითვალისწინებთ, ეს არათუ არავითარ ზიანს არ მოგვაყენებს, არამედ, ადვილი შესაძლებელია, მრავალ შემთხვევაში ამან სარგებლობაც მოგვიტანოს.

მას შემდეგ, რაც მე ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ჩვენ უკვე 1918 წელს ისე ვუყურებდით სახელმწიფო კაპიტალიზმს, როგორც უკან დახევის შესაძლებელ ხაზს, გადავდივარ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგებზე. ვიმეორებ: მაშინ ეს ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანი იდეა იყო, მაგრამ 1921 წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავლახეთ სამოქალაქო ომის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, და გადავლახეთ ძლევამოსილად, ჩვენ წავაწყდით საბჭოთა რუსეთის დიდ, — მე მგონია,

უდიდეს, — შინაგან პოლიტიკურ კრიზისს, რომელმაც გამოიწვია უკმაყოფილება არა მარტო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილისა, არამედ მუშებისაც. ეს მოხდა პირველად დიდი მაქვს, უკანასკნელად საბჭოთა რუსეთის ისტორიაში, როდესაც გლეხობის დიდი მასები, არა შეგნებულად, არამედ ინსტინქტურად, ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. რამ გამოიწვია ეს თავისებური და, რასაკვირველია, ჩვენთვის ძალიან არასასიამოვნო მდგომარეობა? მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ეკონომიური შეტევის დროს მეტისმეტად შორს წავიწიეთ წინ, რომ არ უზრუნველყავით ჩვენთვის საკმარისი ბაზა, რომ მასებმა იგრძნეს ის, რისი შეგნებულად ფორმულირება მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, მაგრამ რაც მალე, რამდენიმე კვირის შემდეგ, ჩვენც ვაღიარეთ, სახელდობრ: რომ უშუალო გადასვლა მეურნეობის წმინდა სოციალისტურ ფორმაზე, წმინდა სოციალისტურ განაწილებაზე ჩვენს ძალღონეს აღემატებოდა, და თუ ვერ შევძლებდით უკან დახევას ისე, რომ უფრო ადვილ ამოცანებს დავჯერებოდით, მაშინ დაღუპვა მოგველოდა. კრიზისი, მგონი, დაიწყო 1921 წლის თებერვალში. უკვე იმავე წლის გაზაფხულზე ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ — დიდი უთანხმოება აძის გამო ჩვენ შორის მე არ შემიმჩნევია — ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა. ახლა, წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ, 1922 წლის დამლევს, ჩვენ უკვე შეგვიძლია ზოგი რამ შედარება მოვახდინოთ. მაშ რა მოხდა? რა განვიცადეთ ამ წელიწადნახევარზე მეტი დროის განმავლობაში? როგორია შედეგი? მოგვიტანა სარგებლობა ამ უკან დახევამ, და მართლა გვიხსნა მან, თუ შედეგი ჯერაც გაურკვეველია? ეს არის მთავარი კითხვა, რომელსაც მე ვუყენებ ჩემს თავს, და მგონია, აგ მთავარ კითხვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ყველა კომუნისტური პარტიისათვის, რადგან, თუ უარყოფითს პასუხს მივიღებდით, ყველანი განწირული ვიქნებოდით დასაღუპად. მე მგონია, ჩვენ ყველას დამშვიდებული სინდისით შეგვიძლია დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვაზე, სახელდობრ იმ აზრით, რომ განვლილი წელიწად-

ნახევარი დადებითად და აბსოლუტურად ამტკიცებს, რომ ეს გამოცდა ჩვენ ჩავაბარეთ.

ახლა შევეცდები დავამტკიცო ეს. ამისთვის მოკლედ უნდა ჩამოვთვალო ჩვენი მეურნეობის ყველა შემადგენელი ნაწილი.

პირველ ყოვლისა შევჩერდები ჩვენს ფინანსურ სისტემაზე და განთქმულ რუსულ მანეთზე. მე მგონია, შეგვიძლია რუსულ მანეთს განთქმული ვუწოდოთ თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ამ მანეთების რაოდენობა ამჟამად კვადრილიონს აღემატება. (ს ი ც ი ლ ი.) ეს კი ცოტა რამეს ნიშნავს. ეს ასტრონომიული ციფრია. (ს ი ც ი ლ ი.) დარწმუნებული ვარ, აქ ყველამ არც კი იცის, რას ნიშნავს ეს ციფრი. მაგრამ ჩვენ ეს რიცხვები, და ისიც ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისით, არცთუ მეტისმეტად მნიშვნელოვან ციფრებად მიგვაჩნია, რადგან ნულები ხომ შეიძლება წავშალოთ. (ს ი ც ი ლ ი.) ამ ხელოვნებაში, რომელიც ეკონომიური თვალსაზრისით აგრეთვე სრულიად უმნიშვნელოა, ჩვენ ზოგ რამეს მივაღწიეთ, და დარწმუნებული ვარ, რომ გარემოებათა შემდგომ მსვლელობაში გაცილებით უფრო მეტს მივაღწევთ ამ ხელოვნებაში. რაც მართლაც მნიშვნელოვანია, ეს არის მანეთის სტაბილიზაციის საკითხი. ამ საკითხზე ჩვენ ვმუშაობთ, მუშაობენ ჩვენი საუკეთესო ძალები, და ამ ამოცანას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. თუ შევძლებთ მანეთის სტაბილიზაციას ჯერ ხანგრძლივად, ხოლო შემდეგ სამუდამოდ — მაშინ გამარჯვებულნი დავრჩებით. მაშინ მთელი ეს ასტრონომიული ციფრები, — მთელი ეს ტრილიონები და კვადრილიონები — არარა იქნება. მაშინ ჩვენ შევძლებთ მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ და მტკიცე ნიადაგზე განვავითაროთ შემდგომაც ჩვენი მეურნეობა. ამ საკითხზე, მე მგონია, შევძლებ მოგაწოდოთ საკმაოდ საყურადღებო და გადამჭრელი ფაქტები. 1921 წელს ქაღალდის მანეთის კურსის სიმტკიცემ სამ თვეზე ნაკლებ ხანს გასტანა. მიმდინარე 1922 წელს, თუმცა ეს წელი ჯერ არ დამთავრებულა, ეს პერიოდი გრძელდებოდა ხუთ თვეზე მეტი. მე მგონია, ეს უკვე საკმაოა.

რა თქმა უნდა, ეს საკმაო არ იქნება, თუ თქვენ მოითხოვთ ჩვენგან იმის მეცნიერულ დამტკიცებას, რომ ჩვენ მომავალში სავსებით გადავჭრით ამ ამოცანას. მაგრამ ამის მთლიანად და სავსებით დამტკიცება, ჩემი აზრით, საერთოდ შეუძლებელია. მოწოდებული მონაცემები ამტკიცებენ, რომ გასული წლიდან, როცა ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა დავიწყეთ, დღევანდლამდე ჩვენ უკვე ვისწავლეთ წინსვლა. თუ ჩვენ ეს ვისწავლეთ, დარწმუნებული ვარ, იმასაც ვისწავლით, რომ ამ გზაზე კვლავაც შემდგომ წარმატებებს მივაღწიოთ, თუ რაიმე განსაკუთრებულ სისულელეს არ ჩავიდენთ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ვაჭრობა, სახელდობრ საქონლის ბრუნვა, რაც ჩვენთვის აუცილებელია. და თუ ორი წლის განმავლობაში თავი გავართვით ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, რომ ომის მდგომარეობაში ვიმყოფებოდით (რადგან, როგორც მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე კვირაა, რაც ვლადივოსტოკი ავიღეთ), მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა შეგვიძლია სავსებით სისტემატურად შევუდგეთ სამეურნეო საქმიანობას, — თუ ჩვენ მაინც მივაღწიეთ იმას, რომ ქაღალდის მანეთის სიმტკიცის პერიოდი სამიდან ხუთ თვემდე ავიდა, მაშინ, მე მგონია, ნება მაქვს ვთქვა, რომ შეგვიძლია ამით კმაყოფილი ვიყოთ. ჩვენ ხომ განმარტოებული ვართ. ჩვენ არ მიგვიღია და არც ვიღებთ არავითარ სესხს. არც ერთი ის ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც ისე «ბრწყინვალედ» აწყობს თავის კაპიტალისტურ მეურნეობას, რომ დღესაც არ იცის, საით მიდის, ჩვენ არ დაგვხმარებია. ვერსალის ზავით მათ შექმნეს ისეთი ფინანსური სისტემა, რომელშიც თვითონაც ვერ გარკვეულან. თუ ეს დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები ამგვარად უძღვებიან მეურნეობას, მაშინ, მე მგონია, ჩვენ, ჩამორჩენილთ და გაუნათლებელთ, შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ უკვე იმითაც, რომ უმნიშვნელოვანეს მიზანს მივაღწიეთ: მივაღწიეთ მანეთის სტაბილიზაციის პირობებს. ეს მტკიცდება არა რაიმე თეორიული ანალიზით, არამედ პრაქტიკით, ხოლო პრაქტიკა, ვფიქრობ, ქვეყნად ყველა თეორიულ დისკუსიაზე უფრო

მნიშვნელოვანია. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ჩვენ აქ გადამჭრელ შედეგებს მივაღწიეთ, სახელდობრ — ვიწყებთ ჩვენი მეურნეობის წინწაწევას მანეთის სტაბილიზაციის მიმართულებით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისათვის, საქონლის თავისუფალი ბრუნვისათვის, გლეხებისა და წვრილ მწარმოებელთა უზარმაზარი მასისათვის.

ახლა გადავდივარ ჩვენს სოციალურ მიზნებზე. უმთავრესია, რა თქმა უნდა, გლეხობა. 1921 წელს გლეხობის უდიდესი ნაწილი, ეჭვი არ არის, უკმაყოფილო იყო. შემდეგ შიმშილობა დაგვიდგა. ეს იყო ყველაზე მძიმე განსაცდელი გლეხობისათვის. და სავსებით ბუნებრივია, რომ მთელი საზღვარგარეთი აყვირდა მაშინ: «აი, დახეთ, აი სოციალისტური ეკონომიკის შედეგებიო». სავსებით ბუნებრივია, რა თქმა უნდა, რომ მათ კრინტიც არ დასძრეს იმაზე, რომ შიმშილი ნამდვილად იყო სამოქალაქო ომის საზარელი შედეგი. ყველა მემამულე და კაპიტალისტი, რომელთაც დაიწყეს ჩვენზე შემოტევა 1918 წელს, ისე გვიხატავდა საქმეს, თითქოს შიმშილი სოციალისტური ეკონომიკის შედეგი ყოფილიყოს. შიმშილი მართლაც დიდი და სერიოზული უბედურება იყო, ისეთი უბედურება, რომელიც მთელ ჩვენს ორგანიზაციულსა და რევოლუციურ მუშაობას მოსპობას უქადდა.

ამრიგად, ახლა გეკითხებით: როგორ არის საქმე ამჟამად, ამ არნახული და მოულოდნელი უბედურების შემდეგ, იმის შემდეგ, რაც ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, იმის შემდეგ, რაც ვაჭრობის თავისუფლება მივეცით გლეხებს? პასუხი ნათელია და ყველასათვის აშკარა, სახელდობრ: გლეხობა ერთი წლის განმავლობაში არათუ გაუმკლავდა შიმშილობას, არამედ იმოდენა სასურსათო გადასახადი ჩაგვაბარა, რომ ჩვენ უკვე ახლა ასობით მილიონი ფუთი მივიღეთ, ამასთან ისე, რომ თითქმის არ მიგვიმართავს იძულების რაიმე ღონისძიებებისათვის. გლეხთა აჯანყებები, რაც წინათ, 1921 წლამდე, ასე ვთქვათ, საერთო მოვლენა იყო რუსეთში, თითქმის სრულიად გაქრა. გლეხობა კმაყოფილია თავისი ახლანდელი

მდგომარეობით. ეს ჩვენ გულდამშვიდებით შეგვიძლია ვთქვათ. ჩვენი აზრით, ეს საბუთები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაც სტატისტიკური საბუთები. გლეხობა რომ ჩვენში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, — ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს გლეხობა ამჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ არავითარი საბაბი არა გვაქვს მოველოდეთ მისი მხრივ რაიმე მოძრაობას ჩვენს წინააღმდეგ. ამას ვამბობთ სრული შეგნებით, გაუზვიადებლად. ეს უკვე მიღწეულია. გლეხობა შეიძლება უკმაყოფილო იყოს ჩვენი ხელისუფლების მუშაობის ამა თუ იმ მხარით, ის შეიძლება ჩიოდეს. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლოა და აუცილებელიც, რადგან ჩვენი აპარატი და ჩვენი სახელმწიფო მეურნეობა ჯერ კიდევ მეტად ცუდია, რომ ეს თავიდან ავიცილოთ, მაგრამ მთელი გლეხობა რომ რაიმე სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდეს ჩვენს მიმართ, ყოველ შემთხვევაში, ეს სრულიად გამორიცხულია. ეს მიღწეულია ერთი წლის განმავლობაში. მე მგონია, ეს უკვე ძალიან დიდი საქმეა.

გადავდივარ შემდეგ მსუბუქ ინდუსტრიაზე. სწორედ მრეწველობაში ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავებდეთ მძიმე და მსუბუქ მრეწველობას, რადგან ისინი სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც შეეხება მსუბუქ მრეწველობას, შემიძლია დამშვიდებით ვთქვა: მას საერთო აღმავლობა ემჩნევა. დეტალებს არ გამოვუდგები. ჩემს ამოცანას არ შეადგენს სტატისტიკური მონაცემების მოწოდება. მაგრამ ეს საერთო შთაბეჭდილება ფაქტებზეა დამყარებული, და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მასში სისწორეს ან სიზუსტეს მოკლებული არაფერია. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მსუბუქი მრეწველობის საერთო აღმავლობა და ამასთან დაკავშირებით როგორც პეტროგრადის, ისე მოსკოვის მუშათა მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესება. სხვა რაიონებში ეს ნაკლებ შესამჩნევია, იმიტომ რომ იქ სჭარბობს მძიმე მრეწველობა, ასე რომ ეს გარემოება არ უნდა განვაზოგადოთ. მაინც, ვიმეორებ: მსუბუქი მრეწველობა უსათუოდ აღმავლობის გზაზეა, და პეტროგრადისა და მოსკოვის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება

უეჭველია. ორივე ამ ქალაქში 1921 წლის გაზაფხულზე მუშებს შორის უკმაყოფილება იყო. ახლა ეს აღარ არის. ჩვენ, რომლებიც დღითი დღე თვალს ვადევნებთ მუშების მდგომარეობასა და განწყობილებას, არ ვცდებით ამ საკითხში.

/ მესამე საკითხი ეხება მძიმე მრეწველობას. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ მძიმე რჩება. ერთგვარი შემობრუნება ამ მდგომარეობას დაეტყო 1921 — 1922 წელს. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში მდგომარეობა გაუმჯობესდება. საამისოდ ნაწილობრივ უკვე შევაგროვეთ საჭირო საშუალებები. კაპიტალისტურ ქვეყანაში მძიმე მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ასეული მილიონობით დასჭირდებოდათ სესხი, ურომლისოდ გაუმჯობესება შეუძლებელი იქნებოდა. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური ისტორია ამტკიცებს, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში მხოლოდ დოლარის ან ოქროს მანეთის ასეულ მილიონობით გრძელვადიან სესხთა საშუალებით შეიძლება მძიმე მრეწველობის ფეხზე დაყენება. ჩვენ ეს სესხები არა გვქონდა, და დღემდე არაფერი მიგვიღია. ის, რასაც ახლა წერენ კონცესიებზე და სხვა ამგვარ რამეებზე, თითქმის არაფერს შეიცავს, გარდა ქაღალდისა. უკანასკნელ ხანებში ამის შესახებ ძალიან ბევრს ვწერდით, განსაკუთრებით ურკარტის კონცესიაზეც. თუმცა ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა ძალიან კარგი მგონია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომგებიანი კონცესია ჩვენ ჯერ არა გვაქვს. გთხოვთ ამას ნუ დაივიწყებთ. ამრიგად, მძიმე მრეწველობის მდგომარეობა მართლაც მეტად მძიმე საკითხს წარმოადგენს ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნისათვის, რადგან არ შეგვეძლო მდიდარი ქვეყნებისაგან სესხის მიღების იმედი გვქონდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვატყობთ უკვე შესამჩნევ გაუმჯობესებას და ვხედავთ აგრეთვე, რომ ჩვენმა სავაჭრო საქმიანობამ უკვე ერთგვარი კაპიტალიც შეგვძინა. მართალია, ეს კაპიტალი ჯერჯერობით ძლიერ მცირეა, ოც მილიონ ოქროს მანეთს ძლივს აღემატება. ყოველ შემთხვევაში, საფუძველი ჩაყრილია: ჩვენი ვაჭრობა გვაძლევს საშუალებებს, რაც შეგვიძლია გამოვიყენოთ მძიმე

მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამჟამად ჩვენი მძიმე მრეწველობა ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. მაგრამ მე მგონია, რომ უკვე შეგვიძლია ცოტა რამ დანაზოგი შემოვინახოთ. ჩვენ მომავალშიც ასე მოვიქცევით. თუმცა ხშირად ეს მოსახლეობის ხარჯზე ხდება, მაგრამ ახლა მაინც მომჭირნეობა უნდა გავწიოთ. ჩვენ ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ შევამციროთ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, შევამციროთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი. ჩვენი სახელმწიფო აპარატის შესახებ მე ქვევით ვიტყვი კიდევ რამდენიმე სიტყვას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევამციროთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, უნდა ვიმომჭირნეოთ, რამდენადაც კი შესაძლებელია. ჩვენ ვმომჭირნეობთ ყველაფერზე, სკოლებზედაც კი. ეს უნდა იყოს, რადგან ვიცით, რომ თუ მძიმე მრეწველობა ვერ ვიხსენით, თუ იგი ვერ აღვადგინეთ, ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაგებთ, უამისოდ კი ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, საერთოდ დავიღუპებით. ჩვენ ეს კარგად ვიცით.

რუსეთისათვის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწოდებს გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მ ძ ი მ ე ინდუსტრია. ხოლო იგი რომ კარგ მდგომარეობაში მოვიყვანოთ, ამისათვის საჭირო იქნება მრავალი წლის მუშაობა.

მძიმე ინდუსტრიას სჭირდება სახელმწიფო სუბსიდიები. თუ ჩვენ მათ ვერ გამოვძებნით, მაშინ ჩვენ, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, — მე უკვე აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური, — დავიღუპებით. ამრიგად, ამ მხრივ ჩვენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგით. ჩვენ ვიშოვეთ სახსრები მძიმე ინდუსტრიის საკუთარ ფეხზე დასაყენებლად. მართალია, დღემდე ნაშოვნი თანხა ძლივს აღემატება ოც მილიონ ოქროს მანეთს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს თანხა გვაქვს, და ის [illegible]

მე ვფიქრობ, რომ, როგორც შეგპირდით, საერთოდ და მოკლედ აღვნიშნე ჩვენი სახალხო მეურნეობის უმთავრესი ელემენტები, და მგონია, რომ ყოველივე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე ახლავე მოგვცა წარმატება. უკვე ახლა გვაქვს იმის საბუთი, რომ ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, შეგვიძლია გავუძღვეთ ვაჭრობას, შევინარჩუნოთ მტკიცე პოზიციები სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიისა და გავწიოთ წინ. პრაქტიკულმა საქმიანობამ დაამტკიცა ეს. ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ეს საკმაოა ჩვენთვის. ჯერ კიდევ ბევრი სწავლა დაგვჭირდება, და ჩვენ შევიგნეთ, რომ აუცილებელია კიდევ ვისწავლოთ. ხუთი წელიწადია ძალაუფლება გვიპყრია და ამასთან ამ ხუთივე წლის განმავლობაში ომის მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. მაშასადამე, გვქონია წარმატება.

ეს გასაგებია, იმიტომ რომ გლეხობა ჩვენს მხარეზე იყო. ძნელია იმაზე მეტად ჩვენს მხარეზე ყოფნა, ვიდრე გლეხობა იყო. მას ესმოდა, რომ თეთრებს ზურგს უმაგრებენ მემამულეები, რომელნიც დედამიწაზე ყველაზე უფრო სძულს მას. ამიტომ გლეხობა მთელი ენთუზიაზმით, მთელი ერთგულებით გვიჭერდა მხარს. ძნელი არ იყო იმის მიღწევა, რომ გლეხობას ჩვენ დავეცავით თეთრებისაგან. გლეხები, რომელთაც წინათ სძულდათ ომი, არაფერს ზოგავდნენ ომისათვის თეთრების წინააღმდეგ, სამოქალაქო ომისათვის მემამულეების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ეს კიდევ არა კმაროდა, იმიტომ რომ არსებითად აქ საქმე მხოლოდ იმას ეხებოდა, მემამულეების თუ გლეხების ხელში დარჩებოდა ძალაუფლება. ჩვენთვის ეს არ კმაროდა. გლეხებს ესმით, რომ ჩვენ ძალაუფლება მოვიპოვეთ მუშებისათვის და ჩვენი მიზანია — ამ ძალაუფლების საშუალებით სოციალისტური წესწყობილების შექმნა. ამიტომ ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო სოციალისტური მეურნეობის ეკონომიური მომზადება. ჩვენ არ შეგვეძლო პირდაპირი გზით მოგვემზადებინა იგი. ჩვენ იძულებული ვყოფილიყავით მიხვეულ-მოხვეული გზებით გაგვეკეთებინა ეს. სახელმწიფო

კაპიტალიზმი, რა სახითაც იგი დავამყარეთ ჩვენში, თავისებურ სახელმწიფო კაპიტალიზმს წარმოადგენს. იგი არ შეესაბამება სახელმწიფო კაპიტალიზმის ჩვეულებრივ გაგებას. ჩვენს ხელთ არის ყველა მბრძანებელი მაღლობი, ჩვენს ხელთ არის მიწა, იგი სახელმწიფოს ეკუთვნის. ეს მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენს მოწინააღმდეგეთ საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ეს არაფერს ნიშნავდეს. ეს არ არის სწორი. ის გარემოება, რომ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის, უაღრესად საგულისხმოა და ამას აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეკონომიური მხრივაც. ამას ჩვენ მივაღწიეთ, და უნდა განვაცხადო, რომ მთელი ჩვენი შემდგომი მოღვაწეობაც მხოლოდ ამ ფარგლებში უნდა ვითარდებოდეს. ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი გლეხობა კმაყოფილია, რომ მრეწველობა ცოცხლდება და ვაჭრობაც ცოცხლდება. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი სახელმწიფო კაპიტალიზმი იმით განირჩევა სიტყვასიტყვით გაგებული სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, რომ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია არა მარტო მიწა, არამედ მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწილიც. პირველ ყოვლისა ჩვენ იჯარით გავეცით წვრილი და საშუალო ინდუსტრიის განსაზღვრული ნაწილი, ყოველივე დანარჩენი კი ჩვენს ხელში რჩება. რაც შეეხება ვაჭრობას, მინდა კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ვცდილობთ დავაარსოთ შერეული საზოგადოებანი, რომ უკვე ვაარსებთ მათ, ე. ი. ისეთი საზოგადოებანი, სადაც კაპიტალის ნაწილი კერძო, ამასთან უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნით, მეორე ნაწილი კი ჩვენ გვეკუთვნის. ჯერ-ერთი, ამ გზით ჩვენ ვაჭრობას ვსწავლობთ, ეს კი ჩვენთვის აუცილებელია, და, მეორეც, ჩვენ ყოველთვის გვაქვს საშუალება, თუ ამას საჭიროდ დავინახავთ, ლიკვიდაცია ვუყოთ ასეთ საზოგადოებას, ასე რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, არაფერს ვკარგავთ. კერძო კაპიტალისტისაგან კი ჩვენ ვსწავლობთ და ვუკვირდებით იმას, თუ როგორ შეგვიძლია ფეხზე დავდგეთ და რა შეცდომებს ჩავდიოართ. მე მგონია, რომ ამით შემიძლია დავკმაყოფილდე.

მინდოდა კიდევ შევხებოდი ზოგიერთ უმნიშვნელო პუნქტს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ჩავიდინეთ და კვლავაც ჩავიდენთ მრავალ სისულელეს. არავის შეუძლია ამის ისე განსჯა და ისე თვალსაჩინოდ დანახვა, როგორც მე. (ს ი ც ი ლ ი.) რად ჩავდივართ ხოლმე სისულელეს? ეს გასაგებია: ჯერ-ერთი, ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ; მეორე, განათლება ჩვენს ქვეყანაში მინიმალურია; მესამე, არ ვიღებთ დახმარებას. არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო ჩვენ არ გვეხმარება. პირიქით, ყველა ისინი ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობენ. მეოთხე, ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ჩვენს სახელმწიფო აპარატს. ჩვენ დავტოვეთ ძველი სახელმწიფო აპარატი, და ეს იყო ჩვენი უბედურება. სახელმწიფო აპარატი ძალიან ხშირად ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. საქმე ისე იყო, რომ 1917 წელს, მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ჩავიგდეთ ხელში, სახელმწიფო აპარატი საბოტაჟს გვიწევდა. ჩვენ მაშინ ძალიან შევშინდით და ვთხოვეთ: «გეთაყვათ, დაბრუნდით ჩვენთან». და აი ისინი ყველანი დაბრუნდნენ, და ეს იყო ჩვენი უბედურება. ჩვენ ახლა უამრავი მოსამსახურე გვყავს, მაგრამ არა გვყავს საკმაოდ განათლებული ძალები, რომ ნამდვილად განაგონ ისინი. საქმით ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ აქ, ზევით, სადაც სახელმწიფო ხელისუფლებაა, აპარატი რის ვაივაგლახით მუშაობს, იმ დროს როდესაც ქვევით ისინი თვითნებურად განაგებენ და განაგებენ ისე, რომ ძალიან ხშირად ჩვენ ღონისძიებათა წინააღმდეგ მუშაობენ. ზევით ჩვენ გვყავს ჩვენი ხალხი, არ ვიცი რამდენი, მაგრამ ვფიქრობ, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე ათასი, მაქსიმუმ რამდენიმე ათი ათასი. მაგრამ ქვევით — ასიათასობით ძველი მოხელე, მეფისა და ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან მიღებული, რომლებიც ნაწილობრივ შეგნებულად, ნაწილობრივ შეუგნებლად ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ. აქ მოკლე ხანში ვერაფერს გახდები, ეს უეჭველია. აქ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ მრავალი წლის განმავლობაში, რომ გავაუმჯობესოთ აპარატი, შევცვალოთ იგი და მოვიზიდოთ ახალი ძალები. ჩვენ ამას ვაკეთებთ საკმაოდ სწრაფი ტემპით, შესაძლოა, მეტად სწრაფი ტემპითაც კი დაარსებულია

საბჭოთა სკოლები, მუშათა ფაკულტეტები, რამდენიმე ასი ათასი ახალგაზრდა სწავლობს, — სწავლობს, შეიძლება, მეტისმეტი სიჩქარითაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მუშაობა დაწყებულია, და ვფიქრობ, რომ ეს მუშაობა თავის ნაყოფს გამოიღებს. თუ გადამეტებული აჩქარებით არ ვიმუშავებთ, რამდენიმე წლის შემდეგ გვეყოლება მრავალი ახალგაზრდა, რომელთაც შეეძლებათ სრულიად შეცვალონ ჩვენი აპარატი.

მე ვთქვი, რომ უამრავი სისულელე ჩავიდინეთ-მეთქი, მაგრამ ამასთანავე ზოგი რამ ამ მხრივ ჩვენი მოწინააღმდეგეების შესახებაც უნდა მოგახსენოთ. თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი მიგვითითებენ და ამბობენ: აი, ლენინი თვითონ აღიარებს, რომ ბოლშევიკებმა უამრავი სისულელე ჩაიდინესო, მე მინდა ამაზე მივუგო მათ: დიახ, მაგრამ იცით რა, ჩვენი სისულელეები მაინც სულ სხვა ჯურისაა, ვიდრე თქვენი. ჩვენ ეს-ეს არის სწავლა დავიწყეთ, მაგრამ ისეთი სისტემატურობით ვსწავლობთ, რომ დარწმუნებული ვართ, კარგ შედეგებს მივაღწევთ. მაგრამ რაკი ჩვენი მოწინააღმდეგენი, ე. ი. კაპიტალისტები და II ინტერნაციონალის გმირები, ხაზგასმით აღნიშნავენ ჩვენს მიერ ჩადენილ სისულელეებს, ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო აქ შედარებისათვის ერთი ცნობილი რუსი მწერლის სიტყვები; ამ სიტყვებს მე რამდენადმე შევცვლი, მაშინ ეს ასე ითქმის: როცა ბოლშევიკები სისულელეს სჩადიან, ბოლშევიკი ამბობს: «ორჯერ ორი — ხუთიაო»; ხოლო როცა მისი მოწინააღმდეგენი, ე. ი. კაპიტალისტები და II ინტერნაციონალის გმირები, სჩადიან სისულელეს, მათ ასე გამოუდით: «ორჯერ ორი — სტეარინის სანთელიაო». ამის დამტკიცება ძნელი არ არის. აიღეთ, მაგალითად, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის მიერ კოლჩაკთან დადებული ხელშეკრულება. გეკითხებით: უფრო განათლებული და ძლიერი სახელმწიფოები მოიპოვება კიდევ ქვეყნად? და მერე რა გამოვიდა? მათ აღუთქვეს კოლჩაკს დახმარება წინასწარ გამოუანგარიშებლად, მოუაზრებლად, შეუმოწმებლად. ეს ისეთი ფიასკო იყო, რომლის გაგება, ჩემი აზრით, ადამიანის გონების თვალსაზრისით ძნელიცაა.

ანდა მეორე მაგალითი, კიდევ უფრო მახლობელი და უფრო შნიშვნელოვანი: ვერსალის ზავი. გეკითხებით: რა გააკეთეს აქ «დიდმა», «სახელმოხვეჭილმა» სახელმწიფოებმა? როგორ უნდა იპოვონ ახლა მათ გამოსავალი ამ ქაოსიდან და უაზრობიდან? ვფიქრობ, გაზვიადება არ იქნება, თუ გავიმეორებ, რომ ჩვენი სისულელეები არარაა იმ სისულელეებთან შედარებით, რომელთაც სჩადიან ერთად კაპიტალისტური სახელმწიფოები, კაპიტალისტური სამყარო და II ინტერნაციონალი. ამიტომ მე მგონია, რომ მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები — თემა, რომელსაც მე მოკლედ უნდა შევეხო, — კეთილსასურველია. და ერთი განსაზღვრული პირობით, მე მგონია, ეს პერსპექტივები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ამ პირობებზე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა.

1921 წელს III კონგრესზე ჩვენ მივიღეთ ერთი რეზოლუცია — კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული წყობის, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ. რეზოლუცია ჩინებულია, მაგრამ იგი თითქმის ერთიანად რუსულია, ე. ი. ყველაფერი აღებულია რუსეთის პირობებიდან. ამაშია მისი კარგი მხარე, მაგრამ ამასთანავე ცუდიც. ცუდი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი უცხოელი მას ვერ წაიკითხავს — მე ეს რეზოლუცია ხელახლა გადავიკითხე, ვიღრე ამას ვიტყოდი. ჯერ-ერთი, ის მეტად გრძელია, 50 თუ მეტ პარაგრაფს შეიცავს. ჩვეულებრივ ასეთ რამეებს უცხოელები ვერ კითხულობენ. მეორე, კიდევაც რომ წაიკითხონ, ვერც ერთი უცხოელი მას ვერ გაიგებს, სწორედ იმიტომ, რომ ის მეტისმეტად რუსულია. არა იმიტომ, რომ რუსულად არის დაწერილი, — იგი ჩინებულად არის ნათარგმნი ყველა ენაზე, — არამედ იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე რუსული სულით არის გაჟღენთილი. მესამე, თუნდაც გამონაკლისის სახით კიდევაც გაიგოს ის რომელიმე უცხოელმა, შესრულებას მაინც ვერ შესძლებს. ეს არის მისი მესამე ნაკლი. მე ვესაუბრე ზოგიერთ აქ ჩამოსულ დელეგატს და იმედი მაქვს კონგრესის შემდგომ მსვლელობაში, თუმცა პირადად ვერ მივიღებ მასში მონაწილეობას, — ეს, სამწუხაროდ, ჩემთვის შეუძლებელია, —

დაწერილებით მოველაპარაკები სხვადასხვა ქვეყნის დელეგატთა დიდ რაოდენობას. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩვენ ამ რეზოლუციით დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, სახელდობრ, რომ ჩვენ თვითონვე გადავუჭერით ჩვენ თავს გზა შემდგომი წარმატებისაკენ. როგორც უკვე ვთქვი, რეზოლუცია საუცხოოდ არის შედგენილი, მე ხელს ვაწერ ყველა მის 50 თუ მეტ პარაგრაფს. მაგრამ ჩვენ ვერ გავიგეთ, როგორ უნდა მივუდგეთ უცხოელებს ჩვენი რუსული გამოცდილებით. ყველაფერი, რაც ნათქვამია რეზოლუციაში, მკვდარ ასოდ დარჩა. მაგრამ თუ ამას ვერ გავიგებთ, წინ ვერ წავიწევთ. მე მგონია, ყველა ჩვენთვის, როგორც რუსი, ისე უცხოელი ამხანაგებისათვისაც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსეთის რევოლუციის ხუთი წლის შემდეგ უნდა ვისწავლოთ. მხოლოდ ახლა მოვიპოვეთ სწავლის შესაძლებლობა. არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდება ეს შესაძლებლობა. არ ვიცი, რამდენხანს მოგვცემენ დამშვიდებით სწავლის შესაძლებლობას კაპიტალისტური სახელმწიფოები. მაგრამ სამხედრო საქმისაგან, ომისაგან თავისუფალი ყოველი წუთი უნდა მოვანდომოთ სწავლას და ამასთან თავიდან სწავლას.

მთელი პარტია და რუსეთის ყველა ფენა ამტკიცებენ ამას ცოდნის წყურვილით. სწავლისადმი ეს მისწრაფება გვიჩვენებს, რომ ამჟამად ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა: სწავლა და სწავლა. მაგრამ უნდა ისწავლონ აგრეთვე უცხოელმა ამხანაგებმაც, არა იმ აზრით, როგორც ჩვენ უნდა ვისწავლოთ — კითხვა, წერა და წაკითხულის გაგება, რის სწავლაც ჩვენ კიდევ გვესაჭიროება. დავობენ იმაზე, პროლეტარულ კულტურას ეკუთვნის ეს თუ ბურჟუაზიულსო? მე ამ საკითხს ღიად ვტოვებ. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია: პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ვისწავლოთ კითხვა, წერა და წაკითხულის გაგება. უცხოელებს ეს არ სჭირდებათ. მათთვის საჭიროა რაღაც უფრო მაღალი რამ: პირველ ყოვლისა ამაში შედის ისიც, რომ იმათაც გაიგონ, რასაც ჩვენ ვწერდით კომუნისტური პარტიების ორგანიზაციულ წყობაზე და რასაც უცხოელმა ამხანაგებმა წაუკითხავად და გაუგებლად მოაწერეს ხელი. ეს უნდა

გახდეს მათი პირველი ამოცანა. აუცილებელია ამ რეზოლუციის სისრულეში მოყვანა. ერთი ღამის განმავლობაში ამას ვერ იზამ, ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. რეზოლუცია მეტის-მეტად რუსულია: იგი ასახავს რუსეთის გამოცდილებას, ამიტომ იგი უცხოელებისათვის სრულიად გაუგებარია, და მათ არ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ იმით, რომ დაჰკიდონ იგი ხატივით კუთხეში და ილოცონ მასზე. ამით ვერაფერს მიაღწევ. მათ უნდა შეითვისონ რუსული გამოცდილების ნაწილი. როგორ მოხდება ეს, არ ვიცი. შეიძლება, დიდი სამსახური გაგვიწიონ, მაგალითად, ფაშისტებმა იტალიაში, იმით, რომ განუმარტავენ იტალიელებს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ განათლებულნი და რომ მათი ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული შავი რაზმისაგან. შეიძლება, ეს ძალიან სასარგებლო გამოდგეს. ჩვენ, რუსებმა, აგრეთვე უნდა ვეძებოთ გზები, თუ როგორ განვუმარტოთ უცხოელებს ამ რეზოლუციის საფუძვლები. თორემ მათ აბსოლუტურად არ ძალუძთ ამ რეზოლუციის შესრულება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უნდა ვუთხრათ ამ მხრივ არა მარტო რუს, არამედ უცხოელ ამხანაგებსაც, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იმ პერიოდში, რომელიც ახლა დგება, ეს არის სწავლა. ჩვენ ვსწავლობთ ზოგადი აზრით. მათ კი უნდა ისწავლონ სპეციალური აზრით, რომ ნამდვილად ჩასწვდნენ რევოლუციური მუშაობის ორგანიზაციას, აგებას, მეთოდს და შინაარსს. თუ ეს მოხდება, მაშინ, დარწმუნებული ვარ, მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები იქნება არათუ კარგი, არამედ ჩინებულიც. (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «გაუმარჯოს ჩვენს ამხანაგ ლენინს!» ა ხ ა ლ მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა ს ი წ ვ ე ვ ს.)

«პრავდა» № 258,
1922 წ. 15 ნოემბერი

იბეჭდება «კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის ბიულეტენის» № 8 ტექსტის მიხედვით, 1922 წ. 16 ნოემბერი, ტექსტისა, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ გასწორებულ გერმანულ სტენოგრამასთან

მისალმება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას [102]

უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ გამოფენას; დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ორგანიზაცია აღმოუჩენს მას სრულ დახმარებას. სულით და გულით გისურვებთ საუკეთესო წარმატებას.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 14. XI.

დაიბეჭდა 1922 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჯგუფს «CLARTÉ»-ს [103]

1922 წ. 15 ნოემბერი

ძვირფასო მეგობრებო!

ვსარგებლობ შემთხვევით მოგიძღვნათ საუკეთესო სალამი. მე მძიმე ავადმყოფი ვიყავი და ერთ წელზე მეტია არ შემეძლო მენახა თქვენი ჯგუფის არც ერთი ნაწარმოები. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ორგანიზაცია **«des anciens combattants»** * განაგრძობს არსებობას, იზრდება და მტკიცდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ სულიერადაც იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაღრმავებისა და გაფართოების მხრივ. ასეთი ომის წინააღმდეგ ბრძოლას ღირს შესწიროს კაცმა სიცოცხლე, ამ ბრძოლაში უნდა იყო ულმობელი, ყველა სოფიზმი მის დასაცავად უკანასკნელ კუნჭულამდე უნდა დევნო.

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. ფრანგულ ენაზე ჟურნალში **«Clarté» № 71** რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ომის ყოფილი მონაწილეებისა. რ ე დ.

სიტყვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1922 წ. 20 ნოემბერს [104]

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა ში, «ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი».) ამხანაგებო! ძალიან ვწუხვარ და ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ შევძელი უფრო ადრე მოვსულიყავი თქვენს სხდომაზე. თქვენ, რამდენადაც ვიცი, რამდენიმე კვირის წინათ აპირებდით მოგეცათ ჩემთვის შესაძლებლობა მომენახულებინა მოსკოვის საბჭო. ამას ვერ ვახერხებდი იმიტომ, რომ ავადმყოფობის შემდეგ, დეკემბრიდან დაწყებული, მე, პროფესიონალისტის ენით რომ ვთქვათ, დავკარგე შრომისუნარიანობა საკმაოდ ხანგრძლივი ვადით, და შრომისუნარიანობის შემცირების გამო იძულებული გავხდი კვირით კვირამდე გადამედო ეს გამოსვლა. აგრეთვე მომიხდა სამუშაოს მეტად საგრძნობი ნაწილი, რომელიც თავდაპირველად, თუ გახსოვთ, დავაკისრე ამხ. ციურუპას, შემდეგ კი ამხ. რიკოვს, დამატებით დამეკისრებინა კიდევ ამხ. კამენევისათვის. და უნდა ითქვას, რომ მას, ჩემ მიერ უკვე ნახმარ შედარებას თუ მივმართავ, უეცრივ ორი ურემი დააწვა. თუმცა, იგივე შედარება რომ განვაგრძოთ, უნდა ითქვას, რომ ცხენი განსაკუთრებით უნარიანი და გულმოდგინე გამოდგა. მაგრამ მაინც ორი ურმის ზიდვა არ შეიძლება, და ახლა მოუთმენლად მოველი იმ დროს, როცა დაბრუნდებიან ამხ. ციურუპა და ამხ. რიკოვი, და ჩვენ გავინაწილებთ სამუშაოს ცოტათი მაინც სამართლიანად. მე კი შრომისუნარიანობის შემცირების გამო საქმეს გაცილებით მეტი დრო უნდა მოვანდომო, ვიდრე ეს მსურს.

1921 წ. დეკემბერში, როდესაც მუშაობის სრულიად შეწყვეტა მომიხდა, წლის დასასრული იყო. მაშინ ჩვენ ვახორ-

ციელებდით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას, და მაშინ უკვე აღმოჩნდა, რომ ეს გადასვლა, თუმცა მას ხელი მოვკიდეთ 1921 წ. დამდეგიდან, საკმაოდ ძნელია, მე ვიტყოდი — მეტად ძნელია. წელიწად-ნახევარზე მეტმა განვლო, რაც ამ გადასვლას ვახორციელებთ, როცა, თითქოს, დროა უკვე უმრავლესობა გადაჯდეს ახალ ადგილებზე და მოეწყოს ახალი პირობების შესაბამისად, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

საგარეო პოლიტიკის მხრივ ცვლილებები ყველაზე ნაკლები აღმოჩნდა. აქ ჩვენ განვაგრძობდით იმ გეზს, რომელიც წინათ გვქონდა აღებული, და მე მიმაჩნია, შემიძლია გითხრათ სინდისის ქვეშ, რომ განვაგრძობდით მას სავსებით თანამიმდევრად და უდიდესი წარმატებით. თუმცა საჭირო არ არის ამაზე დაწვრილებით მოგახსენოთ: ვლადივოსტოკის აღებამ, მის შემდეგ მომხდარმა დემონსტრაციამ და სახელმწიფო-ფედერაციული ხასიათის განცხადებამ, რომელიც ამ დღეებში წაიკითხეთ გაზეთებში [105], ცხადზე უცხადესად დაამტკიცა და გვიჩვენა, რომ ამ მხრივ არაფრის შეცვლა არ მოგვიხდება. ჩვენ სავსებით ნათლად და გარკვევით შემოხაზულ გზას ვადგავართ, და ჩვენი წარმატება უზრუნველვყავით მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე, თუმცა ზოგიერთი მათგანი აქამდე ჭზად არის განაცხადოს, რომ არ სურს ჩვენთან ერთად ერთ მაგიდას შემოუსხდეს. მიუხედავად ამისა, ეკონომიური ურთიერთობა, ამასთან ერთად დიპლომატიური ურთიერთობაც გვარდება, უნდა მოგვარდეს, უსათუოდ მოგვარდება. ყოველი სახელმწიფო, რომელიც ამას წინააღმდეგობას უწევს, რისკს წევს დაგვიანებული არ აღმოჩნდეს და, შეიძლება, რაიმეში, საკმაოდ არსებითში, რისკს წევს არახელსაყრელ პირობებში არ აღმოჩნდეს. ახლა ამას ყველა ჩვენგანი ხედავს, და არა მარტო გაზეთებიდან. ვფიქრობ, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობიდანაც ამხანაგები რწმუნდებიან იმაში, თუ რამდენად დიდია მომხდარი ცვლილებები. ამ მხრივ ჩვენ არ მოგვიხდენია, ასე ვთქვათ, თუ ძველ შედარებას ვიხმართ, არავითარი გადაჯდომა, არც სხვა მატარებელში, არც სხვა ეტლში.

ხოლო რაც შეეხება ჩვენს საშინაო პოლიტიკას, აქ გადაჯდომა, რომელიც 1921 წ. გაზაფხულზე მოვახდინეთ, რაც ნაკარნახევი იყო განსაკუთრებული ძალისა და დამაჯერებლობის მქონე გარემოებებით, ისე რომ ამ გადაჯდომის შესახებ ჩვენს შორის არავითარი კამათი და არავითარი უთანხმოება არ ყოფილა, — აი ეს გადაჯდომა ახლაც გვიქმნის ზოგიერთ სიძნელეს, მე ვიტყოდი, ახლაც გვიქმნის დიდ სიძნელეებს. არა იმიტომ, რომ ჩვენ ეჭვი შეგვეპარებოდა შემობრუნების აუცილებლობაში, — ამ მხრივ არავითარი ეჭვი არ არის, — არა იმიტომ, რომ ეჭვი შეგვეპარებოდა, მოგვცემდა თუ არა ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მოსინჯვა იმ წარმატებებს, რომელთაც მოველოდით. ამის შესახებაც, შემიძლია ვთქვა სავსებით გარკვეულად, არავითარი ეჭვი არ არის არც ჩვენი პარტიის რიგებში, არც უპარტიო მუშებისა და გლეხების უზარმაზარი მასების რიგებში.

ამ მხრივ საკითხი არ წარმოადგენს სიძნელეს. სიძნელეები ჩნდება იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე წამოიჭრა ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად ძალიან ხშირად საჭიროა ახალი ადამიანების მოზიდვა, საჭიროა განსაკუთრებული ზომების და განსაკუთრებული ხერხების გატარება. ჩვენ კიდევ ეჭვი გვებადება ერთისა თუ მეორის სისწორის გამო, არის ცვლილებები ამა თუ იმ მიმართულებით, და უნდა ითქვას, რომ ერთიც და მეორეც კიდევ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩება. «ახალი ეკონომიური პოლიტიკა»! უცნაური სახელწოდებაა. ამ პოლიტიკას ახალი ეკონომიური პოლიტიკა იმიტომ ეწოდა, რომ იგი უკან იხევს. ჩვენ ახლა უკან ვიხევთ, თითქოს უკან ვიხევთ, მაგრამ ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, ხოლო შემდეგ გავქანდეთ და უფრო ძლიერად გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავიხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისას. სად და როგორ უნდა გადავჯგუფდეთ ახლა, შევეგუოთ, ხელახლა დავირაზმოთ, რომ უკან დახევის შემდეგ დავიწყოთ უაღრესად შეუპოვარი შეტევა წინ, ჯერ კიდევ არ ვიცით. ნორმალური წესით რომ ყველა ეს მოქმედება გავატაროთ, საჭიროა, როგორც ანდაზა

ამბობს, არა ათჯერ, არამედ ასჯერ გავზომოთ, სანამ გადავწყვეტდეთ. ეს საჭიროა იმიტომ, რომ დავძლიოთ ის არაჩვეულებრივი სიძნელეები, რომელნიც წინ გვეღობება ყველა ჩვენი ამოცანისა და საკითხის გატარებისას. თქვენ მშვენივრად იცით, რამდენი მსხვერპლია გაღებული იმის მიღწევისას, რაც გაკეთებულია; თქვენ იცით, რა დიდხანს გრძელდებოდა სამოქალაქო ომი და რამდენი ძალა შეიწირა მან. და აი, ვლადივოსტოკის აღებამ (ვლადივოსტოკი ხომ შორსაა, მაგრამ ეს ქალაქი ხომ ჩვენია) (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი) ჩვენ ყველას დაგვანახვა საყოველთაო მისწრაფება ჩვენდამი, ჩვენი მონაპოვრებისადმი. აქაც და იქაც — რსფს რესპუბლიკაა. ამ მისწრაფებამ გვიხსნა სამოქალაქო მტრებისაგანაც და გარეშე მტრებისაგანაც, რომლებიც გვიტევდნენ. მე ვლაპარაკობ იაპონიის შესახებ.

ჩვენ მოვიპოვეთ სავსებით გარკვეული დიპლომატიური ვითარება, და ეს არის სწორედ მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებული დიპლომატიური ვითარება. თქვენ ყველანი ხედავთ ამას. თქვენ ხედავთ ამის შედეგებს, მაგრამ რამდენი დრო დასჭირდა ამას! ჩვენ ახლა მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენმა მტრებმა იცნეს ჩვენი უფლებები როგორც ეკონომიურ, ისე სავაჭრო პოლიტიკაში. ამას ამტკიცებს სავაჭრო ხელშეკრულებების დადება.

ჩვენ, რომლებიც წელიწად-ნახევრის წინათ დავადექით ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რატომ ასე არაჩვეულებრივად გვიძნელდება ამ გზით სიარული. ჩვენ ვცხოვრობთ ომით იმდენად დანგრეული, ყოველგვარი რამდენადმე ნორმალური კალაპოტიდან იმდენად ამოვარდნილი, იმდენად დაზარალებული და განაწამები სახელმწიფოს პირობებში, რომ ახლა ძალაუნებურად ყოველგვარ ანგარიშს ვიწყებთ მცირედით, მცირე პროცენტით — ომამდელი პროცენტით. ასეთ საზომს ვუყენებთ ჩვენი ცხოვრების პირობებს, ვუყენებთ ზოგჯერ ძალზე მოუთმენლად, ფიცხად, და ყოველთვის ვრწმუნდებით, რომ აქ უსაზღვრო სიძნელეებია. ამოცანა, რომელიც აქ დავისახეთ,

მით უფრო უსაზღვროდ გვეჩვენება, რომ მას ვადარებთ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირობებს. ეს ამოცანა იმიტომ დავისახეთ, რომ შეგნებული გვქონდა, რომ უმდიდრესი სახელმწიფოების დახმარებას, რაც ჩვეულებრივ ასეთ პირობებში მოდის, ამ დახმარებას ჩვენ არ ველოდებით. სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენ თითქმის ბოიკოტის პირობებში ჩაგვაყენეს, ე. ი. გვითხრეს: იმ ეკონომიურ კავშირურთიერთობას, რომელსაც ჩვენ შეჩვეული ვართ და რომელიც კაპიტალისტურ სამყაროში ნორმალური მოვლენაა, ამ კავშირურთიერთობას თქვენთან ვერ დავამყარებთო.

წელიწად-ნახევარზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას დავადექით, გაცილებით მეტმა დრომ განვლო ჩვენ მიერ პირველი საერთაშორისო ხელშეკრულების დადების დღიდან, და, მიუხედავად ამისა, აქამდე მთელი ბურჟუაზიისა და ყველა მთავრობის მიერ ჩვენთვის გამოცხადებული ეს ბოიკოტი თავის გავლენას ახდენს. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ამის იმედი გვქონდა, როდესაც ახალ ეკონომიურ პირობებზე გადავედით, და, მიუხედავად ამისა, ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ უნდა გადავსულიყავით და უნდა მიგვეღწია წარმატებისათვის განცალკევებულად. რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ყოველგვარი დახმარება, რომელიც შესაძლებელი იყო ჩვენთვის გაეწიათ, რომელსაც გაგვიწევენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, არათუ მოსპობს ამ პირობას, იგი, ალბათ, უმეტეს შემთხვევაში, ამ პირობას კიდევ უფრო გააძლიერებს, კიდევ უფრო გაამწვავებს. «განცალკევებულად», — ვთქვით ჩვენ. «განცალკევებულად», — გვეუბნება თითქმის ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელთანაც ჩვენ რაიმე გარიგება მოგვიხდენია, რომელთანაც ჩვენ რაიმე პირობა შეგვიკრავს, რომელთანაც ჩვენ რაიმე მოლაპარაკება დაგვიწყია. და ამაშია სწორედ განსაკუთრებული სიძნელე. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს სიძნელე. ჩვენი სახელმწიფო წყობილება ჩვენ შევიმუშავეთ სამ წელზე მეტი ხნის მუშაობით, რომელიც არაჩვეულებრივად მძიმე, არაჩვეულებრივად აღსავსე იყო გმირობით. იმ პირობებში,

რომლებშიც ჩვენ დღემდე ვიმყოფებოდით, ჩვენ არ გვეცალა გაგვერჩია—ხომ არ დავამტვრევთ რაიმე ზედმეტს, არ გვეცალა გაგვერჩია — ხომ არ იქნება ბევრი მსხვერპლი, იმიტომ რომ მსხვერპლი საკმაოდ ბევრი იყო, იმიტომ რომ ბრძოლა, რომელიც მაშინ დავიწყეთ (თქვენ მშვენივრად იცით, და ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია), ეს ბრძოლა იყო სამკვდროსასიცოცხლო ძველი საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით, რომ გამოგვეჭედა არსებობის, მშვიდობიანი განვითარების უფლება. ჩვენ ეს უფლება მოვიპოვეთ. ეს არ არის ჩვენი სიტყვები, არც ჩვენება მოწმეებისა, რომელთაც შეიძლება დასწამონ ჩვენდამი მიკერძოება. ეს არის ჩვენება იმ მოწმეებისა, რომლებიც ჩვენი მტრების ბანაკში იმყოფებიან და რომლებიც, რა თქმა უნდა, მიკერძოებას იჩენენ, მხოლოდ არა ჩვენს მიმართ, არამედ სულ სხვების მიმართ. ეს მოწმეები იმყოფებოდნენ დენიკინის ბანაკში, სათავეში ედგნენ ოკუპაციას. და ჩვენ ვიცით, რომ მათი მიკერძოება ძალიან ძვირად დაგვიჯდა, ბევრ ნგრევად დაგვიჯდა. მათი მიზეზით რამდენი რამ დავკარგეთ, დავკარგეთ ყოველგვარი ფასეულობანი და მთავარი ფასეულობა — ადამიანთა სიცოცხლე წარმოუდგენლად დიდი მასშტაბით. ახლა ჩვენ მთელი ყურადღებით უნდა ჩავუკვირდეთ ჩვენს ამოცანებს და გავიგოთ, რომ ახლა მთავარი ამოცანა იქნება — არ დავთმოთ ძველი მონაპოვარნი. არც ერთ ძველ მონაპოვარს ჩვენ არ დავთმობთ. (ტ ა შ ი.) ამასთან ერთად ჩვენ სრულიად ახალი ამოცანის წინაშე ვდგავართ; ძველი შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირ დაბრკოლებად. ამ ამოცანის გაგება ყველაზე ძნელია. ის კი უნდა გავიგოთ, რომ ვისწავლოთ მუშაობა, როცა საჭიროა, ასე ვთქვათ, სავსებით შემოვტრიალდეთ. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ეს სიტყვები და ლოზუნგები გასაგებია, იმიტომ რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში, რაც მე იძულებული გავხდი მუშაობას ჩამოვშორებოდი, — სხვადასხვა ყაიდაზე, ასეული საბაბით, უშუალოდ საქმე გქონდათ რა მუშაობის საგანთან, თქვენ პრაქტიკულად გიხდებოდათ ამაზე ლაპარაკი და ფიქრი, და დარწმუნებული ვარ,

რომ ამაზე დაფიქრება თქვენ მიგიყვანთ მხოლოდ ერთ დასკვნამდე: ჩვენ ახლა მოგვეთხოვება უფრო მეტი მოქნილობა, ვიდრე დღემდე ვიყენებდით სამოქალაქო ომის ასპარეზზე.

ძველზე ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ. მთელი რიგი დათმობები, რაც გვაგუებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, — ეს დათმობები სრულ შესაძლებლობას იძლევა კავშირურთიერთობა დაამყარონ სახელმწიფოებმა ჩვენთან, უზრუნველყოფს მათ მოგებას, შეიძლება, ზოგჯერ მეტსაც, ვიდრე ეკუთვნით. ამავე დროს წარმოების საშუალებებიდან, წარმოებისა, რომელიც თითქმის მთლიანად ჩვენი სახელმწიფოს ხელშია, მხოლოდ მცირე ნაწილს ვუთმობთ. ამ დღეებში გაზეთებში ირჩეოდა საკითხი კონცესიისა, რის წინადადებას იძლეოდა ინგლისელი ურკარტი, რომელიც დღემდე თითქმის ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა სამოქალაქო ომში. ის ამბობდა: «ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს სამოქალაქო ომში რუსეთის წინააღმდეგ, სწორედ იმ რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა და წაგვართვა ესა და ესო». და ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მოგვიხდა მასთან კავშირურთიერთობის დამყარება. ჩვენ უარი არ გვითქვამს მის წინადადებაზე, ჩვენ მივიღეთ იგი უდიდესი სიხარულით, მაგრამ ვუპასუხეთ: «უკაცრავად, იმას, რაც მოვიპოვეთ, უკანვე ვერ დაგიბრუნებთ. ჩვენი რუსეთი ასე დიდია, ეკონომიური შესაძლებლობანი ასე დიდი გვაქვს, და უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს უარი არ ვთქვათ თქვენს თავაზიან წინადადებაზე, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მას დინჯად, როგორც საქმიანი ადამიანები». მართალია, პირველი ჩვენი მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან პოლიტიკური მოტივების გამო საშუალება არ გვქონდა დავთანხმებოდით მის წინადადებას. ჩვენ უარით უნდა გვეპასუხნა მისთვის. ვიდრე ინგლისელები არ ცნობდნენ სრუტეების, დარდანელის საკითხში ჩვენი მონაწილეობის შესაძლებლობას, ჩვენ უარით უნდა გვეპასუხნა, მაგრამ მყისვე ამ უარის შემდეგ ჩვენ უნდა შევდგომოდით ამ საკითხის არსებითად განხილვას. ჩვენ ვიხილავდით საკითხს, ხელსაყრელია თუ არა ეს ჩვენთვის, ხელსაყრელია თუ არა ჩვენთვის ამ კონცესიის დადება, და თუ

ხელსაყრელია, რა პირობებში. ჩვენ უნდა მოგველაპარაკნა ფასზე. აი ის, რაც თქვენ, ამხანაგებო, ნათლად გიჩვენებთ, რამდენად სხვანაირად უნდა მივუდგეთ ახლა საკითხებს, ვიდრე წინათ ვუდგებოდით. წინათ კომუნისტი ამბობდა: «მე ვწირავ სიცოცხლეს», და ეს მას ეჩვენებოდა ძალიან უბრალო რამედ, თუმცა ეს ყოველთვის ისე უბრალო როდი იყო. ახლა კი ჩვენს წინაშე, კომუნისტების წინაშე, სულ სხვა ამოცანა დგას. ჩვენ ახლა ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, და ყოველმა თქვენგანმა უნდა ისწავლოს ანგარიშიანი იყოს. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, თუ კაპიტალისტურ ვითარებაში როგორ უზრუნველვყოფთ ჩვენს არსებობას, როგორ მივიღებთ მოგებას ჩვენი მოწინააღმდეგეებისაგან, რომლებიც, რა თქმა უნდა, შეგვევაჭრებიან, რომლებსაც ვაჭრობა არასოდეს არ დავიწყებიათ და რომლებიც შეგვევაჭრებიან ჩვენს ხარჯზე. ამას ჩვენც არ ვივიწყებთ და სრულიადაც არა გვაქვს წარმოდგენილი, რომ სადმე ვაჭრობის წარმომადგენლები გადაიქცევიან ბატკნებად და, გადაიქცევიან რა ბატკნებად, მუქთად დაგვითმობენ ყოველგვარ სიკეთეს. ეს არ ხდება, და ჩვენ ამის იმედი არა გვაქვს, ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რომ, რადგან მიჩვეული ვართ წინააღმდეგობის გაწევას, აქაც, დავტრიალდებით რა, შევძლებთ ვაჭრობასაც, გამდიდრებასაც და მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსვლასაც. აი ეს ამოცანა ძალიან ძნელია. აი ამ ამოცანაზე ვმუშაობთ ჩვენ. მე ვისურვებდი, რომ ჩვენ ნათლად შეგვეგნო და შევიგნოთ ის, თუ რამდენად დიდია უფსკრული ძველსა და ახალ ამოცანებს შორის. რაც უნდა დიდი იყოს ეს უფსკრული, ჩვენ ომში ვისწავლეთ მანევრირება და უნდა გავიგოთ, რომ მანევრი, რომელიც ახლა მოგველის, რომელსაც ახლა ვაწარმოებთ, — ყველაზე ძნელია. მაგრამ სამაგიეროდ ეს მანევრი, როგორც ჩანს, უკანასკნელია. აქ ჩვენ უნდა გამოვცადოთ ჩვენი ძალა და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ არა მარტო დავიზეპირეთ გუშინდელი ჩვენი გამოცდილება და ვიმეორებთ გადაღეჭილს. გვაპატიეთ, გეთაყვა, ჩვენ დავიწყეთ ხელახლა სწავლა და ვისწავლით ისე, რომ მივაღწევთ განსაზღვრულ და ყველასათვის თვალსაჩინო წარმატებას. მე

ვფიქრობ, აი ამ ხელახალი სწავლისათვის სწორედ ახლაა საჭირო კიდევ ერთხელ მივცეთ ერთმანეთს მტკიცე დაპირება, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახელწოდებით უკან შემოვბრუნდით, და უკან შემოვბრუნდით ისე, რომ არაფერი ახალი არ დავთმოთ, და იმავე დროს კაპიტალისტებს მივცეთ ისეთი მოგება, რომელიც აიძულებს ყოველ სახელმწიფოს, რაც უნდა მტრულად იყოს იგი განწყობილი ჩვენს მიმართ, გარიგება დადოს და კავშირურთიერთობა დაამყაროს ჩვენთან. ამხ. კრასინი, რომელსაც ბევრჯერ უსაუბრნია ურკარტთან, მთელი ინტერვენციის ამ მეთაურთან და ბურჯთან, ამბობდა, რომ ურკარტი, ყველა ცდის შემდეგ რადაც უნდა დამჯდარიყო თავს მოეხვია ჩვენთვის ძველი წყობილება მთელს რუსეთში, მასთან, კრასინთან, ერთად უჯდება მაგიდას და იწყებს ლაპარაკს: «რა ღირს? რამდენია? რამდენი წლით?». (ტ ა შ ი.) ჯერ საკმაოდ შორსა ვართ იმისაგან, რომ მთელი რიგი საკონცესიო გარიგებანი დავდოთ და, ამრიგად, სრულიად ზუსტი, ურყევი — ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით ურყევი — სახელშეკრულებო ურთიერთობა დავამყაროთ მასთან, მაგრამ ახლა უკვე ვხედავთ, რომ ამას ვუახლოვდებით, თითქმის მივუახლოვდით, მაგრამ ჯერ არ მივსულვართ. ამხანაგებო, ეს უნდა ვაღიაროთ და არ გავიბღინძოთ. ჯერ კიდევ სულაც არ მიგვიღწევია იმისათვის, რაც გაგვაძლიერებს, დამოუკიდებელს გაგვხდის, ჩაგვინერგავს იმის მტკიცე რწმენას, რომ არავითარი კაპიტალისტური გარიგებისა ჩვენ არ გვეშინია, ჩაგვინერგავს იმის მტკიცე რწმენას, რომ რაც უნდა ძნელი იყოს გარიგება, ჩვენ მას მაინც დავდებთ, ჩავწვდებით მის არსს და გადავწყვეტთ. ამიტომ ამ სფეროში მუშაობა, — პოლიტიკურიც და პარტიულიც, — რომელიც ჩვენ უკვე დავიწყეთ, უნდა გაგრძელდეს, ამიტომ საჭიროა ძველი ხერხებიდან გადავიდეთ სრულიად ახალ ხერხებზე.

აპარატი ძველი დაგვრჩა, და ჩვენი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარდავქმნათ ახალ ყაიდაზე. მას ჩვენ ერთბაშად ვერ გარდავქმნით, მაგრამ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ის კომუნისტები, რომლებიც ჩვენ გვყავს, სწორად

გავანაწილოთ. საჭიროა, რომ ისინი, ეს კომუნისტები, დაეუფლონ იმ აპარატს, სადაც არიან დაყენებულნი; და არ იყოს ისე, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, როცა ეს აპარატი ფლობს მათ. ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, და ეს პირდაპირ უნდა ვთქვათ. აი რა ამოცანები და რა სიძნელეები დგას ჩვენს წინაშე, და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენ დავადექით ჩვენს საქმიან გზას, როდესაც ჩვენ უნდა მივსულიყავით სოციალიზმთან არა როგორც საზეიმო საღებავებით მოხატულ ხატთან. ჩვენ უნდა ავიღოთ სწორი მიმართულება, ჩვენთვის საჭიროა, რომ ყველაფერი იყოს შემოწმებული, რომ მთელმა მასამ და მთელმა მოსახლეობამ შეამოწმოს ჩვენი გზა და თქვას: «დიახ, ეს უკეთესია, ვიდრე ძველი წყობილება». აი ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ. ჩვენმა პარტიამ, ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან შედარებით ადამიანთა პატარა ჯგუფმა, ხელი მოჰკიდა ამას. ამ პატარა მარცვალმა ამოცანად დაისახა გარდაქმნას ყველაფერი, და ის კიდევაც გარდაქმნის. ეს რომ უტოპია არ არის, ეს რომ საქმეა, რომლითაც ცოცხლობს ხალხი, ჩვენ ეს დავამტკიცეთ. ეს ჩვენ ყველამ დავინახეთ — ეს უკვე გაკეთებულია. უნდა გარდავქმნათ ისე, რომ მშრომელი მასების, მუშებისა და გლეხების მთელმა უმრავლესობამ თქვას: «თქვენ კი არ იქებთ თავს, არამედ ჩვენ გაქებთ, ჩვენ ვამბობთ, რომ უკეთეს შედეგებს მიაღწიეთ, რის შემდეგ არც ერთი გონიერი ადამიანი არასოდეს არ იფიქრებს დაუბრუნდეს ძველს». ეს კი ჯერ კიდევ არ არის. ამიტომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა რჩება დღევანდელი დღის მთავარ, მორიგ, ყველაფრის ამომწურავ ლოზუნგად. არც ერთ ლოზუნგს, რომელიც ჩვენ გუშინ ვისწავლეთ, არ დავივიწყებთ. ეს შეგვიძლია სრულიად გულდამშვიდებით, სრულიად უყოყმანოდ ვუთხრათ ყველას, და ჩვენი ყოველი ნაბიჯიც ამას მეტყველებს. მაგრამ ჩვენ ჯერ უნდა შევეგუოთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. უნდა შეგვეძლოს დაძლევა, განსაზღვრულ მინიმუმამდე დაყვანა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ყველა უარყოფითი მხარისა, რომელთა ჩამოთვლა საჭირო არ არის, რომელთაც თქვენ ჩინებულად

იცნობთ, უნდა შეგვეძლოს ყველაფრის ანგარიშიანად მოწესრიგება. ჩვენი კანონმდებლობა ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა. შევძლებთ თუ არა საქმის დაყენებას? ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის გადაწყვეტილი. ჩვენ მას ვსწავლობთ. ჩვენი პარტიული გაზეთის ყოველი ნომერი გაძლევთ ათეულ სტატიას, სადაც ნათქვამია: ამა და ამ ფაბრიკაში, ამა და ამ მეფაბრიკეს იჯარის ესა და ეს პირობები აქვს, ხოლო იქ, სადაც დირექტორი ჩვენი ამხანაგი კომუნისტია, ასეთი და ასეთი პირობებიაო. იძლევა თუ არა ეს შემოსავალს, ამართლებს თუ არა? ჩვენ მივადექით ყოველდღიური საკითხების სულ შუაგულს, და ეს არის უდიდესი მონაპოვარი. სოციალიზმი ახლა უკვე აღარ არის საკითხი შორეული მომავლისა, ან რაიმე განყენებული სურათისა, ან რაიმე ხატისა. ხატების შესახებ ჩვენ ძველი, ფრიად ცუდი შეხედულებისა დავრჩით. სოციალიზმი ჩვენ შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქ უნდა გავერკვეთ. აი რა შეადგენს დღევანდელი დღის ამოცანას, აი რა შეადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანას. ნება მომეცით დავამთავრო რწმენის გამოთქმით, რომ, თუმცა ეს ამოცანა ძნელია, თუმცა იგი ახალია ჩვენს ძველ ამოცანასთან შედარებით, თუმცა იგი მრავალ სიძნელეს გვიქმნის, — ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წელიწადში, ჩვენ ყველანი ერთად გადავწყვეტთ ამ ამოცანას რადაც უნდა დაჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთიდან გვექნება სოციალისტური რუსეთი. (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში.)

«პრავდა» № 263,
1922 წ. 21 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

საბჭოთა მოსამსახურეების პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობის პრეზიდიუმს [106]

1922 წ. 22. XI.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამჟამად უმთავრეს მორიგ, და უახლოესი წლებისათვის უმნიშვნელოვანეს, ამოცანას შეადგენს საბჭოთა აპარატის სისტემატურად შემცირება და გაიაფება მისი შემოკლებით, უფრო სრულყოფილი ორგანიზაციით, საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის მოსპობით და უნაყოფო ხარჯების შემცირებით. ამ მიმართულებით თქვენს კავშირს დიდი სამუშაო აქვს შესასრულებელი.

ვუსურვებ რა საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობას წარმატებას და ნაყოფიერ მუშაობას, გამოვთქვამ იმედს, რომ იგი სპეციალურად განიხილავს საბჭოთა აპარატის საკითხს.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია»
№ 267, 1922 წ. 25 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ
გასწორებული და ხელმოწერილი
დედნის მიხედვით

განათლების მუშაკთა ყრილობას [107]

მადლობას გიძღვნით მოსალმებისათვის, ამხანაგებო, და გისურვებთ თავი გაართვათ თქვენზე დაკისრებულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანას — ახალგაზრდა თაობის მომზადებას ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ლენინი

დაწერილია 1922 წ. 26 ნოემბერს

დაიბეჭდა 1922 წ. დეკემბერში ჟურნალ «რაბოტნიკ პროსვეშჩენიაში» № 10

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესს მოსკოვში [108]

1922 წ. 4. XII.

ძვირფასო ამხანაგებო!

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მოგესალმოთ. გიძღვნით მუშაობაში წარმატების საუკეთესო სურვილებს. იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად დიდი სახელისა, არ დაივიწყებთ უმთავრესს — ახალგაზრდობის მომზადებისა და სწავლის საქმიანად წინ წაწევის აუცილებლობას.

საუკეთესო კომუნისტური სალამით

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 275,
1922 წ. 5 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ
გასწორებული და ხელმოწერილი
დედნის მიხედვით

შენიშვნები ჰაააგაში ჩვენი დელეგაციის ამოცანების საკითხის გამო [109]

ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხზე ჰააგის კონფერენციასთან დაკავშირებით მე ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს იმ ცრურწმენის დაძლევა, თითქოს ეს იყოს მარტივი, ნათელი და შედარებით იოლი საკითხი.

— ომს გაფიცვით ან რევოლუციით ვუპასუხებთო, — ასე ეუბნებიან ჩვეულებრივ რეფორმისტთა ყველაზე გამოჩენილი ბელადები მუშათა კლასს. და ამ პასუხის მოჩვენებითი რადიკალურობა ძალიან ხშირად აკმაყოფილებს და ამშვიდებს მუშებს, კოოპერატორებსა და გლეხებს.

შესაძლოა, ყველაზე სწორი ხერხი ის იქნებოდა, რომ მსგავსი აზრის მეტად მკვეთრი უარყოფით დაგვეწყო. გაგვეცხადებინა, რომ განსაკუთრებით ახლა, ამასწინანდელი ომის შემდეგ, მხოლოდ ყველაზე ბრიყვ ადამიანებს ან გაუსწორებელ მატყუარებს შეუძლიათ იმის მტკიცება, რომ მსგავს პასუხს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე რაიმე ფასი აქვს. გაგვეცხადებინა, რომ ომზე გაფიცვით «პასუხის გაცემა» შეუძლებელია, სწორედ ისევე, როგორც შეუძლებელია ომს «ვუპასუხოთ» რევოლუციით ამ გამოთქმათა უმარტივესი და პირდაპირი აზრით.

უნდა განვუმარტოთ ხალხს იმის რეალური ვითარება, თუ რა დიდია ის საიდუმლოება, რომელშიც ომი წარმოიშობა, და რა უმწეოა ნამდვილად მოახლოებული ომის წინაშე

მუშათა ჩვეულებრივი ორგანიზაცია, თუნდაც იგი რევოლუციურს უწოდებდეს თავს.

კიდევ და კიდევ უნდა განვუმარტოთ ხალხს მთელი კონკრეტულობით, როგორი იყო საქმის ვითარება უკანასკნელი ომის დროს და რატომ არ შეიძლებოდა იგი სხვაგვარი ყოფილიყო.

განსაკუთრებით უნდა განვუმარტოთ იმ გარემოების მნიშვნელობა, რომ «სამშობლოს დაცვა» იქცევა გარდუვალ საკითხად, რომელსაც მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა. აუცილებლად თავისი ბურჟუაზიის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

ამიტომ, ჯერ-ერთი, «სამშობლოს დაცვის» საკითხის განმარტება; მეორე, ამასთან დაკავშირებით, «პორაჟენცობის» საკითხის განმარტება და, ბოლოს, განმარტება ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი შესაძლებელი საშუალებისა, სახელდობრ არალეგალური ორგანიზაციის შენარჩუნება და შექმნა ომში მონაწილე ყველა რევოლუციონერის **ხანგრძლივი** მუშაობისათვის ომის წინააღმდეგ — ყოველივე ეს პირველ რიგში უნდა იქნეს წამოყენებული.

ომის ბოიკოტი — სულელური ფრაზაა. კომუნისტებმა ყოველგვარ რეაქციულ ომში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

სასურველია თუნდაც ომისწინა გერმანული ლიტერატურის მაგალითებზე და, კერძოდ, ბაზელის 1912 წლის კონგრესის მაგალითებზე განსაკუთრებული კონკრეტულობით ცხადვყოთ, რომ იმის თეორიული აღიარება, რომ ომი დანაშაულია, რომ სოციალისტისათვის ომი შეუწყნარებელია და სხვ., ლიტონი სიტყვებია, იმიტომ რომ საკითხის ამგვარი დაყენება არავითარ კონკრეტულობას არ შეიცავს. მასებს ჩვენ არ ვაძლევთ არავითარ ნამდვილ ცოცხალ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ შეიძლება ომი მოახლოვდეს და როგორ მოახლოვდება. პირიქით, გაბატონებული პრესა ყოველდღე უამრავ ეგზემპლარებში ჩქმალავს ამ საკითხს და მის შესახებ ისეთ სიცრუეს ავრცელებს, რომლის წინააღმდეგ სუსტი სოციალისტური პრესა ხრულიად უძლურია, მით უმეტეს, რომ მშვიდობიან დროსაც

ამ პუნქტში იგი სრულიად არასწორ შეხედულებებს იცავს. ალბათ, უმეტეს ქვეყნებში კომუნისტური პრესაც შეირცხვენს თავს.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა დელეგატებმა კოოპერატორთა და ტრედ-უნიონელთა საერთაშორისო კონგრესზე უნდა გაიწაწილონ ურთიერთშორის ამოცანები და უაღრესად დეტალურად და დაწვრილებით გაარჩიონ ყველა ის სოფიზმი, რომლებითაც ამჟამად ომს ამართლებენ.

შეიძლება, ომში მასების ჩაბმის ყველაზე მთავარი საშუალება სწორედ ის სოფიზმებია, რომლებსაც ბურჟუაზიული პრესა იყენებს, და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება, რითაც აიხსნება ჩვენი უძლურება ომის წინააღმდეგ, ის არის, რომ ჩვენ ამ სოფიზმებს ან წინასწარ არ ვიხილავთ, ან, უფრო ძეტიც, მათ მიმართ ვკმაყოფილდებით იაფფასიანი, მკვეხარა და სრულიად უშინაარსო ფრაზით, რომ ჩვენ ომს არ დავუშვებთ, რომ ჩვენ სავსებით გვესმის ომის დანაშაულებრიობა და ა. შ. ბაზელის 1912 წლის მანიფესტის მიხედვით.

მე მგონია, თუ ჩვენ ჰააგის კონფერენციაზე გვეყოლება რამდენიმე კაცი, რომლებიც შესძლებენ ამა თუ იმ ენაზე წარმოთქვან სიტყვა ომის წინააღმდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება იმ აზრის უარყოფა, თითქოს დამსწრენი ომის მოწინააღმდეგენი არიან, თითქოს მათ ესმით, თუ როგორ შეიძლება და კიდევაც უნდა დაატყდეთ მათ ომი თავზე სრულიად მოულოდნელად, თითქოს მათ რამდენადმე მაინც შეგნებული აქვთ ომის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, თითქოს მათ რამდენადმე მაინც შეუძლიათ დაადგნენ ომის წინააღმდეგ ბრძოლის გონივრულ და მიზნის მიმღწევ გზას.

ომის ამასწინანდელ გამოცდილებასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა განვმარტოთ, თუ რა უამრავი როგორც თეორიული, ისე საყოფაცხოვრებო საკითხი წამოიჭრება ომის გამოცხადების მეორე დღეს, რაც ყოველგვარ საშუალებას მოუსპობს გასაწვევთა უდიდეს უმრავლესობას მიუდგნენ ამ საკითხს

რამდენადმე ნათელი გონებით და რამდენადმე კეთილსინდისიერი უწინაზრახვობით.

მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა განვმარტოთ არაჩვეულებრივ დაწვრილებით და უნდა განვმარტოთ ორგვარად:

ჯერ-ერთი, მოვუთხროთ და ანალიზი გავუკეთოთ იმას, რაც წინა ომის დროს მოხდა, და განვუცხადოთ ყველა დამსწრეს, რომ მათ ეს არ იციან, ან რომ ისინი ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს ეს იციან, ნამდვილად კი თვალს ხუჭავენ იმაზე, რაც საკითხის დედააზრს შეადგენს და რის უცოდნელად ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე ბრძოლაზე ომის წინააღმდეგ. ამ პუნქტში, მე ვფიქრობ, საჭიროა განვიხილოთ ყველა ელფერი, ყველა აზრი, რომლებიც მაშინ აღიძრა ომის გამო რუს სოციალისტებში. საჭიროა დავამტკიცოთ, რომ აზრთა ეს ელფერი წარმოიშვა არა შემთხვევით, არამედ იგი წარმოშვა საერთოდ თანამედროვე ომების ბუნებამ. საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ამ აზრთა ანალიზისა და იმის განმარტების გარეშე, თუ რა გარდუვალად წარმოიშობიან ისინი და რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მათ ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხისათვის, ასეთი ანალიზის გარეშე ლაპარაკიც კი შეუძლებელია ომისათვის რაიმე მზადებაზე და მისდამი თუნდაც შეგნებულ დამოკიდებულებაზე.

მეორე, უნდა ავიღოთ ახლანდელი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, კონფლიქტების მაგალითები და მათი მაგალითის მიხედვით განვმარტოთ, თუ როგორ შეიძლება ყოველდღე წარმოიშვას ომი ინგლისისა და საფრანგეთის დავის გამო თურქეთთან მათი ხელშეკრულების რაიმე დეტალის შესახებ, ან ამერიკასა და იაპონიას შორის წყნარი ოკეანეს რაიმე საკითხთან დაკავშირებით გამოწვეულ სულ უბრალო უთანხმოების გამო, ან რომელიმე დიდ სახელმწიფოებს შორის კოლონიური დავის გამო ან მათი საბაჟო ან საერთოდ სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ატეხილი დავის გამო და სხვ. და სხვ.. ვფიქრობ, თუ იმის სულ მცირე ეჭვიც კი დაიბადება, რომ შესაძლებელი იქნება სრულიად თავისუფლად წარმოთქვა

ჰააგაში მთელი შენი სიტყვა ომის წინააღმდეგ, უნდა მოიფიქრო მთელი რიგი ხერხები იმისათვის, რომ მთავარი მაინც თქვა, შემდეგ კი ბროშურად გამოვცეთ ის, რის ბოლომდე თქმასაც ვერ მოვახერხებთ. უნდა მოიქცე ისე, რომ თავმჯდომარემ სიტყვა შეგაწყვეტინოს.

მე ვფიქრობ, ამავე მიზნით დელეგაციაში უნდა შევიყვანოთ გარდა ორატორებისა, რომელთაც შესწევთ უნარი და მოვალენიც არიან წარმოთქვან სიტყვა ომის წინააღმდეგ საერთოდ, ე. ი. განავითარონ ომის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მთავარი მოსაზრება და ყველა პირობა, — აგრეთვე სამივე მთავარი უცხოური ენის მცოდნე ადამიანები, რომლებიც საუბარს გაუმართავდნენ დელეგატებს და გამოარკვევდნენ იმას, თუ რამდენად გაიგეს მათ ძირითადი მოსაზრებანი და რამდენად საჭიროა ამა თუ იმ არგუმენტების წამოყენება ან მაგალითების მოყვანა.

შეიძლება, მთელი რიგი საკითხების მიმართ სერიოზული გავლენა მოახდინოს მხოლოდ ფაქტიური მაგალითების მოყვანამ წარსული ომის სფეროდან. შეიძლება, მთელი რიგი სხვა საკითხების მიმართ სერიოზული გავლენა მოახდინო მხოლოდ სახელმწიფოთა შორის არსებული თანამედროვე კონფლიქტებისა და შესაძლებელ შეიარაღებულ შეჯახებასთან მათი კავშირის განმარტებით.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, როგორც მახსოვს, არსებობს ჩვენი კომუნისტი დეპუტატების მთელი რიგი განცხადებანი, როგორც პარლამენტებში, ისე პარლამენტების გარეთ წარმოთქმულ სიტყვებში, ისეთი განცხადებები, რომლებიც შეიცავენ საშინლად არასწორ და საშინლად მოუფიქრებელ რამეებს ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა გადაჭრით გავილაშქროთ ამგვარ განცხადებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით თუ ეს განცხადებები გაკეთებულია უკვე ომის შემდეგ, და დაუნდობლად ვამხილოთ თვითეული ასეთი ორატორის ვინაობა. შეიძლება როგორც გნებავთ ისე შეარბილოთ, განსაკუთრებით თუ ეს საჭიროა, ასეთი ორა-

ტორის შეფასება, მაგრამ ვერც ერთ ასეთ შემთხვევას დუმილით გვერდს ვერ აუვლით, რადგან მოუფიქრებელი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ისეთი ბოროტებაა, რომელიც ყოველივე დანარჩენს აღემატება და რომლის შეწყნარება აბსოლუტურად შეუძლებელია.

არსებობს მუშათა ყრილობების მთელი რიგი აშკარად სულელური და მოუფიქრებელი გადაწყვეტილებები.

საჭიროა დაუყოვნებლივ შევაგროვოთ ყველა და ყოველგვარი მასალა და დაწვრილებით განვიხილოთ როგორც თემის ყველა ცალკეული ნაწილი და ნაწილაკი, ისე მთელი «სტრატეგია» ყრილობაზე.

ასეთ საკითხში ჩვენი მხრივ შეუწყნარებელია არა მარტო შეცდომა, არამედ არსებითი არასისრულეც.

1922. 4/XII.

.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
26 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 96
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც გასწორებული და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

რამდენიმე სიტყვა ნ. ე. ფედოსეევის შესახებ [110]

ჩემი მოგონებანი ნიკოლოზ ევგრაფის-ძე ფედოსეევზე მიეკუთვნება 90-იანი წლების დასაწყისის პერიოდს. მათი სიზუსტის იმედი ცრა მაქვს.

იმ დროს მე ვცხოვრობდი პროვინციაში — სახელდობრ, ყაზანსა. და სამარაში. ყაზანში ყოფნისას მესმოდა ფედოსეევის შესახებ, მაგრამ მას პირადად არ შევხვედრივარ. 1889 წლის გაზაფხულზე გავემგზავრე სამარის გუბერნიაში, სადაც 1889 წლის ზაფხულის დამლევს გავიგონე ფედოსეევისა და ყაზანის წრეების სხვა წევრთა დაპატიმრების შესახებ, — სხვათა შორის იმ წრისაც, რომელშიც მონაწილეობას ვიღებდი. ვფიქრობ, ადვილი შესაძლებელია მეც დავეპატიმრებინეთ, იმ ზაფხულს რომ ყაზანში დავრჩენილიყავი. მალე ამის შემდეგ მარქსიზმმა იწყო გაფართოება, როგორც სოციალ-დემოკრატიულმა მიმართულებამ, რომელიც დიდი ხნით ადრე იყო გამოცხადებული დასავლეთ ევროპაში «განთავისუფლების ჯგუფის» მიერ.

ნ. ე. ფედოსეევი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც გამოაცხადა მარქსისტულ მიმართულებას ვეკუთვნიო. მახსოვს, ამ ნიადაგზე დაიწყო მისი პოლემიკა ნ. კ. მიხაილოვსკისთან, რომელიც მას უპასუხებდა «რუსსკოე ბოგატსტვოში» ერთ-ერთ მის არალეგალურ წერილზე. ამ ნიადაგზე დაიწყო ჩემი მიწერ-მოწერა ნ. ე. ფედოსეევთან. მახსოვს, ჩვენს ურთიერთკავშირში შუამავალი იყო ჰოპფენჰაუზი, რომელიც ერთხელ ვინახულე და უშედეგოდ შევეცადე მომეწყო შეხვედრა ფედოსეევთან ქ. ვლადიმირში. მე

იქ ჩავედი იმ იმედით, რომ ფედოსეევი მოახერხებდა საპყრობილიდან გამოსვლას, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა [111].

შემდეგ ფედოსეევი გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში იმავე დროს, როცა მეც ვიყავი იქ გადასახლებული და ციმბირში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მგონი, მძიმე პირადი ისტორიის ნიადაგზე ცხოვრების პირობების განსაკუთრებით უკეთესმართად წარმართვის გამო.

რამდენადაც მახსოვს, ჩემი მიწერ-მოწერა ფედოსეევთან შეეხებოდა მაშინ აღძრულ მარქსისტული ანუ ს.-დ. მსოფლმხედველობის საკითხებს. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ის, რომ ფედოსეევი ყველა თავის ნაცნობში სარგებლობდა არაჩვეულებრივი სიმპათიით, როგორც ძველი დროის რევოლუციონერის ტიპი, თავისი საქმის უაღრესად ერთგული და, შესაძლოა, როგორც ისეთი კაცი, რომელმაც გაიუარესა მდგომარეობა ამა თუ იმ განცხადებებით ან გაუფრთხილებელი ნაბიჯებით ჟანდარმების მიმართ.

შესაძლოა, რომ სადმე დამრჩა ფედოსეევის წერილების თუ ხელნაწერების ზოგიერთი ნაწყვეტი, მაგრამ გადარჩა თუ არა ისინი და შეიძლება თუ არა მათი ნახვა — ამის შესახებ გარკვევით არაფრის თქმა არ შემიძლია.

ყოველ შემთხვევაში, ვოლგისპირეთისა და ცენტრალური რუსეთის ზოგიერთი ადგილისათვის ფედოსეევის მიერ შესრულებული როლი იმ დროს შესამჩნევად დიდი იყო, და იმდროინდელმა საზოგადოებამ მარქსიზმისაკენ თავის შემობრუნებაში უთუოდ ძალიან და ძალიან დიდი გავლენა განიცადა ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერი და თავისი საქმის არაჩვეულებრივად ერთგული რევოლუციონერისა.

1922 წ. 6. XII.

დაბეჭდილია 1923 წელს წიგნში «ნიკოლოზ ევგრაფის-ძე ფედოსეევი. რევოლუციური მარქსიზმის ერთ-ერთი პიონერი რუსეთში (მოგონებათა კრებული)». მოსკოვი — პეტროგრადი

ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობას [112]

1922 წ. 10. XII.

მივესალმები საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობის გახსნას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყრილობამ უნდა განიხილოს, ეს არის რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. ამ საკითხის სწორად გადაჭრაზეა დამოკიდებული შემდგომი ორგანიზაცია ჩვენი სახელმწიფო აპარატისა, რომლის შეუწყნარებელი ნაკლოვანებანი ასე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა საბჭოთა მოსამსახურეების უკანასკნელმა აღწერამ, რაც ჩატარდა მოსკოვში, პიტერსა და ხარკოვში.

მეორე საკითხი, რომელსაც ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, — ეს არის ჩვენი მძიმე მრეწველობის საკითხი. დონბასის, ნავთობისა და მეტალურგიის აყვანა ომამდელ ნაყოფიერებამდე — ეს არის მთელი ჩვენი მეურნეობის ძირითადი ამოცანა, რომლის გადაჭრასაც უნდა შოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ყრილობა მონახავს სწორ გზას ამ ამოცანათა გადასაჭრელად, და გულითა და სულით ვუსურვებ მას სრულ წარმატებას მუშაობაში.

ლ ე ნ ი ნ ი

«კომმუნისტ» (ხარკოვი) № 285, 1922 წ. 12 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «კომმუნისტის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია საწერ მანქანაზე დაბეჭდილ ასლთან

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ [11]

ამხანაგ სტალინს ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის

ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამხ. ბუხარინის წერილის გარჩევა. პირველ პუნქტში ის ამბობს, რომ «არც ლენინს, არც კრასინს კრინტიც არა აქვთ დაძრული იმ აურაცხელ ზარალზე, რაც ჩვენი ქვეყნის მეურნეობას მოსდის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შრომისუუნაროობის გამო, რომელიც მისი «პრინციპული» სტრუქტურიდან გამომდინარეობს, ერთი სიტყვაც არა აქვთ ნათქვამი იმ ზარალზე, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია (და დიდი ხნის განმავლობაში არ შეგვეძლება სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო) მოვახდინოთ გლეხთა სასაქონლო ფონდის მობილიზაცია და მოვაქციოთ იგი საერთაშორისო საქონელბრუნვაში».

ეს პირდაპირ არასწორი მტკიცებაა, რადგან კრასინი გარკვევით ლაპარაკობს II პარაგრაფში შერეულ საზოგადოებათა შექმნაზე, რომლებიც წარმოადგენენ საშუალებას, ჯერ-ერთი, მოვახდინოთ გლეხთა სასაქონლო ფონდის მობილიზაცია და, მეორეც, ამ მობილიზაციით ჩვენმა სახელმწიფო ხაზინამ მიიღოს მოგება არა ნაკლებ ნახევრისა. ამრიგად, საკითხის არსს გვერდს უვლის სწორედ ბუხარინი, რომელსაც არ სურს იმის დანახვა, რომ «გლეხთა სასაქონლო ფონდის მობილიზაცია» მოგებას მისცემს მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ნეპმანებს. საკითხი იმაში მდგომარეობს, ჩვენი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

იმუშავებს ნეპმანთა სასარგებლოდ, თუ იგი იმუშავებს პროლეტარული სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს ისეთი ძირითადი საკითხია, რომლის გამოც უეჭველად შეიძლება და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ პარტიულ ყრილობაზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შრომისუუნარობის საკითხი, ამ პირველ, ძირითად, პრინციპულ საკითხთან შედარებით სრულიად დაქვემდებარებული საკითხია, რადგან ეს შრომისუუნარობა არც მეტია და არც ნაკლები, ვიდრე ყველა ჩვენი სახალხო კომისარიატის შრომისუუნარობა, რაც მათ საერთო სოციალურ სტრუქტურაზეა დამოკიდებული და მოითხოვს ჩვენგან მრავალი წლის უაღრესად შეუპოვარ მუშაობას განათლებისა და საერთოდ დონის ამაღლების საქმეში.

ბუხარინის თეზისების მეორე პუნქტი ამბობს, რომ «ისეთი პუნქტები, როგორიცაა, მაგალითად, კრასინის თეზისების მე-5 პარაგრაფი, მთლიანად შეიძლება შეეფარდოს საერთოდ კონცესიებსაც». ესეც მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს, რადგან კრასინის თეზისების მე-5 პარაგრაფი ამტკიცებს, რომ «სოფლად ხელოვნურად შეყვანილი იქნება უბოროტესი ექსპლოატატორი, ჩარჩი, სპეკულანტი, საზღვარგარეთული კაპიტალის აგენტი, რომელიც იმოქმედებს დოლარით, გირვანქით, შვედური კრონით». არაფერი ამის მსგავსი რამ არ გამომდინარეობს კონცესიებიდან, რომლებშიც ჩვენ ვითვალისწინებთ არა მარტო ტერიტორიას, არამედ საგანგებო საგნებით ვაჭრობის საგანგებო ნებართვასაც და კიდევ, რაც მთავარია, ჩვენს ხელთაა კონცესიით გაცემული ამა თუ იმ საგნის ვაჭრობა; ბუხარინს ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი კრასინის იმ მოსაზრებათა წინააღმდეგ, რომ ჩვენ ვერ შევაჩერებთ თავისუფალ ვაჭრობას პლენუმის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დასახულ ფარგლებში, რომ ჩვენ ხელიდან გამოგგვლეჯენ ვაჭრობას არა მარტო კონტრაბანდისტების, არამედ მთელი გლეხობის მოწოლის ძალით; კრინტს არ ძრავს რა ამ ძირითადი ეკონომიური და კლასობრივი მოსაზრების პასუხად, ბუხარინი კრასინის წინააღმდეგ ისეთ ბრალ-

დებებს აყენებს, რომლებიც გაოცებენ თავისი უსუსურობით.

თავისი წერილის მესამე პუნქტში ბუხარინი წერს: «კრასინის მე-3 პარაგრაფი». (იგი შეცდომით მიუთითებს 3-ს ნაცვლად 4-სა.) «ჩვენი საზღვარი დაცულია», და ის აყენებს კითხვას: «რას ნიშნავს ეს? რეალურად ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ კეთდება. სწორედ ისე, როგორც მაღაზია კარგი საზოგადოებრივი აბრით, რომელშიც არაფერი არ არის («გლავზაპორის» სისტემა)». კრასინი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ჩვენი საზღვარი დაცულია არა იმდენად საბაჟო ან სანაპირო დაცვის მეოხებით, რამდენადაც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის არსებობით. ამ ნათელი, პირდაპირი და უდავო ფაქტის წინააღმდეგ ბუხარინი არაფერს ამბობს და არც შეუძლია რაიმე თქვას. გამოთქმა «გლავზაპორის სისტემა» იმ ხასიათის გამოთქმებს მიეკუთვნება, რაზედაც მარქსი თავის დროზე უპასუხებდა გამოთქმით «ფრიტრედერ-ვულგარის» *, რადგან აქ სრულიად ვულგარული ფრიტრედერული ფრაზის გარდა არაფერი არ არის.

შემდეგ, მეოთხე პუნქტში ბუხარინი ბრალს სდებს კრასინს, თითქოს ის ვერ ხედავს, რომ ჩვენ უნდა ვაუმჯობესებდეთ ჩვენს საბაჟო პოლიტიკას, და ამასთან ერთად ბრალს მდებს, თითქოს მე ვცდები, როდესაც ვლაპარაკობ მთელ ჩვენ ქვეყანაში ზედამხედველების დანიშვნის შესახებ, მაშინ როცა ნამდვილად ლაპარაკია მხოლოდ შემოტანა-გატანის პუნქტებზე. აქაც ბუხარინის მოსაზრებანი გაოცებენ მოუფიქრებლობით და მიზანს სცდებიან, რადგან კრასინი არათუ ხედავს ჩვენი საბაჟო პოლიტიკის გაუმჯობესებას, არათუ მთლიანად აღიარებს მას, არამედ ისეთი სიზუსტითაც კი აღნიშნავს ამას, რომ ოდნავ ეჭვსაც კი არ იწვევს. სახელდობრ, ეს გაუმჯობესება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ

* — ვულგარული ფრიტრედერობა (ფრიტრედერობა — თავისუფალი ვაჭრობის სისტემა). რ ე დ.

მივიღეთ, ჯერ-ერთი, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემა და, მეორეც, შერეულ საზოგადოებათა შექმნის სისტემა.

ბუხარინი ვერ ხედავს, — ეს არის მისი ყველაზე გასაოცარი შეცდომა, ამასთან წმინდა თეორიული, — რომ არავითარი საბაჟო პოლიტიკა არ შეიძლება ნამდვილი იყოს იმპერიალიზმის ეპოქაში, ისეთ ეპოქაში, როცა საშინელი განსხვავებაა ლატაკ ქვეყნებსა და წარმოუდგენლად მდიდარ ქვეყნებს შორის. ბუხარინი რამდენჯერმე იმოწმებს საბაჟო დაცვას, ვერ ხედავს რა იმას, რომ აღნიშნულ პირობებში ყოველ მდიდარ სამრეწველო ქვეყანას შეუძლია ამ დაცვის მთლიანად მოშლა. ამისათვის საკმარისია შემოიღოს მან გატანის პრემია რუსეთში იმ საქონელთა შემოტანისათვის, რომლებიც ჩვენში საბაჟო პრემიით იბეგრება. საამისოდ ყოველ სამრეწველო ქვეყანას საკმაოზე მეტი ფული აქვს, ხოლო ასეთი ღონისძიების შედეგად ყოველი სამრეწველო ქვეყანა უეჭველად გასტეხს ჩვენს ადგილობრივ მრეწველობას.

ამიტომ ბუხარინის მთელი მსჯელობა საბაჟო პოლიტიკის შესახებ პრაქტიკულად ნიშნავს მხოლოდ რუსეთის მრეწველობის სრულ უმწეობას და ოდნავ დაფარული სახით თავისუფალი ვაჭრობის სისტემაზე გადასვლას. ჩვენ მთელი ძალღონით უნდა ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ და ვიბრძოლოთ თვით იქამდეც კი, რომ მოვიწვიოთ პარტიული ყრილობა, რადგან ახლა, იმპერიალიზმის ეპოქაში, ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე სერიოზულ საბაჟო პოლიტიკაზე, გარდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემისა.

ბუხარინის მიერ კრასინისათვის იმის დაბრალება (მეხუთე პუნქტში), თითქოს მას არ ესმოდეს ცირკულაციის გაძლიერების მთელი მნიშვნელობა, სავსებით ბათილდება იმით, რაც ნათქვამი აქვს კრასინს შერეულ საზოგადოებებზე, ვინაიდან ეს შერეული საზოგადოებანი არავითარ სხვა მიზანს არ ისახავენ, გარდა იმისა, რომ გააძლიერონ ცირკულაცია და თან რეალურად, და არა ფიქციურად, როგორც ეს არის

საბაჟო დაცვის დროს, დაიცვან ჩვენი, რუსული, მრეწველობა.

შემდეგ, თუ მეექვსე პუნქტში ბუხარინი, ილაშქრებს რა ჩემს წინააღმდეგ, წერს, თითქოს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ გლეხი უაღრესად ხელსაყრელ გარიგებას დადებს და თითქოს ბრძოლა იწარმოებს არა გლეხსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის, არამედ საბჭოთა ხელისუფლებასა და ექსპორტიორს შორის, ეს, ასევე, სრულიად არ არის სწორი, რადგან ექსპორტიორი, მაგალითად, ჩემს მიერ აღნიშნულ ფასთა სხვაობის დროს (სელი რუსეთში ღირს 4 მ. და 50 კ., ინგლისში კი 14 მ.) მობილიზაციას გაუკეთებს მთელს გლეხობას თავის ირგვლივ უაღრესად სწრაფად, მტკიცედ და უეჭველად. პრაქტიკულად ბუხარინი იცავს სპეკულანტს, წვრილ ბურჟუას და გლეხობის ზედაფენებს სამრეწველო პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელსაც აბსოლუტურად არ ძალუძს აღადგინოს თავისი მრეწველობა, გახადოს რუსეთი სამრეწველო ქვეყნად, თუ დაიცავს მას არამც და არამც არა საბაჟო პოლიტიკით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიით. ყოველგვარი სხვა პროტექციონიზმი თანამედროვე რუსეთის პირობებში სრულიად ფიქციური, ქაღალდის პროტექციონიზმია, რომელიც არაფერს აძლევს პროლეტარიატს. ამიტომ, პროლეტარიატის და მისი მრეწველობის თვალსაზრისით, აღნიშნულ ბრძოლას უაღრესად ძირეული, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. შერეულ საზოგადოებათა სისტემა ერთადერთი სისტემაა, რომელსაც შეუძლია ნამდვილად გააუმჯობესოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცუდი აპარატი, რადგან ამ სისტემის დროს ერთიმეორის გვერდით მუშაობენ საზღვარგარეთელი და რუსი ვაჭარი. თუ ჩვენ ასეთ პირობებშიც ვერ შევძლებთ დავისწავლოთ, ვისწავლოთ და სავსებით შევისწავლოთ, მაშინ ჩვენი ხალხი სრულიად უიმედო ბრიყვი ხალხი ყოფილა.

ხოლო თუ ვილაპარაკებთ «საბაჟო დაცვაზე», ეს იმას ნიშნავს, რომ თვალი ავარიდოთ იმ საფრთხეს, რომელიც

კრასინმა სრულიად გარკვევით აღნიშნა და რომლის ვერც ერთი ნაწილი ბუხარინმა ვერ გააბათილა.

დავუმატებ აგრეთვე, რომ საზღვრების ნაწილობრივ გახსნას თან სდევს უაღრესად სერიოზული საფრთხე ვალუტის მხრივ, რადგან პრაქტიკულად გერმანიის მდგომარეობაში ჩავვარდებით, თან სდევს უაღრესად სერიოზული საფრთხე იმისა, რომ რუსეთში შემოიჭრებიან წვრილი ბურჟუაზია და საზღვარგარეთის რუსეთის ყოველგვარი აგენტები, ისე რომ ჩვენ კონტროლის სულ მცირე შესაძლებლობაც არ გვექნება.

შერეულ საზოგადოებათა გამოყენება იმისათვის, რომ სერიოზულად და ხანგრძლივად ვისწავლოთ, — ასეთია ჩვენი მრეწველობის აღდგენის ერთადერთი გზა.

1922 წ. 13. XII. ლენინი

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1930 წ. ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 2 — 3 (97 — 98)

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით

წერილი ი. ბ. სტალინს ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსვლის გამო [114]

ახლა დავამთავრე ჩემი საქმეების ლიკვიდაცია და შემიძლია დამშვიდებით გავემგზავრო. დამრჩა მხოლოდ ერთი გარემოება, რომელიც მეტისმეტად მაღელვებს, — ეს არის საბჭოების ყრილობაზე გამოსვლის შეუძლებლობა. სამშობათს ჩემთან შეიკრიბებიან ექიმები და მოვითათბირებთ, არსებობს თუ არა თუნდაც მცირეოდენი შანსი ასეთი გამოსვლისა. მასზე უარის თქმას დიდ უხერხულობად ჩავთვლიდი ჩემთვის, მეტი რომ არა ვთქვა. სიტყვის კონსპექტი უკვე დაწერილი მქონდა რამდენიმე დღის წინათ. ამიტომ ჩემი წინადადებაა — ნუ შევაჩერებთ ჩემს მაგივრად სხვა ვინმეს მომზადებას გამოსვლისათვის და ამასთან ოთხშაბათამდე დავტოვოთ იმის შესაძლებლობა, რომ იქნებ თვითონ გამოვიდე ჩვეულებრივთან შედარებით ძალზე შემოკლებული სიტყვით, მაგალითად, ორმოცდახუთწუთიანი სიტყვით. ასეთი სიტყვა სრულიად არ შეუშლის ხელს ჩემი შემცვლელის (ვისაც უნდა მიანდოთ ეს) სიტყვას, მაგრამ, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება პოლიტიკურადაც და პირადი მოსაზრებითაც, რადგან მოსპობს დიდი მღელვარების საბაბს. გთხოვთ მიიღოთ ეს მხედველობაში და, თუ ყრილობის გახსნა კიდევ გაჭიანურდება, მაცნობოთ წინასწარ ჩემი მდივნის საშუალებით.

1922 წ. 15. XII. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
იბეჭდება [illegible]წერ მანქანაზე
დაბეჭდილ [illegible]ასლის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

ფურცლები დღიურიდან

ამ დღეებში გამოსული ნაშრომი რუსეთის მოსახლეობის წიგნიერობის შესახებ 1920 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით («წიგნიერობა რუსეთში», მოსკოვი, 1922 წ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სახალხო განათლების სტატისტიკური განყოფილება) მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ქვემოთ მომყავს რუსეთის მოსახლეობის 1897 და 1920 წლების წიგნიერობის ცხრილი, რომელიც ამოღებულია ამ ნაშრომიდან:

	1 000 მამაკაცზე წიგნიერი იყო:		1 000 დედაკაცზე წიგნიერი იყო:		სულ 1 000 მცხოვრებზე წიგნიერი იყო:	
	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.
1. ევროპული რუსეთი	326	422	136	255	229	330
2. ჩრდილო კავკასია.....	241	357	56	215	150	281
3. ციმბირი (დასავლეთი)..	170	307	46	134	108	218
ს უ ლ	318	409	131	244	223	319

მაშინ, როდესაც ჩვენ პროლეტარულ კულტურაზე და ბურჟუაზიულ კულტურასთან მის თანაფარდობაზე ვლაყბობდით, ფაქტებმა გადაგვიშალა ციფრები, რომლებიც გვიჩვე-

ნებენ, რომ ბურჟუაზიული კულტურაც კი ჩვენში მეტად სუსტი ყოფილა. აღმოჩნდა, როგორც მოსალოდნელიც იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი ვართ საყოველთაო წიგნიერობას, და თვით ჩვენი პროგრესიც კი მეფის დროსთან (1897 წელთან) შედარებით მეტად ნელი აღმოჩნდა. ეს მრისხანე გაფრთხილება და საყვედურია იმათ მიმართ, ვინც «პროლეტარულ კულტურაზე» ოცნებობდა და ოცნებობს. ეს გვიჩვენებს, რა თავდადებული შავი მუშაობა გვმართებს კიდევ, რომ დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი ცივილიზებული სახელმწიფოს დონეს მივაღწიოთ. შემდეგ ეს გვიჩვენებს, რა უამრავი სამუშაო მოგველის ახლა იმისათვის, რომ ჩვენ პროლეტარულ მონაპოვართა ნიადაგზე მართლაც მივაღწიოთ რამდენადმე კულტურულ დონეს.

საჭიროა არ დავჯერდეთ ამ უდავო, მაგრამ მეტად თეორიულ დებულებას. საჭიროა ჩვენი კვარტალური ბიუჯეტის უახლოესი გადასინჯვის დროს საქმეს პრაქტიკულადაც მოვკიდოთ ხელი. რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა შევამცროთ არა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები, არამედ სხვა უწყებების ხარჯები, იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებული თანხები განათლების სახალხო კომისარიატის საჭიროებებს მოხმარდეს. არ უნდა ვიძუნწოთ მასწავლებელთათვის პურის ულუფის გადიდების საქმეში ისეთ წელს, როგორიც არის მიმდინარე წელი, როდესაც პურით შედარებით გვარიანად ვართ უზრუნველყოფილი.

ის მუშაობა, რომელიც ამჟამად სახალხო განათლების დარგში წარმოებს, საერთოდ თუ ვიტყვით, შეუძლებელია მეტად ვიწრო მუშაობად ჩაითვალოს. ძალიან ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ძველი მასწავლებლობა დაძრულ იქნეს ადგილიდან, რომ იგი ეზიაროს ახალ ამოცანებს, დაინტერესდეს პედაგოგიკის საკითხების ახალი დაყენებით, დაინტერესდეს ისეთი საკითხებით, როგორიც არის რელიგიის საკითხი.

მაგრამ მთავარ რამეს მაინც არ ვაკეთებთ. ჩვენ არ ვზრუნავთ ან ნაკლებად ვზრუნავთ იმაზე, რომ სახალხო მასწავლე-

ბელი დავაყენოთ იმ სიმაღლეზე, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე კულტურაზე: არათუ პროლეტარულზე, ბურჟუაზიულზედაც კი. ლაპარაკი უნდა იყოს იმ ნახევრადზიურ უკულტურობაზე, რომლისთვისაც დღემდე თავი ვერ დაგვიღწევია და ვერც დავაღწევთ თავს, თუ სერიოზულად თავს არ გამოვიდებთ, თუმცა შესაძლებლობა გვაქვს თავი დავაღწიოთ, იმიტომ რომ ხალხის მასები არსად ისე არ არიან დაინტერესებული ნამდვილი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისე თანამიმდევრად, როგორც ჩვენში; არსად, არც ერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ძალაუფლება არ არის მუშათა კლასის ხელში, რომელსაც მასობრივად მშვენივრად ესმის თავისი, არ ვიტყვი კულტურულობის, ვიტყვი მხოლოდ — წიგნიერობის ნაკლი; არსად ეს კლასი არ არის მოწადინებული გაიღოს და არც იღებს ხოლმე იმდენ მსხვერპლს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ მხრივ, როგორც ჩვენში.

ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა, მეტისმეტად ცოტა კეთდება იმისათვის, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ რიგში გადაეწიოთ პირველდაწყებითი სახალხო განათლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. თვით განსახკომშიც კი ჩვენში ძალიან ხშირად იპოვით რომელიმე სახელმწიფო გამომცემლობის მეტისმეტად გაბერილ შტატებს, იმაზე კი სრულიად არავინ იწუხებს თავს, რომ პირველ რიგში სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს არა გამომცემლობაზე, არამედ იმაზე, რომ იყოს მკითხველი, რომ რაც შეიძლება მეტს შეეძლოს კითხვა, რომ მომავალ რუსეთში გამომცემლობას მეტი პოლიტიკური გაქანება ჰქონდეს. ტექნიკურ საკითხებს, მსგავსად გამომცემლობის საკითხისა, ჩვენ ძველი (ცუდი) ჩვეულებისამებრ ბევრად მეტ დროსა და ძალას ვანდომებთ, ვიდრე ხალხის წიგნიერობის ზოგად პოლიტიკურ საკითხს.

თუ ავიღებთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს, იქაც, დარწმუნებული ვართ, ძალიან, ძალიან ბევრს ვიპოვით ზედმეტს, გაბერილს უწყებრივი ინტერესით, შეუ-

ხამებელს ფართო სახალხო განათლების მოთხოვნილებებთან. პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოშიც ყველაფერი როდია გამართლებული იმ კანონიერი სურვილით, რომ თავდაპირველად ავამაღლოთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნის ახალგაზრდობის განათლება და პრაქტიკული მიმართულება მივცეთ ამ განათლებას. თუ გულდასმით გავსინჯავთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს შტატებს, იქ ამ თვალსაზრისით ბევრი, ძალიან ბევრი რამ აღმოჩნდება გაბერილი და ფიქციური, რაც უნდა დაიხუროს. პროლეტარულ-გლეხურ სახელმწიფოში ხალხის წიგნიერობის გავრცელებისათვის კიდევ დიდი, ძალიან დიდი მომჭირნეობა შეიძლება გავწიოთ და კიდევაც უნდა გავწიოთ ისეთი რამეების დახურვით, რაც ან სანახევროდ ბატონკაცური ტიპის გასართობია, ან ისეთი დაწესებულებაა, ურომლისოდაც ჯერ კიდევ დიდხანს შეგვიძლია გავძლოთ და უნდა გავძლოთ კიდეც ხალხის წიგნიერობის ისეთი მდგომარეობის დროს, რომლის შესახებაც სტატისტიკა მეტყველებს.

სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. საქმის ასეთი ვითარებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ სისტემატური, განუხრელი, შეუპოვარი მუშაობით. იმისათვის, რომ ავამაღლოთ იგი სულიერად, ყოველმხრივ მოვამზადოთ იგი თავისი ნამდვილად მაღალი მოწოდებისათვის და, რაც ყველაზე მთავარი, მთავარი და მთავარია — გავაუმჯობესოთ მისი მატერიალური მდგომარეობა.

სისტემატურად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სახალხო მასწავლებელთა დასარაზმავად, რათა ბურჟუაზიული წყობილების დასაყრდენიდან, რასაც ისინი დღემდე წარმოადგენენ გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, გადავაქციოთ საბჭოთა წყობილების დასაყრდენად, რათა მათი მეშვეობით ჩამოვაშოროთ გლეხობა ბურჟუაზიასთან კავშირს და დავუკავშიროთ იგი პროლეტარიატს.

მოკლედ აღვნიშნავ, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სისტემატურმა მგზავრობამ სოფლად, რაც უკვე ტარდება და რაც გეგმაზომიერად უნდა მოეწყოს. ასეთ მგზავრობათა მოწყობაზე არ უნდა დავიშუროთ ფული, რომელსაც ძალიან ხშირად ფუჭად ვხარჯავთ ისეთ სახელმწიფო აპარატზე, რომელიც თითქმის მთლად ძველ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის.

მე ვაგროვებდი მასალას იმ სიტყვისათვის, რომელიც უნდა წარმომეთქვა და ვერ წარმოვთქვი საბჭოების ყრილობაზე 1922 წლის დეკემბერში; სიტყვა შეეხებოდა ქალაქელი მუშების შეფობას სოფლის მცხოვრებლებზე. ზოგიერთი მასალა ამის შესახებ ამხ. ხოდოროვსკიმ მომაწოდა; ახლა ამ თემას ამხანაგების წინაშე ვაყენებ დასამუშავებლად, რაკი მე თვითონ ვერ მოვასწარი მისი დამუშავება და საბჭოების ყრილობაზე წარმოთქმა.

აქ ძირითადი პოლიტიკური საკითხია ქალაქის დამოკიდებულება სოფელთან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი რევოლუციისათვის. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე სისტემატურად მიმართულია იქითკენ, რომ გამოაყეყეჩოს ქალაქის მუშები და ამ მიზანს უფარდებს მთელ იმ ლიტერატურას, რომელიც იცემა სახელმწიფოს ხარჯზე, მეფისა და ბურჟუაზიული პარტიების ხარჯზე, ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ მთელი ჩვენი ძალ-უფლება მოვახმაროთ იმას, რომ ქალაქის მუშა ნამდვილად გავხადოთ კომუნისტური იდეების გამტარებლად სოფლის პროლეტარიატში.

მე ვთქვი «კომუნისტური» და ვიჩქარი განვმარტო, რადგან ვშიშობ გაუგებრობა არ გამოვიწვიო ან მეტისმეტად პირდაპირ არ ვიქნე გაგებული. სარავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ეს ისე, თითქოს ერთბაშად უნდა შევიტანოთ სოფლად წმინდა და ვიწრო კომუნისტური იდეები. ვიდრე სოფლად არ არსებობს მატერიალური საფუძველი კომუნიზმისათვის, მანამდე ეს, შეიძლება ითქვას, მავნებელი იქნება,

ეს, შეიძლება ითქვას, დამღუპველი იქნება კომუნიზმისათვის.)

არა. (უნდა დავიწყოთ იმით, რომ დავამყაროთ ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, ამასთან არავითარ შემთხვევაში წინასწარ არ დავისახოთ მიზნად სოფლად კომუნიზმის დანერგვა. ასეთი მიზნის მიღწევა ამჟამად შეუძლებელია.) ასეთი მიზანი დროული არ არის. ასეთი მიზნის დასახვა სარგებლობის ნაცვლად ვნებას მოგვიტანს.

(ხოლო ურთიერთობის დამყარება ქალაქის მუშებსა და სოფლის მუშაკებს შორის, მათ შორის ამხანაგობის ისეთი ფორმის დამყარება, რომლის შექმნაც ადვილია მათ შორის, — ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამისათვის საჭიროა დავაარსოთ ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიგი გაერთიანებები (პარტიული, პროფესიული, კერძო), რომელთა სისტემატურ მიზანს უნდა შეადგენდეს დახმარების გაწევა სოფლისათვის კულტურული განვითარების საქმეში.)

შევძლებთ თუ არა ქალაქის ყველა უჯრედის «მიწერას» სოფლის ყველა უჯრედზე იმისათვის, რომ მუშათა ყოველმა უჯრედმა, რომელიც «მიწერილი» იქნება სოფლის სათანადო უჯრედზე, სისტემატურად გამოიყენოს ყოველი გარემოება, ყოველი შემთხვევა, რომ დააკმაყოფილოს თავისი თანაუჯრედის ესა თუ ის კულტურული მოთხოვნილება? ან იქნებ შესაძლებელი გახდეს კავშირურთიერთობის სხვა ფორმების გამოძებნა? მე აქ ვჯერდები მხოლოდ საკითხის დაყენებას, რომ ამას მივაქციო ამხანაგების ყურადღება, რომ მივუთითო დასავლეთ ციმბირის გამოცდილებაზე (ამ გამოცდილებაზე მე მიმითითა ამხ. ხოდოროვსკიმ) და მთელი მოცულობით წამოვაყენო ეს გიგანტური მსოფლიო-ისტორიული კულტურული ამოცანა.

(ჩვენ თითქმის არაფერს ვაკეთებთ სოფლისათვის გარდა ჩვენი ოფიციალური ბიუჯეტისა, ან გარდა ჩვენი ოფიციალური ურთიერთობისა. მართალია, კულტურული ურთიერთობა ქალაქისა სოფელთან ჩვენში თავისთავად იღებს და

აუცილებლად იღებს სხვა ხასიათს. კაპიტალიზმის დროს ქალაქი სოფელს აძლევდა იმას, რაც მას რყვნიდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, ზნეობრივად, ფიზიკურად და სხვ.. ქალაქი ჩვენ დროს თავისთავად აძლევს სოფელს პირდაპირ საწინააღმდეგოს. მაგრამ ყოველივე ეს კეთდება სწორედ თავისთავად, სტიქიურად, და ყოველივე ეს შეიძლება გაძლიერებულ იქნეს (ხოლო შემდეგ ასწილ გადიდებულიც) ამ მუშაობაში შეგნების, გეგმაზომიერებისა და სისტემატურობის შეტანით.

ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიწყებთ წინსვლას (ხოლო მაშინ ჩვენ უეჭველად ასწილ უფრო სწრაფად დავიწყებთ წინსვლას), როდესაც ამ საკითხის შესწავლას შევუდგებით, დავაარსებთ მუშების ყოველგვარ გაერთიანებას — ყოველნაირად მოვერიდებით მათ ბიუროკრატიზაციას — იმისათვის, რომ დავაყენოთ ეს საკითხი, განვიხილოთ იგი და საქმედ ვაქციოთ.

1923 წ. 2 იანვარი.

«პრავდა» № 2, 1923 წ.
4 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრაფიულ ჩანაწერთან

კოოპერაციის შესახებ

I

ჩვენში კოოპერაციას, ვფიქრობ, საკმაო ყურადღება არ ექცევა. არა მგონია ყველას ესმოდეს, რომ კოოპერაციას ჩვენში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ახლა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და ახალი ეკონომიური პოლიტიკის დამოუკიდებლად (პირიქით, ამ მხრივ. უნდა ვთქვათ: სწორედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით). ძველ კოოპერატორთა ოცნებაში ბევრი ფანტაზიაა. ისინი ხშირად სასაცილონი არიან თავიანთი ფანტასტიკურობით. მაგრამ რაში მდგომარეობს მათი ფანტასტიკურობა? იმაში, რომ არ ესმით უმთავრესი, ძირითადი მნიშვნელობა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა ექსპლოატატორთა ბატონობის დასამხობად. ახლა ჩვენში ექსპლოატატორები დამხობილი არიან, და ახლა ბევრი რამ, რაც ძველ კოოპერატორთა ოცნებაში ფანტასტიკური იყო, რომანტიკულიც კი, უგვანოც კი, სრულიად შეუფერადებელ სინამდვილედ ხდება.

მართლაც, რაკი სახელმწიფო ძალაუფლება ჩვენში მუშათა კლასის ხელშია, რაკი წარმოების ყველა საშუალება ამ სახელმწიფოს ეკუთვნის, ჩვენ, მართლაც, ამოცანად დაგვრჩენია მხოლოდ მოსახლეობის კოოპერირება. მოსახლეობის მაქსიმალური კოოპერირების პირობებში თავისთავად აღწევს მიზანს ის სოციალიზმი, რომელიც წინათ კანონიერ დაცინვას,

ღიმილს, ათვალწუნებულ დამოკიდებულებას იწვევდა იმ ადამიანთა მხრივ, ვინც სამართლიანად დარწმუნებული იყო კლასობრივი ბრძოლის, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობაში და სხვ.. და აი ყველა ამხანაგი როდი აძლევს თავის თავს ანგარიშს იმაში, რა გიგანტური, უსაზღვრო მნიშვნელობა ეძლევა ახლა ჩვენთვის რუსეთის კოოპერირებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ დავუთმეთ გლეხს, როგორც ვაჭარს, კერძო ვაჭრობის პრინციპს; სწორედ აქედან გამომდინარეობს (წინააღმდეგ იმისა, რასაც ფიქრობენ) კოოპერაციის გიგანტური მნიშვნელობა. არსებითად რომ ვთქვათ, რუსეთის მოსახლეობის საკმაოდ ფართოდ და ღრმად კოოპერირება ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბატონობის დროს ყველაფერია, რაც საჭიროა ჩვენთვის, იმიტომ რომ ჩვენ ახლა გამოვნახეთ ის დონე კერძო ინტერესის, კერძო სავაჭრო ინტერესის შეერთებისა, სახელმწიფოს ძიერ მისი შემოწმებისა და კონტროლისა, ის დონე მისი საერთო ინტერესებისადმი დამორჩილებისა, რაც წინათ დაბრკოლებას უქმნიდა ძალიან ბევრ სოციალისტს. მართლაც, წარმოების ყველა მსხვილი საშუალება სახელმწიფოს ხელში, სახელმწიფო ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გლეხობის მიმართ და სხვ., — განა ყოველივე ეს ის არ არის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაცია, მარტოოდენ კოოპერაცია, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულ ორგანიზაციას, და რომლის აბუჩად აგდების უფლება ერთგვარად ახლაც გვაქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, — განა ყოველივე ეს ის არ არის, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს ყველაფერია, რაც აუცილებელი და საკმარისია ამ აშენებისათვის.

აი სწორედ ეს გარემოება ვერ შეაფასა სათანადოდ ბევრმა ჩვენმა პრაქტიკულმა მუშაკმა. კოოპერაციას ჩვენში

ათვალწუნებით უყურებენ და არ ესმით, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კოოპერაციას, ჯერ-ერთი, პრინციპული მხრივ (წარმოების საშუალებათა საკუთრება სახელმწიფოს ხელშია), მეორე, ახალ წესწყობილებაზე გადასვლის მხრივ გლეხისათვის რაც შეიძლება უფრო მარტივი, ადვილი და მისაწვდომი გზით.

ეს კი ხომ, ისევ ისე, მთავარია. ერთია ოცნება მუშათა ყოველგვარ გაერთიანებებზე სოციალიზმის ასაშენებლად, სულ სხვაა ისწავლო პრაქტიკულად შენება ამ სოციალიზმისა ისე, რომ ყოველ წვრილ გლეხს შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ამ აშენებაში. სწორედ ამ საფეხურს მივაღწიეთ ჩვენ ახლა. და უეჭველია, რომ, მივაღწიეთ რა მას, ძალიან ნაკლებად ვსარგებლობთ მით.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას ჩვენ გადავღუნეთ ჯოხი არა იმ მხრივ, რომ მეტად დიდი ადგილი დავუთმეთ თავისუფალი მრეწველობისა და ვაჭრობის პრინციპს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას ჯოხი გადავღუნეთ იმ მხრივ, რომ დავივიწყეთ კოოპერაციაზე ფიქრი, სათანადოდ ვერ ვაფასებთ ახლა კოოპერაციას, უკვე ვივიწყებთ კოოპერაციის გიგანტურ მნიშვნელობას ამ მნიშვნელობის ზემოაღნიშნული ორი მხრივ.

ახლა მინდა ველაპარაკო მკითხველს იმაზე, თუ რის გაკეთება შეიძლება და რა უნდა გავაკეთოთ პრაქტიკულად ახლავე, ამ «კოოპერაციული» პრინციპის საფუძველზე. რა საშუალებებით შეიძლება და უნდა დავიწყოთ ახლავე ამ «კოოპერაციული» პრინციპის განვითარება ისე, რომ მისი სოციალისტური მნიშვნელობა ყველასათვის და თვითეულისათვის ცხადი იყოს?

კოოპერაცია ისე უნდა დავაყენოთ პოლიტიკურად, რომ კოოპერაციას არა მარტო საერთოდ და ~~ყველგან~~ ~~ჰქონდეს~~ განსაზღვრული შეღავათი, არამედ ეს შეღავათი იყოს წმინდა ~~ქონებრივი~~ ~~შეღავათი~~ (საბანკო პროცენტის სიდიდე და სხვ.). კოოპერაციას სესხად უნდა ~~ეძლეოდეს~~ ~~იმდენი~~ ~~სახელ~~-მწიფო საშუალებები, რომ ცოტათი მაინც აღემატებოდეს იმ

საშუალებებს, რასაც ჩვენ სესხად ვაძლევთ კერძო საწარმოებს, თუნდაც თვით მსხვილი მრეწველობის ჩათვლითაც კი] და სხვ.]

ყოველი საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარებით. ზედმეტია გავიხსენოთ ის მრავალი ასეული მილიონი მანეთი, რადაც დაჯდა «თავისუფალი» კაპიტალიზმის წარმოშობა. ახლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და საქმედ ვაქციოთ, რომ ამჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივზე გადამეტებით უნდა დავეხმაროთ, არის კოოპერაციული წყობილება. მაგრამ მას უნდა დავეხმაროთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. საკმაო არ არის ეს დახმარება გავიგოთ როგორც ყოველგვარი კოოპერაციული ბრუნვისათვის დახმარება, — ეს დახმარება უნდა გავიგოთ როგორც ისეთი კოოპერაციული ბრუნვისათვის დახმარება, რომელშიც ნამდვილად მონაწილეობენ მოსახლეობის ნამდვილი მასები. პრემიის მიცემა იმ გლეხისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებს კოოპერაციულ ბრუნვაში, ეს უთუოდ სწორი ფორმაა, მაგრამ ამასთან საჭიროა შემოწმება ამ მონაწილეობისა და შემოწმება მისი შეგნებულობისა და კეთილსარისხოვნებისა, — აი რა არის საკითხის დედააზრი. როდესაც კოოპერატორი მიდის სოფელში და იქ კოოპერატივის დუქანს აწყობს, მოსახლეობა, ნამდვილი თუ გნებავთ, არავითარ მონაწილეობას არ იღებს ამაში, მაგრამ ამავე დროს იგი, ხელმძღვანელობს რა საკუთარი სარფით, შეეცდება ჩქარა მიიღოს მასში მონაწილეობა.

ამ საქმეს მეორე მხარეც აქვს. «ცივილიზებული» (უწინარეს ყოვლისა წიგნიერი) ევროპელის თვალსაზრისით ჩვენ სულ ცოტა რამ უნდა გავაკეთოთ კიდევ იმისათვის, რომ ვაიძულოთ გამოუკლებლივ ყველა მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივთა ოპერაციებში და მონაწილეობა მიიღონ არა პასიურად, არამედ აქტიურად. კაცმა რომ თქვას, ჩვენ დაგვრჩენია «მ ხ ო ლ ო დ» ერთი რამ: ჩვენი მოსახლეობა იმდენად «ცივილიზებული» გავხადოთ, რომ მან შეიგნოს კოოპერაციაში საყოველთაო მონაწილეობის მთელი ხერგებლობა და

მოაგვაროს ეს მონაწილეობა. «მ ხ ო ლ ო დ» ეს. იმისათვის, რომ სოციალიზმზე გადავიდეთ, არავითარი სხვა სიბრძნე ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის. მაგრამ იმისათვის, რომ შევასრულოთ ეს «მხოლოდ», საჭიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მთელი მასის კულტურული განვითარების მთელი ხანა. ამიტომ წესად უნდა დავიდოთ: ჭკუის რაც შეიძლება ნაკლები ძალდატანება და რაც შეიძლება ნაკლები ოინბაზობა. ამ მხრივ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იმ პროგრესს წარმოადგენს, რომ იგი ეგუება სრულიად ჩვეულებრივი გლეხის დონეს, რომ ის არ მოითხოვს მისგან უმაღლეს რამეს. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეშვეობით რომ გამოუკლებლივ მთელი მოსახლეობა ჩაებას კოოპერაციაში — აი ამისათვის საჭიროა მთელი ისტორიული ეპოქა. უკეთეს შემთხვევაში ამ ეპოქის გავლა ჩვენ შეგვიძლია ერთი-ორი ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ მაინც ეს იქნება განსაკუთრებული ისტორიული ეპოქა, და ამ ისტორიული ეპოქის გაუვლელად, თუ ყველა წიგნიერი არ გახდება, თუ ყველა საკმაოდ გონიერი არ იქნება, თუ მოსახლეობა საკმაოდ არ მიეჩვევა წიგნებით სარგებლობას და თუ ამას მატერიალური საფუძველი არ ექნება, თუ ხალხი ერთგვარად უზრუნველყოფილი არ იქნება, ვთქვათ, მოუსავლობისაგან, შიმშილისაგან და სხვ., — უამისოდ ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ. მთელი საქმე ახლა ისაა, რომ შეგვწევდეს უნარი შევაერთოთ ის რევოლუციური გაქანება, ის რევოლუციური ენთუზიაზმი, რომელიც ჩვენ უკვე გამოვიჩინეთ, ამასთან საკმაოდაც გამოვიჩინეთ და სრული წარმატებით დავაგვირგვინეთ, შეგვწევდეს უნარი შევაერთოთ იგი (აქ მე თითქმის მზადა ვარ ვთქვა) გაგებულ და მცოდნე ვაჭრად ყოფნის უნართან, რაც სრულიად საკმარისია კარგი კოოპერატორისათვის. როდესაც ვაჭრად ყოფნის უნარზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ კულტურულ ვაჭრად ყოფნის უნარს. ეს კარგად დაიხსომონ რუსმა ადამიანებმა ან უბრალო გლეხებმა, რომლებიც ფიქრობენ: რაკი ვვაჭრობ, მაშასადამე, ვაჭრად ყოფნის უნარიც შემწევსო. ეს სრულია-

დაც არ არის სწორი, იგი ვაჭრობს, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა კულტურულ ვაჭრად ყოფნის უნარამდე. იგი ამჟამად ვაჭრობს აზიურად, ~~ხოლო~~ იმისათვის, რომ ვაჭრად ყოფნის უნარი შეგწევდეს, უნდა ვაჭრობდე ევროპულად. ამას კი იგი მთელი ეპოქით არის დაშორებული.

ვამთავრებ: მთელი რიგი ეკონომიური, ფინანსური და საბანკო პრივილეგიები — კოოპერაციას; ასე უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობის ორგანიზაციის ახალ პრინციპს ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ. მაგრამ ამით ამოცანა მხოლოდ დაისვა ზოგადი სახით, იმიტომ რომ აქ ჯერ კიდევ გამოურკვეველი, დეტალურად აუწერელი რჩება ამოცანის მთელი შინაარსი პრაქტიკულად, ე. ი. უნდა ვიცოდეთ გამოძებნა «პრემიების» იმ ფორმისა (და მათი გაცემის იმ პირობებისა), რომელსაც ჩვენ ვიძლევით კოოპერირებისათვის, პრემიების იმ ფორმისა, რომლის დროს ჩვენ საკმაოდ ვეხმარებით კოოპერაციას, პრემიების იმ ფორმისა, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვღებულობთ ცივილიზებულ კოოპერატორს. ხოლო ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის კლასობრივი გამარჯვების პირობებში — ეს არის სოციალიზმის წყობილება.

1923 წ. 4 იანვარი.

II

ყოველთვის, როდესაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ვწერდი, ვიმოწმებდი ციტატებს ჩემი 1918 წლის სტატიიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ [115]. ამას არა ერთხელ გამოუწვევია ზოგიერთი ახალგაზრდა ამხანაგის ეჭვი. მაგრამ მათი ეჭვი უმთავრესად შეეხებოდა აბსტრაქტულ-პოლიტიკურ მხარეს.

მათ ეგონათ, რომ არ შეიძლება სახელმწიფო კაპიტალიზმი ეწოდოს იმ წყობილებას, როცა წარმოების საშუალებები ეკუთვნის მუშათა კლასს და ამ მუშათა კლასს ეკუთვნის სახელმწიფო ძალაუფლება. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ მე სახელწოდებას «სახელმწიფო კაპიტალიზმს» ვხმარობდი: ჯერ-ერთი, ახლანდელი ჩვენი პოზიციის ისტორიული კავშირისათვის იმ პოზიციასთან, რომელიც მეკავა ეგრეთწოდებულ მემარცხენე კომუნისტებთან ჩემს პოლემიკაში, აგრეთვე მე უკვე მაშინ ვამტკიცებდი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენ თანამედროვე ეკონომიკაზე უფრო მაღლა იდგომებოდა; ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დამედგინა თანამომდევნობა ჩვეულებრივი სახელმწიფო კაპიტალიზმისა იმ არაჩვეულებრივ, თვით სრულიად არაჩვეულებრივ, სახელმწიფო კაპიტალიზმთან, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, როდესაც მკითხველებს ვაცნობდი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. მეორე, ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული მიზანი. ხოლო ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკულ მიზანს შეადგენდა კონცესიების მიღება;

კონცესიები ჩვენს პირობებში უსათუოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის წმინდა ტიპი იქნებოდა. აი როგორ მქონდა წარმოდგენილი მსჯელობა სახელმწიფო კაპიტალიზმზე.

მაგრამ არის კიდევ საქმის ერთი მხარე, როცა შეიძლება დაგვჭირდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი ან, ყოველ შემთხვევაში, მასთან დაპირისპირება. ეს არის კოოპერაციის საკითხი.

უეჭველია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს ვითარებაში კოოპერაცია არის კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულება. უეჭველია აგრეთვე, რომ ჩვენი ახლანდელი ეკონომიური სინამდვილის ვითარებაში, როდესაც ჩვენ ვაერთებთ კერძოკაპიტალისტურ საწარმოებს, — მაგრამ აუცილებლად საზოგადოებრივ მიწაზე, და აუცილებლად მუშათა კლასის სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლით, — თანამიმდევრულ-სოციალისტური ტიპის საწარმოებთან (სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების საშუალებებიც, მიწაც, რომელზედაც დგას საწარმო, და საწარმოც მთლიანად), აქ იბადება საკითხი კიდევ მესამე სახის საწარმოებისა, რომლებსაც წინათ არ ჰქონდათ დამოუკიდებლობა პრინციპული მნიშვნელობის თვალსაზრისით, სახელდობრ: კოოპერაციული საწარმოებისა. კერძო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, როგორც კოლექტიური საწარმონი კერძო საწარმოთაგან. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, ჯერ-ერთი, როგორც კერძო საწარმონი, მეორე, როგორც კოლექტიური საწარმონი. ჩვენი არსებული წყობილების დროს კოოპერაციული საწარმონი კერძო-კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ არ განირჩევიან სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ ისინი დაარსებულია იმ მიწაზე, წარმოების იმ საშუალებებით, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს.

აი ამ გარემოებას საკმაოდ არ ითვალისწინებენ ჩვენში, როდესაც კოოპერაციაზე მსჯელობენ. ივიწყებენ, რომ კოო-

პერაცია ჩვენში, ჩვენი სახელმწიფო წყობილების თავისებურების წყალობით, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს. თუ ცალკე გამოვყოფთ კონცესიებს, რომლებიც, უნდა ითქვას, რამდენადმე მნიშვნელოვნად ვერ განვითარდა ჩვენში, კოოპერაცია ჩვენს პირობებში ძალიან ხშირად სავსებით ემთხვევა სოციალიზმს.

[განვმარტავ ჩემს აზრს. რაში მდგომარეობს რობერტ ოუენიდან დაწყებული ძველი კოოპერატორების გეგმების ფანტასტიკურობა? იმაში, რომ ისინი ოცნებობდნენ — სოციალიზმი მშვიდობიანი გზით გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებასო, და არ ითვალისწინებდნენ ისეთ ძირითად საკითხს, როგორიცაა კლასობრივი ბრძოლის, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების, ექსპლოატატორთა კლასის ბატონობის დამხობის საკითხი. ამიტომ ჩვენ მართალი ვართ, როდესაც ასეთი «კოოპერაციული» სოციალიზმი მიგვაჩნია ერთიან ფანტასტიკად, რაღაც რომანტიკულს, უგვანოსაც კი ვხედავთ იმაზე ოცნებობაში, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობის უბრალო კოოპერირებით გადააქციო კლასობრივი მტრები კლასობრივ თანამშრომლებად და კლასობრივი ომი კლასობრივ ზავად (ეგრეთწოდებულ სამოქალაქო ზავად).]

ეჭვი არ არის, რომ თანამედროვეობის ძირითადი ამოცანის თვალსაზრისით ჩვენ მართალი ვიყავით, რადგან სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლებისათვის კლასობრივი ბრძოლის გარეშე სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია.

[მაგრამ აბა შეხედეთ, როგორ შეიცვალა საქმის ვითარება ახლა, რაკი სახელმწიფო ძალაუფლება უკვე მუშათა კლასის ხელშია, რაკი ექსპლოატატორთა პოლიტიკური ძალაუფლება დამხობილია და რაკი წარმოების ყველა საშუალება (გარდა იმისა, რასაც კონცესიის სახით მუშათა სახელმწიფო ნებაყოფლობით აძლევს ექსპლოატატორებს დროებით და პირობითად) მუშათა კლასის ხელშია.]

ახლა ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის უდრის (ზემოაღნიშნული «პატარა» გამონაკლისით) სოციალიზმის ზრდას, და ამასთან ერთად იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ძირეულად შეიცვალა მთელი ჩვენი თვალსაზრისი სოციალიზმზე. ეს ძირეული ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ წინათ ჩვენ სიმძიმის ცენტრი გადაგვქონდა და კიდევაც უნდა გადაგვეტანა პოლიტიკურ ბრძოლაზე, რევოლუციაზე, ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე და სხვ.. ახლა კი სიმძიმის ცენტრი იმდენად იცვლება, რომ გადადის მშვიდობიან ორგანიზაციულ «კულტურულ» მუშაობაზე. მე მზადა ვარ ვთქვა, რომ სიმძიმის ცენტრი ჩვენთვის გადადის კულტუროსნობაზე, ხელს რომ არ გვიშლიდეს საერთაშორისო ურთიერთობა, მოვალეობა — ვიბრძოლოთ ჩვენი პოზიციისათვის საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ თუ ამას განზე დავტოვებთ და ავიღებთ მხოლოდ შინაგან ეკონომიურ ურთიერთობას, ჩვენთვის მართლაც ახლა მუშაობის სიმძიმის ცენტრია კულტუროსნობა.

ჩვენს წინაშეა ორი მთავარი ამოცანა, რაც ეპოქას შეადგენს. ეს ამოცანაა გარდაქმნა ჩვენი აპარატისა, რომელიც სრულიად არაფრად არ ვარგა და რომელიც მთლად წინანდელი ეპოქისაგან გადმოგვეცა; აქ რისიმე სერიოზულად გარდაქმნა ხუთი წლის ბრძოლის განმავლობაში ვერ მოვასწარით და არც შეგვეძლო მოგვესწრო. ჩვენი მეორე ამოცანაა კულტურული მუშაობა გლეხობისათვის. ხოლო ეს კულტურული მუშაობა გლეხობაში ისახავს, როგორც ეკონომიურ მიზანს, სწორედ კოოპერირებას. კოოპერირება რომ სავსებით განხორციელებული იყოს, ჩვენ ორივე ფეხით უკვე სოციალისტურ ნიადაგზე ვიდგომებოდით. მაგრამ სრული კოოპერირების ეს პირობა გულისხმობს გლეხობის (სწორედ გლეხობის, როგორც უდიდესი მასის) ისეთ კულტურულობას, რომ ეს სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ მთელი კულტურული რევოლუცია არ მოხდა.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს არა ერთხელ უთქვამთ ჩვენთვის — არასაკმაოდ კულტურულ ქვეყანაში სოციალიზმის

დანერგვის უგუნური საქმე წამოიწყეთო. მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იქიდან, როგორც თეორიის (ყოველგვარი პედანტის თეორიის) მიხედვით უნდა დაწყებულიყო, და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინამორბედი გახდა იმ კულტურული გადატრიალებისა, იმ კულტურული რევოლუციისა, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა, მაინც, ვდგავართ.

ჩვენთვის საკმაოა ახლა ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად გადავიქცეთ, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლუცია წარმოადგენს უზომო სიძნელეებს, როგორც წმინდა კულტურული ხასიათისას (რადგან წერა-კითხვის უცოდინარნი ვართ), ისე მატერიალური ხასიათისას (რადგან იმისათვის, რომ კულტურულნი გავხდეთ, საჭიროა წარმოების მატერიალურ საშუალებათა ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური ბაზა).

1923 წ. 6 იანვარი.

პირველად დაიბეჭდა 1923 წ. 26 და 27 მაისს გაზეთ «პრავდაში» №№ 115 და 116
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრაფიულ ჩანაწერთან

ჩვენი რევოლუციის შესახებ

(ნ. სუხანოვის წერილების გამო)

I

ამ დღეებში გადავფურცლე სუხანოვის წერილები რევოლუციის შესახებ. განსაკუთრებით გეცემათ თვალში პედანტობა ყველა ჩვენი წვრილბურჟუაზიული დემოკრატისა, ისევე როგორც II ინტერნაციონალის ყველა გმირისა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი არაჩვეულებრივ მხდალები არიან, რომ მათ შორის უკეთესნიც კი კმაყოფილდებიან მიკიბულ-მოკიბული შენიშვნებით, როცა ლაპარაკი ეხება გერმანული ნიმუშისაგან სულ მცირეოდენ გადახვევასაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ყველა წვრილბურჟუაზიული დემოკრატის ამ თვისებაზე, რაც საკმაოდ გამოიჩინეს მათ მთელი რევოლუციის განმავლობაში, თვალში გეცემათ მათი მონური მიმბაძველობა წარსულისადმი.

ყველა ისინი მარქსისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, მაგრამ უაღრესად პედანტურად ესმით მარქსიზმი. მათ სრულიად ვერ გაუგიათ ის, რაც გადამწყვეტია მარქსიზმში: სახელდობრ. მისი რევოლუციური დიალექტიკა. მარქსის პირდაპირი მითითებანიც კი იმაზე, რომ რევოლუციის მომენტებში საჭიროა მაქსიმალური მოქნილობა[116], მათ აბსოლუტურად ვერ გაუგიათ და ვერც კი შეუმჩნევიათ, მაგალითად, მარქსის მითითებანი მის მიწერ-მოწერაში, რომელიც, როგორც მახსოვს, მიეკუთვნება 1856 წელს, როდესაც იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ გლეხთა ომი გერმანიაში, რომელსაც შეუძლია რევოლუციური ვითარება შექმნას, შეუერთდება

მუშათა მოძრაობასო[117], — თვით ამ პირდაპირ მითითებასაც ისინი გვერდს უვლიან და გარს უტრიალებენ, როგორც კატა ცხელ ფაფას.

მთელი თავიანთი მოქმედებით ისინი ააშკარავებენ, რომ მხდალი რეფორმისტები არიან, რომელთაც ეშინიათ განუდგნენ ბურჟუაზიას, მით უმეტეს გასწყვიტონ მასთან კავშირი, და ამავე დროს თავიანთ სიმხდალეს ფარავენ წრეგადასული ფრაზიორობითა და ტრაბახით. მაგრამ წმინდა თეორიულადაც კი თვალში გეცემათ, რომ ყველა მათ არავითარი უნარი არ შესწევთ გაიგონ მარქსიზმის შემდეგი მოსაზრებანი: აქამდე ისინი ხედავდნენ დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების განსაზღვრულ გზას. და აი, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს გზა შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს **mutatis mutandis** * მხოლოდ ზოგიერთი შესწორებით (სრულიად უმნიშვნელო შესწორებებით მსოფლიო ისტორიის საერთო მსვლელობის თვალსაზრისით).

პ ი რ ვ ე ლ ი — რევოლუცია, დაკავშირებული პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან. ასეთ რევოლუციაში თავი უნდა ეჩინა ახალ ნიშნებს, ან სახეშეცვლილთ სწორედ ომისაგან დამოკიდებით, იმიტომ რომ არასოდეს ქვეყნად ასეთი ომი, ასეთ ვითარებაში, ჯერ არ ყოფილა. დღემდე ჩვენ ვხედავთ, რომ უმდიდრესი ქვეყნების ბურჟუაზიას არ შეუძლია მოაგვაროს «ნორმალური» ბურჟუაზიული ურთიერთობა ამ ომის შემდეგ, ხოლო ჩვენს რეფორმისტებს, წვრილ ბურჟუებს, რომელთაც რევოლუციონერებად მოაქვთ თავი, ზღვარად (რომლის გადალახვაც შეუძლებელია) მიაჩნდათ და მიაჩნიათ ნორმალური ბურჟუაზიული ურთიერთობა, ამასთან ეს «ნორმა» უკიდურესად შაბლონურად და ვიწროდ ესმით.

მ ე ო რ ე — მათთვის სრულიად უცხოა ყოველგვარი აზრი იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიო ისტორიაში განვითარების საერთო კანონზომიერების დროს სრულიად არ არის გამორიცხული, არამედ, პირიქით, იგულისხმება განვითარების ცალკეული პერიოდები, რომლებიც წარმოადგენენ ამ

* — სათანადო ცვლილებებით. რ ე დ.

განვითარების ან ფორმის, ან წესის თავისებურებას. მათ აზრადაც არ მოსდით, მაგალითად, რომ რუსეთს, რომელიც ცივილიზებული ქვეყნებისა და ისეთი ქვეყნების საზღვარზე დგას, რომელთაც ეს ომი პირველად აბამს საბოლოოდ ცივილიზაციაში, მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების, არაევროპული ქვეყნების საზღვარზე, რომ რუსეთს ამიტომ შეეძლო და კიდევაც უნდა გამოემჟღავნებინა ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც, რა თქმა უნდა, მსოფლიო განვითარების საერთო ხაზზე მდებარეობენ, მაგრამ რომლებიც მის რევოლუციას განასხვავებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა წინა რევოლუციისაგან და რომელთაც აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გადასვლისას ზოგიერთი ნაწილობრივი სიახლე შეაქვთ.

მაგალითად, უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც მათ დაიზეპირეს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თითქოს არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ბრძანებენ იმათგან სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები, ობიექტური ეკონომიური წანამძღვრები სოციალიზმისათვის. და არავის აზრადაც არ მოსდის შეეკითხოს თავის თავს: განა არ შეეძლო იმ ხალხს, რომელიც შეხვდა რევოლუციურ სიტუაციას, ისეთ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა პირველი იმპერიალისტური ომის დროს, არ შეეძლო მას, თავისი გამოუვალი მდგომარეობის გავლენით, ჩაბმულიყო ისეთ ბრძოლაში, რომელიც რაიმე შანსებს მაინც უქადდა მას მოეპოვებინა თავისთვის არცთუ სავსებით ჩვეულებრივი პირობები ცივილიზაციის შემდგომი ზრდისათვის?

«რუსეთს არ მიუღწევია საწარმოო ძალთა განვითარების ისეთ სიმაღლემდე, როცა სოციალიზმი შესაძლებელიაო». ამ დებულებას II ინტერნაციონალის ყველა გმირი, და მათ შორის, რა თქმა უნდა, სუხანოვიც, ჭეშმარიტად ისე ელოლიავება, როგორც თითქოს რაღაც საუნჯეს. ამ უდავო დებულებას ისინი ათასნაირად ღეჭავენ, და მათ ჰგონიათ, რომ იგი გადამწყვეტია ჩვენი რევოლუციის შეფასებისათვის.

მერე რა ვუყოთ, თუკი ვითარების თავისებურებამ რუსეთი ჩააბა, ჯერ-ერთი, მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, რომელშიც ჩარეულია დასავლეთ ევროპის ყველა რამდენადმე გავლენიანი ქვეყანა, მოაქცია მისი განვითარება აღმოსავლეთის რევოლუციების მიჯნაზე, რევოლუციების, რომლებიც იწყება და ნაწილობრივ უკვე დაიწყო ისეთ პირობებში, როცა ჩვენ შეგვეძლო გაგვეხორციელებინა სწორედ ის კავშირი «გლეხთა ომისა» მუშათა მოძრაობასთან, რაზედაც, როგორც ერთ-ერთ შესაძლებელ პერსპექტივაზე, წერდა ისეთი «მარქსისტი», როგორიცაა მარქსი, 1856 წელს პრუსიის მიმართ?

რა ვუყოთ, თუ სრულიად გამოუვალი მდგომარეობა აათკეცებდა მუშებისა და გლეხების ძალებს და ცივილიზაციის ძირითადი წანამძღვრების შექმნაზე სხვაგვარი გადასვლის შესაძლებლობას გვაძლევდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა დანარჩენ სახელმწიფოში? განა შეიცვალა ამით მსოფლიო ისტორიის განვითარების საერთო ხაზი? განა შეიცვალა ამით ძირითადი კლასების ძირითადი თანაფარდობა თვითეულ სახელმწიფოში, რომელიც ებმება და ჩაბმულია მსოფლიო ისტორიის საერთო მსვლელობაში?

თუ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია თქვას, სახელდობრ, როგორია ეს განსაზღვრული «დონე კულტურისა», რადგან დასავლეთ ევროპის თვითეულ სახელმწიფოში ეს დონე სხვადასხვანაირია), რატომ არ შეგვიძლია დავიწყოთ ჯერ ამ განსაზღვრული დონისათვის წანამძღვრების რევოლუციური გზით მოპოვებით, ხოლო შ ე მ დ ე გ უკვე, მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების საფუძველზე, გავწიოთ წინ სხვა ხალხების დასაწევად.

1923 წ. 16 იანვარი.

II

სოციალიზმის შესაქმნელად, — ამბობთ თქვენ, — საჭიროა ცივილიზებულობაო. ძალიან კარგი. მაგრამ რატომ არ შეგვეძლო ჩვენ ჯერ შეგვექმნა ჩვენში ცივილიზებულობის ისეთი წანამძღვრები, როგორიცაა მემამულეთა გაძევება და რუსეთის კაპიტალისტთა გაძევება, და უკვე შემდეგ დაგვეწყო მოძრაობა სოციალიზმისაკენ? რომელ წიგნებში ამოიკითხეთ თქვენ, რომ ჩვეულებრივი ისტორიული რიგის ამგვარი სახეცვლილებანი შეუწყნარებელი თუ შეუძლებელია?

მახსოვს, ნაპოლეონი წერდა: «**On s engage et puis... on voit**». თავისუფლად რომ ვთარგმნოთ, ეს ნიშნავს: «ჯერ უნდა ჩაება სერიოზულ ბრძოლაში, და შემდეგ ვნახავთო». და აი ჩვენც ჯერ ჩავებით 1917 წლის ოქტომბერში სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ დავინახეთ განვითარების ისეთი დეტალები (მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ეს, უსათუოდ, დეტალებია), როგორიცაა ბრესტის ზავი, ან ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვ.. და ამჟამად უკვე ეჭვი არ არის, რომ ძირითადად ჩვენ გავიმარჯვეთ.

ჩვენს სუხანოვებს, მათზე უფრო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებზე რომ არაფერი ვთქვათ, არც კი ესიზმრებათ, რომ სხვაგვარად საერთოდ არც შეიძლება მოხდეს რევოლუციები. ჩვენს ევროპელ მეშჩანებს არც კი ესიზმრებათ, რომ შემდგომი რევოლუციები მოსახლეობით განუზომლად უფრო მდიდარ და სოციალური პირობების ნაირსახეობით განუ-

ზომლად უფრო განსხვავებულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, უეჭველად, უფრო მეტ თავისებურებას უქადიან მათ, ვიდრე რუსეთის რევოლუცია.

თქმა არ უნდა, კაუცკის მიხედვით დაწერილი სახელმძღვანელო თავის დროზე ფრიად სასარგებლო რამ იყო. მაგრამ უკვე დროა, მაინც, უარვყოთ ის აზრი, თითქოს ამ სახელმძღვანელოს შემდგომი მსოფლიო ისტორიის განვითარების ყველა ფორმა ჰქონდეს გათვალისწინებული. დროული იქნებოდა მათი პირდაპირ ბრიყვებად გამოცხადება, ვინც ასე ფიქრობს.

1923 წ. 17 იანვარი.

პირველად დაიბეჭდა 1923 წ.
30 მაისს გაზეთ «პრავდაში» № 117
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით, დამატებითი შესწორებებით, რომლებიც შეტანილია სტენოგრაფიულ
ჩანაწერში ვ. ი. ლენინის მითითებით

როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია

(წინადადება პარტიის XII ყრილობას) [1]

ეჭვი არ არის, რომ მუშგლეხინი უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს ჩვენთვის და რომ ეს სიძნელე დღემდე არ არის გადაჭრილი. ვფიქრობ, მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამ სიძნელეს ისე სწყვეტენ, რომ უარყოფენ მუშგლეხინის სარგებლობას თუ საჭიროებას. მაგრამ ამავე დროს არ უარვყოფ, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატისა და მისი გაუმჯობესების საკითხი ძალიან ძნელი საკითხია, იგი სრულიად არ არის გადაწყვეტილი და ამავე დროს უაღრესად საარსებო საკითხია.

ჩვენი სახელმწიფო აპარატი, გარდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ყველაზე მეტად წარმოადგენს ძველის ნაშთს, მან ყველაზე ნაკლებ განიცადა რამდენადმე სერიოზული ცვლილება. იგი მხოლოდ ზემოდან არის ოდნავ შეფერადებული, სხვაფრივ კი ყველაზე უფრო ტიპიური ძველი რამ არის ჩვენი ძველი სახელმწიფო აპარატიდან. და აი, იმისათვის, რომ გამოვნახოთ მისი ნამდვილად განახლების საშუალება, გამოცდილებისათვის, მე მგონია, უნდა მივმართოთ ჩვენს სამოქალაქო ომს.

როგორ ვმოქმედებდით სამოქალაქო ომის უფრო საშიშ მომენტებში?

თავს ვუყრიდით წითელ არმიაში ჩვენს საუკეთესო პარტიულ ძალებს; მივმართავდით ჩვენი საუკეთესო მუშების მობილიზაციას; ახალ ძალებს ვეძებდით იქ, სადაც ჩვენს დიქტატურას უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული.

ჩემი რწმენით, ამავე მიმართულებით უნდა ვეძებოთ მუშგლეხინის რეორგანიზაციის წყარო. ვურჩევ ჩვენს XII პარტიულ ყრილობას მიიღოს ასეთი რეორგანიზაციის შემდეგი გეგმა, რომელიც ემყარება ჩვენი ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავისებურ გაფართოებას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უკვე დაეტყო მისწრაფება — გადაიქცეს ერთგვარ უმაღლეს პარტიულ კონფერენციად. იგი საშუალოდ ორ თვეში მხოლოდ ერთხელ იკრიბება, ხოლო მიმდინარე მუშაობას ცენტრალური კომიტეტის სახელით, როგორც ვიცით, ეწევა ჩვენი პოლიტბიურო, ჩვენი ორგბიურო, ჩვენი სამდივნო და სხვ.. ვფიქრობ, ჩვენ ბოლომდე უნდა განვვლოთ ის გზა, რომელსაც ამრიგად დავადექით, და ცენტრალური კომიტეტის პლენუმები საბოლოოდ გადავაქციოთ უმაღლეს პარტიულ კონფერენციებად, რომლებიც შეიკრიბება ორ თვეში ერთხელ ცენტრ. საკონტრ. კომისიის მონაწილეობით. ხოლო ეს ცენტრ. საკონტრ. კომისია ქვემოთ აღნიშნული პირობების საფუძველზე შევუერთოთ რეორგანიზებული მუშგლეხინის ძირითად ნაწილს.

ვურჩევ ყრილობას აირჩიოს მუშებიდან და გლეხებიდან ცენტრ. საკონტრ. კომისიის 75 — 100 ახალი წევრი. ასარჩევნი პარტიულობის მხრივ უნდა შევამოწმოთ ისევე, როგორც ვამოწმებთ ც. კ-ის ჩვეულებრივ წევრებს, რადგან არჩეულებმა უნდა ისარგებლონ ც. კ-ის წევრთა ყველა უფლებით.

მეორე მხრივ, მუშგლეხინი უნდა დაყვანილ იქნეს 300 — 400 მოსამსახურემდე, რომლებიც განსაკუთრებით უნდა იქნენ შემოწმებულნი კეთილსინდისიერებისა და ჩვენი სახელმწიფო აპარატის ცოდნის მხრივ; ამასთანავე მათ უნდა ჩააბარონ განსაკუთრებული გამოცდა იმისა, იცნობენ თუ არა ისინი საერთოდ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლებს და, კერძოდ, მმართველობის, საკანცელარიო და სხვ. შრომის საფუძვლებს.

ჩემი აზრით, მუშგლეხინის ასეთი შეერთება ცენტრ. საკონტრ. კომისიასთან ორივე ამ დაწესებულებას მოუტანს

სარგებლობას. ერთი მხრივ, მუშგლეხინი ამ გზით მოიპოვებს ისეთ დიდ ავტორიტეტს, რომ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატზე ნაკლები არ იქნება. მეორე მხრივ, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ცენტრ. საკონტრ. კომისიასთან ერთად საბოლოოდ დაადგება უმაღლეს პარტიულ კონფერენციად გადაქცევის იმ გზას; რომელსაც იგი, არსებითად, უკვე დაადგა და რომელიც მან ბოლომდე უნდა განვლოს, რათა სისწორით შეასრულოს თავისი ამოცანები ორი მხრივ: თ ა ვ ი ს ი ორგანიზაციისა და მუშაობის გეგმაზომიერების, მიზანშეწონილობის და სისტემატურობის მხრივ და მართლა ფართო მასებთან ჩვენი საუკეთესო მუშებისა და გლეხების მეშვეობით კავშირის მხრივ.

მე ვითვალისწინებ ერთ შემოდავებას, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოდის იმ სფეროებიდან, რომლებიც ძველის სახეს აძლევენ ჩვენს აპარატს, ე. ი. იმათგან, ვინც მომხრეა ჩვენი აპარატის შენარჩუნებისა იმ ყოვლად მიუღებელი, უმსგავსო რევოლუციამდელი სახით, რა სახითაც იგი დღემდე რჩება (უნდა ითქვას, რომ ჩვენ ახლა მოგვეცა ისტორიაში საკმაოდ იშვიათი შემთხვევა — დავაწესოთ ძირითად სოციალურ ცვლილებათა მოსახდენად საჭირო ვადები, და ჩვენ ნათლად ვხედავთ ახლა, თუ რ ი ს ი გაკეთება შეიძლება ხუთი წლის განმავლობაში და რისთვის არის საჭირო გაცილებით უფრო დიდი ვადები).

ეს შემოდავება იმაში მდგომარეობს, თითქოს გარდაქმნის ჩატარების ჩემს წინადადებას მხოლოდ ქაოსი მოჰყვება და სხვა არაფერი. ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრები ხეტიალს დაიწყებენ ყველა დაწესებულებაში და არ ეცოდინებათ, სად, რისთვის და ვის მიმართონ, ყველგან შეიტანენ დეზორგანიზაციას, მოაცდენენ მოსამსახურეებს მათს მიმდინარე მუშაობასო, და სხვ. და სხვ.

ვფიქრობ, ამ შემოდავების ბოროტი წყარო იმდენად აშკარაა, რომ მასზე პასუხის გაცემაც კი ზედმეტია. თავისთავად ცხადია, ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს, მუშგლეხინის სახალხო კომისარს და მის კოლეგიას (აგრეთვე

სათანადო შემთხვევებში ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსაც) არა ერთი წლის თავდადებული მუშაობა დასჭირდებათ, რომ წესიერად მოაწყონ თავიანთი სახალხო კომისარიატი და მისი მუშაობა ცენტრ. საკონტრ. კომისიასთან ერთად. მუშგლეხინის სახალხო კომისარს შეუძლია, ჩემი აზრით, დარჩეს სახალხო კომისრად (და კიდევაც უნდა დარჩეს), ისევე როგორც მთელ კოლეგიას, და შეინარჩუნოს ხელმძღვანელობა მთელი მუშურ-გლეხური ინსპექციისა და მათ შორის ცენტრ. საკონტრ. კომისიის ყველა წევრისა, რომლებიც ჩაითვლებიან «მივლინებულად» მის განკარგულებაში. მუშგლეხინის 300 — 400 მოსამსახურე, რომლებიც, ჩემი გეგმის მიხედვით, დატოვებული იქნებიან, ერთი მხრივ, შეასრულებს მუშგლეხინის სხვა წევრების და ცენტრ. საკონტრ. კომისიის დამატებითი წევრების მხოლოდ მდივნის მოვალეობას; მეორე მხრივ, ყველა ეს მოსამსახურე უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციისა, საგანგებოდ შემოწმებული, განსაკუთრებით საიმედო, მათ უნდა ჰქონდეთ დიდი ჯამაგირი, რის წყალობითაც ისინი სავსებით დააღწევენ თავს მუშგლეხინის მოხელის დღევანდელ, ჭეშმარიტად უბადრუკ (მეტი რომ არა ვთქვათ), მდგომარეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება ჩემს მიერ აღნიშნულ ციფრამდე ბევრად გააუმჯობესებს როგორც მუშგლეხინის მუშაკთა ხარისხს, ისე მთელი მუშაობის ხარისხსაც და ამავე დროს საშუალებას მისცემს სახალხო კომისარს და კოლეგიის წევრებს მთელი ყურადღება მიაქციონ მუშაობის ორგანიზაციას და მისი ხარისხის სისტემატურად და განუხრელად ამაღლებას, რაც ასე აუცილებელია მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და ჩვენი საბჭოთა წყობილებისათვის.

მეორე მხრივ, მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ მუშგლეხინის სახალხო კომისარს დასჭირდება მუშაობა იმისათვის, რომ ნაწილობრივ შეაერთოს, ხოლო ნაწილობრივ შეათანხმოს შრომის ორგანიზაციის ის უმაღლესი ინსტიტუტები (შრომის ცენტრალური ინსტიტუტი, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის

ინსტიტუტი და სხვ.), რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბ-ლიკაში თორმეტზე არანაკლებია. მეტისმეტი ერთფეროვ-ნება და აქედან გამომდინარე მისწრაფება გაერთიანებისაკენ მავნებელი იქნება. პირიქით, აქ უნდა გამოინახოს გონიერი და მიზანშეწონილი საშუალო ხაზი ყველა ამ დაწესებულების შეერთებასა და მათს სწორ გამიჯვნას შორის, იმ პირობით, რომ თვითეულ ამ დაწესებულებას შერჩეს განსაზღვრული დამოუკიდებლობა.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი გარდაქმნით მუშგლეხინზე არა ნაკლებ მოიგებს ჩვენი საკუთარი ცენტრალური კომიტეტიც, იგი მოიგებს როგორც მასებთან კავშირის მხრივ, ისე თავისი მუშაობის რეგულარობისა და საფუძვლიანობის მხრივ. მაშინ შესაძლებელი იქნება (და კიდევაც უნდა) შემოვიღოთ უფრო მკაცრი და საპასუხისმგებლო წესი პოლიტბიუროს სხდომე-ბის მომზადებისა; ამ სხდომებს უნდა დაესწროს ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრთა განსაზღვრული რიცხვი, განსაზღვ-რული ან დროის გარკვეული პერიოდით, ან ორგანიზაციის გარკვეული გეგმით.

მუშგლეხინის სახალხო კომისარმა ცენტრ. საკონტრ. კომი-სიის პრეზიდიუმთან ერთად უნდა გააწესრიგოს მისი წევრების მუშაობა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ვალდებული იქნე-ბიან დაესწრონ პოლიტბიუროს სხდომებს და შეამოწმონ ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც ასე თუ ისე მის განსახილ-ველად შედის, ან იმ მხრივ, რომ ისინი ვალდებული იქნებიან თავიანთი სამუშაო დრო მოანდომონ თეორიულ მომზადებას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესწავლას, ან იმ მხრივ, რომ ისინი ვალდებული იქნებიან პრაქტიკული მონაწილეობა მიიღონ ჩვენი სახელმწიფო აპარატის კონტროლსა და გაუმჯობესებაში, დაწყებული უმაღლესი სახელმწიფო დაწე-სებულებებით და გათავებული უდაბლესი ადგილობრივი დაწესებულებებით და სხვ.

ვფიქრობ აგრეთვე, რომ იმ პოლიტიკური სარგებლობის გარდა, რომ ასეთი რეფორმის დროს ცენტრალური კომიტე-ტისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრები ბევრად უკეთ

გაეცნობიან საქმეს და უკეთ მოემზადებიან პოლიტბიუროს სხდომებისათვის (ყველა ქაღალდი, რომლებიც აღნიშნულ სხდომებს შეეხება, უნდა მიიღოს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ყველა წევრმა არა უგვიანეს ერთი დღე-ღამისა პოლიტბიუროს სხდომამდე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საქმის გადადება არაფრის გულისთვის არ შეიძლება; ასეთი შემთხვევები მოითხოვს განსაკუთრებულ წესს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებისათვის მათ გასაცნობად და გადასაწყვეტად), რეფორმის დადებითს შედეგებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში შემცირდება წმინდა პირადულ და შემთხვევით გარემოებათა გავლენა, და ამით შემცირდება გათიშვის საფრთხეც.

ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ჩამოყალიბდა მტკიცედ ცენტრალიზებულ და ფრიად ავტორიტეტულ ჯგუფად, მაგრამ ამ ჯგუფის მუშაობა არ არის ჩაყენებული მისი ავტორიტეტის შესაფერ პირობებში. ამას ხელი უნდა შეუწყოს ჩემ მიერ წარმოდგენილმა რეფორმამ, და ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებმა, რომელთა განსაზღვრული რაოდენობაც ვალდებულია დაესწროს პოლიტბიუროს ყოველ სხდომას, უნდა შეადგინონ მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი, რომელმაც, «პიროვნებათა განურჩევლად», თვალყური უნდა ადევნოს, რომ არავის ავტორიტეტმა არ შეუშალოს მათ ხელი შეიტანონ შეკითხვა, შეამოწმონ დოკუმენტები და საერთოდ ყოველმხრივ გაეცნონ საქმეს და უსასტიკესი სისწორით წარმართონ საქმე.

რა თქმა უნდა, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალური წყობილება ემყარება ორი კლასის — მუშებისა და გლეხების თანამშრომლობას; ამას ახლა მიემატა განსაზღვრული პირობების საფუძველზე «ნეპმანებიც», ე. ი. ბურჟუაზია. თუ ვინიცობაა ამ კლასთა შორის წარმოიშვა სერიოზული კლასობრივი უთანხმოება, მაშინ გათიშვა აუცილებელი იქნება, მაგრამ ჩვენს სოციალურ წყობილებაში აუცილებლად კი არ არის ჩაქსოვილი ასეთი გათიშვის საფუძველი;

ჩვენი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის მთავარი ამოცანა, ისე როგორც ჩვენი პარტიისა მთლიანად, იმაში მდგომარეობს, რომ ბეჯითად ადევნონ თვალყური იმ გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება წარმოშვან გათიშვა, და წინასწარ აღკვეთონ იგი, რადგან ბოლოს და ბოლოს ჩვენი რესპუბლიკის ბედი დამოკიდებული იქნება იმაზე, გაჰყვება გლეხთა მასა მუშათა კლასს და ბოლომდე დარჩება მასთან კავშირის ერთგული, თუ საშუალებას მისცემს «ნეპმანებს», ე. ი. ახალ ბურჟუაზიას, ჩამოაშოროს იგი მუშათა კლასს, გათიშოს იგი. რაც უფრო ნათლად გავითვალისწინებთ ამ ორგვარ გამოსავალს, რაც უფრო ნათლად შეიგნებს ამას ყველა ჩვენი მუშა და გლეხი, მით უფრო მეტი შანსები გვექნება იმისა, რომ თავიდან ავიცილებთ გათიშვას, რომელიც დამღუპველი იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

1923 წ. 23 იანვარი.

«პრავდა» № 16,
1923 წ. 25 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრაფიულ ჩანაწერთან

უმჯობესია ცოტა და კარგი

ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხში მუშგლეხინი, ჩემი აზრით, არ უნდა გამოეკიდოს რაოდენობას და არ უნდა აჩქარდეს. დღემდე ჩვენ ისე ცოტა დრო გვქონდა გვეფიქრა და გვეზრუნა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ხარისხზე, რომ კანონიერი იქნება ზრუნვა მის განსაკუთრებით სერიოზულ მომზადებაზე, იმაზე, რომ მუშგლეხინში თავი მოვუყაროთ ნამდვილად თანამედროვე ხანის შესაფერისი თვისების მუშაკებს, ე. ი. ისეთებს, რომლებიც არ ჩამორჩებიან დასავლეთ ევროპის საუკეთესო ნიმუშებს. რა თქმა უნდა, სოციალისტური რესპუბლიკისათვის ეს პირობა მეტად მცირედია. მაგრამ პირველმა ხუთწლეულმა საკმაოდ გამოგვიტენა თავი უნდობლობითა და სკეპტიციზმით. ამ თვისებით უნებლიეთ ვიმსჭვალებით იმათ მიმართ, ვინც ძალიან ბევრსა და ძალიან ადვილად ლაქლაქებს, მაგალითად, «პროლეტარულ კულტურაზე»: ჩვენთვის თავდაპირველად საკმაო იქნებოდა ნამდვილი ბურჟუაზიული კულტურა, ჩვენ თავდაპირველად თავი უნდა ავარიდოთ ბურჟუაზიული წესწყობილების წინადროის კულტურათა განსაკუთრებით მკვეთრ ტიპებს, ე. ი. მოხელეური, ბატონყმური და სხვ. ამგვარი კულტურის ტიპებს. კულტურის საკითხებში აჩქარება და წრეგადასულობა ყველაზე მავნებელია. ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატორმა და კომუნისტმა ეს კარგად უნდა დაიხსომოს.

და აი, სახელმწიფო აპარატის საკითხში წინანდელი გამოცდილებიდან ახლა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ უმჯობესია არ ვიჩქაროთ.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის საქმე იმდენად სავალალო, რომ არა ვთქვათ საძაგელ, მდგომარეობაშია, რომ ჯერ კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ, როგორ ვებრძოლოთ ამ აპარატის ნაკლოვანებებს, თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაკლოვანებებს ფესვი აქვს გადგმული წარსულში, რომელიც თუმცა გადავატრიალეთ, მაგრამ ვერ აღმოვფხარით, ვერ ჩავაბარეთ კულტურის უკვე შორეული წარსულის სტადიას. აქ მე სწორედ კულტურის საკითხს ვაყენებ, იმიტომ რომ ამ საქმეში მიღწეულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რაც უკვე შევიდა კულტურაში, ყოფა-ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებაში. ჩვენში კი, შეიძლება ითქვას, ის, რაც კარგია სოციალურ წყობილებაში, ზედმიწევნით არ არის მოფიქრებული, გაგებული, განცდილი, აღებულია ნაჩქარევად, არ არის შემოწმებული, გასინჯული, გამოცდილებით დადასტურებული, განმტკიცებული და სხვ.. სხვანაირად, რა თქმა უნდა, შეუძლებელიც იყო რევოლუციურ ეპოქაში და განვითარების იმ თავბრუდამხვევი სისწრაფის დროს, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ცარიზმიდან საბჭოთა წყობილებამდე მიგვიყვანა.

დროზე უნდა მოვიდეთ გონს. უნდა გავიმსჭვალოთ მხსნელი უნდობლობით მეტისმეტად სწრაფი წინმსვლელობისადმი, ყოველგვარი ტრაბახისადმი და სხვ., უნდა ვიფიქროთ იმ წინგადადგმული ნაბიჯების შემოწმებაზე, რომელთაც ჩვენ ყოველ საათში ვაცხადებთ, ყოველ წუთში ვდგამთ და შემდეგ კი ყოველ წამში ვადასტურებთ, რომ ეს ნაბიჯები არ არის მტკიცე, საფუძვლიანი და გასაგები. ყველაზე მავნებელი აქ იქნებოდა აჩქარება. ყველაზე მავნებელი იქნებოდა იმის იმედი, რომ თუნდაც ცოტა რამ ვიცით, ან იმისა, რომ გაგვაჩნია რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობა ელემენტებისა ნამდვილად ახალი აპარატის შესაქმნელად, რომელიც ნამდვილად ღირსი იქნებოდა სოციალისტურის, საბჭოურის და სხვ. სახელწოდებისა.

არა, ასეთი აპარატი და მისი ელემენტებიც კი სასაცილოდ ცოტა მოგვეპოვება, და უნდა გვახსოვდეს, რომ მის შესაქმნე-

ლად დრო არ უნდა დავზოგოთ და მის შექმნას მრავალი, მრავალი, მრავალი წელი უნდა მოვახმაროთ.

რა ელემენტები მოგვეპოვება ამ აპარატის შესაქმნელად? მხოლოდ ორი. ჯერ-ერთი, მუშები, რომლებიც გატაცებული არიან სოციალიზმისათვის ბრძოლით. ეს ელემენტები არ არიან საკმაოდ განათლებულნი. მათ სურვილი აქვთ მოგვცენ უკეთესი აპარატი. მაგრამ არ იციან, როგორ გააკეთონ ეს. მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება. მათ ვერ შეუმუშავებიათ დღემდე ისეთი განვითარება, ის კულტურა, რომელიც აუცილებელია ამისათვის. ამისათვის კი აუცილებელია სწორედ კულტურა. აქ ვერაფერს გააწყობ ძალით ან იერიშით, სიყოჩაღით ან ენერგიით, ანდა საერთოდ ადამიანის სხვა რაიმე საუკეთესო თვისებით. მეორე, ელემენტები ცოდნისა, განათლებისა, სწავლისა, რაც ყველა სხვა სახელმწიფოსთან შედარებით სასაცილოდ ცოტა მოგვეპოვება.

და აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ მეტისმეტი მიდრეკილება გვაქვს ეს ცოდნა ავინაზღაუროთ (ან გვგონია, რომ მისი ანაზღაურება შეიძლება) გულმოდგინებით, დიდი სიჩქარით და სხვ.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის განახლებისათვის რადაც უნდა დაჯდეს ამოცანად უნდა დავისახოთ: ჯერ-ერთი — სწავლა, მეორე — სწავლა და მესამე — სწავლა და შემდეგ შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება ჩვენში არ დარჩეს მკვდარ ასოდ ან მოდურ ფრაზად (ეს კი, ცოდვა რა დასამალია, ძალიან ხშირად გვემართება), რომ მეცნიერება ნამდვილად სისხლსა და ხორცში გაგვიჯდეს, სავსებით და ნამდვილად ყოფა-ცხოვრების შემადგენელ ელემენტად გადაიქცეს. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა წამოვაყენოთ არა ის მოთხოვნები, რასაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია აყენებს, არამედ ის, რისი წამოყენებაც შეეფერება და შეშვენის იმ ქვეყანას, რომელსაც ამოცანად დაუსახავს სოციალისტურ ქვეყნად განვითარდეს.

დასკვნა ნათქვამიდან: მუშგლეხნი, როგორც ჩვენი აპარატის გაუმჯობესების იარაღი, უნდა გადავაქციოთ მართლაც სამაგალითო დაწესებულებად.

იმისათვის, რომ მან საჭირო სიმაღლეს მიაღწიოს, წესად უნდა გავიხადოთ: შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი.

ამისათვის საჭიროა, რომ ის, რაც მართლაც საუკეთესოა ჩვენს სოციალურ წყობილებაში, უდიდესი სიფრთხილით, მოფიქრებით და საქმის ცოდნით იქნეს გამოყენებული ახალი სახალხო კომისარიატის შესაქმნელად.

ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სოციალური წყობილების საუკეთესო ელემენტები, სახელდობრ: ჯერ-ერთი, მოწინავე მუშები, მეორე, ნამდვილად განათლებული ელემენტები, რომელთა შესახებ დანამდვილებით ვიცით, რომ არც ერთ სიტყვას უსაბუთოდ არ მიიღებენ, არც ერთ სიტყვას სინდისის წინააღმდეგ არ იტყვიან, — არ შეუშინდნენ არავითარი სიძნელის აღიარებას და არ შეუშინდნენ არავითარ ბრძოლას სერიოზულად დასახული მიზნის მისაღწევად.

ჩვენ უკვე ხუთი წელია თავს დავფუსფუსებთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეს, მაგრამ ეს სწორედ მხოლოდ ფუსფუსია, რომელმაც ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ თავისი უვარგისობა დაამტკიცა, ანდა უსარგებლობაც კი, ანდა მავნებლობაც კი. როგორც ფუსფუსი, იგი ხელეოდა მუშაობის მოჩვენებითობას, ნამდვილად კი ანაგვიანებდა ჩვენს დაწესებულებებს და ჩვენს გონებას.

ბოლოს, საჭიროა ეს სხვანაირად მოეწყოს.

წესად უნდა გავიხადოთ: უმჯობესია რიცხვით ნაკლები, ღირსებით კი მაღალი. წესად უნდა მივიღოთ: უმჯობესია ორი წლის ან თუნდაც სამი წლის შემდეგ, ვიდრე ნაჩქარევად, იმედის სრულიად უქონლად, რომ მიიღებ ადამიანთა სანდო მასალას.

ვიცი, რომ ძნელი იქნება ამ წესის დაცვა და მისი გამოყენება ჩვენს სინამდვილეში. ვიცი, რომ ათასი საძრომიდან გზას გაიკაფავს ჩვენში საწინააღმდეგო წესი. ვიცი, რომ საჭირო იქნება გიგანტური წინააღმდეგობის გაწევა, საჭირო იქნება ჯოჯოხეთური სიმტკიცის გამოჩენა, რომ მუშაობა აქ, პირველ წლებში მაინც, ყოვლად უმადური იქნება; მაგრამ მიუხედავად ამისა დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ასეთი

მუშაობით შევძლებთ მიზნის მიღწევას და მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ შევქმნით რესპუბლიკას, რომელიც მართლაც ღირსი იქნება სახელწოდებისა — საბჭოთა, სოციალისტური და სხვ. და სხვ. და ა. შ.

ბევრმა მკითხველმა, ალბათ, მეტად უმნიშვნელოდ მიიჩნია ის ციფრები, რომლებიც პირველ ჩემს სტატიაში* მაგალითისათვის მოვიყვანე. დარწმუნებული ვარ, მრავალი გაანგარიშების მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ციფრები საკმაო არ არის. მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა ასეთ და ყოველგვარ სხვა გაანგარიშებაზე მაღლა ჩვენ უნდა დავაყენოთ ერთი რამ: ნამდვილად სანიმუშო ხარისხის ინტერესი.

მე მგონია, ჩვენი სახელმწიფო აპარატისათვის სწორედ ახლა დადგა, როგორც იქნა, დრო, როდესაც ჩვენ ამ აპარატზე უნდა ვიმუშაოთ რიგიანად, მთელი სერიოზულობით, და როდესაც ამ მუშაობის თითქმის ყველაზე მავნე თვისება იქნება აჩქარება. ამიტომ ძალიან ვაფრთხილებ ყველას მოერიდონ ამ ციფრების გადიდებას. პირიქით, ჩემი შეხედულებით, ციფრებში აქ განსაკუთრებული სიძუნწე უნდა გამოვიჩინოთ. პირდაპირ ვთქვათ. მუშგლეხინის სახალხო კომისარიატი ამჟამად არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს. ყველამ იცის, რომ ჩვენი მუშგლეხინის დაწესებულებებზე უფრო ცუდად დაყენებული დაწესებულებები არ მოიპოვება და რომ დღევანდელ პირობებში ამ სახალხო კომისარიატს ბევრი არაფერი მოეთხოვება. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ, თუ ნამდვილად გვსურს მიზნად დავისახოთ რამდენიმე წელში შევქმნათ დაწესებულება, რომელიც, ჯერ-ერთი, უნდა იყოს სანიმუშო, მეორე, უნდა ჩაუნერგოს ყველას უეჭველი ნდობა და, მესამე, დაუმტკიცოს ყველას და თვითეულს, რომ ჩვენ ნამდვილად გავამართლეთ მუშაობა ისეთი მაღალი დაწესებულებისა, როგორიცაა ცენტრ. საკონტრ. კომისია. მოსამსახურეთა რიცხვის ყოველგვარი ზოგადი ნორმები, ჩემი აზრით, უნდა უკუვაგდოთ ერთბაშად და მტკიცედ. მუშგლეხინის

* იხ. ეს ტომი, გვ. 568 — 574. რ ე დ.

მოსამსახურენი უნდა შევარჩიოთ სრულიად განსაკუთრებულად და მხოლოდ უსასტიკესი გამოცდის საფუძველზე. მართლაცდა, რა საჭიროა შევქმნათ ისეთი სახალხო კომისარიატი, რომელიც უხეიროდ იმუშავებს, კვლავ არავითარი ნდობის ღირსი არ იქნება და რომლის სიტყვასაც სრულიად უმნიშვნელო ავტორიტეტი ექნება? ჩემი აზრით, ამის თავიდან აცილება ჩვენი მთავარი ამოცანაა იმგვარი გარდაქმნის დროს, როგორიც ახლა მხედველობაში გვაქვს.

მუშები, რომლებსაც ჩვენ ვიზიდავთ ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებად, უნდა იყვნენ უმწიკვლონი, როგორც კომუნისტები, და ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება მათთან მუშაობა, რათა შევასწავლოთ მათ მუშაობის წესები და ამოცანები. შემდეგ, თანაშემწეებად ამ მუშაობაში უნდა იყოს განსაზღვრული რიცხვი სამდივნო პერსონალისა, რომელიც სამსახურში დანიშვნამდე სამმაგად უნდა იქნეს შემოწმებული. დასასრულ, ის თანამდებობის პირნი, რომელთაც, გამონაკლისის სახით, ერთბაშად დავნიშნავთ მუშგლეხინის სამსახურში, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

ჯერ-ერთი, მათ რეკომენდაცია უნდა გაუკეთოს რამდენიმე კომუნისტმა;

მეორე, მათ უნდა ჩააბარონ გამოცდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ცოდნისა;

მესამე, მათ უნდა ჩააბარონ გამოცდა იმ საკითხის თეორიის საფუძვლების ცოდნისა, რაც ჩვენს სახელმწიფო აპარატს შეეხება, მართვა-გამგეობის, საქმისწარმოებისა და სხვ. მეცნიერების საფუძველთა ცოდნისა;

მეოთხე, ისინი უნდა შეეთვისონ მუშაობაში ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებს და თავიანთ სამდივნოს ისე, რომ იმედი გვქონდეს მთელი ამ აპარატის მუშაობისა საერთოდ.

ვიცი, ეს მოთხოვნები გულისხმობენ უზომოდ დიდ პირობებს, და ძალიანაც ვშიშობ, რომ მუშგლეხინის «პრაქტიკოსების» უმრავლესობა გამოაცხადებს — ამ მოთხოვნების შესრუ-

ლება შეუძლებელიაო, ანდა აითვალწუნებენ და სასაცილოდ აიგდებენ მათ. მაგრამ ვეკითხები მუშგლეხინის ყოველ ახლანდელ ხელმძღვანელს, ანდა იმ პირს, ვინც ამ კომისარიატთან ახლო დგას — შეუძლია თუ არა სინდისის ქვეშ მითხრას, რა საჭიროებას წარმოადგენს პრაქტიკულად ისეთი სახალხო კომისარიატი, როგორიცაა მუშგლეხინი? ვფიქრობ, რომ ეს კითხვა დაეხმარება მას გამონახოს ზომიერების გრძნობა. ან არა ღირს ხელი მოვკიდოთ კიდევ ერთ რეორგანიზაციას, ასეთი რეორგანიზაცია ხომ ჩვენში მრავალი ყოფილა, ისეთი უიმედო საქმისა, როგორიცაა მუშგლეხინი, ანდა ნამდვილად უნდა დავისახოთ ამოცანად ნელი, ძნელი, უჩვეულო გზით, ათასნაირი შემოწმებით, შევქმნათ მართლაც სამაგალითო რამ, რომელიც ყველას და თვითეულს ჩაუნერგავს პატივისცემის გრძნობას და არა მარტო იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ხარისხი და წოდება.

თუ ვერ გამოვიჩენთ მოთმინებას, თუ ამ საქმეს რამდენიმე წელიწადს ვერ მოვანდომებთ, უმჯობესია სულ არ მოვკიდოთ მას ხელი.

ჩემი აზრით, იმ დაწესებულებათაგან, რომლებიც ჩვენ უკვე გამოვაცხვეთ შრომის უმაღლესი ინსტიტუტების ხაზით და სხვ., უნდა ამოვარჩიოთ მინიმუმი, შევამოწმოთ, რამდენად სავსებით სერიოზულად არის იქ საქმე დაყენებული და განვაგრძოთ მუშაობა მხოლოდ ისე, რომ იგი მართლაც იდგეს თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე და გვაძლევდეს ყველა მის მიღწევას. მაშინ უტოპიური არ იქნება იმედი ვიქონიოთ, რომ რამდენიმე წელიწადში მივიღებთ ისეთ დაწესებულებას, რომელიც შესძლებს აკეთოს თავისი საქმე, სახელდობრ — ისარგებლებს რა მუშათა კლასის, რუსეთის კომუნისტური პარტიის და ჩვენი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ნდობით, სისტემატურად და მტკიცედ იმუშავებს ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის.

საამისო მოსამზადებელი მუშაობა შეიძლებოდა უკვე ახლავე დაგვეწყო. მუშგლეხინის სახალხო კომისარიატი თუ დათანხმდება ამ გარდაქმნის გეგმას, მას შეუძლია ახლავე გადადგას მოსამზადებელი ნაბიჯები და იმუშაოს სისტემატურად

მათ სრულიად დამთავრებამდე, იმუშაოს აუჩქარებლად და ისე, რომ არ დაიშუროს ერთხელ გაკეთებულის ხელახლა გადაკეთება.

ყოველგვარი ნახევრული გადაწყვეტილება ამ საქმეში უაღრესად მავნებელი იქნებოდა. მუშგლეხინის მოსამსახურეთა ყოველგვარი ნორმები, რაიმე სხვა მოსაზრებათაგან გამომდინარე, არსებითად დამყარებული იქნებოდა ძველ მოხელურ მოსაზრებებზე, ძველ ცრურწმენაზე, იმაზე, რაც უკვე დაგმობილია, რაც იწვევს საერთო დაცინვას, და სხვ.

არსებითად საკითხი აქ ასე დგას:

ან ცხადვყოთ ახლა, რომ მართლაც რაღაც ვისწავლეთ სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში (ცოდვად არ ჩაითვლება ხუთ წელიწადში კაცმა რაიმე ისწავლოს), ანდა — რომ ამისათვის ჯერ კიდევ არ მოვმწიფებულვართ; და მაშინ არ ღირს საქმეს ხელი მოვკიდოთ.

მე მგონია, ადამიანთა ისეთი მასალის დროს, რაც ჩვენს განკარგულებაშია, გადაჭარბებული არ იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენ უკვე საკმაოდ შესწავლილი გვაქვს საქმე, რათა სისტემატურად და ახლად შევქმნათ თუნდაც ერთი სახალხო კომისარიატი. თუმცა ეს ერთი სახალხო კომისარიატი უნდა განსაზღვრავდეს მთელ ჩვენს სახელმწიფო აპარატს საერთოდ.

ახლავე უნდა გამოვაცხადოთ კონკურსი ორი ან მეტი სახელმძღვანელოს შესადგენად საერთოდ შრომის ორგანიზაციის და სპეციალურად მართვა-გამგეობის შრომის ორგანიზაციის დარგში. საფუძვლად შეიძლება დაედოს ერმანსკის უკვე გამოსული წიგნი, თუმცა ავტორი, ფრჩხილებში უნდა ითქვას, განირჩევა აშკარა თანაგრძნობით მენშევიზმისადმი და ვერ გამოდგება ისეთი სახელმძღვანელოს შესადგენად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას შეეფერება. შემდეგ, შეიძლება საფუძვლად გამოვიყენოთ კერენცევის ახლახან გამოცემული წიგნი; ბოლოს, შეიძლება გამოგვადგეს კიდევ არსებული ზოგიერთი სხვა ნაწილობრივი სახელმძღვანელო.

უნდა გაიგზავნოს რამდენიმე მომზადებული და კეთილსინდისიერი პირი გერმანიაში ან ინგლისში ლიტერატუ-

რის შესაკრებად და ამ საკითხის შესასწავლად. ინგლისს ვასახელებ იმ შემთხვევისათვის, თუ ამერიკაში ან კანადაში გაგზავნა შეუძლებელი იქნება.

უნდა დაინიშნოს კომისია, რომელიც მუშგლეხინის მოსამსახურეთა კანდიდატისათვის შეადგენს გამოცდების თავდაპირველ პროგრამას; ასევე — ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრობის კანდიდატისათვის.

ესა და სხვა ამგვარი სამუშაო, რასაკვირველია, არ გაუძნელდებათ არც სახალხო კომისარს, არც მუშგლეხინის კოლეგიის წევრებს, არც ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმს.

ამის პარალელურად უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი კომისია, რომელიც გამოძებნის კანდიდატებს ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრთა თანამდებობისათვის. იმედი მაქვს, რომ ამ თანამდებობისათვის ჩვენში ამჟამად უკვე საკმარისზე მეტი კანდიდატი მოიძებნება როგორც ყველა უწყების გამოცდილ მუშაკთა, ისე ჩვენი საბჭოთა სკოლების სტუდენტთა შორის. არა მგონია მართებული იყოს ამა თუ იმ კატეგორიის წინასწარ გამორიცხვა. ალბათ, საჭირო გახდება უპირატესობა მიეცეს ამ დაწესებულების მრავალფეროვან შემადგენლობას, რომელშიც უნდა ვეძებოთ მრავალნაირ თვისებათა, არაერთგვაროვან ღირსებათა შეერთება, ასე რომ ამ მხრივ საჭირო იქნება მუშაობა კანდიდატების სიის შედგენაზე. მაგალითად, ყველაზე მეტად არასასურველი იქნებოდა, რომ ახალი სახალხო კომისარიატი შესდგეს ერთი შაბლონით, ვთქვათ, მოხელეთა ხასიათის ტიპის ადამიანებისაგან, ან აგიტატორთა ხასიათის ადამიანთა გამოკლებით, ანდა ისეთი ადამიანების გამოკლებით, რომელთა განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს გულახდილობა ან უნარი ისეთ წრეებთან დაახლოებისა, რომლებიც ამგვარ მუშაკთათვის არც ისე ჩვეულია, და სხვ.

* * *

ვფიქრობ, ყველაზე უკეთ გამოვხატავ ჩემს აზრს, თუ ჩემს გეგმას შევადარებ აკადემიური ტიპის დაწესებულებებს. ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებმა, თავიანთი პრეზიდიუმის

ხელმძღვანელობით, სისტემატურად უნდა იმუშაონ პოლიტ-ბიუროს ყველა ქაღალდისა და დოკუმენტის გასაცნობად. ამასთანავე მათ წესიერად უნდა გაანაწილონ თავიანთი დრო ცალკე სამუშაოებისათვის საქმისწარმოების შესამოწ-მებლად ჩვენს დაწესებულებებში, დაწყებული სულ პატარა და კერძო დაწესებულებებით და გათავებული უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებებით. ბოლოს, მათი მუშაობის თანრიგს მიეკუთვნება თეორიის შესწავლა, ე. ი. შესწავლა იმ სამუშაოს ორგანიზაციის თეორიისა, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან, და პრაქტიკული მეცადინეობა ან ძველი ამხანა-გების, ანდა შრომის ორგანიზაციის უმაღლესი ინსტიტუტების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

მაგრამ ვფიქრობ, რომ ამგვარი აკადემიური მუშაობით შეზღუდვა მათ არასგზით არ მოუწევთ. ამასთანავე მათთვის აუცილებელი იქნება მოემზადონ ისეთი სამუშაოებისათვის, რომელთაც მე მოურიდებლად ვუწოდებდი მომზადებას დასა-ჭერად, არ ვიტყვი — თაღლითებისა, მაგრამ მათ მსგავსთა, მათ მოუხდებათ აგრეთვე განსაკუთრებული ოსტატობის გამოგონება თავიანთი ლაშქრობის, მიდგომისა და სხვათა დასაფარავად.

თუ დასავლეთ ევროპის დაწესებულებებში ამგვარი წინა-დადება გამოიწვევდა გაუგონარ გულისწყრომას, ზნეობრივი აღშფოთების გრძნობას და სხვ., იმედი მაქვს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ იმდენად არ გავბიუროკრატებულვართ, რომ ასე მოვიქ-ცეთ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენში ჯერ იმდენი პატივი არ მოუპოვებია, რომ ვინმემ შეურაცხყოფილად იგრძ-ნოს თავი იმის ფიქრით, რომ აქ ვიღაცას იჭერენო. ჯერ ისე ცოტა ხანია გასული, რაც ჩვენში საბჭოთა რესპუბლიკა მოეწყო და იმდენი ყოველგვარი ხარახურაა დაგრო-გილი, რომ არა მგონია ვინმეს საწყენად დაურჩეს ის, რომ ამ ხარახურაში შეიძლება მოვახდინოთ გათხრები ზოგიერთი ოსტატობის, დაზვერვის გამოყენებით, რაც ზოგჯერ მიმართუ-ლი იქნება საკმაოდ შორეული წყაროებისაკენ ანდა საკმაოდ შემოსავლელი გზით; ხოლო თუ მაინცდამაინც საწყენად

დაურჩება ვინმეს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთ ადამიანს ჩვენ ყველანი გულიანად დავაყრით სიცილს.

ჩვენი ახალი მუშგლეხინი, იმედი გვაქვს, გამოეთხოვება იმ თვისებას, რომელსაც ფრანგები pruderie-ს უწოდებენ, ჩვენ კი შეგვიძლია სასაცილო მანჭიაობა ან სასაცილო ამპარტავნობა ვუწოდოთ და რომელიც ძალიან ემარჯვებათ მთელ ჩვენს, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ ბიუროკრატიას. ფრჩხილებში უნდა ითქვას, რომ ბიუროკრატია ჩვენში არის ხოლმე არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიულ დაწესებულებებშიც.

თუ ზემოთ ვწერდი, რომ უნდა ვისწავლოთ და ვისწავლოთ შრომის უმაღლესი ორგანიზაციის ინსტიტუტებში და სხვ., ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს «სწავლა» მესმოდეს რამდენადმე სკოლურად, ან ვჯერდებოდე აზრს მხოლოდ სკოლური სწავლის შესახებ. იმედი მაქვს, არც ერთი ნამდვილი რევოლუციონერი არ დამწამებს, რომ «სწავლა» ამ შემთხვევაში მე მესმის როგორც რაიმე ნახევრადსახუმარო ოინი, რაიმე ეშმაკობა, რაიმე ფანდი ან რაღაც სხვა ამგვარი რამ. ვიცი, რომ დასავლეთ ევროპის დარბაისლურ და სერიოზულ სახელმწიფოში ეს აზრი მართლაც შეძრწუნებას გამოიწვევდა, და არც ერთი წესიერი მოხელე არ დათანხმდებოდა იგი განსახილველადაც კი დაეშვა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ არ გავბიუროკრატებულვართ და რომ ამ აზრის გარშემო გამართული მსჯელობა ჩვენში მხიარულების მეტს არაფერს იწვევს.

მართლაცდა, რატომ არ უნდა შევაერთოთ სასიამოვნო და სასარგებლო? რატომ არ უნდა გამოვიყენოთ რაიმე სახუმარო ან ნახევრადსახუმარო ოინი იმისათვის, რომ გამოვამეღავნოთ რაიმე სასაცილო, რაიმე მავნებელი, რაიმე ნახევრადსასაცილო, ნახევრადმავნებელი და სხვ.?

მგონია, ჩვენი მუშგლეხინი ცოტას არ მოიგებს, თუ ამ მოსაზრებებს განსახილველად მიიღებს, და იმ კაზუსების სიას, რომელთა საშუალებითაც ჩვენმა ცენტრ. საკონტრ. კომისიამ ანდა მისმა მუშგლეხინელმა კოლეგებმა მოიპოვეს რამდენიმე

ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება, შეემატება არა ერთი თავგადასავალი ჩვენი მომავალი «მუშგლეხინელებისა» და «ცეკაკისტებისა» ისეთ ადგილებში, რომელთა ხსენებაც ცოტა არ იყოს უხერხულია დარბაისლურ და გაბღენძილ სახელმძღვანელოებში.

* * *

რანაირად შეიძლება პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების შეერთება? ხომ არ არის აქ რაიმე შეუწყნარებელი?

ამ საკითხს ვაყენებ არა ჩემი სახელით, არამედ იმათი სახელით, ვინც მხედველობაში მყავდა ზემოთ, როცა ვთქვი, რომ ბიუროკრატები გვყავს არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიულ დაწესებულებებშიც-მეთქი.

მართლაცდა, რატომ არ უნდა შევაერთოთ ეს დაწესებულებები, თუ ამას საქმის ინტერესი მოითხოვს? ნუთუ არავის შეუნიშნავს ოდესმე, რომ ისეთ სახალხო კომისარიატში, როგორიცაა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, ასეთ შეერთებას მეტისმეტად დიდი სარგებლობა მოაქვს და ეს თავიდანვე შემოღებულია? განა პოლიტბიურო არ განიხილავს პარტიული თვალსაზრისით მრავალ წვრილმან და დიდ საკითხს ჩვენი «სვლების» შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა «სვლების» პასუხად, რათა თავიდან ავიცილოთ მათი, ვთქვათ, ვერაგობა, უფრო ნაკლებ ზრდილობიანი სიტყვა რომ არ ვიხმაროთ? განა ეს მოქნილი შეერთება საბჭოურისა და პარტიულისა ჩვენი პოლიტიკის უაღრესი ძლიერების წყარო არ არის? ვფიქრობ, რომ ის, რაც გამართლებულია, განმტკიცებულია ჩვენს საგარეო პოლიტიკაში და უკვე შესულია ჩვეულებაში ისე, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ დარგში, ყოველ შემთხვევაში იმდენადვე მართებული იქნება (მე კი ვფიქრობ, რომ გაცილებით უფრო მართებულიც იქნება) მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის მიმართ. ხოლო მუშგლეხინი ხომ მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატისათვის არსებობს, და მისი მუშაობა უნდა შეეხებოდეს ყველა და ყოველგვარ

სახელმწიფო დაწესებულებას, სრულიად გამოუკლებლივ, ადგილობრივსაც და ცენტრალურსაც, სავაჭროსაც და წმინდა მოხელურსაც, სასწავლოსაც, საარქივოსაც, სათეატროსაც და სხვ. — ერთი სიტყვით, ყველას, სრულიად გამოუკლებლივ.

მაშ რატომ არ უნდა დავუშვათ ასე ფართო გაქანების დაწესებულებისათვის, რომელსაც, გარდა ამისა, ესაჭიროება მოქმედების მეტისმეტად მოქნილი ფორმები, — რატომ არ უნდა დავუშვათ მისთვის საკონტროლო პარტიული დაწესებულებისა და საკონტროლო საბჭოთა დაწესებულების თავისებური შეერთება?

მე აქ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ვხედავ. კიდევ მეტიც, ვფიქრობ, რომ ასეთი შეერთება ერთადერთი საწინდარია წარმატებით მუშაობისა. ვფიქრობ, რომ ყოველგვარი ეჭვები ამ მხრივ გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო დამტვერიანებული კუთხეებიდან და რომ ამ ეჭვებს პასუხი უნდა გავცეთ მხოლოდ ერთი რამით — დაცინვით.

* * *

მეორე ეჭვი: უხერხული ხომ არ იქნება შევაერთოთ სწავლა და თანამდებობრივი მუშაობა? მე მგონია, არათუ უხერხული არ იქნება, არამედ აუცილებელიცაა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრიობისაგან, მისდამი უაღრესად რევოლუციური დამოკიდებულების მიუხედავად, მთელი რიგი მეტად მავნე და სასაცილო ცრურწმენა გადმოგვედო; ნაწილობრივ კი ეს სენი განგებ შეგვყარეს ჩვენმა საყვარელმა ბიუროკრატებმა, იმ განზრახვით, რომ ასეთი ცრურწმენის მღვრიე წყალში არა ერთხელ შესძლებდნენ თევზის დაჭერას; და ამ მღვრიე წყალში იმდენ თევზს იჭერდნენ, რომ ჩვენს შორის მხოლოდ სულ ბრმები ვერ ხედავდნენ, რა ფართოდ ხდებოდა ეს თევზის ჭერა.

საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის მთელ სფეროში ჩვენ «საშინლად» რევოლუციურნი ვართ. მაგრამ მოხელური მორჩილების სფეროში, საქმისწარმოების ფორმებისა და წესების დაცვაში ჩვენს

«რევოლუციურობას» ძალიან ხშირად სცვლის მეტად დამყაყებული რუტინერობა. აქ ხშირად ვხედავთ უაღრესად საინტერესო მოვლენას, თუ როგორ უერთდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდეს ნახტომს წინ საშინელი გაუბედაობა სულ მცირედი ცვლილებების წინაშე.

ეს გასაგებიცაა, იმიტომ რომ ყველაზე გაბედული წინგადადგმული ნაბიჯები ეხებოდა იმ სფეროს, რომელიც ძველთაგანვე თეორიის ხვედრს შეადგენდა, იმ სფეროს, რომელიც უმთავრესად და თითქმის მხოლოდ და მხოლოდ თეორიულად ვითარდებოდა. რუსი კაცი, მოხელური სინამდვილით თავმობეზრებული, შინ სულს იბრუნებდა არაჩვეულებრივი გაბედული თეორიული აზროვნების სისტემებით, და ამიტომ ეს არაჩვეულებრივი გაბედული თეორიული აზროვნების სისტემები ჩვენში უაღრესად ცალმხრივ ხასიათს იღებდა. ჩვენში ერთმანეთს ეთვისებოდა თეორიული გამბედაობა ზოგადი აზროვნების სისტემებში და გასაოცარი შიში რომელიმე სულ უმნიშვნელო კანცელარიული რეფორმის მიმართ. რომელიმე უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის აგრარული რევოლუცია მუშავდებოდა სხვა სახელმწიფოებში გაუგონარი გამბედაობით, ამავე დროს კი არ გვყოფნიდა ფანტაზია რაიმე მეათეხარისხოვანი კანცელარიული რეფორმისათვის; არ გვყოფნიდა ფანტაზია ანდა არ გვყოფნიდა მოთმინება გამოგვეყენებინა ამ რეფორმის მიმართ იგივე ზოგადი დებულებანი, რომელნიც ესოდენ «ბრწყინვალე» შედეგებს იძლეოდნენ, როდესაც მათ ზოგად საკითხებს ვუყენებდით.

ამიტომაც ჩვენს ახლანდელ ყოფა-ცხოვრებაში გასაოცრად შეზავებულია თავგანწირული სიმამაცის ნიშნები აზრის სიმხდალესთან სულ უმცირესი ცვლილებების წინაშე.

ვფიქრობ, რომ სხვანაირად არ ყოფილა არც ერთი ნამდვილად დიდი რევოლუციის დროს, იმიტომ რომ ნამდვილად დიდ რევოლუციებს წარმოშობენ წინააღმდეგობანი ძველსა, ძველის დასამუშავებლად მიმართულსა და უაღრესად აბსტრაქტულ მისწრაფებას შორის ახლისადმი, რომელიც უკვე ისე ახალი უნდა იყოს, რომ ოდნავი სიძველე არ იყოს მასში.

და რაც უფრო მძაფრია ეს რევოლუცია, მით უფრო ხანგრძლივი იქნება ის დრო, რომლის განმავლობაშიც იარსებებს მთელი რიგი ასეთი წინააღმდეგობანი.

* * *

ჩვენი ყოფა-ცხოვრების საერთო ნიშანი ამჟამად ასეთია: ჩვენ დავანგრიეთ კაპიტალისტური მრეწველობა, შევეცადეთ სრულიად დაგვენგრია შუასაუკუნეობრივი დაწესებულებანი, მემამულური მიწათმფლობელობა და ამ ნიადაგზე შევქმენით წვრილი და უწვრილესი გლეხობა, რომელიც მიჰყვება პროლეტარიატს მისი რევოლუციური მუშაობის შედეგებისადმი ნდობის გამო. მაგრამ ამ ნდობით გაძლება იმ დრომდე, ვიდრე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებდეს, ჩვენთვის ადვილი არაა, იმიტომ რომ წვრილი და უწვრილესი გლეხობა, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, ეკონომიური აუცილებლობის გამო დგას შრომის ნაყოფიერების უაღრესად დაბალ დონეზე. აგრეთვე საერთაშორისო ვითარებამაც გამოიწვია ის, რომ რუსეთი ახლა უკან არის გადასროლილი, რომ სახალხო შრომის ნაყოფიერება ჩვენში საერთოდ და მთლიანად ახლა გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ომამდე იყო. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, ნაწილობრივ შეგნებულად, ნაწილობრივ სტიქიურად, ყოველი ღონე იხმარეს, რომ ჩვენ უკან გადავესროლეთ, რათა სამოქალაქო ომის ელემენტები რუსეთში გამოეყენებინათ ჩვენი ქვეყნის რაც შეიძლება მეტი გაჩანაგებისათვის. სწორედ ასეთი გამოსვლა იმპერიალისტური ომიდან წარმოდგენილი იყო, რა თქმა უნდა, როგორც საგრძნობლად სარგებლიანი: თუ ვერ დავამხობთ რევოლუციურ წყობილებას რუსეთში, ყოველ შემთხვევაში, გავაძნელებთ მის განვითარებას სოციალიზმისაკენო, — ასე მსჯელობდნენ, დაახლოებით, ეს სახელმწიფოები, და მათი თვალსაზრისით არც შეეძლოთ სხვანაირად ემსჯელნათ. შედეგად მიიღეს თავიანთი ამოცანის სანახევროდ გადაჭრა. მათ ვერ დაამხეს რევოლუციის მიერ შექმნილი ახალი წყობილება,

მაგრამ არც იმის შესაძლებლობა მისცეს მას, რომ ახლა-ვე გადაედგა წინ ისეთი ნაბიჯი, რომელიც გაამართ-ლებდა სოციალისტების წინასწარმეტყველებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ უდიდესი სისწრაფით განე-ვითარებინათ საწარმოო ძალები, განევითარებინათ ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩამოყალიბდებოდა სოციალიზმად, დაემტკიცებინათ ყველასა და თვითეულისათვის თვალნათლივ და აშკარად, რომ სოციალიზმი თავის წიაღში ატარებს გიგან-ტურ ძალებს და რომ კაცობრიობა ამჟამად გადავიდა განვი-თარების ახალ სტადიაზე, რომელსაც თან მოაქვს არაჩვეუ-ლებრივ ბრწყინვალე შესაძლებლობანი.

საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა ახლა ისე მოეწყო, რომ ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფო დამონებულია გამარჯ-ვებულ სახელმწიფოთა მიერ — ეს არის გერმანია. შემდეგ, მთელი რიგი სახელმწიფოები, ამასთან დასავლეთის უძველესი სახელმწიფოები, გამარჯვების გამო აღმოჩნდნენ ისეთ პირო-ბებში, როდესაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს გამარჯვება მთელი რიგი უმნიშვნელო დათმობებისათვის თავიანთი დაჩაგრული კლასების მიმართ, — დათმობებისათვის, რომლე-ბიც რაც უნდა იყოს აფერხებენ იქ რევოლუციურ მოძრაობას და ქმნიან «სოციალური ზავის» ერთგვარ მსგავსობას.

ამავე დროს მთელი რიგი ქვეყნები: აღმოსავლეთი, ინდოე-თი, ჩინეთი და სხვ., სწორედ უკანასკნელი იმპერიალის-ტური ომის გამო, საბოლოოდ აცდნენ თავიანთ კალაპოტს. მათი განვითარება საბოლოოდ წარიმართა საერთო-ევროპული კაპიტალისტური მასშტაბით. ამ ქვეყნებში დაიწყო საერთო-ევროპული მღელვარება. და ახლა მთელი მსოფლიოსათვის აშკარაა, რომ ისინი ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც შეუძლებელია შედეგად არ მოჰყვეს მთელი მსოფლიო კაპი-ტალიზმის კრიზისი.

ამრიგად, დღეს ჩვენს წინაშე დგას ასეთი კითხვა: ჩვენი წვრილი და უწვრილესი გლეხური წარმოების პირობებში, ჩვენი გაჩანაგების პირობებში შევძლებთ თუ არა გაძლებას იმ დრომდე, ვიდრე დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური

ქვეყნები დაამთავრებენ თავიანთ განვითარებას სოციალიზმისაკენ? მაგრამ ისინი ამ განვითარებას ამთავრებენ არა ისე, როგორც ჩვენ წინათ მოველოდით. ისინი ამთავრებენ მას სოციალიზმის არა თანაბარი «მომწიფებით» მათში, არამედ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, იმპერიალისტური ომის დროს პირველი დამარცხებული სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, რომელსაც უერთდება მთელი აღმოსავლეთის ექსპლოატაცია. ხოლო აღმოსავლეთში, მეორე მხრივ, სწორედ ამ პირველი იმპერიალისტური ომის წყალობით საბოლოოდ დაიწყო რევოლუციური მოძრაობა და საბოლოოდ ჩაება იგი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ორომტრიალში.

მერე როგორ ტაქტიკას გვიკარნახებს საქმის ასეთი ვითარება ჩვენი ქვეყნისათვის? ცხადია, შემდეგს: ჩვენ უდიდესი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი მუშათა ხელისუფლება და მისი ავტორიტეტითა და ხელმძღვანელობით შევინარჩუნოთ წვრილი და უწვრილესი გლეხობა. ჩვენს მხარეზე ის პლუსია, რომ ახლა მთელ მსოფლიოში იწყება უკვე ისეთი მოძრაობა, რომელმაც უნდა წარმოშვას მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ ჩვენს მხარეზე ის მინუსია, რომ იმპერიალისტებმა შესძლეს მთელი მსოფლიოს ორ ბანაკად გათიშვა, ამასთან ეს გათიშვა გართულებულია იმით, რომ გერმანიას, ამ მართლაც მოწინავე კულტურული კაპიტალისტური განვითარების ქვეყანას, მეტისმეტად უჭირს ახლა ფეხზე წამოდგომა. ეგრეთწოდებული დასავლეთის ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო კორტნის და გასაქანს არ აძლევს მას. ხოლო მეორე მხრივ, მთელი აღმოსავლეთი, მისი ასეული მილიონობით მშრომელი ექსპლოატირებული მოსახლეობით, რომელიც მიყვანილია ადამიანური გაჭირვების უკიდურეს საზღვრამდე, ჩაყენებულია ისეთ პირობებში, როდესაც მისი ფიზიკური და მატერიალური ძალები სრულიად ვერ შეედრება დასავლეთ ევროპის ვერც ერთ გაცილებით უფრო მცირე სახელმწიფოს ფიზიკურ, მატერიალურ და სამხედრო ძალებს.

შეგვიძლია თუ არა თავიდან ავიცილოთ მომავალი შეტაკება ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან? გვაქვს თუ არა იმედი, რომ შინაგანი წინააღმდეგობანი და კონფლიქტები წარმატებაში მყოფ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და წარმატებაში მყოფ აღმოსავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის მოგვცემს შესვენების საშუალებას მეორედ, როგორც მოგვცა პირველად, როდესაც დასავლეთ ევროპის კონტრრევოლუციის ლაშქრობა, მიმართული რუსეთის კონტრრევოლუციის დასახმარებლად, ჩაიფუშა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონტრრევოლუციონერთა ბანაკში, აღმოსავლეთის ექსპლოატატორთა და დასავლეთის ექსპლოატატორთა ბანაკში, იაპონიისა და ამერიკის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა გამო?

ამ კითხვაზე, მე მგონია, უნდა ვუპასუხოთ იმგვარად, რომ ამის გადაწყვეტა აქ დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, და ბრძოლის შედეგი საერთოდ და მთლიანად შეიძლება გავითვალისწინოთ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ დედამიწის მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას, ბოლოს და ბოლოს, თვითონ კაპიტალიზმი წვრთნის და ამზადებს საბრძოლველად.

ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება ბრძოლაში თავის განთავისუფლებისათვის, ასე რომ ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების არა ეს აუცილებლობა. ჩვენ გვაინტერესებს ის ტაქტიკა, რომელსაც უნდა დავადგეთ ჩვენ, რუსეთის კომუნისტური პარტია, ჩვენ, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება, რათა არ გავასრესინოთ თავი დასავლეთ ევროპის კონტრრე-

ვოლუციურ სახელმწიფოებს. იმისათვის, რომ უზრუნველ-ვყოთ ჩვენი არსებობა შემდეგ სამხედრო შეჯახებამდე კონტრრევოლუციურ იმპერიალისტურ დასავლეთსა და რევო-ლუციურ და ნაციონალისტურ აღმოსავლეთს შორის, მსოფ-ლიოს უაღრესად ცივილიზებულ სახელმწიფოებსა და აღმო-სავლურად ჩამორჩენილ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც, მაინც, უმრავლესობას შეადგენენ, — ამ უმრავლესობამ უნდა მოასწროს ცივილიზება. არც ჩვენ გვყოფნის ცივილიზაცია იმისათვის, რომ უშუალოდ გადავიდეთ სოციალიზმზე, თუმცა ჩვენ გვაქვს საამისო პოლიტიკური წანამძღვრები. ჩვენ ასეთ ტაქტიკას უნდა დავადგეთ ან თავის გადასარჩენად მივიღოთ შემდეგი პოლიტიკა.

ჩვენ უნდა შევეცადოთ შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც მუშები შეინარჩუნებდნენ ხელმძღვანელობას გლეხო-ბის მიმართ, გლეხობის ნდობას და უდიდესი ეკონომიით აღმოფხვრიდნენ თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ყოველგვარი ფუფუნების ყოველგვარ კვალს.

ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა დავიყვანოთ მაქსიმა-ლურ ეკონომიამდე. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ მასში ყოველ-გვარი კვალი ფუფუნებისა, რაც ასე ბევრი დარჩა მასში მეფის რუსეთისაგან, მისი ბიუროკრატიულ-კაპიტალისტური აპარატისაგან.

ხომ არ იქნება ეს გლეხური შეზღუდულობის სამეფო?

არა. თუ ჩვენ მუშათა კლასს შევუნარჩუნებთ ხელმძღვა-ნელობას გლეხობის მიმართ, საშუალება მოგვეცემა ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი ეკონო-მიით მივაღწიოთ იმას, რომ ყოველგვარი სულ მცირე დანა-ზოგი გადავდოთ ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გასავითარებლად, ელექტროფიკაციისა და ჰიდროტორ-ფის გასავითარებლად, ვოლხოვმშენის დასამთავრებლად და სხვ.

ეს და მხოლოდ ეს იქნება ჩვენი იმედი. მხოლოდ მაშინ გვექნება საშუალება, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ერთი ცხენიდან მეორეზე გადავჯდეთ, სახელდობრ, გლეხის, ტეტიის,

გაძვალტყავებული ცხენიდან, იმ მომჭირნეობის ცხენიდან, რაც ნავარაუდევია გაჩანაგებული გლეხური ქვეყნისათვის, — იმ ცხენზე, რომელსაც თავისთვის ეძებს და არ შეუძლია არ ეძებდეს პროლეტარიატი, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვმშენის ცხენზე და სხვ.

აი როგორ ვუკავშირებ ჩემს გონებაში ჩვენი მუშაობის, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი ტაქტიკისა და სტრატეგიის საერთო გეგმას რეორგანიზებული მუშგლეხინის ამოცანებს. აი რაში მდგომარეობს ჩემთვის გამართლება იმ განსაკუთრებული მზრუნველობისა, იმ განსაკუთრებული ყურადღებისა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მუშგლეხინის მიმართ, უნდა ავიყვანოთ იგი განსაკუთრებულ სიმაღლეზე და სათავეში ჩავუყენოთ ცენტრალური კომიტეტის უფლებებით აღჭურვილი ორგანო და სხვ. და სხვ.

ეს გამართლება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შევძლებთ ნამდვილად გავძლოთ ჩვენი აპარატის მხოლოდ მაქსიმალური გაწმენდით, მაქსიმალური შემცირებით ყოველივე იმისა, რაც მასში აბსოლუტურად აუცილებელი არ არის. ამასთან ჩვენ საშუალება გვექნება გავძლოთ არა წვრილი გლეხური ქვეყნის დონეზე, არა ამ საყოველთაო შეზღუდულობის დონეზე, არამედ იმ დონეზე, რომელიც განუწყვეტლივ მიიწევს სულ წინ და წინ მსხვილი მანქანური ინდუსტრიისაკენ.

აი რა მაღალ ამოცანებზე ვოცნებობ მე ჩვენი მუშგლეხინისათვის. აი რატომ ვგეგმავ მე მისთვის უაღრესად ავტორიტეტული პარტიული ზედაფენის შეერთებას «ჩვეულებრივ» სახალხო კომისარიატთან.

1923 წ. 2 მარტი.

«პრავდა» № 49,
1923 წ. 4 მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრაფიულ ჩანაწერთან

შენიშვნები

1 ლენინს მხედველობაში ჰყავს «მემარცხენეთა» წვრილბურჟუაზიული ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფი, რომელიც გამოეთიშა გერმანიის კომუნისტურ პარტიას 1919 წლის ოქტომბერში და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა 1920 წლის აპრილში. ამ ჯგუფმა დაირქვა «გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია». ეს ჯგუფი, რომელსაც არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა გერმანიის მუშათა მასაში, შემდეგ გადაგვარდა უმნიშვნელო სექტად, რომელიც მტრულად იყო განწყობილი კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის მიმართ და ცილისმწამებლურად ილაშქრებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. — 1.

2 გერმანიის კომუნისტური პარტიის «მემარცხენეთა» შეცდომები იმაში მდგომარეობდა, რომ «მემარცხენეები» ნაადრევი გამოსვლის გზაზე უბიძგებდნენ მუშათა კლასს. გერმანიის ბურჟუაზიამ გამოიყენა ეს მდგომარეობა და პროვოკაციულად გამოიწვია მუშათა შეიარაღებული გამოსვლა მათთვის არახელსაყრელ მომენტში. 1921 წლის მარტში შუა გერმანიის რაიონებში იფეთქა მუშათა აჯანყებამ. აჯანყებას მხარი არ დაუჭირეს სხვა სამრეწველო რაიონების მუშებმა, რის შედეგადაც, მიუხედავად მუშების გმირული ბრძოლისა, აჯანყება მალე ჩაქრეს. ამ აჯანყების შეფასება და «მემარცხენეთა» შეცდომების კრიტიკა ლენინმა მოგვცა «სიტყვაში კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად» კომინტერნის III კონგრესზე და «წერილში გერმანელ კომუნისტებს» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 32, გვ. 596 — 608, 653 — 667). — 6.

8 «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის ნოემბრიდან 1937 წლის ნოემბრამდე; თავდაპირველად იყო რუსეთის სფს რესპუბლიკის სმუს-ისა და ეკონომიურ სახალხო კომისარიატთა ორგანო, შემდეგ სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახბანკისა და ფინსახკომის ორგანო. — 12.

4 შრომისა და თავდაცვის საბჭო შეიქმნა 1920 წლის აპრილში მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს მაგივრად. შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე იყო ლენინი. საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის 1920 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოქმედება დაიწყო საბჭომ-საბჭოს კომისიის უფლებებით; იარსება 1936 წლის დამლევამდე. — 15.

5 ლენინს მხედველობაში აქვს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის (1920 წლის 22 — 29 დეკემბერი) დადგენილება «საბჭოთა მშენებლობის შესახებ». — 18.

6 პარტიის წმენდა 1921 წლისა ჩატარდა პარტიის X ყრილობის დადგენილებით 1921 წლის მეორე ნახევარში. წმენდის შედეგად პარტიიდან გაირიცხა დაახლოებით 170 000 კაცი, ე. ი. პარტიის მთელი შემადგენლობის დაახლოებით 25 პროცენტი. — 24.

7 წერილი «მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის» დაწერილია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ტექნიკურ-სამრეწველო განყოფილების სათბობის სექციის წინასწარი მოხსენების გამო სათბობის საქმის მდგომარეობისა და სათბობის ორგანოების მუშაობის შესახებ. ეს მოხსენება გასაცნობად და საორიენტაციოდ გადაუგზავნა ვ. ი. ლენინს ი. ბ. სტალინმა, რომელიც იმ დროს მუშგლეხინის სახალხო კომისარი იყო.

პასუხად ვ. ი. ლენინის წერილისა «მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის» ი. ბ. სტალინმა მისწერა შემდეგი ბარათი:

«ამხ. ლენინ! **(პასუხი ინსპექციის შესახებ)**

1) შესაძლოა, თქვენი ბრალდებანი, მიმართული «წინასწარი» მოხსენების ავტორის წინააღმდეგ, ნაადრევი იყოს, რადგან ნამდვილი მოხსენება თქვენთვის ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ. მე უკვე გითხარით, რომ «წინასწარი» მოხსენება შედგენილია საორიენტაციოდ, ხოლო საკითხთა სია — იმისათვის, რომ გაგიადვილოთ წინასწარი შემოწმება, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, — «დაგაინტერესოთ» საკითხით. თუმცა, აპრიორი მზადა ვარ ვაღიარო, რომ ჩვენს სუსტ ინსპექციას კვლავ დაუსხლტება ფეხი «დაჭერის» ძველი იოლი გზისაკენ (კვლავ, ვიდრე არ გავაძლიერებთ მას კომუნისტებით, ვიდრე მატერიალურად არ უზრუნველვყოფთ მის ხელმძღვანელ მუშაკებს).

2) ვფიქრობ, რომ ინსპექციას ჩ ვ ე ნ ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ყოველივეს გარდა კიდევ აქვს ერთი დანიშნულება: იყოს ბარომეტრი, რომელიც გვიჩვენებს ქარიშხალს ან კარგ ამინდს. თუ ინსპექცია ამ შემთხვევაში წინასწარ სწორად გვაუწყებს ქარიშხლის მოახლოებას და, მაშასადამე, გვაფრთხილებს, თუნდაც, ერთ საკითხში, ეს უკვე ცოტა რამ როდია ისეთი სუსტი ორგანიზმისათვის, როგორიცაა ინსპექცია.

3) ორი ინჟინერი, რომლებიც იკვლევენ სათბობის დაწესებულებებს, ერთად იღებს «სევეროლესის» შიკრიკზე ნაკლებს. ამ დღეებში იძულებული ვიყავი მიმეცა თვითეული მათგანისთვის რამდენიმე ასი ათასი მანეთი, მიუხედავად ავანსოვის პროტესტისა, რომელმაც დაიმოწმა რაღაც «დებულება» ტარიფების შესახებ, რაც უკვე დიდი ხანია ერთიათად «გადაჭარბებულია» ყველა საქვეკონტროლო დაწესებულების მიერ.

4) «წინასწარი» მოხსენების ავტორია ლონინოვი (კომუნისტი), მუშგლეხინის ტექნიკურ-სამრეწველო განყოფილების ს ა თ ბ ო ბ ი ს ს ე ქ ც ი ი ს უფროსი.

5) თქვენს შენიშვნებს ვიტოვებ.

27/IX. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

P. S. ამ სამი დღის წინათ ლონინოვმა მითხრა, ჩემს მოხსენებას დავურთავ სათბობის დაწესებულებათა აპარატების გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტსო.

ი. ს ტ.». — 27.

8 ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე ქ ნ ი კ ო ს თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს VIII ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 1 — 9 ოქტომბერს; მოწვეულ იქნა ლენინის ინიციატივით. ყრილობას დაესწრო 900-მდე მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი, აგრეთვე ცალკეულ საწარმოთა მუშები.

ლენინი არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. მისი მისასალმებელი წერილი ყრილობისადმი გამოქვეყნებულ იქნა 1921 წლის 9 ოქტომბრის დილის სხდომაზე. — 86.

9 ლენინს მხედველობაში აქვს წიგნი «რუსეთის სფს რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გეგმა. რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მოხსენება საბჭოების VIII ყრილობას». მ., 1920. ამ წიგნის შეფასება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 31, გვ. 632 — 637; ტომი 32, გვ. 159 — 166, 503 — 504; ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 53 — 55. — 86.

10 ბაზელის 1912 წლის მანიფესტი — მანიფესტი ომის შესახებ, მიღებული ერთხმად II ინტერნაციონალის საგანგებო კონგრესის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა ბაზელში (შვეიცარია) 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (ახ. სტ.). მანიფესტი აღნიშნავდა იმ ომის მძარცველურ მიზნებს, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებდნენ, და მოუწოდებდა ყველა ქვეყნის სოციალისტებს გაეჩაღებინათ გადამჭრელი ბრძოლა ომის წინააღმდეგ. ბაზელის მანიფესტმა გაიმეორა II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის 1907 წლის რეზოლუციის დებულებები, წამოყენებული ვ. ი. ლენინისა და რ. ლუქსემბურგის მიერ, რომ იმპერიალისტური ომის დაწყების შემთხვევაში სოციალისტებმა უნდა გამოიყენონ ომის მიერ შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი სოციალისტური რევოლუციის მოსამზადებლადო.

II ინტერნაციონალის ბელადებმა — კაუცკიმ, ვანდერველდემ და სხვებმა, რომლებმაც ხმა მისცეს ამ მანიფესტის მიღების სასარგებლოდ, 1914 წელს მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე დაივიწყეს ბაზელის მანიფესტი და თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობათა მხარეზე დადგნენ. — 45.

11 პოლიტგანთა სრულიად რუსეთის II ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 17 — 22 ოქტომბერს. ყრილობას დაესწრო 310 დელეგატი. ლენინის მოხსენება 'შესდგა 1921 წლის 17 ოქტომბრის საღამოს სხდომის დასასრულს. — 49.

12 სრ. რუს. ცაკ-ის 1918 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ლენინის მოხსენების მიხედვით «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ». ამ მოხსენებისა და სტატიის «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» დებულებები ლენინმა შეაჯამა ექვს თეზისად, რომლებიც მცირეოდენი დამატებებით ერთხმად მიიღო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1918 წლის 3 მაისს. იხ. «ექვსი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ» (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 375 — 379). — 51.

13 საგუბერნიო ეკონომიური თათბირები — შრომისა და თავდაცვის საბჭოს ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც შეიქმნა საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის დადგენილების საფუძველზე 1920 წლის დეკემბერში საბჭოების საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებთან. — 70.

14 მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიული კონფერენცია მიმდინარეობდა 1921 წლის 29 — 31 ოქტომბერს. კონფე-

რენციას დაესწრო 637 დელეგატი. პირველ სხდომაზე 29 ოქტომბერს კონფერენციამ მოისმინა ლენინის მოხსენება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

კონფერენციამ განიხილა აგრეთვე მოხსენება საგუბერნიო ეკონომიური თათბირის მუშაობის შესახებ, ანგარიში რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის მუშაობის შესახებ, მოხსენება პარტიის წევრების შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება, საკონტროლო კომისიის მოხსენება, ორგანიზაციული საკითხები და სხვ. — **75.**

15 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატიები: «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა», «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» და სხვ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 174 — 180, 275 — 329, 385 — 425). — **82.**

16 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 375 — 379. — **84.**

17 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ლ ი ს ტ ო კ ო ბ ი ა ვ ლ ე ნ ი ი» — კერძო მეწარმეთა ჯგუფის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1921 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის თებერვლამდე. — **85.**

18 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 319, 422 — 423. — **112.**

19 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 230. — **114.**

20 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 325. — **116.**

21 ლენინი იყო მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი პროხოროვის მანუფაქტურის (ამჟამად ლენინის ორდენისა და შრომის წითელი დროშის ორდენის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის საკავშირო სახელმწიფო ბამბეულის კომბინატის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის) მუშებისაგან. ლენინი გამოვიდა 6 ნოემბერს ფაბრიკის მუშების კრებაზე, რომელსაც დაესწრო 2 000-ზე მეტი კაცი. — **122.**

22. ბროშურა სახელწოდებით «ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხისათვის (ორი ძველი სტატია და ერთი კიდევ უფრო ძველი ბოლოსიტყვაობა)» არ გამოსულა. 1921 წელს გამოვიდა ნ. ლენინის ბროშურა

«ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხისათვის», რომელშიც შევიდა სტატიები «ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის» და «ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ» (იხ. ეს ტომი, გვ. 37 — 48, 111 — 121). — **128.**

23 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 29, გვ. 47 — 89. — **128.**

24 ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაისვა ამიერკავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით 1921 წლის ნოემბერში.

ტექსტი «წინადადების პროექტისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ» იბეჭდება სრულად ი. ბ. სტალინის შესწორების ჩართვით. ნაცვლად სიტყვებისა: «რომელიც მოითხოვს რამდენიმე კვირას განსახილველად» ამხანაგ სტალინის წინადადებით ლენინმა დაწერა: «რომელიც მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განსახილველად». ეს შესწორება შეტანილ იქნა ი. ბ. სტალინის შენიშვნასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ საქართველოში საბჭოები მხოლოდ ახლა შენდება და ამიტომ იქ უახლოეს რამდენიმე კვირაში საბჭოების ყრილობის მოწვევა შეუძლებელიაო.

პროექტი მიიღო ც. კ-ის პოლიტბიურომ 1921 წლის 29 ნოემბერს. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 251 — 257. — **134.**

25 მოსკოვის I საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო ყრილობა მიმდინარეობდა 1921 წლის 28 — 30 ნოემბერს. ყრილობას დაესწრო გლეხთა და საადგილმამულო ორგანოების მუშაკთა 300-ზე მეტი დელეგატი. ყრილობის დელეგატებმა ლენინის სიტყვა მოისმინეს 1921 წლის 29 ნოემბერს დღისით. — **135.**

26 «გლეხის ხმა» (**«La Voix Paysanne»**) — მშრომელ გლეხთა ცენტრალური გაერთიანების ყოველკვირეული ორგანო, რომელსაც სცემდა საფრანგეთის კომუნისტური პარტია პარიზში 1920-დან 1937 წლამდე. — **137.**

27 კოლონები (**colons**) — ხიზნები, ახალმოშენენი საფრანგეთში, რომლებიც იჯარით იღებდნენ მიწას იმ პირობების საფუძველზე, რომ მიწათმფლობელს გადაუხდიდნენ შემოსავლის ან მოსავლის ნაწილს. — **137.**

28 ლაპარაკია ფ. ენგელსის სტატიაზე «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, 1950, გვ. 507 — 532). — **142.**

29 «წერილი პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წმენდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ» ლენინმა დაწერა ამ საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით რკპ(ბ) სრულიად რუსეთის XI კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 19 — 22 დეკემბერს. ლენინი ავადმყოფობის გამო კონფერენციას არ დასწრებია.

მოხსენების გამო პარტიის წმენდის შესახებ კონფერენციამ საფუძვლად მიიღო რეზოლუცია «პარტიის განმტკიცების საკითხის გამო, მისი პირადი შემადგენლობის შემოწმების გამოცდილების გათვალისწინებასთან დაკავშირებით»; ეს რეზოლუცია შემდეგ საბოლოოდ შემუშავდა ც. კ-ის საოლქო კომიტეტთა, საოლქო ბიუროთა და რკპ(ბ) საგუბერნიო კომიტეტთა მდივნების თათბირზე (1921 წლის 27 — 29 დეკემბერს) და დაამტკიცა ც. კ-მა და რკპ(ბ) XI ყრილობამ. — **147.**

30 საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 23 — 28 დეკემბერს. ყრილობას დაესწრო 1991 დელეგატი. ლენინის გამოსვლა სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ანგარიშით რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ შესდგა 23 დეკემბერს საღამოს. ლენინის მოხსენების მიხედვით ყრილობამ ერთხმად მოიწონა საბჭოთა მთავრობის მუშაობა საანგარიშო წლის განმავლობაში. ყრილობამ მიიღო დეკლარაცია რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; დეკლარაცია შედგენილი იყო ლენინის ამ წერილში გადმოცემულ მითითებათა საფუძველზე. ყრილობამ აგრეთვე მიიღო ლენინის მიერ შედგენილი «განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხებსე» (იხ. ეს ტომი, გვ. 201 — 204) და მთელი რიგი გადაწყვეტილებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. — **149.**

31 ვაშინგტონის კონფერენცია მიმდინარეობდა 1921 წლის 12 ნოემბრიდან 1922 წლის 6 თებერვლამდე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ამ კონფერენციის ინიციატორი იყო, მიაღწია იმას, რომ განამტკიცა თავისი პოლიტიკური, სამხედრო-საზღვაო და ეკონომიური პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა რუსეთი კონფერენციაზე არ მიუწვევიათ. ვაშინგტონის კონფერენციამ კიდევ უფრო გააძლიერა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. — **160.**

32 ვ. ი. ლენინის სახელობის შატურის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის მშენებლობა დაიწყო 1919 წელს. მისი პირველი რიგი 5 000 კილოვატის სიმძლავრისა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1920 წელს.

კაშირის ელსადგურის მშენებლობის დამთავრება გეგმის მიხედვით ნაკარაუდევი იყო 1921 წლის დამლევისათვის. 1922 წლის 4 ივნისს დამთავრდა პირველი რიგის (12 000 კილოვატი) მშენებლობა, და სადგური გადაეცა საექსპლოატაციოდ. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა კაშირის ელსადგურს, სახელმძღვანელო მითითებებს იძლეოდა მისი მშენებლობისათვის, დახმარებას უწევდა მუშახელით მისი უზრუნველყოფის, საჭირო მოწყობილობით, სათბობით და სამრეწველო მასალებით მომარაგების საქმეს. — **188.**

33 ელსადგურის «წითელი ოქტომბერი» (ყოფ. უტკინა ზავოდ-ის) მშენებლობა დამთავრდა 1922 წელს და პირველი რიგი — 10 000 კილოვატი სიმძლავრისა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1922 წლის 8 ოქტომბერს. — **189.**

34 ლენინს მხედველობაში აქვს სასამართლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 15 — 18 დეკემბერს, 35 კერძო მეწარმის მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ შრომის კანონთა კოდექსის დარღვევა, მცირეწლოვანთა, მოზარდთა და ქალთა ექსპლოატაცია, სამუშაო დღის გაგრძელება და საბჭოთა კანონების დარღვევის სხვა შემთხვევები. — **191.**

35 ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების საკითხი განხილულ იქნა რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1921 წლის 28 დეკემბერს. პროფკავშირთა შესახებ რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილების პროექტი დაწერილი იყო ლენინის მიერ.

ი. ბ. სტალინი, გაეცნო რა რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილების პროექტს, სწერდა ვ. ი. ლენინს 1922 წლის 6 იანვარს: «ა მ ხ. ლ ე ნ ი ნ! თეზისები პროფკავშირთა შესახებ, ჩემი აზრით, ჩინებულია...» (იხ. ლენინის კრებული XXXV, 1945, გვ. 311).

თეზისები 1922 წლის 12 იანვარს განიხილა ც. კ-ის პოლიტბიურომ, ერთხმად დამტკიცა და ამ სახით წარუდგინა პარტიის XI ყრილობას. რკპ(ბ) XI ყრილობამ თეზისები მიიღო ერთხმად (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 418 — 424). — **207.**

36 «პ რ ო ე ქ ტ ი რ კ პ (ბ) ც. კ-ის პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს დ ი რ ე ქ ტ ი ვ ი ს ა ხ ა ლ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს შ ე ს ა ხ ებ» განხილულ იქნა ც. კ-ის პოლიტბიუროს 1922 წლის 12 იანვრის

სხდომაზე და მიღებულ იქნა საფუძვლად; საბოლოოდ დამტკიცებულია 1922 წლის 16 იანვარს. დირექტივა სახალხო კომისრებს გადაეცათ 1922 წლის 21 იანვარს. — **223.**

37 ლენინის მისალმება «დაღისტნის მშრომელებს» დაწერილია პასუხად დაღისტნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს წერილისა, რომელშიც აცნობებდნენ სამთამადნო სიმდიდრეთა დამუშავების დაწყების შესახებ. მოპოვებული პირველი ორი ფუთი სინდიყი ლენინს მიართვეს როგორც საწარმოო ძღვენი. — **225**

38 ლენინის წერილი მიეკუთვნება საქართველოს საბჭოების I ყრილობის პერიოდს; ყრილობა მიმდინარეობდა 1922 წლის 25 თებერვალს — 3 მარტს.

წინადადება საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ გამოწვეული იყო ინგლისის იმპერიალისტების აგრესიული პოზიციით და იმ ცილისმწამებლური კამპანიით, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გააჩაღა რეაქციულმა იმპერიალისტურმა პრესამ II და II$^1/_2$ ინტერნაციონალთა ბელადებთან და ქართველ მენშევიკებთან ერთად. იმ მიზნით, რომ საქართველო ჩამოეშორებინათ საბჭოთა რუსეთისაგან და დაემონებინათ უცხოეთის იმპერიალისტებისათვის, ისინი მოითხოვდნენ საქართველოს საზღვრებიდან წითელი არმიის გაყვანას.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების მიხედვით მიიღო მიმართვა «წითელი არმიის შესახებ», რომელშიც ძირითად ამოცანად დააყენა საქართველოს წითელი არმიის არსებული ბირთვის განმტკიცება და მომძე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას თხოვდა არ გაეყვანა წითელი არმიის ჯარები საქართველოს საზღვრებიდან. — **226.**

39 სამოქალაქო კოდექსი გადამუშავებულ იქნა ლენინის დირექტივების საფუძველზე, რაც გადმოცემული იყო მის მიერ წერილში დ. ი. კურსკის მიმართ. კოდექსი განხილულ იქნა IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის III და IV სესიებზე (1922 წლის მაისსა და ოქტომბერში) IV სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამოქალაქო კოდექსის მოქმედება შემოეღოთ 1923 წლის 1 იანვრიდან (იხ. ვ. ი. ლენინის სიტყვა IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის IV სესიაზე ამ ტომში, გვ. 461 — 468). — **228.**

40 ლენინს მზეიდველობაში აქვს გენუის კონფერენცია.

გენუის კონფერენცია («საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია») მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილს — 19 მაისს ქ. გენუაში (იტალია) საბჭოთა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის,

იტალიის, ბელგიის, იაპონიის, გერმანიისა და 21 სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ესწრებოდა როგორც «მეთვალყურე».

იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ კონფერენციაზე გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის სამეურნეო სიძნელენი, რათა თავს მოეხვიათ მისთვის შეთანხმების კაბალური პირობები. ისინი მოითხოვდნენ მეფისდროინდელი ყველა ვალის გადახდას, ომამდელი ვალების ჩათვლით, ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნებას, უცხოელი მფლობელებისათვის და სხვ.

სრ. რუს. ცაკ-ის საგანგებო სესიამ 1922 წლის 27 იანვარს საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარედ დაამტკიცა ვ. ი. ლენინი. არ შეეძლო რა გამგზავრებულიყო გენუაში, ის ფაქტიურად ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციის მთელ მუშაობას, დელეგაციის წევრებს აძლევდა სალირექტივო მითითებებს საკითხების დაყენების წესის შესახებ, კონფერენციის მუშაობის პროცესში საბჭოთა მთავრობის სახელით შესატანი მემორანდუმების შინაარსის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციამ უარყო იმპერიალისტების თავხედური მოთხოვნები და თავის მხრივ შეიტანა საყოველთაო განიარაღებისა და ყველა სამხედრო ვალის გაუქმების წინადადება. საბჭოთა რუსეთის მიმართ საფრანგეთისა და ინგლისის მტრული პოზიციის გამო კონფერენცია ჩაიშალა. საკითხის განხილვა გადაეცა ექსპერტთა კონფერენციას, რომელიც შეიკრიბა ჰაადაში 1922 წლის ივნისს — ივლისში. ისე როგორც გენუის კონფერენციაზე, მოლაპარაკება ჰაადაში უშედეგოდ დამთავრდა.

გენუისა და ჰაადის კონფერენციებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის დარგში ძირითადი ამოცანები ლენინმა განმარტა თავის გამოსვლებში მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე და პარტიის XI ყრილობაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 241 — 251, 305 — 309), აგრეთვე საუბარში ამხანაგ სტალინთან (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 148 — 150). — **229.**

41 სტატია «პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ის შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი. მ ა ღ ა ლ მ თ ე ბ ზ ე ა ს ვ ლ ი ს ა, ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს მ ა ვ ნ ე ბ ლ ობ ი ს ა, ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ს ა რ გ ებ ლ ობ ი ს ა, მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა დ მ ი დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ებ ი ს ა და ს ხ ვ ა თ ა შ ე ს ა ხ ებ» დაუმთავრებელია. — **230.**

42 «ს მ ე ნ ო ვ ე ხ ე ლ ე ბ ი» — ანტისაბჭოური თეთრემიგრანტული ბანაკის ინტელიგენტურ წრეებში წარმოშობილი ჯგუფი, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო სტატიათა კრებულის მიხედვით «სმენა ვეხ», რო-

მელიც გამოვიდა პრაღაში 1921 წლის ივლისში. დარწმუნდნენ რა უცხოური სამხედრო ინტერვენციის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობის სრულ შეუძლებლობაში, «სმენოვეხელება» ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ იმედს ამყარებდნენ საბჭოთა ახელმწიფოს შინაგან გადაგვარებაზე.

ი. ბ. სტალინმა «ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში» პარტიის XIV ყრილობაზე სმენოვეხელებს შემდეგი შეფასება მისცა: ««სმენოვეხელობა» — ეს არის იდეოლოგია ახალი ბურჟუაზიისა, რომელიც იზრდება და თანდათანობით უკავშირდება კულაკსა და მოსამსახურე ინტელიგენციას» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 7, 1949, გვ. 374). — **231.**

43 მ ე ლ ი ო ნ ე თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს V ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 3 — 7 მარტს. ყრილობას დაესწრო 318 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პროფკავშირებში გაერთიანებულ ნახევარ მილიონზე მეტ მელიონელ მუშას. ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე ლენინმა სიტყვა წარმოთქვა 6 მარტს დილით. — **241.**

44 ლენინს მხედველობაში აქვს «სიტყვა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ» მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის სხდომაზე 1917 წლის 4 (17) ივნისს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 25, გვ. 7). — **251.**

45 იგულისხმება ვ. მაიაკოვსკის ლექსი «სხდომასგადაყოლილნი» (იხ. ვ. ვ. მაიაკოვსკი. რჩეული ლექსები, 1948, გვ. 54 — 55). — **256.**

46 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 230. — **257.**

47 პ ა რ ტ ი ს ი — «ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის მასალების შემკრები და შემსწავლელი კომისია» შეიქმნა განსახკომთან სახკომსაბჭოს 1920 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით. რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებით პარტისი 1921 წლის 1 დეკემბრიდან გადავიდა რკპ(ბ) ც. კ-ის გამგებლობაში განყოფილების უფლებით. 1928 წელს პარტისი გაერთიანდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ ლენინის ინსტიტუტთან. — **258.**

48 «პ ო დ ზ ნ ა მ ე ნ ე მ მ ა რ ქ ს ი ზ მ ა» — ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1922 წლის იანვრიდან 1944 წლის ივნისამდე. — **263.**

49 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 227 — 228. — **265.**

50 წერილი ვ. მ. მოლოტოვს პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ მიეკუთვნება პარტიის XI ყრილობის მომზადების პერიოდს. რკპ(ბ) ც. კ-მა 1922 წლის 20 მარტს განიხილა პრეობრაჟენსკის თეზისები, უარყო ისინი და მიიღო ლენინის წინადადება. — 276.

51 «ესერ ა ბ ო ტ ზ ე მ ლ ე ს» — მაწისა და ტყის მუშაკთა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირი. — 280.

52 საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა და უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მისცა ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და ამ კონტრრევოლუციური პარტიის მთელი რიგი აქტიური წევრები, რომლებიც მხილებულ იქნენ ტერორისტულ მოქმედებაში და ვ. ი. ლენინზე ავაზაკური თავდასხმის, ურიცკისა და ვოლოდარსკის მკვლელობის თანამონაწილეობაში 1918 წელს. II ინტერნაციონალისა და II½ ინტერნაციონალის (ეგრეთწოდებული «ვენის სოციალისტური გაერთიანების») ლიდერებმა წერილით მიმართეს საბჭოთა მთავრობას და თავხედურად მოითხოვეს გადაედოთ ესერების გასამართლება, ვიდრე ამ საკითხს განიხილავდა სამი ინტერნაციონალის კონფერენცია. საპასუხო წერილი ლენინის წინადადების შესაბამისად გაიგზავნა იუსტიციის სახალხო კომისრის სახელით.

სასამართლო პროცესი მემარჯვენე ესერების მიმართ მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 8 ივნისს — 7 აგვისტოს. უმაღლესმა ტრიბუნალმა, დაადგინა რა ესერების მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებებში, კონტრრევოლუციურ შეთქმულებებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ტერორისტულ მოქმედებაში, თორმეტ მთავარ დამნაშავეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი, დანარჩენებს კი სასტიკი იზოლაცია სხვადასხვა ვადით. სრ. რუს. ცაკ-ის პრეზიდიუმმა განაჩენი დამტკიცა და დაადგინა — განაჩენი დახვრეტის შესახებ სისრულეში მოყვანილ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ესერების პარტია ხელს არ აიღებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთებულთ ბრძოლისა და ტერორის მეთოდებზე.

როგორც «მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის» პროცესმა ცხადყო 1938 წელს, 1918 წელს ვ. ი. ლენინზე ავაზაკური თავდასხმის მომზადებაში მემარჯვენე და «მემარცხენე» ესერებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე «მემარცხენე კომუნისტები» ბუხარინის მეთაურობით და ტროცკისტები, რომლებმაც კონტრრევოლუციური შეთქმულება მოაწყვეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. — 288.

53 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია ელექტროფიკაციის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობისა, რომელიც

მიმდინარეობდა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 31, გვ. 654). — **286.**

54 «ბ ე დ ნ ო ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი, რკპ(ბ) ც. კ-ის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან. 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს»; ეს უკანასკნელი გამოდის ამჟამადაც. — **290.**

55 «წ ე რ ი ლ ი ვ. მ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს პ ა რ ტ ი ი ს XI ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე პ ო ლ ი ტ მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი ს გ ე გ მ ი ს შ ე ს ა ხ ებ» განხილულ იქნა რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1922 წლის 25 მარტს. ც. კ-ის პლენუმმა დაამტკიცა მოხსენების გეგმა, წარმოდგენილი ლენინის მიერ. — **292.**

56 რ კ პ (ბ) X I ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 27 მარტს — 2 აპრილს. ეს იყო პარტიის უკანასკნელი ყრილობა ლენინის მონაწილეობით. ყრილობას დაესწრო 522 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 165 — სათათბირო ხმით. ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიში; 2) ც. კ-ის ორგანიზაციული ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში; 5) კომუნისტური ინტერნაციონალის ანგარიში; 6) პროფესიული კავშირები; 7) წითელი არმიის შესახებ; 8) ფინანსური პოლიტიკა; 9) პარტიის წმენდის შედეგები და მისი რიგების განმტკიცება; თანამოხსენებები: ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ, პრესისა და პროპაგანდის შესახებ; 10) ც. კ-ისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის არჩევნები.

ლენინმა ყრილობა გახსნა შესავალი სიტყვით, გამოვიდა მოხსენებით რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური მუშაობის შესახებ და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო, აგრეთვე სიტყვით ყრილობის დახურვისას.

ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წელი.

ლენინის წინადადებით რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმზე, რომელიც შესდგა 1922 წლის 3 აპრილს, პარტიის ც. კ-ის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა ი. ბ. სტალინი. — **301.**

57 «მ თ ა ვ ა რ შ ე მ გ ო ნ ებ ე ლ ი» — მეტსახელი, რომელიც ა. თ. კერენსკის შეარქვეს ჯარისკაცებმა 1917 წელს, როცა ის ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნა. — **332.**

58 მსს — მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოება. — **342.**

59 პარტიის პირადი შემადგენლობის შემმოწმებელი ცენტრალური კომისია. შექმნილი რკპ(ბ) ც. კ-ის მიერ 1921 წლის 25 ივნისს პარტიის წმენდის ჩასატარებლად რკპ(ბ) X ყრილობის დადგენილების შესაბამისად. — **359.**

60 ლენინი ამხილებს სპეციალისტების მიმართ აღებულ ანტიპარტიულ ხაზს, რომელსაც ატარებდა ტროცკისტი პრეობრაჟენსკი, რომელიც მაშინ განსახკომის პროფესიული განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. მისი პროვოკაციული პოლიტიკის შედეგად 1922 წლის იანვრის დამლევსა და თებერვლის დამდეგს მოსკოვის უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების ნაწილმა უარი განაცხადა მეცადინეობის განგრძობაზე. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოთხოვა განსახკომს დაეკმაყოფილებინა პროფესურის მთელი რიგი კანონიერი მოთხოვნები. ც. კ-ის კომისიამ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილება პრეობრაჟენსკის გადაყენების შესახებ პროფესიული განათლების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობისაგან და შეიმუშავა ძირითადი დებულებანი უმაღლესი სკოლის შესახებ. — **368.**

61 ი. ბ. სტალინი ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი იყო დღიდან ამ სახკომის შექმნისა მის ლიკვიდაციამდე — 1923 წლის ივლისამდე. 1919 წლის მარტიდან 1922 წლის 25 აპრილამდე ის იყო აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი. — **369.**

62 რკპ(ბ) მ. კ-თან არსებული სადისკუსიო კლუბი მოეწყო 1921 წლის მეორე ნახევარში. ოპოზიციური და ანტიპარტიული ელემენტები ცდილობდნენ გამოეყენებინათ იგი თავიანთი ფრაქციული მიზნებისათვის. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენების მიხედვით 1922 წლის 20 თებერვალს განიხილა სადისკუსიო კლუბის საკითხი და წინადადება მისცა მოსკოვის კომიტეტს გადაესინჯა კლუბის გამგეობის შემადგენლობა და მისი მუშაობა მოეწყო პარტიის ამოცანების შესაბამისად. — **375.**

63 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წერილი «ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის. ამხ. პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 276—282). — **376.**

64 «22-ის განცხადება» — ანტიპარტიული ფრაქციული განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის 22

წევრი; ეს განცხადება მათ შეიტანეს კომინტერნში რკპ(ბ) XI ყრილობის წინადღეს. თავიანთ განცხადებაში, სარგებლობდნენ რა ტროცკისტთა ფარული მხარდაჭერით, ჯგუფის წევრები ცილისმწამებლურად ილაშქრებდნენ პარტიისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა სასტიკად დაგმო ამ ჯგუფის მოქმედება. პარტიის XI ყრილობამ შექმნა სპეციალური კომისია ი. ბ. სტალინის, ფ. ე. ძერჟინსკის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ე. მ. იაროსლავსკისა და სხვათა შემადგენლობით 22-ის საქმის გამოსაკვლევად. კომისიის მოხსენების მიხედვით ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმო «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის წევრთა ანტიპარტიული საქციელი, ჯგუფისა, რომელიც ცდილობდა გაეთიშა პარტია, და გააფრთხილა ამ ჯგუფის ხელმძღვანელნი, რომ ფრაქციული მუშაობის განახლების შემთხვევაში ისინი გარიცხული იქნებიან პარტიიდანო. — 377.

65 იგულისხმება ცკ-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის 1921 წლის 9 აგვისტოს გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც ლენინის წინადადებით ირჩეოდა საკითხი ანტიპარტიული გამოსვლებისათვის ა. შლიაპნიკოვის ცკ-ის შემადგენლობიდან და პარტიიდან გარიცხვის შესახებ. — 377.

66 ა. კოლონტაის ანტიპარტიული ბროშურის კრიტიკა მოცემულია ლენინის მიერ საბოლოო სიტყვაში რკპ(ბ) ცკ-ის ანგარიშის გამო პარტიის X ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 32, გვ. 235 — 249). — 378.

67 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. გამოც. მე-4, ტომი 32. გვ. 643 — 649. — 379.

68 ლენინის წერილში მოცემული წინადადებანი საფუძვლად დაედო პარტიის XI ყრილობის რეზოლუციას «სოფლად მუშაობის შესახებ». ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა აგრეთვე ცკ-თან შექმნას სოფლად მუშაობის მუდმივი კომისია (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 428 — 429). — 384.

69 სტატია «ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა» ლენინმა დაწერა ბუხარინისა და რადეკის კაპიტულანტობის გამო II და II$^{1}/_{2}$ ინტერნაციონალთა ოპორტუნისტი ლიდერების წინაშე სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1922 წლის 2 — 5 აპრილს. — 387.

70 სამხრეთ აფრიკის მუშათა აჯანყება მოხდა 1922 წლის მარტში ქალაქ იოჰანესბურგში, ბენონსა და ბრაკპანში. რეაქციული მთავრობა პრემიერის გენერალ სმეტსის ხელმძღვანელობით სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, გამოიყენა რა ზარბაზნები, ტანკები და აეროპლანები. 14 მარტს აჯანყება ჩაქრეს, დაპატიმრებულთა რიცხვი 10 000 კაცს აღემატებოდა, ათასობით მუშა სამხედრო სამართალში მისცეს. სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში; მრავალი კომუნისტი გმირულად დაიღუპა შეიარაღებულ ბრძოლაში. — 888.

71 პროექტი «დადგენილებისა მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ» ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა ი. ბ. სტალინს აზრის გამოსათქმელად და ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისა და ა. დ. ციურუპასათვის გასაცნობად. ლენინის პასუხი მიღებულ შენიშვნებზე მოადგილეთა მუშაობის შესახებ იხ. «წერილში ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 415 — 418). — 893.

72 მცირე სახკომსაბჭო (მსკს) მოეწყო 1917 წლის დეკემბერში და აღჭურვილი იყო სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით წვრილმანი საკითხებისაგან სახკომსაბჭოს განსატვირთავად. მცირე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებს ამტკიცებდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. — 894.

73 აღნიშნული წიგნი გამოსცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1922 წელს. ლენინის წინადადებათა საფუძველზე წიგნში შეტანილ იქნა შესწორებები. — 408.

74 ვ. ი. ლენინის ბროშურა «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლობელ თემებზე. «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» საკითხისათვის. (1918 წლის ორი სტატია და ერთი სიტყვა)» გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობის მოსკოვის განყოფილებამ 1922 წელს. ბროშურაში შევიდა: «წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის», სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», მოხსენება სრ. რუს. ცაკ-ის სხდომაზე 1918 წლის 29 აპრილს საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ და სტატია ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოცემა-4, ტომი 27, გვ. 275 — 329, 333 — 364, 385 — 425). — 405.

75 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 365 — 374. — **407.**

76 1922 წლის 23 აპრილს ექიმ ს. ბ. ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში ლენინს გაუკეთეს ოპერაცია ერთ-ერთი ტყვიის ამოსაღებად, რომელიც ჩარჩენილი იყო 1918 წ. 30 აგვისტოს მასზე ავაზაკური თავდასხმის შემდეგ. — **415.**

77 რაპალოს ხელშეკრულება — საბჭოთა მთავრობის ხელშეკრულება გერმანიასთან, დადებული 1922 წ. 16 აპრილს გენუის კონფერენციის დროს. ხელშეკრულება ითვალისწინებდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირისა და გერმანიას შორის, სამხედრო ხარჯების ანაზღაურებაზე ურთიერთ უარისთქმას. გერმანიის მთავრობა უარს ამბობდა აგრეთვე ყოფ. გერმანელ მფლობელთათვის იმ საწარმოთა დაბრუნების მოთხოვნაზე, რომელთა ნაციონალიზაციაც მოახდინა საბჭოთა მთავრობამ. — **420.**

78 გადამუშავებული ტექსტი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისა ლენინის წინადადებათა გათვალისწინებით, რომლებიც შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 57, 58, 61 და 70 მუხლებში, განიხილა და დამტკიცა IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის III სესიამ (1922 წ. 12 — 26 მაისი). — **421.**

79 ც. კ-ის პოლიტბიურომ 1922 წ. 25 მაისს განიხილა ლენინის წინადადებანი, წამოყენებული მის მიერ წერილებში ი. ბ. სტალინის სახელზე, და მიიღო გადაწყვეტილება რადიოლაბორატორიის დაფინანსების შესახებ იმ მიზნით, რომ დაეჩქარებინათ ხმამაღლა მოლაპარაკე ტელეფონებისა და რადიომიმღებთა წარმოება. — **424.**

80 წერილი «ორმაგი» დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ. ამხანაგ სტალინს პოლიტბიუროსათვის» ლენინმა დაწერა საპროკურორო ზედამხედველობის დებულების შემუშავებასთან დაკავშირებით. 1922 წ. 24 მაისს ც. კ-ის პოლიტბიურომ განიხილა ლენინის წერილი და მიიღო მისი წინადადება. 26 მაისს IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის III სესიამ კომისიის მოხსენების თანახმად დაამტკიცა დებულება საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ ლენინის წინადადების შესაბამისად. — **427.**

81 პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის V ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 17 — 22 სექტემბერს.

ყრილობას დაესწრო 970 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პროფკავშირებში ორგანიზებულ 5 100 000 მუშას. ყრილობამ ლენინი აირჩია პრეზიდიუმის საპატიო წევრად. ლენინის წერილი წაკითხულ იქნა ყრილობის პირველ სხდომაზე 1922 წლის 17 სექტემბერს. ყრილობამ ლენინს გაუგზავნა საპასუხო მისალმება. — **436.**

32 «ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ» დაწერილია რკპ(ბ) ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ავადმყოფობის გამო ვ. ი. ლენინს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო პლენუმის მუშაობაში. ც. კ-ის პლენუმმა დანიშნა კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების მოსამზადებელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. 1922 წლის 18 დეკემბერს შემდგარმა ც. კ-ის პლენუმმა მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ხელშეკრულების პროექტის შესახებ. ხელშეკრულებაში შეტანილი იყო ლენინის წინადადება მოკავშირე რესპუბლიკათა (რუსეთის სფს რესპუბლიკა, უკრაინის სს რესპუბლიკა, ბელორუსიის სს რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) რიცხვის მიხედვით კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხი თავმჯდომარის არჩევის შესახებ (იხ. ი. ბ. სტალინი თხზულებანი. ტომი 5, 1949, გვ. 437). — **438.**

33 რაკკ-ის სრულიად რუსეთის V ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 11 — 17 ოქტომბერს. ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ. ლენინის მისასალმებელი დეპეშა წაკითხულ იქნა ყრილობის პირველ (საზეიმო) სხდომაზე 11 ოქტომბერს. საპასუხო მისასალმებელ დეპეშაში კომკავშირელები ვალდებულებას კისრულობდნენ ვლადიმერ ილიას-ძის წინაშე, გადავლახავთ მუშათა კლასისა და მისი ახალგაზრდობის გზაზე არსებულ ყველა სიძნელესო, და თხოვდნენ გაეწია მათთვის დახმარება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. — **440.**

34 ეს კაპიტალისტური წინააღმდეგობა, რომელიც ძირს უთხრიდა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიას და ხელს უწყობდა ნეპმანურ და კულაკურ ელემენტებს, ც. კ-ის პლენუმზე გაიყვანეს ბუხარინმა და სოკოლნიკოვმა ზინოვიევისა და კამენევის მხარდაჭერით. ც. კ-ის მემდგომმა, დეკემბრის, პლენუმმა ლენინის მითითებათა საფუძველზე დაადასტურა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევობა (იხ.

ვ. ი. ლენინის წერილი «საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ. ამხანაგ სტალინს ც. კ-ის პლენუმისათვის» ამ ტომში, გვ. 537—542). — **441.**

85 ფინანსთა მუშაკების სრულიად რუსეთის კრი-ლობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 22—28 ოქტომბერს. კრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ. ლენინის წერილი კრილობაზე წაკითხულ იქნა 22 ოქტომბერს. — **446.**

86 საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოება (ამერიკაში) შეიქმნა 1921 წელს. საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ რუსი რევოლუციამდელი ემიგრანტები, კრებდა სახსრებს დამშეულთა დასახმარებლად რუსეთში. საზოგადოება, რომელსაც დევნიდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, ამოცანად ისახავდა აგრეთვე მართალი ინფორმაციის გავრცელებას საბჭოთა რუსეთის შესახებ, წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესის ცრუ, ცილისმწამებლური კამპანიისა. 1922 წლის ზაფხულში საზოგადოებამ რუსეთში გამოგზავნა 21 ტრაქტორი. სატრაქტორო რაზმს, რომელიც პერმის გუბერნიაში მუშაობდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობისათვის მიწის მექანიზებული დამუშავების უპირატესობის საჩვენებლად. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ლენინი ამ სატრაქტორო რაზმის მუშაობას, იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 11. 1950. გვ. 205. — **447.**

87 საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების საზოგადოება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში მოაწყო 1919 წელს რევოლუციამდელი რუსი ემიგრანტების — მუშებისა და ტექნიკოსების ჯგუფმა. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ლენინი ამ საზოგადოების სატრაქტორო რაზმების მუშაობას ტამბოვისა და ოდესის გუბერნიების საბჭოთა მეურნეობებში, იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 11, 1950, გვ. 204—205. — **449.**

88 შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარები 1922 წლის 25 ოქტომბერს შევიდნენ ვლადივოსტოკში და პარტიზანებთან ერთად გაათავისუფლეს იგი თეთრგვარდიელებისა და იაპონელი ოკუპანტებისაგან. ზღვისპირეთის მშრომელებმა ლენინის დეპეშაზე მისასალმებელი და სამადლობელი დეპეშით უპასუხეს საბჭოთა მთავრობას დახმარების აღმოჩენისათვის. — **451.**

89 **«The Observer»** («მეთვალყურე») — ინგლისური კონსერვატიული საკვირაო გაზეთი; გამოდის ლონდონში 1791 წლიდან.

«The Manchester Guardian» (**«მანჩესტერის დარაჯი»**) — ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდის ქ. მანჩესტერში 1821 წლიდან. — **452.**

90 ლაპარაკია ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე. — **454.**

91 იგულისხმება მოლაპარაკება ინგლისელ მსხვილ მრეწველ ურკარტთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ ურალსა და ციმბირში მთამადნეულის დამუშავებაზე. ხელშეკრულების პროექტის განხილვისას ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი დაჟინებით იცავდნენ ურკარტის მიერ წამოყენებული კაბალური პირობების მიღებას. ურკარტთან ხელშეკრულების პროექტი 1922 წლის 6 ოქტომბერს სახკომსაბჭომ უარყო საბჭოთა რუსეთის მიმართ ინგლისის მთავრობის მტრული პოლიტიკისა და ხელშეკრულების კაბალური პირობების გამო. — **457.**

92 IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის IV სესია მიმდინარეობდა 1922 წლის 23 — 31 ოქტომბერს. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა სესიის უკანასკნელ სხდომაზე. — **461.**

93 **«პეტროგრადსკაია პრავდა»** — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1918 წლის 2 აპრილიდან. თავდაპირველად იყო რკპ(ბ) ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტთა ორგანო. იმავე წლის ივნისიდან გაზეთი გახდა რკპ(ბ) ცენტრალური, ჩრდილოეთის საოლქო და საქალაქო კომიტეტთა, ხოლო შემდეგ პარტიის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტთა ორგანო. 1924 წლის იანვარში დაერქვა **«ლენინგრადსკაია პრავდა»**. — **469.**

94 კომუნისტ-ოოპერატორთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 1 — 6 ნოემბერს. კონფერენციას დაესწრნენ საბჭოთა რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, ფინეთის, ავსტრიის, ბულგარეთის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, პოლონეთის, ესტონეთის, ლიტვის, უკრაინის, სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკისა და ავსტრალიის წარმომადგენლები. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია კოოპერაციულ მოძრაობაში კომუნისტთა ტაქტიკის საკითხზე. რეზოლუცია კომუნისტების წინაშე აყენებდა კოოპერატივთა ნეიტრალობასთან ბრძოლის ამოცანებს და განსაზღვრავდა კოოპერატივთა როლს პროლეტარიატის ზოგადი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების განხორციელებაში. კონფერენციამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და გაუგზავნა

მას მისასალმებელი დეპეშა. ლენინის საპასუხო მისასალმებელი დეპეშა წაკითხულ იქნა 1922 წლის 2 ნოემბერს. — **471.**

95 სტატისტიკოსთა სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 3—12 ნოემბერს. ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და გაუგზავნა მას მისასალმებელი დეპეშა. ლენინის საპასუხო დეპეშა წაკითხულ იქნა ყრილობის მეორე სხდომაზე 5 ნოემბერს. — **472.**

96 მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშა და გლეხ-ქალთა უპარტიო კონფერენცია შესდგა 1922 წლის 6 ნოემბერს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 2 000 დელეგატმა ქალმა. ლენინის მისასალმებელი წერილი გადაეცა კონფერენციაზე არჩეულ დელეგატ-ქალებს, რომლებიც მასთან მივიდნენ თხოვნით — წარმოეთქვა სიტყვა კონფერენციაზე. — **485.**

97 ლენინის მისასალმებელი წერილი ქარხნის მუშების მიმართ დაწერილია პასუხად მიპატიჟებისა — **წარმოეთქვა სიტყვა ოქტომბრის** სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებაზე. შემდეგში ყოფ. მიხელსონის ქარხანას დაერქვა ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანა. — **486.**

98 ლენინის მისასალმებელი წერილი სახელმწიფო ელსადგურის **«ელექტროპერედაჩას»** (ამჟამად რ. ე. კლასონის — ამ სადგურის **ამშენებელ ინჟინრის სახელობისა)** მუშა-მოსამსახურეთა მიმართ **დაწერილია** პასუხად მიპატიჟებისა — **წარმოეთქვა სიტყვა კლუბის** გახსნაზე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი **წლისთავის** დღისათვის. — **487.**

99 ლენინის წერილი «სტოდოლის მაუდის ფაბრიკის მუშებს კლინცში» **დაწერილია** პასუხად ფაბრიკის **მუშების** მისალმებისა 1922 წლის 3 ნოემბერს ფაბრიკისათვის ლენინის **სახელის** მიკუთვნებასთან დაკავშირებით. ფაბრიკის მუშების **წარმომადგენლებ**მა ადრესთან ერთად ლენინს **საჩუქრად** მიართვეს თავიანთი ფაბრიკის ნაწარმი მაუდის ნაჭერი. — **488.**

100 კომუნისტური ინტერნაციონალის IV **კონგრესი** მიმდინარეობდა 1922 **წლის 5 ნოემბერს — 5 დეკემბერს.** კონგრესი გაიხსნა პეტროგრადში, **კონგრესის** შემდგომი სხდომები 1922 **წლის** 9 ნოემბრიდან მიმდინარეობდა **მოსკოვში. კონგრესს** დაესწრო 408 დელეგატი, **მათგან 343** გადამწყვეტი ხმით, **რომლებიც**

წარმოადგენდნენ სხვადასხვა ქვეყნის 58 კომუნისტურ ორგანიზაციას. გარდა ამისა, ესწრებოდნენ იტალიის სოციალისტური პარტიის, ისლანდიის მუშათა პარტიისა და ბონდოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის, პროფინტერნის, ქალთა საერთაშორისო სამდივნოს, მუშათა საერთაშორისო დახმარების («რემდასი») და ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. კონგრესმა მიიღო რკპ(ბ) მიერ შემუშავებული თეზისები მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ, დაამტკიცა თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის შესახებ, პროფესიულ მოძრაობაში კომუნისტთა ამოცანების შესახებ, აღმოსავლეთის საკითხზე, მიიღო რეზოლუციები რუსეთის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ და სხვ.

ლენინის მოხსენება «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები», რომელიც მან წაიკითხა გერმანულ ენაზე, მოსმენილ იქნა 13 ნოემბერს კონგრესის დილის სხდომაზე. — **489.**

101 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 385 — 425). — **493.**

102 სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის დადგენილებით უნდა გახსნილიყო 1922 წლის შემოდგომაზე. გამოფენის მოწყობისა და მოუსავლობის შედეგთა ლიკვიდაციის სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო მისი გახსნა გადადებულ იქნა 1923 წლისათვის. გამოფენა გაიხსნა 1923 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში და ეწოდა «სსრ კავშირის პირველი სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველური გამოფენა». — **512.**

103 ჯგუფი «Clarté» («სინათლე») — ლიტერატორთა ჯგუფი ანრი ბარბიუსის მეთაურობით, რომელმაც (ჯგუფმა) დააარსა საფრანგეთში «ომის ყოფილ მონაწილეთა რესპუბლიკური გაერთიანება». ჯგუფი სცემდა იმავე სახელწოდების ჟურნალს (გამოდიოდა დროგამოშვებით 1919-დან 1928 წლამდე პარიზში). ჯგუფში შედიოდნენ უდიდესი მწერლები — ა. ფრანსი, ვიან კუტურიე, ს. ცვაიგი, ჰ. უელსი და სხვანი. — **513.**

104 ლენინმა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე, რომლის სხდომები იმართებოდა მოსკოვის ყველა რაიონული საბჭოს პლენუმებთან ერთად,

სიტყვა წარმოთქვა 1922 წლის 20 ნოემბერს საღამოს. ეს იყო ლენინის უკანასკნელი გამოსვლა. — **514.**

105 ლენინს მხედველობაში აქვს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრების 1922 წლის 14 ნოემბრის დადგენილება შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის რუსეთის სფს რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ, რის შესახებაც ცნობა გამოქვეყნდა გაზეთებში 1922 წლის 15 ნოემბერს. — **515.**

106 საბჭოთა მუშაკების პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 16 — 21 ნოემბერს. ლენინი ყრილობის საპატიო დელეგატად აირჩია საბჭოთა მუშაკების კავშირის ტვერის VI საგუბერნიო ყრილობამ საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას. — **525.**

107 განათლების მუშაკთა კავშირის სრულიად რუსეთის IV ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 21 — 26 ნოემბერს. ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას. ლენინის საპასუხო წერილი წაკითხულ იქნა ყრილობის დილის სხდომაზე 1922 წლის 26 ნოემბერს. — **526.**

108 ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 4 — 16 დეკემბერს. კონგრესს დაესწრო 121 დელეგატი სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის 38 ორგანიზაციისაგან. ლენინის მისასალმებელი წერილი წაკითხულ იქნა კონგრესის გახსნის დღეს. ყრილობამ საპასუხო წერილი გაუგზავნა ლენინს. — **527.**

109 ჰაგის საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესი, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 10 — 15 დეკემბერს, მოიწვია პროფესიულ კავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალმა მუშათა მასების ზეგავლენით ახალი მსოფლიო ომის საშიშროებასთან ბრძოლის მიზნით. საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც მიწვეული იყო კონგრესზე რევოლუციური მუშათა პროფკავშირებისა და კოოპერატივების მოთხოვნით, მიუხედავად კონგრესის ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგობისა, პროლეტარიატის ამოცანები ომის მიმართ განმარტა ლენინის დირექტივის მიხედვით. კონგრესმა უარყო საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი სამოქმედო პროგრამა. — **528.**

110 სტატია «რამდენიმე სიტყვა ნ. ე. ფედოსეევის შესახებ» ლენინმა დაწერა პარტიის თხოვნით სპეციალური კრებულისათვის, რომელიც მიეძღვნა ნ. ე. ფედოსეევის რევოლუციურ მოღვაწეობას (1871 — 1898). ნ. ე. ფედოსეევმა დაწერა მთელი რიგი მარქსისტული ნაწარმოებები, რომლებიც მიმართული იყო ნაროდნიკების წინააღმდეგ და პირველ რიგში ნ. კ. მიხაილოვსკის წინააღმდეგ (იხ. ნ. ე. ფედოსეევის წერილები ნ. კ. მიხაილოვსკის მიმართ ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1, 1933, გვ. 178 — 233). ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ნ. ე. ფედოსეევთან, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ლენინი თავის სტატიაში, ნახული არ არის. — **534.**

111 ლენინი ვლადიმირში იყო 1893 წლის აგვისტოს დამლევს. — **535.**

112 საბჭოების სრულიად უკრაინის VII ყრილობა მიმდინარეობდა ხარკოვში 1922 წლის 10 — 14 დეკემბერს. ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო მ. ვ. ფრუნზეს მოხსენების მიხედვით მიღებული დადგენილება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების შესახებ. ლენინის დეპეშა წაკითხულ იქნა 10 დეკემბერს ყრილობის გახსნის დღეს. ყრილობამ სრ. უკრაინის ცაკ-ის საპატიო თავმჯდომარედ აირჩია ლენინი და გაუგზავნა მას საპასუხო მისასალმებელი დეპეშა. — **536.**

113 ვ. ი. ლენინის წერილი «საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ» განკუთვნილი იყო 1922 წლის 18 დეკემბრისათვის დანიშნული რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმისათვის, რომლის მუშაობაში ლენინმა ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო. ც. კ-ის პლენუმმა, ამხილა რა ბუხარინისა და სოკოლნიკოვის კაპიტულანტური პოზიცია, დაადასტურა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნების აუცილებლობა და დაუშვებლად ცნო რაიმე გადახვევა ცალკეული კატეგორიის საქონლის შემოტანა-გატანის მხრივ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გარეშე. პარტიის XII ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1923 წლის 17 — 25 აპრილს და რომლის მუშაობაშიც ვ. ი. ლენინმა ავადმყოფობის გამო აგრეთვე ვერ მიიღო მონაწილეობა, უარყო კაპიტულანტების ზრახვები ძირი გამოეთხარათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობისათვის და ამ საკითხზე შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: «ყრილობა კატეგორიულად ადასტურებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობას და მისი რაიმე გვერდის ავლის ან მისი გატარებისას მერყეობის შეუწყნარებლობას და ავალებს ახალ ც. კ-ს მიიღოს სისტემატური ზომები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის რეჟიმის განმტკიცებისა და განვითარებისათვის»

(იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 472). — 537.

114 საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა, რომელშიც ლენინს ავადმყოფობის გამო არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო, მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 23 — 27 დეკემბერს. ყრილობას დაესწრო 2 215 დელეგატი, მათ რიცხვში 488 დელეგატი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისაგან, უკრაინის სს რესპუბლიკისაგან და ბელორუსიის სს რესპუბლიკისაგან. საბჭოების X ყრილობამ მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 160 — 171), მიიღო მის მიერ წარდგენილი პროექტი დადგენილებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და დამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობაზე გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა.

სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობა შესდგა 1922 წლის 30 დეკემბერს. ამ ყრილობას ლენინი არ დასწრებია ავადმყოფობის გამო; ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას. ყრილობაზე ლენინისა და სტალინის წინადადებით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მოისმინა რა ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 172 — 175), ყრილობამ ერთხმად მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ; ყრილობამ სსრ კავშირის ცაკ-ის მორიგ სესიას დაავალა მოემზადებინა დეკლარაციისა და საკავშირო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობისათვის. — 543.

115 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია ««ემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 27, გვ. 385 — 425). — 557.

116 ლენინს აქ, ცხადია, მხედველობაში აქვს კ. მარქსის სიტყვები მის ნაშრომში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» და წერილში კუგელმანისადმი 1871 წლის 12 აპრილის თარიღით (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 600 — 601; ტ. II, 1950, გვ. 560 — 561). — 562.

117 იხ. კ. მარქსის წერილი ფ. ენგელსისადმი 1856 წლის 16 აპრილის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 86 — 87). — **563.**

118 სტატია «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია» და სტატია «უმჯობესია ცოტა და კარგი», რომელიც წარმოადგენს მის გაგრძელებას, ლენინმა დაწერა პარტიის XII ყრილობისათვის.

რკპ(ბ) XII ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1923 წლის 17 — 25 აპრილს, თავის გადაწყვეტილებებში გაითვალისწინა ლენინის ყველა მითითება, მოცემული მის უკანასკნელ სტატიებსა და წერილებში. ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია «მუშგლეხინისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ამოცანების შესახებ», აგრეთვე გადაწყვეტილება ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობის გაერთიანების შესახებ (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 498 — 501, 502). — **568.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1921* წლის აგვისტო—*1924* წლის იანვარი)

1921

აგვისტო, 16 და სექტემბერი, 1.	ლენინი წერილებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი იძლევა მითითებებს მიმდინარე სამრეწველო და სამიწათმოქმედო სტატისტიკის დაყენების შესახებ.
აგვისტო, 20.	ლენინი წერს სტატიას «ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით».
აგვისტო, 31.	ლენინი მითითებებს აძლევს ჰიდროტორფის კომისიას შეამოწმოს ტორფის საქარხნო წესით გაშრობის გამოგონება.
აგვისტო — სექტემბერი.	ლენინი ხელმძღვანელობს ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობის მომზადების საქმეს.
აგვისტო — დეკემბერი.	ლენინი განკარგულებას აძლევს სმუს-ს, გზათა სახკომს, ფინსახკომს, სურსათის სახკომს და სხვა სახკომებს უზრუნველყონ კაშირისა და ვოლხოვის ელსადგურთა მშენებლობა მუშახელით და ყოველგვარი აუცილებელი მასალით.
სექტემბერი, 1.	ლენინი სწერს წერილს გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას სახალხო მეურნეობის საკითხთა გაშუქების დარგში გაზეთის ძირითადი ამოცანების შესახებ.
სექტემბერი, 3.	ლენინი წერილში იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიმართ მითითებებს აძლევს მას საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
სექტემბერი, 5.	ლენინი წერილში რკპ(ბ) ც. კ-ის სტატისტიკური განყოფილების მიმართ მითითებებს .იძლევა საბჭოთა აპარატში მომუშავე პარტიული ხელმძღვანელი კადრების განაწილების აღრიცხვის დაყენების შესახებ.

სექტემბერი, 15. ლენინს რკპ(ბ) ც. კ-ში შეაქვს პროექტი ცირკულარისა პარტიის წმენდასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიცემის წესის შესახებ.

სექტემბერი, 19. ლენინი ესაუბრება ამერიკელი მუშების წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთში ჩამოვიდნენ საწარმოოტექნიკური დახმარების გასაწევად; სწერს წერილს რკპ(ბ) ც. კ-ის მდივანს ვ. ვ. კუიბიშევს მათთვის კუზბასში საწარმოო კოლონიის მოწყობის შესახებ.

სექტემბერი, 20. ლენინი წერს სტატიას «პარტიის წმენდის შესახებ».

სექტემბერი, 27. ლენინი წერს წერილს «მუშაგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის».

სექტემბერი, 30. ლენინი თავმჯდომარეობს რკინიგზის ტრანსპორტის სათბობით მომარაგების საკითხზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის სხდომას.

ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: 1921/22 წლისათვის პურის რესურსების განაწილების გეგმის შესახებ; დონეცის ქვანახშირის, ბაქოსა და გროზნის ნავთობის მრეწველობის აღდგენისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ; მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა მეურნეობებში მელიორაციულ სამუშაოთა შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სასურსათო გადასახადის აკრეფის ღონისძიებათა შემუშავების შესახებ; მიმოქცევაში ახალი მანეთის შემოღების წესისა და ვადის შესახებ; რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 8. ლენინი მისასალმებელ წერილს სწერს «ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობის პრეზიდიუმს».

ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმს, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ფინანსური პოლიტიკის შესახებ; საქონელცვლისა და კოოპერაციის შესახებ; პარტიის წმენდის შესახებ; პასუხისმგებელ მუშაკთა აღრიცხვისა და მათი განაწილების

შესახებ, — შეაქვს წინადადების პროექტი; განსახ-კომის შესახებ; კომინტერნის შესახებ; საგარეო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი წერს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექ-ტივებს უკრაინაში ქარხნებისათვის შაქრის ჭარხლის დასათესად მიწების გამოყოფის საკითხზე.

ოქტომბერი, 14. ლენინი წერს სტატიას «ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის».

ოქტომბერი, 17. ლენინი პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე გამოდის მოხსენებით თემაზე: «ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამო-ცანები».

ლენინი მითითებებს აძლევს ფინსახკომს ფულის რე-ფორმის ჩატარებისათვის მომზადების შესახებ.

ოქტომბერი, 21. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: «შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის დიაგრამების ატლასის» პროექტის შესახებ, რომელიც გამოხატავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სხვ. სტატისტიკურ მონაცემებს, — შეტანილია ლენინის მიერ, აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკისა-თვის მუღანში მელიორაციულ სამუშაოთა ჩასატა-რებლად სუსხის მიცემის შესახებ; მურმანსკისა და პეტროგრადის ნავსადგურების შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 22. ლენინი ესწრება ელექტროგუთნის გამოცდას მოსკო-ვის უმაღლესი ზოოტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (ბუტირის ხუტორი).

ოქტომბერი, 24. ვ. ი. ლენინი სწერს ჯანმრთელობის სახალხო კომი-სარს ნ. ა. სემაშკოს სადირექტივო წერილს ბინების გაჯანსაღების კვირის ჩატარების წესების შესახებ და მოითხოვს მოსკოვში მიღწეულ იქნას სანიმუშო სისუფთავე.

ოქტომბერი, 29. ლენინი მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიულ კონ-ფერენციაზე გამოდის მოხსენებით «ახალი ეკონომიუ-რი პოლიტიკის შესახებ» და წარმოთქვამს საბოლო-სიტყვას.

ნოემბერი, 3. ლენინი დავალებას აძლევს მცირე სახკომსაბჭოს სასწრაფოდ განიხილოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან შეთანხმების პროექტი.

ნოემბერი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სახელმწიფო საგეგმო კომისიის რუსეთის დარაიონების სექციის მუშაობის შესახებ; ვოლხოვმშენისათვის ტურბინების შეკვეთის შესახებ; კარსკის ექსპედიციის შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 5. ლენინი წერს სტატიას «ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ».

ლენინი იღებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას.

ნოემბერი, 6. ლენინი წარმოთქვამს სიტყვას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ პროხოროვის მანუფაქტურის მუშათა კრებაზე.

ნოემბერი, 7. ლენინი წარმოთქვამს სიტყვას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე.

ლენინი წარმოთქვამს სიტყვას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ «ელექტროსილას» (ყოფ. «დინამოს») № 3 ქარხნის მუშათა კრებაზე.

ნოემბერი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ; სატარიფო პოლიტიკის შესახებ და სხვ.

ლენინი იღებს ვ. პიკსა და ფ. გეკერტს და ესაუბრება მათ გერმანიის კომუნისტურ პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ნოემბერი, 16. ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისა: «ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხისათვის».

არა უადრეს 17 ნოემბრისა. ლენინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს აზერბაიჯანის სახელმწიფო ბანკის გახსნასთან დაკავშირებით.

ნოემბერი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: 1922 წლის ფინანსური გეგმისა და ემისიის გეგმის შესახებ, — შეაქვს დამატებანი დადგენილების პროექტში; ახალი ეკონომიური პოლიტიკის სფეროში კანონმდებლობის სისტემატიზაციის კომისიის შემადგენლობის შესახებ და სხვ.

ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: კაშირის ელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ; სურსათის სარეზერვო ფონდის შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 22. ვ. ი. ლენინი მიწერ-მოწერას მართავს ი. ბ. სტალინთან ოჯარით გაცემულ საწარმოებში მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან და ქურდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ნოემბერი, 23. ლენინი მითითებას აძლევს სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამუშაოს ივანოვო-ვოზნესენსკის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ამუშავების დაჩქარების საკითხი.

ნოემბერი, 25. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამთამადნო და ოქრო-პლატინის მრეწველობის შესახებ; ნავთობის მრეწველობის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ; ურალისა და ციმბირის მაღაროებში მუშაობის გაძლიერების შესახებ; მოსკოვის მიდამოების აუზის სამთამადნო მეშების მომარაგების შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 28. ვ. ი. ლენინი წერს და ი. ბ. სტალინს უგზავნის «ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის წინადადების პროექტს». ვ. ი. ლენინის წინადადებას მის მიერ იმ შესწორების მიღებით, რომელიც

ი. ბ. სტალინმა შეიტანა, ამტკიცებს რკპ(ბ) ც. კ. 29 ნოემბერს.

ნოემბერი, 28 და 30. ლენინი ადგენს დირექტივის პროექტს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა მუშაობის შესახებ.

ნოემბერი, 29. ლენინი წარმოთქვამს სიტყვას მოსკოვის 1 საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე.

ნოემბერი, 30. ლენინი ხელს აწერს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას ტყის გაშენების, ქვეშრობებისა და ხეების გამაგრების და თოვლის შემაკავებელი ზოლების შექმნის უზრუნველსაყოფად ხის თესლთა ფონდის მოწყობის შესახებ.

დეკემბერი, 5. ლენინი სწერს წერილს ამერიკელ ამხანაგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი წიგნის გამოცემის გამო: «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეეროებულ შტატებში» და თხოვს გამოუგზავნონ მას მოსახლეობის აღწერის 1920 წლის ოფიციალური გამოცემანი.

დეკემბერი, 6. ვ. ი. ლენინი წერილში ა. მ. გორკისადმი თხოვს მას მიმართოს ბერნარდ შოუს და უელსს მოწოდებით — მიიღონ მონაწილეობა რუსეთის დამშეულთათვის დახმარების მოწყობის საქმეში.

ლენინი წერს შენიშვნებს კომინტერნის თეზისებისათვის ერთიანი ფრონტის შესახებ.

ლენინი შვებულებას იღებს ავადმყოფობის გამო და გადადის გორკაში მოსკოვის ახლოს.

დეკემბერი, 11. ლენინი წერს სტატიას «საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თეზისების შესახებ აგრარული საკითხის გამო».

დეკემბერი, 16. ლენინი ავალებს გაესახკომს შექმნას კომისია რუსეთში კინოსაქმის მოწყობის საკითხის დასამუშავებლად.

დეკემბერი, 17.	ლენინი იწყებს მთავრობის მუშაობის ანგარიშის მომზადებას საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობისათვის, მოითხოვს სახალხო კომისარიატებისაგან საჭირო ცნობებს.
დეკემბერი, 19.	ლენინი სწერს «წერილს პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წმენდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ».
დეკემბერი, 22.	ლენინს წინადადება შეაქვს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიურში საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის სპეციალური რეზოლუციის მომზადების შესახებ.
დეკემბერი, 23.	ლენინი გამოდის საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ანგარიშით «რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ».
დეკემბერი, 25 — 27.	ლენინი წერს «განაწესს სამეურნეო მუშაობის საკითხებზე», რომელსაც იღებს საბჭოების სრულიად რუსეთის IX. ყრილობა 1921 წლის 28 დეკემბერს.
დეკემბერი, 26.	ლენინი მონაწილეობას იღებს საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის უპარტიო დელეგატთა თათბირში, აწარმოებს დელეგატთა გამოსვლების ჩაწერას და უპასუხებს დელეგატების შეკითხვებზე.
დეკემბერი, 27.	ლენინი სწერს წერილს რკპ(ბ) ც. კ-ს «ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ».
დეკემბერი, 28.	ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.
დეკემბერი, 30 — 1922 წლის იანვარი, 4.	ლენინი წერს რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებას პროექტს «ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ». პროექტი მიღებულია ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის 12 იანვარს.
დეკემბერი, 31.	ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ც. კ-ის პოლიტბიუროს გამოაქვს გადაწყვეტილება მიეცეს ლენინს ექვსი კვირის შვებულება 1922 წლის 1 იანვრიდან.

1921 წლის დეკემბერი — 1922 წლის იანვარი. ლენინი რამდენჯერმე მიემგზავრება დასასვენებლად სოფელ კოსტინოში მოსკოვის **ახლოს** (ამჟამად ქ. კოსტინო).

1922

იანვარი, 8. ლენინი დავალებას აძლევს · სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს დაადგინოს სახელმწიფო მომარაგებისაგან მოხსნილ საწარმოთა და დაწესებულებათა ანგარიშგებისა და ბალანსების წარმოდგენის წესი, დააწესოს სახელმწიფო ბანკის წინაშე ყველა სავაჭრო საწარმოს ანგარიშგება.

9 და 12 იანვარს შუა. ლენინი წერს «რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივის პროექტს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ».

იანვარი, 12. ვ. ი. ლენინი მიწერ-მოწერას მართავს ი. ბ. სტალინთან რკპ(ბ) ც. კ-ის ცირკულარის პროექტის გამო — ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ნაციონალური პოლიტიკის სფეროში თურქესტანის კომუნისტთა ამოცანების შესახებ.

ლენინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის «დაღისტნის მშრომელებს».

იანვარი, 17. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ.

იანვარი, 19. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს და წინადადებას იძლევა რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მიიღოს გადაწყვეტილება საზღვარგარეთ 15 მილიონი ფუთი ხორბლის შესყიდვის შესახებ.

იანვარი, 20. ლენინი დავალებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს საჩქაროდ დაუგზავნოს **ყველა** **სახალხო**

	კომისარს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივები ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.
	ვ. ი. ლენინი წინადადებას იძლევა სახალხო კომისარიატთა მუშაობის კონტროლი დაეკისროს ი. ბ. სტალინს.
იანვარი, 24, თებერვალი, 15, 20, 21 და 27.	ვ. ი. ლენინი წერილებში ა. დ. ციურუპას მიმართ დირექტივებს იძლევა სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის ახლებურად დაყენების შესახებ.
იანვარი, 27.	ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის და წინადადებას იძლევა გაემგზავროს მ. ი. კალინინი უკრაინაში დამშეულთა დასახმარებლად სურსათის შესაგროვებლად.
	ლენინს IX. მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის საგანგებო სესია ნიშნავს გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარედ.
იანვარი — მარტი.	ლენინი ამზადებს და ამუშავებს ძირითად დირექტივებს გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგაციისათვის.
თებერვალი, 2.	რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს გამოაქვს გადაწყვეტილება გაუგრძელდეს ლენინს შვებულება პარტიის XI ყრილობამდე.
თებერვალი, 18.	ლენინი სწერს «წერილს ამხ. ორჯონიკიძეს საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ».
თებერვალი, 15, 18, 22 და 28.	ვ. ი. ლენინი წერილებში ფინსახკომის, ა. დ. ციურუპას და სახელმწიფო ბანკის მიმართ იძლევა მითითებებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო ბანკის ამოცანების შესახებ.
თებერვალი, 20 და 28.	ვ. ი. ლენინი წერილებში დ. ი. კურსკის მიმართ იძლევა მითითებებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობისა და სამოქალაქო კოდექსის შემუშავების შესახებ.
თებერვალი, 22.	ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის **სამოქალაქო** კოდექსის შემუშავების **საკითხზე**.

თებერვალი, 28. ვ. ი. ლენინი სწერს ბარათს ი. ბ. სტალინს, რომ საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში შემუშავდეს პროექტი დადგენილებისა კერძო გაერთიანებებსა და საწარმოებზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის კონტროლის შესახებ.

თებერვლის დამლევი. ლენინი წერს სტატიას: «პუბლიცისტის შენიშვნები. მაღალ მთებზე ასვლისა, სასოწარკვეთილების მავნებლობისა, ვაჭრობის სარგებლობისა, მენშევიკებისადმი დამოკიდებულებისა და სხვ. შესახებ».

მარტი, 1. ლენინი წერილში «ცენტროსოიუზის» მიმართ იძლევა დირექტივებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში კოოპერაციის ამოცანების შესახებ.

მარტი, 8. ლენინი წერილში რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრების მიმართ წინადადებას იძლევა უარყონ სოკოლნიკოვის წინადადება საზღვარგარეთიდან სურსათის თავისუფლად შემოტანის შესახებ და მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განსამტკიცებლად, აგრეთვე საზღვარგარეთ კონსერვების შესყიდვის საქმის გაჭიანურების გამოძიებას.

ვ. ი. ლენინი სწერს წერილებს ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის, სადაც აკრიტიკებს სოკოლნიკოვის თეზისებს პარტიის XI ყრილობისათვის ფინანსური პროგრამის ძირითად დებულებათა შესახებ და წინადადებას იძლევა მიიღონ თეზისები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცების შესახებ.

მარტი, 6. ლენინი მელითონეთა სრულიად რუსეთის V ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე წარმოთქვამს სიტყვას «საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ».

მარტი, 10. ლენინი დავალებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს მიიღოს ზომები მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენიან სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბ-

ლიოთეკის) მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

მარტი, 12. ლენინი ჟურნალისათვის «პოდ ზნამენემ მარქსიზმა» წერს სტატიას «მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ».

მარტი, 16. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის, რომელშიც აკრიტიკებს პრეობრაჟენსკის თეზისებს სოფლად მუშაობის შესახებ' და წინადადებას იძლევა უარყონ ისინი; წინადადებას იძლევა მოიწვიონ პარტიის XI ყრილობის დელეგატთა თათბირი სოფლად მუშაობის გამოცდილების შესასწავლად.

ლენინი მითითებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სახკომსაბჭოს წარმოუდგინოს სტატისტიკური მონაცემები შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

მარტი, 17. ლენინი წერს პროექტს წერილისას ე. ვანდერველდეს მიმართ პასუხად II და II$^1/_2$ ინტერნაციონალთა ლიდერების ცდისა — ჩაერიონ მემარჯვენე ესერების სასამართლო პროცესში.

ლენინი მითითებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს უზრუნველყოს მისი დირექტივების განხორციელება ფოტო-კინოს და რადიოტელეფონის მშენებლობის განვითარების საქმეში.

მარტი, 18. ვ. ი. ლენინი წერს წინასიტყვაობას ი. ი. სტეპანოვის წიგნისათვის «რუსეთის სფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით».

მარტი, 21. ვ. ი. ლენინი სწერს «წერილს ი. ბ. სტალინს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ».

მარტი, 28. ვ. ი. ლენინი წერილში ვ. მ. მოლოტოვის სახელზე თხოვს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმს ავადმყოფობის გამო გაათავისუფლოს ის ც. კ-ის პლენუმში მონაწილეობი-

საგან და გადმოსცემს პარტიის XI ყრილობაზე რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური მოხსენების გეგმას.

ლენინი მისასალმებელ წერილს სწერს გაზეთ «ბედნოტას» მისი ოთხი წლის იუბილეს გამო.

მარტი, 24. ვ. ი. ლენინს ვ. მ. მოლოტოვის სახელზე გაგზავნილ წერილში რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის განსახილველად შეაქვს წინადადება პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების საკითხზე.

მარტი, 26. ვ. ი. ლენინი მეორე წერილს უგზავნის ვ. მ. მოლოტოვს პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ და თხოვს წასაკითხად გადასცეს იგი რკპ(ბ) ც. კ-ის ყველა წევრს.

მარტი, 31. ვ. ი. ლენინი იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის სწერს წერილს გამოგონებათა კომიტეტში საქმის გაჭიანურების შესახებ.

მარტი, 27 — აპრილი, 2. ლენინი ხელმძღვანელობს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის მუშაობას.

მარტი, 27. ყრილობის გახსნისას ლენინი წარმოთქვამს სიტყვას და გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით.

მარტი, 28. ლენინი ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის გამო.

აპრილი, 1. ლენინი წერს დირექტივებს XI ყრილობის სოფლის მეურნეობის სექციისათვის ყრილობის რეზოლუციის პროექტის შესადგენად სოფლად მუშაობის შესახებ.

აპრილი, 2. ყრილობაზე ლენინს ირჩევენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად. ყრილობის დახურვისას ლენინი გამოდის სიტყვით.

აპრილი, 3. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.

ვ. ი. ლენინის წინადადებით რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ც. კ-ის გენერალურ მდივნად.

ვ. ი. ლენინს, რკპ(ბ) ც. კ-ის გენერალურ მდივნად ი. ბ. სტალინის არჩევასთან დაკავშირებით, შეაქვს წინადადება ც. კ-ის სამდივნოს მუშაობისა და ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის შესახებ.

აპრილი, 6. — ვ. ი. ლენინი გ. მ. კრჟიჟანოვსკის სწერს სადირექტივო წერილს, რომ აუცილებელია ენერგიულად მოჰკიდონ ხელი კურსკის რკინის მადნის ბუდობების დამუშავების საქმეს.

აპრილი, 6 და 10. — ვ. ი. ლენინი წერილებში ვ. ვ. ადორატსკის სახელზე მითითებებს აძლევს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული წერილების გამოცემის შესახებ.

აპრილი, 9. — ლენინი წერს სტატიას «ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა».

აპრილი, 11. — ლენინი წერს პროექტს «დადგენილებისა მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ».

აპრილი, 12. — ლენინი სწერს წერილს გაზეთების «პრავდისა» და «იზვესტიის» რედაქციებს, რომელშიც მითითებებს იძლევა ხელი მოჰკიდონ ადგილობრივი გამოცდილების შესწავლას და ადგილობრივ მიღწევათა და ადგილობრივ მუშაკთა პოპულარიზაციას.

აპრილი, 15. — ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროსათვის წიგნის გამო: «მასალები საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისა 1910 — 1914 წლების მანძილზე».

აპრილი, 25. — ექიმ ს. პ. ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში ლენინს უკეთებენ ოპერაციას ტყვიის ამოსაღებად.

აპრილი, 28. — ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისათვის «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლობელ თემებზე. წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის».

ლენინი დეპეშას უგზავნის აზნაურთის მუშებსა და ინჟინრებს ბაქოში და მადლობას უცხადებს სურახანის ნავთობის სარეწებში ხანძრის ლოკალიზაციის საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის.

მაისი, 2. ლენინი წერს სტატიას ««პრავდის» ათი წლის იუბილესათვის».

ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის, აგრეთვე ფინსახკომსა და სახკომსაბჭოს ფინანსების განმტკიცების აუცილებლობის შესახებ.

მაისი, 5. ვ. ი. ლენინი სწერს «წერილს ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის. პასუხი შენიშვნებზე მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ».

მაისი, 15. ლენინი ეცნობა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტს და შეაქვს წინადადება მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დახვრეტის გამოყენების გაფართოების შესახებ.

მაისი, 15 თუ 16. ლენინი წერს «სრ. რუს. ცაკ-ის დადგენილების პროექტს გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო».

მაისი, 16. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.

მაისი, 17. ვ. ი. ლენინი წერს და იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის უგზავნის სისხლის სამართლის კოდექსის დამატებითი პარაგრაფის მონასახს კონტრრევოლუციური პარტიების მიმართ ტერორის გამოყენების საკითხზე.

ლენინი სწერს წერილს განათლების სახალხო კომისარს წიგნების გაიაფების აუცილებლობის შესახებ, რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდნენ ფართო მასებისათვის.

მაისი, 19. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების საკითხზე.

მაისი, 20 — ოქტომბერი, 1.	ლენინი ცხოვრობს გორკაში მოსკოვის ახლოს.
მაისი, 20.	ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროსათვის ««ორმაგი» დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ».
მაისი, 26.	ლენინის ავადმყოფობის პირველი შეტევა.
ივნისის შუა რიცხვები.	ლენინის ჯანმრთელობა ოდნავ უმჯობესდება.
ივლისი, 11.	ი. ბ. სტალინი ნახულობს ვ. ი. ლენინს გორკაში.
ივლისი, 12.	ლენინი გორკიდან ატყობინებს სახკომსაბჭოს სამდივნოს თავის გამოჯანმრთელებას და თხოვს მიაწოდონ მას წიგნები.
აგვისტო, 5.	ვ. ი. ლენინი ხვდება ი. ბ. სტალინს გორკაში; ავალებს მადლობა გადასცეს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის XII კონფერენციას მისი მოსალმების გამო და გამოთქვამს იმედს, რომ უახლოეს დროში კელავ დაუბრუნდება სამუშაოს.
აგვისტო, 30.	ვ. ი. ლენინი ხვდება ი. ბ. სტალინს გორკაში.
აგვისტოს დამლევი — სექტემბრის დამდეგი.	ლენინი წერს სტატიას «ერთი კოვზი კუპრი ერთ კასრ თაფლში».
9 და 13 სექტემბერს შუა.	ვ. ი. ლენინი აზრის გამოსათქმელად უგზავნის ი. ბ. სტალინს პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის მომავალი V ყრილობის მისალმების პროექტს.
სექტემბერი, 12 და 19.	ვ. ი. ლენინი წერილებში ი. ბ. სტალინისა და რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრთა სახელზე წინააღმდეგია ურკარტთან საკონცესიო ხელშეკრულების დამტკიცებისა.
სექტემბერი, 17.	ლენინი სწერს სახკომსაბჭოს — ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ დონბასსა და ბაქოს.

ლენინი უგზავნის მისასალმებელ «წერილს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V ყრილობას».

ხელტემბერი, 25. ლენინი შეკითხვას უგზავნის იუსტიციის სახალხო კომისარიატს როგორ მიმდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების კანონთა კრებულის მომზადება გამოსაცემად.

ოქტომბერი, 2. ლენინი ბრუნდება მოსკოვს და იწყებს მუშაობას.

ოქტომბერი, 3. ლენინი განკურნების შემდეგ ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ოქტომბრის ხელფასის ფონდის შესახებ; მოსკოვში მოსამსახურეთა ერთდღიური აღწერის ჩატარების შესახებ; თევზის მეურნეობის სამმართველოს მოწყობის შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 5. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.

ოქტომბერი, 6. ლენინი მიწერ-მოწერას აწარმოებს ი. ბ. სტალინთან რკპ(ბ) ც. კ-ში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს დადგენილებას ურკარტთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების უარყოფის შესახებ.

ლენინი მისასალმებელ წერილს უგზავნის «ქალაქ ბაქოს მუშებს».

ლენინი მისასალმებელ წერილს უგზავნის რაკკ-ის ბაუმანის რაიკომის გაზეთის «პუტ მოლოდეჟის» რედაქციას.

ოქტომბერი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მიწის კოდექსის შესახებ; შრომის კანონთა კოდექსის შესახებ; ადგილობრივი ბიუჯეტის კანონის შემუშავების შესახებ; სამოქალაქო კოდექსის შესახებ; დებულებას სასამართლო წყობილების შესახებ და სხვ.

ლენინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის ფეიქართა სრულიად რუსეთის V ყრილობას.

ოქტომბერი, 11. ლენინი მისალმებას უგზავნის რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის V ყრილობას.

ოქტომბერი, 13. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ.

ოქტომბერი, 17. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბჭოების საგუბერნიო ყრილობებისა და საგუბერნიო აღმასკომების დებულების პროექტის შესახებ; გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 19. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ოქტომბერი, 20. ლენინი მისალმებას უგზავნის ფინანსურ მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობას.

ლენინი სწერს წერილებს «საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებას (ამერიკაში)» და «საბჭოთა რუსეთის ტექნიკური დახმარების საზოგადოებას».

ოქტომბერი. 21. ლენინი დეპეშას უგზავნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და კატეგორიულ წინადადებას აძლევს მიიღოს ზომები მდივანის ჯგუფის ნაციონალ-უკლონისტთა ანტიპარტიული ბრძოლის შესაწყვეტად.

ოქტომბერი, 24. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ფინეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ; სამოქალაქო კოდექსის შესახებ და სხვ.

ოქტომბერი, 26. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ლენინი წერს «სალამი განთავისუფლებულ ზღვისპირეთს».

ოქტომბერი, 27. ლენინი წერს «ინტერვიუ «ობსერვერის» და მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტს ფარბმანს».

ოქტომბერი, 28. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ვ. მ. მოლოტოვს საბჭოთა სომხეთის სამეურნეო აღმავლობის დახმარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებებზე.

ოქტომბერი, 31. ლენინი წარმოთქვამს სიტყვას IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის IV სესიაზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სახელმწიფო მომგებიანი სესხის გამოშვების შესახებ; სომხეთში მეგამბეობის განვითარების სამეშაოთათვის სუბსიდიების გაღების შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 1. ლენინი მისალმებას უგზავნის «პეტროგრადსკაია პრავდას» ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ნოემბერი, 2. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ლენინი მისალმებას უგზავნის გაზეთ «პრავდას» ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ლენინი მისალმებას უგზავნის კომუნისტ-კოოპერატორთა პირველ საერთაშორისო კონფერენციას.

ნოემბერი, 3. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მოსავლის რეალიზაციის შესახებ; დონბასის დაფინანსების შესახებ; პეტროგრადის მრეწველობის პურით მომარაგების შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 4. ლენინი მისალმებას უგზავნის კომუნისტური ინტერნაციონალის IV მსოფლიო კონგრესს და პეტროგრადის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს.

ლენინი მისალმებას უგზავნის სტატისტიკოსთა სრულიად რუსეთის ყრილობას.

ნოემბერი, 5. ლენინი წერს «ინტერვიუ «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტ ა. რანსომს».

6 და 12 ნოემბერს შუა. ლენინი ადგენს ინტერვიუს მეორე ვარიანტს (დაუმთავრებელია) «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტ ა. რანსომს.

ნოემბერი, 6. ლენინი მისალმებას უგზავნის «მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშა- და გლეხ-ქალთა უპარტიო კონფერენციას».

ნოემბერი, 6 და 8. ლენინი მოითხოვს მიაწოდონ მასალები დონბასში არსებული მდგომარეობისა და სახელმწიფო სათესლე კულტურის თაობაზე დადგენილების შესრულების შესახებ.

ნოემბერი, 7. ლენინი მისალმებას უგზავნის «ყოფ. მიხელსონის ქარხნის მუშებს» ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით.

ლენინი მისალმებას უგზავნის «სახელმწიფო ელადგურის «ელექტროპერედაჩას» მუშა-მოსამსახურეებს» ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლისთავის დღისათვის კლუბის გახსნასთან დაკავშირებით.

ნოემბერი, 8. ლენინი მისალმებას უგზავნის «სტოდოლის მაუდის ფაბრიკის მუშებს კლინცში».

ნოემბერი, 9. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ნოემბერი, 10. ლენინი გამოდის კომინტერნის IV კონგრესზე მოხსენებით «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები».

ნოემბერი, 14. ლენინი წერს «მისალმებას სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი».

ნოემბერი, 15. ლენინი სწერს მისასალმებელ წერილს უცხოელ მწერლებს, ომის ყოფილ მონაწილეებს, რომლებმაც საფრანგეთში შექმნეს ჯგუფი «Clarté» («სინათლე»).

ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს პროლეტარიატის დიქტატურის დროს ბურჟუაზიული სპეციალისტების მიმართ პარტიის პოლიტიკის შესახებ.

ნოემბერი, 16. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ნოემბერი, 17. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობისათვის მასალების მომზადების შესახებ; მოსავლის რეალიზაციის

ღონისძიებათა შესახებ; ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის დაფინანსების შესახებ და სხვ.

ნოემბერი, 18. ვ. ი. ლენინი მოითხოვს მასალებს ი. ვ. მიჩურინის მუშაობისა და ცდების შესახებ; წინადადებას იძლევა დაისვას შრომისა და თავდაცვის საბჭოში თურქესტანის საირიგაციო სისტემის საკითხი.

ნოემბერი, 20. ლენინი მოსკოვის საბჭოს პლენუმზე წარმოთქვამს სიტყვას საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე.

ნოემბერი, 22. ლენინი წერილს უგზავნის «საბჭოთა მუშაკების პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობის პრეზიდიუმს».

ნოემბერი, 23. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

ნოემბერი, 26. ლენინი მისალმებას უგზავნის «განათლების მუშაკთა ყრილობას».

ნოემბერი. ლენინი მთელ რიგ საუბრებს მართავს კომინტერნის IV კონგრესის დელეგატებთან კომუნისტური პარტიათა ორგანიზაციული წყობის, მათი მუშაობის მეთოდების და შინაარსის შესახებ.

დეკემბერი, 1. ლენინი დავალებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს გამოითხოვოს შეჯამებული მონაცემები ოპერაციული წლის მანძილზე მრეწველობის მდგომარეობისა და მრეწველობის ბიუჯეტის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობისათვის მომზადებასთან დაკავშირებით.

დეკემბერი, 2. ლენინი წერილში საერთაშორისო მუშათა დახმარების ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსადმი მოწოდებით მიმართავს მთელი მსოფლიოს მუშებსა და მშრომელებს საბჭოთა რუსეთისათვის სამეურნეო დახმარების კამპანიის ჩატარების შესახებ.

დეკემბერი, 4. ლენინი მისალმებას უგზავნის «ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესს მოსკოვში».

ლენინი წერს «შენიშვნებს ჰაეგაში ჩვენი დელეგაციის ამოცანების საკითხზე».

დეკემბერი, 5. ლენინი წერს დირექტივებს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის სამუშაოთა განაწილების შესახებ.

ლენინი დავალებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს შეეკითხოს მიწსახკომს რა ზომებია მიღებული ი. ვ. მიჩურინის დასახმარებლად.

დეკემბერი, 6. ლენინი წერს სტატიას «რამდენიმე სიტყვა ნ. ე. ფედოსეევის შესახებ».

დეკემბერი, 7. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაში.

დეკემბერი, 7 — 12. ლენინი ცხოვრობს გორკაში; ემზადება მოხსენებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე.

დეკემბერი, 9. ლენინი ადგენს მითითებას სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილეთა მუშაობის წესის შესახებ.

დეკემბერი, 10. ლენინი მისალმებას უგზავნის «საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობას».

დეკემბერი, 12. ლენინი უკანასკნელად მუშაობს კრემლში, თავის კაბინეტში.

დეკემბერი, 13. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმისათვის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ.

დეკემბრის პირველი ნახევარი. ლენინი ემზადება საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსასვლელად, ადგენს სიტყვის კონსპექტს.

დეკემბერი, 15. ვ. ი. ლენინი წერს «წერილი ი. ბ. სტალინს ც. კ-ის წევრებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსვლის გამო».

დეკემბერი, 16. ლენინის ავადმყოფობის მეორე შეტევა.

დეკემბერი, 23. ლენინი იხმობს მდივანს, უკარნახებს წერილებს და მოითხოვს წიგნებს.

დეკემბერი, 29. ექიმები კითხვის წებას რთავენ ლენინს.

1923

იანვარი, 2.	ლენინი კარნახობს სტატიას «ფურცლები დღიურიდან».
იანვარი, 4 და 6.	ლენინი კარნახობს სტატიას «კოოპერაციის შესახებ».
იანვარი, 9. და 13.	ლენინი კარნახობს პირველ ვარიანტს სტატიისას «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია».
იანვარი, 10.	ლენინი დავალებას აძლევს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს გამოითხოვოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან მასალები საბჭოთა მოსამსახურეების აღწერის შედეგთა შესახებ.
იანვარი, 16 და 17.	ლენინი კარნახობს სტატიას «ჩვენი რევოლუციის შესახებ (ნ. სუხანოვის წერილების გამო)».
იანვარი, 19, 20, 22, 23.	ლენინი კარნახობს მეორე ვარიანტს სტატიისას «როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია (წინადადება პარტიის XII ყრილობას)» და განკარგულებას იძლევა გაგზავნონ იგი დასაბეჭდად.
თებერვალი, 2, 4, 5, 6, 7, 8 და 9.	ლენინი კარნახობს სტატიას «უმჯობესია ცოტა და კარგი».
მარტი, 2.	ლენინი კითხულობს თავის სტატიას «უმჯობესია ცოტა და კარგი» და განკარგულებას იძლევა გაგზავნონ იგი დასაბეჭდად.
მარტი, 9.	ლენინის ავადმყოფობის მესამე შეტევა.
მაისი, 12.	ლენინი გადაჰყავთ გორკაში.
ივლისის მეორე ნახევარი.	ლენინის ჯანმრთელობა უმჯობესდება.
ოქტომბერი, 19.	ლენინი ჩამოდის მოსკოვს რამდენიმე საათით, შედის თავის კაბინეტში; გორკაში დაბრუნებისას ნახულობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

1924

21 იანვარი, საღამოს 6 ს. და 50 წ., გორკა.	ლენინი გარდაიცვალა.
21 იანვარი, ღამით.	რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
22 იანვარი.	მ. ი. კალინინი აცნობებს ლენინის გარდაცვალებას საბჭოების სრულიად რუსეთის XI ყრილობას.
21 — 23 იანვარი.	გორკაში ი. ბ. სტალინის მეთაურობით ჩადიან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები, საბჭოების ყრილობისა და მოსკოვის ორგანიზაციების დელეგაციები, მოდიან გარშემო სოფლების გლეხები ლენინთან გამოსათხოვებლად.
23 იანვარი, დილის 10 — 11 ს.	კუბო ლენინის ცხედრით გორკიდან ხელით გადააქვთ სადგურ გერასიმოვოში (ამჟამად ლენინსკაია).
23 იანვარი, დღის 1-ლი საათი, მოსკოვი.	სამგლოვიარო მატარებელი ლენინის ცხედრით მოდის მოსკოვში. უახლოეს თანამებრძოლებსა და ამხანაგებს ხელით გადააქვთ კუბო კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.
26 იანვარი.	სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის სამგლოვიარო სხდომა. ი. ბ. სტალინის სიტყვა ლენინის გარდაცვალების გამო.
23 — 27 იანვარი.	ასიათასობით მუშა, გლეხი, წითელარმიელი და მოსკოვის მოსამსახურენი, მშრომელთა დელეგაციები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან განუწყვეტელ ნაკადად მიედინებიან დღისით და ღამით სვეტებიან დარბაზში ლენინთან გამოსათხოვებლად.
27 იანვარი, დილის 9 ს. და 20 წ.	ლენინის ცხედრის გასვენება კავშირთა სახლიდან წითელ მოედანზე.
27 იანვარი, დღის 4 ს.	კუბო ლენინის ცხედრით გადააქვთ მავზოლეუმში.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . IX

1921

ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით . 1 — 11

წერილები ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი . . . . . 12 — 19

1. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს 12
2. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს ან მის მოადგილეს 16

წერილი გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას . . . . . 20 — 23

პარტიის წმენდის შესახებ . . 24 — 26

მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის . . . . . 27 — 34

ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის VIII ყრილობის პრეზიდიუმს . . . . . 35 — 36

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის 37 — 48

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამოცანები. მოხსენება პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1921 წ. 17 ოქტომბერს . . . . . 49 — 74

საბჭოთა ხელისუფლებისა და რკ პარტიის მკვეთრი შემობრუნება 49
სრ. რუს. ცაკ-ი გლეხობის როლის შესახებ — 1918 წელს 51
ჩვენი შეცდომა 51
სტრატეგიული უკან დახევა . . 53
ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრი 54
ვინ გაიმარჯვებს — კაპიტალისტი თუ საბჭოთა ხელისუფლება? 55
ბრძოლა კიდევ უფრო სასტიკი იქნება . 57
უკანასკნელია თუ არა ეს ბრძოლა? . 60
უშუალო კომუნისტურ გადასვლაზე იმედს არ უნდა ვამყარებდეთ 61
პირადი დაინტერესების პრინციპი . . . 61
შეეძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის? . 63
მოძველებული ხერხები . . 66
ყველაზე დიდი სასწაული 67
პოლიტგანათლების მუშაკთა ამოცანები . 69
სამი მთავარი მტერი 71
პირველი მტერია კომუნისტური ყოყოჩობა . 72
მეორე მტერია წერა-კითხვის უცოდინარობა . 72
მესამე მტერია ქრთამი 72
განსხვავება სამხედრო და კულტურულ ამოცანებს შორის 73

მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიული კონფერენცია. 1921 წ. 29—31 ოქტომბერი . . 75 — 110

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ

1. მოხსენება 1921 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე 77

2. საბოლოო სიტყვა 102

ოქტოს მნიშვნელობის შესახებ ამუამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ . . . . 111 — 121

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ პროხოროვის მანუფაქტურის მუშათა კრებაზე 1921 წ. 6 ნოემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . 122 — 123

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს . 124 — 126

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ «ელექტროსილას» № 3 (ყოფ. «დინამოს») ქარხნის მუშათა კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში 127

წინასიტყვაობა ბროშურისა: «ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხისათვის (ორი ძველი სტატია და ერთი კიდევ უფრო ძველი ბოლოსიტყვაობა)» . 128 — 130

დეპეშა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ნარიმანოვს. ბაქო 131

ნიჭიერად დაწერილი წიგნაკი . 132 — 133

პროექტი წინადადებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ . . . 134

სიტყვა მოსკოვის I საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე 1921 წ. 29 ნოემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . 135 — 136

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თეზისების შესახებ აბრარულ საკითხში . . . . . 137 — 146

წერილი პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წევნდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ . . 147 — 148

წერილი პოლიტბიუროს მიმართ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის რეზოლუციის გამო . . 149 — 150

საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა. 1921 წ. 23 — 28 დეკემბერი . . . . . 151 — 204

1. რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ანგარიში საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობას. 1921 წ. 23 დეკემბერი 153

2. განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხებზე, მილებული საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს . . 201

ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ. წერილი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს . . 205 — 206

1922

პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 12 იანვრის დადგენილება . . . . 207 — 222

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პროფკავშირები . 207
2. სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში და პროფკავშირები . . 208
3. სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ეგრეთწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყავთ, და პროფკავშირები 209
4. არსებითი განსხვავება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასა იმ სახელმწიფოში, რომელიც ცნობს მიწის, ფაბრიკებისა და სხვათა კერძო საკუთრებას და სადაც პოლიტიკური ძალაუფლება კაპიტალისტთა კლასის ხელშია, და პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას შორის იმ სახელმწიფოში, რომელიც არ ცნობს მიწისა და მსხვილ საწარმოთა უმრავლესობის კერძო საკუთრებას, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოში პროლეტარიატის ხელშია 210
5. პროფკავშირებში ნებაყოფლობითი წევრობისადმი დაბრუნება 212
6. პროფკავშირები და საწარმოების მართვა . . 213
7. პროფკავშირთა როლი და მონაწილეობა პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში 214

8. მასასთან კავშირი, როგორც პროფკავშირთა ყოველ-
გვარი მუშაობის ძირითადი პირობა 217

9. წინააღმდეგობა თვით პროფკავშირთა მდგომარეობაში
პროლეტარიატის დიქტატურის დროს . . 218

10. პროფკავშირები და სპეცები . 219

11. პროფკავშირები და წვრილბურჟუაზიული გავლენა
მუშათა კლასზე 221

პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტი-
ვისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ . 223 — 224

დაღისტნის მშრომელებს . 225

წერილი ამხ. ორჯონიკიძეს საქართველოს წითე-
ლი არმიის გაძლიერების შესახებ . 226 — 227

წერილი დ. ი. კურსკის . . 228 — 229

პუბლიცისტის შენიშვნები. მაღალ მთებზე' ასვ-
ლისა, სასოწარკვეთილების მავნებლობ'ისა,
ვაჭრობის სარგებლობისა, მენშევიკები-
სადმი დამოკიდებულებისა და სხვათა შე-
სახებ . . . . . 230 — 240

I მაგალითისებური 230
II უმეტაფორებოდ 232
III მელებზე ნადირობის შესახებ; ლევის შესახებ; სე-
რატის შესახებ 234

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საში-
ნაო მდგომარეობის შესახებ. სიტყვა მელითო-
ნეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუ-
ნისტური ფრაქციის სხდომაზე 1922 წლის
6 მარტს . . . . . 241 — 261

მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ 262 — 275

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის.
ამხ. პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ. 276 — 282

პროექტი პასუხისა ე. ვანდერველდეს . 283 — 284

წინასიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით» . 285 — 287

წერილი ი. ბ. სტალინს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ . 288 — 289

«ბედნოტის» ოთხი წლის იუბილესათვის . . 290 — 291

წერილი ვ. მ. მოლოტოვს პარტიის XI ყრილობაზე პოლიტმოხსენების გებმის შესახებ . . . . 292 — 295

პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ. წერილები ვ. მ. მოლოტოვს . . . . 296 — 300

1. 296
2. 298

რკპ(ბ) XI ყრილობა. 1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი . . . . . 301 — 383

1. სიტყვა ყრილობის გახსნისას 27 მარტს 303
2. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში 27 მარტს 305
3. საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის გამო 28 მარტს 363
4. სიტყვა ყრილობის დახურვისას 2 აპრილს . 381

სოფლად მუშაობის თაობაზე პარტიის XI ყრილობის რეზოლუციის პროექტის შესახებ. წერილი ნ. ოსინსკის . . . . . 384 — 386

ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა . 387 — 392

დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ . . . 393 — 402

I. მოადგილეთა საერთო და ძირითადი ამოცანები . 393
II. სპეციალური საკითხები, რომლებიც შეეხება მოადგილეთა მუშაობას 395

III. მოადგილეების მუშაობის წესი; მათი აპარატი . 399
IV. ორივე მოადგილის მუშაობის ერთიანობის შესახებ . 400
V. მუშაობის განაწილება მოადგილეებს შორის . 401

წერილი ი. ბ. სტალინს. ამხანაგ სტალინს (პოლიტბიუროსათვის) . . . . . 403 — 404

წინასიტყვაობა ბროშურისა: «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლოებულ თემებზე». წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის . . . 405 — 407

დეპეშა აზნავთის მუშებსა და ინჟინრებს. ბაქო . 408

«პრავდის» ათი წლის იუბილესათვის . . 409 — 414

წერილი ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის. პასუხი იმ შენიშვნებისა, რომლებიც ეხება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობას . . 415 — 418

პროექტი სრ. რუს. ცაკ-ის დადგენილებისა გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო . . 419 — 420

წერილი დ. ი. კურსკის . . . . . 421 — 422

წერილები ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების შესახებ . . . . . 423 — 426

1. 423
2. 426

«ოქრმაბი» დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ. ამხანაგ სტალინს პოლიტბიუროსათვის . . . . . 427 — 433

ერთი კოკეზი ქუარი ერთ კასრ თაფლში . . 434 — 435

წერილი პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის V ყრილობისადმი . . . . . 436 — 437

ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ 438

ძალაძ ბაძოს მუშებს 439

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობას 440

წერილი ი. ბ. სტალინს საბარეო მაჭრობის მონოპოლიის შესახებ. ც. კ-ის მდივანს ამხანაგ სტალინს . . . . . 441 — 445

ფინანსთა მუშაკების სრულიად რუსეთის ყრილობას 446

საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებას (ამერიკაში) . . . . . 447 — 448

საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების საზოგადოებას . . . . . 449 — 450

სალამი განთავისუფლებულ ზღვისპირეთს. ჩიტა. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს 451

ინტერვიუ «ობსერვერის» და «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტ ფარბმანს . . . 452 — 460

სიტყვა IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV სესიაზე 1922 წ. 31 ოქტომბერს . . . . . 461 — 468

«პეტროგრადსკაია პრავდას» 469

«პრავდას» 470

კომუნისტ-კოოპერატორთა პირველ საერთაშორისო კონფერენციას 471

სტატისტიკოსთა სრულიად რუსეთის ყრილობას 472

ინტერვიუ «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტ ა. რანსომს . . . . . 473 — 484

პირველი ვარიანტი . . . 473

მეორე ვარიანტი (დაუმთავრებელი) 480

მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშა- და გლეხ-ქალთა უპარტიო კონფერენციას . . . 485

ყოფ. მიხელსონის ქარხნის მუშებს . 486

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ «ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲞᲔᲠᲔᲓᲐᲩᲐᲡ» ᲛᲣᲨᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲡ . . 487

ᲡᲢᲝᲥᲰᲝᲚᲛᲘᲡ ᲛᲐᲣᲓᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲪᲨᲘ . 488

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ IV ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ. 1922 წ. 5 ნოემბერი — 5 დეკემბერი . . 489 — 511

1. ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ IV ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲡ, ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 491

2. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ. ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ IV ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ 1922 წ. 13 ნოემბერს 493

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ 512

ᲯᲒᲣᲤᲡ «CLARTÉ»-Ს 513

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ 1922 წ. 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ . . . . . 514 — 524

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ V ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲡ . . 525

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ . 526

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 527

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲐᲒᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ . . . . . 528 — 533

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ Ნ. Ე. ᲤᲔᲓᲝᲡᲔᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . 534 — 535

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ . 536

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ . . . . . 537 — 542

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ X ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 543

1923

ფურცლები დღიურიდან . . 544 — 550

კოოპერაციის შესახებ . . 551 — 561

I. 551

II. 557

ჩვენი რევოლუციის შესახებ (ნ. სუხანოვის წერილების გამო) . . . . . 562 — 567

I. . . . 562

II. 566

როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია (წინადადება პარტიის XII ყრილობას) . 568 — 574

უმჯობესია ცოტა და კარგი . . . . . 575 — 594

შენიშვნები . . . . . 595 — 622

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 623 — 647

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. — 1922 წ. ზაფხული . . XIV — 1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის». — 1921 წ. 14 ოქტომბერი . . . . . 36 — 37

ტირაჟი 20000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/II-1953.
უე 01257. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 42.
ფასი 8 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.
შეკვეთის № 1051.